ბ. კავერინი

ორი კაპიტანი

რომანი

I

ტომი

თარგმნა

ნინო ქუჩუკაშვილმა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
Tg თბილისი 56



ნაწილი პირველი

ბავშვობა

თავი პირველი

წერილი. ცისფერ კიბოებზე წასვლა

მახსოვს გაშლილი ჭუჭყიანი ეზო და ღობეშემოვლებული დაბალი სახლები. ეზო ზედ მდინარის პირას იყო და გაზაფხულობით, როცა ადიდებული წყალი იკლებდა, ლოკოკინებით, ნაფოტებითა და ზოგჯერ კიდევ უფრო საინტერესო საგნებით იყო ხოლმე მოფენილი. ერთხელ, მაგალითად, წერილებით გატენილი ჩანთა ვიპოვეთ, მერე წყალმა თვითონ ფოსტალიონიც გამორიყა და ფრთხილად დადო ნაპირზე. გულაღმა იწვა, ხელებით თითქოს მზეს იჩრდილებდა. ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, ქერა, პრიალაღილებიანი კურტკა ეცვა. ღილები, ეტყობა, უკანასკნელ რეისში გამგზავრების წინ ცარცით გაეპრიალებინა.

ჩანთა პოლიციელმა ჩამოგვართვა. დასველებული წერილები კი არაფრად აღარ ვარგოდა და დეიდა დაშამ წაიღო. თუმცა მთლად დასველებული როდი იყო წერილები: ჩანთა ახალი იყო, ტყავისა და კარგად იკეტებოდა. ყოველ საღამოს დეიდა დაშა თითო წერილს გვიკითხავდა ხმამაღლა, ხან მხოლოდ მე, ხან კი მთელ ეზოს. ეს იმდენად საინტერესო იყო, რომ სკოვოროდნიკოვთან ქაღალდის სათამაშოდ მოსული მოხუცი დედაკაცებიც კი თამაშს თავს ანებებდნენ და ჩვენ გვიერთდებოდნენ. განსაკუთრებით ერთ წერილს დეიდა დაშა ყველაზე ხშირად კითხულობდა. ისე ხშირად,

რომ ბოლოს ზეპირად ვისწავლე. მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ მე ისევ მახსოვს თავიდან ბოლომდე.

„ღრმად პატივცემულო მარია ვასილევნა!

ვეშურები გაცნობოთ, რომ ივან ლვოვიჩი ჯანმრთელად და კარგად არის. ოთხი თვის წინათ, თანახმად მისი განკარგულებისა, მე და ჩემთან ერთად ექსპედიციის ცამეტმა წევრმა ხომალდი დავტოვეთ. იმედი მაქვს, მალე გნახავთ, და ამიტომ აღარაფერსა გწერთ მცურავი ყინულებით ფრანც იოსების მიწისკენ ჩვენი მძიმე მოგზაურობის შესახებ. წარმოუდგენელი გაჭირვება გადავიტანეთ. ერთს გეტყვით მხოლოდ, რომ მთელი ჩვენი ჯგუფიდან მხოლოდ მე მივაღწიე მშვიდობით ფლორას კონცხს (თუ არაფრად ჩავაგდებთ მოყინულ ფეხებს). ლეიტენანტ სედოვის ექსპედიციის „წმ. ფოკა“ წამომეწია, მიპატრონა და არხანგელსკში ჩამომიყვანა... ცოცხალი გადავრჩი, მაგრამ მგონი სანანებლად გამიხდეს, რადგან უახლოეს დღეებში ოპერაცია მომელის, რომლის შემდეგაც მხოლოდ ღვთის იმედით უნდა ვიყო. უფეხოდ კი როგორ ვიქნები, არ ვიცი. მაგრამ აი, რა უნდა გაცნობოთ: „წმ. მარიამი“ ჯერ ისევ კარის ზღვაში გაიყინა და 1913 წ. ოქტომბრიდან შეუჩერებლივ მიემართება ჩრდილოეთისაკენ პოლარულ ყინულებთან ერთად. ჩვენ რომ წამოვედით, ხომალდი 82°55′ განედზე იმყოფებოდა: ის მშვიდად დგას ყინულოვან მინდორში, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, იდგა 1913 წლის შემოდგომამდე, ვიდრე მე იქიდან წამოვიდოდი. შეიძლება წელსაც დააღწიოს თავი, მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო მოსალოდნელია ეს მოხდეს მომავალ წელს, როდესაც დაახლოებით იმ ადგილს მიაღწევს, სადაც „ფრამი“ განთავისუფლდა. სანოვაგე იქ დარჩენილთ საკმარისად აქვთ და მომავალი წლის ოქტომბერ-ნოემბრამდე ეყოფათ. ყოველ შემთხვევაში, ვეშურები დაგარწმუნოთ: ჩვენ იმიტომ კი არ დაგვიტოვებია გემი, რომ მისი მდგომარეობა უიმედო იყო. რასაკვირველია, მე უნდა შემესრულებინა გემის უფროსის მოწერილობა, მაგრამ არ დაგიმალავთ, რომ იგი ჩემ სურვილსაც დაემთხვა. როდესაც მე ცამეტი მეზღვაურით გემს ვტოვებდი, ივან ლვოვიჩმა მომცა პაკეტი ჰიდროგრაფიულ სამმართველოს აწ განსვენებულ უფროსის სახელზე და თქვენი წერილი. ფოსტით გამოგზავნას ვერა ვბედავ, იმიტომ რომ მარტოდ დარჩენილი ვუფრთხილდები ჩემი პატიოსანი მოქმედების თითოეულ საბუთს! ამიტომ გთხოვთ, ან გამოგ-

ზავნოთ ვინმე, ან პირადად თქვენ ჩამობრძანდეთ არხანგელსკში, რადგანაც საავადმყოფოში სამი თვე მაინც დავრჩები. ველი თქვენს პასუხს.

პატივისცემით თქვენი სამსახურისათვის მზადმყოფი შორეული ნოგზაურობის შტურმანი ი. კლიმოვი".

მისამართი წყალს წაეშალა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ იმავე მტკიცე და სწორი ხელით იყო დაწერილი სქელ, გაყვითლებულ კონვერტზე.

ალბათ ეს წერილი ჩემთვის რაღაც ლოცვის მაგვარად გადაიქცა,—ყოველ საღამოს ვიმეორებდი მამაჩემის მოლოდინში.

მამა გვიან ბრუნდებოდა ნავმისადგომიდან: გემები ახლა ყოველდღე მოდიოდნენ და წინანდელივით სელითა და პურით კი არა ტვირთავდნენ, ვაზნებითა და იარაღის ნაწილებით სავსე მძიმე ყუთებით. მამაჩემი, ზორბა, ჩასხმული, დიდრონულვაშებიანი კაცი იყო, თავზე პატარა მაუდის ქუდი ეხურა, ბრეზენტის შარვალი ეცვა. დედაჩემი გაუთავებლად ელაპარაკებოდა, ის კი ჭამდა და პასუხს არ აძლევდა. მხოლოდ ხანგამოშვებით ჩაახველებდა ხოლმე და ულვაშებს ჩამოიწმენდდა. შემდეგ ბავშვებს—მე და ჩემს დას, ბელში აგვიყვანდა და საწოლზე მიწვებოდა. ქერელის, ზოგჯერ ვაშლის, პურის, ზოგჯერ კი რაღაც აყროლებული მანქანის ზეთის სუნი ასდიოდა და მახსოვს, როგორი სევდა შემომაწვებოდა ხოლმე ამ სუნის გამო.

მე მგონი, სწორედ იმ უბედურ საღამოს მამაჩემის გვერდით მწოლარემ პირველად შევაფასე შეგნებულად ყველაფერი, რაც ჩემს გარშემო იყო. პატარა ჩუკუნა სახლი გაზეთებგაკრული დაბალი ჭერით, ფანჯრის ქვეშ დიდი ჭუჭრუტანაა, საიდანაც სიგრილე სცემს და მდინარის სიახლოვეს გრძნობ,—ეს ჩვენი სახლია; თმებჩამოშლილი ლამაზი შავგვრემანი ქალი, რომელსაც ჩალით გატენილ ორ ტომარაზე სძინავს,—დედაჩემია. ნაკუწებისაგან შეკერილ საბნიდან გამოშვერილი პატარა ფეხები ჩემი დის ფეხებია; გამხდარი, შავი, დიდშარვლიანი ბიჭი, რომელიც კანკალით გადმოდის ლოგინიდან და ქურდულად ეზოში მიიპარება, მე ვარ.

უკვე დიდი ხნის ამორჩეული იყო შესაფერისი ადგილი, თოკი შომზადებული და ფიჩხიც კი დაგროვილი მქონდა „პროლომთან", დამპალი ხორცის ნაჭერილა მაკლდა, რომ ცისფერი კიბოების

დასაჭერად წავსულიყავი. ჩვენს მდინარეში ფსკერი სხვადასხვა ფერისაა და კიბოებიც სხვადასხვა ფერისა იცის: შავი, მწვანე, ყვითელი. ამათ ბაყაყებითა და ცეცხლითაც ვიტყუებდით ხოლმე. ცისფერი კიბო კი—აძაში ბიჭები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი—მხოლოდ დამპალ ხორცს ეტანებოდა. გუშინ ძლივს ბედმა გამიღიმა, დედას ხორცის ნაჭერი ავწაპნე და მთელი დღე მზეზე მედო, ახლა უკვე დამპალია.

„პროლომამდე" სწრაფად გავირბინე ნაპირი: ცეცხლისთვის ფიჩხი აქა გვქონდა დაგროვილი, შორს კოშკები მოჩანდა: ერთ ნაპირზე პოკროვსკის, მეორეზე—სპასკის. ამ კოშკში, ომი რომ დაიწყო, ტყავეულობის სამხედრო საწყობი მოაწყვეს. პეტკა სკოროდნიკოვი მარწმუნებდა, წინათ სპასკის კოშკში ეშმაკები ცხოვრობდნენ და ჩემი თვალითა ვნახე, ჩვენს ნაპირზე ბორნით როგორ გადმოდიოდნენო. გადმოვიდნენ, ბორანი ჩაძირეს და პოკროვსკის კოშკში გასწიეს საცხოვრებლადო. მარწმუნებდა, ეშმაკებს თამბაქოს მოწევა და ლოთობა უყვართ, წოწოლათავებიანები აჩიან და მათ შორის ბევრია კოპლი, იმიტომ რომ ციდან ჩამოცვივდნენო. პოკროვსკის კოშკში გამრავლდნენ და კარგ ამინდში მდინარეზე გამოდიან თამბაქოს მოსაპარად, რომელსაც მეთევზეები ბადეზე მიაბამენ ხოლმე წყლის კაცის გულის მოსაგებადო.

ერთი სიტყვით, თითქმის არც გამკვირვებია, ციხე-სიმაგრის გამონგრეულ კედელში რომ შავი, ხმელ-ხმელი სხეული დავინახე, როცა ცეცხლს ვუბერავდი.

— აქ რას აკეთებ, ავარავ?—სწორედ ადამიანივით მკითხა ეშმაკმა.

კიდევაც რომ შემძლებოდა ლაპარაკი, მაინც ვერაფერს ვუპასუხებდი, მხოლოდ შევყურებდი და ვკანკალებდი.

სწორედ იმ წუთში მთვარე ღრუბლებიდან გამოცურდა და დარაჯი გამოჩნდა, რომელიც გაღმა ნაპირზე ტყავეულობის საწყობს გარშემო უვლიდა—ზორბა, მძიმე კაცი, ზურგს უკან გამოშვერილი შაშხანით.

— კიბოებს იჭერ?

იგი მსუბუქად ჩამოხტა და ცეცხლს მიუჯდა.

— რას გაჩუმებულხარ, სულელო?—მკითხა მრისხანედ.

არა, ეშმაკი არ იყო. ეს გამხდარი კაცი იყო უქუდოდ, ხელში პატარა ჯოხი ეჭირა, რომელსაც ერთთავად ფეხებზე ირტყამდა, სახე ვერ გავარჩიე. სამაგიეროდ იმის დანახვა მოვასწარი, რომ

პიჯაკი ტიტველა ტანზე ეცვა და პერანგის მაგივრობას შარფი უწევდა.

— როგორ, ჩემთან ლაპარაკი არა გსურს, არამზადავ?—მან ჯოხი ძაძგერა.—მიპასუხე! მიპასუხე, თორემ...

ზეზე არც წამომდგარა, ისე ჩამკიდა ფეხებში ხელი და თავისკენ მიმითრია. მე დავიზმუვლე.

— ეე... ყრუ-მუნჯი ყოფილხარ.

ხელი გამიშვა. დიდხანს იჯდა ცეცხლთან და ჯოხით ნაკვერჩხალს ჩხრეკავდა.

— მშვენიერი ქალაქია,—თქვა ზიზღით,—ყოველ ეზოში ძაღლები, მხეცი პოლიციელები, წყეული კიბოპამიები არიან.

და ლანძღვას მოჰყვა.

რომ მცოდნოდა, ერთი საათის შემდეგ რა მოხდებოდა, შევეცდებოდი დამეხსომებინა, რას ამბობდა, თუმცა სულ ერთია, არც ერთი სიტყვის გადაცემა არ შემეძლო. დიდხანს ილანძღებოდა, ჩააფურთხა კიდეც ცეცხლში და კბილებიც დააკრაჭუნა. მერე მუხლებზე ხელები შემოიხვია, თავი უკან გადააგდო და გაყუჩდა. მე ცალი თვალით გადავხედე და, მგონი, შემებრალებოდა, ასეთი გულმიუსავალი რომ არა ყოფილიყო.

უეცრად წამოხტა და რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე პონტონის ხიდზე გაჩნდა, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც სალდათებმა გასდეს. შემდეგ გაღმა ნაპირზე გაიელვა და გაჰქრა.

ჩემი ცეცხლი ჩაქრა, მაგრამ უცეცხლოდაც კარგად ვხედავდი, რომ კიბოებში, რომლებიც ბლომად მოეზიდე, ერთიც არ ერია ცისფერი. იყო ჩვეულებრივი შავი და ძალიან მსხვილი კიბოები. ლუდხანაში ასეთ კიბოებში წყვილში კაპიკს იძლეოდნენ.

ცივმა ქარმა ზურგიდან დაისისინა, შარვლის ტოტები გამიბერა და სიცივემ ამიტანა. წასვლის დრო იყო! ხორციანი კანაფი უკანასკნელად გადავისროლე, როცა გაღმა ნაპირზე დარაჯი დავინახე. დაღმართზე მორბოდა. სპასკის კოშკი მაღლობიდან გადმოსცქეროდა მდინარეს. იქიდან ქვეიანი გვერდა ჩამოდიოდა. 'მთვარის შუქით გაკაშკაშებულ გვერდაზე არავინა ჩანდა, მაგრამ დარაჯმა რატომღაც შაშხანა ისე ჩამოიღო, არც კი გაჩერებულა.

— შეჩერდი!

არ გაუსვრია, მხოლოდ ჩახმახი დააჩხაკუნა და სწორედ იმ წუთში ხიდზე ის დავინახე, ვისაც დარაჯი მისდევდა. ასე ფრთხილად იმიტომ ეწერ, რადგან ახლაც კი არა ვარ დარწმუნებული,

რომ ეს ის კაცი იყო, რომელიც ერთი საათის წინ ჩემ ცეცხლთან იჯდა. მაგრამ თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას'ის სურათი: მდინარის მდუმარე ნაპირები, გზასავით დაფენილი მთვარის შუქი, რომელიც ჩემგან თანდათან ფართოვდება პონტონის ხიდის კარჭაპებამდის, და ხიდზე ორი გრძელი ჩრდილი ადამიანებისა, რომელნიც მირბიან.

დარაჯი მძიმედ მირბოდა და ერთხელ შეჩერდა კიდეც სულის მოსათქმელად,—მაგრამ წინას, როგორც ჩანს, უფრო უჭირდა სირბილი. იგი უეცრად მოაჯირთან ჩაჯდა. დარაჯმა მიირბინა, დაიყვირა და უცებ უკან გადაიზნიქა,—ალბათ ქვევიდან დაარტყეს. მოაჯირზე გადაწოლილმა ნელ-ნელა ჩაიკეცა. მკვლელი კი უკვე გაქრა ციხის გალავნის იქით.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ ღამეს პონტონის ხიდს არავინა ჰყარაულობდა; საყარაულო ცარიელი იყო, არც გარშემო ჩანდა ვინმე დარაჯის გარდა, რომელიც ხელებგაჭიმული გვერდზე იწვა. იქვე ეგდო დიდი ნედლი ტყავი და, როცა მე შიშისაგან აკანკალებულმა მივირბინე, ის მძიმედ ამთქნარებდა. მრავალი წლის შემდეგ გავიგე, რომ თურმე სიკვდილის წინ ბევრი ამთქნარებს ხოლმე. შემდეგ თითქოს შვებით ღრმად ამოიხვნეშა და სიჩუმე ჩამოვარდა.

არ ვიცოდი, რა მექნა, მისკენ დავიხარე, საყარაულოსაკენ გავიქეცი—და სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ ცარიელი იყო, და ისევ დარაჯს მოვუბრუნდი. ყვირილიც კი არ შემეძლო—მარტო იმიტომ კი არა, რომ მაშინ მუნჯი ვიყავი, უბრალოდ, შიშისაგან. მაგრამ ნაპირიდან ხმა მომესმა და მე უკან გავქანდი იმ ადგილისაკენ, სადაც კიბოებს ვიპერდი. თავის დღეში აღარ დამჭირვებია ასეთი ჩქარი სირბილი—გულმაც კი დამიწყო ჩხვლეტა და სუნთქვა შემიჩერდა. ვერ მოვასწარი კიბოებისათვის ბალახი წამეფარებინა და ნახევარი მივფანტ-მოეფანტე, ვიდრე სახლამდის მივაღწევდი. მაგრამ ახლა კიბოებისათვის აღარა მცხელოდა.

გულის ბაგიბუგით კარი ჩუმად შევაღე. ჩვენს ერთადერთ ოთახში ბნელოდა. ყველას მშვიდად ეძინა, არავის შეუმჩნევია ჩემი არც წასვლა და არც მოსვლა. კიდევ ერთი წუთი და, მე მამაჩემის გვერდით ვიწექი, მაგრამ მაინც დიდხანს არ დამძინებია. თვალწინ მგდგა მთვარით განათებული ხიდი და ადამიანთა ორი გრძელი ჩრდილი.

თავი მეორე

მ ა მ ა

ორი საწყენი რამ მელოდა მეორე დილით. ჯერ ერთი, დედა-ჩემს ჩემი კიბოებისათვის მიეგნო და მოეხარშა. ამგვარად დავკარგე აბაზიანი და ამასთან იმედი, ქარიყლაპიებისათვის ახალი ანკესებისა და ზონრის შოვნისა, მეორე ის, რომ ჯიბის დანა დამკარგოდა; სიმართლე რომ ვთქვა, ის მამაჩემის დანა იყო, მაგრამ პირი მომტვრეული ჰქონდა და მე მაჩუქა. ყველაფერი გადავაქოთე სახლშიც, ეზოშიც—დანა თითქოს მიწამ ჩაყლაპა.

ასე ვიტრიალე თორმეტ საათამდე, იმ დრომდე, როცა ნავმისადგომში უნდა წავსულიყავი და მამაჩემისათვის სადილი წამეღო, ეს ჩემი მოვალეობა იყო და ამით ძალიან ვამაყობდი.

ნავმისადგომი ახლა გაღმა ნაპირზეა,—გამოღმა ნაპირზე კი ბულვარია, მთელ სიგრძეზე ჩაყოლებული ცაცხვებით. ცაცხვი ისევ ჩვენი ქალაქის საყვარელ ხედ დარჩა, მაგრამ იმ დღეს, როცა მამაჩემთან თავშალში გამოკრული ერთი ქოთანი შეჭამანდი და კარტოფილი მიმქონდა, ამ ბულვარის ადგილას მუშებისათვის აშენებული ბალაგანები იყო, ციხის გალავნის გასწვრივ პურის ტომრები და ტოპრაკები პირამიდებად ეწყო. კარჭაპებიდან ნაპირამდე განიერი ფიცრები იყო გადებული. მტვირთავები ყვირილით: „ჰეი, გზა მოგვეცით!“ საქონლით მძიმედ დატვირთულ ურიკებს მოაგორებდნენ. მახსოვს ნავმისადგომთან წყალში მოტივტივე სადაფივით ბრჭყვიალა ქონის ლაქები, გადახეხილი ბოძები, რომლებზედაც ნავსაბელს წამოაცმევდნენ ხოლმე, ერთმანეთში არეული თევზის, ფისის და ჩიჩობის სუნი.

რომ მივედი, ჯერ ისევ მუშაობდნენ. ურიკა ფიცრებშეა ჩაჭედილიყო და მთელი მოძრაობა კარჭაპებიდან ნაპირამდე შეჩერებულიყო. უკან მდგომნი ყვიროდნენ და ილანძღებოდნენ. ორი მუშა ძალაყიხს დასწოლოდა, ცდილობდნენ ამოეღოთ და გზაზე დაეყენებინათ ჩამოცურებული ურიკა. მამამ აუჩქარებლად შემოუარა იმათ. რაღაცა უთხრა, დაიხარა... ასეთი დამამახსოვრდა მე იგი, ზორბა ტანის, დიდრონულვაშებიანი, პირმრგვალი, მსუბუქად სწევს მძიმედ დატვირთულ ურიკას. ასეთი ის მე აღარასოდეს აღარ შინახავს.

ჭამდა და თან მალ მალე შემომხედავდა ხოლმე. „რაო, ქანია“? მითხრა, როდესაც ნავმისადგომში სქელი ბოქაული

და სამი პოლიციელი გამოჩნდა. ერთმა „ბიძიას“ დაუძახა—ასე ეძახოდნენ არტელის მამასახლისს—და რაღაცა უთხრა. „ბიძია“ სახტად დარჩა, პირჯვარი გადაიწერა და ყველამ ერთად ჩვენკენ გამოსწიეს.

— შენა ხარ ივანე გრიგორიევი?—იკითხა ბოქაულმა და ხმალი უკან გასწია.

— მე ვარ.

— წაიყვანეთ,—დაიყვირა ბოქაულმა და ჭარხალიევით გაწითლდა,—დაპატიმრებულია!

ყველანი აყაყანდნენ. მამა ადგა და ყველა გაჩუმდა.

— რა დავაშავე, რისთვის უნდა წამიყვანონ?

— მე შენ გალაპარაკებ! წაიყვანეთ!

პოლიციელები მისცვივდნენ მამაჩემს და ხელი გამოსდეს. მამაც მხარი გაჰკრა—ისინი განზე გახტნენ და ერთმა პოლიციელმა ხმალი იშიშვლა.

— თქვენო კეთილშობილებავ, ასე როგორ იქნება,—უთხრა მამაჩემმა,—რატომ მიგყევართ? ვილაცა ვიგინდარა ხომ არა გგონივართ, მე ყველა მიცნობს.

— არა, ძმობილო, ჯერ არ გიცნობენ,—უპასუხა ბოქაულმა.—შენ ავაზაკი ხარ. წაიყვანეთ!

პოლიციელები ხელახლა მისცვივდნენ მამაჩემს.

— შე სულელო, რას იქნევ ამ ქაშაყს?—ჩუმად, კრიჭაშეკრულმა უთხრა მამამ ერთ-ერთს, რომელმაც მაშინ ხმალი იშიშვლა და ახლა კი მხარზე გაედო.—თქვენო კეთილშობილებავ, ოჯახის პატრონი ვარ, ოცდახუთი წელიწადია ამ ნავმისადგომში ვმუშაობ, რა დავაშავე? ყველას გააგებინეთ, დე ყველამ იცოდეს, რისთვის მიგყევართ. თორემ ხალხი იფიქრებს, მართლა ავაზაკი ყოფილაო.

— აბა, თავს ნუ იკატუნებ, წმინდანს დამიხედეთ!—დაუყვირა ბოქაულმა.—მე თქვენ არ გიცნობთ! წაიყვანეთ!

პოლიციელები თითქოს აყოვნებდნენ.

— აბა რაღას უყურებთ!

— მოითმინეთ. თქვენო კეთილშობილებავ, მე თვითონ წამოვალ,—უთხრა მამაჩემმა,—სანია...—იგი ჩემკენ დაიხარა,—სანია, დედაშენთან გაიქეცი, უთხარი... ეხ, მაგრამ შენ ხომ...

უნდოდა ეთქვა, შენ ხომ მუნჯი ხარო, მაგრამ თავი შეიკავა, არასოდეს არ ამბობდა ამ სიტყვას, თითქოს იმედი

ჰქონდა, რომ ოდესმე ისევ ამოვიდგამდი ენას. ის გაჩუმდა და მიიხედ-მოიხედა.

— მე გავყევები, ივანე,—უთხრა მამასახლისმა.—ძაგაზე ნუ სწუხარ.

— გაჰყევი, ბიძია მიშა, და აი ესეც...—მამამ სამმანეთიანი ამოიღო და მამასახლისს მისცა.—ჩემს ცოლს გადაეცი. აბა, მშვიდობით!

ყველამ ერთხმად უპასუხა მას.

მე თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— ნუ ტირი, სანია.

მე არც კი შემინიშნავს, რომ ვტიროდი.

ახლაც მზარავს იმის მოგონება, რა დაემართა დედაჩემს, როცა მამაჩემის დაპატიმრების ამბავი გაიგო. ტირილი არ დაუწყია, მაგრამ სამაგიეროდ, წავიდა თუ არა „ბიძია." კრიჭაშეკრული ლოგინზე დაჯდა და კედელს თავი მაგრად მიახალა. მე დაჩემმა დამ ტირილი მოვრთეთ, მას არც კი მოუხედია ჩვენსკენ. რაღაცას ბუტბუტებდა და კედელს თავს ახლიდა. მერე წამოდგა, შალი წამოისხა და წავიდა.

მთელი დღე დეიდა დაშამ იფუსფუსა ჩვენთან. ჩვენ გვეძინა. ესე იგი ჩემ დას ეძინა, მე კი თვალებგახელილი ვიწექი და ვფიქრობდი ჯერ მამაჩემზე, როგორ ემშვიდობებოდა ყველას, შემდეგ მსუქან ბოქაულზე, მერე მეზღვაურის ტანსაცმელში ჩაცმულ მისპატარა ბიჭზე, რომელიც გუბერნატორის ბაღში ვნახე. შემდეგ სამთვლიან ველოსიპედზე, რომლითაც ის ბიჭი სეირნობდა,—ერთი იმისთანა ველოსიპედი მომცა-მეთქი!—და ბოლოს აღარაფერზე. დედაჩემი დაბრუნდა, გამხდარი და ჩაშაეებული შემოვიდა, დეიდა დაშა მიეგება მას...

არ ვიცი რატომ, მაგრამ უცბად წარმომიდგა, რომ მამაჩემი პოლიციელებმა აჰკუწეს, და რამდენიმე წუთი გაუნძრევლად ვიწექი, მწუხარებისაგან გონდაკარგულს თავი არ მახსოვდა და არც ერთი სიტყვა არ მეყურებოდა. მერე გავიგე, რომ ცოცხალია, მაგრამ დედას არ უშვებენ მასთან! მკვლელობისათვის არის დაპატიმრებული—ღამე პონტონის ხიდზე დარაჯი მოუკლავთო, სამჯერ გაიმეორა დედამ, ვიდრე მივხვდებოდი, რომ ღამე—ეს წუხანდელი ღამეა, რომ დარაჯი, ეს სწორედ ის დარაჯია; რომ პონტონის ხიდი სწორედ ის პონტონის ხიდია, რომელზედაც ხელებგაჭიმული დარაჯი ეგდო. მე წამოვხტი, დედას მივვარდი და დავიყვირე. მან ხელი მომხვია: ეტყობა, ეგონა, რომ შემეშინდა. მაგრამ მე უკვე ელაპარაკობდი...

ეჰ, მაშინ რომ ლაპარაკი ემძლებოდა!

მინდოდა ყველაფერი მეამბნა, ყველაფერი: ისიც, როგორ ვავიპარე „პესჩინკაზე“ კიბოების დასაჭერად, როგორ გამოჩნდა გალავნის ნანგრევებში შავი კაცი პატარა ჯოხით ხელში, როგორ ილანძღებოდა, კბილებს აკრაჭუნებდა, შემდეგ ცეცხლში ჩააფურთხა და წავიდა,— მეტისმეტი ძნელი ამოცანა იყო რვა წლის ბიჭისთვის, რომელსაც ძლივს შეეძლო ორი-სამი სიტყვის თქმა და ისიც ვაურკვეველად.

— ბავშვებიც დაწიოკდნენ,—ამოიოხრა დეიდა დაშამ, როცა მე გავჩუმდი, რაკი მეგონა, რომ ახლა უკვე ყველაფერი გავაგებინე, და დედას შევხედე.

— არა, ამას რაღაცის თქმა უნდა. იცი რამე, სანია?

ეჰ, მე რომ მაშინ ლაპარაკი შემძლებოდა! ისევ თავიდან დავიწყე, ბელებიც მოვიშველიე... დედა ყველაზე კარგად მიგებდა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ვხედავდი, რომ ამჯერად იმასაც არც ერთი ჩემი სიტყვა არ ესმოდა. რა თქმა უნდა! როგორ არა, ჰგავდა ეს სცენა პონტონის ხიდზე მომხდარ ამბავს, რის გამოხატვასაც ცდილობდა გამხდარი შავი ბიჭი, რომელიც პერანგისამარა ოთახში აქეთ-იქით აწყდებოდა, ხან საწოლს მივარდებოდა, რომ ეჩვენებინა, როგორ მაგრად ეძინა მამას იმ ღამეს, ხან სკამზე შეხტებოდა და მაგრად შეკუმშულ მუშტებს გაოგნებულ დეიდა დაშას წინ აქნევდა.

ბოლოს დეიდა დაშამ პირჯვარი გადამწერა.

— ბიჭებმა სცემეს.

მე თავი გავიქნიე.

— იმას გვიამბობს, მამა როგორ დააპატიმრეს,— თქვა დედამ,— პოლიციელმა როგორ მოუღერა ხელი, არა, სანია?

დედას კალთაში ჩავუდე თავი და ტირილი დავიწყე. მან ლოგინში ჩამაწვინა, დიდხანს არ დამძინებია და ყურს ვუგდებდი დედაჩემისა და დეიდა დაშას ლაპარაკს, თან ვფიქრობდი, როგორ გადამეცა მათთვის ჩემი არაჩვეულებრივი საიდუმლო.

თავი მესამე

ჩ ა ლ ი ჩ ი

ბოლოს და ბოლოს მაინც მოვახერხებდი ამას, დილით დედა რომ ავად არ გამხდარიყო. იგი ყოველთვის უცნაური იყო, მაგრამ ასეთი უცნაური ჯერ არ მენახა.

წინათ, როცა უეცრად საათობით გაშტერდებოდა ფანჯარასთან, ან ღამე წამოხტებოდა და დილამდე მაგიდასთან იჯდა, მამაჩემს რამდენიმე დღით სოფელში მიჰყავდა ხოლმე, საიდანაც გაჯანსაღებული ბრუნდებოდა. ახლა მამა არ იყო, ან უშველიდა კი ახლა სოფელში წასვლა!

უთავშლოდ, ფეხშიშველა დერეფანში იდგა და არც კი მოიხედავდა ხოლმე, როცა სახლში ვინმე შემოვიდოდა. ერთთავად სდუმდა, მხოლოდ ათასში ერთხელ არეულად ორ-სამ სიტყვას თუ იტყოდა.

თითქოს ჩემი ეშინოდა, როცა მე „ლაპარაკს“ ვიწყებდი, ავადმყოფური გამომეტყველებით ყურებში თითებს იცობდა, თვალებზე და შუბლზე ხელს ისვამდა, თითქოს ცდილობდა, რაღაც გაეხსენებინა. მისი შემყურე დეიდა დაშაც კი ჩუმ-ჩუმად პირჯვარს იწერდა, როდესაც მის მუდარაზე დედა მობრუნდებოდა და თავისი შავი, საზარელი თვალებით უსიტყვოდ, წარბებქვემოდან გამოხედავდა ხოლმე...

ალბათ ორმა კვირამ გაიარა, ვიდრე გონს მოვიდოდა, ჯერ კიდევ აწუხებდა დაბნეულობა, მაგრამ ნელ-ნელა დაიწყო ლაპარაკი, ეზოდან გასვლა და მუშაობა. ახლა უფრო ხშირად იმეორებდა სიტყვას „ვიჩალიჩოთ“. პირველად ეს სიტყვა მოხუცმა სკოვოროდნიკოვმა თქვა, მას დეიდა დაშა მიჰყვა, მერე კი მთელი ეზო. უნდა ვიჩალიჩოთ!

იმ დღეს დედამ მე და ჩემი და თან წაგვიყვანა. ჩვენ სათათბიროში მივდიოდით და თხოვნა მიგვქონდა. ეს იყო რკინის ღობეშემოვლებული ბნელი შენობა ბაზრის მოედნის უკან.

რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა, მენახა, როგორ მიდიოდნენ დილაობით მოხელეები სათათბიროში. არ ვიცი, საიდან შემექმნა ასეთი უცნაური წარმოდგენა, მაგრამ მე მტკიცედ მწამდა, რომ ისინი იქ რჩებოდნენ, მეორე დილით კი სათათბიროში უკვე ახალი მოხელეები მიდიოდნენ, მესამე დღეს კიდევ ახალი და ასე ყოველდღე.

დიდხანს ვისხედით მე და ჩემი და რკინის სკამზე ნახევრად ჩაბნელებულ მაღალ ფერიან დერეფანში. დარაჯები დარბოდნენ ქაღალდებით ხელში, ისმოდა კარების ჯახა-ჯუხი. მერე დედა დაბრუნდა, ჩემ დას ხელი ჩაავლო და გავიქეცით. ოთახი, რომელშიც შევედით, ბარიერით იყო გადაყოფილი. ჩე ვერა ვხედავდი, ვის ელაპარაკებოდა და დამცირებულად თავს დაბლა ვის უკრავდა დედა-

ჩემი, მაგრამ გავიგონე მშრალი, ცივი ხმა და ეს ხმა, ჩემდა საუბედუროდ, ამბობდა იმას, რაზეც მხოლოდ მე შემეძლო გამეცა საფუძვლიანი პასუხი.

— გრიგორიევი ივანე...— მოისმა ფურცლების შრიალი.— მუხლი 1454 სამართლის წიგნისა დასჯის შესახებ. წინასწარ განზრახული მკვლელობა, რაღა გინდა, ჩემო კარგო?

— თქვენო კეთილშობილებავ,—ჩემთვის უცნობი, დაძაბული ხმით უთხრა დედამ,—იგი დამნაშავე არ არის, მას თავის სიცოცხლეში არავინ მოუკლავს.

— სასამართლო გაარჩევს.

მე უკვე დიდი ხანია ფეხის წვერებზე ვიდექი და კისერი ისე წავიგრძელე, რომ წაწყვეტაზე მქონდა, მაგრამ ბარიერის ზემოდან მხოლოდ ხელსა ვხედავდი. გრძელ, გამხმარ თითებში ნელ-ნელა ქანაობდა სათვალე.

— თქვენო კეთილშობილებავ,—კვლავ უთხრა დედამ,—მინდა თხოვნა მივართვა სასამართლოს. მთელმა ეზომ მოაწერა ხელი.

— თხოვნა შეგიძლია შემოიტანო, მხოლოდ ზედ მანეთიანი საღერბო მარკა უნდა დააკრა.

— უკვე დავაკარი. თქვენო კეთილშობილებავ, ეს იმისი დანა როდი უპოვიათ.

დანა? ეე მეგონა, რომ მომესმა.

— ამაზე ბრალდებულის საკუთარი ჩვენება არის.

— შესაძლებელია, ერთი კვირის დაკარგულიცა ჰქონდა...

დაბლიდან ვხედავდი, როგორ აუთრთოლდა დედაჩემს ტუჩები.

— მერე გეპოვათ, ჩემო კარგო! თუმცა სასამართლო გაარჩევს.

მეტი აღარაფერი გამიგონია: ამ წუთში გავიგე, თუ რისთვის დააპატიმრეს მამაჩემი. იმან კი არა, მე დავკარგე ის დანა—ძველი, ხისტარიანი, მონტიორის დანა! დანა, რომელსაც ვეძებდი დილით მკვლელობის შემდეგ! დანა, რომელიც შეიძლება ჯიბიდან გადმომივარდა, როცა დარაჯისაკენ დავიხარე, პონტონის ხიდზე. დანა, რომელზეც პეტკა სკოვოროდნიკოვმა გამადიდებელი შუშით ჩემი გვარი ამოსწვა.

ახლა, როდესაც ამას ვიგონებ, ვფიქრობ, რომ ჩემ ნაამბობს მაინც არ დაიჯერებდნენ მოხელეები, რომლებიც ენსკის სათათბიროში ისხდნენ მაღალი ბარიერის უკან, ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში. მაგრამ მაშინ, რაც უფრო მეტსა ვფიქრობდი, მით უფრო მიმძიმდებოდა გული. მაშ ჩემი ბრალია მამაჩემის დაპატიმრე-

ბა. ჩემი ბრალია, რომ ვშიმშილობთ. ჩემი მიზეზით გაიყიდა ახალი დრაპის პალტო, რომლის ფულსაც ერთი წელიწადი აგროვებდა დედაჩემი. ჩემს გამო უნდა იაროს სათათბიროში და ჩემთვის უცხო ხმით უნდა ილაპარაკოს, ასე დამცირებულად უნდა უკრას თავი იმ უჩინარ ადამიანს, რომელიც თავისი გრძელი, საშინელი, გამხმარი თითებით ნელა აქანავებს სათვალეს...

ჯერ არასოდეს არ მიგრძვნია ასეთი სიძლიერით ჩემი სიმუნჯე.

თავი მეოთხე

ს ო ფ ე ლ ი

უკანასკნელმა ტივებმაც ჩაიარეს მდინარეზე და ღამღამობით, როცა გამეღვიძებოდა ხოლმე, პატარა, ნელა მოძრავ სახლებიდან უკვე აღარ მოჩანდა სინათლეები. სიცარიელე იყო მდინარეზე, სიცარიელე იყო ეზოში, სიცარიელე იყო სახლში.

დედა საავადმყოფოში რეცხავდა. დილიდან მიდიოდა, როცა ჩვენ ჯერ ისევ გვეძინა. მერე მე სკოვოროდნიკოვებისაკენ გავწევდი ხოლმე და ყურს ვუგდებდი მოხუცის ლანძღვა-გინებას.

სათვალიანი, ჭაღარა, გაბურძგნილი მოხუცი პაწაწინა, გაჭვარტლულ სამზარეულოში დაბალ ტყავის სკამზე იჯდა და ჩექმებსა ჰკერავდა. ხან ჩექმებსა ჰკერავდა, ხან ბადესა ჰქსოვდა, ან ვერხვისაგან ფრინველებს და ცხენებსა სთლიდა გასაყიდად. ეს ხელობა—მას „ჩხირკედელაობა“ ერქვა—სკოვოროდნიკოვს ვოლგიდან მოჰყვა, სადაურიც თვითონ იყო.

მე ვუყვარდი—ალბათ იმიტომ რომ მე ვიყავი მისი ერთადერთი მოსაუბრე, ვისგანაც თავისდღეში არავითარი შეპასუხება არ გაუგონია. იგი ლანძღავდა ექიმებს, მოხელეებს, ვაჭრებს, მაგრამ განსაკუთრებული გაბოროტებით მღვდლებსა ლანძღავდა.

— ადამიანი კვდება, მაგრამ უფლება აქვს, რომ ამის გამო ღმერთზე აღშფოთება გამოთქვას. მღვდლები ამბობენ, არაო. მე ვამბობ, რომ კი. რა არის აღშფოთება?

მე არ ვიცოდი, რა იყო აღშფოთება.

— აღშფოთება არის უკმაყოფილება. უკმაყოფილება რაღა არის? გქონდეს სურვილი უფრო მეტისა, ვიდრე შენთვის არის წინასწარ განკუთვნილი. მღვდლები ამბობენ,—არ შეიძლებაო. რატომ?

მე არ ვიცოდი, რატომ.

— იმიტომ, რომ „მიწა ხარ და მიწად იქცევი“.

იგი მწარედ იცინოდა.

— მიწას რაღა უნდა? არა უმეტეს იმისა, რაც მისთვის არის განკუთვნილი.

მთელი დღეები იმასთან ვიჯექი. ყველაფერი მომწონდა— მისი ქარაგმული ლაპარაკიც, ისიც, რომ რაღაც საშინელი ჩაეთანგული ხრჭიალით იცინოდა, და მე უნებლიეთ გაშტერებული თვალს ვერ ვაშორებდი.

უკვე შემოდგომა იყო. კიბოები, რომლებიც ბოლო დროს დიდად შველოდნენ ჩვენს გაჭირვებას, ხვრელებში შეიყუჟნენ და ბაყაყებით ველარ ვიტყუებდი.

ჩვენ ვშიმშილობდით და ბოლოს დედამ გადაწყვიტა, მეცა და ჩემი დაც სოფელში წავეყვანეთ.

კარგად არ მახსოვს, როგორ ვიმგზავრეთ, და სწორედ იმ უცნაური გაშტერების გამო, რომლის შესახებაც ეს არის ვთქვი. ბავშვობაში ხშირად ცქერად ან სმენად გადავიქცეოდი ხოლმე და მაინც ბევრი რამ არ მესმოდა. სულ უბრალო რამესაც განცვიფრებაში მოვყავდი. პირდაღებული ვაკვირდებოდი ჩემს წინ გადაშლილ ქვეყანას...

ახლა თვალი ვერ მოვაშორე ბიჭს, რომელიც გემზე ბილეთებს სინჯავდა. ორი კვირის წინ იმას მინკას ეძახდნენ. პეტკა სკოვოროდნიკოვთან თამაშობდა ჩვენს ეზოში. ცხადია, ვერ მიცნო. მეზღვაურისღილებიანი ლურჯი ქურთუკი ეცვა, თავზე კეპი ეხურა, რომელზედაც „ნეპტუნი“ იყო ამოქარგული—ასე ერქვა გემს. იდგა კიბეზე და გულგრილად ათვალიერებდა მგზავრებს. სხვა აღარაფერი მიზიდავდა: არც იდუმალებით მოცული კაპიტანი, რომელიც ამავე დროს მესაჭეც იყო და რომლის წვერიანი სახე საჭის ზემოთ მოთავსებული ბუდრუგანიდან მოჩანდა, არც მანქანის მრისხანე ქშენა. მინკამ განმაცვიფრა და მთელი გზა თვალი არ მომიშორებია მისთვის. „ნეპტუნი“ საუცხოო გემი იყო, რომლით გასეირნებასაც ვოცნებობდი. რამდენჯერ გვილოდნია მისთვის ბანაობის დროს, რომ გემბანიდან გავქანებულიყავით ტალღებში გადასაშვებად. ახლა ყველაფერი გაქრა, მოჯადოებულივით ვუყურებდი მინკას, ვიდრე არ დაბინდდა, ვიდრე წვერიანმა კაპიტანმა-მესაჭემ ყრუდ არა თქვა მილში—„შეჩერდი, უკან სვლით!“ კიჩოს ქვეშ წყალი აბუყბუყდა და მეზღვაურმა მარჯვედ დაიჭირა ქიმიდან გადაგდებული ბაგირი.

ჩემს სიცოცხლეში არა ვყოფილიყავი სოფელში, მაგრამ ვიცოდი, რომ იქ მამაჩემს სახლი და კარმიდამო ჰქონდა. კარმიდამო! როგორ გამიტყდა გული, როცა გავიგე, რომ ამ სიტყვაში იგულისხმებოდა პატარა ბალახმოდებული ბოსტანი, რომლის შუაგულში რამდენიმე ბებერი ვაშლის ხე იდგა!

მამა თვრამეტი წლისა იყო, ეს მემკვიდრეობა რომ, მიიღო, მაგრამ სოფელში ცხოვრება არ ინდომა და მას შემდეგ სახლი გამოკეტილი დარჩა. ერთი სიტყვით, სახლი მამისეული იყო და მე მეგონა, რომ ის მამაჩემს უნდა ჰგვანებოდა—იმასავით ვეებერთელა და შნოიანი უნდა ყოფილიყო. როგორ მოვტყუვდი!

ეს იყო პატარა სახლი, რომელიც ოდესღაც გადაზნექილიყო და მას შემდეგ ასე დარჩენილიყო. სახურავი მობრეცილი ჰქონდა, ფანჯრები—ჩამტვრეული; ქვედა ჩარჩოები მოღუნულიყვნენ, რუსული ღუმელი შესახედავად კარგი იყო, ვიდრე აანთებდით. კედლის გასწვრივ შებოლილი სკამები ეწყო. ერთ კუთხეში ხატი ეკიდა, რომლის შებოლილ ფიცრებზე ძლივს გაარჩევდით საბეს. მაგრამ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ჩვენი სახლი იყო. ბოხჩები დავხსენით, ლეიბის პირებში თივა ჩავყარეთ, მინები ჩავსვით და ცხოვრება დავიწყეთ.

დედამ ჩვენთან მხოლოდ სამიოდე კვირა გაატარა და შემდეგ ქალაქში დაბრუნდა. ჩვენი პატრონობა თავს იდო დიდედა პეტროვნამ, რომელიც მამაჩემს ძალუად მოხვდებოდა. კეთილი მოხუცი იყო, თუმცა მისი ჭაღარა წვერ-ულვაში ძალიან გვეჩოთირებოდა. მთელი უბედურება ის იყო, რომ იგი თვითონ საჭიროებდა მოვლას და, მართლაც, მე და ჩემი და მთელი ზამთარი ვუვლიდით,—წყალი მოგვქონდა, ღუმელს ვუნთებდით, ღვთის მადლით მისი ქოხი, ჩვენს ქოხზე ცოტა უკეთესი, ჩვენგან ახლო იყო.

მე და ჩემი და იმ ზამთარს შევეჩვიეთ ერთმანეთს. იგი მერვე წელიწადში იყო. ჩვენს ოჯახში ყველანი შავგვრემანები ვიყავით, ის კი —თეთრი, ხუჭუჭნაწნავებიანი და ცისფერთვალა. ჩვენ ყველანი უენოები ვიყავით, განსაკუთრებით დედა, ის კი, გაახელდა თუ არა თვალს, ლაპარაკს იწყებდა. არ მახსოვს, ოდესმე ეტიროს, მისი გაცინება კი ძნელი არ იყო. მეც სანია მერქვა და იმასაც: მე—ალექსანდრე, იმას—ალექსანდრა. დეიდა დაშამ სიმღერა ასწავლა და ყოველ საღამოს ძალიან გრძელ სიმღერებს გაბამდა ხოლმე ისეთი სერიოზული და ისეთი წრიპინა ხმით, რომ სიცილს ვერ ვიკავებდი.

მერე როგორ ყოჩაღად დიასახლისობდა ეს შვიდი წლის ბავშვი! თუმცა, უნდა ითქვას, რომ სადიასახლისო ბევრი არაფერი გაგვაჩნდა: სხვენის ერთ კუთხეში კარტოფილი გვეყარა, მეორეში— ჭარხალი, კომბოსტო, ხახვი და მარილი. პური პეტროვნასაგან მოგვქონდა.

ასე ვცხოვრობდით ორი ბავშვი ცარიელ ქოხში, თოვლით დაფარულ მიყრუებულ სოფელში. ყოველ დილით ბილიკსა ვკვალავდით პეტროვნასაკენ. გვეშინოდა მხოლოდ საღამოობით, როცა ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა, რომ მგონი თოვლის ფიფქის დაცემაც კი ისმოდა, და ასეთ სიჩუმეში უეცრად ქარი დაიღმუვლებდა ხოლმე ღუმელში.

თავი მეხუთე

ექიმი ივან ივანიჩი. ლაპარაკსა ვსწავლობ

ერთხელ, როცა ის იყო დავწექით და ჩემი დაც გაჩუმდა (უკანასკნელი სიტყვის თქმა და იმისი დაძინება ერთი იყო), როცა სევდისმომგვრელი სიჩუმე ჩამოწვა და ბუხარში ქარი აღმუვლდა, გავიგონე, რომ ფანჯარაზე ვილაც აკაკუნებს.

ეს იყო წვერიანი მაღალი კაცი, მოკლე ტყაპუჭი ეცვა და თბილი ქუდი ეხურა. ისე გათოშილიყო, რომ კარის მიხურვაც ვერ მოახერხა, როცა ლამპა ავანთე და სახლში შემოვუშვი. ხელით შუქი მოვიჩრდილე და დავინახე, რომ ცხვირი მთლად გასთეთრებოდა, ზურგზე მოკიდებული ტომრის მოხსნა მოინდომა, მოიხარა და უეცრად იატაკზე დაჯდა.

ასეთი წარმოსდგა პირველად ჩემს წინაშე ის ადამიანი, რომლის წყალობითაც ვწერ მე ამ ამბავს,—თითქმის სასიკვდილოდ გაყინული, შეიძლება ითქვას, ფეხზე ძლივს იდგა. მერე იატაკზე დაჯდა და ცდილობდა აკანკალებული თითები პირში ჩაეწყო, ღრმად სუნთქავდა, ტყაპუჭის გახდა დავუწყე, მან რაღაც წაიბუტბუტა და გულშეწუხებული გვერდზე გადავარდა.

ერთხელ დედაჩემს გული შეუწუხდა და დეიდა დაშა პირში სულს უბერავდა. მეც ასე მოვიქეცი ახლა. ჩემი სტუმარი თბილ ღუმელთან იწვა და გამოურკვეველია, ბოლოს რამ უშველა. თუმცა ისე თავგამეტებით ვუბერავდი, რომ მე თვითონ დამეხვა თავბრუ. ასე იყო თუ ისე, მოსულიერდა და გასათბობად ღუმელს

შიუჯდა. ცხვირი გაუთბა. გაღიმებაც კი სცადა, როცა ერთი ტოლჩა ცხელი წყალი დავუსხი.

— თქვენ აქ მარტონი ხართ, ბავშვებო?

სანიამ ვერც კი მოასწრო თქმა „მარტონი“-ო, რომ მას უკვე ეძინა. ისე უცებ ჩაეძინა, რომ შემეშინდა, ხომ არ მოკვდა-მეთქი. მაგრამ თითქოს პასუხად, ხვრინვა ამოუშვა.

მხოლოდ მეორე დღეს მოვიდა გონს. რომ გამეღვიძა, ჩემი დის გვერდით იჯდა და საუბრობდნენ. ჩემ დას უკვე გაეგო, რომ ივან ივანიჩი ერქვა, რომ გზა დაებნა და რომ ჩვენ არავის არ უნდა ვუთხრათ ეს, თორემ „ცუჰუნდერზე წაიყვანენ“. უნდა გამოგიტყდეთ, დღემდე არ ვიცი ამ გამოთქმის ნამდვილი მნიშვნელობა, მაგრამ მახსოვს, მე და ჩემი და მაშინვე მივხვდით, რომ ჩვენ სტუმარს რაღაც საშიშროება მოელის და ერთმანეთთან პოულაპარაკებლად გადავწყვიტეთ, არაფრის გულისათვის არავისთან კრინტი არ დაგვეძრა იმის შესახებ. გაჩუმება, რა თქმა უნდა, ჩემთვის უფრო ადვილი იყო, ვიდრე სანიასათვის.

ივან ივანიჩი საწოლზე იჯდა და სანიას ტიტინს ისმენდა. სანიას უკვე ყველაფერი ჩაეკენჭა: მამა ციხეში წაიყვანეს, თხოვნა შეევიტანეთ, აქ დედამ ჩამოგვიყვანა და თვითონ ქალაქში დაბრუნდა, რომ მე მუნჯი ვარ, დიდედა პეტროვნა ჯის იქით მეორე სახლში ცხოვრობს და იმასაც წვერი აქვს, ოღონდ უფრო პატარა და ჭაღარა.

— ოჰ, ჩემო კარგებო!—შესძახა ივან ივანიჩმა და ღუმელიდან მსუბუქად გადმოხტა.

ჯრელი თვალები და შავი წვერი ჰქონდა. ჯერ უცნაურად შეჩვენა, რომ ასე უთავბოლოდ აქნევდა ხელებს, გეგონებოდათ, საცაა ან ყურზე მოიკიდებს ხელს, ან ფეხისგულს მოიფხანსო, მაგრამ მალე მივეჩვიე. ლაპარაკის დროს უეცრად რაიმე ნივთს სტაცებდა ხელს და ჰაერში ათამაშებდა, ეონგლიორივით ხელზე აჩერებდა.

პირველსავე დღეს მრავალი საინტერესო გასართობი გვაჩვენა. ასანთის, ხის ქერქისა და ერთი თავი ხახვისაგან რაღაც სასაცილო, კატის მსგავსი მხეცი გააკეთა, პურის გულისაგან კი—თაგვი. კატა იჭერდა თაგვს და ნამდვილ კატასავით კრუტუნებდა. ათასნაირ თვალთმაქცობას გვაჩვენებდა: საათსა ჰყლაპავდა და მერე სასელოდან იღებდა. იმანვე გვასწავლა ჯოხზე წამოცმული კარტოფილის შეწვა,—ერთი სიტყვით, იმ დღეებში, რომელიც ჩვენთან გაატარა, მე და ჩემ დას არ მოგვწყენია.

— ბავშვებო, მე ექიმი ვარ,—გვითხრა ერთხელ,—მითხარით, ვის რა გტკივათ? ხელათ მოგარჩენთ.

ჩვენ ჯანმრთელები ვიყავით, ხოლო მამასახლისთან, რომელსაც ქალი გაუხდა ავად, რატომღაც არ მოისურვა წასვლა.

ასეთი პოზიციის
შიში მაქვს მე დიდი,
მეშინია, გამცემს ბერი,
მოღალატე, ფლიდი. .

თქვა და გაიცინა.

ლექსები პირველად მისგან მოვისმინე. ხშირად ლაპარაკობდა ლექსებით, მღეროდა კიდეც, ან ბუტბუტებდა, როცა ცეცხლთან წარბებაჭიმული, თათრულად მოკეცილი იჯდა ხოლმე.

ჯერ თითქოს უხაროდა, რომ მე არ შემეძლო რაიმე მეკითხა მისთვის,—განსაკუთრებით, როცა ღამღამობით ყოველ ფეხის ხმაზე გაელვიძებოდა და დიდხანს იწვა ასე, იდაყვებზე დაყრდნობილი და სმენადქცეული, ან როდესაც სხვენზე იმალებოდა დაბინდებამდე,—ასე გაატარა ერთი დღე, მგონი, ეგორის უქმე,—ან, როცა პეტროვნას გაცნობაზე თქვა უარი.

მაგრამ გაიარა ორმა-სამმა დღემ და იგი დაინტერესდა ჩემი სიმუნჯით.

— რატომ არა ლაპარაკობ? არ გინდა?

მე გაჩუმებული ვუყურებდი.

— არა, უთუოდ უნდა ილაპარაკო. რაკი სმენა გაქვს, უნდა ილაპარაკო კიდეც. ეს, ძმაო, იშვიათად მოხდება, ყველაფერი გეყურებოდეს და მუნჯი კი იყო. იქნებ ყრუ-მუნჯი ხარ?

მე თავი გავიქნიე.

— მაშ, ილაპარაკებ.

ზურგჩანთიდან რაღაცა იარაღები ამოალაგა, შეწუხდა, კარგი სინათლე არ არისო, თუმცა მზიანი, კაშკაშა დღე იყო, და ყურში ჩამიძვრა.

— ყური ვულგარის, — სიამოვნებით გამოაცხადა, — ყური ჯანსაღია.

კუთხეში მიდგა და ჩურჩულით თქვა: „სულელი“.

— გაიგონე?

მე გამეცინა.

— კარგად გეყურება, ძაღლივით.—თვალი ჩაუკრა სანიას, რომელიც პირდაღებული გვიყურებდა,—მშვენივრად გესმის. მაშ რატომ არა ლაპარაკობ, ჩემო კარგო?

ენაზე ორი თითი მომკიდა და ისე გამომწია, რომ შიშით ხრიალი დავიწყე.

— შენ, ძმაო, ისეთი ყელი გაქვს! ნამდვილი შალიაპინი ხარ! ბაშა!

ერთ წუთს ასე მიყურებდა.

— უნდა ისწავლო, ჩემო კარგო,—სერიოზულად მითხრა.— შენთვის ხომ მაინც შეგიძლია თქვა რამე? გონებაში.

მან შუბლზე მომიკაკუნა.

— თავში, ვერ გაიგე?

მე დავიზმუვლე, დიახ-მეთქი.

— ხმამაღლა? რის თქმაც კი შეგიძლია, ყველაფერი ხმამაღლა სთქვი. აბა, სთქვი „დიახ“.

მე თითქმის არაფრის თქმა არ შემეძლო, მაგრამ მაინც ვთქვი:

— დიახ.

— მშვენიერია! ერთხელ კიდევ.

კიდევ გავიმეორე.

— ახლა დაუსტვინე.

მე დავუსტვინე.

— ახლა თქვი „უ“.

ვთქვი „უ“.

— ზარმაცი ყოფილხარ და სხვა არაფერი! აბა რასაც ვიტყვი, გაიმეორე...

არ იცოდა, რომ მე გონებაში ყველაფერს ვამბობდი: ალბათ სწორედ ამიტომ დამამახსოვრდა ასე მკაფიოდ ბავშვობის წლები. მაგრამ ჩემი მუნჯური ლაპარაკი ჯერ შორს იყო ყველა იმ „ე“, „უ“, „ი“—ებიდან, ტუჩების, ენისა და ყელის ჩემთვის უცნობი მოძრაობიდან, რომელშიაც უმარტივესი სიტყვებიც კი იჩხირებოდა. მე ცალკე ბგერების, უმთავრესად ხმოვნების, გამეორებას ვახერხებდი, მაგრამ მათი შეერთება და მათი დაწყობილად გამოთქმა, როგორც ის მოითხოვდა, და არა „ყეფა“,—აი, ეს იყო ამოცანა!

მხოლოდ სამი სიტყვის თქმა მოვახერხე უცბად, „ყური“, „დედა“, და „ქურა“, თითქოს ოდესღაც ვიცოდი ეს სიტყვები და ახლა მხოლოდ გახსენება იყო საჭირო. ეს ასეც იყო: დედამ მითხრა, რომ ორი წლისამ ენა ამოვიდგი თურმე და უეცრად რაღაც აეადმყოფობის შემდეგ ენა ჩამივარდა.

ჩემ მასწავლებელს იატაკზე ეძინა, ტყაპუჭი ეხურა, თივის ლეი-

ბის ქვეშ რაღაც ლითონის ნივთი ამოედო, მე კი შამფურივით ვტრიალებდი, წყალსა ვსვამდი, ლოგინზე ვჯდებოდი, ვუყურებდი სარკმელს, რომელზეც ორთქლი ნაყშებად შეყინულიყო. ვფიქრობდი იმაზე, შინ როგორ დავბრუნდები, როგორ დაველაპარაკები დედას, დეიდა დაშას. გამახსენდა ის წუთები, როცა მივხვდი, რომ ლაპარაკი არ ვიცი, არ შემიძლია, მუნჯი ვარ. ეს საღამოთი მოხდა, დედას ეგონა მეძინა და ფერმკრთალი, მკერდზე გადმოყრილი შავი ნაწნავებით] დიდხანს მიყურებდა. მაშინ პირველად მომივიდა თავში მწარე ფიქრი, რომელმაც ჩემი ცხოვრების პირველი წლები მოწამლა: „ყველაზე ცუდი ვარ და დედას ვეთაკილები“...

მთელი ღამე ე, უ, ი-ს ვიმეორებდი და ბედნიერებისაგან დილამდის არ დამძინებია. უკვე მოდღეებულიყო, სანიამ რომ გამაღვიძა.

— მე დიდედასთანაც გადავირბინე, შენ კი ისევა გძინავს,— მითხრა სწრაფად,—დიდედას კნუტი დაეკარგა, კნუტი მურკას ქვაბში ჩაუსვამს. ივან ივანიჩი სადღაა?

ლეიბი იატაკზე იდო და ჯერ კიდევ ეტყობოდა ჩატკეპნილი ადგილები: თავი, მხრები, ფეხები. მაგრამ თვითონ ივან ივანიჩი არსად იყო. თავქვეშ ზურგჩანთას იდებდა ხოლმე—აღარც ჩანთა ჩანდა: ტყაპუჭს იხურავდა—აღარც ტყაპუჭი.

— ივან ივანიჩ!

სხვენში ავცვივდით, არც იქ იყო.

— გეფიცები, ეძინა, ვიდრე მე დიდედასთან გადავირბენდი, კარგად დავინახე—ეძინა. ვიფიქრე, მანამ გაიღვიძებდეს, დიდედასთან მივირბენ-მეთქი. ხედავ, სანკა!

მაგიდაზე შავი მილაკი იდო ბოლოებზე ორი მრგვალი ფირფიტით. ერთი ფირფიტა ბრტყელი და უფრო დიდი იყო, მეორე—პატარა და უფრო ღრმა. ჩვენ მოგვაგონდა, რომ ივან ივანიჩმა სხვა იარაღებთან ერთად ამოიღო ზურგჩანთიდან, როცა ყურებს მისინჯავდა.

თვითონ სადღაა? ივან ივანიჩი!

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. ბერინგისა და ბარენცის ზღვებზე დავფრინავდი, ესპანეთში ვიყავი. შევისწავლე სანაპიროები ლენისა და ენისეის შორის. არა ცრუმორწმუნოებით, არამედ მადლობის ნიშნად იმ ადამიანისადმი, ყველგან თან დამაქვს ის შავი მილაკი, რომელიც ჩვენთან დარჩა, ან იქნება სახსოვრად დაგვიტოვა? მალე გავიგე, რომ ეს იყო სტეტოსკოპი, ძალიან მარტივი იარაღი, რომლითაც ექიმები გულსა და სუნთქვას სინ-

ჯავენ. მაგრამ მაშინ იგი ისეთივე იდუმალებით მოცული და საყვარელი მეჩვენებოდა, როგორც თვითონ ივან ივანიჩი, როგორც ყველაფერი, რასაც ამბობდა და აკეთებდა.

— ივან ივანიჩ!

გაჰქრა, დაიკარგა, წავიდა ისე, რომ არავის უთხრა.

დაღონებული ეზოში გამოვედი და სახლს შემოვუარე. კვალი! მისი ფეხის კვალი, უკვე თოვლით ოდნავ წანამქრული, პირდაპირ მინდვრისაკენ მიდიოდა, მეორე მხარეს მიმავალი გზა კი განზე რჩებოდა. ნაფეხურები თანდათან პატარავდებოდა და გუბურასთან ჰქრებოდა ბილიკზე, რომლითაც დედაკაცები ყინულჭრილზე მიდიოდნენ ხოლმე სარეცხის გასავლებად.

თავი მეექვსე

მამაჩემის სიკვდილი. არ მინდა ვილაპარაკო

მთელი ზამთარი ლაპარაკს ვსწავლობდი. დილით ჯერ ხეირიანად არც კი ვიყავი გამოღვიძებული, რომ უკვე იმ ექვს სიტყვას ვამბობდი, რომელიც ივან ივანიჩმა ყოველდღე გასამეორებლად მიანდერძა: „ქათამი“, „უნაგირი“, „ყუთი“, „ქარბუქი“, „სვამენ“, „აბრამი“. რა ძნელი იყო ეს! და რა მშვენივრად, როგორ სულ სხვანაირად გამოთქვამდა ამ სიტყვებს ჩემი და!

მაგრამ კერპი ვიყავი და შელოცვასავით, რომელსაც ჩემთვის უნდა ეშველა, დღეში ათასჯერ ვიმეორებდი ამ სიტყვებს, სიზმარში ვხედავდი. წარმოდგენილი მყავდა ვიღაც იდუმალებით მოცული აბრამი, რომელიც ქათამს ყუთში სვამს, ან სახლიდან ქუდით გადის და მხრით უნაგირი მიაქვს. ქარბუქი, სვამენ!

ენა არ მემორჩილებოდა, ტუჩებს ძლივს ვამოძრავებდი. რამდენჯერ მინდოდა სანიასთვის მეცემა, რომელიც თავისდა უნებურად დამცინოდა. ღამღამობით დანაღვლიანებულს მეღვიძებოდა და ვგრძნობდი, რომ ვერასოდეს ლაპარაკს ვერ ვისწავლიდი, სამუდამოდ მახინჯი დავრჩებოდი, როგორც ერთხელ დედამ მიწოდა. იმავე წუთს შეეცდებოდი ხოლმე ეს სიტყვაც მეთქვა, „მახინჯი“. მახსოვს, როგორ ძლივძლივობით მოვახერხე და ბედნიერს ჩამეძინა.

ივან ივანიჩი მიშლიდა ლაპარაკის დროს ხელების ქნევას, რათა გადავჩვეოდი ყრუ-მუნჯთა ამ ჩვეულებას, რომელსაც საკმა-

ოდ მტკიცედ ჰქონდა გადგმული ფესვები ჩემში. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი თვალებით ვუჩვენებდი საგნებს—სარკმელს, ღუმელს, ვედროს—და ხმამაღლა ჩამარცვლით წარმოვთქვამდი ამ სიტყვას. რატომღაც მახვილების დასმას ვერ ვახერხებდი და დღემდისაც მიჭირს ეს...

ის დღე, რა დღესაც გაღვიძებისთანავე ეს სანუკვარი ექვსი სიტყვა არ მითქვამს, ჩემი ცხოვრების ყველაზე სევდიანი დღე იყო.

პეტროვნამ ადრე გაგვაღვიძა—ესეც საოცარი იყო, რადგან ის კი არ მოდიოდა ჩვენთან, ჩვენ თვითონ მივდიოდით ხოლმე იმასთან დილაობით. ღუმელს ვუნთებდით, ჩაიდანს ვუდგამდით. ჯოხის კაკუნით შემოვიდა და ხატის წინ შეჩერდა. დიდხანს რაღაცას ბუტბუტებდა და პირჯვარს იწერდა. მერე ჩემ დას დაუძახა და უთხრა, ლამპა აენთო...

მრავალი წლის შემდეგ უკვე მომწიფებულმა ვაჟკაცმა ერთ ხელ კუდიანი დედაკაცი ვნახე საბავშვო წიგნში. ეს იგივე პეტროვნა იყო - წვერიანი, მოკუზული, ყავარჯნით. მაგრამ პეტროვნა კეთილი კუდიანი იყო. იმ დღეს კი... იმ დღეს იგი გრძელ სკამზე იჯდა, მძიმედ ოხრავდა და ისე მომეჩვენა, თითქოს ცრემლებიც კი ჩამოუგორდა წვერზე.

— სანკა, სანკა!—მითხრა მან.—ჩემთან მოდი.

მე მივედი.

— სანკა, შენ უკვე დიდი ხარ.—პეტროვნამ თავზე ხელი გადამისვა,—გუშინ დედაშენისაგან წერილი მოვიდა, ივანე ავად გამხდარა.

იგი ტიროდა.

— ძალიან მძიმედ გამხდარა ავად ციხეში. თავი და ფეხები დასიებია. იწერება, არ ვიცი, ახლა ცოცხალია თუ არაო.

ჩემი დაც ატირდა.

— რას ვიზამთ, ღვთის ნებაა,—თქვა პეტროვნამ,—ღვთის ნებაა.—რაღაცნაირი სიბრაზით გაიმეორა და თვალები კვლავ ხატისაკენ აღაპყრო.

მამა ავად გამხდარაო, გვითხრა, მაგრამ საღამოთი ეკლესიაში მივხვდი, რომ იგი მოკვდა. საღამოთი პეტროვნამ ეკლესიაში წაგვიყვანა, რომ იმისათვის გველოცნა, როგორც მან გვითხრა.

საკვირველია, მაგრამ სამი თვე ისე გავატარე სოფელში, რომ თითქმის არავის ვიცნობდი, გარდა რამდენიმე ბიჭისა, რომლებ-

თანაც ერთად თხილამურებით ვსრიალებდი. არსად არ დავდიოდი, რადგან ჩემი სიმუნჯისა მრცხვენოდა. ახლა კი საყდარში მთელი ჩვენი სოფელი ვნახე, ჩვენსავით ნაღვლიანი, ღარიბულად ჩაცმული, დადუმებული დედაკაცები და ბერიკაცები. ისინი სიბნელეში იდგნენ,—სანთლები მხოლოდ წინ ენთო, სადაც მღვდელი გაბმით რაღაცას კითხულობდა. ბევრი ოხრავდა და პირჯვარს იწერდა.

„უფალო შეგვიწყალე",—გაუთავებლად იმეორებდა მღვდელი. პირიდან ორთქლი ამოსდიოდა, საცეცხლურიდან კი, რომელსაც ის აქნევდა, ლურჯი ბოლი ადიოდა. მე მეჩვენებოდა, რომ სხვებიც, როგორც მე, კი არა ლოცულობდნენ, უბრალოდ ამ ბოლს უყურებდნენ, როგორ ადის დახვეული ბოლი და ზევით, გაყინული ფანჯრებისაკენ მიექანება. ეტყობა, დამავიწყდა მამაჩემი. მაგრამ უეცრად პეტროვნამ ზურგში გაჯავრებით წამკრა ხელი, დღესაც არ ვიცი რატომ, და სწორედ ამ წუთში გამახსენდა მამა. მივხვდი, რომ იგი მოკვდა.

ყველა ოხრავდა და პირჯვარს იწერდა, იმიტომ რომ იგი მოკვდა. მე და ჩემი დაც იმიტომ ვიდექით აქ, ჩაბნელებულ ეკლესიაში, რომ იგი მოკვდა. პეტროვნამაც გაჯავრებით იმიტომ წამკრა ხელი, რომ იგი მოკვდა. ჩვენ ვდგევართ და „ვლოცულობთ მისთვის", იმიტომ რომ იგი მოკვდა.

პეტროვნამ ჩემი და თავისთან წაიყვანა, მე კი სახლში დავბრუნდი და დიდხანს ვიჯექი სიბნელეში. სინათლე არ ამინთია. შავ ხოჭოებს, რომლებიც დიდედამ საგანგებოდ ბედნიერებისათვის მოგვიყვანა, გაცივებულ ქურაზე შარიშური გაჰქონდათ; კარტოფილსა ვჭამდი და თან ვტიროდი.

მოკვდა, ვეღარასოდეს ვეღარა ვნახავ! აი, სათათბიროდან გამოაქვთ, იმ ოთახიდან, სადაც მე და დედაჩემმა თხოვნა შევიტანეთ... ჭამას თავი გავანებე და კრიჭა შევკარი, როცა ის ცივი ხმა და გრძელი, გამხმართითებიანი ხელი გამახსენდა, რომელშიც ქანაობდა სათვალე. დამაცადე! სამაგიეროს გადაგიხდი! ოდესმე შენც მოხვალ ჩემთან და თავს დაბლა დამიკრავ, მე კი გიპასუხებ: „სასამართლო გაარჩევს, ჩემო კარგო"... აი დერეფანში კუბო მოაქვთ, დარაჯები ქაღალდებით ხელში დარბიან, არავის არა სურს დაინახოს, რომ მას მოასვენებენ. მხოლოდ დეიდა დაშა ეგებება წინ მოლოზანივით გრძელ, შავ შალში გახვეული. მოდის, პირჯვარს იწერს და ტირის. მაგრამ, აი შევდექით, კარებთან ვი-

ღაც დგას, კუბო ქანაობს და იატაკზე .ეშვება. დედა თავს ხრის, მე ქვემოდან შევცქერი და ვხედავ, როგორ უთრთის ტუჩები...

ჩემივე ხმამ გამომაფხიზლა. ეტყობა, სიცხე მქონდა, რაღაც აბდაუბდას ვჩმახავდი. ჩემ თავს და რატომღაც დედაჩემსაც ვლანძღავდი, თან ივან ივანიჩს ველაპარაკებოდი, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რომ დიდი ხანია წავიდა და მისი ნაფეხურები მხოლოდ ორი დღე აჩნდა მინდორს.—მერე თოვლმა დაჰფარა.

მე ვლაპარაკობდი ხმამაღლა და გარკვეევით! მე ვლაპარაკობდი. ახლა შემეძლო მეამბნა, რა მოხდა იმ ღამეს პონტონის ხიდზე. მე დავამტკიცებდი, რომ დანა ჩემი იყო. რომ ის მაშინ დავკარგე, როცა მოკლულისაკენ დავიხარე. გვიანღაა, სამუდამოდ დავიგვიანე და უკვე ველარაფერს ვუშველი!

თავზე მკლავებშემოჭდობილი სიბნელეში ვიწექი. სახლში ციოდა, ფეხები გამეყინა. მაგრამ დილამდის არ ავმდგარვარ. გადავწყვიტე, აღარ მელაპარაკა. რისთვის ვილაპარაკო? სულ ერთია. მამაჩემი მოკვდა და მე იმას ველარასოდეს ველარა ვნახავ.

თავი მეშვიდე

დ ე დ ა

კარგად არ მახსოვს თებერვლის რევოლუცია და ქალაქში დაბრუნებამდე ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ მესმოდა. მაგრამ ეს კი მახსოვს, რომ უცნაური მღელვარება და გაუგებარი საუბრები მე მაშინ ჩემს ღამის სტუმარს დავუკავშირე, რომელმაც ლაპარაკი მასწავლა.

საღამოთი, როდესაც ჯოხზე წამოვაგებდი კარტოფილს, ხშირად ვფიქრობდი იმაზე და სულ უფრო იდუმალებით მოცული, სულ უფრო მიმზიდველი წარმომიდგებოდა ხოლმე იგი. რად გაჰქრა ისე მოულოდნელად? არ გამოგვეთხოვა, არ გვითხრა, სად მიდიოდა. სხვენზე რად იმალებოდა? რატომ არ უმკურნალა მამასახლისის მანკას. პეტროვნასთანაც კი არ წავიდა. სად არის ახლა? დაბრუნდება კი? ღამღამობით რომ გამომეღვიძებოდა, ყურს მივუგდებდი ხოლმე, ფანჯარას ხომ არ აკაკუნებენ, იგი ხომ არ არის-მეთქი? ფანჯარას არავინ აკაკუნებდა, მხოლოდ რბილად, ოდნავ გასაგონი შრიალით ეცემოდა თოვლი ჩვენ სახლს და უეცრად საკვამურში ქარი იწყებდა ღმუილს.

მის შესახებ არავინ გვეკითხებოდა. მე თვითონაც არ ვიცი-
რატომ, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ახლა ყველაფერი
სხვანაირად იქნებოდა, ახლა არც სხვენზე დამალვა დასჭირდებო-
და და, მგონი, არც პეტროვნას გაცნობაზე იტყოდა უარს.

ვერ შევამჩნიე, როგორ გავიდა გაზაფხული. ზაფხული კი იმ
დღეს დაიწყო. როცა „ნეპტუნი" სტვენით და მრისხანედ უკან-
სვლით მოადგა ნავმისადგომს, სადაც მე და დედაჩემი დილიდან
ველოდებოდით.

მინკას ლურჯი, უკვე კარგა გაცვეთილი ქურთუკი ეცვა, თავზე
ოქროსფერი ასოებით მოხატული კეპი ეხურა, უწინდებურად კი-
ბეზე იდგა და მგზავრებს გულგრილად შეჰყურებდა. წვერმოშვი-
ბული კაპიტანი-მესაქე ყრუდ ჩასძახოდა მილში: „შეჩერდით! წინ!"
და „შეჩერდით!. სვლა უკან". გემბანი იდუმალად ზანზარებდა.
ჩვენ ქალაქში ვბრუნდებოდით. დედას—გამხდარს, გაახალგაზრ-
დავებულს, ახალ პალტოში და ახალ, ფერად შალში მორთულს,
სახლში მივყავდით...

ზამთარში ხშირად მიფიქრია, როგორ გაოცდება-მეთქი დედა-
ჩემი, როცა ჩემს ლაპარაკს გაიგონებს. იმან კი ხელი მომხვია
მხოლოდ და გაიცინა. სულ შეცვლილიყო ამ ზამთარს. ერთთა-
ვად რაღაცაზე ფიქრობდა—ამას მაშინვე მივხვდებოდი ხოლმე
მისი სახის ცოცხალი მოძრაობით—ხან ცუდ გუნებაზე დგე-
ბოდა, ხან ეღიმებოდა. პეტროვნამ გადაწყვიტა, ჭკუაზე ირყე-
ვაო, და ერთხელ ოხვრით ჰკითხა ამის შესახებ. დედას გაეღიმა
და არაო, უთხრა.

ტყეში წავედით პეტროვნასათვის ნორჩი ლაფანის შესაგროვებ-
ლად, რომელიც ქალამნების ამოსასხმელად სჭირდებოდა. იგი
ქალამნებს ჰყიდდა. დედა სწორედ ისეთი ჩამრჩა მეხსიერებაში,
როგორიც იმ დღეს იყო: შავთმიანი, მკვრივი, თეთრი კბილებით,
მკერდზე ჯვარედინად გაკრულ ფერადი შალით დაიხრებოდა,
ხეს მარჯვედ მოსჭრიდა და ტოტებს აცლიდა. შემდეგ ტოტებშე-
მოცლილ ხეს კინტს მოაკვნეტდა და ხელის ერთი გაკვრით ლა-
ფანს აცლიდა. ჩემთვისაც უნდოდა ესწავლებინა, მაგრამ არაფერი
გამოვიდა, გარდა იმისა, რომ თითი გავიჭერი.

მერე ბუჩქებში დავიმალე და დიდხანს ვიჯექი ჩაფიქრებული,
ჩიტების ჭიკჭიკს ვუსმენდი და დედაჩემს შევყურებდი, რომელიც
სულ უფრო მშორდებოდა. უეცრად სიმღერა დაიწყო:

მეწვრილმანე მომადგა,
მეწვრილმანე ვაკარი,
ცხენი მყავდა მივყიდე.—
უმარილი ვიყიდე.—
ძროხა მყავდა—მივყიდე—
და შუშტაკი ვიყიდე;
საწველელი მივყიდე—
საღებავი ვიყიდე.

მზემ ბუჩქები გაანათა, იგი წელში გაიშალა, სახე ასწითლებოდა, თვალები უბრწყინავდა. მის თავს რაღაც იყო!

ჩვენთან იშვიათად იგონებდა მამას, მაგრამ ყოველთვის, როცა ალერსიანად მელაპარაკებოდა, ვიცოდი, რომ იმაზე ფიქრობდა. ჩემი და მას ყოველთვის უყვარდა...

გემზე ერთთავად ფიქრებში იყო წასული, წარბებსა სჭიმავდა, თავს აქნევდა. ეტყობა, გონებაში ვიღაცას ეკამათებოდა. მეც სულ ვფიქრობდი და ვფიქრობდი: წარმოდგენილი მქონდა, როგორ მედიდურად დავიწყებდი სიარულს ეზოში და უეცრად რაიმეს ვიტყოდი, ისე, სხვათა შორის, ვითომ ყოველთვის ვიცოდი ლაპარაკი. წყალს ჩავაშტერდი, ჩამთვლიმა და სიზმარში შიშით კინაღამ გავქრი: მომეჩვენა, თითქოს ისევ დავმუნჯებულიყავი.

— დედა,—წავიჩურჩულე.

ის სდუმდა.

— დედა!—დავიყვირე თავზარდაცემულმა.

იგი ჩემსკენ მოტრიალდა...

რა გაპარტახებული, როგორი ღარიბული მეჩვენა ჩვენი ეზო! წელს არავის ეზრუნა წყლის სადინარებზე და ჭუჭყიანი წყალი, რომელშიც ნაფოტები ტივტივებდნენ, ისევე დარჩენილიყო აივნის ქვეშ. დაბალი ბელლები უფრო მეტად გადაზნექილიყვნენ ამ ზამთრის განმავლობაში. ღობეში ისეთი ხვრელები გაჩენილიყო, რომ ურემი გაივლიდა. სკოვოროდნიკოვების უკან აყროლებული ძვლების, ჩლიქებისა და ტყავის მთელი გორა იდგა.

მოხუცი წებოს ხარშავდა. იმავე სკამზე იჯდა, წინსაფარაფარებული, ცხვირზე სათვალით, ქურაზე პრიმუსი იდგა, პრიმუსზე კი რკინის ქვაბი, საიდანაც ისეთი საშინელი სუნი მოდიოდა, რომ, რაც ხანი იმასთან ვიჯექი, სულ გული მერეოდა.

— ეს ყველას ჩვეულებრივი წებო ჰგონია,—მითხრა, როცა ნახევარი საათის შემდეგ ჰაერზე გასვლა მოვინდომე,—სინამდვილეში უნივერსალური წებოა. ყველაფერს აწებებს—რკინას, მინას, აგურსაც კი, თუ ისეთი სულელი გამოჩნდება ვინმე, რომელიც აგურის დაწებებას მოინდომებს. ეს მე გამოვიგონე. სკოვოროდ-

ნიკოვის სადაბღო წებო. და რაც უფრო ყარს, მით უფრო კარგად აწებებს.

სათვალის ზემოდან უნდობლად გადმომხედა.

— სკოვოროდნიკოვის სადაბღო წებო, — გაიმეორა და ამოიოხრა,—შვიდი მანეთი რომ მაშოვნინა კიდევ რეკლამისათვის,—მუშტარს ფეხს ვერ ავუქცევდით. ბაზარზე გლეხები ორ აბაზს აძლევენ გირვანქა სადურგლო წებოში. რა ჰქვია ამას? ძარცვა. აბა ერთი თქვი რამე!

მე ვთქვი. თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

— ეჰ, საწყალი ივანე! — თქვა მან.

დეიდა დაშა სხვაგან იყო და ორი კვირის შემდეგ დაბრუნდა. აი, ვინ გავახარე და ვინ შევაშინე! საღამოთი სამზარეულოში ვისხედით. აღარ გამითავა, სულ მეკითხებოდა, სოფელში როგორა ცხოვრობდითო,—მეკითხებოდა და პასუხს თვითონვე იძლეოდა.

— საბრალო ბავშვებო, ალბათ მოგწყინდათ სულ მარტოდმარტო? მაშ რა იქნებოდა! ვინ გიხარშავდათ საჭმელს, პეტროვნა? პეტროვნა!

— არა, პეტროვნა არ გვიხარშავდა,—უცებ ვთქვი მე.—ჩვენ თვითონ ვხარშავდით.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მისი სახე, როცა ეს სიტყვები წარმოვთქვი. პირი დააღო, თავი გაიქნია და დაასლოკინა.

— არც მოგვწყენია,—დავუმატე ხარხარით,—მხოლოდ შენ მოგვენატრე. რატომ არ ჩამოგვხედე, ჰა?

გულში ჩამიკრა.

— ჩემო ბიჭიკო, ეს როგორ მოხდა? რა ვქნა! ლაპარაკი დაიწყე? დაიწყე ლაპარაკი, ჩემო გვრიტო? თან ჩუმად არის და თავს იკატუნებს. აი, შე ეშმაკო! აბა მიამბე ერთი.

მეც ვუამბე გათოშილი ექიმის ამბავი, რომელმაც ჩვენი ქოხის კარებზე დააკაკუნა, როგორ ვმალავდით სამი დღე და ღამე, როგორ მასწავლა „ე", „უ", „ი" როგორ უნდა მეთქვა და ბოლოს „ყური" მათქმევინა.

— მისთვის უნდა ილოცო, სანია,—სერიოზულად მითხრა მან,—რა ჰქვია?

— ივან ივანიჩი.

— ილოცე, ყოველ საღამოთი ილოცე.

მაგრამ მე ლოცვა არც ვიცოდი და არც მიყვარდა.

თავი მერვე

პეტკა სკოვოროდნიკოვი

დეიდა დაშამ მითხრა, რაც ლაპარაკი დაიწყე, ძალიან გამოიცვალეო. მე თვითონვე ვგრძნობდი ამას. წარსულ ზაფხულში ამხანაგებს ვერიდებოდი, ჩემი ნაკლის მძიმე შეგნება ხელ-ფეხს მიკრავდა, მეტისმეტად მორცხვი, მიუკარებელი და ძალიან სევდიანი ვიყავი. ახლა თითქმის ძნელია ამის დაჯერება.

ორ-სამ თვეში ჩემს ტოლებს დავეწიე. თორმეტი წლის პეტკა სკოვოროდნიკოვი დამიმეგობრდა. იგი წოწოლა, გაბედავი, წითელთმიანი ბიჭი იყო.

პირველად ჩემ ცხოვრებაში წიგნები პეტკასთან ვნახე. ეს იყო „მოთხრობები მონადირეთა მოქმედების შესახებ წარსულ ომებში“, „იური მილოსლავსკი“ და „წერილების ნიმუშთა კრებული“, რომლის ყდაზედაც გამოსახული იყო წითელპერანგიანი, ულვაშებიანი ყმაწვილი კაცი კალმით ხელში, ხოლო მის ზემოთ ოვალში — ქალი.

სწორედ ამ „წერილების ნიმუშთა კრებულის“ კითხვის დროს დავმეგობრდით. რაღაც იდუმალებით იყო აღსავსე ეს მიმართვები: — „კეთილო მეგობარო“, ან „მოწყალეო ხელმწიფეო ა. ფ.“. შორეული ზღვაოსნობის შტურმანის წერილი მომაგონდა და პირველად ვთქვი სმამაღლა.

ტაძრის ეზოში ვისხედით: წყალგაღმა ჩვენი ეზო და სახლები ძალიან პატარა, ბევრად უფრო პატარა მოჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. აი, დაპატარავებული დეიდა დაშა ივანზე გამოვიდა თევზის გასაფხეკად. ასე მეგონა, იმასაც კი ვხედავდი, როგორ სცვიოდა ვერცხლისფერი ქეცედი თევზს და დეიდა დაშას ფეხთით როგორ ეფინებოდა. აი კარლუშამ—ჩვენი ქალაქის გიჟმა, რომელიც ერთთავად ხან მოიღუშება, ხან იღიმება, მდინარის გაღმა ნაპირზე გაიარა და ჩვენ ჭიშკართან შეჩერდა, ალბათ დეიდა დაშას გამოელაპარაკა.

წერილს ზეპირად ვამბობდი და თან მათ გავცქეროდი. პეტკა ყურადღებით მისმენდა.

— საინტერესოა,—თქვა მან.—მეც ვიცოდი ეგ წერილი, მაგრამ დამავიწყდა. მერე რა მოხდა?

— სულ ეგ არის.

— ნეტავი, რა მოუვიდა შემდეგ მაგ გემს. იქნებ მიუსწრეს?—ნიკ კარტერი წაგიკითხავს?

— არა!

— იქაც ასეთივე შემთხვევა იყო,—ერთი მილიონერი წყალსატევში ჩააგდეს. მან მოიფიქრა და ონკანი დაკეტა. მებაღემ რომ მორწყვა დააპირა, გაუკვირდა, წყალი რატომ არ მოდისო? და სწორედ უკანასკნელ წუთში მიუსწრო, თორემ იქ სული ამოხდებოდა. შეხ კი ძალიან გაგიზეპირებია. დიდხანს სწავლობდი?

— არ ვიცი.

— მოდი, რამეს წავიკითხავ, აბა თუ გაიმეორებ.

მან წაიკითხა:

„პასუხი უარით.

მოწყალეო ხელმწიფევ, ს. ნ.

თქვენ მიერ გამოთქმული გრძნობები ფრიად საამაყოა ჩემთვის. მაგრამ არ შემიძლია გითანაგრძნოთ იმ მიზეზების გამო, რომელთა ჩამოთვლა აქ უსარგებლოა, რამეთუ ისინი თქვენ არ გეხებათ.

შენიშვნა: პასუხები უარით ყოველთვის იწერება ზოგადი მარტივი ფრაზებით. ისინი არ უნდა შეიცავდნენ არავითარ სხვა იდეებს, გარდა თავაზიანობისა“.

ეს წერილი და შენიშვნა სიტყვა სიტყვით გავიმეორე. პეტკამ უნდობლად ცხვირი მოიხოცა.

— ყოჩაღ!—მითხრა მან.—ახლა ეს.

და სულმოუთქმელად წაიკითხა:

„წერილი მამაკაცთან და ქალთან.

სხვისი სიტყვებით დავიწყებ: „ვისურვებდი, რომ ყველაფერი განვლილი დამევიწყა, მაგრამ მიჭირს წარსულთან განშორება. მასშია წამიერად გამომკრთალი ბედნიერებაც, მასშია ჩემი სიხარულიც და სევდაც“. იცი კი? მე ვპოვე ის, რასაც ძვირად ვაფასებ შენში (საჭიროა აღნიშნოთ სახელდობრ რა). შენზე უფრო ძვირფასი და შენზე საყვარელი არავინა მყავს, შენ იმდენად საყვარელი იყავი ჩემთვის (ამას მოსდევს რამდენად). ვიგონებდი პირველ ცრემლს და შენს პირველ ამბორს... აი, უკვე ორი დღეა, რაც მე უშენოდ ვცხოვრობ (საჭიროა აღინიშნოს: მხიარულად, მოწყენილად, კარგად ან ოჯახური გარემოების შესახებ). მშვიდობით, გკოცნი“.

ოდნავი ბორძიკით ეს წერილიც გავიმეორე.

— ყოჩაღ,—აღტაცებით თქვა პეტკამ.—აი, მესმის მეხსიერება!

სამწუხაროდ, ჩვენ ძალიან იშვიათად ვატარებდით ასე კარგად დროს. პეტკა მოუცლელად იყო: „ჩინელების პაპიროსებით

ვაჭრობდა", ასე ეძახდნენ ჩვეს ქალაქში ამ მძიმე ხელობას. ჩინელები პოკროვსკის გარეუბანში ცხოვრობდნენ, ისინი პაპიროსებს აკეთებდნენ და გასაყიდად ბიჭებს ქირაობდნენ ხოლმე. ახლაც თვალწინ მიდგას ერთი ჩინელი, გვარად ლი,—ტანმორჩილი, შავყვითელი, საოცრად დანაოჭებული სახის, საკმაოდ კეთილი კაცი. ყველას ასე მიაჩნდა, რომ „გასამასპინძლებლად" ლი სხვა ჩინელებზე მეტს იძლეოდა. „გასამასპინძლებლად"—ეს იყო ჩვენი სუფთა შემოსავალი (შემდეგში მე თვითონაც დავიწყე ვაჭრობა), იმიტომ რომ ჩვენ მართლაც ყველას ვუმასპინძლდებოდით: „მოსწიეთ, გეთაყვა", მაგრამ ის გულუბრყვილო მუშტარი, რომელიც ამ მასპინძლობას იღებდა, უთუოდ ნაღდს იხდიდა. ეს იყო ჩვენი ფული. თითო კოლოფში ორას ორმოცდაათი ცალი პაპიროსი ეწყო—„კატიკი", „ალექსანდრე III". პაპიროსს სადგურზე, მატარებლებში და ბულვარებზე ვყიდდით.

1917 წლის შემოდგომა ახლოვდებოდა, მაგრამ ტყუილი იქნებოდა, რომ მეთქვა, თითქოს ვგრძნობდი, ან ოდნავ მაინც მესმოდა იმ დროის მნიშვნელობის მთელი სიღრმე, როგორც ჩემთვის, ისე მთელი ჩვენი ქვეყნისა და საერთოდ მთელი ქვეყნიეებისათვის... ვერაფერს ვხედავდი და არც რაიმე გამეგებოდა. ის გამოურკვეველი მღელვარებაც კი დამავიწყდა, რომელიც გაზაფხულზე სოფელში განვიცადე. ვცხოვრობდი ასე, ჩვეულებრივ: დღე დღეს მისდევდა, პაპიროსით ვვაჭრობდი და კიბოებს ვიჭერდი: ყვითელს, ძწვანეს, ნაცრისფერს, ცისფერი კი, არა და არ იქნა, ერთხელაც არ შემხვედრია.

მაგრამ ჩემს თავისუფლებას მალე მოეღო ბოლო.

თავი მეცხრე

ჯოხი, ჯოხი, ჯოხი, მეხუთე, მეოცე, მეასე...

ალბათ ჩვენ დაბრუნებამდეც დადიოდა ჩვენთან. ეზოში ყველა იცნობდა და ის აგდებულ-დამცინავი დამოკიდებულება, როგორც მას სკოვოროდნიკოვი და დეიდა დაშა ეექცეოდნენ, უკვე დიდი ხანია არსებობდა. ახლა კი თითქმის ყოველდღე დაიწყო სიარული. ზოგჯერ მოჰქონდა რამე, მაგრამ პატიოსნებას გეფიცებით, არც ერთი იმისი მოტანილი ქლიავი, არც ერთი ცერცვი, არც ერთი ყანდი არ შემიჭამია!

გრუზა კაცი იყო, ულვაშებგადაგრეხილი, პირმსუქანი, მაგრამ საკმაოდ მოხდენილი ტანის. ჩემი აზრით, ძალიან საზიზღარი ბოხი ხმა ჰქონდა. ფერისმჭამელებს მკურნალობდა, რომელიც მუქ კანზე ეყარა, მაგრამ დედაჩემს, სამწუხაროდ, მოსწონდა მთელი მისი ფერისმჭამელებით, კულულებით და საზიზღარი ბოხი ხმით. ასე რომ არა ყოფილიყო, განა ყოველდღე ივლიდა ჩვენთან? დიახ, მოსწონდა. იმასთან დედაჩემი სულ იცვლებოდა, იცინოდა და იმისავით გრძელ საუბარსაც გააბამდა ხოლმე. ერთხელ დავინახე, თავისთვის იჯდა და ილიმებოდა. მაშინვე მივხვდი, რომ იმ კაცზე ფიქრობდა. ერთხელ კიდევ დეიდა დაშასთან საუბარში ვილაცაზე თქვა: „არანორმალურობა რამდენიც გნებავთ",—ეს იმ კაცის სიტყვები გახლდათ.

გვარად ტიმოშკინი იყო, მაგრამ რატომღაც თავის თავს გაერკულის ეძახდა,—დღემდის ვერ ვიცი, ამით რის თქმა სურდა. ეს კი მახსოვს, რომ დედაჩემს ეტყოდა ხოლმე, „საწყალი გაერი[1] ვარ და ცხოვრება ნაფოტივით აქეთ-იქით მისვრისო".

ამ დროს გაიბღინძებოდა ხოლმე და სულელური, ჩაფიქრებული სახით დედაჩემს უყურებდა.

და ეს გაერი ყოველ ცისმარე საღამოს მოდიოდა ჩვენთან. აი ერთი ასეთი საღამოც:

სამზარეულოს ლამპა კედელზე ჰკიდია, ჩემი ქოჩორა თავის ჩრდილი ეცემა რვეულს, მელნის ბოთლს და ხელს, რომელიც კალმის უმწეო წრიპინით ქაღალდზე მოძრაობს.

მაგიდასთან ვზივარ, მეტი გულმოდგინებით ენით ლოყას ვბერავ და ჯოხები გამომყავს—ერთი, მეორე, მესამე, მეათე, მეათასე. მილიონი ჯოხი მაინც გამოვიყვანე, იმიტომ რომ ჩემი მასწავლებელი ამტკიცებდა: ვიდრე ისინი „პოპინდიკულარულები" არ იქნებიან, წინ წასვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებაო. ის გვერდით მიზის და მასწავლის, თანაც დროგამოშვებით შემწყალედ შეხედავს დედაჩემს. მასწავლის არა მარტო იმას, როგორ უნდა ვწერო, არამედ იმასაც, როგორ უნდა ვიცხოვრო, და ამ გაუთავებელი სულელური მსჯელობისაგან თაებრუ მეხვევა. ჯოხები გამოდის მუცლიანები, კუდიანები, ყოველნაირი, როგორიც კი გნებავთ, გარდა სწორისა, „პოპინდიკულარულებისა".

— ყველა ცდილობს გემრიელ ლუკმას დასტაცოს ხელი,—ამ-

---

[1] გაერი—ჯამბაზი, მასხარა.

ბობს იგი.—ეს არის ადამიანის ბუნება, ამას უნდა ცდილობდეს ყველა. მაგრამ შეიძლება კი ამ ლუკმას უზრუნველმყოფი მოვლენა ვუწოდოთ—ეს კიდევ საკითხია!

ჯოხი, ჯოხი, ჯოხი, მეხუთე, მეოცე, მეასე...

— მე, მაგალითად, ბავშვობიდანვე მძიმე გარემოში მოვხვდი და არ შემეძლო დედაჩემის იმედით ვყოფილიყავი. პირიქით, როდესაც ჩვენმა ოჯახურმა ცხოვრებამ ნგრევა დაიწყო და მამაჩემი ცხენების მოპარვისათვის დააპატიმრეს, ჩემს გარდა აბა, ვილას უნდა ეზრუნა ლუკმაპურისათვის?

ჯოხი, ჯოხი, მსხვილი, წვრილი, მობრეცილი, მუცლიანი, მეხუთე, მეოცე, მეასე...

— სამწუხაროა, რომ ციხიდან დაბრუნებულმა მამაჩემმა სმა დაიწყო, ხოლო, რამდენადაც უფრო აჰყვება ადამიანი ლოთობას, იმდენად უფრო ენგრევა ოჯახი. შემდეგ სიკვდილმა მოუსწრო და, რა თქმა უნდა, უეცარმა, რადგან ეს იყო მკვდარი ცხენის გატყავების შედეგი.

მე მშვენივრად ვიცი, თუ რა დაემართა მერე ჩემი მასწავლებლის მამას:—ის გასივდა, „საჩქაროდ საჭირო შეიქნა მისი კუბოს გადიდება, რამეთუ მიცვალებულის სხეული სამჯერ აღემატებოდა მოცულობით იმას, რაც სიცოცხლეში იყო“. ეს საშინელი სიკვდილი ერთხელ სიზმარში ვნახე...

ჯოხი, ჯოხი... ჯოხი... კალამი წრიპინებს, ჯოხი, მელნის ლაქა.

— დაცარიელდა ჩვენი მამა-პაპეული ქოხი, მაგრამ სულით არ დავცემულვარ და თერთმეტი წლის ბიჭი დედაჩემს კისერზე არ დავწოლივარ.

მასწავლებელი მიყურებს, მე მხოლოდ ათი წლისა ვარ, მაგრამ მოუსვენრად ვიწყებ ტოკვას ტაბურეტზე.

— რესტორანში დავდექი, ხელზე მოსამსახურე ბიჭი გავხდი, მაგრამ სამაგიეროდ ერთი მჭამელი მოაკლდა დედაჩემს.

ეჭვს გარეშეა, რომ სწორედ ლაპარაკის ამ საოცარმა ყაიდამ მოახდინა ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება დედაჩემზე. გაერს რომ უბრალოდ ელაპარაკა, დედაჩემი მაშინვე მიხვდებოდა, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანია—სულელი, ზარმაცი და გულქვა. მაგრამ მის გულქვაობაში მაინც მალე დარწმუნდა დედაჩემი.

დედაც ჩვენს მაგიდას უზის და მოჯადოებულივით უსმენს. ის პერანგებს აკერებს—მამაჩემის პერანგებს—და მე ვიცი, ვისთვისაც

აკერებს. რაღაც უბედურების წინაგრძნობით ვაპყრობ თვალებს შის ფერმკრთალ სახეს, შუაზე გაყოფილ შავ თმას, სუსტ ხელებს და ჩემს ჯოხებს ვუბრუნდები..ძალიან მინდა, ერთი გრძელი ხაზი შაინც გავავლო პწკარის გასწვრივ. მშვენიერი ღობე გამოვიდოდა, მაგრამ არ შეიძლება! ჯოხები „პოპინდიკულარულები“ უნდა იყოს.

— ამასობაში დედაჩემი უკვე ჰკარგავდა საზოგადოებრივ წონასწორობას და მოწყალებებისაკენ იხრებოდა.—განაგრძობდა გაერი.—მერე რა გავაკეთე მე? რაკი შევიგრძნე, რომ ჩემი განვითარებისათვის ეს უდავო მინუსს წარმოადგენს, ბიძაჩემს მივმართე, ნეტარხსენებულ ნიკიტა ზუევს, და ვთხოვე, დედაჩემზე ემოქმედა...

მეასედ ვისმენ ამ ნეტარხსენებული ბიძის ამბავს და თითქოს ვხედავ, როგორ ჩადის მარხილით სოფლიდან სქელი, ასეთივე ფერისმჭამელებიანი მოხუცი კაცი, ყვითელ ქურქს იხდის, ოთახში შედის, თან თოვლს იბერტყავს და ხატის წინ პირჯვარს იწერს. იგი გაერის დედას სცემს, ხოლო პატარა გაერ კული დგას და დამშვიდებით უყურებს, როგორ სცემენ იმის დედას.

ჯოხები, ჯოხები... მაგრამ ღობე დიდი ხანია დახატულია და, თუმცა მშვენივრად ვიცი, ახლა მომხვდება, მაინც საჩქაროდ ვხატავ ღობის ზემოთ მზეს, ჩიტებს და ღრუბლებს. იგი ლაპარაკს განაგრძობს და თან ცალი თვალით მე მიყურებს. სწრაფად ვაფარებ ხელს მზესა და ჩიტებს. გვიანღაა! ჩემს რვეულს ხელში იღებს, წარბებსა სჭიმავს. მე ვდგები.

— ერთი შეხედეთ, აქსინია ფედოროვნა, რითი ერთობა თქვენი მშვენიერი შვილი!

დედაჩემიც, რომელსაც მამაჩემის სიცოცხლეში თითი არ დაუკარებია შვილებისათვის, ყურში მჭიდებს ხელს და თავს მაგიდაზე მახლევინებს.

სხვაგვარი საღამოებიც მახსოვს: ხანდახან ჩემი მომავალი მამინაცვალი ხმამაღლა გვიკითხავდა რაიმეს,—როგორ არა ჰგავდა ეს კითხვა ჩემსა და პეტკა სკოვოროდნიკოვის კითხვას ტაძრის ეზოში. გაერი ყოველთვის ერთსა და იმავე წიგნს კითხულობდა— „არტურელის დღიურიდან“, რომლის ყდაზე ასეთი ლექსი იყო დაბეჭდილი:

ჩვენი განთქმული მხედარი დიდი
იცავდა მეფეს და მამულს თვისას,
არ ჩაუგდია სიცოცხლე ჩალად,
სისხლი სდიოდა ხუთგან მას ღვარად
და მტერსაც ჰკუა ასწავლა კვალად.

ამ წიგნს ისეთი ჭკუის დამრიგებლური მრისხანებით კითხულობდა, თითქოს მე ვიყავი მიზეზი არტურელის მთელი უბედურებისა.

გაკვეთილები იმ დღეს შეწყდა, რა დღესაც გაერ კული ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად. წინა დღით ქორწილი გადაიხადეს. ქორწილზე დეიდა დაშა არ მოსულა, ავადმყოფობა მოიმიზეზა. მახსოვს, როგორი მორთული იჯდა დედაჩემი ქორწილში. თეთრი ხავერდის ჟაკეტი ეცვა — ნეფის საჩუქარი, თმაც გასათხოვარი ქალივითა ჰქონდა გაკეთებული: თავზე ჯვარედინად შემოხვეული ნაწნავები. ლაპარაკობდა, სვამდა, იღიმებოდა, მაგრამ ზოგჯერ უცნაური გამომეტყველებით სახეზე ხელს მოისვამდა ხოლმე. გაერ კულიმ სიტყვა წარმოთქვა, აღნიშნა თავისი დამსახურება საწყალი ოჯახის მიმართ, „რომელიც, რასაკვირველია, ნგრევის გზაზე იდგა, რადგან ყოფილმა ოჯახის უფროსმა სავალალო მდგომარეობაში დასტოვა". და, სხვათა შორის, ისიც აღნიშნა, რომ მან გამიხსნა „საერთო განათლების" კარი, ალბათ „პოპინდიკულარულ" ჯოხებს გულისხმობდა.

არა მგონია დედაჩემს ეს სიტყვა გაეგონოს. იგი თვალებდახრილი იჯდა ნეფის გვერდით. უეცრად წარბები შეიჭმუხნა და დაბნეული გამომეტყველებით თითქოს რაღაცას ჩააშტერდა.

მოხუცმა სკოვოროდნიკოვმა კარგა ლაზათიანად რომ დალია, დედაჩემთან მივიდა და მხარზე ხელი დაარტყა.

— ეჰ, აქსინია, გასცვალე...

დედაჩემს უმწეოდ გაეღიმა.

ქორწილის შემდეგ ჩემი მამინაცვალი ორი თვე ნავმისადგომის კანტორაში მსახურობდა და, თუმცა ძალიან ძნელი ასატანი იყო იმის დანახვა, როგორ მოდიოდა და გაშხლართული ჯდებოდა მამაჩემის სკამზე, როგორ სჭამდა მისი კოვზით, მისი მათლაფიდან, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც შეიძლებოდა ცხოვრება; ხან სახლიდან გავრბოდი, ვუჩუმდებოდი, შინ გვიან ვბრუნდებოდი, როდესაც უკვე ეძინა. მაგრამ მალე რაღაც ბნელი საქმეებისათვის კანტორიდან აბარგეს და აი, მაშინ გახდა ცხოვრება აუტანელი. უბედური აზრი მოუვიდა თავის ბნელ თავში: ხელი მოეკიდა ჩემი და ჩემი დის აღზრდისათვის, და მე უკვე აღარც ერთი თავისუფალი წუთი აღარა მქონდა.

ახლა ვხვდები, რომ უთუოდ სადმე ლაქიად იქნებოდა ნამ-

ფახური, სადაც ენახა ყველა ეს სასაცილო და უცნაური რამეები, რითაც ასე გვტანჯავდა მე და ჩემ დას.

უპირველესად ყოვლისა, მოითხოვა, რომ ყოველ დილით მივსულიყავით მასთან და სალამი მიგვეცა, თუმცა ჩვენ იქვე, მის ლოგინთან გვეძინა იატაკზე. ჩვენ მივდიოდით, მაგრამ არავითარ ძალას არ შეეძლო ეთქმევინებინა ჩემთვის „დილა მშვიდობისა, მამა!“ დილა არ იყო მშვიდობის დილა და მამაც არ იყო მამა. არ შეგვეძლო სუფრასთან დაჯდომა, ვიდრე თვითონ არ დაჯდებოდა, და სუფრიდან ადგომისას იმისგან უნდა აგვეღო ნებართვა. ნადლობა მისთვის უნდა გვეხადა, თუმცა დედაჩემი წინანდებურად საავადმყოფოში რეცხავდა, ხოლო დედაჩემისა და ჩემი ფულით ნაყიდ სადილს ჩემი და ხარშავდა. მახსოვს, როგორ დამახრჩო ბრაზმა, როცა საწყალი სანია სუფრიდან ადგა და მუხლებში ულამაზოდ ჩაიკეცა, როგორც გაერმა ასწავლა, და პირველად უთხრა: „გმადლობთ, მამა“. როგორ მინდოდა, ფაფით სავსე თეფში მეთხლიშა გასიებულ სახეში! მე ეს არ გავაკეთე—და დღემდის ვნანობ...

როგორა მძულდა! მეზიზღებოდა მისი სიარული, მისი ხვრინვა, მისი თმა, იმისი ჩექმებიც კი, რომელსაც საშინელი მონდომებით თვითონ იწმენდდა ყოველ დილით. ღამე რომ გამომეღვიძებოდა, დიდხანს სიძულვილით ვუყურებდი მის გასიებულ მძინარე სახეს. არც კი იცოდა, თუ რა საშიშროება მოელოდა. დეიდა დაშა რომ არა ყოფილიყო, მოვკლავდი.

თავი მეათე

დეიდა დაშა

არც კი მოვიგონებდი ამ დროს, მაგრამ თვალწინ მიდგება საყვარელი სახე დეიდა დაშასი, რომელიც შეგნებულად პირველად მაშინ დავაფასე და შევიყვარე.

მივიდოდი ხოლმე იმასთან და ვდუმდი — ისედაც ყველაფერი იცოდა. ჩემ სანუგეშებლად თავის ცხოვრების ისტორიას მიამბობდა. გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ჯერ ორმოცი წლისაც არ იყო! მე კი ნამდვილი, ბებია მეგონა, მეტადრე მაშინ, როცა სათვალეწამოდგმული წყალდიდობის დროს ჩვენ ეზოში გამორიყულ წერილებსა კითხულობდა (იგი კვლავ განაგრძობდა წერილების კითხვას).

ოცდახუთი წლისა დაქვრივდა. იმისი ქმარი რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისთანავე მოკლეს. მაქმანებგადაფარებულ კომოდზე, ცისფერ დაკლაკნილ შუშის ქილებს შორის, მისი სურათი იდო. სურათის უკან კი მისი წერილი ინახებოდა, რომელიც, თავისთავად ცხადია, ზეპირად ვიცოდი. აღმოსავლეთ ციმბირის მე-2 მსროლელი პოლკის სალაშქრო კანცელარია ატყობინებდა დეიდა დაშას, რომ მისი ქმარი, რიგითი თედორე ალექსანდრეს-ძე ფეოდოროვი, დაჯილდოებული მე-3 და მე-4 ხარისხის სამხედრო ორდენის წარჩინების ნიშნით, იაპონელებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. გმირი! კიდევ დიდხანს ამ სიტყვის გაგონებაზე წარმომიდგებოდა ხოლმე წვერულვაშიანი თმაშეკრეჭილი მამაკაცი, რომელიც ლერწმის სავარძელში იჯდა თოვლიანი მთების ფონზე.

ყოველ საღამოს თითო წერილს გვიკითხავდა—ეს რაღაც წესად ექცა. ეს წესი იმით იწყებოდა, რომ დეიდა დაშა ცდილობდა, წერილის შინაარსი კონვერტისა და მისამართის მიხედვით გამოეცნო, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში წყლისაგან მთლად წაშლილიყო.

მერე წარმოებდა კითხვა—სწორედ წარმოებდა—აუჩქარებელი, ხანგრძლივი ოხვრითა და ბურტყუნით, როდესაც გაურკვეველი სიტყვები შეხვდებოდა. დეიდა დაშას სხვისი სიხარული ახარებდა, სხვის მწუხარებას თანაუგრძნობდა, ზოგს ჰკიცხავდა, ზოგს აქებდა. ერთი სიტყვით, გამოდიოდა, რომ ყველა წერილი იმისი მისამართით იყო მოწერილი. წიგნებსაც სწორედ ასევე კითხულობდა. ჟურნალ „როდინას“-დამატების გმირების, სხვადასხვა თავადებისა და გრაფების ოჯახურ და სიყვარულის ამბებზე დეიდა დაშა ისე მსჯელობდა, თითქოს ყველა ეს თავადები და გრაფები გვერდით ეზოში ცხოვრობდნენ.

— ადრევე ვიცოდი, რომ ბარონ ლ-კი, — ამბობდა გამოცოცხლებული,—მადამ დე-სან-სუ-ს თავს დაანებებდა. ჩემო კარგო, ჩემო კარგოო. ესეც შენ! ეგეც შენი გვრიტი!

როცა გაერ კულისაგან თავის გასარიდებლად საღამოებს დეიდა დაშასთან ვატარებდი, იგი უკვე ამთავრებდა წერილების კითხვას—თხუთმეტ წერილზე მეტი აღარ იყო დარჩენილი. მათ შორის იყო ერთი, რომელიც აქ უნდა მოვიყვანო. დეიდა დაშამ ვერ გაიგო ის. მე კი მაშინაც მეგონა, რომ ეს წერილი რაღაცით დაკავშირებული იყო შორეული ზღვაოსნობის შტურმანის წერილთან.

აი ის წერილი (დეიდა დაშამ ვერ გაარჩია პირველი სტრიქონები):

„...ერთს გემუდარები — ნუ დაუჯერებ მაგ ადამიანს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მთელი უბედურების გამო მისი მადლობელი უნდა ვიყოთ. ისიცა კმარა, რომ სამოცი ძაღლიდან, რომელიც არხანგელსკში მოგვყიდა, უმეტესი ნაწილის დახოცვა ახალ მიწაზეე მოგვიხდა, აი რა ძვირად დაგვიჯდა ეს ნათესაური პატივისცემა. მარტო მე კი არა, მთელი ექსპედიცია წყევლა-კრულვას უთვლის მას. ჩვენ თავი გადავდეთ, ვიცოდით, რომ ალალბედზე ბიჯდიოდით, მაგრამ ასეთი მეხის დაცემას მაინც არ ველოდით. ისღა დაგვრჩენია გავაკეთოთ, რისი ძალაც შეგვწევს. რამდენი რამ შეეძლო მეამბნა შენთვის ჩვენი მოგზაურობის შესახებ! კატიუშას მთელ ზამთარს ეყოფოდა საამბობლად, მაგრამ რის ფასად გვიჯდება ყველაფერი, ღმერთო ჩემო! არ მინდა ვიფიქრო, რომ ჩვენი მდგომარეობა უიმედოა. მაგრამ ძალიანაც ნუ მელით...“

დეიდა დაშა გაჭირვებით კითხულობდა და თან საათვალეს ზემოდან ჭკუისდამრიგებლური სახით გადმომხედავდა ხოლმე. მე ვუსმენდი და არ ვიცოდი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ თითოეულ ამ სიტყვას ტანჯვით მოვიგონებდი.

წერილი დიდი იყო, შვიდ თუ რვა გვერდზე გრძელდებოდა — დაწვრილებითი ამბავი ყინულებში გაჭედილი და ჩრდილოეთისაკენ აუჩქარებლად მიმავალი გემის შესახებ. მეტადრე იმან განმაცვიფრა, რომ ყინული კაიუტებშიაც კი იყო და ყოველ დილით ცულით უნდა ემტვრიათ.

ჩემი სიტყვებით შემეძლო მეამბნა, ჭრილში როგორ ჩავარდა და სასიკვდილოდ როგორ დაიმტვრა მეზღვაური სკაჩკოვი დათვებზე ნადირობის დროს; ისიც, როგორ დაიტანჯნენ ყველანი ავადმყოფი მექანიკოსი ტისის მოვლის დროს! მაგრამ სიტყვასიტყვით დამამახსოვრდა ის ოცი თუ ოცდაათი სტრიქონი, რომელიც ზევით არის მოთხრობილი.

დეიდა დაშა სულ კითხულობდა და ოხრავდა და თითქოს ბუნდოვანი სურათი იშლებოდა ჩემს წინ: თეთრი კარვები თეთრ თოვლზე; აქასქასებულ ძაღლებს ძლივს მოაქვთ მარხილი, უზარმაზარი გოლიათი ბეწვის ჩექმებში, ბეწვისავე ქუდით, მღვდელივით ბეწვის ანაფორაში, მარხილს, ეგებება...

ერთხელ დეიდა დაშა თვალცრემლიანი დამიხვდა. კომოდის წინ

იდგა, რომელზეც ქმრის—რუსეთ-იაპონიის ომის გმირის—სურათი ედო, და ტიროდა. მე რომ დამინახა, თავშალი მოიგლიჯა.

— აი, რას მიშვრება ის სისხლისმსმელი, ჩემი მაგინებელი,— ისეთი სიბრაზით მითხრა ეს, რომ გამიკვირდა,—აი, როგორ შებღალა ჩემი თავმოყვარეობა, უპატრონოაო, ფიქრობს, ქმაგი არავინა ჰყავსო. ქმაგი გამოჩნდება!

— დეიდა დაშა!

— გამოჩნდება,—გაიმეორა და კვლავ ატირდა.—ველარ მოვითმენ, წავალ. მორჩა და გათავდა. ჩემ კვალსაც ველარ მოაგნებს!

საწოლზე ჩამოჯდა, ფეხსაცმელი გაიხადა და იატაკზე დაანარცხა.

— ეშმაკსაც წაულიხარ!—თქვა მან.—შე ქოფაკო, იცოდე, რომ მე შენი ტოლი არა ვარ და არც არასოდეს ვიქნები.

მივხვდი, რომ მოხუც სკოვოროდნიკოვს ლანძღავდა, ვკითხე, ისეთი რა ჩაიდინა-მეთქი, მაგრამ მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

მაშინვე ისე მომეჩვენა, თითქოს თვითონაც არ იცოდა კარგად—აწყენინა სკოვოროდნიკოვმა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, სკოვოროდნიკოვმა რაღაც განსაკუთრებული უთხოა, იმიტომ, რომ საღამოთი დეიდა დაშამ შავი მაქმანის თავშალი მოიხვია და მკითხავ ბოშა ქალთან წავიდა, რომელიც მეზობელ ეზოში ცხოვრობდა.

იქიდან ჩაფიქრებული და დაწყნარებული მოვიდა და სკოვოროდნიკოვს აღარა ლანძღავდა, პირიქით, უეცრად თავისთვის ჩაილაპარაკა: „მსმელიც არ არის“.

ეს უცნაური საქციელი მეორე დღესაც განმეორდა. დეიდა დაშა ეზოში იჯდა და ქსოვდა, რომ ალაყაფის კარებთან ჭუჭყიან ტილოს პალტოიანმა და სქელ ჩექმებიანმა უცნობმა მიიხედ-მოიხედა და სკოვოროდნიკოვისკენ წამოვიდა, რომელიც აივანზე თავის უნივერსალურ წებოს ადუღებდა.

— თქვენა ჰყიდით სახლს?

სკოვოროდნიკოვმა ჯერ მას შეხედა, მერე დეიდა დაშას.

— მე ვყიდი,—უპასუხა მან,—ვყიდი ამ სახლს და მთელ ქონებას, აქედან მივემგზავრები.

აღელვებულმა დეიდა დაშამ ჩურჩული დაიწყო, წამოხტა, სკამი წააქცია და გუშინდელივით თავშალი მოიგლიჯა.

— მიწასაც?

— დიახ, მიწასაც—რაც შემოღობილია.

დეიდა დაშა სულ უფრო და უფრო გარკვევით ჩურჩულებდა.

— არ იყიდება!—უეცრად დაიყვირა მან,—ეს სახლი გასაყიდი არ არის! გასწით აქედან.

სკოვოროდნიკოვმა ცალი თვალი ეშმაკურად მოჭუტა.

— პატრონი შენა ხარ?—სწრაფად ჰკითხა ტილოს პალტოიანმა კაცმა.

— მე ვარ.

— მაშ როგორ გავიგო, ჭყიდი თუ არა?

— აი, ამბობენ, არ იყიდებაო,—თვითკმაყოფილებით თქვა სკოვოროდნიკოვმა და ხარხარი დაიწყო.

ამ სცენის დროს პეტკა იქ იყო. სამზარეულოს კარებში იდგა და ზიზღით იცინოდა. მე არაფერი არ მესმოდა, მაგრამ ბალე ყველაფერი გამოირკვა.

თავი მეთერთმეტე

საუბარი პეტკასთან

ჯერ ისევ „პოპინდიკულარულ“ ჯოხებს ვუჯექი, როცა გაქცევა ვანვიზრახე. ტყუილად კი არა ვხატავდი ღობის ზემოთ მზეს, ჩიტებს, ღრუბლებს! შემდეგ გადავიფიქრე, მაგრამ, რაც დღე გადიოდა, უფრო მიძნელდებოდა შინ დაბრუნება.

დედას თითქმის ვერა ვხედავდი. ის რომ მიდიოდა, მე ჯერ ისევ მეძინა. ზოგჯერ, ღამე რომ გამომეღვიძებოდა, მაშინ ვხედავდი. დაღლილობისაგან გადამტკნარებული მაგიდასთან იჯდა. უხალისოდ ჭამდა და გაერიც კი ოდნავ შეკრთებოდა ხოლმე, როცა მის წარბებქვეშიდან საზარლად გამომყურე შავ თვალებს შეხვდებოდა.

ჩემი და ძალიან მიყვარდა, მაგრამ სჯობდა არც ის მყვარებოდა. მახსოვს, იმ საზიზღარმა გაერმა ერთხელ ისე სცემა, რომ სიკვდილის პირას მიაგდო. ეს იმიტომ, რომ ერთი პატარა ჭიქა ზეთი დაეღვარა. სუფრიდან გააგდეს, მაგრამ მე ჩუმად მივუტანე კარტოფილი. კარტოფილსა ჭამდა და თან მწარედ ტიროდა. უეცრად ფერადი შუშები მოაგონდა, ვაითუ ცემის დროს დავკარგეო. შუშები იპოვა. სიხარულით გაეცინა, მაგრამ კარტოფილის ჭამა რომ გაათავა, ისევ ტირილს მოჰყვა...

ალბათ შემოდგომა ახლოვდებოდა, იმიტომ რომ მე და პეტკა

ტაძრის ეზოში ხეტიალის დროს ტიტველა ფეხებით ფოთლებს ჰაერში ვაფრიალებდით. პეტკა მატყუებდა, გორაკქვეშ, რომელზეც ახლა ჩვენ ვისხედით, ძველისძველი გვირაბი არისო, ეზოდან მდინარის ქვეშ გაღმა ნაპირზე გადის და ერთხელ შუამდე გავიარე ეს გვირაბიო.

— მთელი ღამე ვიარე,—ვითომც აქ არაფერიაო, ისე თქვა პეტკამ.—იქ ყოველ ნაბიჯზე ჩონჩხებია.

გორაკიდან პოკროვსკის მონასტერი მოჩანდა. თეთრი, დაბალ გალავანშემოვლებული, იმას იქით—ველები, ზოგან ბაცი მწვანე, ზოგან ყვითელი, ქარზე ზღვასავით ღელავდნენ.

მაგრამ მაშინ მე და პეტკა ძალიან ცოტასა ვფიქრობდით ბუნების სილამაზეზე. გორაკზე გულდაღმა ვიწექით და რაღაც მწარე ქერქებს ვწუწნიდით, თუმცა პეტკა მიმტკიცებდა, ტკბილიაო.

მახსოვს, ლაპარაკი ვირთაგვებიდან დაიწყო: არიან გვირაბში ვირთაგვები თუ არა? პეტკამ თქვა, არიანო, თვითონ მე ვნახე, რომ ვირთაგვებსაც ფუტკრებივით დედოფალი დედა ჰყავთო.

— ნაკიან წელიწადში სულ ამოწყდებიან ხოლმე,—დაუმატა მან.—დედოფალი კი ისევ გაამრავლებს. უშველებელია. დედალი კურდღლის ოდენა.

— ტყუი!

— ღმერთმანი.—გულგრილად თქვა პეტკამ.

თითქოს პირობა გვქონდა დადებული, რაზე შეიძლებოდა გვეთქვა ტყუილი და რაზე არა. მაშინაც კი პატარა ბიჭებს ერთმანეთის პატივისცემა გვქონდა.

— თურქესტანში კი ვირთაგვები არ არიან,—დაუმატა ჩაფიქრებულმა პეტკამ,—იქ მიწის კურდღლებია და მინდორში მინდვრის ვირთაგვები, მაგრამ სულ სხვანაირი: ბალახს სძოვენ ბაჭიებივით.

პეტკა ხშირად ლაპარაკობდა თურქესტანზე. მისი სიტყვით, ეს იყო ქალაქი, სადაც მსხალი, ვაშლი და ფორთოხალი პირდაპირ ქუჩებში იზრდება და შეგიძლია ჭრიფო რამდენიც გინდა. მარილის ლაზათიან მუხტს არავინ გითავაზებს ზურგში ჩვენი ხილის ბაღების მცველებივით. იქ ცის ქვეშ სძინავთ ხალიჩებზე, რადგან ზამთარი არ იცის, ხალათის ამარა დადიან—არც ჩექმა გინდა და არც პალტო.

— იქ თურქები ცხოვრობენ. ყველა შეიარაღებულია. ვერცხლში ჩასმული მოღუნული ხმლები, ქამარში—დანა, მკერდზე—მასრები. არ წავიდეთ?

ხუმრობს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ის არა ხუმრობდა. ოდნავ გაფითრებული უეცრად მიბრუნდა, ადგა და მღელვარებით შორეულ ნაპირს თვალი ვერ მოაშორა. სადაც ნაცნობ, ძველ მეთევზეს ზედ წყლის პირას ჩადგმულ თავის ანკესებზე ჩასძინებოდა. ჩვენ გავჩუმდით.

— მამაშენი? გაგიშვებს?

— იმასა ვკითხავ სწორედ! ახლა იმას ჩემთვის არა სცალია.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ცოლს ირთავს,—დაცინვით თქვა პეტკამ.

მე გავოცდი.

— ვის ირთავს?

— დეიდა დაშას.

— ტყუი!

— მამაჩემმა დეიდა დაშას უთხრა: თუ ცოლად არ გამომყვები, სახლს გავყიდი, სოფელ-სოფელ ვივლი და ქვაბებს მოვკალავ. ის ჯერ ჭირვეულობდა, მერე კი დათანხმდა. შეყვარებულია მგონი,— დაცინვით დაუმატა პეტკამ და გადააფურთხა.

მე მაინც არა მჯეროდა. დეიდა დაშა! გათხოვდეს! მოხუც სკოვოროდნიკოვს გაჰყვეს, რომელსაც ისე ლანძღავდა?

— მერე შენ რა?

— არაფერი,—თქვა პეტკამ.

მოიღუშა და სხვა რაღაცაზე დაიწყო ლაპარაკი. ორი წლის წინათ მოუკვდა დედა და ატირებული, თაქგზააბნეული ისე შორს წასულიყო ეზოდან, რომ ძლივსღა ეპოვათ. მომაგონდა, როგორ აბრაზებდნენ ხოლმე ამის გამო ბიჭები.

ცოტა კიდევ ვილაპარაკეთ, მერე გულალმა გავიშხლართენით და დავიწყეთ ცაში ყურება. პეტკა მარწმუნებდა, ოციოდე წუთი თვალდაუხამხამებლად რომ იწვე, შეიძლება დღისით ვარსკვლავები და მთვარე დაინახოო. აი, ჩვენც ვიწექით და ვუყურებდით. ცა მოწმენდილი იყო, სივრცეს თვალს ვერ გაუწვდინდი და სადღაც მაღლა ღრუბლები მიჰქროდნენ, ერთმანეთს უსწრებდნენ. თვალები ცრემლებით ამევსო, მაგრამ მთელ ძალ-ღონეს ვიკრებდი, რომ არ დამეხამხამებინა. არა და არა, მთვარე არსადა ჩანდა, ვარსკვლავებზე კი მაშინვე მივხვდი, რომ პეტკამ იცრუა.

სადღაც ძრავი ხმაურობდა, მე მეგონა, რომ სამხედრო საბარგო მანქანა მუშაობდა ნავმისადგომში (ნავმისადგომი ქვევით იყო, ციხის გალავანთან). მაგრამ ხმაური ახლოვდებოდა.

— აეროპლანი,—წამოიძახა პეტკამ.

მზის სხივებით განათებული, ნაცრისფერი, ლამაზი, ფრთიანა თევზივით მოფრინავდა. ღრუბლები უახლოვდებოდნენ, ის მოფრინავდა ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, მაგრამ რა ლაღად შემოუარა ღრუბლებს, რამაც პირველად განჰაცვიფრა. აი, უკვე პოკროვსკის მონასტერს გადაუქროლა. შავი ჯვრის მსგავსი ჩრდილი მისდევს მინდვრებზე, მდინარის გაღმა. უკვე დიდი ხანია გაქრა, მე კი მგონია, რომ შორს კიდევ ვხედავ პატარა ნაცრისფერ ფრთებს.

თავი მეთორმეტე

გაეარ კული სიკვდილის ბატალიონში

პეტკას ბიძა ჰყავდა მოსკოვში და მთელი ჩვენი გეგმები იმაზე იყო დამყარებული. ბიძა რკინიგზაზე მუშაობდა—პეტკა მარწმუნებდა, მემანქანედ მუშაობსო, მე კი ვფიქრობდი, რომ ცეცხლფარეში იყო. ყოველ შემთხვევაში, პეტკა წინათ ყოველთვის ცეცხლფარეშად იხსენიებდა. ეს მემანქანე-ცეცხლფარეში იმ მატარებელზე მუშაობდა, რომელიც ხუთი წლის წინათ მოსკოვიდან ტაშკენტში დადიოდა. ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამბობ, ხუთი წლის წინათ-მეთქი, რომ უკვე ხუთი წელიწადი იყო, რაც იმისაგან წერილები აღარ მოდიოდა. პეტკა ამბობდა, მერე რა — ბიძა ყოველთვის იშვიათად იწერებოდა და მუშაობით კი იმავე მატარებლებზე მუშაობს, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი წერილი ქალაქ სამარიდან მოვიდაო. რუკა ვნახეთ და მართლაც აღმოჩნდა, რომ სამარა მოსკოვსა და ტაშკენტს შუა მდებარეობდა.

ერთი სიტყვით, საჭირო იყო პეტკას ბიძა გვეპოვა. იმისი მისამართი პეტკამ იცოდა—კიდეც რომ არა სცოდნოდა, ხომ ყოველთვის შეიძლება გვარით პოვნა. გვარის შესახებ კი არავითარი ეჭვი არა გვქონდა. სკოვოროდნიკოვი—იგივე პეტკას გვარი!

გზის მეორე ნაწილი ჩვენ ასე გვქონდა წარმოდგენილი: ბიძა წაგვიყვანდა მოსკოვიდან ტაშკენტში მატარებლით, მაგრამ მოსკოვამდის როგორ უნდა მიგვეღწია?

პეტკა არ მაგულიანებდა, მაგრამ გაქვავებული სახით ისმენდა ჩემს მორიდებულ საწინააღმდეგო მოსაზრებებს. პასუხს არ მაძლევდა—იმისთვის ყველაფერი ნათელი იყო. ჩემთვის კი მხოლოდ

ერთი იყო ნათელი: გაერი რომ არა ყოფილიყო, მე არსადაც არ წავიდოდი. უეცრად კი აღმოჩნდა, რომ ის მიდის, — ის მიდის, მე კი ვრჩები.

ეს სამახსოვრო დღე იყო. იგი მობრძანდა სამხედრო ფორმით, ახალ პრიალა და ჭრაჭუნა ჩექმებში გამოწყობილი, გვერდზე წამოდგმული ქუდით, რომლიდანაც ტალღებად გამოშლოდა კულულები, და მაგიდაზე ორასი მანეთი დადო.

იმ დროისათვის ეს საზღაპრო ფული იყო და დედამ უნებლიე სიხარბით ფულს ხელი დააფარა.

მაგრამ მე, პეტკა და ჩვენი ეზოს სხვა ბიჭები ფულმა კი არ გაგვაოცა, არა! სულ სხვა რამემ: მისი ფორმის გიმნასტურის სახელოზე თავის ქალა იყო ამოქარგული, თავის ქალის ქვეშ კი გადაჯვარედინებული ძვლები. ჩემი მამინაცვალი სიკვდილის ბატალიონში შესულიყო.

რა თქმა უნდა, ჩემს მკითხველებს არ ახსოვთ ეს ბატალიონები. ყველგან, სადაც კი ბევრი ხალხი იყო მოგროვილი, უეცრად გამოჩნდებოდა დოლიანი კაცი. დოლს შემოჰკრავდა თუ არა, ყველანი ჩუმდებოდნენ. მაშინ სხვა კაცი, უმრავლეს შემთხვევაში ოფიცერი სახელოზე ამოქარგულ ასეთივე თავის ქალით და ძვლებით, როგორც ჩემს მამინაცვალს ჰქონდა, ლაპარაკს იწყებდა. დროებითი მთავრობის სახელით ყველას სიკვდილის ბატალიონში ეპატიჟებოდა. და თუმცა არწმუნებდა, რომ ყველა, ვინც კი ბატალიონში ჩაეწერება, გადასაყვანი ფულის გარდა თვეში სამოც მანეთს და ოფიცრის ტანსაცმელს მიიღებსო, მაინც არავის არ უნდოდა დროებითი მთავრობის გულისთვის სიკვდილი. სიკვდილის ბატალიონში უმთავრესად ისეთი გაიძვერები ეწერებოდნენ, როგორიც ჩემი მამინაცვალი იყო.

მაგრამ იმ დღეს, როცა რაღაც საზეიმო-პირქუში სახით, ახალ ფორმაში გამოწყობილი მოვიდა შინ და ორასი მანეთი მოიტანა, ის გაიძვერად აღარავის ეჩვენებოდა. დეიდა დაშაც კი გამოვიდა, რომელსაც სძულდა, და ნაძალადევად მისცა სალამი.

სალამოთი სტუმრები დაჰპატიჟა და სიტყვა წარმოთქვა:

— მთავრობის მიერ წარმოებულ ყველა ამ პროცედურის დანიშნულებაა, — თქვა მან, — დაიცვან რევოლუციის თავისუფლება მათხოვრებისაგან, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ. მათხოვრები და ბოლშევიკები საძაგელ ავანტურას ჰქმნიან, რომლისაგანაც, რასაკვირველია, ზიანდება არსებული

წესწყობილების ყველა ნაყოფი. ჩვენთვის, თავისუფლების დამცველებისათვის, ეს ტრაგედია ძალიან უბრალოდ წყდება. ჩვენ ვიღებთ ხელში იარაღს და ვაი იმას, ვინც პირადი უფლებების დაკმაყოფილებისათვის შებღალავს რევოლუციას და თავისუფლებას! თავისუფლება ძვირად ღირს. ჩვენ მას იაფად არ დავთმობთ! ასეთია ზოგადი მოხაზულობით ამ მომენტის გარშემო არსებული გარემოება.

იმ საღამოს დედა ძალიან მხიარულად იყო. თეთრი ხავერდის ჟაკეტი, ეცვა, რომელიც ძალიან უხდებოდა. ღვინის ბოთლით ხელში სტუმრებთან ტრიალებდა და, გამოცლიდნენ თუ არა ღვინოს, ჭიქებს უვსებდა. მამინაცვლის მეგობარი — ტანმორჩილი, თავაზიანი მსუქანი კაცი, ისიც სიკვდილის ბატალიონიდან, წამოდგა და პატივისცემით მოუწოდა, დედაჩემის სადღეგრძელო დაელიათ. ჩემი მამინაცვალი სიტყვას რომ ამბობდა, იგი გულიანად იცინოდა. ახლა კი ერთბაშად დადინჯდა. ღვინით სავსე ჭიქა მაღლა ასწია, დედაჩემს ჭიქა მიუჯახუნა და მოკლედ თქვა: „ვაშა!“

ყველამ გაიმეორა: „ვაშა!“ დედაჩემი შეკრთა, ოდნავ შევარდისფერებული ოთახის შუაგულში გამოვიდა და ძველებურად დაბლა დაუკრა თავი.

— მზეთუნახავია! — ხმამაღლა თქვა მსუქანმა კაცმა.

შემდეგ მოხუცმა სკოვოროდნიკოვმა წარმოთქვა საპასუხო სიტყვა. მთვრალი იყო და ამიტომ ძალიან გრძელი პაუზებით ლაპარაკობდა, რომლის დროსაც ყველანი სდუმდნენ.

— თითოეულს უნდა ესმოდეს, რა არის სიკვდილი, — მკაცრად თქვა მან, — მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მუქთახორობის მეტს არაფერს აკეთებს და მას მხოლოდ ერთი გზა აქვს, — თქვენს ბატალიონში. მაგრამ მე, მაგალითად, ნაზუქითაც ვერ შემიტყუებთ. რატომ? იმიტომ რომ მე თქვენი თავისუფლებისათვის არა მსურს სიკვდილი. თქვენი თავისუფლება — ეს ვაჭრობაა და თქვენი ბატალიონიც იგივე ვაჭრობაა — შენი მომავალი სიკვდილის ორას მანეთად გაყიდვა. მომითმინეთ, რომ არ მოვკვდე? ფული უკან უნდა დავაბრუნო?

კიდევ რაღაცა თქვა მინისტრი-კაპიტალისტების შესახებ და დაჯდა. მუშტებმოღერებული ჩემი მამინაცვალი მიიჭრა სკოვოროდნიკოვთან. ცუდად გათავდებოდა ქეიფი... მაგრამ მსუქანი კაცი, რომელიც ამ საპასუხო სიტყვებზედაც გულიანად იცინოდა, წამოხტა და შუაში ჩაუვარდა. ვიდრე ის ჩემს მამინაც-

ვალს აშოშმინებდა, სკოვოროდნიკოვი ჯიბრზე ჩექმების ბრახაბრუ-ტით გავიდა.

მაგრამ ქეიფი მაინც ცუდად გათავდა.

თავი მეცამეტე

შორს გაცილება

ალბათ მესამე საათი იყო, მე უკვე დიდი ხანია მეძინა და ახლა ყვირილზე გამომეღვიძა. თამბაქოს ბოლი უმოძრაოდ იდგა მაგიდის ზემოდან. დიდი ხანია წავიდნენ ყველანი. ჩემს მამინაცვალს, გაშხლართულს, იატაკზე ეძინა. ყვირილი განმეორდა, დეიდა დაშას ხმა ვიცანი და ფანჯარასთან მივედი. ვიღაცა ქალი ეზოში ეგდო და დეიდა დაშა პირში უბერავდა.

— დეიდა დაშა!

თითქოს არ გაუგონიაო, დეიდა დაშა წამოხტა, რატომღაც მთელ სახლს შემოურბინა და ფანჯარა მოაკაკუნა.

— წყალი მომეცით, ივან პეტროვიჩ! იქ აქსინია გდია.

მე კარი გავუღე, იგი შემოვიდა და ჩემს მამინაცვალს გაღვიძება დაუწყო.

— ივან პეტროვიჩ! ოჰ, ღმერთო! — ჩემი მამინაცვალი მხოლოდ ზმუოდა, — სანია, აქ შემოვიყვანოთ, ეტყობა, ეზოში დაეცა და იტკინა რამე. ივან პეტროვიჩ!

ჩემი მამინაცვალი თვალებდახუჭული წამოჯდა, მერე ისევ გაიშხლართა. არა და არ იქნა, იმის გაღვიძებას არა ეშველა რა.

მთელი ღამე თავს დავტრიალებდით დედაჩემს, მხოლოდ გათენებისას მოვიდა გონს. უბრალოდ გული წასვლოდა, მაგრამ დაცემის დროს თავი ქვისთვის დაერტყა. საუბედუროდ, ჩვენ ეს მხოლოდ მეორე დღეს, საღამო ჟამს გავიგეთ ექიმისაგან: ექიმმა გვითხრა, ყინული ადეთო. მაგრამ ყინულის ყიდვა ყველას ეუცხოვა. დეიდა დაშამ გადაწყვიტა ყინულის მაგივრად სველი ტილო გვეფარებინა.

მახსოვს, როგორ გარბოდა ეზოში ატირებული სანია, ვედროში ტილოს ასველებდა და თან ხელის გულით ცრემლებს იწმენდდა. დედა იწვა მშვიდი, ისეთივე ფერმკრთალი, როგორც ყოველთვის. ერთხელაც არ უკითხავს ჩემი მამინაცვალი, რომელიც მეორე დღეს თავის ბატალიონში გადაბარგდა, მაგრამ ჩვენ — მე და ჩემ დას —

გვერდიდან არ გვიშორებდა. გულისრევა სტანჯავდა. წამდაუწუმ ოდნავ ჭუტავდა თვალებს, თითქოს ცდილობდა, რაღაც დაენახა, და ეს, რატომღაც, არ მოსწონდა დეიდა დაშას. სამი კვირა იავადმყოფა და გამოკეთებაც დაეტყო, მაგრამ უეცრად ისევ „წამოუარა“.

ერთხელ გათენებისას გამეღვიძა და დავინახე, რომ ტიტველა ფეხები ძირს ჩამოეშვა და ლოგინზე იჯდა.

— დედა!

წარბებქვემოდან გამომხედა, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ ვერა მხედავდა.

— დედა, დედა!

ისევ ისეთი გაშტერებული მკაცრი გამომეტყველებით მომიშორა, როცა მისი დაწვენა მოვინდომე...

ამ დღიდან ჭამა აკვეთა და ექიმმა გვითხრა, ძალით გვეჭმია კვერცხი და კარაქი. ეს მშვენიერი რჩევა იყო, მაგრამ ჩვენ ფული არა გვქონდა, ქალაქში კი, სულ ერთია, არც ერთი იშოვებოდა და არც მეორე.

დეიდა დაშა ტუქსავდა და თან ტიროდა, დედა კი იწვა არეული, დაღვრემილი, მკერდზე ნაწნავებგადმოყრილი და ხმას არ იღებდა. მხოლოდ ერთხელ, როცა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა დეიდა დაშამ გამოუცხადა, ვიცი, რატომ არა სჭამ, სიცოცხლე მოგძულებია და სწორედ იმიტომაც არა სჭამო, დედამ რაღაცა წაილუღლუღა, მოიღუშა და გვერდზე გადაბრუნდა.

ავადმყოფობის დროს დედა ძალიან ალერსიანად მექცეოდა და თითქმის სანიაზე ნაკლებ არ შევუყვარდი. ხშირად ჩამაშტერდებოდა ხოლმე ყურადღებით და თითქოს რაღაც გაკვირვებით. ავად გახდომამდე არასდროს არ უტირია, ახლა კი დღენიადაგ ტიროდა და მე ვგრძნობდი, რატომაც ტიროდა: სწუხდა, რომ წინათ არ ვუყვარდი, ნანობდა, რომ მამაჩემი დაივიწყა, შეიძლება პატიებას გვთხოვდა გაერის გამო, ყველა იმ უბედურების გამო, რაც ჩვენ გაერმა მოგვაყენა. თითქოს რაღაცამ შემკრაო, ხელიდან არაფერი გამომდიოდა, არაფერს არ ვაკეთებდი, არაფერზე არა ვფიქრობდი. ასეთივე იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარიც. არც მე, არც იმას სიტყვა არ დაგვიძრავს. მან მხოლოდ დამიძახა და ხელი მომკიდა, თავს აქნევდა და ათრთოლებულ ტუჩებს ძლივს იმორჩილებდა. მივხვდი, რომ გამოთხოვება უნდოდა, მაგრამ მე ხესავით ვიდექი და თავჩაღუნული იატაკს ჩავშტერებოდი.

მეორე დღეს გარდაიცვალა...

ჩემი მამინაცვალი, სრულ საპარადო ტანსაცმელში გამოწყობილი, ზურგზე შაშხანით, ქამარზე ყუმბარით, დერეფანში ტიროდა, მაგრამ, რატომღაც არავინ ყურადღებას არ აქცევდა...

მე და ჩემი და ეზოში ვისხედით და ყველა, ვინც კი მოვიდოდა, შეჩერდებოდა და ერთი და იგივეს ამბობდა: „გეცო დებათ განა დედა?" ან: „ახლა მარტონი დარჩნენ ობლები". ეს რაღაც საშინელი ჩვეულება იყო და საერთოდ ყველაფერი—ისიც, რომ ქალები, რომლებიც სკოვოროდნიკოვებთან ქაღალდის სათამაშოდ მოდიოდნენ, ჩვენთან ჩაიკეტნენ, მერე კალთებაკეცილებს დაკაპიწკბული მკლავებით ვედროები გამოჰქონდათ, თითქოს იატაკებს რეცხავენო, ისიც, რომ დეიდა დაშა რაღაც „შენდობის ფურცლისთვის" დარბოდა. მე მეგონა, რომ ჩვენ ამ წესის გათავებამდის ეზოში უნდა ვმსხდარიყავით, და ჩვენც ვისხედით და ველოდით.

მრავალი წლის შემდეგ ბალზაკი წავიკითხე, რომელიც ერთგან წერს: „ტანჯვისაგან დაკვირვების უნარი მახვილდებაო", და წამსვე ეს დღეები მომაგონდა, როცა აცმევდნენ, წესს უგებდნენ და ასაფლავებდნენ დედაჩემს. დამამახსოვრდა ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა—ჩემიც და სხვისაც. მივხვდი, თუ რატომ იყო, რომ პირველ დღეს, როცა დედაჩემი გულხელდაკრეფილი, ხელში ხატით მაგიდაზე ესვენა, ყველანი ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, შემდეგ უფრო ხმამაღლა და ბოლოს ყველამ თავისი ჩვეულებრივი ხმით დაიწყო ლაპარაკი. ყველა—სკოვოროდნიკოვი, ჩემი მამინაცვალი და დეიდა დაშაც შეურიგდა მის სიკვდილს. გულგახეთქილმა შევამჩნიე, რომ თვითონ მეც უეცრად სულ სხვაგან წამიღო ფიქრებმა.

ნუთუ მეც შევურიგდი ამას, ნუთუ ვფიქრობ ჯილაზე, რომელიც პეტკამ დიდი ხანია მაჩუქა და მე კი დედაჩემის სიკვდილის გამო ვერა და ვერ შევამოწმე. და მაშინვე სინანულით ვაიძულებდი ჩემ თავს, დედაჩემზე მეფიქრა.

ასე იყო დასაფლავების დღესაც.

სანიას თავი სტკიოდა და შინ დატოვეს. ჩემ მამინაცვალს, რომელიც დილიდანვე ბატალიონში გამოიძახეს, გამოსვენებაზე დაუგვიანდა და ჩვენ ორი საათის ლოდინის შემდეგ მარტონი გავყევით კუბოს, ჩვენ, ესე იგი სკოვოროდნიკოვი, დეიდა დაშა და მე.

ისინი ფეხით მოსდევდნენ, დეიდა დაშას სამგლოვიარო ეტლის კავისთვის ჩაეჭიდა ხელი, რომ არ ჩამოგვრჩენოდა, მე კი ზედ სამგლოვიარო ეტლზე დამსვეს.

მრცხვენია, რომ ვიგონებ, მაგრამ სიამაყეს ვგრძნობდი, როცა გზაზე ნაცნობი ბიჭები გვხვდებოდნენ, რომლებიც შეჩერდებოდნენ და თვალს აყოლებდნენ ჩვენს პროცესიას, ან როდესაც ვინმე ორი-სამი წუთით შემოგვეერთდებოდა, რომ ეკითხა—ვის მიასვენებენო. მაშინ ჩემ თავს ვაიცხავდი. მაგრამ ჩვენ სულ უფრო და უფრო შორს მივდიოდით, გულგრილი მეეტლე რომელსაც თავზე კეპი ეხურა და ჭუჭყიანი ხალათი ეცვა, ნამძინარევი დასჭყიოდა თავის ჯაგლაგ ცხენს. კვლავ ფიქრებში დავცურავდი, ღმერთმა იცის, სად... შორს ამ საბრალო კუბოსაგან, რომელსაც ოდნავ ჰფარავდა თეთრი ნაჭერი.

აი, ზასტენნაია. გალავნის გამონგრეულ ადგილებს ხის ფიცრები ჰქონდა მიფარებული, რომ უბილეთოდ არავინ შეპარულიყო საზაფხულო ბაღში, და არავინ ჩემსა და პეტკას მეტმა არ იცის, რომ ბოლოდან მეორე ფიცარი შეიძლება გასწიო—და შებრძანდი ბაღში! გინდა, მუსიკას უსმინე, გინდა ფარულად მიხაკი დაკრიფე და სპექტაკლის შემდეგ კონა შაურად მიჰყიდე ხალხს!

აი, სამხედრო სასწავლებელი—ლეიბებით დატვირთული ფორნები ეზოში დგანან და რუხ მაზარებში ჩაცმული ხალხი, არ ვიცი, ოფიცრები თუ გიმნაზიელები რატომღაც ლეიბებს მიათრევენ და მეორე სართულის ფანჯრებს უცობენ. აი, „აფონინის გორაკი", რომლის შესახებაც ქალაქში ამბობენ, რომ ეს მიწაში ჩამარხული ეკლესიაა და აღდგომის ღამეს მიწიდან გალობა ისმისო. ვიღაცეები ფუსფუსებდნენ „აფონინის გორაკზე" და იქაც, რომ დავაკვირდი, იგივე რუხი მაზარები დავინახე, რომლებიც მიწაზე დაყრილ ხის ტოტებს შორის მოჩანდნენ.

უეცრად გამოვფხიზლდი. მომაგონდა, რომ ჯერ კიდევ ბაზრის მოედანზე რომ გამოვიარეთ, სათათბიროს კარებთან გუშაგი იდგა, ბაღში ღობის იქით სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ვიღაც კაცები ფაციფუცით, ჩქარ-ჩქარა მიდი-მოდიოდნენ, ერთი მათგანი ტყვიამფრქვევს მიათრევდა. მაღაზიები დაკეტილი იყო, ქუჩები—დაცარიელებული. სერგიევის ქუჩა რომ გავიარეთ, მერე ერთი კაციც არ შეგვხვედრია. ნეტა რა მოხდა?

ჭუჭყიან ხალათიანი მეეტლე ჩქარობდა და წამდაუწუმ ცხენს შოლტს აწნავდა. დეიდა დაშა და სკოვოროდნიკოვი ძლივს მოგვდევდნენ. ჩვენ პოსადის უშენზე გამოვედით—ასე ერქვა

ცარიელ ჭუჭყიან ადგილს ქალაქსა და პოსადს შორის. იქვე ფერდობი ჩადიოდა მდინარისაკენ, მეწისქვილის ხიდი... შორს რაღაცამ მოკლედ დაიკაკანა. მეეტლემ შიშით მოიხედა უკან და მათრახი გაუბედავად ასწია. დეიდა დაშა დაგვეწია და ლანძღვა დაუწყო.

— ხომ არ გაგიჟდი? შეშა კი არ მიგაქვს!

— ისვრიან, — უპასუხა მოღუშულმა მეეტლემ.

ფერდობი მდინარისაკენ ჩახრამული იყო და რამდენიმე წუთი ისე მივდიოდით, რომ ირგვლივ ვერაფერსა ვხედავდით. სადღაც ისროდნენ, მაგრამ სულ უფრო კანტიკუნტად. უკვე გამოჩნდა მეწისქვილის ხიდი. აქ რამდენჯერ დამიჭერია თევზი. უცებ მეეტლე წამოდგა და შოლტი მოიქნია, ცხენმა გაიწია და ჩვენ ისე გავქანდით, რომ დეიდა დაშა და სკოვოროდნიკოვი სადღაც შორს დაგვრჩნენ.

ალბათ ეს ტყვიები იყო, რადგანაც სამგლოვიარო ეტლს ნაფოტები ასცვივდა და ერთი ნაფოტი შიგ სახეში მომხვდა. ჩუჭურთმიანი სვეტი, რომელზედაც ხელი მეჭიდა, მოირყა, დაიჭრაჭუნა, ჩვენ შევინჯღერით—და სვეტი გზაზე გადავარდა. შესმოდა, სადღაც შორს როგორ ყვიროდა სკოვოროდნიკოვი, ტიროდა და ილანძღებოდა დეიდა დაშა.

თვალებზე ქუდჩამოფხატული მეეტლე შოლტის ქნევით პირდაპირ ხიდისკენ მიერეკებოდა ცხენს. თითქოს ვერა ხედავდა, რომ შესასვლელი ძელებით, ფიცრებით და აგურებით იყო გადაღობილი. ერთიც და ცხენმა უკან დაიხია, ჯერ მარჯვნივ გაიწია, მერე მარცხნივ და გაჩერდა.

გადაღობილიდან ხალხი გადმოცვივდა. მათ შორის ჩემი ნაცნობი ასოთამწყობი ვიცანი, რომელიც შარშან ზაფხულს მკითხავის ოთახში იდგა მეზობელ ეზოში. ხელში შაშხანა ეჭირა, ხოლო ტყავის ქამარზე, რომელიც ჩვეულებრივ პალტოზე შემორტყმული თვალს ეჩოთირებოდა, ნაგანი ეკიდა, ყველანი შეიარაღებულნი იყვნენ, ზოგიერთებს ხმლებიც კი ერტყა.

მეეტლე გადმოვიდა. ხალათის კალთები აიკეცა, შოლტი ჩექმის ყელში ჩაიდო და ლანძღვას მოჰყვა.

— ყერა ხედავთ, რომ დასაფლავებაა? ცხენი კინაღამ მომიკალით.

— ჩვენ არ ვისროდით, — უპასუხა ასოთამწყობმა, — ბარიკადებს ვერა ხედავ, სულელო?

— რა გვარი ხარ?—ყვიროდა მეეტლე.—მე თქვენ პასუხს გაგებინებთ, ეტლს ვინ შემიკეთებს? — ეტლს გარშემო უვლიდა და დაზიანებულ ადგილებს თითით სინჯავდა.—ღერძიც გაგიტეხიათ!

— სულელო,—განაგრძო ასოთამწყობმა,—ჩვენ არა ვყოფილვართ-მეთქი, არ გესმის? კუბოებს დავუწყებთ სროლას, ტუტუცო?!

— ვის ასაფლავებ, ბიჭუნა?—ხმადაბლა მკითხა ხანში შესულმა ფაფახიანმა კაცმა, რომელსაც ფაფახზე კოკარდის ნაცვლად წითელი ბაფთი ეკეთა.

— დედას,—წავილუღლუღე მე.

მან ფაფახი მოიხადა.

— თქვენ, ამხანაგებო, ცოტა წყნარად,—თქვა მან.—დასაფლავებაა. აი, ყმაწვილი დედას აცილებს... უხერხულია, რაც არ უნდა იყოს.

ყველამ მე შემომხედა. ალბათ ვერაფერი შესახედავი ვიყავი, რადგან, როცა ყველაფერი მოგვარდა და დეიდა დაშაც ტირილით დაგვეწია, როცა წისქვილს ჩავუარეთ და ხიდზე გავედით, ჩემი ქურთუკის ჯიბეში ორი ნატეხი შაქარი და ერთი თეთრი ორცხობილი აღმოვაჩინე.

დასაფლავებიდან გატანჯულები პესჩინკის გაღმა ნაპირით დავბრუნდით შინ.

ქალაქი ელვარებდა: იწვოდა კრასნოიარსკის პოლკის ყაზარმები. პონტონის ხიდთან სკოვოროდნიკოვი ნაცნობ გუშაგს შეეხმაურა და გააბეს გაუთავებელი საუბარი, საიდანაც მე ვერაფერი გავიგე: ვიღაცამ სადღაც გზა აჰყარა, ცხენოსანთა კორპუსმა პეტროგრადს შეუტია, სადგური სიკვდილის ბატალიონს უჭირავს. გვარი „კერენსკი“ სხვადასხვა დამატებებით წამდაუწუმ მეორდებოდა. მე ფეხზე ძლივს ვიდექი, დეიდა დაშა კი სულ ოხრავდა და ეიშვიშებდა.

შინ რომ დავბრუნდით, ჩემ დას უკვე ეძინა, არ გამიხდია, ისე ჩამოვჯექი ლოგინზე მის გვერდით.

არ ვიცი რატომ, მაგრამ იმ ღამეს, პირველ ღამეს, როცა ჩვენ მარტონი დავრჩით, დეიდა დაშას ჩვენთან არა სძინებია. ფაფა მომიტანა და, რაკი არა მშიოდა, თეფში ფანჯარაზე დადგა. ფანჯარაზე და არა მაგიდაზე, სადაც დილით დედაჩემი ესვენა. ეს დილით—ახლა კი ღამეა. სანიას იმის ლოგინზე სძინავს, იმის ლოგინზე, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ის იწვა, შუბლზე გვირგვინით და ხელში „შენდობის ფურცლით“,—მე არც კი ვიცოდი, ასეთი სახელი თუ ერქვა იმ მილივით დახვეულ ქაღალდს.

მე ავდექი და ფანჯარასთან მივედი. ეზოში ბნელოდა, მდინარეზე კი ისევ ცეცხლის ალი იდგა, შავი ბოლის ზოლები ჩაღდებოდა და ქრებოდა.

ყაზარმები იწვის, მაგრამ ეს ხომ რკინიგზის იქით არის, შორს, სულ სხვა მხარეს! მომაგონდა, როგორ მომკიდა ხელი დედამ, თავს როგორ აქნევდა და ცდილობდა არ ეტირა, რატომ არაფერი არ ეუთხარი? როგორ ელოდა თუნდაც ერთ სიტყვას.

კენჭებს ნაპირს აყრიდა,—ეტყობა ქარი ამოვარდა. წინწკლაც დაიწყო. დიდხანს უაზროდ ვუყურებდი, როგორ მოგორავდნენ დიდრონი მსავილი წვეთები ფანჯრის მინაზე—ჯერ ნელ-ნელა, შემდეგ სულ უფრო ჩქარა და ჩქარა.

სიზმარში ვნახე, რომ ვილაცამ კარებს მოსწია, ოთახში შემოვარდა და სველი მაზარა იატაკზე დააგდო. უცბად ვერ მივხვდი, რომ ეს სრულიადაც არ იყო სიზმარი. ჩემი მამინაცვალი აქეთ-იქით აწყდებოდა და თან გიმნასტურას იხდიდა, კბილების კრაჭუნით იძრობდა, მაგრამ ისე მიჰკვროდა ტანზე, რომ ვერაფრით ვერ მოეხერხებინა გახდა. ტიტველა, ქვედა საცვალის ამარა თავის სკივრს ეცა და იქიდან ზურგჩანთა ამოიღო.

— პიოტრ ივანიჩ!

ერთი კი შემომხედა, მაგრამ არაფერი უპასუხნია, ბანჯგვლიანი და გაოფლიანებული საჩქაროდ აწყობდა ; თეთრეულს სკივრიდან ჩანთაში. საბანი დაახვია, მუხლით დააწვა და ღ ვედი გადაუჭირა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბოროტად უთრთოდა ტუჩები და მოუჩანდა მსხვილი და გრძელი კბილები, ნამდვილი მგლური კბილები.

სამი გიმნასტურა ზედ ჩაიცვა, მეოთხე კი ჩანთაში ჩატენა. ეტყობა, დაავიწყდა, რომ მე მეღვიძა, თორემ ალბათ სინდისი არ მისცემდა, ლურსმნიდან დედაჩემის თეთრი ჟაკეტი ჩამოეგლიჯა და ისიც ჩანთაში ჩაეტენა.

— პიოტრ ივანიჩ!

— ხმა ჩაიკმინდე!—მითხრა მან და ერთი ამომხედა.—ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი!

ფეხსაცმელი გამოიცვალა, მაზარა ჩაიცვა და უეცრად სახელოზე თავის ქალას და ძვლებს მოჰკრა თვალი. ლანძღვით ისევ გაიხადა მაზარა და კბილით ააგლიჯა თავის ქალისა და ძვლების გამოსახულება. ჩანთა მხარზე მოიგდო—და ათი წლით გაქრა ჩემი ცხოვრებიდან. დარჩა მხოლოდ ტალახიანი ნაფეხურები

იატაკზე და პაპიროს „კატიკის“ ცარიელი თუნუქის კოლოფი, რომელშიაც საკინძებს და ფერად ქინძისთავებს ინახავდა.

მეორე დღეს ყველაფერი გამოირკვა. სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. სიკვდილის ბატალიონი და მოხალისენი გამოვიდნენ მათ წინააღმდეგ. მაგრამ ისინი გაანადგურეს.

თავი მეთოთხმეტე

გაქცევა. არა მძინავს. თავს ვიმძინარებ

ნეტა საიდან მოიგონა პეტკამ, რომ ახლა ყველა რკინიგზებზე უფასოდ შეიძლება მგზავრობაო? ალბათ ხმებმა უფასო ტრამვაის შესახებ პეტკას ყურამდის ასე გაზვიადებულად მოაღწია.

— დიდებისათვის მივლინებაა საჭირო,—მტკიცედ თქვა მან,— ჩვენ კი არაფერი გვჭირდება.

ის უკვე აღარ სდუმდა—მაგულიანებდა, მაბრაზებდა, მკიცხავდა სიმხდალის გამო და დამცინოდა. რაც უნდა მომხდარიყო ქვეყანაზე, ყველაფერი აქეზებდა, რომ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დაგვეყოვნებინა და თურქესტანისაკენ მოგვესვა. სკოვოროდნიკოვმა გამოაცხადა, ბოლშევიკი ვარო, და დეიდა დაშას უბრძანა ხატები ჩამოეხსნა. პეტკამ მაშინვე თავის სასარგებლოდ ახსნა ეს მოვლენა და დაამტკიცა, რომ, სულ ერთია, ახლა ეზოში აღარავის ედგომებოდა.

— დედაკაცები შეეშინენ,—თქვა პირქუშად.—ვინ იცის კიდევ რას იზამს.

სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა ბრძანება გასცა, ღვინის სარდაფები გაეტეხათ და ღვინო პესჩინკაში ჩაეშვათ. თურმე ესეც ხელს უწყობდა ჩვენს გეგმას.

— თევზი გაწყდება,—გულგრილად, დიდივითა თქვა პეტკამ,— და მაინც სულ ერთია, ახლა არყის გამოხდას დაიწყებენ. არა, უნდა წავიდეთ!

არ ვიცი, დამიყოლიებდა ბოლოს და ბოლოს თუ არა, დეიდა დაშას და სკოვოროდნიკოვს ოჯახის საბჭოზე რომ არ გადაეწყვიტათ ჩემი და სანიას თავშესაფარში მიცემა. დეიდა დაშას ყველაფერი ეხერხებოდა, პერანგებსა ჰქარგავდა, შუქფარებს აკეთებდა,

მაგრამ ვისლა სცხელოდა ახლა მისი შუქფარებისათვის? სკოვოროდნიკოვზე გათხოვებით იქნებ თავისი ოჯახის ფეხზე წამოყენების იმედი ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკური მოღვაწეობით გატაცებულმა მოხუცმა თავი მიანება თავის უნივერსალურ წებოს და საბოლოოდ აღარ იცოდნენ, რითი უნდა ეცხოვრათ.

თვალცრემლიანმა დეიდა დაშამ გამოგვიცხადა, რომ ყოველდღე ივლიდა ჩვენთან და რომ ჩვენ მხოლოდ ზამთარს გავატარებდით თავშესაფარში, ზაფხულში კი უსათუოდ შინ დავბრუნდებოდით. თავშესაფარში ჩვენ გვაჭმევენ, გვასწავლიან და ჩაგვაცმევენ. მოგვცემენ ახალ წაღებს, ორ პერანგს, პალტოს, ქუდს, წინდებსა და პერანგის ამბანაგს. მახსოვს, ვკითხე კიდეც:

— პერანგის ამხანაგი რაღაა-მეთქი?

ჩვენ ვიცნობდით თავშესაფარის ბავშვებს. ესენი იყვნენ რუხ ქურთუკებსა და დაჭმუჭნილ რუხ შარვლებში გამოწყობილი ყვიციანი ბავშვები. შურდულით მარჯვედ ხოცავდნენ ჩიტებს და მერე თავიანთ ბაღში სწვავდნენ და სჭამდნენ. აი, როგორი კვება იყო თავშესაფარში! საერთოდ ისინი „პატიმრებად“ ითვლებოდნენ, ჩვენ ვეჩხუბებოდით ხოლმე. და ახლა მეც „პატიმარი“ უნდა გავმხდარიყავი.

იმ დღესვე წავედი პეტკასთან და თანხმობა განვუცხადე. ფული ცოტა გვქონდა—ათი მანეთი. ბაზარზე დედას ფეხსაცმელები გავყიდე—კიდევ ათი მანეთი. სულ ოცი მანეთი. სახლიდან დიდი სიფრთხილით გამოვიტანე საბანი. ასეთივე სიფრთხილით დავაბრუნეთ უკან. არავინ ინდომა, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან იაფად ვაძლევდით, მგონი ოთხ და ათ შაურად. სწორედ ეს ოთხი და ათი შაური შევჭამეთ, ვიდრე საბნით ბაზარზე დავეხეტებოდით. დაგვრჩა სულ—თხუთმეტი და ათი შაური.

პეტკას თავისი წიგნების გასაღება უნდოდა. საბედნიეროდ, არავინ იყიდა. საბედნიეროდ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ეს წიგნები ახლა ჩემს ბიბლიოთეკაში ყველაზე საპატიო ადგილზე აწყვია. თუმცა ერთის, მგონი „იური მილოსლავსკის“ გაყიდვა მაინც მოვახერხეთ. ესეც თექვსმეტი მანეთი.

ჩვენი ანგარიშით ეს ფული ბიძასთან მიგვიყვანდა, მერე კი დაიწყებოდა მიმზიდველი, ჩინებული ცხოვრება ორთქლმავალზე. მახსოვს, ძალიან გვაღელვებდა და დიდ დავას იწვევდა შეიარაღების საკითხი. პეტკას ფინური დანა ჰქონდა, რომელსაც ხანჯალს უწოდებდა. ძველი ჩექმისაგან ქარქაში გავუკეთეთ, მაგრამ

გამგზავრება ცივი იარაღის ამარა რაღაც არასაინტერესო იყო. სად ვიშოვოთ რევოლვერი?

ერთ ხანს იმედი გვქონდა, რომ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი მოგვცემდა თითო ნაგანს. მერე გადავწყვიტეთ, არ მოგვცემსო, და ბაზრისაკენ გავწიეთ—იქნებ ვინმე დეზერტირმა მოგვყიდოს თავისი იარაღიო.

დიდი ძებნის შემდეგ ვიპოვეთ რაც გვინდოდა.

ეს იყო დიდი, ხუთლულიანი დაჩუქურთმებულტარიანი რევოლვერი, სწორედ ხუთლულიანი, მე არ შემშლია. მისი ხუთივე ლულა იტენებოდა და ყოველი გასროლის შემდეგ ეს ლულები ხელით უნდა მოგეტრიალებინათ. ეჭვს გარეშეა, რომ ის ადამის ჟამის რევოლვერი იყო, მერე მუზეუმში ვნახე ასეთი. მაგრამ ჩვენ ძალიან მოგვეწონა. სწორედ ამ ხუთმა ლულამ გაგვაოცა. უჰ, შენი გულისა, აქედან რომ გაისვრი! თანაც დეზერტირი კი არა ჰყიდდა, გენერლის მოხუცი ცოლი—ესეც პატივისცემას გვინერგავდა. ერთი სიტყვით, თექვსმეტი მანეთიდან, ვინ იცის, სამ და ათ შაურზე მეტიც არ დაგვრჩენოდა, რომ გენერლის მოხუცი ცოლი თავის რევოლვრიანად არ გამქრალიყო, ვიდრე ჩვენ ფულის ფოსტანად ვიყავით წასულები.

ახლა ვხედავ, რომ მაინც ბედი გვეწია. ხომ შეიძლებოდა, ის იარაღი გვეყიდა და გაგვეესინჯა (ჩვენ საფანტიც მომზადებული გვქონდა), მაშინ ჩვენი მარშრუტი ენსკი—მოსკოვი—ტაშკენტი, შეიცვლებოდა ახალი მარშრუტით: ჩვენი ეზო—სპასკის სასაფლაო.

ამგვარად, გადაწყდა, ცივი იარაღით დავკმაყოფილებულიყავით.

სხვა ყველაფერი სრულ წესრიგში იყო: მაგარი ფეხსაცმელი, პალტო მთელი, პეტკას თხის ბეწვის საყელოც კი ჰქონდა პალტოზე, შარვალი თითო წყვილი.

იმ დღეს ძალიან დაძმარებული ვიყავი და დეიდა დაშამ რამდენჯერმე სცადა ვენუგეშებინე. საწყალი დეიდა დაშა! სცოდნოდა ერთი, რომ ჩვენი წასვლა მხოლოდ მისი ნამცხვრების გამო გადავდეთ! მეორე დღეს უნდა წავეყვანეთ მე და სანია თავშესაფარში და მთელი დღე „საგზაოდ“ ნამცხვარს გვიცხობდა. აცხობდა და თან წამდაუწუმ სათვალეს იხსნიდა და ცხვირს იხოცავდა.

მე პირობა ჩამომართვა, არ მექურდა, თუთუნი არ მომეწია, უხეშად არავისთვის მიმემართა, არ მეზარმაცა, არ მელოთა,

ლანძღვა არ დამეწყო და არ მეჩხუბა—უფრო მეტი მცნება, ვიდრე საღმრთო წერილშია. ჩემ დაიკოს, რომელიც ძალიან დაღონებული იყო, მშვენიერი ძველებური ბაფთი აჩუქა.

რა თქმა უნდა, უბრალოდ შეიძლებოდა გაპარვა სახლიდან—და მერე მოგეპარა ჭირი! მაგრამ პეტკამ გადაწყვიტა, ასეთი წასვლა საინტერესო არ იქნებაო, და საკმაოდ რთული გეგმა გამოიმუშავა, რომელმაც გამაოცა თავისი იდუმალებით.

ჯერ ერთი, ჩვენ ერთმანეთისათვის ძმობა უნდა შეგვეფიცა.

აი ეს ფიცი:

„ვინც ამ პატიოსან სიტყვას უღალატებს, პატიებას ნუღარ ელის, ვიდრე არ დათვლის ზღვაში ქვიშას, ტყეში ფოთოლს, წვიმის წვეთებს; წინ წასვლა უნდოდეს—უკან გააბრუნე, მარცხნივ წასვლა უნდოდეს—მარჯვნივ გაგზავნე. როგორც მე დავანარცხებ ჩემ ქუდს მიწას, ისე განგმირავს მეხი ამ პატიოსანი სიტყვის გამტეხს. იბრძოლე და ეძიე, ჰპოვე და უკან არ დაიხიო“.

ამ ფიცის წარმოთქმის შემდეგ ჩვენ ხელი უნდა ჩამოგვერთმია ერთმანეთისათვის და ერთდროულად უნდა დაგვენარცხებინა ქუდები მიწაზე, ეს გავაკეთეთ ტაძრის ეზოში გამგზავრების წინა დღეს. მე ზეპირად ვთქვი ფიცი, პეტკამ დაწერილი წაიკითხა. შემდეგ თითში ნემსი იჩხვლიტა და სისხლით მოაწერა: პ. ს.—პიოტრ სკოვოროდნიკოვი. მე ძლივს წავჩხაპნე ა. გ.—ალექსანდრე გრიგორიევი.

მეორე, ათ საათზე უნდა დავწოლილიყავი დასაძინებლად და თავი მომემძინარებინა, თუმცა არავის აინტერესებდა, მეძინა თუ მხოლოდ თავს ვიმძინარებდი. ღამის სამ საათზე პეტკას სამჯერ უნდა დაესტვინა ფანჯარასთან. ეს იქნებოდა პირობითი ნიშანი: ყველაფერი რიგზეა. გზა თავისუფალია. შეიძლება გაქცევა.

ეს ბევრად უფრო საშიში იყო, ვიდრე დღისით გაქცევა, როცა მართლაც ყველაფერი რიგზეა, გზაც—თავისუფალი; როცა ვერავინ ვერ შეამჩნევდა ჩვენს გაპარვას. ღამე გუშაგებს შეეძლოთ ეტაცათ ხელი—ქალაქი საალყო მდგომარეობაში იყო—ძალლებსაც აუშვებდნენ ხოლმე. მაგრამ პეტკამ მიბრძანა და მეც დავემორჩილე. აი, დადგა ეს საღამოც—უკანასკნელი საღამო მშობლიურ სახლში.

დეიდა დაშა მაგიდასთან ზის და რაღაცას აკერებს, ალბათ ჩემს პერანგს, თუმცა თავშესაფარში თეთრეულს აძლევენ, მაგრამ ერთი ხელი მაინც იყოს, ყოველი შემთხვევისათვის! წინ ლამპა

უდგას, ლამპაზე—ცისფერი შუქფარი, რომელიც დეიდა დაშამ დედაჩემს აჩუქა ქორწილის დღეს. ახლა ის რაღაც დარცხვენილად გამოიყურება—თითქოს ცუდად გრძნობს თავს ჩვენს გამოცარიელებულ სახლში. კუთხეებში ბნელა. ჩაიდანი ქურის ზემოთ ჰკიდია, ხოლო კედელზე—ჩაიდანის ჩრდილი კი არა, თითქოს ვიღაცის ვეებერთელა გადძობრუნებული ცხვირია. ფანჯრის ჭუჭრუტანიდან სიგრილე მოდის და მდინარის სუნი სცემს. დეიდა დაშა ჰკერავს და თან ლაპარაკობს. რაღაცას იღებს მაგიდიდან და ნათელი წრე ჭერზე კანკალს იწყებს. ათი საათია. მე თავს ვიმძინარებ...

— სანია, აბა შენ იცი, ძმას როგორ დაუჯერებ, ყველაფერს გაუგონებ,—ეუბნება დეიდა დაშა ჩემ დას.—შენ გოგონა ხარ, მას უნდა დაუჯერო. ჩვენ ყოველთვის მამაკაცების იმედი გვაქვს ხოლმე. ნუ გეშინია, ის შენს თავს არავის დააჩაგვრინებს.

გული მეტანჯება, მაგრამ ვცდილობ სანიაზე არ ვიფიქრო. აი, მოსკოვში ჩამოვედით, პეტკას ბიძა სადგურზე დაგვხვდა, სკოვოროდნიკოვსა ჰგავს, მაგრამ სულ ახალგაზრდა და მხიარულია. ორთქლმავალი შორ გზას ადგია, შავი კაცი ქურაში ნახშირს უმატებს, მილიდან ნაპერწკლები ცვივა და ქრება. ჩვენ მივქრიავართ, ელავენ ხეები, ხან ძირს ეშვებიან, ხან მაღლა იწევიან ტელეგრაფის ბავთულები. ახლა მე და პეტკაც ვყრით ნახშირს ქურაში—ცხელა, მაიარულადა ვართ. გარეთ გამოიხედავ და—ყურებში ქარი გიზუის.

— შენ კი, სანია,—მეუბნება დეიდა დაშა და მე ვხედავ, როგორ მოგორავს ცრემლი სათვალის ქვეშ და ჩემს პერანგს ეცემა,—დას გაუფრთხილდი. თქვენ სხვადასხვა განყოფილებაში იქნებით, მაგრამ მე ვთხოვე, რომ ყოველდღე მოგცენ მისი ნახვის ნება.

— კეთილი, დეიდა დაშა.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, ცოცხალი ყოფილიყო აქსინია...—იგი ლამპას ასწორებს, ძაფს აგებს და კელავ განაგრძობს თავის საქმეს.

თერთმეტის ნახევარია. მე არა მძინავს, თავს ვიმძინარებ... ვხედავ თეთრი ყვავილებით გადაპენტილ ხეებს, ჩრდილში კი ყვავილებქვეშ ხალიჩებს—ლურჯს, მწვანეს, ცისფერს. ჩვენ თურქესტანში ვართ. ფორთოხლები პირდაპირ ქუჩებში იზრდება. ჯერ მალულად ვკრეფთ, მერე უფრო და უფრო თამამად. უკვე ჩასაწყობი ადგილიც აღარსადა გვაქვს, პეტკა იღებს მეორე წყვილ შარვალს, ტოტებს ჰკვანძავს და ფორთოხალს შარვალში ჰყრის. აი,

წვერიან მოხუცს პატარა თეთრ სახლში მივყევართ, კედელზე თოფიარაღი ჰკიდია: ხანჯლები, ხუთლულიანი რევოლვერები და ვერცხლში ჩასმული მოღუნული ხმლები. „იახში?“—გვეუბნება იგი და გვთავაზობს—თითო ხანჯალი, თითო რევოლვერი და თითო ხმალი ამოვირჩიოთ.

— კითხვასაც გასწავლიან, წერასაც,—ბურანში მესმის და ვფიქრობ, დეიდა დაშა საიდანღა გაჩნდა-მეთქი აქ?—ვინ იცის, იქნებ შენც კაცი გამოხვიდე, შეიძლება მერე ჩვენც მადლობა გვითხრა.

მე არა მძინავს, თავს ვიმძინარებ. თორმეტის ნახევარია, თორმეტი. დეიდა დაშა დგება. უკანასკნელად, სულ უკანასკნელად ვხედავ ქვემოდან ლამპის შუქით განათებულ მის კეთილ სახეს. ლამპის შუშას ხელის გულს აფარებს, უბერავს და ბნელდება. სიბნელეში პირჯვარს გვსახავს და წვება,—დღეს ჩვენთან იძინებს.

კარგია თავის მომძინარება, როცა არ გეძინება! მე კი თვალებს ძლივს ვახელ. რომელი საათია? სამ საათამდე კიდევ დიდი დროა. მდინარიდან მთვრალების სიმღერა მოისმის. ქარი წვრილ კენჭებს ნაპირს აყრის, პირობითი ნიშანი კი არა და არ არის. მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევს სიჩუმეს და დეიდა დაშა ვიშ-ვიშით წამდაუწუმ გვერდს იცვლის.

რომ არ დამეძინოს, მე ვჯდები და თავს მუხლებზე ვდებ. თავს ვიმძინარებ. სტვენა მესმის, მაგრამ ვერ ვიღვიძებ.

შემდეგ პეტკამ მითხრა, ვიდრე გაგაღვიძებდი, სტვენით ბოშასავით ყელი ჩამეხლიჩაო. სულ უსტვენდა, ვიდრე ჩექმებსა და პალტოს ვიცვამდი და ტომარაში ნამცხვრებს ვაწყობდი. ძალიან გაჯავრებულმა რატომღაც მიბრძანა, პალტოს საყელო ამეწია, და გავიქეცით.

ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ხელი არავის უხლია—არც ძაღლსა და არც ადამიანს. მართალია, ყოველ შემთხვევისათვის, სამიოდე ვერსით შემოვუარეთ ქალაქის თხრილს. გზაში ვცდილობდი, გამეგო პეტკასგან: დარწმუნებული კია, რომ ახლა ყველა რკინიგზაზე მგზავრობა უფასოა? მიპასუხა, დარწმუნებული ვარ—თუ გაჭირდა სკამის ქვეშ შევსხდებით და ისე ჩავალთ, სულ ორი ღამე და—მოსკოვში ვიქნებით, ჩქარი მატარებელი ხუთზე და ორმოცზე გადისო.

ხუთ საათსა და ორმოც წუთზე არავითარი მატარებელი არ გადიოდა. გუშაგებს გვერდი ავუხვიეთ და სადგურიდან ნა-

ბევარი ვერსის მანძილზე ლობეზე გადავეშვით. ოდნავ ბრწყინავდა სველი, შავი ლიანდაგი, მკრთალად ანათებდნენ ისრებზე ყვითელი ფარნები. რა უნდა გვექნა? დილამდის სადგურზე გვეყურაუტა? არ შეიძლებოდა: ვაითუ გუშაგებს დავეჭირეთ! შინ დავბრუნებულიყავით?

სწორედ ამ წუთში წვერიანი, თავიდან ფეხებამდის ზეთში ამოსვრილი გადამბმელი საბარგო მატარებლის შემადგენლობის ქვეშიდან გამოძვრა და განძელებით ჩვენკენ წამოვიდა.

— ბიძია,—თამამად ჰკითხა პეტკამ,—მოსკოვისაკენ რომელი გზა მიდის, მარცხნივ თუ მარჯვნივ?

გადამბმელმა ჯერ მას შეხედა, მერე მე. შიშისაგან გამაცია. ახლავე კომენდატურაში გაგვგზავნის-მეთქი, გავიფიქრე.

— მოსკოვამდის, ბიჭებო, ხუთასი ვერსია.

— შენ მარტო ის გვითხარი, ბიძია, მარჯვნივ თუ მარცხნივ.

გადამბმელს გაეცინა.

— მარცხნივ.

— გმადლობთ, ბიძია! სანკა, წავედით მარცხნივ.

თავი მეთხუთმეტე

იბრძოლე და ეძიე, ჰპოვე და უკან არ დაიხიო

ყველა მგზავრობა, როცა მოგზაურები თერთმეტ-თორმეტი წლისანი არიან, როცა ისინი ვაგონების ქვეშ აკრულნი მგზავრობენ და თვეობით პირს არ იბანენ, ერთიმეორესა ჰგავს. ამაში დარწმუნება ადვილია, თუ რამდენიმე წიგნს გადავფურცლავთ უპატრონო ბავშვების ცხოვრებიდან. ამიტომ მეც არ შევუდგები ჩვენი მოგზაურობის აღწერას ენსკიდან მოსკოვამდე.

დეიდა დაშას შვიდი მცნება მალე დავიწყებას მიეცა. ჩვენ ვილანძღებოდით, ვჩხუბობდით, ვწევდით თამბაქოს, და ზოგჯერ ნაკელსაც კი, გასათბობად. ათასნაირ ტყუილს ვიგონებდით: ხან ვითომ დეიდას დავეკარგენით გზაში, რომელიც ორენბურგში წავიდა მარილისათვის, ხან ლტოლვილები ვიყავით და დიდედასთან მივდიოდით მოსკოვში. თავს ძმებად ვასაღებდით—ეს გულისამაჩუყებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. სიმღერა არ ვიცოდით, მაგრამ მატარებელში მე შორეული ზღვაოსნობის შტურმანის წერილს

ვამბობდი. მახსოვს, ერთხელ სადგურ ვიშნი ვოლჩოკში ვიღაც ახალგაზრდა სახის ჭაღარა მეზღვაურმა ორჯერ გამამეორებინა ეს წერილი.

— საკვირველია,—თქვა მან და თავისი მკაცრი, ნაცრისფერი თვალებით შიგ სახეში ჩამაშტერდა,—ლეიტენანტი სედოვის ექსპედიცია? საკვირველია!

მაგრამ მაინც ჩვენ უპატრონო ბავშვები არ ვიყავით. კაპიტანი გატერასის მსგავსად (პეტკა ისე დაწვრილებით მიამბობდა იმის შესახებ, როგორც თვით ეიულ ვერნსაც არ ექნებოდა ალბათ წარმოდგენილი) ჩვენ მივდიოდით სულ წინ და წინ. წინ მივდიოდით მარტო იმიტომ კი არა, რომ თურქესტანში პური გვეგულებოდა, აქ კი უკვე აღარ იყო. ჩვენ მივდიოდით ახალი ქვეყნის აღმოსაჩენად—მზიანი ქალაქები, ბარაქიანი ბაღები! ჩვენ ხომ ერთმანეთს ფიცი მივეცით.

როგორა გვშველოდა ეს ფიცი!

ერთხელ, სტარაია რუსას რომ ვუახლოვდებოდით, გზა დაგვეკარგა და ტყეში დავიბენით. თოვლზე დავწექი და თვალები დავხუჭე. პეტკა მგლებით მაშინებდა, მლანძღავდა, მცემდა კიდეც—ყველაფერი ამაო იყო. უკვე ერთი ნაბიჯის გადადგმაც აღარ შემეძლო, მაშინ ქუდი მოიგლიჯა და ძირს დაანარცხა.

— შენ ფიცი გაქვს მოცემული, სანკა!—მითხრა მან,—ვიბრძოლოთ და ვეძიოთ, ვპოვოთ და უკან არ დავიხიოთ. მაშ ახლა შენ ფიცის გამტეხი ხარ? აკი შენ თვითონა თქვი—ფიცის გამტეხი პატიებას ვერ ეღირსებაო!

ტირილი დავიწყე, მაგრამ ავდექი. სოფელს გვიან ღამით მივაღწიეთ. სოფელი ძველი სარწმუნოების მიმდევარი იყო, მაგრამ ერთმა დედაბერმა მაინც მიგვიღო, პური გვაჭამა და გვაბანავა კიდეც.

ასე, სოფლიდან სოფელში, სადგურიდან სადგურამდე, ჩვენ ბოლოს მოსკოვს მივაღწიეთ.

გზაში გავყიდეთ, გადავცვალეთ და შევჭამეთ თითქმის ყველაფერი, რაც ენსკიდან გვქონდა წამოღებული. პეტკას ხანჯალიც კი ძველი ჩექმის ქარქაშით, მახსოვს, ორ ნაჭერ ხორცში მივეცით.

გაუყიდავი დარჩა მხოლოდ ჩვენი საბუთები—სისხლით ხელმოწერილი ფიცი: პ. ს. და ა. გ. და პეტკას ბიძის მისამართი.

ბიძა! რამდენს ვლაპარაკობდით იმაზე! ბოლოს და ბოლოს ის რაღაც ორთქლმავლების ღმერთად მესახებოდა: ქარი წვერს უწეწავს, მილიდან კვამლი ამოდის, ქვაბიდან—ორთქლი...

აი, ძლივს მოსკოვიც! თებერვლის სუსხიან ღამეს საპირფარეშოს ფანჯრიდან გადმოვძვერით, სადაც უკანასკნელი სადგურიდან მოსკოვამდე გავატარეთ, და ლიანდაგზე გადმოვხტით. მოსკოვი არა ჩანდა, ბნელოდა, მაგრამ ჩვენ არც გვაინტერესებდა იგი. ეს მოსკოვი იყო, ბიძა კი მოსკოვ-საბარგოში ცხოვრობდა, მეშვიდე დეპო, სარემონტო სახელოსნო. ორი საათი განძეულებზე დავყიალებდით და მრავალ მიმართულებით მიმავალ ლიანდაგებს შორის გზა გვებნეოდა. თენდებოდა, როდესაც ჩვენს წინ მეშვიდე დეპო წარმოდგა.—ბნელი, შუქ, ოვალურფანჯრებიანი შენობა, მაღალი ოვალური კარებით, რომელსაც კლიტე ედო. ბიძა არ იყო. არც არავინ იყო, რომ გვეკითხა ბიძის ამბავი. დილით მეშვიდე დეპოს კომიტეტში გავიგეთ, რომ პეტკას ბიძა ფრონტზე წასულიყო.

ყველაფერი გათავებულია! გამოვედით და ესტაკადზე ჩამოვსხედით.

მშვიდობით, ფორთოხლისხეებიანო ქუჩებო, მშვიდობით, ცის ქვეშ გატარებულო ღამეებო, მშვიდობით, დანავ და ვერცხლში ჩასმულო მოღუნულო ხმალო!

ყოველ შემთხვევისათვის პეტკა კომიტეტში შებრუნდა—საკითხავად: ცოლიანი ხომ არ იყო ბიძა. არა, ბიძა უცოლო ყოფილა. თურმე რომელიღაც ვაგონში ცხოვრობდა და იმავე ვაგონით წასულა ფრონტზე.

გათენდა. მოსკოვი გამოჩნდა: საითაც გაიხედავდით, ყველგან სახლები (მე მეგონა, რომ ეს სულ სადგურები იყო), თოვლის უზარმაზარი ზვინები, კანტიკუნტად ჩავლილი ტრამვაი. და კვლავ სახლები და სახლები.

— რა ვქნათ?

ასე დაიწყო მწარე დღეები. რას არ ვაკეთებდით! რიგებში ვმორიგეობდით! ბურჟუებს ქირით სახლის წინ თოვლს ვუხვეტავდით. გამოცხადებული იყო „შრომის ბეგარა“. ცირკის საჯიხიბოდან ნაკელი გამოგვქონდა. გვეძინა სახლების სადარბაზო შესასვლელებში კიბეებზე, სასაფლაოზე და სხვენებზე.

მაგრამ უეცრად ყველაფერი შეიცვალა...

მახსოვს, ერთხელ ბოეედომკაზე მივდიოდით და მხოლოდ ერთ რამეზე ვოცნებობდით: სადმე ცეცხლს წავწყდომოდით. მაშინ ცეცხლს კუზნეცკზედაც კი ანთებდნენ ხოლმე. არა! ცეცხლი არსადა ჩანდა! თოვლი, სიბნელე, სიჩუმე! სახლის სადარბაზო შესასვლელები, საი-

თაც არ უნდა გაგეხედა, დაკეტილი იყო. აძიგძიგებულები მივ-დიოდით და თან ვდუმდით. მეშინოდა, რომ პეტკას ისევ დასჭირ-დებოდა ქუდის მიწაზე დანარცხება, მაგრამ სწორედ ამ დროს ალაყა-ფის კარებს იქიდან მთვრალების ხმა მოგვესმა. პეტკა ეზოში შე-ვიდა, მე ტუმბოზე ჩამოვჯექი, კბილს კბილზე მაცემინებდა და თანა-აკანკალებულ ხელებზე ვიორთქლებდი. პეტკა დაბრუნდა.

— ჰაიდა! — მაიარულად მითხრა მან. — ნება მოგვცეს, რომ მი-ვიდეთ!

თავი მეთექვსმეტე

პირველი გაფრენა

ტკბილია ძილი, როცა თავი ჭერქვეშ გეგულება! კარგია, რო-დესაც ოცგრადუსიან ყინვაში „ბურჟუიკას“ უზიხარ, შეშას აპობ და იქამდე უმატებ, ვიდრე ცეცხლი გუგუნს არ დაიწყებს! მაგრამ უფრო კარგია, როცა მარილის ან ფქვილის აწონვის დროს იმაზე ფიქრობ, რომ ამ სამუშაოში თვით თურქესტანსა გპირდებიან. ჩვენ ინვალიდ-სპეკულიანტთა ბუნაგში მოვხვდით. ბუნაგის პატრო-ნი, კოპლი პოლონელი, რომელსაც სახე მდულარით ჰქონდა დამწ-ვარი, თურქესტანში წაყვანასა გვპირდებოდა. „ურმე ეს ქალაქი კი არა, ქვეყანა ყოფილა, რომლის დედაქალაქი ტაშკენტია. სწო-რედ ის ტაშკენტი, სადაც ყოველ ორ-სამ კვირაში მიდიოდნენ ხოლმე ჩვენი ინვალიდები.

ჩვენ ამ გაიძვერებს პროდუქტების ჩამწყობებად დავუდექით. ჯამაგირს არ ვიღებდით — მხოლოდ გვაჭმევდნენ და ბინა გვქონდა, მაგრამ ესეც გვახარებდა.

კოპლი სპეკულიანტის ცოლი რომ არა ყოფილიყო, მაშინ რა გვიშავდა! დიასახლისმა თავი მოგვაძულა.

სქელი, თვალებგადმოკარკლული, მუცლის თამთამით მოირ-ბენდა ხოლმე ფარდულში, სადაც პროდუქტებსა ვფუთავდით, დასათვალიერებლად — ყველაფერი ადგილზე იყო თუ არა.

— უჰ! უჰ! იაკ სენ სმიეშ ტაკ რობიც! [1]

რობიცი რობიცია, მაგრამ სინამდვილეში ეს არც ისე ადვილი იყო. მაგალითად, როგორ შეიძლება, რომ ღორის ქონს სწონიდე

---

[1] ამას როგორ ბედავ!

და ცოტა მაინც არ წააციცქნო? ნატეხი შაქარი თავისთავად ცვიოდა სახელოებში და ჯიბეებში, მაგრამ თავს ვიჭერდით. ეჰ! გვცოდნოდა, რომ, როგორც საკუთარ ყურებს, ისე თურქესტანს ვერ ვიხილავდით, იქნება მართლაც და რამე დაჰკლებოდა სათვალავში ბებერ ალქაჯს!

ერთხელ (უკვე მესამე თვე იყო, რაც ბუნაგში ვმუშაობდით) ხალათის ამარა მოირბინა ჩვენთან, ხელში კლიტე ეჭირა,— ჩვენს ფარდულს ღამე კლიტეს ადებდნენ. თვალებგადმოჭყეტილი კარიბჭეზე შეჩერდა, უკან მიიხედა და გაფითრდა.

— არ იხმაუროთ,—წაგვჩურჩულა და თავში იტაცა ხელი.—არ იყვიროთ! ხმა, კრინტი!

გონს მოსვლა ვერ მოვასწარით, რომ მძიმე ქშენით ურდული მიუგდო, კლიტე ჩამოჰკიდა და წავიდა.

ეს ისე მოულოდნელი იყო ჩვენთვის, რომ ერთ წუთს მართლაც კრინტი არ დაგვიძრავს. მერე პეტკამ ერთი შეიგინა და იატაკზე წაწვა. მეც დავწექი და კარების ქვეშიდან დავიწყეთ ცქერა—კარებსა და იატაკს შუა ვიწრო ჭუჭრუტანა იყო.

ჯერ ჩამიჩუმი არ ისმოდა—დაცარიელებული ეზო, შემდნარი თოვლი, ნათოვლარში ჩამდგარი ყვითელი ფერის წყალი. მერე გამოჩნდა უცნობი ფეხები შავ მაგარ ჩექმებში—ერთი წყვილი, მეორე, მესამე. ფეხები ფლიგელისკენ მოდიოდნენ. ორი წყვილი დაიკარგა, მესამე აივანთან შეჩერდა, მათ გვერდით თოფის კონდახი დაეშვა.

— ალყა შემოარტყეს!—წამჩურჩულა პეტკამ და წამოსტა.

სიბნელეში თავი მომარტყა და ენა მიმეწეწკა, მაგრამ ენას ვილა სჩიოდა, ოდნავ გამოვაგდე მხოლოდ, რომ ცოტა გამგრილებოდა.

— უნდა გავიქცეთ!..

ვინ იცის, შეიძლება ჩემი ცხოვრება სულ სხვა გზით წასულიყო, თოკი რომ წაგვეღო თან. თოკები, რამდენიც გნებავთ, იმდენი იყო ფარდულში, მაგრამ ჩვენ მაშინ მოგვაგონდა, როცა უკვე სხვენზე ვიყავით. ფარდული ქვისა იყო, სხვენით. სახურავი ცალ მხარეზ ე დაქანებული იყო და უკანა კედელზე ხვრელივით ჰქონდა დატანებული, რომელიც მეზობელ ეზოში გადიოდა.

პეტკამ ხვრელში თავი გაჰყო და მიიხედ-მოიხედა. სიბნელეში ჭერიდან ფიცრებს რომ ვაძრობდით, ლოყა გაეკაწრა და ხელით წამდაუწუმ სისხლს იწმენდდა.

— გადავხტეთ?

მაგრამ არც ისე ადვილია ხუთი-ექვსი მეტრის სიმაღლიდან გადახტომა. სწორ კედელზე მოთავსებულ პატარა ხვრელიდან პირდაპირ თავით წავიდოდით, როგორც წყალში გადაეშვებიან ხოლმე. საჭირო იყო ჯერ ფეხები გამოგეყო, სამად მოკუზულიყავი და მთელი ტანის მოსხლეტით ძირს დაცემულიყავი. პეტკამ სწორედ ასე გააკეთა. მე ჯერ ისევ ვფიქრობდი, თოკისათვის ხომ არ დავბრუნდე-ძეთქი, რომ პეტკა უკვე ხვრელში იჯდა. მოხედვა არ შეეძლო და ესლა მითხრა:

— არაფერია, სანია. ყოჩაღად იყავი!

და გაქრა. გულდაწყვეტილმა თვალი გავაყოლე. არაფერია, ის მარჯვედ დაეცა თოვლის გროვაზე, ღობის იქით, რომელიც ამ ადგილზე ფარდულთან ახლო იყო.

— აბა, ჰა!

მე გამოვძვერი და დავჯექი, თან მუხლებს ხელს ვუჭერდი. მეზობელი ეზო ახლა ხელისგულივით მოჩანდა, პატარა გოგონა ფინური ციგით ცურაობდა. ძველებური სვეტებიანი სახლის წინ წყლის სადინარ მილზე ყვავი იჯდა. აი, გოგონა გაჩერდა და ცნობისმოყვარეობით შემოგვხედა. ყვავმაც შემოგვხედა, მაგრამ გულგრილად, თავი ფრთებში ჩამალა და იქით მიბრუნდა.

— აბა, ჰა!

გოგონასა და ყვავს გარდა კიდევ ერთი კაცი იყო, ტყავისპალტოიანი. იქ იდგა, სადაც ჩვენი ფლიგელი სხვის ეზოს ემიჯნებოდა. მე ვხედავდი, როგორ მოსწია ბოლომდის პაპიროსი, ნამწვი გადააგდო და მშვიდად ჩვენსკენ წამოვიდა.

— აბა, ჰა!—სასოწარკვეთილებით დამიყვირა პეტკამ.

უეცრად ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა, როცა ხელების სუსტი მოძრაობით კედელს მოვწყდი და დავეშვი. ყვავი შეფრთხიალდა, გოგონა შიშით უკან-უკან წავიდა. პეტკამ ალაყაფის კარებისაკენ მოჰკურცხლა, ტყავისპალტოიანი კაცი იმას გამოუდგა. უცებ ყველაფერს მივხვდი, მაგრამ უკვე გვიან იყო—მე ქვევით მივფრინავდი.

ასეთი იყო ჩემი პირველი გაფრენა—ქვევით სწორი ხაზით, ხუთი მეტრის სიმაღლიდან უპარაშუტოდ. არ შემიძლია ვთქვა, რომ კარგად დაბოლოვდა: მკერდით ღობეს დავენარცხე, წამოვხტი, ისევ დავეცი. რასაც მოვკარი თვალი—ეს პეტკა იყო, რომელიც ქუჩაში გავარდა და ალაყაფის კარები ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა ტყავისპალტოიან კაცს.

თავი მეჩვიდმეტე

ჩხირკედელაობა

რა თქმა უნდა, დიდი სისულელე იყო გაქცევა, როცა არაფერში არ ვიყავით დამნაშავენი. ჩვენ ხომ არ ვეწეოდით სპეკულაციას, ჩვენ მხოლოდ ვმუშაობდით სპეკულიანტებთან! არაფერსაც არ გვიზამდნენ, მხოლოდ დაგვკითხავდნენ და გამოგვიშვებდნენ, მაგრამ გვიანლა იყო სინანული. ტყავისპალტოიან კაცს მაგრა ეჭირა ჩემი ხელი. ჩვენ სადღაც მივდიოდით, ალბათ ციხეში. მე ჩავვარდი, პეტკა კი გაიქცა. ახლა მე მარტო ვიყავი. უკვე საღამოა, მზე ჩადის, ჭილყვავები ნელა მიფრინავენ „სტრასტნი ბულვარის“ ჩაყოლებით მდგარ ხეების თავზე... არა ვტიროდი, მაგრამ, ეტყობა, განწირული სახე მქონდა, რადგანაც ტყავის პალტოიანმა კაცმა ყურადღებით შემომხედა და ხელი გამიშვა. მიხვდა, რომ არ გავიქცოდი.

ბან ერთ ფართო, ნათელ დარბაზში მიმიყვანა, უზარმაზარი სახლის მეექვსე სართულზე ნიკიტსკის კარებთან. ეს იყო სახალხო განათლების განმანაწილებელი და აქ მე სამი დაუვიწყარი დღე გავატარე...

გული ჩამწყდა, როცა ეს აშარხლებული სახეები დავინახე. ზოგნი, თიხის ღუმელის გარშემო ჩაცუცქულნი, გახურებულები ეაღალდსა თამაშობდნენ. სხვები მაღალ ფანჯრებს ლავგარდანს აძრობდნენ და ღუმელში უძახებდნენ. ზოგს ეძინა, ზოგი სახლს აშენებდა ძველი ჩარჩოებიდან და კარებებიდან, რომლებიც პირდაპირ მიეყარათ კუთხეში. ღამღამობით განმანაწილებელში აცივდებოდა ხოლმე, იმ დროს გარეთ ალბათ უფრო თბილოდა. ნაშინ ეს მასპინძლები პრიმუსს ანთებდნენ და მსურველებს თავიანთ სახლში უშვებდნენ—ვის წყვილი პაპიროსის ფასად და ვის ერთ ნაჭერ პურად... და ამ საშინელი ნგრევის დროს მაღალ პოსტამენტებზე იდგნენ და თეთრი უსინათლო თვალებით გულგრილად იყურებოდნენ თაბაშირისაგან ჩამოსხმული ბერძენთა ღმერთები—აპოლონი, დიანა და ჰერაკლი.

მხოლოდ ღმერთებს შერჩენოდათ ადამიანური სახე. გათენებისას სიცივისაგან მელვიძებოდა, კბილს კბილზე მაცემინებდა და თან მოკრძალებით ვუყურებდი მათ. ვინ იცის, ფიქრობენ: „შე სულელო, შენა! შინიდან რად გამოიქეცი? დიდი ამბავი, თუ თავშესაფარში წახვიდოდი. გაზაფხულზე ისევ უკან დაბრუნდებოდი, მოხუცებს ხელს წააშველებდი, საქმე გამოჩნდებოდა! ახლა მარტო დარჩი, ისე მოკვდები, რომ არავინ მოგიგონებს, მხოლოდ

პეტკა მოირბენს მთელ მოსკოვს და მძიმედ ამოიოხრებს დეიდა დაშა! ითხოვე, ძმობილო, ტანსაცმელი და შინისკენ გაფრინდი.“— სახალხო განათლების განყოფილებაში ტანისამოსს უცვლიდნენ: ძველსა სწვავდნენ და სამაგიეროდ ახალ შარვალსა და ხალათს იძლეოდნენ. უპატრონო ბავშვები განგებ უცვივდებოდნენ ხელში, რომ ჩამოფლეთილი ტანისამოსი გამოეცვალათ.

მთელი სამი დღე კრინტი არ დამიძრავს. ჩემისთანა ბიჭისთვის, რომელმაც სულ ახლახან ისწავლა ლაპარაკი, ეს სულაც არ იყო ძნელი. ანკი ვისთან უნდა ბელაპარაკა? ყოველ ახალ მოყვანილ ბავშვს ჩემდა უნებურად ვაკვირდებოდი, მათ შორის ჩემი პეტკა ხომ არ არის-მეთქი? მაგრამ არა. ძალიანაც კარგი, რომ არა! არავისთანა ვმეგობრობდი, მოშორებით ვიჯექი და ვდუმდი.

და აი, შიმშილისა, სიცივისა და სევდისაგან ძერწვას მივყავი ხელი. ფერწერისა და ძერწვის ყოველ სახელოსნოში, რამდენიც გნებავთ, იმდენი საქანდაკო თეთრი თიხა იყო. ერთხელ თიხის ნაჭერი ავიღე, მდულარეში დავასველე, თითებით ზელა დავუწყე და თავისთავად გომბეშო გამოვიდა. გავუკეთე დიდი ნესტოები, გადმოკარკლული თვალები და შევეცადე კურდღელი გამომეძერწა. რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან ცუდად გამომდიოდა, მაგრამ გული ამიტოკდა, როდესაც უეცრად უფორმო თიხის გუნდის ნაცვლად ორად გაყოფილი სახე დავინახე. დამამახსოვრდა ეს წუთები: არავინა ხედავდა, რომ ვძერწავდი. ძველი ჯიბგირი, რომელიც რაღაც სასწაულით მოხვედრილიყო უპატრონო ბავშვთა განმანაწილებელში, ყვებოდა სადგურებზე „წყვილებად“ მუშაობის ამბავს. მე მოშორებით ვიდექი ფანჯარასთან და სულშეგუბებული თიხის პატარა გუნდას ვუყურებდი, საიდანაც კურდღლის ყურები ამოშვერილიყო, და არ მესმოდა, რადა ვღელავდი.

შემდეგ ცხენი გამოვძერწე, სქელი, დავარცხნილი ფაფარით, მოხუცი სკოვოროდნიკოვის ცხენი. ეს ჩხირკედელაობა იყო, მხოლოდ არა ხისგან, არამედ თიხისაგან...

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ აღმოჩენამ გამახარა. მხიარულს დამეძინა, თითქოს იმედი მქონდა, რომ ეს გართობა გადამარჩენდა. მიშველიდა აქედან გასვლას, მაპოვინებდა პეტკას, მე მიშველიდა შინ დაბრუნებას, პეტკას კი თურქესტანამდის მიაღწევინებდა. უშველიდა ჩემს დას თავშესაფარში, პეტკას ბიძას—ფრონტზე, უშველიდა ყველას, ვინც ქუჩებში დაეხეტებოდა ცივი და დამშეული მოსკოვის ქუჩებში. ასე შევთხოვდი არა ღმერთს, არა! გომბეშოს, ცხენს, კურდ-

ღელს, რომელნიც გაზეთის პატარა ნაგლეჯწაფარებულნი ფანჯარაზე შრეებოდნენ.

ჩემს ადგილს სხვა ბიჭი,—არა ისეთი ურწმუნო, როგორც მე, ვიყავი,—კერპთაყვანისმცემლად გადაიქცეოდა და სამუდამოდ იწამებდა გომბეშოს, ცხენსა და კურდღელს! მათ მიშველეს მე.

მეორე დღეს განმანაწილებელში სახალხო განათლების განყოფილების კომისია მოვიდა. განმანაწილებელი ამიერიდან სამუდამოდ მოისპო.

ქურდები ციხეებში გაგზავნეს, უპატრონო ბავშვები—კოლონიებში, მათხოვრები—თავთავიანთ სახლებში. ფერწერის და ძერწვის ფართო დარბაზში მხოლოდ ბერძენთა ღმერთები: აპოლონი, ჰერაკლი და დიანაღა დარჩნენ.

— ეს რაღა არის?—იკითხა კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, თმაგაბურძგნილმა, პირმოუპარსავმა ახალგაზრდამ, რომელსაც ყველანი უბრალოდ შურას ეძახდნენ.—ერთი უყურეთ! ივან ანდრეევიჩ, რა სკულპტურაა!

ივან ანდრეევიჩმა (ისიც თმაგაბურძგნილი და პირმოუპარსავი იყო, მხოლოდ ძოხუცი), პენსნე გაიკეთა და ჩემი „გასართობების“ თვალიერებას შეუდგა.

— ტიპიური რუსული სათამაშოა სერგიევის პოსადიდან,—თქვა მან. საინტერესოა ვინ გააკეთა? შენა?

— მე.

— რა გვარი ხარ?

— ალექსანდრე გრიგორიევი.

— სწავლა გინდა?

მე ვუყურებდი და ვდუმდი. ეტყობა, მაინც ბევრი რამ განვიცადე ამ მშიერ, ქუჩური ცხოვრების თვეებში, იმიტომ რომ სახე უეცრად მომეღრიცა და ყოველი მხრიდან რაღაცა წამოვიდა—თვალებიდან, ცხვირიდან.

— უნდა,—თქვა კომისიის წევრმა შურამ,—ივან ანდრეევიჩ! საითკენ გავგზავნოთ, რას იტყვით?

— ჩემი აზრით ნიკოლაი ანტონიჩთან,—უპასუხა მან და ჩემი კურდღელი ფრთხილად დადგა ფანჯარაზე.

— სწორია! ნიკოლაი ანტონიჩს აქვს ეს განხრა ხელოვნებაში. აბა, ალექსანდრე გრიგორიევო, გინდა ნიკოლაი ანტონიჩთან?

— შურა, ეგ იმას არ იცნობს. ჩასწერეთ უკეთესია. გრიგორიევი ალექსანდრე... რამდენი წლისა ხარ?

— თერთმეტისა.—ნახევარი წელი მოვიმატე.

— თერთმეტი წლისა. ჩასწერეთ? ტატარინოვთან, მეოთხე შრომის სკოლა-კომუნაში.

თავი მეთვრამეტე

ნიკოლაი ანტონიჩი

სქელმა ქალმა სახალხო განათლებიდან, რომელიც, არ ვიცი რით, მაგრამ დეიდა დაშას ჰგავდა, გრძელ, ნახევრად ბნელ დერეფანში დამტოვა, თვითონ კი წავიდა და მითხრა, ახლავე დავბრუნდებიო. გასახდელ ოთახში ვიყავი. გამხდარი რქიანი ადამიანების მსგავსი საკიდები ღია კარადებში ჩამწკრივებულიყო. კედლის გასწვრივ კარებები მისდევდა. ერთი შუშისა იყო. ენსკის შემდეგ პირველად დავინახე ჩემი თავი. აი, სანახაობა! ფერმკრთალი, თმაგაკრეჭილი ბიჭი სევდიანად მიყურებდა, ძალიან პატარა, ბევრად უფრო პატარა, ვიდრე მე მეგონა. წვეტიანი ცხვირი, გალეული სახე! პემზითა მხეხეს სახალხო განათლების აბანოში, მაგრამ აქა-იქ მაინც დამრჩა მუქი ლაქები. გრძელი, ფორმის ქურთუკი ერთხელ კიდევ შემომწვდებოდა. ჩათრეული შარვალი წაღების გარშემო მიფართხუნებდა, წაღები კი ყოველ წუთას მძვრებოდა ფეხიდან.

სქელი ქალი დაბრუნდა და ჩვენ ნიკოლაი ანტონიჩთან წავედით. იგი მსუქანი, ფერმკრთალი კაცი იყო, სიმელოტე შეჰპარვოდა, შეთხელებული თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. პირში ოქროს კბილი უბრწყინავდა და მე ჩემი სულელური ჩვეულების გამო ისე მივაშტერდი ამ კბილს, რომ თვალი ვეღარ მოვაშორე.

ჩვენ კარგა ხანს ვიცდიდით. ნიკოლაი ანტონიჩს არ ეცალა, ასე თექვსმეტი წლის ყმაწვილებს ესაუბრებოდა, რომელნიც გარს შემოხვეოდნენ და ლაპარაკს არ აცლიდნენ ერთმანეთს. უსმენდა და თან სქელ თითებს ათამაშებდა, რომლებიც მე რაღაც ხაოიან მატლებს მაგონებდა – მგონი მუხლუხოს. იგი იყო აუჩქარებელი, შემწყნარებელი, მედიდური...

— წყნარად, ბავშვებო, ყველანი ერთად ნუ ლაპარაკობთ,— უთხრა მან.—აბა იგორ, შენა თქვი.

იგი ადგა და ხელი მოხვია თხუთმეტიოდე წლის შავგვრემან, თმახუჭუჭა, წითელლოყება, სათვალებიან ბიჭს, რომელსაც ლოყებზე და ცხვირის ქვემოთ შავი ბუსუსი უჩანდა.

— ნიკოლაი ანტონიჩ,—დიდი ამბით დაიწყო იგორმა და გაწითლდა.—ჩვენ ლიადოვის რეალური სასწავლებლის წინააღმდეგნი ვართ. გადავწყვიტეთ, მე-13 გაერთიანებაში წავიდეთ და პროტესტი განვაცხადოთ. რაღა კომუნაა, თუ ნორმა დატოვეს და წევრები კი მოუმატეს? კორაბლიოვი ამბობს, რომ ეს ფაფისათვის ბრძოლა არისო. ჩვენი აზრით საქმე პრინციპშია, თუ ჩვენ კომუნა ვართ, მაშინ თვითონ ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ—ვიღებთ ახალ წევრებს, თუ არ ვიღებთ. ლიადოვის რეალურ სასწავლებელს ჩვენ არ ვიღებთ და უკიდურეს შემთხვევაში გვირჩევნია, ბრეოზოვსკაიას ქალთა გიმნაზია მივიღოთ.

ისე ცხარედ ლაპარაკობდა, რომ მხოლოდ ერთი წამით შეჩერდა, როცა ყველას გაეცინა.

— საერთოდ პროტესტს ვაცხადებთ კორაბლიოვის შეურაცხყოფათა წინააღმდეგ და მოვითხოვთ, რომ საკითხი სასკოლო საბჭოზე დაისვას.

— უმცირესობაში დარჩებით,—უპასუხა ნიკოლაი ანტონიჩმა და თავი დაგვიქნია.

ჩვენ მივედით.

— უპატრონო ბავშვია?

— არა, სახალხო განათლებიდან არის,—აუხსნა სქელმა ქალმა და მაგიდაზე ქაღალდი დაუდო.

— საიდანა ხარ, გრიგორიევო?—შთამაგონებელი კილოთი მკითხა ნიკოლაი ანტონიჩმა, როცა ქაღალდსა კითხულობდა.

— ენსკელი ვარ.

— აქ, მოსკოვში როგორღა მოხვდი?

— გავლით, – ვუპასუხე მე.

— აჰა! საით მიემგზავრებოდი?

ჰაერი ბლომად შევისუნთქე და არაფერი მიპასუხნია. უკვე ბევრჯერ მეკითხებოდნენ - ვინა ვარ და საიდან.

— ძე და შენ კიდევ მოვილაპარაკებთ, – ნიკოლაი ანტონიჩმა ქაღალდის მეორე მხარეზე რაღაც წააწერა,—არ გაიქცევი?

დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიქცეოდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის ვუპასუხე:

— არა.

ჩვენ გამოვბრუნდით. კარებს რომ მივუახლოვდით, უკან მივიხედე. იგორი, რომელიც აშკარა დაცინვით ელოდა ჩვენი ახსნა-განმარტების დასასრულს, ჩქარ-ჩქარა რაღაცას ეუბნებოდა, ნიკოლაი ანტონიჩი იმას კი არ უსმენდა, ჩაფიქრებული მე გამომცქეროდა. რაზე ფიქრობდა? რასაკვირველია, არა იმაზე, რომ თვით განგება გამოეცხადა დღევანდელ დღეს ქურთუკიანი გალეული ბიჭის სახით, რომელსაც გამხდარი კისერი საყელოში ულაღლაღებდა და თავზე კი მუქი ლაქები ეყარა.



ნაწილი მეოთხე

ბევრი რამ მქონდა დასაფიქრებელი

თავი პირველი

ზღაპრებს ვისმენ

„მანამ დათბებოდეს“—სხვაგვარად არცა ვფიქრობდი. ყინვა გატყდება და ნახვამდის, თვალსაც ველარავინ მომკრავს საბავშვო სახლში! მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა. არსად არ გავპარულვარ. წიგნის კითხვამ დამაბა.

დილით პურის საცხობში მივდიოდით პურისთვის, მერე ვმეცადინეობდით. პირველ ჯგუფში ვითვლებოდით, თუმცა ხნოვანების მიხედვით ზოგიერთისათვის უკვე დრო იყო მეექვსეში ყოფილიყო.

ჩვენ მოხუცებული მასწავლებელი სერაფიმა პეტროვნა გვასწავლიდა, რომელიც სკოლაში ზურგზე წამოკიდებული სამგზავრო ჩანთით მოდიოდა ხოლმე. სიმართლე გითხრათ, თქმაც ძნელია ჩემთვის, თუ რას გვასწავლიდა იგი.

მახსოვს იხვს გავდიოდით, ეს ერთდროულად სამი გაკვეთილი იყო: გეოგრაფიის, ბუნებისძეტყველებისა და რუსული ენის. ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე იხვი შეისწავლებოდა როგორც იხვი: ესე იგი, როგორი ფრთები აქვს, როგორი ფეხები, როგორ დაცურავს და ასე შემდეგ. გეოგრაფიის გაკვეთილზე იგივე იხვი შეისწავლებოდა, როგორც დედამიწის სფეროს ცხოველი: რუკაზე უნდა გვეჩვენებინა, სადა გვხვდება და სად არა. რუსულის გაკვეთილზე სერაფიმა პეტროვნა გვასწავლიდა ი-ხ-ვ-ი-ს დაწერას და რაიმეს

გვიკითხავდა ბრემიდან იხვის შესახებ. გზადაგზა გვეუბნებოდა, რომ იხვი გერმანულად ასეა, ფრანგულად კი ასეო. მაშინ ამას მგონი კომპლექსური მეთოდი ეწოდებოდა. მოკლედ, ყველაფერი „გზადაგზა“ კეთდებოდა. ადვილი შესაძლებელია, რომ სერაფიმა პეტროვნამ რაიმე აურია ამ მეთოდში. იგი მოხუცებული იყო, გულზე ქინძისთავით მიბნეულ სადაფის საათს ატარებდა; როცა ვუპასუხებდით, თან ვუყურებდით, რომელი საათი იყო.

სამაგიეროდ საღამოობით წიგნებს გვიკითხავდა. პირველად მისგან მოვისმინე ზღაპარი ალიონუშკაზე და ივანუშკაზე.

ცაზე მზე ამოიწვერა,
ჰა შორსაა, სად ხარ ჯერა!
სიცხე აპერს, უპირს სუნთქვა,
ოფლი სდის და ოფლი ხუთავს.
თიკნის ნაფეხური გზაზე
დამდგარი წყლით არის სავსე.

განსაკუთრებით ალი-ბაბამ და ორმოცმა ავაზაკმა გამაოცა. „სეზამო, გაიხსენ!“ ძალიან მეწყინა, როცა მრავალი წლის შემდეგ „ათას ერთი ღამის“ ახალ თარგმანში წავიკითხე, რომ უნდა იკითხებოდეს არა სეზამო, არამედ სიმ-სიმი, და რომ ეს რაღაც მცენარეა, მგონი, კანაფი. სეზამი გრძნეული სიტყვა იყო! როგორ გამიტყდა გული, როცა გავიგე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ კანაფია.

გაუზვიადებლად უნდა ითქვას, რომ მე აღტაცებული ვიყავი ამ ზღაპრებით. ახლა ყველაფერზე მეტად იმასა ვნატრობდი, რომ სერაფიმა პეტროვნასავით მესწავლა კითხვა.

ერთი სიტყვით, საბავშვო სახლში ცხოვრება მომეწონა. თბილა, არსაიდან არ უბერავს, გაშმეევენ და თან გასწავლიან კიდეც. მოწყენილი არა ხარ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან არა ხარ მოწყენილი. ამხანაგები კარგად მექცეოდნენ, ალბათ იმიტომ, რომ პატარა ტანისა ვიყავი.

პირველ დღეებშივე ორ ხულიგანს დავუმეგობრდი და თავისუფალ დროს ტყუილად არა ვკარგავდით.

ერთ ჩემს ახალ მეგობარს რომაშკა ერქვა. გამხდარი ბიჭი იყო, დიდთავა, თავზე კატის ბალანივით თმა უსწორმასწოროდ ჰქონდა ამოსული, ცხვირი მიჭყლეტილი, თვალები უჩვეულოდ მრგვალი. ნიკაპი ოთხკუთხი. საკმაოდ საშინელი და გულმიუსაჯალი სახისა იყო! ჩვენ რებუსების გამოცნობის დროს დავმეგობრდით. მე მეხერხებოდა რებუსების გამოცნობა, რითაც მისი გული მოვიგე.

მეორე ვალკა ეუკოვი იყო—ზანტი ბიჭი, უამრავი გეგმები ჰქონდა. ხან ზოოლოგიურ ბაღში აპირებდა მოწყობას ლომთა მწვრთნელის ხელობის შესასწავლად, ხან სახანძრო საქმე იზიდავდა. სახაბაზოში ხაბაზობა უნდოდა, თეატრიდან ყოველთვის მტკიცე გადაწყვეტილებით ბრუნდებოდა, უთუოდ მსახიობი გამოსულიყო. თუმცა გაბედული აზრებიც ჰქონდა.

— რა იქნება, რომ...—იწყებდა და ჩაფიქრდებოდა.

— დედამიწა გაბურღო და მეორე მხარეზე გახვიდე?—ღვარძლიანად ჩამოართმევდა სიტყვას რომაშკა.

— რა იქნება, რომ...

— ცოცხალი თაგვი გადაყლაპო...

ვალკას ძაღლები უყვარდა და სადოყო-ტრიუმფალურის ყველა ძაღლი დიდი პატივისცემით ექცეოდა.

მაგრამ ვალკა მაინც მხოლოდ ვალკა იყო და რომაშკა—მხოლოდ რომაშკა, პეტკასთან ვერც ერთი ვერ მოვიდოდა. ვერ გადმოგცემთ, როგორ ვნაღვლობდი უიმისობას!

ყველა ადგილები მოვიარე, სადაც კი ჩვენ გვეხეტიალა. ვეკითხებოდი უპატრონო ბავშვებს, ვყარაულობდი განმანაწილებლებისა და საბავშვო სახლების წინ, მაგრამ არა და არა. არსადა ჩანდა. იქნებ საერთაშორისო მატარებლის ვაგონის ქვეშ სადმე ყუთში მოკალათებული თურქესტანში წავიდა? ან იქნებ დამშეული მოსკოვიდან ფეხით დაბრუნდა შინ? ვინ იცის!

მხოლოდ ახლა, ამ ყოველდღიური ხეტიალის დროს, გავიცანი და შემიყვარდა მოსკოვი. იდუმალებით მოცული, უზარმაზარი, თოვლში გახვეული, შიმშილით და ომით შეპყრობილი. მოედნებზე რუკები ეკიდა და პატარა დროშებით დამაგრებული წითელი ძაფი სადღაც კურსკისა და ხარკოვის შუა მიდიოდა და მოსკოვს უახლოვდებოდა. „ოხოტნი რიადი“ ხისა იყო, დაბალი, გრძელი, შეღებილი. მხატვარ-ფუტურისტებს უცნაური სურათები გაეთხიპნათ მის კედლებზე—მწვანესახიანი ადამიანები, ჩამოვარდნილგუმბათიანი ეკლესიები. ასეთივე სურათები ეხატა მაღალ გალავანს ტვერსკოიზე. მაღაზიის ფანჯრებში „როსტას“ [1] პლაკატები ეკიდა.

Ешь ананасы.
Рябчиков жуй—

---

[1] რუსეთის სატელეგრაფო საგენტო.

День твой последний
Приходит, буржуй.

ეს პირველი ლექსი იყო, რომელიც დამოუკიდებლად წავიკითხე!

თავი მეოთხე

ს კ ო ლ ა

მგონი, უკვე ვთქვი, რომ განათლების განყოფილების აზრით ჩვენი საბავშვო სახლი ნორჩ ნიჭთა სანერგის მსგავსი რაღაც იყო. განათლების განყოფილება ფიქრობდა, რომ ჩვენ ყველა გამოვირჩეოდით ნიჭით მუსიკის, ფერწერისა და ლიტერატურის დარგში. ამიტომ გაკვეთილების შემდეგ ნება გვქონდა, რაც გვინდოდა ის გვეკეთებინა. ფიქრობდნენ, რომ ასე ჩვენ თავისუფლად ვანვითარებთ ნიჭს! და ჩვენ მართლაც ვანვითარებდით მას. ვინ მოსკვარეკაზე გარბოდა მეხანძრეებისთვის ყინულჭრილებში თევზის ჭერაში მისახმარებლად, ვინ სუხარევკაზე ტრიალებდა მოსათვალიერებლად, უპატრონოდ ხომ არაფერი გდია, ხელს გავაყოლოო.

მე კი უფრო ხშირად შინ ვრჩებოდი. სკოლა ერთი სართულით ჩვენს ზემოთ იყო და სკოლის მთელი ცხოვრება თვალწინ მედგა. ეს იყო გაუგებარი, იდუმალებით აღსავსე რთული ცხოვრება. მე უფროს კლასელებში ვტრიალებდი, ყურს ვუგდებდი მათ ლაპარაკს. ახალი დამოკიდებულებანი, ახალი აზრები, ახალი ადამიანები! ყველაფერი ეს ისე არა ჰგავდა ენსკს, როგორც თვით ენსკი არა ჰგავდა მოსკოვს. მე დიდხანს არაფერი მესმოდა, განურჩევლად ყველაფერი მაკვირვებდა. ახლა კი ასე წარმომიდგენია მეოთხე შრომის სკოლა.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ სადოვო-ტრიუმფალურზე დიდ წითელ შენობაში პესტოვის გიმნაზია იყო მოთავსებული. ამ გიმნაზიასთან გახსნილი იყო პატარა საბავშვო სახლი—ჩვენი სახლი. ცხრამეტი წლის ზამთარში პესტოვის გიმნაზია ლიადოვის რეალურ სასწავლებელს შეუერთეს, გაზაფხულზე კი—ბრეოზოვსკაიას ქალთა გიმნაზიას.

ჩემს მკითხველებს არ უსწავლიათ საშუალო სკოლაში რევოლუციამდე და, ეჭვს გარეშეა, არ იციან, რა სიძულვილითა და ათვალწუნებით ეჭცეოდნენ ერთმანეთს გიმნაზიელები და რეალური სასწავლებლის მოსწავლეები. არ ვიცი, რა საფუძველი ჰქონდა

ამას, მაგრამ ჯერ ენსკშივე აღწევდა ჩემამდის საინტერესო ხმები. საშინელი შეტაკებების შესახებ სასრიალო მოედანზე, კეთილშობილ ლონიერ გიმნაზიელებსა და რეალური სასწავლებლის გაიძვერა მოწაფეთა შორის, რომელნიც უსინდისოდ იქცეოდნენ და ბრძოლაში ხელში დამალულ აკრძალული „ჯილით“ გამოდიოდნენ. ახლა მოსკოვში ყველაფერი ეს ჩემი თვალითა ვნახე.

პესტოვის გიმნაზიელები ყველაზე თავზეხელაღებული ჩხუბისთავები იყვნენ მთელ მოსკოვში, ტყუილად არ იყო, რომ ყველა სხვა გიმნაზიიდან გამორიცხულ მოწაფეებს აქ უგამოცდოდ იღებდნენ. ლიადოვთან კი პირიქით—უმთავრესად მსხვილი მოხელეების, ინჟინრებისა და პედაგოგების კარგად აღზრდილი შვილები სწავლობდნენ. აქედან სიძულვილი იყო არა მარტო პროფესიული, არამედ სოციალურიც. ის გასამკეცდა, როდესაც სახალხო განათლების დეკრეტის თანახმად მემკვიდრეობითი მტრების შუა ბრეოზოვსკაიას ქალთა გიმნაზია ჩადვა.

რამდენი მიზეზი იყო ჩხუბისათვის, შეთქმულებებისათვის, ჭორებისათვის! რამდენი სიტყვები იხარჯებოდა კრებებზე, რამდენი ახსნა-განმარტებებით აღსავსე წერილები იწერებოდა, რამდენი ფარული და აშკარა შეტაკებანი იყო. საბავშვო სახლი განზე იდგა: ჩვენ არავინ გვაქცევდა ყურადღებას, მაგრამ გამოცნობა ძნელი არ არის, თუ ვინ იყვნენ ჩვენი ფალავნები—პესტოველები! ჩვენ ვცდილობდით ქუდებიც კი იმათებურად გვხურებოდა—მარჯვნივ ჩაკეცილი.

მეოთხე სკოლა-კომუნიდან შემდეგში ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები გამოვიდნენ. თვითონ მეც ბევრ რამეს უნდა ვუმადლოდე იმ სკოლას. მაგრამ მაშინ, ცხრამეტ წელში, რა ფაფა-დონხალი იყო! ამასთან უნდა ვთქვა, რომ სწორედ ხან სიმინდის, ხან ფეტვის ფაფა- მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ლიადოველებისა და პესტოველების სასკოლო ინტერესებს. ფაფა მარხილით მოჰქონდათ უზარმაზარ ქვაბში ჩასხმული, მზრუნველობით შეფუთნილ მოხუც ბებიასა ჰგავდა, და ისე მარხილითვე აჰქონდათ ზევით, სააქტო დარბაზში. სამნეო კომისია დეიდა ვარიას სახით—ყველანი ასე ეძახდნენ ლოყაწითელ, მსუქან, სქელნაწნავიან გოგონას—ჩამჩით ხელში უკვე ბოლთასა სცემდა დახლის უკან. დგებოდა რიგი და თვითეული, განურჩევლად გარეგნობისა, ასაკისა და ჩამომავლობისა—იღებდა თითო კოვზს ჯერ ისევ ცხელ, ძალზე გემრიელ, ზედაპირზე მსკდომარე ბუშტებით დაფარულ ფაფას.

ფაფას, ჩვეულებრივ, დიდ დასვენებაზე არიგებდნენ ხოლმე. მაგრამ, რაკი გაკვეთილებზე დასწრება თავისუფალი იყო, მთელი დღე ერთ დიდ დასვენებას წარმოადგენდა.

ერთხელ მეხუთეკლასელების კრებაზე მოვხვდი. ისინი ერთ საკითხზე მსჯელობდნენ: იმეცადინონ თუ არ იმეცადინონ? თმაგაჩეჩილი პესტოველი, რომელსაც ყველა უყვიროდა: „ვაშა, ბრჭყალებო!“ ამტკიცებდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმეცადინონ. სკოლაში სიარული ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ნიშნების დაწერა კი ხმის უმრავლესობით უნდა წყდებოდეს.

— ვაშა, „ბრჭყალებო“!

— სწორია!

— საერთოდ, ამხანაგებო, საკითხი პედაგოგებზე დგას. რა ვუყოთ იმ პედაგოგებს, რომელთა გაკვეთილებს აბსოლუტური უმცირესობა ესწრება? წინადადება შემომაქვს: ნორმა განვსაზღვროთ ხუთი კაცით. თუ გაკვეთილზე ხუთ კაცზე ნაკლები დაესწრო, იმ დღეს პედაგოგს ულუფა არ მიეცემა.

სწოლია!

— სულელი!

— ძირს!

— ვაშა!

ალბათ ლაპარაკი იყო არა ყველა პედაგოგზე, არამედ მხოლოდ ერთზე, იმიტომ რომ ყველამ დაიწყო აქეთ-იქით ყურება, ატყდა ჩურჩული და ერთმანეთის ხელის წაკვრა. კარებში იდგა გულხელდაკრეფილი ულვაშებგაბუებული მაღალმაღალი კაცი და ორატორს ყურადღებით უსმენდა.

— ეგ ვინ არის?—ვკითხე დეიდა ვარიას, რომელიც ფაფის მოლოდინში ჩამჩით ხელში დერეფანში მიდი-მოდიოდა.

— ეგ, ძმაო, „ულვაშებია“,—მიპასუხა დეიდა ვარიამ.

— როგორ „ულვაშები“?

— ეჰ, ეგ არ იცი!

მალე გავიგე, ვის ეძახდნენ მეოთხე სკოლაში „ულვაშებს“.

ეს იყო გეოგრაფიის მასწავლებელი კორაბლიოვი, რომელიც მთელ სკოლას სძულდა. ჯერ ეს ერთი, კაცმა არ იცოდა, საიდან მოვიდა—არც ლიადოველი იყო, არც ბრეოზოვსკელი და არც პესტოველი. მეორე ის, რომ საერთო აზრით, ის სულელი იყო და არაფერი იცოდა. მესამე ის, რომ გაკვეთილებზე ყოველდღე მოდიოდა და, სამი კაციც რომ ყოფილიყო კლასში, დაწესებული საათები იჯდა. ეს ხომ ყველას გულისწყრომას იწვევდა...

— ამრიგად, ამხანაგებო, — განაგრძობდა „ბრეკეალები“ და ორატორულ სიცხარეში პალტოს შეკვრას ცდილობდა, რომელზეც არც ერთი ღილი არ ეკერა.—მეხუთე კლასიდან სასკოლო საბჭოში ერთი მე ვარ. ეს სწორი არ არის, მარტო ჩემთვის ძნელია მეხუთე კლასის ინტერესებისათვის ბრძოლა, ჩვენ უმცროს კლასელებად გვთვლიან, მაგრამ აბა ნახეთ მე-144-ში ვინ არის სასკოლო კოლექტივის თავმჯდომარე? მუხოვეროვი. მერამდენე კლასელია? მეხუთე! საერთოდ, თუ მაგაზე წავა საქმე, ჯერ საჭიროა დაგვიმტკიცონ, რომ ჩვენ უმცროსი კლასელები ვართ და მერე ილაპარაკონ. როგორც უფროს კლასს, ჩვენ ორი წარმომადგენელი უნდა გვყავდეს. ერთი მე, მეორეს ფირკოვიჩს ვასახელებ!

— გლადილშჩიკოვი.

— ნედოდაევი!

— გალაი!

კორაბლიოვს შეეხედე. ალბათ თვალები გადმოკარკლული მქონდა, რადგან მან უცბად გამაჯავრა, თუმც თითქმის შეუმჩნეველად. მომეჩვენა, რომ ულვაშებში ეღიმებოდა, მაგრამ „ბრეკეალებმა“ ისევ დაიწყო ლაპარაკი და კორაბლიოვმა, რომელიც ეშმაკურად მიყურებდა, თვალი მომაშორა და არაჩვეულებრივი ყურადღებით დაუწყო მოსმენა.

თავი მესამე

ენსკელი მოხუცი ქალი

ეს დღე მშვენივრად მახსოვს, მზიანი დღე. გაზაფხულის წვიმა ხამუშ-ხამუშ წამოუშენდა ხოლმე; დღე, როცა კუდრინის მოედანზე მწვანე ხეერდის პალტო-სალოფში ჩაცმული გამხდარი მოხუცი ქალი შემხვდა. მას ყოველნაირი რაგინდარით — კარტოფილით, მჟაუნით, ხახვით სავსე კალათი მოჰქონდა. მეორე ხელში დიდი ქოლგა ეჭირა. ეტყობა, კალათი მძიმე იყო, მაგრამ ზრუნვით აღსავსე მაინც ყოჩაღად მიდიოდა და თან ხმადაბლა ანგარიშობდა: სოკო ნახევარი გირვანქა — ხუთასი მანეთი, ლილა — ას-ნახევარი, ჭარხალი — ას-ნახევარი, რძე ერთი ტოლჩა — ას ნახევარი, სულის მოსახსენებელი — შვიდას სამოცი, კვერცხი სამი ცალი — სამასი მანეთი, აღსარება — ხუთასი მანეთი. — მაშინ ასეთი ფასები იყო.

ბოლოს ამოიოხრა და სულის მოსათქმელად კალათი მშრალ ქვაზე დადო.

— გიშველით, დიდედა,—ვუთხარი მე.

— აქედან დამეკარგე, შე არამზადავ! კარგად გიცნობთ! უკვე შესამე ლიმონია სახლამდის ვერ მიმიტანია.

ენერგიულად გამიქნია ხელი და კალათს მიუტრიალდა.

მე მოვშორდი, მაგრამ ჩვენ ერთი გზა გვქონდა და რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდით. ალბათ მოხუცს უნდოდა გაესწრო, მაგრამ ასეთი ტვირთით გასწრება, ცოტა არ იყოს, ძნელი იყო მისთვის.

— დიდედა, თქვენა ბგონიათ მოგპარავთ რამეს? უფასოდ ვიშველით, ღმერთმანი, მეცოდებით, რომ ასე ეწვალებით, და მეტი არაფერი.

მოხუცი გაჯავრდა, ერთი ხელი კალათს მოხვია, მეორეთი ქოლგას იქნევდა, გეგონებოდათ, ფუტკარს იგერიებსო.

— როგორც გნებავთ. თქვენ უპატრონო ბავშვებმა ამოგაცალეს, მე კი საბავშვოსახლელი ვარ.

— სწორედ საბავშვოსახლელები არიან ავაზაკები!

მან მე შემომხედა, მე—იმას. ცხვირი ოდნავ აწეული და სიმტკიცის გამომხატველი ჰქონდა. საერთოდ, ეტყობოდა კეთილიც იყო და გამბედავიც. შესაძლოა მეც მოვეწონე—უეცრად ქოლგის ქნევას თავი გაანება და მკაცრად მკითხა:

— ვისი ხარ?

— არავისი.

— მაშ სადაური ხარ? მოსკოველი?

მაშინვე მივხვდი, თუ ვეტყოდი მოსკოველი ვარ-მეთქი, გამაგდებდა. ალბათ ფიქრობდა, ლიმონი უსათუოდ მოსკოველებმა ამომაცალესო.

— არა, მე ენსკელი ვარ.

ცხადია, ისიც ენსკელი იყო. თვალები გაუბრწყინდა, სახეზე უფრო მეტი სიკეთე გამოეხატა.

— ტყუი, შე ტყუილების გუდავ,—მითხრა გაჯავრებით,—ერთმაც მითხრა მოსკოველი არა ვარო, ბივიხედე და სადღაა ლიმონი! თუ ენსკელი ხარ, იქ სადა ცხოვრობდი?

— პესჩინკაზე. ბაზრის უკან.

— ტყუი!

იგი ხედავდა, რომ არა ვტყუოდი.

— პესჩინკაზე რომ ცხოვრობდი, ეგ არაფერსა ნიშნავს: იქნებ სავაგანაც სადმე არის ასეთი მდინარე. მე შენ არ მახსოვხარ.

— თქვენ ალბათ დიდი ხნის წამოსული ხართ, მე პატარა ვიქნებოდი.

— არა, დიდი ხნის კი არა, ახალი ჩამოსული ვარ, აჰა, დაიჭი კალათი, ერთ მხარეს შენ ჩასჭიდე ხელი, მეორეს—მე. ნუ ეწევი, რა ვქნა!

კალათი მოგვქონდა და თან ვმუსაიფობდით. მე ვუამბე, როგორ გავემგზავრეთ მე და პეტკა თურქესტანისაკენ და მოსკოვში კი ჩავრჩით. ის ცნობისმოყვარეობით მისმენდა.

— აი, ჭკუისკოლოფები! გზას გაუდგნენ! მოგზაურებს დამიხედეთ! ძალიან არ მოგიფიქრიათ!

ტრიუმფალურზე ჩვენი სკოლა დავანახვე.

— მთლად ერთი მიწაწყლისანი ვყოფილვართ.—რაღაც უცნაურად თქვა მოხუცებულმა.

მეორე ტვერსკოი-იამსკოიზე ცხოვრობდა აგურის პატარა სახლში. სახლი ნაცნობი იყო.

— აქ ჩვენი გამგე ცხოვრობს,—ვუთხარი მე.—იქნებ იცნობთ, ნიკოლაი ანტონიჩი!

— რას ამბობ!—თქვა მოხუცებულმა.—რას იტყვი, კარგი გამგეა?

— ისეთია, როგორიც საერთოდ უნდა იყოს.

ვერ მივხვდი, რად გაეცინა. მეორე სართულზე ავედით და მუშამბაგაკრულ სუფთა კარების წინ გავჩერდით. კარებზე ხის ფირფიტა იყო. ფირფიტაზე მიკლაკნილ-მოკლაკნილი ასოებით გვარი ეწერა, რომლის წაკითხვაც ვერ მოვასწარი.

მოხუცებულმა ბუტბუტით სალოფიდან გასაღები ამოიღო. მე წამოსვლა დავაპირე, მაგრამ არ გამომიშვა.

— ისე გიშველეთ, დიდედა, უფასოდ.

— შენც უფასოდ დაჯექი.

რატომღაც ფეხაკრეფით შევიდა პატარა დერეფანში და შუქი არ აუნთია, ისე დაიწყო სალოფის გახდა. სალოფი გაიხადა, მოიხადა ფოჩებიანი შალი, უსახელოებო ჩასაცმელი, კიდევ ერთი, უფრო მომცრო შალი და ასე შემდეგ. მერე ქოლგა დაკეცა და გაქრა. სწორედ ამ წუთში ვიღაც გოგონამ სამზარეულოს კარი გამოაღო და კარიბჭეზე გამოჩნდა. მე უკვე მზად ვიყავი დამეჯერებინა, რომ ჩემი მოხუცი გადაიქცა გოგონად. მაგრამ ამ დროს მოხუციც გამოვიდა. თურმე კარადაში შესულიყო თავისი შალებისა და უსახელოებო ჩასაცმელების ჩამოსაკიდად.

— აი, კატერინა ივანოვნაც,—თქვა მოხუცებულმა.

კატერინა ივანოვნა ასე თორმეტი წლისა იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე მეტისა არ იყო. მაგრამ მერე რა! ნეტა მეც ვასავით შემძლებოდა სიარული, თავის ისე ამაყად გადაწევა, მუქი ცოცხალი თვალებით პირდაპირ სახეში ცქერა! ნაწნავები კულულებად ეყარა და შუბლსაც ასეთივე კულულები უმშვენებდა. ლოყაწითელი იყო, მაგრამ სასტიკი შესახედაობისა და დიდედასავით სიმტკიცის გამომხატველი ცხვირი ჰქონდა. საერთოდ, ლამაზი იყო, მაგრამ თავს ძალიან იდებდა—ამას პირველივე შეხედვისთანავე შეამჩნევდით.

— მომილოცნია, კატერინა ივანოვნა,—უთხრა მოხუცებულმა, რომელსაც ჯერაც არ გაეთავებინა გახდა,—ისევ ამომაცალეს ლიმონი!

— სწორედ იმიტომ გეუბნებოდი, რომ პალტოში ჩაგედო.—გაჯავრებით უთხრა კატერინა ივანოვნამ.

— ოჰ! პალტოში! სწორედ პალტოდან ამომაცალეს.

— მაშასადამე, შენ ისევ ანგარიშობდი, დიდედა!

— სულაც არ ვანგარიშობდი. აი, კავალერიც მახლდა.

გოგონამ შემომხედა. აქამდე, მგონი, არც კი შევუმჩნევივარ.

— კალათი მაგან მომიტანა. დედა როგორ არის?

— ახლა ვუზომავთ.—უპასუხა გოგონამ და თან დამშვიდებით მათვალიერებდა.

— უი! შენ ჩემო თავო,—უეცრად აფორიაქდა მოხუცებული.—რა ვქნა, რატომ ეგრე გვიან? ექიმმა ხომ თქვა, თორმეტზე გაუზომეთო!

ის ჩქარი ნაბიჯით გავიდა. მე და გოგონა მარტონი დავრჩით. ორიოდე წუთი ვდუმდით. შემდეგ შუბლი შეიკრა და მკაცრად მკითხა:

— „ელენე რობინზონი“ წაგიკითხავს?

— არა.

— „რობინზონ კრუზო?“

— არც ეგ.

— რატომ?

კინაღამ არ ვუთხარი, სულ ნახევარი წელიწადია, კითხვა ვისწავლე-მეთქი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი.

— არა მაქვს.

— რომელ კლასში ხარ?

— არც რომელში.

— ეგ მოგზაურია,—თქვა ოთახში შემობრუნებულმა მოხუცმა,— ოცდაჩვიდმეტი და ორი. თურქესტანში ფეხით მიდიოდა. არაფერი აწყენინო, კატია!

— როგორ, ფეხით!?

— აი როგორ. აიკრა გუდა-ნაბადი და გზას გაუდგა.

დერეფანში სარკის ქვეშ მაგიდა იდგა. კატიამ მაგიდასთან სკამი მისწია, დაჯდა, გასწორდა, თავით ხელს დაენდო და მითხრა:

— აბა, მიამბე.

არ მინდოდა მისთვის რაიმე მეამბნა, რადგან თავს მეტისმეტად იდებდა. რომ მიგვეღწია თურქესტანამდე, მაშინ სხვა საქმე იყო! ამიტომ ზრდილობიანად ვუთხარი:

— ეჰ, სხვა დროს იყოს, ახლა მეზარება.

მოხუცებული ხილფაფიან პურს მაჩეჩებდა და ძალაზე მადგა გამომერთმია, მაგრამ მე არ ვართმევდი.

— გითხარით უსასყიდლოდ, მაშასადამე, უსასყიდლოდ.

მე თვითონ არ ვიცი რატომ, მაგრამ ცუდ გუნებაზე დავდექი. კიდევაც მესიამოვნა, კატია რომ გაწითლდა, როცა უარი ვუთხარი და კარებისაკენ წამოვედი.

— კარგი მაშ, ნუ ჯავრობ,—მითხრა მოხუცებულმა, როცა მაცილებდა,—რა გქვია, რა გვარი ხარ?

—ალექსანდრე გრიგორიევი.

— მაშ მშვიდობით, ალექსანდრე გრიგორიევო. გმადლობთ!

დიდხანს ვიდექი კიბეზე და ვცდილობდი კარებზე მიკრულ ფირფიტაზე დაწერილი გვარი გამერჩია. კაზარინოვი—არც კაზარინოვი...

— ნ. ა. ტატარინოვი.—უეცრად წავიკითხე.

— აი ოინი! ტატარინოვი ნიკოლაი ანტონიჩი. ჩვენი გამგეეს მისი ბინაა!

თავი მეოთხე

ბევრი რამ მქონდა დასაფიქრებელი

ზაფხული „სერებრიანი ბორში“ გავატარეთ. ძველებურ, უპატრონოდ მიტოვებულ სახლში, სადაც პატარა კიბე-გადასასვლელები იყო, ყველგან ჩუქურთმიანი ხის ბერი, დერეფნები ყრუ კედლებით თავდებოდა. ამ სახლში ყველაფერი ჭრიალებდა:

კარი თავისებურად, დარაბები თავისებურად. ერთი დიდი ოთახი დალურსმული იყო, მაგრ ამ იქაც რაღაცა ჭრიალებდა, შრიალებდა და უეცრად იწყებოდა ერთფეროვანი კაკუნი ჟღრიალა ხმაზე, თითქოს საათის ჩაკუჩი ზარს აცდენილი სცემდა. სხვენზე გუდაფშუტა სოკოები ამოსულიყო... უცხოური წიგნები ფურცლებამოხეული და ყდებმოგლეჯილები ეყარა.

რევოლუციამდე ეს სახლი მოხუცებულ ბოშა-გრაფინიას ეკუთვნოდა. ბოშა გრაფინია! რა იდუმალებით იყო მოცული. ხმები დადიოდა, თითქოს სიკვდილის წინ გრაფინიას განძი მიწაში ჩაეფლო. რომაშკა მთელი ზაფხული ეძებდა ამ განძს. დიდთავა, ჭიანა, ჯოხით ხელში უვლიდა მთელ სახლს, ხან სად მიაკაკუნებდა, ხან სად და თან ყურს უგდებდა. ღამღამობითაც აკაკუნებდა, ვიდრე უფროსებიდან ვიღაცამ კინკრიხოში არ უთავაზა. ცამეტი წლისამ მტკიცედ გადაწყვიტა გამდიდრება. მის გაცრეცილ ყურებს ცეცხლი მოედებოდა ხოლმე, როცა ფულზე ლაპარაკს იწყებდა. ბუნებითვე განძის მაძიებელი—ცრუმორწმუნე და ხარბი იყო.

მინგრეულ-ძონგრეულ ფანჩატურების გარშემო ხმირი სპარსული იასამანი გაზრდილიყო. ამწვანებულ ბილიკებს ქანდაკებები მისდევდა. ესენი არა ჰგავდნენ ბერძენთა ღმერთებს: ისინი იყვნენ—გულგრილნი, თეთრი უსინათლო თვალებით. ესენი კი—ჩვენივე მსგავსი ადამიანები.

ერთი ქანდაკება კორაბლიოვივით ულვაშებიანი იყო. მეორე—ათიოდე წლის გოგონა, კოპებამდე პერანგი ეცვა, იზმორებოდა და მუშტებით თვალებს იფშვნეტდა—გეგონებოდათ, ეს არის ახლა წამომდგარა ლოგინიდანაო.

შეეცადე, გამმოეძერწა იგი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. გამოვიდა მხოლოდ ხვეული ნაწნავები და ასეთივე ხვეულები შუბლზე, როგორც კატერინა ივანოვნასა ჰქონდა, იმ ცხვირაფშეკილ გოგოს. მგონი, ცხვირიც კი დავამსგავსე: მაგრამ ეს ადამიანების გამოძერწვა ისე ადვილი არ იყო, როგორც გომბეშოებისა და კურდღლების.

ასე კარგად ვცხოვრობდით მხოლოდ ზაფხულის დასაწყისში—„სერებრიანი ბორში“ ჩასვლის პირველ დღეებში, შემდეგ ცხოვრება გაუარესდა, თითქმის აღარ გვაჭმევდნენ. მთელი საბავშვო სახლი „თვითმომარაგებაზე“ გადავიდა. ვიჭერდით თევზებს, კიბოებს, შეჯიბრების დღეებში სტადიონთან იასამანსა ვყიდდით, ან უბრალოდ, ხელს ვაყოლებდით, რაც მოგვხვდებოდა. საღამოობით ბაღში ცეცხლს ვანთებდით და ნადავლსა ვწვავდით.

აი ერთი ასეთი საღამო—ეს საღამოები ყველა ერთმანეთსა ეგავდა.

ჩვენ ცეცხლთანა ვსხედვართ დაღლილები, მშივრები და გაბრაზებულები. ყველაფერი გაშავებულია ბოლისაგან: კარდალა, საკიდელი, ჩვენი სახე და ხელები. ინდიელებივით, რომელნიც მზად არიან კაპიტანი კუკის შესაჭმელად, ჩვენც ვდუმვართ და ცეცხლს ჩავცქერით... მუგუზლები უეცარი ტკრციალით ნაპერწკლებად იფრქვევიან. მუქი წითელი ბოლი მბოლქვავი ქუდივით ადგია ცეცხლს.

„კომუნა“—ჩვენა ვართ. მთელი საბავშვო სახლი კომუნებად არის დაყოფილი: მარტო ძნელია „მომარაგებაზე“ ზრუნვა. ყოველ კომუნას თავისი თავმჯდომარე ჰყავს, თავისი ცეცხლი და თავისი საშარქაფო ფონდები აქვს,—ესე იგი ის, რაც რაიმე მიზეზის გამო დღეს არ შეჭმულა და ხვალისთვის დარჩენილა.

ჩვენი თავმჯდომარე სტიოპკა ივანოვია, თხუთმეტი წლის პირშსუქანი ბიჭი, ღორმუცელა და გაიძვერა, ვისიც ყველას ეშინია...

— მოღი, ვიკოჭაოთ,—ზანტად ამბობს სტიოპა.

ყველანი სდუმან. კოჭაობა არავის ეხალისება, სტიოპკა გამაძღარია და იმიტომ არის თამაშობის გუნებაზე.

— კეთილი, სტიოპკა. მაგრამ რომ ბნელა,—ეუბნება რომაშკა.

— სადა ბნელა? ადექი!

ჩვენს თავმჯდომარეს კოჭაობა ყველაფერს ურჩევნია ქვეყანაზე.

დარტყმა იშკილბაზური აქვს, ეს ყველამ იცის. მაგრამ ჩემსა და ვალკას გარდა ყველანი ელაქუცებიან, განსაკუთრებით რომაშკა. ხანდახან განგებ წაუგებს ხოლმე, რომ სტიოპკამ არაფერი აწყენინოს.

არ იფიქროთ, რომ ცეცხლზე ჩვენ გემრიელ ნანადირევსა ვწვავთ! სამზარეულოდან ბრძოლით დათრეულ კარდალაში წვენი დულს! ეს ნამდვილი „ძეხვის ჯოხის“ წვენია. როგორც იმ ზღაპარშია, სერაფიმა ივანოვნამ რომ წაგვიკითხა ზამთარში. განსხვავება შეიძლება მხოლოდ იმაშია, რომ ის წვენი თაგვის კუდისა იყო. ჩვენ კი ჩვენ წვენში ყველაფერსა ვდებდით, რაც ხელში მოგვხვდებოდა. ზოგჯერ ბაყაყის ფეხებსაც.

აი ჩვენი სახლის კარები იღება და ვერანდაზე დაბალი, სქელი კაცი გამოდის, განიერფარფლებიანი ქუდი ხურავს.

— ბიძია პეტია, ჩვენკენ!

— აქეთ, ბიძია პეტია!

ეს პიოტრ ანდრეიჩ ლოპუხოვია, ჩვენი მზარეული. ბარბაცებს— წყლის ბრალი როდია—ოპერებიდან არიების ნაწყვეტებს ღიღინებს და „კომუნებს“ უვლის. ყველა ქვაბიდან საპმელს გემოს უსინჯავს, იფურთხება და ზიზღით ამბობს:

— საწამლავია!

იგი მელომანია, ესე იგი მუსიკისა და სიმღერის მოყვარული. ყველა ოპერა ზეპირად იცის. იმისთვის იმაზე მეტი სიამოვნება არ არსებობს, რომ „ევგენი ონეგინიდან“ ან „პიკის ქალიდან“ რომელიმე სცენა წარმოგვიდგინოს, ჩვენთვის კი იმაზე მეტი სიამოვნება არ არსებობს, რომ იმას მოვუსმინოთ და აღტაცება გამოვთქვათ.

— ზორბაა! შალიაპინს არ ჩამოუვარდება! ბიძია პეტია, რატომ მსახიობად არ მიდიხართ?

— მეშინია!

— რისა, ბიძია პეტია?

— შემიკლავს.

აგერა, ჩვენ ცეცხლთანა ჩერდება, საპმელს გემოს უსინჯავს, აფურთხებს,—და იწყება გრძელი ამბავი იმის შესახებ, როგორა სპამდნენ ძველ დროში, ძალიან დიდი ხნის წინათ, ასი, ან შეიძლება ორასი წლის წინათაც კი. იგი არა მარტო მელომანია, ისტორიკოსიც არის ძველი საპმელებისა,—კურდღლის სოუსებისა და ირმის მკერდების მცოდნე.

— სადედოფლო ერბოკვერცხი,—იდუმალი ჩურჩულით ამბობს იგი,—აიღე თვრამეტი კვერცხის გული, აურიე ბისკვიტში, მიუმატე მწარე ნუში, ნაღები, შაქარი და ერბოში შეწვი. გიპამიათ?

ჩვენ ერთხმად ვუპასუხებთ.

— არ გვიპამია!

— საქმეც ეგ არის! ვაშლები ხიფთანში. ვაშლს რომ გაფცქვნი, კურკები ამოაცალე, ქიშმიშით დატენე, ცომში შეახვიე, გამოაცხე და მერე ჭიქურა წაუსვი. გიპამიათ?

— არ გვიპამია!

— საქმეც ეგ არის!

თვითონ მზარეული კი ყველა საპმელებიდან უპირატესობას „არყის გადაკვრას“ ანიჭებს,—ოცდაერთი წლის ზაფხულში იგი ჩვენი ერთადერთი ხელმძღვანელია. სერაფიმა ივანოვნა დაიბნა, იმას ყურადღებას არავინ აქცევს. სახლში კიდევ ვიღაც გადი-

ები დაყიალებენ, მზარეულთან დანასისხლად არიან—მათთვის, რატომღაც, ხელსაყრელი არ არის, რომ მზარეული ულუფას მშრალი სახით გვაძლევს. ერთი სიტყვით, თუ მზარეული არა, ჩვენ ყველანი გავიქც-გამოვიქცეოდით.

ამგვარად, ის ჩვენ ცეცხლთანა დგას და გვიამბობს, როგორ ჭამდნენ ძველად. ზოგჯერ თავისთავს თვითონვე აწყვეტინებს ბედიკური შენიშვნებით.

— ქარიყლაპია ყველას არა რგებს, კუჭს ამძიმებს.

— ჭანარი სისხლს სწმენდავს. კარგი თევზია.

აი, ცეცხლიდან ჩვეხ კარდალას იღებს და ორთქლსა ყნოსავს. ხანდახან ორთქლს რომ დაყნოსავს—ამბობს არა „საწამლავს“, არამედ „სიფლავს“—და წვენს ბუჩქებში გადაუძახებს, რას იტყვის ამჯერად? ყნოსავს, თვალებს ზეცისაკენ აპყრობს, სდუმს...

— საწამლავია!

შვიდი თავი იხრება კარდალისაკენ, შვიდ კოვზს მორიგეობით ვყოფთ წვნის ამოსაღებად და ვხვრეპავთ.

ვერ ვიტყვი, რომ შემოდგომისათვის გავსუქდით ასეთი კვებით. გარდა სტიოპა ივანოვისა, რომლის კუჭიც სირაქლემასავით ყველაფერს ინელებდა, ჩვენ ვხდებოდით, ვავადმყოფობდით და თავს ძალზე ცუდადა ვგრძნობდით.

მაინც კარგი ზაფხული იყო! ის იმიტომ არ დამხსომებია, რომ ცუდად გვაჭმევდნენ. ამას მიჩვეული ვიყავი და აქამდე ჩემ სიცოცხლეში კარგი რამ არც კი მეჭამა. ბრა, ეს ზაფხული მე სულ სხვა მიზეზით მახსოვს. იმ ზაფხულს პირველად ვიგრძენი ჩემი თავისადმი პატივისცემა.

ეს ამბავი აგვისტოს ბოლოს მოხდა. ქალაქში დაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე და სწორედ ცეცხლთან, როდესაც ვახშამს ვამზადებდით. სტიოპამ უეცრად საჭმლის გაცემის ახალი წესი გამოაცხადა. აქამდე ჩვენ მორიგეობით ვჭამდით, კოვზს კოვზი მისდევდა. როგორც თავმჯდომარე, სტიოპა იჯდებდა, მას რომაშკა მისდევდა და ასე შემდეგ. ახლა კი ყველანი ერთად უნდა დავსეოდით. ვიდრე წვენი ცხელი იყო,—და ვინ ვის დაასწრებდა!

არავის არ მოეწონა ახალი წესი. რა თქმა უნდა! ასეთი თავმჯდომარის ხელში ეს ნაღდი სამარე იყო. იმას სამი ყლუპით შეეძლო მთელი კარდალის გამოცლა.

— არ ივარგებს.—გადაწყვეტით გამოაცხადა ვალკამ.

ჩვენ მოწონების ნიშნად ავხმაურდით. სტიოპა ნელ-ნელა წამოდგა, მუხლები ჩამოიბერტყა და ვალკას შიგ სახეში გაარტყა. საშინლად გაარტყა, წამში მთელი სახე სისხლმა შეუღება და ეტყობა თვალებშიც მოხვდა სისხლი, რადგან ვალკამ ბრმასავით დაიწყო ხელების ქნევა.

— აბა,—ზანტად თქვა სტიოპამ,—კიდევ ვის უნდა?

მე ყველაზე პატარა ვიყავი „კომუნაში" და მას, რა თქმა უნდა, ცალი ხელით შეეძლო ჩემი წაქცევა, მაგრამ მაინც გავარტყი. სტიოპა უეცრად დატორტმანდა და ჩაჯდა. არ ვიცი, სად მოვახვედრე, გამოშტერებული კი იჯდა და თვალებს ახამხამებდა. მართალია, გონს მალე მოვიდა და მეცა, მაგრამ აქ უკვე ბიჭებმა არ დააჩაგვრინეს ჩემი თავი და სტიოპა ძაღლივით დაჩეჩქვეს. ვიდრე იგი ცეცხლს უკან იწვა და ღმუოდა, ჩვენ საჩქაროდ ახალი თავმჯდომარე ავირჩიეთ—მე ამირჩიეს. სტიოპას, რა თქმა უნდა, ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ სულ ერთია, კიდეც რომ მიეღო მონაწილეობა, მაინც ვერაფერს გაიტანდა: მე ერთხმად ამირჩიეს.

წინ გავრბივარ, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მე ცუდი თავმჯდომარე არა ვყოფილვარ. როცა შიმშილობა გათავდა და ზამთარში პიონერულ ორგანიზაციაში შევედით, ჩვენი „კომუნა" საუკეთესო რგოლი გახდა სკოლაში. პირველი თავზეხელაღებული მებრძოლი რგოლი—„ჩაპაევი."

თუმცა საკვირველია, მაგრამ ეს ცხვირ-პირის ჩამტვრევა ჩემი პირველი საზოგადოებრივი საქმე იყო. ერთხელ გავიგონე, როგორ ამბობდნენ ჩემზე ბიჭები: „სუსტია, მაგრამ გამბედავიო". მე გამბედავი ვარ! საერთოდ როგორი ვარ? ბევრი რამ მქონდა დასაფიქრებელი.

თავი მეხუთე

არის თუ არა თოვლში მარილი?

ამ წელს სკოლაში არაფერი შეცვლილა, ძველებურად ჩხუბობდნენ ყოფილი ლიადოველები ყოფილ პესტოველებთან, ძველებურად მოჰქონდათ მარხილით ბებიასავით შეფუთნილი ფაფა. ძველებურად დილის ათ საათზე გამოჩნდებოდა ხოლმე კორაბლიოვი სკოლაში.

იგი მოდიოდა შემოდგომის გრძელ პალტოში გამოწყობილი,

თავზე განიერფარფლებიანი ქუდი ეხურა. სარკის წინ აუჩქარებლად გადაიკარცხნიდა ულვაშებს და გაკვეთილზე შეავიდოდა.

იმისთვის ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა ულუფის დაჭერა, როგორც მეხუთეკლასელმა „ბრეჭყალებმა“ წამოაყენა წინადადება გასულ წელს.—ახლა მის გაკვეთილებზე ხუთ კაცზე მეტი ესწრებოდა. გაკვეთილს არავისა ჰკითხავდა, საშინაოდ არავითარ დავალებებს არ აძლევდა. უბრალოდ ან უამბობდა რაიმეს, ან უკითხავდა. თურმე მოგზაური იყო და მთელი ქვეყანა მოევლო. ინდოეთში იოგი თვალთმაქცები ენახა, რომლებიც ერთი წლით მიწაში იმარხებოდნენ და მერე ისევ ცოცხლები წამოდგებოდნენ ხოლმე, ვითომც აქ არაფერიაო; ჩინეთში უგემრიელესი ჩინური საჭმელი—დამპალი კვერცხები ეჭამა; სპარსეთში შახსეი-ვახსეი ენახა—მაჰმადიანების სისხლიანი უქმე.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე, რომ თავის დღეში რუსეთს არ გასცილებოდა. ყველაფერს იგონებდა. მაგრამ რა საინტერესოდ! თუმც ბევრი ისევ ამტკიცებდა, სულელიაო, მაგრამ ახლა იმას ვეღარავინ იტყოდა, არაფერი იცისო.

წინანდებურად, მეოთხე სკოლაში პირველი კაცი ნიკოლაი ანტონიჩი იყო. იგი სწყვეტდა ყველაფერს, ყველაფერში ერეოდა. ყველა კრებებზე ესწრებოდა. უფროსკლასელები სახლში დადიოდნენ მასთან „დამოკიდებულებების გამოსარკვევად“. დავას ლიადოველებსა და პესტოველებს შორის ათ წუთში არჩევდა, ყველაზე გამოუსწორებელნი უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ იმას. რომელ მოსწავლესაც გნებავთ პირველიდან უკანასკნელ კლასამდე, შეეძლო იმასთან მისულიყო თავის საქმეებზე მოსალაპარაკებლად. „ნიკოლაი ანტონიჩს ვეტყვი“, „ნიკოლაი ანტონიჩმა მითხრა“, „ნიკოლაი ანტონიჩმა გამომგზავნა“, გაისმოდა წამდაუწუმ ჩვენ სკოლაში.

ბოლოს მეც მომიხდა ამ ოთხი სიტყვის თქმა.

წინა დღით მოსწავლე გავხდი. „საბავშვო სახლი გამოსცადეს“ და მე მეორე კლასში ჩამრიცხეს. როგორ შევხვდე ამ მოვლენას, მოსკვა-რეკასკენ ან ვორობიოვის მთებისკენ ხომ არ მოვუსვა? ამ ფიქრებით გართული დავყიალებდი საალტო დარბაზში, რომ სამასწავლებლოს კარები გაიღო და ნიკოლაი ანტონიჩმა ხელით მანიშნა, ჩემთან მოდიო:

— გრიგორიევო,—მითხრა მან, როგორც კი მოიგონა ჩემი გვარი (განთქმული იყო იმით, რომ მთელ სკოლას გვარებით იცნობდა).—იცი, სადა ვცხოვრობ?

ვიცი-მეთქი, მივუგე.

— ლაქტომეტრი რაღა არის, იცი?

არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე.

— ამ ხელსაწყოთი ვგებულობთ, თუ რამდენი წყალია ჩარეული რძეში. ყველამ ვიცით,—ნიკოლაი ანტონიჩმა თითი ასწია,—რომ მერძევე ქალები რძეში წყალს ურევენ. ჩადეთ ასეთ წყალ-წყალა რძეში ლაქტომეტრი და თქვენ დაინახავთ, რამდენი წყალია და რამდენი რძე. გაიგე?

— გავიგე.

— აი, სწორედ ეგ მომიტანე.

მან ბარათი დამიწერა.

— მხოლოდ, ფრთხილად, არ გატეხო, მინისაა.

— არ გავტეხავ,—ვუპასუხე ფიცხლად.

ბარათი ნინა კაპიტონოვნასთვის უნდა გადამეცა.

წარმოდგენაც არა მქონდა, თუ ასე ერქვა მოხუც ქალს, მაგრამ კარი იმან კი არა, შავ კაბაში ჩაცმულმა უცნობმა, გამხდარმა ქალმა გამიღო.

— რა გინდა, ბიჭუნა?

— მე ნიკოლაი ანტონიჩმა გამომგზავნა.

ეს ქალი, რა თქმა უნდა, კატკას დედა და მოხუცის შვილი იყო. სამივეს ერთნაირი სიმტკიცის გამომხატველი ცხვირები ჰქონდათ და ერთნაირი მუქი ცოცხალი თვალები, მაგრამ დიდედა და შვილიშვილი უფრო მხიარულად გამოიყურებოდნენ. ქალს სევდიანი და შეწუხებული სახე ჰქონდა.

— ლაქტომეტრი?—გაკვირვებით თქვა, როდესაც ბარათი წაკითხა,—ოჰ! ახლავე!

სამზარეულოში შევიდა და ლაქტომეტრი გამოიტანა. მოლოდინი გამიცრუვდა—ეს ჩვეულებრივი თერმომეტრი იყო, მხოლოდ ცოტათი უფრო დიდი.

— არ გატეხავ?

— რასა ბრძანებთ,—ვუთხარი ამპარტავნული ღიმილით,—გავტეხავ...

მშვენივრად მახსოვს, რომ გაბედული აზრი—ლაქტომეტრის თოვლის მარილზე შემოწმებისა—დაახლოებით ორი წუთის შემდეგ წამომეჭრა, როცა კატკას დედამ (როგორც მე ეგონა) კარი მოხურა.

ის იყო კიბიდან ჩამოვედი, თერმომეტრი ხელში მაგრადა

მქონდა ჩაბღუჯული, ხელი კი ჯიბეში მედო: ჯერ ისევ პეტკასაგან მქონდა გაგონილი, თოვლში მარილი არისო. შეუძლია ლაქტომეტრს აჩვენოს მარილი, თუ პეტკამ იცრუა? აი ეს იყო გამოსარკვევი! საჭირო იყო შემოწმება.

წყნარი ადგილი ამოვირჩიე ფარდულის უკან, ჭუჭყიანი წყლის ორმოს გვერდით. დატკეპნილ თოვლზე აგურის პატარა სახლი იდგა—სახლიდან ფარდულის უკან პატარა პალოებზე შავი ძაფი იყო გაბმული—ეტყობა, ბავშვები საველე ტელეფონსა თამაშობდნენ. რატომღაც დავორთქლე ლაქტომეტრი და გულისფანცქალით სახლის გვერდზე, თოვლში ჩავარჭე. თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა დომხალი უნდა ყოფილიყო მაშინ ჩემს თავში, როცა სამი წუთის შემდეგ ლაქტომეტრი]რომ ამოვიღე და ცვლილება ვერ შევამჩნიე, ახლა თავდაყირა ჩავარჭვე თოვლში.

იქვე ახლოს ვიღაცამ ამოიოხრა! მე მივიხედე.

— გაიქეცი, აფეთქდება!—დაიძახეს ფარდულში.

ეს მოხდა ორ წამში. პალტოგაღეღილი, გოგონა ფარდულიდან გამოვარდა და თავქუდმოგლეჯილი ჩემკენ გამოექანა. „კატკაა“, გავიფიქრე და ყოველ შემთხვევისათვის ხელსაწყოსაკენ ხელი გავიშვირე, მაგრამ კატკამ ხელი ჩამჭიდა და თავისკენ გამითრია. მე ხელს ვკრავ, ვეჯაჯგურები, ორივენი თოვლზე ვეცემით. რახ! აგურის ნამტვრევები ჰაერში ცვივა, უკან თოვლის მტვერი თეთრი ღრუბელივით ამოდის და ზედ გვეფინება.

ერთხელ უკვე მოვხვდი სროლაში, დედაჩემს რომ ვასაფლავებდით, მაგრამ ახლა უფრო საშიში რამ იყო. რაღაცა დიდხანს გრგვინავდა და სკდებოდა ჭუჭყიანი წყლის ორმოსთან. თავს წამოვწევდი თუ არა, კატკა შეფთხრიალდებოდა და მეკითხებოდა: ხომ კარგია? ჰა?

როგორც იყო, წამოვხტი.

— ლაქტომეტრი!—დავიყვირე მე და რაც ძალა და ღონე მქონდა, ორმოსაკენ გავიქეცი.—სად არის?

იმ ადგილზე, სადაც ჩემი ლაქტომეტრი ჩავარჭვე, ღრმა ორმო იყო.

— აფეთქდა!

გაფითრებული კატკა ჯერ ისევ თოვლზე იჯდა, თვალები უბრწყინავდა.

— სულელო, ეგ მგრგვინავი გაზი აფეთქდა,—მითხრა და-

ცინვით.—ახლა კი სჯობია, მოუსვა თორემ მილიციელი მოვა და წაგიყვანს, ერთხელ უკვე იყო. მე კი გავიქცევი.

— ლაქტომეტრი,—თავზარდაცემულმა გავიმეორე და ვგრძნობდი, რომ ტუჩები არ მემორჩილებოდა და სახეც მითრთოდა.—ნიკოლაი ანტონიჩმა გამომგზავნა ლაქტომეტრისათვის. მე თოვლში ჩავდე. სად არის?

კატკა წამოდგა. გარეთ ყინვაა, უქუდოდ არის, მუქი თმები შუაზე აქვს გაყოფილი. ერთი ნაწნავი პირში ჩაუდვია. მაშინ არ შემიხედია, მერე მომაგონდა.

— მე გადაგარჩინე,—მითხრა და დაფიქრების ნიშნად ცხვირი მოჭმუჭნა,—დაიღუპებოდი, ზურგში სასიკვდილოდ დაჭრილი. ჩემი მადლობელი უნდა იყო, რომ სიკვდილს გადაგარჩინე. აქ რას აკეთებდი, ჩემ მგრგვინავ გაზთან?

ხმას არ ვიღებდი, ბრაზი მაღრჩობდა.

— თუმცა იცოდე,—დიდი ამბით დაუმატა,—კატაც რომ მისჯდომოდა გაზს, იმასაც კი გადავარჩენდი. ჩემთვის სულ ერთია.

ხმაამოუღებლივ გამოვბრუნდი ეზოდან, მაგრამ სად უნდა წავიდე? სკოლაში წასვლა აღარ შეიძლება,—ეს ცხადია.

ალაყაფის კარებთან კატკა დამეწია.

— ეი, შენ, ნიკოლაი ანტონიჩ!—დამიძახა მან,—საით გასწიე? საჩივლელად?

მოვტრიალდი, ოჰ, რა სიამოვნებით წავკარი კისერში! ყველაფრისათვის ერთად—გატეხილი ლაქტომეტრისათვის, აფშეკილი ცხვირისათვის, იმისათვის, რომ სკოლაში დაბრუნება აღარ შემეძლო, იმისათვის, რომ სიკვდილს გადამარჩინა, როცა არავინ ეხვეწებოდა!

თუმცა არც ის ჩამომრჩა. ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და ერთი მაგარი მითაქა. იძულებული ვიყავი ნაწნავით დამეთრია და ცხვირი თოვლში ჩამეყოფინებინა. იგი წამოხტა.

— სარმა სწორედ არ გამომდე,—მითხრა მკვირცხლად.—სარმა არ გამოგედო, მე შენ კარგად მოგაკერებდი. ჩვენ კლასში მე ყველა ბიჭებს ვერევი. შენ რომელში ხარ? შენ იყავი დიდედას რომ კალათი მოუტანე? მეორეში?

— მეორეში,—ვუთხარი ნაღვლიანად.

მან შემომხედა.

— დიდი რამ მომხდარა, თერმომეტრი გატეხა.— თქვა დაცინვით.— გინდა ვუთხრა, რომ მე გავტეხე? მე არ მომხვდება, მომიცადე.

გაიქცა და რამდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდა, ქუდი დაეხურა, სულ სხვანაირი იყო, მედიდური, თმაში ბაფთა ჩაეწნა.

— უკვე ვუთხარი დიდედას, რომ შენ იყავი. დედას სძინავს. თქვა, რატომ არ შემოვიდაო? კარგია, რომ ლაქტომეტრი გატყდა, ფორემ წვალება იყო მისი ცისმარე დღე რძეში ჩაძერებაო. სულ ერთია, სწორედ არ აჩვენებდა. ეგ სულ ნიკოლაი ანტონიჩის გამოგონებაა. დიდედა კი ყოველთვის გემოთი იგებს, რძე კარგია თუ არა...

რაც უფრო ვუახლოვდებოდით სკოლას, კატკა მით უფრო მედიდური ხდებოდა. კიბეებზე თავგადაწეული, თვალებმონუსხული ადიოდა.

ნიკოლაი ანტონიჩი სამასწავლებლოში იყო, იქვე, სადაც დავტოვე.

— შენ არაფერი უთხრა, მე თვითონ ვეტყვი,— წავბუტბუტე კატკას. სიცილი წასკდა, ერთი ნაწნავი ქუდიდან რკალივით გამოშვეროდა.

სწორედ ამ ლაპარაკიდან დაიწყო გამოცანები, რომლის შესახებაც შემდეგ თავში გიამბობთ.

საქმე ისაა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი, ის მედიდური და შემწყალე ნიკოლაი ანტონიჩი, რომელსაც ჩვენ მეოთხე სკოლის განუსაზღვრელ უფლებამოსილ მბრძანებლად ვთვლიდით, კატკას ოთახში შესვლისთანავე სადღაც გაქრა. ახლა ნიკოლაი ანტონიჩი ლაპარაკის დროს ნაძალადევად იღიმებოდა, მაგიდისაკენ იხრებოდა, თვალებს ფართოდ აღებდა, წარბებსა ჭიმავდა,— თითქოს კატკა, ღმერთმა იცის, რა საოცარ რაიმეს ამბობდა. ეშინოდა იმისი, თუ რა იყო?

— ნიკოლაი ანტონიჩ, თქვენ გამოგზავნეთ ეს ლაქტომეტრისათვის?— ჰკითხა კატკამ და თან თვალებით ამპარტავნულად ჩემზე უჩვენა.

— მე გამოვგზავნე, კატიუშა.

— სწორეა, მე კი ლაქტომეტრი გამიტყდა.

ნიკოლაი ანტონიჩმა სერიოზული სახე მიიღო.

— ტყუის,— მოღუშულმა ვუთხარი მე,— ის აფეთქდა.

— არაფერი მესმის, გრიგორიევო, გაჩუმდი. კატიუშა, ამიხსენი, რა მოხდა.

— არაფერიც არ მომხდარა.— თავი ამაყად გადასწია და უპასუხა კატკამ...— ლაქტომეტრი გამიტყდა, მეტი არაფერი.

— მაშ ასე, ასე, მაგრამ, მგონი, მე ეგ ბიჭი გამოვგზავნე, ხრა?

— ამან კი ვერ მოგიტანათ, რადგანაც მე გამიტყდა.

— ტყუის,— ხელახლა ვთქვი მე.

კატკამ მრისხანედ გადმომხედა.

— კარგი, კატიუშა, დავუშვათ ასეა.— ნიკოლაი ანტონიჩს ლმობიერად გაეღიმა.— მაგრამ იცი რა: სკოლაში რძე მოიტანეს, მე ბაუზმე შევაჩერე, რომ ამ პროდუქტის ხარისხი განმესაზღვრა და ამ ხარისხის მიხედვით გადამეწყვიტა— ჩვენი რძის მომწოდებლებისგან ავიღებთ მომავალში რძეს თუ არა. გამოდის, რომ ტყუილად ვიცდიდი? უფრო მეტიც: გამოდის, რომ ძვირფასი ხელსაწყო გატყდა, და ისიც გამოურკვეველია, როგორ გატყდა. ახლა შენ ამიხსენი, გრიგორიევ, რა მოხდა.

— ოჰ, რა მოსაბეზრებელია, მე წავალ, ნიკოლაი ანტონიჩ,— გამოაცხადა კატკამ.

ნიკოლაი ანტონიჩმა შეხედა. არ ვიცი რატომ, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ ამ წუთში კატია სძულდა.

— კარგი, კატიუშა, შენ წადი,— ალერსიანად უთხრა მან,— მე და ეს ბიჭი კი მოვილაპარაკებთ.

— მაშ მეც მოვიცდი.

დაჯდა და, ვიდრე ჩვენა ელაპარაკობდით, მოუთმენლად კბილით ნაწნავსა სწიწკნიდა— ვინ იცის, რომ წასულიყო, იქნებ ლაპარაკი ასე მშვიდობიანად არ დამთავრებულიყო. ლაქტომეტრი მაპატიეს. ნიკოლაი ანტონიჩმა ისიც კი გაიხსენა, რომ მე მის სკოლაში გამომგზავნეს, როგორც მომავალი მოქანდაკე. კატკა ყურადღებით ისმენდა.

ამ დღიდან მე და კატია დავმეგობრდით, მოეწონა, რომ ნუბა არ მივეცი დანაშაული თავის თავზე აეღო, და, როცა ნიკოლაი ანტონიჩს ვუამბობდი, ისე მოვახერხე, რომ მგრგვინავი გზა სულაც არ მიხსენებია.

— შენ გეგონა, მომხვდებოდა, ჰა?— მკითხა, როცა სკოლიდან გამოვედით.

— ჰო.

— როგორ არა! ჩვენთან გამოიარე, დიდედამ დაგპატიჟა.

თავი მეექვსე

სტუმრად მივდივარ

დილით ამ ფიქრით გამეღვიძა—წავიდე თუ არა? ორი რამ მაბრკოლებდა: შარვალი და ნიკოლაი ანტონიჩი. შარვალი, მართლაც, ვერაფერი შვილი იყო, არც მოკლე, არც გრძელი, მუხლებზე გამოკერებული. ნიკოლაი ანტონიჩი კი, როგორც ვიცით, სკოლის გამგე იყო, ესე იგი, საკმაოდ საშიში პიროვნება. უცებ რომ დამიწყოს გამოკითხვა, რატომ და რისთვის? მაგრამ მაინც გაკვეთილების შემდეგ ჩექმები გავიწმინდე, თავი მაგრად დავისველე და თმა შუაზე გავიყავი. სტუმრად მივდივარ!

როგორ უხერხულად ვგრძნობდი თავს, როგორ მერიდებოდა! წყეული თმა საქოჩრეზე მეფშიკებოდა და ფურთხით ძლივს ვისწორებდი. ნინა კაპიტონოვნა რაღაცას გვიამბობდა მე და კატკას. უეცრად მკაცრად მიბრძანა:

— პირი მოკუმე!

თვალს არ ვაშორებდი და პირის მოკუმვა დამვიწყებოდა.

კატკამ მთელი ბინა დამატარა. ერთი ოთახი იმისი და იმისი დედისა იყო, მეორე—ნიკოლაი ანტონიჩისა, მესამე კი სასადილო. ნიკოლაი ანტონიჩს საწერ მაგიდაზე ედო საწერი მოწყობილობა. „დევგმირ ილია მურომეცის ცხოვრებიდან," როგორც კატკამ ამიხსნა. მართლაც, სამელნე წარმოადგენდა მუზარადიან, წვერიანკაცის თავს. საფერფლე—გადაჯვარედინებულ ძველ რუსულ ხელჯაგს და ასე შემდეგ. მუზარადის ქვეშ მელანი იყო და, მაშასადამე, ნიკოლაი ანტონიჩს კალამი პირდაპირ გოლიათის თავის ქალაში უნდა ჩაეწო. ეს ძალიან მეუცხოვა.

ფანჯრებს შუა ამერიკული ყაიდის წიგნების კარადა იდგა—არასდროს არ მენახა ამდენი წიგნები ერთად.—კარადის ზემოდან სურათი ეკიდა წელამდის გადაღებული მეზღვაურის. მას გაშლილი შუბლი ჰქონდა, მტკიცედ შეკრული ბაგე და ნაცრისფერი, ცოცხალი თვალები.

იგივე სურათი, ოღონდ უფრო პატარა, სასადილოშიც შევნიშნე და კიდევ უფრო მცირე ზომისა—კატკას ოთახში, მის პატარა საწოლთან.

— მამაჩემია,—წარბებქვეშიდან გამომხედა და ისე მითხრა კატკამ.

მე კი მეგონა, რომ მისი მამა ნიკოლაი ანტონიჩი იყო. თუმცა

ლეიძლ მამასთან თქვენობით ხომ არ ილაპარაკებდა და არც სახელითა და მამის სახელით მიმართავდა. „ალბათ მამინაცვალია,— გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე გადავწყვიტე, არა-მეთქი. მე ვიცოდი, მამინაცვალი რაც იყო. არა, მგონი, მამინაცვალი არ უნდა იყოს."

შემდეგ კატკამ საზღვაო კომპასი მაჩვენა—ძალიან საინტერესო ნივთი. ეს იყო დასადგმელზე მოთავსებული სპილენძის რკალი, რომელშიც თასი ქანაობდა. თასში კი, შუშის ქვეშ, ისარი იყო. საითაც არ უნდა მიგეტრიალებინათ თასი, გინდა ყირამალა დაგეყენებინათ, სულ ერთია, ისარი ქანაობდა და ერთი ღუზიანი წვერი ჩრდილოეთს გიჩვენებდათ.

— ასეთი კომპასი ყოველნაირ ავდარს უძლებს.

— შენ ვინ მოგცა?

— მამამ მაჩუქა.

— მამა სადღაა?

კატკამ შუბლი შეიკრა.

— არ ვიცი.

„გაეყარა, დედა მიატოვა",—გადავწყვიტე დაუყოვნებლივ. ასეთი ფაქტები ჩემთვის ცნობილი იყო.

შევამჩნიე, რომ ბინაში ბევრი სურათებია და, ჩემი აზრით, ძალიან კარგი სურათები. ერთი განსაკუთრებით კარგი იყო: სწორი, ფართო გზა ბაღში და მზით განათებული ფიქვები.

— ეგ ლევიტანია,—დიდივით, ვითომც არაფერიაო, ისე თქვა კატკამ.

მაშინ არ ვიცოდი, რომ ლევიტანი მხატვრის გვარია, და გადავწყვიტე, რომ სურათზე დახატულ ადგილს ერქვა ეს სახელი.

მერე კატკას დიდედამ სახარინიან ჩაიზე მიგვიპატიჟა.

— ალექსანდრე გრიგორიევო, აი თურმე როგორი ყოფილხარ— ლაქტომეტრი გაგიტეხია!—მითხრა მან.

დიდედამ მთხოვა ენსკზე მეამბნა რამე. ფოსტის შესახებაც კი მკითხა.

— ფოსტა?

გაჯავრდა, რომ მე არაფერი გამეგონა ვიღაც ბუბენჩიკოვებზე.

— არ იცი ბაღი ებრაელების სამლოცველოსთან? ერთი ამას უყურეთ! არ გაუგონია! ვაშლი კი, ალბათ, ბევრჯერ მოგიპარავს.

მან ამოიოხრა.

— დიდი ხანია წამოვედით, არ მინდოდა იქიდან წამოსვლა. ოჰ, როგორ არ მინდოდა! სულ ჩვენი ნიკოლაი ანტონიჩის ბრალია. ჩამოვიდა და გამოგვიცხადა, დაელოდებით თუ არ დაელოდებით, ახლა სულ ერთია, მისამართი დავტოვოთ და, თუ საჭირო იქნება, გვიპოვნიანო. ავეჯი სულ გავყიდეთ, აი სულ ეს არის, რაც დაგვრჩა,—და მოსკოვისაკენ გამოვწიეთ.

— დიდედა!—მრისხანედ უთხრა კატკამ.

— რა, დიდედა?

— ისევ დაიწყე?

— აღარას ვიტყვი, რაც არის, არის. ჩვენ აქაც კარგადა ვართ.

ვერაფერი ვერ გავიგე—ვის ელოდნენ, ან ახლა სულ ერთი რად იყო. მაგრამ გამოკითხვა, რასაკვირველია, არ დამიწყია, მით უმეტეს, რომ თვითონ ნინა კაპიტონოვნამ ლაპარაკი სხვა რაღაცაზე გადაიტანა.

ასე გავატარე დრო ჩვენი გამგის სახლში მეორე ტვერსკოი-იამსკოიზე.

გამომშვიდობებისას კატკასაგან წიგნი მივიღე „ელენე რობინზონი“, საწინდრად პატიოსანი სიტყვა მივეცი, რომ არც ყდას ვადავღუნავდი და არც ფურცლებს გავაჭუჭყიანებდი.

თავი მეშვიდე

ტ ა ტ ა რ ი ნ ო ვ ე ბ ი

ტატარინოვები უშინამოსამსახურო და ცხოვრობდნენ და ნინა კაპიტონოვნას მისი ხნოვანებისათვის შეუფერებელი ჯაფა ადგა. მე ვეხმარებოდი. ღუმელებს ერთად ვანთებდით, შეშას ვჩეხავდით, ჭურჭელსაც კი ვრეცხავდით. ჩრჩილის დაუძინებელი მტერი იყო და უეცრად სრულიად უმიზეზოდ იწყებდა ნივთების ეზოში გაფენას—აქაც უჩემოდ არა ხერხდებოდა რა. მახლობელი უშენიდან რამდენიმე აგური მოვიტანე და სასადილოში ღუმელი შევაკეთე, ბოლი გამოდიოდა, ერთი სიტყვით, ერთიორად ვანაზღაურებდი თევზის სადილებსა, და ბურღულის ფაფებს, რომლითაც დიდედა მიმასპინძლდებოდა. და ან რაში მჭირდებოდა ის სადილები. მე მათთან ყოფნა მიზიდავდა. იმათი სახლი ჩემთვის ალიბაბას გამოქვაბულივით საინტერესო იყო მისი განძეულობით, საშიშროებით და გამოცანებით. დიდედა ჩემთვის ძვირფასი

განძი იყო, მარია ვასილევნა—გამოცანა, ნიკოლაი ანტონიჩი კი—საშიშროება და უსიამოვნება.

მარია ვასილევნა ქვრივი იყო. ან იქნება არც იყო ქვრივი—ერთხელ გავიგონე, როგორ ამოიოხრა და თქვა ნინა კაპიტონოვნამ: „არც ქვრივია, არც ცოლიო". მით უფრო უცნაური იყო, რომ ასე იკლავდა თავს ქმრის გულისთვის! მოლოზანივით მუდამ შავები ეცვა. მედინსტიტუტში სწავლობდა. მაშინ ესეც უცნაურად მეჩვენებოდა: — ჩემის აზრით, დედებს სწავლა არ შეეფერებოდათ. უეცრად გაჩუმდებოდა ხოლმე, აღარავის ელაპარაკებოდა, არსად მიდიოდა—არც ინსტიტუტში, არც სამსახურში, (მსახურობდა კიდეც)—დაჯდებოდა ტახტზე და პაპიროსს სწევდა. მაშინ კატკა იტყოდა ხოლმე, „დედას სევდა შემოაწვაო", და ყველანი ერთმანეთზე ჯავრობდნენ, იღუშებოდნენ.

ნიკოლაი ანტონიჩი, როგორც მალე გამოირკვა, სულაც არ იყო იმისი ქმარი და, თუმცა უკვე ორმოცდახუთი წლისა იყო, ცოლი არა ჰყავდა.

— ის შენი რა არის?—ვკითხე ერთხელ კატკას.

— არაფერი.

იცრუა. რა თქმა უნდა, რადგან მათ და ნიკოლაი ანტონიჩს ერთი გვარი ჰქონდათ. ის კატკას გარეშე ბიძად მოხვდებოდა.

ღვიძლი ბიძა არ იყო, მაგრამ მაინც ხომ ბიძა იყო, ესენი კი ცუდად ექცეოდნენ. ესეც საკმაოდ უცნაურად მეჩვენებოდა, როცა იგი ყველას მიმართ ძალიან, თითქმის მეტისმეტი ყურადღებიანიც კი იყო.

დიდედას კინო უყვარდა, არც ერთ სურათს არ გამოტოვებდა ხოლმე, მუდამ ნიკოლაი ანტონიჩი მისდევდა თან, წინასწარაც კი იღებდა ბილეთებს. ვახშამზე დიდედა ყოველთვის გატაცებით ჰყვებოდა სურათის შინაარსს (ასეთ წუთებში, სხვათა შორის, ძალიანა ჰგავდა კატკას). ნიკოლაი ანტონიჩიც მოთმინებით უსმენდა,—თუნდაც ისიც მასთან ერთად დაბრუნებულიყო კინოდან.

დიდედას მგონი ებრალებოდა იგი. ერთხელ ვნახე, როგორ უჯდა ნიკოლაი ანტონიჩი პასიანსს, თავი დაბლა დაეხარა და ჩაფიქრებული მაგიდაზე თითებს ათამაშებდა, დიდედა კი სიბრალულით უყურებდა.

მარია ვასილევნას კი სულაც არ ებრალებოდა! რას არ აკეთებდა ნიკოლაი ანტონიჩი იმისი გულისთვის! თეატრის ბილეთები

მოჰქონდა, თვითონ კი შინ რჩებოდა; მოჰქონდა ყვავილები. მე გავიგონე, როგორა თხოვდა, სამსახურისათვის თავი დაენებებინა, თავს გაფრთხილებოდა. ასეთივე ყურადღებიანი იყო მისი სტუმრების მიმართაც. საკმარისი იყო მარია ვასილევნასთან ვინმე მოსულიყო, რომ ისიც ხელად იქ გაჩნდებოდა, ძალიან გულგაშლილი, მხიარული, სტუმარს გრძელ მუსაიფს გაუბამდა ხოლმე, მარია ვასილევნა კი იჯდა ტახტზე მოღუშული, შუბლშეკრული და პაპიროსს აბოლებდა.

განსაკუთრებით თავაზიანი იყო ნიკოლაი ანტონიჩი, როცა კორაბლიოვი მოვიდოდა ხოლმე. ეჭვს გარეშეა, „ულვაშებს“ იგი თავის სტუმრადა სთვლიდა, რადგანაც წამსვე თავის ოთახში, ან სასადილო ოთახში გაიყვანდა და საქმეზე ლაპარაკს არ დააცლიდა. საერთოდ, კორაბლიოვის მოსვლაზე ყველანი გამოცოცხლდებოდნენ ხოლმე, განსაკუთრებით მარია ვასილევნა. ახალ თეთრსაყელოიან კაბაში სუფრასთან ტრიალებდა, თვითონვე შლიდა და უფრო ლამაზი ჩანდა. ზოგჯერ გაიცინებდა კიდეც, როცა კორაბლიოვი სარკის წინ ულვაშებს გადაივარცხნიდა და დიდედას აშკარად დაუწყებდა ხოლმე არშიყობას. ნიკოლაი ანტონიჩიც იცინოდა და ფითრდებოდა. ასეთი უცნაური ჩვეულება ჰქონდა — სიცილისაგან ფითრდებოდა.

მე არ ვუყვარდი—მაგრამ დიდხანს ვერა ვხვდებოდი ამას. პირველ ხანებში მხოლოდ უკვირდა, როცა შევეფეთებოდი. შემდეგ სახის შეჭმუხვნა და ცხვირით ჰაერის უცნაური შესუნთქვა დაიწყო. მერე ჭკუის სწავლებას მოჰყვა.

— როგორა თქვი—„მადლობთ“?—გაიგონა, რომ მე მოხუცებულს ერთხელ მადლობა გადავუხადე.—იცი, რა არის „მადლობა“? გახსოვდეს, რომ შეიძლება მთელი შენი ცხოვრებაც იმის მიხედვით წარიმართოს—როგორ გესმის შენ ეს სიტყვა, იცი თუ არ იცი იგი. ჩვენ ადამიანთა საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ამ საზოგადოების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მადლობის გრძნობა ითვლება. იქნებ იცი კიდეც, რომ მე ოდესღაც ძმა მყავდა. მრავალჯერ, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე მე მას როგორც ზნეობრივ, ისე ნივთიერ დახმარებას ვუწევდი. იგი უმადური აღმოჩნდა. მერე? ამან დამღუპველად იმოქმედა მის ბედზე.

ვუსმენდი და თითქოს შარვალზე დადებულ საკერებლებსა ვგრძნობდი. დიახ, ჩექმებიც ცუდი მაცვია, პატარა ტანისა ვარ, ბუტყიანი და მეტად ფერმკრთალი. მე სხვა ვარ, ისინი კი—ტა-

ტარინოვები, სულ სხვანი. ისინი ჭკვიანები და ნასწავლები არიან, მე—სულელი. ბევრი რამ მჭონდა დასაფიქრებელი.

ჰო, ისიც უნდა გითხრათ, რომ ნიკოლაი ანტონიჩი მარტო ჩემთან როდი ლაპარაკობდა თავის ბიძაშვილზე. ეს მისი საყვარელი თემა იყო. ამტკიცებდა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე მასზე ვზრუნავდი, ბავშვობის წლებიდან მოყოლებული, გენიჩესკში, აზოვის ზღვის პირას. ბიძაშვილი ღარიბი მეთევზის ოჯახიდან იყო და, რომ ნიკოლაი ანტონიჩი არა,—ისიც ისეთივე მეთევზე იქნებოდა, როგორც მისი მამა, პაპა და ყველა წინაპრები იყვნენ, მთელი შვიდი თაობა. ნიკოლაი ანტონიჩმა, რაკი „ბავშვს არაჩვეულებრივი ნიჭი და წიგნის სიყვარული შეამჩნია“, გენიჩესკიდან დონის როსტოვში გადაიყვანა და მეზღვაურთა სკოლაში მოაწყო. ზამთრობით „ყოველთვიურ დახმარებას“ აძლევდა, ზაფხულობით კი აწყობდა მეზღვაურად გემებზე, რომლებიც ბათუმსა და ნოვოროსიისკის შორის დადიოდნენ. თავისივე უშუალო მონაწილეობით ძმა ფლოტში მოაწყო და გამოცდა ჩააბარებინა მეზღვაურ პრაპორშჩიკობაზე. დიდი გაპირვებით მიიღო ნიკოლაი ანტონიჩმა ძმისთვის ნებართვა საზღვაო სასწავლებლის კურსის ჩასაბარებლად და ფულითაც დაეხმარა, როცა საზღვაო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას ახალი ფორმის ტანისამოსი უნდა შეეკერა. ერთი სიტყვით, ნიკოლაი ანტონიჩმა ბევრი რამ გაუკეთა,—გასაგებია, ასე რად უყვარდა ძმის მოგონება. ლაპარაკობდა ხოლმე დინჯად, დაწვრილებით და ქალები რაღაც დაძაბული სასოებით უსმენდნენ მას.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეთ წუთებში მეჩვენებოდა, თითქოს ისინი თავს დავალებულადა თვლიდნენ ყველაფერი იმის გამო, რაც მას თავის ძმაზე ეამაგნა.

მართლაც დავალებულები იყვნენ—და ვერც ამოვიდოდნენ იმის ვალიდან, რადგანაც ის ძმა, რომელსაც ნიკოლაი ანტონიჩი ხან „განსვენებულს“ და ხან „უგზო-უკვლოდ დაკარგულს“ უწოდებდა, მარია ვასილიევნას ქმარი იყო და, მაშასადამე, კატკას მამა. ყველაფერი, რაც ბინაში მოიპოვებოდა, წინათ მას ეკუთვნოდა, ახლა კი მარია ვასილიევნას და კატკას საკუთრება იყო. სურათებიც, რომლებშიაც მოხუცებულის სიტყვით „ტრეტიაკოვკა დიდ ფულს იძლეოდა“, და რაღაც „დაზღვევის პოლისიც“, რომლითაც მას პარიზის ბანკიდან რვა ათასი მანეთი ერგებოდა.

ასეთი რთული საქმეები და უფროსთა ურთიერთდამოკიდებუ-

ლება ყველაზე ნაკლებად ერთ ადამიანს—კატკას აინტერესებდა. იმას თავისი, უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აწუხებდა,—ენსკში დარჩენილ ორ ამხანაგთან მიწერ-მოწერა ჰქონდა და თან ყველგან ჰფანტავდა ამ წერილებს და, ვინც არა მგონია, ყველა კითხულობდა, სტუმრებიც კი. რასაც მეგობრები სწერდნენ, ისიც სწორედ იმასვე სწერდა. ამხანაგი მაგალითად სწერს, რომ სიზმარი ნახა, ვითომ საფულე დაჰკარგა და უეცრად მიშკა კუპცოვი—„გახსოვს, გწერდი",—მოდის და იმას უჰირავს ხელში. კატკაც უპასუხებდა, რომ სიზმარი ნახა, რაღაც დაჰკარგოდა—უკვე არა საფულე, არამედ კაბის გულში ჩასადგმელი ნაჭერი ან მაქმანი, და შურკა გალუბენცოვმა—„გახსოვს, რომ გწერდი",—იპოვა და მოიტანა. მეგობარი სწერს, რომ კინოში იყო, და კატკაც უპასუხებს, რომ ისიც კინოში იყო თუნდ სახლიდან ფეხიც არ გაედგა. მერე მივხვდი, რომ მეგობრები მასზე უფროსები იყვნენ და კატკა მათ ჰბაძავდა.

სამაგიეროდ, თავის კლასელებს საკმაოდ მკაცრად ექცეოდა. ზეტადრე ერთსა სჩაგრავდა, რომელიც თავის თავს კირენს უწოდებდა—თუმცა ტატარინოვებთანაც ყველანი ასე უძახდნენ. კატკა ეკავრობდა, რომ კირენს კითხვა არ უყვარდა.

— კირკა, „დუბროვსკი" წაგიკითხავს?

— წამიკითხავს.

— ტყუი!

— პირში მომაფურთხე, თუ ვტყუოდე.

— მაშ, მიპასუხე, რატომ არ მისთხოვდა მაშა დუბროვსკის?

— მისთხოვდა.

— დილა მშვიდობისა!

— მე კი წავიკითხე, რომ მისთხოვდა.

კატკამ გადაწყვიტა, მეც სწორედ ასევე შევემოწმებინე, როცა „ელენე რობინზონი" დავუბრუნე. მაგრამ ვერ მივართვი! რომელი ადგილიდანაც არ უნდა დაეწყო, მე ზეპირად განვაგრძობდი. საერთოდ არაფერი აკვირვებდა და მხოლოდ ესა თქვა:

— კაჭკაჭივით გაგიზეპირებია.

უნდა ვიფიქროთ, რომ თავის თავს ელენე რობინზონზე ნაკლებად არა სთვლიდა და დარწმუნებული იყო, რომ ისეთსავე საშინელ პირობებში ისიც მასზე ნაკლებ გამბედაობას არ გამოიჩენდა. მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი არაჩვეულებრივი ფათერაკებისათვის თუ ემზადები, არ შეიძლება ასე გაუთავებლად სარკის წინ ტრიალი,

მით უმეტეს, რომ უდაბურ კუნძულებზე სარკეები არ არის. კატკა-კი ერთთავად სარკის წინ იყო დარჭობილი.

იმ ზამთარს, როდესაც მე ტატარინოვებთან სიარული დავიწყე, კატკა აფეთქებებით იყო გატაცებული. თითები მუდამ გარუჯული ჰქონდა და ერთთავად თოფის წამლის სუნი ასდიოდა, როგორც ერთ დროს პეტკას. წიგნებში, რომლებსაც წასაკითხად მაძლევდა, ყველგან ბერთოლეს მარილი იყო ჩაპნეული. უეცრად აფეთქებები მოიმწვანილა და კატკა „აღმოჩენათა საუკუნეს“ ჩაუჯდა.

ეს იყო საუცხოო წიგნი—XV-XVI საუკუნეების შესანიშნავი ზღვაოსნების და ახალი ქვეყნების დამპყრობელთა—ქრისტეფორე კოლუმბის, ფერდინანდ კორტესის და სხვათა ბიოგრაფიები.

ეს წიგნი იმ დიდი ხალხის მიმართ გულწრფელი აღტაცებით იყო დაწერილი. მათ ოვალურ პორტრეტებს შორეულ კარაბელათა ფონზე თითქოს ახლაცა ვხედავ.

ამერიგო ვესპუჩი, ვისი სახელიც ჰქვია ამერიკას, დახატული იყო გლობუსის წინ ცირკულით, რომელიც გადაშლილ წიგნზე უდევს—წვერ-ულვაშიანი, მხიარული და ცბიერი. ვასკო ნუნეს ბალბოა—აბჯარასხმული და ფრთით დამშვენებული მუზარადით, მუხლამდე წყალში ჩამდგარი. მე მეგონა, რომ ეს რომელიმე ჩვენი რუსი ვასკაა, რომელსაც წყნარ ოკეანემდე მიუღწევია. მეც გატაცებული ვიყავი, მაგრამ კატია! ეს წიგნი დღედაღამ პირზე ეკერა. რაღაც გაბრუებულივით დადიოდა და ფხიზლდებოდა, მგონი, მიოლოდ იმიტომ, რომ ეცნობებინა „ტლაკსკალანტების კეთილი სურვილებით თანხლებული კორტესი სალაშქროდ გაემგზავრა და რამდენიმე დღის შემდეგ მჭიდროდ დასახლებულ ხალხმრავალ ინკების დედაქალაქში შევიდა“.

კატას, „აღმოჩენათა საუკუნემდე“ უბრალოდ ვასენა ერქვა, ახლა იპტაკჩუხუატლი დაარქვა—მექსიკაში თურმე ასეთი მთის მწვერვალი ყოფილა. მეორე მთის მწვერვალით პოპოკატეპეტლით ის ნინა კაპიტონოვნას უტრიალებდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგანაც ნინა კაპიტონოვნა თუ არა „დიდედა“, სხვა დაძახებაზე ყურს არ ათხოვებდა.

მოკლედ, თუ კატკა სერიოზულად ნანობდა რამეს, ეგვს გარეშეა, ნანობდა მხოლოდ იმას, რომ სხვამ და არა იმან დაიპყრო მექსიკა, აღმოაჩინა და დაიპყრო პერუ. მაგრამ ჯერ მომავალი წინ იყო. მე ვიცოდი, რაზე ოცნებობდა. იმას უნდოდა კაპიტანი გაეოსულიყო.

თავი მერვე

სკოლის თეატრი

თითქოს კარგის გარდა, ცუდის რის მოლოდინი უნდა მქონოდა ამ ნაცნობობიდან? მაგრამ ნახევარი წელიც არ გასულა, რომ სახლიდან გამომაგდეს...

ეს ამბავი სკოლის თეატრიდან დაიწყო. სკოლის თეატრის ამბავი კი იქიდან დაიწყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს კორაბლიოვმა მეცადინეობაზე გამოაცხადა, ამ დღეებში სააქტო დარბაზში წარმოდგენა შესდგებაო.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მეხუთე კლასის კრებაზე „ბრჭყალები“ მოითხოვდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ საძაგელ „ულვაშებისათვის“. უკვე აღარავის აღარ აბრაზებდა ჩვენი გეოგრაფის გრძელი ფეხები, მისი წესრიგისადმი სიყვარული და ისიც კი, რომ, როგორც ცნობილია, „სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფა უყვარს“. ერთი აპატიეს იმიტომ, რომ ცოცხალი იოგები ნახა ინდოეთში, მეორე იმიტომ, რომ დამპალ კვერცხებსა ჭამდა ჩინეთში. ახლა ახალი ოინი მოიგონა—სკოლის თეატრი. თეატრისათვის საჭირო იყო რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები, დურგლები. თერძები და უეცრად აღმოჩნდა, რომ ყველა ამ ხელობის წარმომადგენლები ჩვენ სკოლაში სწავლობენ. პოეტი-დრამატურგიც კი გვყოლია—ნასტია შჩეკაჩევა.

სამწუხაროდ, ცუდად მახსოვს ტრაგედია „დადგა ჟამი“, რომლითაც ჩვენი თეატრის პირველი სეზონი გაიხსნა. მისი შინაარსი მგონი ასეთი იყო: ვინმე უშვილო ბარონესა შვილად აიყვანს ბავშვს და არ იცის, რომ ის ბავშვი ებრაელია. მაგრამ ეს იცის უარყოფითმა ტიპმა—შანტაჟისტკა გადიამ. იგი თხოულობს ფულს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრება, რომ მთელ ქვეყანაზე თავს მოგჭრიო. ამასობაში ბავშვი უკვე გაიზარდა და ახლა ცოლის შერთვას აპირებს. აი სწორედ აქ იწყებოდა ტრაგედია.

ცოტა უცნაური იყო, რომ ჩვენს თეატრში ივან პავლიჩი (ასე ერქვა კორაბლიოვს) ყველა საუკეთესო როლებს იმ ბავშვებს აძლევდა, რომლებზეც დიდი ხანია ხელი ჰქონდათ ჩაქნეული. ტრაგედიაში „დადგა ჟამი“ შვილობილის როლს—კეთილშობილ გმირს და დადებით ტიპს—ასრულებდა გრიშკა ფაბერი, პედაგოგების რისხვა და პირველი ჩხუბისთავი. კარგად თამაშობდა, ოღონდ ძალიანა ყვიროდა. თერთმეტჯერ გამოიძახეს! კულისებში თაგვი-

ვით გაწუწული იდგა, აღელვებისაგან კანკალებდა და ყურებს არ უჯერებდა. იმას კი იძახებდნენ და იძახებდნენ. გრიშკამ სახელი გაითქვა. შემდეგ ეს განთქმული მსახიობი მეტისმეტად გაამაყდა, მაგრამ ხულიგნობას თავი დაანება.

ერთი სიტყვით, თეატრმა სრულიად საწინააღმდეგო გავლენა მოახდინა მეოთხე სკოლაზე. ბავშვები, რომლებიც სკოლაში „იმდენად სამეცადინოდ არ მოდიოდნენ, რამდენადაც გამოსაკვებად", როგორც კორაბლიოვი ამბობდა, უეცრად „შრომითს ურთიერთობაში აღმოჩნდნენ".

სხვათა შორის, ტრაბახით არ ვამბობ და, ეს შესანიშნავი თეატრი იყო. ჩვენ გასტროლებზეც კი დავდიოდით სხვა სკოლებში.

ყოველ დღე კორაბლიოვთან მივდიოდით,—ის ვოროტნიკოვზე ცხოვრობდა და ვუსმენდით, როგორ ატარებდნენ რეპეტიციებს ჩვენი მსახიობები. რეპეტიცია გრიშკა ფაბერის მონაწილეობით შეიძლებოდა პირდაპირ ეზოდან მოგესმინათ, ისე გაჰყვიროდა. საერთოდ ძალიან საინტერესო იყო. ჯერ აფიშებს ვაკრავდი, მერე აფიშებს ვხატავდი—და ერთი აფიშა ზედ დახატული მწვანე თუთიყუშით ისეთი კარგი გამოვიდა, რომ კორაბლიოვმა სახსოვრად წაიღო.

მეოთხე სკოლის შესახებ ალაპარაკდნენ მოსკოვში, მეოთხე სკოლაში კი ალაპარაკდნენ კორაბლიოვის შესახებ. ის იყო მთავარი რეჟისორი, იგივე მთავარი გრიმიორი, ბუტაფორი და დეკორატორი. უფროსი კლასის გოგონებმა უეცრად აღმოაჩინეს, რომ კორაბლიოვი ლამაზია. არა, ლამაზი კი არა, ეშხიანი. მერე რა, ის მართლაც ეშხიანი იყო, განსაკუთრებით, როცა ახალ რუხ კოსტუმში გამოწყობილი მოვიდოდა ხოლმე, ხმელ-ხმელი, ტანადი, ი უთუნს გრძელ მუნდშტუკით ეწეოდა, სიცილის დროს ულვაშებს იგრეხდა.

არ ვიცი, სხვა პედაგოგებს მოეწონათ თუ არა ჩვენი თეატრი, ნიკოლაი ანტონიჩი კი ყოველ პრემიერაზე პირველ რიგში იჯდა და ყველაზე მეტ ტაშს ის უკრავდა. ალბათ, მოეწონა. მაგრამ მგონი დიდად არ იყო კმაყოფილი იმით, რომ ახლა სკოლაში პირზე ყველას კორაბლიოვის სახელი ეკერა. „ივან პავლიჩს ვეტყვი", „ივან პავლიჩმა გამგზავნა" და ასე შემდეგ. მე მგონი, სულაც არ იყო გონივრული ნიკოლაი ანტონიჩთან ერთთავად იმის ლაპარაკი, რომ თურმე რა კარგი ყოფილა კორაბლიოვი.

ნიკოლაი ანტონიჩი ინტერესით ისმენდა, თითებს ათამაშებდა, იცინოდა და ფითრდებოდა.

და აი უეცრად კატასტროფა მოხდა.

თავი მეცხრე

კორაბლიოვი წინადადებას უკეთებს. პედაგოგიური მოვალეობა

კვირა დღე იყო და ტატარინოვები სადილად სტუმრებს ელოდნენ. კატკა ხატავდა „აღმოჩენის საუკუნედან“ „ესპანელების პირველ შეხვედრას ინდიელებთან“. მე კი ნინა კაპიტონოვნამ სამზარეულოში მიკრა თავი. ოდნავ აღელვებული იყო, ყური სულ კარისაკენ ჰქონდა და წამდაუწუმ მეუბნებოდა:

— ჩ-ჩ, ზარია!

— ქუჩიდან ისმის, ნინა კაპიტონოვნა.

მაგრამ ყური მაინც იქითკენა ჰქონდა.

ბოლოს სასადილო ოთახში გავიდა და ზარი გამოეპარა. კარი მე გავაღე—შემოვიდა კორაბლიოვი, ღიაფერის თხელი პალტო ეცვა, ღიაფერისავე ქუდი ეხურა, ასე მორთულს პირველად ვხედავდი.

ხმა ოდნავ ჩაუწყდა, როცა მარია ვასილევნა იკითხა, შინ არის თუ არაო. მე ვუთხარი: „დიახ“-მეთქი. მაგრამ კიდევ რამდენიმე წამს არ გაუხდია, ისე იდგა. მერე მარია ვასილევნასთან შევიდა. ნინა კაპიტონოვნა კი სასადილო ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვიდა. რატომ ფეხაკრეფით, რატომ ასეთი მღელვარე და იდუმალი გამომეტყველებით?

ამ წუთიდან საქმე ცუდად წაგვივიდა. ნინა კაპიტონოვნას, რომელიც კარტოფილსა ფცქვნიდა, დანა უვარდებოდა ხელიდან. თითქოს რაღაცისთვის გარბოდა სასადილო ოთახში და ფეხაკრეფით, ხელცარიელი ბრუნდებოდა. ყოველ მოსვლაზე ახალი კარტოფილის ფცქვნას იწყებდა და ამგვარად კალათში ახლა საკმაოდ ბევრი მხოლოდ ცალი გვერდიდან გაფცქვნილი კარტოფილები დაგვიგროვდა. მაგრამ თავგზა სულ ამებნა, როცა ნინა კაპიტონოვნამ ერთ-ერთი ასეთნაირად გაფცქვნილი კარტოფილი წვრილად დასჭრა და დაფიქრებულმა წვენში ჩაუძახა. დიახ, ის რაღაც ფიქრით იყო შეპყრობილი, რა ფიქრით? სულ მალე გავიგე ეს. ნინა კაპიტონოვნა იმ ადამიანებს არ ეკუთვნოდა, რომელთაც საიდუმლოების შენახვა შეუძლიათ.

ჯერ უხმოდ ბრუნდებოდა და მხოლოდ ხელებით საიდუმლოდ რაღაცას მანიშნებდა, რაც დაახლოებით ასე შეიძლებოდა გაგეგოთ: „ღმერთო ჩემო, ნეტავი რა მოხდება“.

შემდეგ ბუტბუტს მოჰყვა. მერე ამოიოხრა და ლაპარაკი დაიწყო: ახალი ამბავი არაჩვეულებრივი იყო. კორაბლიოვი მარია ვასილევნას ხელის სათხოვნელად მოსულიყო. რა იყო ხელის თხოვნა, მე, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი. მას უნდოდა მარია ვასილევნას შერთვა და საკითხავად მოვიდა—თანახმაა თუ არა.

თანახმაა, თუ არ არის თანახმა? მეც რომ არა ვყოფილიყავი სამზარეულოში, ნინა კაპიტონოვნა სწორედ ასევე იმსჯელებდა თავის ქვაბებთან და ქოთნებთან. მას ჩუმად ყოფნა არ შეეძლო.

— ეუბნება, ყველაფერს შემოგწირავ, მთელ სიცოცხლეს,—მაცნობა სასადილო ოთახიდან დაბრუნების შემდეგ,—არაფერს დავინანებო.

მე ყოველ შემთხვევისათვის ვუთხარი:

— მერე?

— არაფერს არ დავინანებ.—დიდი ამბით გაიმეორა ნინა კაპიტონოვნამ.—გული მტკივა, თქვენს ცხოვრებას რომ ვუყურებო.

ის-ის იყო, კარტოფილს უნდა მიბრუნებოდა, მაგრამ ისევ გავიდა და თვალცრემლიანი დაბრუნდა.

— ეუბნება, ყოველთვის ოჯახის შექმნის სურვილი მქონდაო,—გადმომცა ნინა კაპიტონოვნამ ცრემლების ყლაპვით,—მარტოხელა კაცი ვიყავი და ახლა მე თქვენს მეტი არავინ მინდა, დიდი ხანია თქვენ მწუხარებას ვიზიარებო და ბევრი რამ ამგვარი.

„და ბევრი რამ ამგვარი“, ნინა კაპიტონოვნამ თავის მხრივ დაუმატა. ათიოდე წუთის შემდეგ ისევ გავიდა და შეწუხებული დაბრუნდა.

— ეუბნება, აღარ შემიძლია, დამქანცა ამ ხალხმა,—თქვა ნინა კაპიტონოვნამ თვალების ხამხამით.—მუშაობაში ხელს მიშლიან. ხომ იცით, ვიზედაც ვლაპარაკობ. დამიჯერეთ, რომ ის კაცი საშინელიაო.

ნინა კაპიტონოვნამ ამოიოხრა და დაჯდა.

— არა, არ გაჰყვება. ქალი ცხოვრებისაგან დაჩაგრულია—კორაბლიოვიც უკვე ხანშია.

არ ვიცოდი, ამაზე რა მეპასუხა, და, ყოველ შემთხვევისათვის, ისევ—მართლა-მეთქი?—ვკითხე.

— „დამერწმუნეთ, რომ ის კაცი საშინელიაო“,—დაფიქრებულმა გაიმეორა იმან.—იქნებ! ღმერთო, შენ მიშველე! იქნებ...

მე უხმოდ ვიჯექი. სადილს ყურს აღარავინ უგდებდა, წყლის თეთრი ბუშტები ქურაზე დაგორავდნენ, წყალი, რომელშიც კარტოფილი ტივტივებდა, გაქანებული დულდა.

მოხუცი ისევ გავიდა და ამჯერად თხუთმეტიოდე წუთი დაჰყო სასადილო ოთახში. როცა დაბრუნდა, თვალები ბოჭუტა და ხელები გაასავსავა.

— არ გაჰყვა,—გამოაცხადა მან.—უარი უთხრა. ღმერთო, შენ მიშველე! რა ვაჟკაცია!

მგონი, თვითონაც არ იცოდა კარგად, გახარებოდა თუ სწყენოდა, რომ მარია ვასილევნამ კორაბლიოვს უარი უთხრა.

— საბრალო!—ვთქვი მე.

ნინა კაპიტონოვნამ გაოცებით შემომხედა.

— განა არ შეიძლებოდა გაჰყოლოდა,—დავუმატე მე,—მარია ვასილევნა ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

— გეყოფა ბოდვა...—ის იყო გაჯავრებით დაიწყო ნინა კაპიტონოვნამ.

უეცრად მედიდური და დინჯი სახე მიიღო, სამზარეულოდან გავიდა და დერეფანში კორაბლიოვს შეხვდა. კორაბლიოვს სახეზე ფერი აღარ ედო. მარია ვასილევნა კარებში იდგა და უხმოდ უყურებდა, როგორ იცვამდა კორაბლიოვი. მარია ვასილევნას ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

— საბრალო, საბრალო,—თითქოს თავისთვის წაილაპარაკა ნინა კაპიტონოვნამ.

კორაბლიოვმა ხელზე აკოცა, იმან კი შუბლზე,—ნინა კაპიტონოვნა ფეხის წვერებზე შედგა. კორაბლიოვი კი დაიხარა.

— ივან პავლიჩ, თქვენ, ჩემი მეგობარი და ჩვენი მეგობარი ხართ,—უთხრა ნინა კაპიტონოვნამ დარბაისლური სიდინჯით,—და უნდა იცოდეთ, რომ ჩვენს ოჯახში, როგორც საკუთარ სახლში, ისე უნდა იყოთ. მაშასიც პირველი მეგობარი ხართ—მე ეს ვიცი და მაშამაც იცის ეს.

კორაბლიოვმა უხმოდ დაუკრა თავი. ძალიან მებრალებოდა. ვერ გამეგო, რად უთხრა უარი მარია ვასილევნამ. ჩემი აზრით, შესაფერი წყვილი იყო.

ეტყობა, მოხუცი ელოდა, რომ მარია ვასილევნა დაუძახებდა და უამბობდა, როგორ სთხოვა კორაბლიოვმა, ცოლად გაჰყოლოდა, და როგორ უთხრა მან უარი. მაგრამ მარია ვასილევნას მისთვის

არ დაუძახნია. პირიქით, თავის ოთახში ჩაიკეტა და გვესმოდა, ბოლთას როგორა სცემდა იქ. ჩერდებოდა და ხელახლა იწყებდა სიარულს.

კატკამ დაამთავრა „ესპანელების პირველი შეხვედრა ინდიელებთან“ და უნდოდა დედისთვის ეჩვენებინა, მაგრამ მარია ვასილევნამ კარი არც კი გაულო, ისე გამოსძახა ოთახიდან, „მერე მაჩვენე, შვილო“.

საერთოდ კორაბლიოვის წასვლის შემდეგ სახლში რაღაც მოწყენილობა ჩამოვარდა და კიდევ უარესი მოწყენილობა ჩამოწვა, როდესაც მხიარული ნიკოლაი ანტონიჩი მოვიდა და გამოაცხადა, სადილად სამი კაცი კი არა, როგორც მეგონა, ექვსი კაცი მოვაო.

მეტი რა ჩარა ჰქონდა ნინა კაპიტონოვნას, უნდა გულიანად მიეხედა სადილისთვის და კატკაც კი მოიწვია ჭიქით ცომის დასაჭრელად. კატკა ძალიან ენერგიულად შეუდგა თავის საქმეს, გაწითლდა, ცხვირ-პირი და თმები მთლად ფქვილში ამოეგანგლა, მაგრამ მალე მოიმწვანილა და გადაწყვიტა ჭიქით კი არა, ძველი სამელნით ამოეჭრა, რათა რკალების ნაცვლად ვარსკვლავები გამოსულიყო.

— დიდედა, სილამაზისათვის,—ვედრებით უთხრა ნინა კაპიტონოვნას.

მერე ვარსკვლავებიც გადაზილა და გამოაცხადა, ჩემ ნამცხვარს ცალკე გამოვაცხობო. ერთი სიტყვით, მისგან ხეირი არ იყო.

ექვსი კაცი მოვა სტუმრად! ნეტა ვინ იქნებიან? სამზარეულოდან ვიყურებოდი და ვთვლიდი.

პირველად სასწავლო ნაწილის გამგე რუჟიჩეკი გეახლათ, რომელსაც მეტსახელად კეთილშობილ ფადეის ეძახდნენ. არ ვიცი, საიდან მოიგონეს ეს სახელი, ყველამ კარგად იცოდა, რა კეთილშობილიც იყო! იმას მოჰყვა სქელი და მელოტი სასაცილო წოწოლათავიანი მასწავლებელი ლიხო. იმას კიდევ ვიღაც-ვიღაცეები მოჰყვნენ, სულ პედაგოგები. შემდეგ მოვიდა „ნემკა“, იგივე „ფრანცუჟანკა“—გერმანულისა და ფრანგულის მასწავლებელი. მოვიდა ჩვენი სერაფიმა გულზე საათით და სულ ბოლოს მოულოდნელად მერვეკლასელი ვოზჩიკოვი მოფრატუნდა. ეს ვოზჩიკოვი ტიპიური „ლიადოველი“ იყო, სუფთად იცვამდა, ბალთიან ქამარს ატარებდა. ბალთაზე მ. ლ. რ. ს. ეწერა, ესე იგი მოსკოვის ლიადოვის რეალური სასწავლებელი. ვოზჩიკოვი სკოლის საბჭოში უფროსი კლასების წარმომადგენელი გახლდათ.

საერთოდ, აქ თითქმის მთელ სკოლის საბჭოს მოეყარა თავი. საკმაოდ უცნაური იყო, სადილად თითქმის მთელი სკოლის საბჭო დაჰპატიჟო.

სამზარეულოში ვიჯექი და ყურს ვუგდებდი იმათ ლაპარაკს. კარები ღია იყო. ჯერ ლიხომ ილაპარაკა „კვების პროდუქტებისა“ და ახალი ფულის შესახებ. დღეს კარაქი თოთხმეტი მილიონი ღირს, ხვალ კი ოცი კაპიკი ეღირება, როგორც ომამდე. დღეს მეეზოვეს ათ მილიონს აძლევენ, ხვალ კი—„ათ კაპიკს მისცემენ და ის თავს დაბლა დაგვიკრავს და მადლობასაც გვეტყვისო“.

— მე კი სულელმა ეს არის ახლა ორას ოცდაათ მილიონად გავყიდე სუფრა.—ამოოხვრით თქვა სერაფიმა პეტროვნამ.

შემდეგ კორაბლიოვზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. ერიჰა, თურმე, იგი საბჭოთა ხელისუფლებას მიელაქუცა. ტყავიდანა ძვრება, რომ „კარიერა გაიკეთოს“. ულვაშებს ილებავს. ეს მავნე აურზაური თეატრისა იმიტომ წამოიწყო, რომ „პოპულარობა მოეპოვებინა“. ცოლი ჰყოლია და საფლავში ჩაუყვანია საწყალი ქალი. კრებებზე თურმე „ნიანგის ცრემლებსა“ ღვრის.

მე არ ვიცოდი, რა იყო „ნიანგის ცრემლები“, მაგრამ ამ სიტყვებთან ერთად წარმომიდგა კორაბლიოვი: მარია ვასილევნას ოთახიდან რომ გამოდიოდა, გაფითრებული, ჩამოშვებული, თითქოს მიწებებული ულვაშებით, და უეცრად მივხვდი, რომ ყველა ესენი ტყუიან: ცოლის ამბავსაც, თეატრისასაც და „ნიანგის ცრემლებზეც“, რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს ცრემლები. ესენი მისი მტრები არიან, ის მტრები, რომელთა შესახებაც სწორედ დღეს ეუბნებოდა მარია ვასილევნას: „დამღალა ამ ხალხმა. მუშაობაში ხელს მიშლიანო“.

ვიდრე „ნიანგის ცრემლებზე“ დაიწყებდნენ, ეს ჯერ უბრალო ლაპარაკი იყო. მაგრამ აი გაისმა ნიკოლაი ანტონიჩის ხმა და მე მივხვდი, რომ ეს უბრალო ლაპარაკი კი არა, შეთქმულებაა. მათ კორაბლიოვის სკოლიდან გაგდება სურდათ.

ნიკოლაი ანტონიჩმა შორიდან დაიწყო.

— პედაგოგიკა გარეშე აღმზრდელობით ფაქტორთა რიცხვში ყოველთვის ითვალისწინებდა ხელოვნებასაც.

შემდეგ კორაბლიოვზე გადავიდა და უპირველესად ყოვლისა „კუთვნილი მიუზღო მის ნიჭს“. თურმე ჩვენ ხელი არა გვაქვს „მისი განსვენებული ცოლის დაღუპვის მიზეზებთან,“—ჩვენ გვაინ-

ტერეს მხოლოდ „ზომა და ხარისხი მისი ზემოქმედებისა ბავშვებზე“. ჩვენ გვაღელვებს ის მავნე მიმართულება, რომლისკენაც მიჰყავს ივან პავლიჩს სკოლა, და მხოლოდ ამიტომ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც გვიკარნახებს პედაგოგიური მოვალეობა—„ლოიალურ საბჭოთა მოქალაქეების მოვალეობა“.

ნინა კაპიტონოვნა გაჯავრებული აბუზღუნდა, ჭახაჭუხი აუყენა ცარიელ თეფშებს და კარგად ვეღარ გავიგონე, რას უკარნახებს ნიკოლაი ანტონიჩს მისი პედაგოგიური მოვალეობა. მაგრამ, როცა ნინა კაპიტონოვნამ სასადილო ოთახში მეორე თავი გაიტანა, საერთო ლაპარაკიდან გავიგე, რას აპირებდნენ.

ჯერ ერთი, სკოლის საბჭოს უახლოეს კრებაზე კორაბლიოვს წინადადება მიეცემა „დაკმაყოფილდეს პროგრამის ფარგლებში გეოგრაფიის სწავლებით“, მეორე,—მისი მოღვაწეობა შეფასდება როგორც „შრომითი აღზრდის იდეის ვულგარიზაცია“, მესამე,—სკოლის თეატრი დაიხურება. მეოთხე და მეხუთე.—კიდევ რაღაც. კორაბლიოვს, რა თქმა უნდა, ეწყინება და წავა. წავა და, როგორც კეთილშობილმა ფადეიმ თქვა, „ჯანდაბამდის გზა ჰქონია“.

დიახ, ეს საზიზღარი გეგმა იყო და მე მიკვირდა, რომ ნინა კაპიტონოვნა ლაპარაკში არ ერეოდა და ითმენდა, მაგრამ მალე მივხვდი საქმის არსს. დაახლოებით მეორე თავის მიტანის შემდეგ, გამოსთქვა სინანული იმის გამო, რომ მარია ვასილევნამ კორაბლიოვს უარი უთხრა. სხვა არაფერზე არცა ფიქრობდა და არც ეყურებოდა. რაღაცას ბუტბუტებდა, მხრებს იჩეჩავდა და ერთხელ ხმამაღლაც წამოსცდა:

— შეხედე, ერთი! დედას ვიღა ეკითხება!

ეტყობა სწყინდა, რომ მარია ვასილევნამ რჩევა არა ჰკითხა, ვიდრე კორაბლიოვს უარს ეტყოდა...

სტუმრები დაიშალნენ. მე კი ჯერაც ვერ გადამეწყვიტა—როგორ მოვქცეულიყავი?

პირდაპირ ბედუკულმართობა იყო, რომ სწორედ დღეს მოვიდა კორაბლიოვი ბილის სათხოვნელად. ერჩივნა, სახლში მჯდარიყო! მაშინ მე შემეძლებოდა მარია ვასილევნასთვის მეამბნა, რაც გავიგონე. ახლა კი უხერხული და თითქმის შეუძლებელიც იყო. მარია ვასილევნა სადილზე არც გამოსულა, თავის ოთახში ჩაიკეტა და არავის არ უშვებდა. კატია გაავეთილებს ჩაუჯდა. ნინა კაპიტონოვნამ უეცრად გამოაცხადა, ფეხზე ძლივსა ვდგევარ—ისე მეძინებაო, მაშინვე დაწვა და დაიძინა. მე ერთი ამოვიოხრე, გამოვემშვიდობე და შინ წავედი.

თავი მეათე

„პასუხი უარით“

საბავშვო სახლის დარაჯმა, კოქლმა იაფეტმა უკვე ორჯერ დაგვხვედა, თუ სძინავთ, ან ხომ არავინა ხმაურობსო.

დერეფანში ღამის ნათურა აინთო. ვალკა ეუკოვს ძილში ძაღლივით უთრთოდა ქუთუთოები.—იქნებ თავის ძაღლებსა ხედავდა სიზმარში? რომაშკა ხვრინავდა, მხოლოდ მე არ ძეძინა და სულ ვფიქრობდი.

ერთიმეორეზე უფრო გაბედული აზრი მომდიოდა თავში. აი სკოლის კოლექტივის წინაშე მე გამოვდივარ ნიკოლაი ანტონიჩის წინააღმდეგ და ვამტკიცებ კორაბლიოვის სკოლიდან გაძევების საზიზღარ გეგმას. აი წერილს ვწერ კორაბლიოვს... წერილის შეთხზვა დავიწყე და ჩაძეძინა.

საოცარია, მაგრამ გაღვიძებისთანავე (ყველაზე ადრე გამეღვიძა), განვაგრძე წერილის თხზვა სწორედ იმ ადგილიდან, სადაც წუხელ შევჩერდი. აი სად გამომადგებოდა პეტკას „წერილების ნიმუშთა კრებული“! დავიწყე ჩვენს მიერ წაკითხული წერილების გახსენება. „პასუხი უარით“. „თქვენს მიერ გამოთქმული გრძნობები ჩემთვის ფრიად საამაყოა“... არ. ვარგა.

„მადლობის გამომხატველი წერილი მოწყალედ მიღებისათვის“. არც ეს ვარგოდა, ისევე როგორც წერილი „ნასესხები თანხის მოთხოვნით“. „ქვრივი კაცის წერილი ქალიშვილთან“ დამვიწყებოდა. თუმცა არც ეს ვარგოდა, მით უმეტეს, რომ არც მე ვიყავი ქვრივი და არც კორაბლიოვი იყო ქალიშვილი.

ბოლოს გადავწყვიტე წასვლა.

ძალიან ადრე იყო—მერვე საათი იქნებოდა. ქუჩებში ისევ ბნელოდა. გასაგებია, რომ მე ამან არ შემაჩერა, ჩემ შეჩერებას კოქლი იაფეტი შეეცადა, მაგრამ ხელიდან დავუძვერი და უკანა კარიდან გავიპარე.

კორაბლიოვი ცხოვრობდა ვოროტნიკოვის შესახვევში, ერთსართულიან დარაბებიან და აივნიან ხის სახლში, რომელიც აგარაკს მოგაგონებდათ. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ არ ეძინა. ცხადია, ვერ დაიძინებდა კაცი, რომელმაც გუშინ მარია ვასილევნასაგან „პასუხი უარით“ მიიღო. მართლაც არ ეძინა. ოთახში შუქი ენთო, იგი ფანჯარასთან იდგა და ეზოში იყურებოდა—ისეთი ყურადღებით, თითქოს ეზოში, ღმერთმა იცის, რა

არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა, ისეთი ყურადღებით, რომ კარგა ხანს ვერ შემამჩნია, თუმცა მე სწორედ ფანჯრის ქვეშ ვიდექი და ხელებით ვანიშნებდი.

— ივან პავლიჩ!

მაგრამ ივან პავლიჩმა თვალები ჩახუჭა. თავი გააქნია და წავიდა.

— ივან პავლიჩ, კარი გამიღეთ, მე ვარ.

ის რამდენიმე წუთის შემდეგ პალტოწამოსხმული აივანზე გამოვიდა.

— მე ვარ, გრიგორიევი,—გავიმეორე შეშინებულმა, ვაითუ აღარ ვახსოვარ მეთქი. რაღაც უცნაურად მიყურებდა.—მე თქვენთან მოვედი და ახლავე რაღაც უნდა გითხრათ. თეატრის დახურვა უნდათ, თქვენ კი... მე მგონი არ მითქვამს „გაგდებას გიპირებენ“ მეთქი. ან იქნებ კიდეცა ვთქვი—რადგან ის უცებ გამოერკვა.

— შემოდი,—მოკლედ მითხრა მან.

ოთახი ყოველთვის სუფთადა ჰქონდა, წიგნები თაროებზე ეწყო, ლოგინზე თეთრი საბანი ეფარა, ბალიშზე—გადასაფარებელი. ყველაფერი წესზე და რიგზე იყო. უწესრიგოდ დღეს მგონი მხოლოდ ბასპინძელი ჩანდა. თვალებს ხანდახან ფართოდ აღებდა—თითქოს მის წინ ყველაფერს ბინდი ეფინებოდა. ცხადია, წუხელის ლოგინს არც მიჰკარებოდა. ასეთი მოქანცული ჯერ არასოდეს არ მენახა.

— შენა ხარ, სანია,—თითქოს ვერ მიცნო.—რა მოხდა?

— ივან პავლიჩ, წერილის მოწერა მინდოდა.—ვუპასუხე მხურვალედ.—საერთოდ საკითხი სკოლის თეატრს ეხება. თქვენზე ამბობენ, რომ თქვენი ცოლი თქვენ ჩაიყვანეთ სამარეში.

— მოიცა!—მას გაეცინა.—ვინ ამბობს, რომ მე ჩავიყვანე სამარეში?

— ყველანი. „ჩვენ საქმე არა გვაქვს მისი განსვენებული ცოლის დაღუპვის მიზეზებთან. იდეების ვულგარიზაცია, აი რა იწვევს ჩვენ გულისწყრომას“.

— არაფერი არ მესმის,—სერიოზულად თქვა კორაბლიოვმა.

— დიახ, ვულგარიზაცია,—მტკიცედ გავიმეორე მე.

ჯერ გუშინ საღამოდანვე ვიმეორებდი ამ სიტყვებს: „ვულგარიზაცია“, „პოპულარობა“ და „ლაო-ლიარული მოვალეობა“ ვულგარიზაცია ვთქვი, ახლა „პოპულარობა“ და „ლაო-ლიარული მოვალეობაღა“ დამრჩა.

— კრებებზე ის „ნიანგის ცრემლებსა ღვრის“,—განვაგრძობდი

ჩქარ-ჩქარა. ეს მეტისმეტად მაენე საქმე იმიტომ მოიგონა, რომ პოპულარობა მოეპოვებინა. დიახ „პოპულარობა“. „ის მიელაქუცა საბჭოთა ხელისუფლებას“. „ჩვენ უნდა შეავასრულოთ ჩვენი ლაოლიარული მოვალეობა“.

შეიძლება ზოგი რამ ავრიე, მაგრამ ჩემთვის უფრო ადვილი იყო, ზეპირად მეთქვა ყველაფერი ის, რაც წინა დღით მოვისმინე, ვიდრე ჩემი სიტყვებით მეამბნა. ყოველ შემთხვევაში კორაბლიოვმა გამიგო. მშვენივრად გამიგო. მისმა თვალებმა უეცრად დაჭარგა წელანდელი უაზრო გამომეტყველება, ლოყები ოდნავ წამოუწითლდა და ოთახში სწრაფად გაიარ-გამოიარა.

— სასაცილოა,—წაიბუტბუტა მან, თუმცა სულაც არ ეცინებოდა.—ბავშვებს კი, ჩანს, არ უნდათ, რომ თეატრი დაიხუროს?

— ცხადია, არ უნდათ.

— შენ თეატრისთვის მოხვედი?

მე ხმა არ ამომიღია, შეიძლება თეატრისათვის, ან შეიძლება იმიტომ, რომ უკორაბლიოვოდ სკოლაში ძალიან მოგვწყინდებოდა. შეიძლება იმიტომ, რომ არ მომეწონა მათი საზიზღარი მოლაპარაკება მისი სკოლიდან გამოპანღურების შესახებ...

— ბრიყვები,—მოულოდნელად თქვა კორაბლიოვმა.—ამ ქვეყნად ყველაზე უბადრუკები.

ხელი მაგრად ჩამომართვა და ჩაფიქრებულმა ისევ წინ და უკან დაიწყო სიარული. ასეთი წინ და უკან სიარულით სამზარეულოში გავიდა, ადულებული წყალი შემოიტანა, ჩაი დააყენა და ჭანჯინიდან ჭიქები გადმოიღო.

— წასვლა მინდოდა, მაგრამ ახლა დარჩენა გადავწყვიტე.— გამოაცხადა მან.—უნდა ვიბრძოლოთ. ხომ ასეა, სანია? ჯერ კი ჩაი დავლიოთ.

არ ვიცი, შედგა კი სკოლის საბჭოს კრება, რომელზეც კორაბლიოვისათვის მკაცრად უნდა ეგებინებინათ პასუხი „შრომითი აღზრდის იდეების ვულგარიზაციის გამო“. ჩანს, არ შემდგარა, რადგანაც მას პასუხი არ უგია. ყოველ დილით, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, „ულვაშები“ სარკის წინ ულვაშებს გადაივარცხნიდა და გაკვეთილზე შევიდოდა ხოლმე.

რამდენიმე დღის შემდეგ თეატრმა ახალი დადგმა გამოაცხადა: „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“. ბრძენის როლს გრიშკა ფაბერი ასრულებდა. როლის მიხედვით ასე ოცდახუთი წლისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან ირჩია შუახნის, მელოტი და ოქროსკბილიანი

კაცი ეთამაშა. ერთთავად თითებს ათამაშებდა მაგიდაზე ნიკოლაი ანტონიჩივით და საერთოდ ძალიან კარგი იქნებოდა, ისე რომ არ ეღრიალა.

კომკავშირის რაიკომიდან ორი შავგვრემანი თმახუჭუჭა ბიჭი მოვიდა და წინადადება მოგვცეს, ჩვენ სკოლაში კომკავშირის უჯრედი ჩამოგვეყალიბებინა. ვალკამ ადგილიდან იკითხა, შეიძლება საბავშვოსახლელების ჩაწერა ი.უ არაო. უპასუხეს, რომ შეიძლება, ოღონდ თოთხმეტი წლის ასაკიდან. მე თვითონ არ ვიცოდი, რამდენი წლისა ვიყავი. ჩემი ანგარიშით, მალე ცამეტი წლისა უნდა გავმხდარიყავი, ყოველ შემთხვევისათვის ვთქვი, თოთხმეტი წლისა ვარ-მეთქი, მაგრამ მაინც არ დამიჯერეს, შეიძლება იმიტომ, რომ მაშინ ძალიან დაგვალული ვიყავი.

პედაგოგებიდან ამ კრებაზე მხოლოდ კორაბლიოვი და ნიკოლაი ანტონიჩი ესწრებოდნენ. კორაბლიოვმა საკმაოდ საზეიმო სიტყვა თქვა, ჯერ მოკლედ მოგვილოცა უჯრედის ჩამოყალიბება, მერე კი დიდხანსა გვლანძღა ჩვენი ცუდი სწავლისა და ხულიგნობის გამო. ნიკოლაი ანტონიჩმაც თქვა სიტყვა. მშვენიერი სიტყვა იყო—ის მიესალმა რაიკომის წარმომადგენლებს, როგორც ახალგაზრდა თაობას, და ბოლოს ნეკრასოვის ლექსით „მოდის, გუგუნებს მწვანე ხმაური“ დაამთავრა. უცნაური მხოლოდ ის იყო, რომ ამ სიტყვის წარმოთქმის დროს თითები აატკაცუნა, თითქოს ხელებს იმტვრევსო. ამ დროს ძალიან მხიარული სახე ჰქონდა და იღიმებოდა კიდეც.

კრების შემდეგ ნიკოლაი ანტონიჩი დერეფანში შემხვდა. მიესალმე: „გამარჯობათ, ნიკოლაი ანტონიჩ-მეთქი“, მაგრამ რატომღაც არ მიპასუხა.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზე იყო. მე თვითონაც არ ვიცი, რატომ მოხდა, ტატარინოვებთან წასასვლელად რომ ვემზადებოდი, უეცრად გადავწყვიტე, არ წავალ, სჯობია ხვალ ქუჩაში შევხვდები და ქუჩაში მივცემ-მეთქი კატკას ჯოხსა და თიხას, რომელიც თვითონა მთხოვა. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ გადავიფიქრე და, პატიოსნებას გეფიცებით, დღემდე ვნანობ ამას.

კარი მოხუცებულმა ქალმა გამიღო და ჯაჭვით როგორღაც შეაჩერა, როცა შესვლა დავაპირე, თითქოს ყოყმანობდა, შე თუ არა, მერე ყურთამდე გააღო და სწრაფად წამჩურჩულა, „სამზარეულოში წადიო“, და კისერში მსუბუქად წამკრა ხელი.

მე შევყოყმანდი—უბრალოდ, გაკვირვებისაგან. სწორედ ამ წუთში ნიკოლაი ანტონიჩი დერეფანში გამოვიდა და, მე რომ დამინახა, შუქი აანთო.

— ო, ო! —როგორლაც ყრუდ მითხრა მან.—მობრძანდი?

და მაგრად ჩამჭიდა მხარში ხელი.

— უმადურო ენატანიავ, არამზადავ, ჯაშუშო! შენი ფეხი არა ვნახო აქ! გესმის?

ბოროტად გააპო ტუჩები და დავინახე, როგორ აუბრჭყვიალდა პირში ოქროს კბილი. ეს იყო უკანასკნელი, რაც მე ტატარინოვების სახლში დავინახე. ერთი ხელით კარი გამოაღო ნიკოლაი ანტონიჩმა, მეორე ხელით კი კატის კნუტივით კიბეზე გამომისროლა.

თავი მეთერთმეტე

მ ი ვ დ ი ვ ა რ

დაცარიელებული იყო საბავშვო სახლიც და სკოლაც. კვირა დღე იყო. ყველანი წასულ-წამოსულიყვნენ. მხოლოდ რომაშკა დაყიალებდა ცარიელ ოთახებში და რაღაცას ანგარიშობდა—ალბათ თავის მომავალ სიმდიდრეს. სამზარეულოში მზარეული სადილს ამზადებდა და მღეროდა. მე ღუმელს უკან, მყუდრო კუნჭულში მივჯექი და ფიქრებში წავედი.

დიახ, ეს კორაბლიოვმა მიყო. მე იმისი შველა მინდოდა, იმან კი საზიზღრად გადამიხადა. ნიკოლაი ანტონიჩთან წავიდა და დამაბეზღა.

ისინი მართლები აღმოჩნდნენ—ნიკოლაი ანტონიჩი, გერმანულის და ფრანგულის მასწავლებელი ქალი და ლიბოც კი, რომელმაც განაცხადა,—კორაბლიოვი კრებებზე „ნიანგის ცრემლებსა ღვრისო“. ის საზიზღარია. მე კი მებრალებოდა, რომ მარია ვასილევნამ უარი უთხრა.

— ძია პეტია, რა არის „ნიანგის ცრემლები“?

ძია პეტიამ ქვაბიდან ქაფქაფი კომბოსტოს ნაჭერი ამოიღო.

— მგონი სოუსია ეგეთი.

არა, ეს სოუსი არ არის... მინდოდა მეთქვა, ეგ სოუსი არ არის.მეთქი, მაგრამ ამ წუთში თვალები ამიჭრელდა და ერთმანეთში ამერია ძია პეტია თავისი კომბოსტოთი, რომელსაც კბილითა სინჯავდა, მოხარშულია თუ არაო. თავბრუ დამეხვა, ამოვიოხრე და საწოლ ოთახში გავედი.

რომაშკა ფანჯარასთან იჯდა და ანგარიშობდა.

— ახლა ასი ათასი თუგინდ კაპიკი გქონია,—მითხრა მან. — მაგრამ გაუქმებული ფული რომ მოაგროვო და წახვიდე იქ,სადაც ჯერ არ იციან, ბლომად ივაჭრო ყველაფერი და აქ ახალ ფულზე გაჰყიდო... მე ვიანგარიშე — ერთ მანეთ ოქროზე ორმოცი ათასი პროცენტი მოგება მოდის.

— მშვიდობით, რომაშკა,—ვუპასუხე მე,—მივდივარ.

— საით?

— თურქესტანში,—ვუთხარი, თუმცა ერთი წუთის წინათ თურქესტანზე სულაც არ მიფიქრია.

— ტყუი.

უხმოდ გადავაძრე ბალიშს პირი და, რაც რამა მქონდა, შიგ ჩავტენე: პერანგი, სამარქაფო შარვალი, აფიშა: „მე-4 სკოლის მოსწავლეთა ძალებით შედგება წარმოდგენა „მარატი“ და შავი მილი, რომელიც ოდესღაც ექიმმა ივან ივანიჩმა დამიტოვა. მთელი ჩემი გომბეშოები და კურდღლები დავამტვრიე და ნაგვის ყუთში ჩავუძახე. იქითვე გავამგზავრე გოგონაც შუბლზე დაყრილი ხვეულებით, რომელიც ოდნავ წააგავდა კატკას.

რომაშკა ცნობისმოყვარეობით მადევნებდა თვალს. კვლავ ჩურჩულით დათვლას განაგრძობდა, მაგრამ წელანდელი ხალისით აღარა.

— თუ მანეთზე ორმოცი ათასი იქნება—მაშინ ას მანეთზე...

მშვიდობით, სკოლავ! მე არასოდეს აღარ ვისწავლი. რისთვის? წერა ვისწავლე, კითხვა და თვლა. ეგეც მეყოფა. ისეც კარგად ვიქნები, არც ვისმეს მოეწყინება უჩემოდ, იქნებ ვალკას გავახსენდე ერთხელ და ისიც დამივიწყებს.

— მაშ, ას მანეთზე ოთხასი,—ჩურჩულებდა რომაშკა.—ოთხასი ათასი პროცენტი ას მანეთზე.

არა, მე კიდევ დავბრუნდები. მივალ ნინა კაპიტონოვნასთან, ფულს მივაყრი და ვეტყვი: „აი, აიღეთ იმაში, რაც მე თქვენთან პური მიჭამია“, კორაბლიოვიც, რომელსაც სკოლიდან გამოაგდებენ, ჩემთან მოვა, შემომჩივლებს და შემეეედრება, ვაპატიო. არაფრის გულისთვის!

უეცრად მომაგონდა, როგორ იდგა ფანჯარასთან, როცა მე მივედი, იდგა და ყურადღებით იყურებოდა ეზოში, ძალიან სევდიანი და ოდნავ შეზარხოშებული. არა იმან კი ჩაიდინა ეს? რისთვის გამცემდა? პირიქით, ალბათ, ოდნავადაც არ შეიმჩნია, თავი ისე

უნდა დაეჭირა, ვითომ არაფერიც არ იცოდა იმ საიდუმლო საბჭოს შესახებ! ტყუილადა ვლანძღავდი. ეს იმისი ჩადენილი არ არის, მაშ, ვისი?

— ოჰ, ვალკამ!—უეცრად ვუთხარი ჩემ თავს.—მე რომ ტატარინოვებისაგან დავბრუნდი, ხომ ყველაფერი ვუამბე იმას, ეს ვალკამა ჰქნა!

მაგრამ ვალკას ბოლომდე არც მოუსმენია, ხვრინვა ამოუშვა და, საერთოდ ვალკა ამას არასდროს არ ჩაიდენს.

იქნებ რომაშკამ? რომაშკას შევხედე. ყვიციანი, წითელყურეშიანი ფანჯარაზე იჯდა და გაუთავებლად ამრავლებდა და ამრავლებდა. მომეჩვენა, რომ შეუმჩნეველად თვალს მადევნებდა ფრინველივით, ცალი მრგვალი, გლუვი თვალით. მაგრამ მან ხომ არაფერი არ იცოდა.

ახლა, როცა მტკიცედ დავრწმუნდი, რომ ეს კორაბლიოვის ჩადენილი არ იყო, მგონი დარჩენა შეიძლებოდა, მაგრამ თავი მტკიოდა, ყურები მიჟუოდა და რატომღაც მეგონა, რომ ახლა, როცა ვუთხარი რომაშკას, მივდივარ-მეთქი, დარჩენა შეუძლებელი იყო. სევდით აღვსილმა უკანასკნელად მოვავლე თვალი იქაურობას. აი თეთრი ლამპა, რომელსაც ყოველთვის დიდხანს ვუყურებდი ხოლმე შუქის ჩაქრობის შემდეგ, აი კედელი ინდივიდუალური უჯრებით, სადაც თეთრეული აწყვია,—აი ჩემი უჯრა, გვერდით კი ვალკასი. საწოლები და საწოლები.

ამოვიოხრე, ბოხჩა ავიღე, რომაშკას თავი დავუქნიე და გამოვედი. ალბათ, უკვე დიდი სიცხე მქონდა, რადგან გარეთ რომ გამოვედი, გამიკვირდა, როგორა ცივა-მეთქი. თუმცა ჯერ სადარბაზო კარებშივე ქურთუკი გავიხადე და პალტო პირდაპირ პერანგზე ჩავიცვი. ქურთუკის გაყიდვა გადაწყვეტილი მქონდა. ჩემი ანგარიშით, თხუთმეტ მილიონამდე ფული უნდა ამეღო.

ისევ დიდი სიცხისა და თავის ტკივილის გამო კარგად არ მახსოვს, რას ვაკეთებდი სუხარევკაზე, თუმცა მთელი დღე იქ დავალამე. მახსოვს მხოლოდ, რომ ფარდულთან ვიდექი, საიდანაც შემწვარი ხახვის სუნი მოდიოდა, ხელში ქურთუკი მეჭირა და სუსტი ხმით ვიმეორებდი.

— აბა ვის უნდა? ვის უნდა?

მახსოვს, მიკვირდა, ასეთი დასუსტებული ხმა რადა მაქვს-მეთქი. ხალხში უზარმაზარი ტანის კაცი შევნიშნე, ორი ქურქი ეცვა, ერთი სახელოებიანი, მეორე კი ის, რომელსაც ჰყიდდა, ისე

ჰქონდა წამოსხმული ბეჭებზე, საოცარია, სადაც არ უნდა წავსულიყავი ჩემი სავაჭროთი,—ყველგან იმ კაცს ვაწყდებოდი. ის იდგა უძრავად, უზარმაზარი, წვერიანი, ორ ქურქში და, მუშტარს ზედაც არ უყურებდა, მოღუშული ეუბნებოდა ფასს.

მახსოვს, მთელი დღე ვიარე ბაზარში და პერანგი სტაფილოიან ნამცხვარზე გადავცვალე. ერთი კი გავკბიჩე და მერე პირი აღარ დამიკარებია.

სადღაც ვთბებოდი, როდესაც შევამჩნიე, რომ თითქოს სიცივით იმდენად არა მციოდა და თითები კი გამლურჯებოდა. ნამცხვარი ბალიშის პირში შევინახე და, მახსოვს, ვფრთხილობდი, არ ჩამფხვნეოდა. ეტყობა, ვგრძნობდი, რომ ავად უნდა გავმხდარიყავი. ძალიანა მწყუროდა და რამოდენიმეჯერ გადავწყვიტე, თუ ნახევარ საათში ვერ გავყიდე—ჩაიხანაში შევალ და ქურთუკს ერთ ჭიქა ცხელ ჩაიში გადავცვლი-მეთქი. მაგრამ აქვე მომეჩვენებოდა ხოლმე, რომ სწორედ ახლა გამოჩნდება ჩემი მუშტარი-მეთქი, და ისევ გადავწყვეტდი, კიდევ ნახევარ საათს დამეცადა მყიდველის მოლოდინში.

მახსოვს, ის მამხნევებდა, რომ იმ ახმახმა კაცმაც ვერ მოახერხა თავის ქურქის გაყიდვა...

მინდოდა ცოტა თოვლი შემეჭამა, მაგრამ სუხარევკაზე ძალიან ჭუჭყიანი თოვლი იდო, ბულვარი კი შორს იყო. მაინც წავედი და შევჭამე. უცნაურია, მაგრამ თოვლი თბილი მეჩვენა. მგონი პირს მაღებინა, შეიძლება არც მაღებინა. მახსოვს მხოლოდ, რომ თოვლზე ვიჯექი და, რომ არ დავცემულიყავი, ვიღაცას მხრებში ეკიდა ხელი. ბოლოს ხელი გამიშვეს, მე წავწექი და სიამოვნებით გავშალე ფეხები. ირგვლივ რაღაცას ლაპარაკობდნენ თითქოს: „ბნედიანია, ბნედიანიო“, მერე ბალიშისპირის გამორთმევა უნდოდათ, მესმოდა, როგორ მეხვეწებოდნენ: „აი სულელი, შენთვისვეა საჭირო, თავქვეშ უნდა დაგიდოთ“,—მაგრამ ხელში ჩავბღუჯე და არ დავანებე. ორქურქიანმა კაცმა წინ ნელ-ნელა გამიარა და უეცრად ერთი ქურქი დამხურა. მაგრამ ეს უკვე ბოდვა იყო. ბალიშის პირს კიდევ ეშეოდნენ, ქალის ხმა რომ გავიგონე:

— ბოხჩას არ გვანებებს.

და მამაკაცის:

— მერე რა, ბოხჩითვე დააწვინეთ.

შემდეგ ისევ მამაკაცის ხმა მომესმა:

— ეტყობა, ისპანკაა...

და ყველაფერი სადღაც შთაინთქა...

ახლაც ამიწევს თუ არა სიცხე, მაშინვე ბოდვას ვიწყებ, ოცდათვრამეტზე უკვე საშინელ აბდაუბდასა ვჩმახავ და სასოწარკვეთილებაში ვაგდებ ნათესავებსა და ნაცნობებს, მაგრამ ისეთი საშიამოვნო ბოდვა, როგორიც ისპანკის დროს, არასოდეს არ გამომიცდია. აი ფართო ჩაღ ოთახში წყალვარდნილსა ვხატავ. წყალი ციცაბო კლდიდან გადმოჰქუხს და ვიწრო ქვიან ხეობაში ვარდება. რა კარგია! როგორა ბრწყინავს წყალი მზეზე. რა მშვენიერი მწვანე ქვებია!

ტყაპუჭწახურული სადღაც მივემგზავრები განიერი მარხილით. ღამდება, მაგრამ ჯერ ისევ ვხედავ, როგორ მიჰქრის თოვლიანი გზა მარხილის განიერ კაევებშორის,—ასე მგონია, ჩვენ ვდგევართ, თოვლიანი გზა კი მირბის. მხოლოდ კვალით, რომელსაც გვერდზე ჩამოვარდნილი ხირაული ხაზავს, ჩანს, რომ ჩვენ სულ მივდივართ და მივდივართ. ისე კარგია, ისე თბილა, რომ თითქოს მეტი აღარაფერი გინდა, ოღონდ აი ასე მიდიოდე ზამთარში მარხილით მთელი შენი სიცოცხლე!

ასე ტკბილად რადა ვბოდავდი, არ ვიცი. სიკვდილის პირას ვიყავი. როგორც უიმედო, ორჯერ თეჯირით გამომყვეს სხვა ავადმყოფებისაგან. ისეთი სილურჯე მქონდა,—სიკვდილის უტყუარი ნიშანი,—რომ ყველა ექიმმა, გარდა ერთისა, ხელი ჩაიქნია და მხოლოდ გაკვირვებით კითხულობდნენ ყოველ დილით:

— როგორ, კიდევ ცოცხალია?..

ეს ყველაფერი მაშინ გავიგე, როცა გონს მოვედი...

ასე იყო თუ ისე, არ მოვკვდი. პირიქით, გამოვკეთდი. ერთხელ თვალი გავახილე და ლოგინიდან წამოხტომა მოვინდომე, წარმოვიდგინე, რომ საბავშვო სახლში ვიყავი. ვილაცის ხელმა შემაჩერა. მომიახლოვდა ვილაცის მივიწყებული და თან მეტისმეტად ნაცნობი სახე. გინდა დაიჯერეთ, გინდა არა—ეს ექიმი ივან ივანიჩი იყო.

— ექიმო,—ვუთხარი და სიხარულისა და სისუსტისაგან ტირილი დავიწყე,—ექიმო, ნამქერი.

შიგ თვალებში მიყურებდა. ალბათ ფიქრობდა, რომ ისევ ვბოდავდი.

— უნაგირი, ყუთი, ნამქერი, სვამენ, აბრამი,—ვამბობდი და

თან ვგრძნობდი, რომ ცრემლები შიგ პირში ჩამდიოდა,—მე ვარ, ექიმო, სანკა. გახსოვთ, სოფელში ჩვენა გმალავდით, თქვენ მე მასწავლიდით.

კიდევ ერთხელ შემომხედა თვალებში, შემდეგ ლოყები დაბერა და ხმაურით გამოუშვა ჰაერი.

— ოჰო!—თქვა და გაიცინა.—როგორ არ უნდა მახსოვდეს! შენი და სადღაა? არა, ეგ როგორ არის? შენ ხომ მაშინ მხოლოდ „ყურის“ თქმა შეგეძლო და ისიც ძლივს. ლაპარაკი ისწავლე? ერთი უყურეთ, მოსკოვშიაც გადმოხვედი? სიკვდილიც დააპირე?

მინდოდა მეთქვა, სიკვდილს სულაც არ ვაპირებდი-მეთქი, მაგრამ უცბად პირზე ხელი დამაფარა, მეორე ხელით ცხვირსახოცი ამოიღო და პირისახე მომწმინდა.

— წყნარად იწექი, ძმაო,—მითხრა მან.—ჯერ შენთვის ლაპარაკი არ შეიძლება. მუნჯი ხარ და ეგ არის. ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი, იმდენჯერ კვდებოდი, რომ ახლა ვინ იცის—ვაითუ ერთი ზედმეტი სიტყვა თქვა და—მორჩა და გათავდა.

თავი მეთორმეტე

სერიოზული ლაპარაკი

თქვენ შეიძლება ფიქრობთ, რაკი გონს მოვედი, გამოკეთება დავიწყე? სულაც არა! ოდნავ რომ გამოვკეთდი ისპანკისაგან, მენინგიტი დამემართა. მაგრამ ივან ივანიჩი კვლავ არ დაეთანხმა. იმ ამბავს, რომ ჩემი საქმე წასულია.

საათობით იჯდა ჩემ ლოგინთან, სწავლობდა ჩემი ხელებისა და თვალების უცნაურ მოძრაობას. ბოლოს და ბოლოს კვლავ მოვედი გონს და, თუმცა დიდხანს ვიწექი თვალებგადაკარკლული, მაინც საშიშროება უკვე გავლილი იყო.

„სიკვდილის საშიშროება გავლილია, — თქვა ივან ივანიჩმა,—მაგრამ სამაგიეროდ საშიშია სამუდამოდ იდიოტი არ დარჩეს.“

ბედმა გამიღიმა. არ გამოვთაყვანდი და ავადმყოფობის შემდეგ ისიც კი ვიგრძენი, რომ თითქოს ჭკუა მომემატა. ეს ასეც იყო. მაგრამ აქ ავადმყოფობა არაფერ შუაშია!

ასე იყო თუ ისე, საავადმყოფოში თითქმის ნახევარი წელიწადი დავყავი. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ, მე და ივან ივანიჩი, ხშირად, თითქმის ყოველდღე ვხედავდით ერთმანეთს. მაგრამ აშ

შეხვედრებს რა აზრი ჰქონდა, ხოლო როდესაც გამოკეთება დაგიწყეს, ის თითქმის აღარ გამოჩენილა საავადმყოფოში. მალე მოსკოვიდან წავიდა: სად და რისთვის, ამაზე ქვემოთ.

საკვირველია, რა ცოტათი გამოცვლილიყო ამ ოთხ წელიწადში. წინანდებურად უყვარდა ლექსების ბუტბუტი და მახსოვს, ერთხელ, რომ გამსინჯა, უკმაყოფილო ხმით წაიბუტბუტა:

ბარონი ფონ-გრინვალდუსი,
რაინდი შეუპოვარი,
ზის და იცდის ერთ ადგილზე,
ზის და იცდის თავისთვის.

ჩვენთან, პალატაში, სტუდენტები მოდიოდნენ ხოლმე. ივან ივანიჩი შეხედავდა რომელიმეს თავისი ნათელი ცოცხალი თვალებით, ხელს ჩაჰკიდებდა და ლექციის კითხვის დროს ხან უშვებდა ხელს და ხან ისევ ჰკიდებდა. ჩვენ „ძველი დრო" მოვიგონეთ. გაუკვირდა, რომ კიდევ მახსოვდა, როგორ აკეთებდა პურის გულისაგან კატას და თაგვს. კატა თაგვს იპერდა და ნამდვილი კატასავით კნაოდა.

— ივან ივანიჩ, თქვენი წამოსვლის შემდეგ მე და ჩემი და მთელი ზამთარი ჯოხებზე წამოცმულ კარტოფილსა ვწვავდით.

მას გაეცინა, მერე ჩაფიქრდა.

— ეგ, ძმაო, კატორღაში მასწავლეს.

ის კატორღელი იყო. 1914 წელს, როგორც ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრს, კატორღა მიუსაჯეს და შემდეგ სამუდამო გადასახლება. არ ვიცი, სასჯელს სად იხდიდა, გადასახლებაში კი ძალიან შორს იყო, ბარენცის ზღვასთან.

— იქიდან გამოქცეული,—თქვა სიცილით,—პირდაპირ თქვენ სოფელში მოვედი და გზაში კინაღამ გავიყინე.

აი როდის გამოირკვა, რატომ არ ეძინა ღამღამობით! შავი მილი – სტეტოსკოპი—თურმე სახსოვრად დაგვიტოვა მე და ჩემ დას. ერთ ამბავს მეორე მოჰყვა და იძულებული გავხდი მეამბნა, როდის და რატომ გამოვიპარე საბავშვო სახლიდან.

ძალიან ყურადღებით მისმენდა და რატომღაც შიგ პირში მიყურებდა.

— დიახ ასეა,—ჩაფიქრებით თქვა მან.—პირდაპირ იშვიათი ამბავია.

გადავწყვიტე, რომ საბავშვო სახლიდან გამოპარვა მიაჩნდა იშვიათ ამბად, და მინდოდა შევდავებოდი, რომ სულაც არ არის იშვიათი ამბავი მეთქი. მაგრამ მან კვლავ თქვა:

— ყრუმუნჯობა კი არა, სმენამუნჯობა, ესე იგი სიმუნჯე სიყრუის გარეშე Stummheit ohne Taubheit.—არა, „დედის“ თქმა არ შეეძლო, ახლა კი დამიხედეთ! ორატორია!

მან უამბო ჩემზე სხვა ექიმებს.

მე ცოტა ნაწყენი დავრჩი, რომ ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდა ჩემ საბავშვო სახლიდან გამოქცევაზე და, მგონი, ყურიც არ უთხოვებია. მაგრამ შევცდი, იმიტომ რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი პალატის კარები გაიღო და მოწყალების დამ გვითხრა:

— გრიგორიევთან სტუმრები არიან.

და კორაბლიოვი შემოვიდა.

— გამარჯობა, სანია.

— გამარჯობათ, ივან პავლიჩ.

მთელი პალატა ცნობისმოყვარეობით გვიყურებდა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ იგი ჯერ მხოლოდ ჩემ ჯანმრთელობაზე მელაპარაკებოდა. მაგრამ მერე, როდესაც ყველა თავის საქმეს მიუბრუნდა, ლანძღვა დამიწყო—ოჰ, როგორა მლანძღა!.. ისე მიამბო ყველაფერი, რასაც მის შესახებ ვფიქრობდი, თითქოს სადმე წაუკითხავსო, და გამომიცხადა, რომ შენ მოვალე იყავი მოსულიყავი და გეთქვა: „თქვენ საზიზღარი ხართ“, თუ ფიქრობდი, რომ საზიზღარი ვარ, მაგრამ შენ ასე არ მოიქეცი, რადგან ტიპიური ინდივიდუალისტი ხარო. ცოტა მოლბა, როცა მთლად განადგურებულმა ვკითხე.

— ივან პავლიჩ, რა არის ინდიალისტი.

ერთი სიტყვით, ვიდრე ნახვის დრო არ გათავდა, სულ მლანძღავდა. მაგრამ გამოთხოვების დროს ხელი მაგრად ჩამომართვა და მითხრა, კიდევ შემოვიელიო.

— როდის?

— ამ დღეებში. სერიოზული საქმე მაქვს შენთან. ჯერ კი იფიქრე.

სამწუხაროდ, ის აღარ უთქვამს, რაზე მეფიქრა, და ამიტომ ვფიქრობდი, რაზედაც მომხვდებოდა. მაგონდებოდა ენაკი, სკოლოროდნიკოვი, დეიდა დაშა. გადავწყვიტე, გამოვკეთდებოდი თუ არა, მიმეწერა და გამეგო, პეტკა ხომ არ დაბრუნებულა-მეთქი. პეტკაზე ძალიან ხშირადა ვფიქრობდი. ჩვენი პალატის ფანჯრები ბაღში გადიოდა და იქიდან ხის კენწეროები მოჩანდა, რომელთაც ქარი არხევდა. საღამოობით, ყველა რომ მიიძინებდა, მესმოდა ფოთლების შრიალი და მეჩვენებოდა, რომ პეტკაც ჩემსავით სადღაც

თეთრ საწოლზე წევს, ფიქრობს და თან ხეების შრიალს უსმენს. სად არის ახლა? იქნებ თურქესტანი არ მოეწონა და სადმე პერუში გაიქცა? ვინ იცის, იქნებ პეტკა პერუშია? იქნებ ვასკო ნუნეს ბალბოასავით წყნარ ოკეანის ნაპირზე დგას აბჯარასხმული, მახვილით ხელში. ვითომ? მაგრამ მაინც ვინ იცის, სად არ იყო, რა ქვეყნები არ მოიარა, ვიდრე მე დედის კალთაზე მიკრული ბავშვივით საბავშვო სახლში ვიჯექი...

შემდეგ ნახვის დღეს ვალკა ჟუკოვი მოვიდა და თავისი ზღარბის ამბავი მიამბო. საიდანღაც მოეყვანა და თავისი საწოლის ქვეშ მთელი სახლი აეშენებინა მისთვის. ზამთარში ზღარბებსა სძინავთ, ამას კი რატომღაც არ ეძინა. საერთოდ ეს რაღაც საკვირველი ზღარბი იყო. ვალკას ისიც კი მოსწონდა, როგორ იქექებოდა ზღარბი.

— ძაღლივით იქექება,—აღტაცებით მითხრა,—თათსაც კი ძაღლივით არტყამს იატაკს.

ერთი სიტყვით, მთელი ორი საათი ზღარბზე მელაპარაკა და მხოლოდ გამომშვიდობების დროს მოაგონდა, რომ კორაბლიოვს მოკითხვა შემოეთვალა და დაებარებინა, ამ დღეებში გამოვეცალეო.

მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ მაშინ გვეექნებოდა სერიოზული ლაპარაკი — საინტერესოა! დარწმუნებული ვიყავი, რომ ისევ მომხვდებოდა, და არც შევმცდარვარ.

ლაპარაკი იქიდან დაიწყო, რომ კორაბლიოვმა მკითხა, რა გინდა გამოხვიდეო.

არ ვიცი-მეთქი, ვუპასუხე, იქნებ მხატვარი.

მან წარბები აჭიმა და მოკლედ მომიჭრა:

— არაფერი გამოვა.

სიმართლე გითხრათ, მე ჯერ არც მეფიქრა, რა მინდოდა გამოვსულიყავი, გულის სიღრმეში ვასკა ნუნეს ბალბოას მსგავსი ვინმე მინდოდა ვყოფილიყავი, მაგრამ ივან პავლიჩმა ისე დაბეჯითებით თქვა, არაფერი გამოვაო, რომ გულისწყრომამ მომიცვა.

— რატომ?

— მრავალი მიზეზის გამო, — მტკიცედ მითხრა კორაბლიოვმა.— უპირველესად ყოველისა, იმიტომ, რომ შენ სუსტი ნებისყოფისა ხარ.

თავზარი დამეცა, აზრადაც არ მომდიოდა, რომ მე სუსტი ნებისყოფისა ვიყავი.

— არაფერიც, — ვუპასუხე მოღუშულმა,—მე ძლიერი ნებისყოფა მაქვს.

— არა, სუსტი. როგორი ნებისყოფა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომელმაც არ იცის, ერთი საათის შემდეგ რას გააკეთებს? შენ რომ ძლიერი ნებისყოფა გქონოდა, კარგად ისწავლიდი, შენ კი ცუდადა სწავლობ.

— ივან პავლიჩ,—ვუთხარი სასოწარკვეთილმა,—მე ერთი არადამაკმაყოფილებელი მაქვს.

— დიახ, არ ვარგა, შენ კი შეგეძლო კარგად გესწავლა.

დამაცადა, კიდევ ხომ არაფერს იტყვისო, მაგრამ მე ვდუმდი.

— შენ უკეთ ოცნებობ, ვიდრე აზროვნებ.

მან კიდევ დამაცადა.

— საერთოდ უკვე დროა იფიქრო, ვინა ხარ და რისთვისა ხარ გაჩენილი ამქვეყნად. აი შენ ამბობ, მინდა მხატვარი გამოვიდეო. ამისათვის, ჩემო კარგო, სულ სხვა ადამიანი უნდა გახდე.

თავი მეცამეტე

ვფიქრობ

თქმა ადვილია: სულ სხვა ადამიანი უნდა გახდეო, მაგრამ როგორ? მე არ ვეთანხმებოდი იმაში, თითქო ცუდადა ვსწავლობდი. ერთი არადამაკმაყოფილებელი, ისიც არითმეტიკაში და ისიც იმიტომ, რომ ერთხელ ჩექმები გავიწმინდე, რუჟიჩეკმა კი გამომიძახა და მითხრა:

— რას უსვამ ჩექმებს, გრიგორიევო? ნავთში არეულ ლაყე კვერცხს?

მე უხეშად ვუპასუხე და მას შემდეგ არადამაკმაყოფილებელი აღარ დაუწერია, მაგრამ მაინც ვგრძნობდი, რომ კორაბლიოვი მართალი იყო, მე სხვა ადამიანი უნდა გავმხდარიყავი. მაგრამ ვაითუ მართლა სუსტი ნებისყოფისა ვარ? უნდა შევამოწმო. რაიმე უნდა გადავწყვიტო და უსათუოდ უნდა შევასრულო. დასაწყისისათვის გადავწყვიტე „მონადირის წერილები" წამეკითხა, რომელსაც შარშან ვკითხულობდი, მაგრამ თავი მივანებე, იმიტომ რომ ძალიან მოსაწყენი მეჩვენა.

საოცარია! საავადმყოფოს სამკითხველოდან „მონადირის წერილები" გამოვიტანე, და ხუთიოდე ფურცელი რომ წავიკითხე, წიგნი წინანდელზე ხუთჯერ უფრო მოსაწყენი მეჩვენა. ქვეყანაზე ყველაზე მეტად ის მინდოდა, რომ ეს გადაწყვეტილება არა მქონოდა მიღე-

ბული, მაგრამ ჩემ თავს სიტყვა მივეცი; ჩურჩულითაც კი წარმოთქვი საბნის ქვეშ — და სიტყვას კი შესრულება უნდა.

„მონადირის წერილები" წავიკითხე და გადავწყვიტე, რომ კორაბლიოვი ტყუის, მე მტკიცე ნებისყოფა მაქვს.

რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ უნდა შემემოწმებინა ჩემი თავი. მაგალითად, ყოველ დილით ვარჯიშის შემდეგ ცივი წყლით ტანი დამეზილა, ან წლის განმავლობაში არითმეტიკაში ფრიადზე მესწავლა. მაგრამ ყველაფერი გადავდე სკოლაში დაბრუნებამდე. ჯერ-ჯერობით კი ფიქრის მეტი არა დამრჩენოდა რა.

„შენ წარმოდგენის უკეთესი უნარი გაქვს, ვიდრე მოსაზრების". რად მითხრა ასე? შეიძლება იმიტომ, რომ ჩემი ნაძერწებით ვტრაბახობდი? ეს ძალიან საწყენი იყო. კატკას — აი, ვისა აქვს დიდი წარმოდგენა თავის თავზე. ან იქნებ კორაბლიოვს სხვაგვარად ესმის ეს სიტყვა? გადავწყვიტე, უთუოდ მეკითხა, თუ კიდევ მოვიდოდა ჩემთან. მაგრამ იგი არ მოსულა და მე მხოლოდ ერთი თუ ორი წლის შემდეგ გავიგე, რომ „წარმოდგენის უნარი" სულაც არა ნიშნავს შენ თავზე დიდი წარმოდგენისა იყო.

„ვინა ხარ შენ და რის მაქნისი ხარ ამქვეყნად"? ამაზე ვფიქრობდი გაზეთების კითხვის დროს. საავადმყოფოში დავიწყე გაზეთების კითხვა. საინტერესოა! ამდენი უცხო სიტყვები რომ არ იყოს! მათ შორის „ვულგარიზაციაც" შემხვდა და „ნიანგის ცრემლებიც".

ბოლოს უკანასკნელად გამსინჯა ივან ივანიჩმა და უთხრა, საავადმყოფოდან გამოსწერეთო. ეს შესანიშნავი დღე იყო. ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. თავისი მისამართი მომცა და მითხრა შემევლო.

— მხოლოდ იცოდე, არა უგვიანეს ოცი რიცხვისა, — მხიარულად დაუმატა. — თორემ, რა ვიცი, ძმაო, ვაითუ შინ არ დაგხვდე.

ბოხჩით ხელში საავადმყოფოდან გამოვედი და, ერთი კვარტალი რომ გავიარე, იქვე ჩავჯექი — ჯერ კიდევ სუსტად ვიყავი. მაგრამ რა კარგია! რა დიდია მოსკოვი! დამვიწყებოდა კიდეც იგი. რა ხმაურობაა ქუჩაში! თავბრუ დამესხა, მაგრამ ვიცოდი, რომ არ წავიქცეოდი. ჯანსაღადა ვარ და არ მოვკვდები! გამოვკეთდი — მშვიდობით, საავადმყოფო! სალამი, სკოლავ!

სიმართლე გითხრათ, ცოტა ნაწყენი დავრჩი, რომ სკოლაში ასე გულგრილად შემხვდნენ. მხოლოდ რომაშკამ მკითხა:

— მორჩი?

ისეთი გამომეტყველებით, თითქოს, ცოტა არ იყოს, სწყინდა, რომ არ მოვკვდი.

ვალკას გაუხარდა, მაგრამ იმას ჩემთვის არა სცხელოდა. ზღარბი დაჰკარგოდა და ეშვი ჰქონდა, რომ მზარეულმა ნიკოლაი ანტონიჩის განკარგულებით ზღარბს ჭუჭყიანი წყლის ორმოში გადაუძახა.

— ეჰ, სჯობდა გამეყიდა,—ნაღვლიანად თქვა ვალკამ,—ხუთ შაურს მაძლევდნენ. არ გამოვართვი მე სულელმა.

ვიდრე საავადმყოფოში ვიწექი, ახალი ფული გამოსულიყო—ვერცხლისა და ოქროსი.

საბავშვო სახლში ყველაფერი ძველებურად იყო, მხოლოდ სერაფიმა პეტროვნა წასულიყო და მის ადგილზე მამაკაცი-აღმზრდელი—სუტკინი მიეღოთ. ვალკამ მითხრა, ლაქუცაოო. ნიკოლაი ანტონიჩს, „ნემკას“, რუჟიჩეკს და ბავშვებს—ყველას ელაქუცებაო.

სამაგიეროდ სკოლაში ამ ნახევარი წლის განმავლობაში დიდი ცვლილებები მომხდარიყო. ჯერ ერთი, სკოლა ორჯერ შემცირებულიყო: უფროსი კლასელების ნაწილი სხვა სკოლებში გადაეყვანათ.

მეორე ის, რომ შეეღებათ და გაეთეთრებინათ--მოკლედ, ვერ იტყოდით, თუ ეს ის ჭუჭყიანფანჯრებიანი და ჭერშეჭვარტლული უსუფთაო ოთახები იყო.

მესამე, ყველანი მხოლოდ კომკავშირის უჯრედზე ლაპარაკობდნენ. მდივნად ახლა დეიდა ვარია იყო, ის გოგონა სამეურნეო კომისიიდან, რომელიც ცხრაას ოც წელს ჩამჩით ხელში საქმიანი შეხედულებით ბოლთასა სცემდა ხოლმე დერეფანში. ეტყობა, კარგი მდივანი გამოდგა, რადგან, როდესაც დავბრუნდი, კომკავშირის უჯრედის პატარა ოთახი ყველაზე საინტერესო ადგილი იყო ჩვენ სკოლაში.

მე ჯერ კომკავშირელი არ ვიყავი, მაგრამ საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ მესამე დღესვე მივიღე დეიდა ვარიასაგან დავალება—უნდა დამეხატა ღრუბლებში მოსრიალე თვითმფრინავი ქვეშ წარწერით: „ახალგაზრდობავ, შედით ს. ფ. მ. ს“-ში.

თითები ჯერ კიდევ არ მემორჩილებოდა, მაგრამ გულმხურვალედ მოვკიდე ხელი საქმეს.

ერთი სიტყვით, ახლა წინანდელზე ათასჯერ უფრო საინტერესო იყო სკოლაში და მე, რაკი ყველა წრეებში შევედი და გაზეთე-

ბის კოლექტიურმა კითხვამაც გამიტაცა, სულ დამავიწყდა ივან-ივანიჩიც და ისიც, რომ მთხოვა შემევლო მასთან არა უგვიანეს ოცი მაისისა.

თავი მეთოთხმეტე

ვერცხლის ათშაურიანი

იმ დღეს, როცა საბოლოოდ დავაპირე ექიმთან წასვლა, დილიდანვე დიდი არეულობა იყო. ვალკას ზღარბი გამოჩნდა, თურმე სხვენში ასულიყო და რაღაცნაირად კომბოსტოს ვარცლში ჩავარდნილიყო.

შესაძლებელია, მოაგონდა, რომ ზამთარში არა სძინებია, ან იქნებ დასუსტდა ორი კვირა ვარცლში ჯდომით. ერთი სიტყვით, კარგად ვერ გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, საჭირო იყო საჩქაროდ გაყიდვა, რადგან ისეთი შესახედავი გახლდათ, გეგონებოდათ, სიკვდილს აპირებსო. აღარც ცხვირსა მალავდა და აღარც ბურთივით იკუმშებოდა, როცა ცხვირზე ხელსა ჰკიდებდნენ. ცხვირის ირგვლივ წითელი წვერი როგორღაც ჩამოსჩეჩოდა. მოკლედ, კარგად ვერ იყო. ისღა დაგვრჩენოდა, რომ უნივერსიტეტში წაგვეყვანა. უნივერსიტეტში რომელიღაც ლაბორატორია იძენდა ზღარბებს. ვალკამ ზღარბი ძველ შარვალში გაახვია და წავიდა. ერთი საათის შემდეგ ძალიან სევდიანი დაბრუნდა და ლოგინზე ჩამოჯდა.

— გაჰკვეთავენ,—თქვა და სახე მთლად დაეჭრიკა, რათა ტირილი შეეკავებინა.

— როგორ გაჰკვეთავენ?

— მუცელს გაუჭრიან და შიგ ხელებს დაურევენ. როგორ მეცოდება.

ჩვენ ცოტა წაველაპარაკდით, ყველა ზღარბს ერთ და იმავე ადგილზე აქვს შიგნეული თუ არა.

— კარგი ერთი, აი დარდი,—ვუთხარი მე,—სხვას იყიდი. რამდენი მოგცეს?

ვალკამ უხმოდ გაშალა მუშტი. ზღარბი ცოცხალ-მკვდარი იყო და მხოლოდ ერთი აბაზი მიეცათ.

— მე ექვსი შაური მაქვს, დავუმატოთ და სპინინგი ვიყიდოთ.

სპინინგი განგებ ვუთხარი, რომ დარდი გამექარწყლებინა.

სპინინგი დასაკეცი გრძელი ანკესია, გრძელი ნემსკავის ძუით ბორბალზე. ისე, რომ თევზის მისატყუებელი შეიძლება ნაპირიდან

ორმოც მეტრზე გადაისროლო. ჯერ კიდევ ენსკში ვნახე. ერთი ბოქაული სპინინგით იჭერდა ხოლმე თევზს.

ჩვენი უზალთუნები და სამშაურიანები შევაგროვეთ და ერთ კეწკეწა ათშაურიანზე გადავცვალეთ. ათშაურიანები ჯერ არ მენახა—რატომღაც ძალიან იშვიათადა გვხვდებოდა.

ვალკას ზღარბის ამბავმა ძალიან დამაგვიანა და, როცა ექიმისაკენ გავწიე, უკვე ბინდდებოდა. შორს ცხოვრობდა, ზუბოვის ბულვარზე. ტრამვაი ახლაც უფასო კი არ იყო, როგორც ცხრაას ოცში, მაგრამ მე მაინც უფასოდ ვიმგზავრე.

ზუბოვის ბულვარზე ბაღის სიღრმეში თეთრი სვეტებიანი სახლის მხოლოდ ერთ ფანჯარაში მოჩანდა შუქი. გადავწყვიტე, რომ ეს ომისი ოთახი იქნებოდა. მაგრამ მოვტყუვდი, ექიმი თურმე მესამე სართულში ცხოვრობდა, სინათლე კი მეორე სართულში ენთო. ბინა ნომერი რვა—აი ისიც. ნომრის ქვეშ ცარცით მსხვილად ეწერა:

„აქ ცხოვრობს პავლოვი და არა ლევენსონი“.

სწორედ ექიმი ივან ივანიჩი იყო პავლოვი.

კარები გამიღო ქალმა, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა. მკითხა, ვინ გინდაო. მე ვუთხარი, ვინც მინდოდა. მიპასუხა, ექიმი სახლშია, მაგრამ, მგონი, სძინავსო.

— დაუკაკუნე მაინც,— ჩურჩულით მითხრა, — იქნებ არა სძინავს.

— არა მძინავს,—საიდანღაც დაიძახა ექიმმა.—ვინ არის?

— ვიღაც ბიჭია.

— შემოვიდეს.

მე პირველად ვიყავი ექიმთან და გამიკვირდა, რომ ოთახში ასეთი არეულობა იყო. იატაკზე ერთად ეყარა ჩაისა და თუთუნის პაკეტები, ტყავის ხელთათმანები და უცნაური, ლამაზი ბეწვის ჩექმები. მთელი ოთახი თავახდილი ჩემოდნებით და ზურგჩანთებით იყო სავსე. ამ მიყრილ-მოყრილი ბარგის შუა, შტატივით ხელში ექიმი ივან ივანიჩი იდგა.

— ოჰ, სანია,—მხიარულად მითხრა მან, — მოხვედი? როგორ არის საქმეები? ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ.

— კარგია! გახველებს?

— არა.

— ყოჩაღ! მე კი, ძმაო, შენ შესახებ წერილი დავწერე.

მე მეგონა ხუმრობდა.

— სიმუნჯის იშვიათი შემთხვევა. – თქვა ექიმმა.—შენ თვითონ შეგიძლია წაიკითხო „ვრაჩებნაია გაზეტას“ მეჩვიდმეტე ნომერში. ავადმყოფი გ. ეს ძმაო შენა ხარ. ჩათვალე, რომ ცნობილი გახდი, მართალია, ჯერჯერობით როგორც ავადმყოფი, მაგრამ მომავალი წინ არის.

მან სიმღერა დაიწყო: „მომავალი წინ არის, მომავალი წინ არის“!—და უეცრად ყველაზე დიდ ჩემოდანს ეცა, დახურა და ზედ დაჯდა, რომ უკეთესად დახურულიყო.

ეტყობა, ექიმი მოსკოვიდან გამგზავრებას აპირებდა. მინდოდა მეკითხა, საით მიემგზავრებოდა, მაგრამ გადავწყვიტე, ჯერ ის გამეგო, კარებზე რად ეწერა: აქ სცხოვრობს ექიმი და არა ლევენსონიო.

— ივან ივანიჩ, კარებზე რად გიწერიათ, რომ აქ თქვენა ცხოვრობთ და არა ლევენსონი?

ექიმს გაეცინა.

— იმიტომ, რომ აქ მე ვცხოვრობ, ლევენსონი კი მეზობელ სახლში. იმისიც რვა ნომერია, ჩემიც. ალაყაფის კარები კი საერთოა, გაიგე?

— გავიგე.

ექიმი ბევრს ლაპარაკობდა იმ დღეს. ასეთი მხიარული ჯერ არ მენახა. უეცრად გადაწყვიტა, ჩემთვის რამე ეჩუქებინა—და ტყავის ხელთათმანები მაჩუქა. ძველები იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან კარგები, თასმებით იკვრებოდა. არ ვიღებდი, მაგრამ ამის გაგონებაც არ უნდოდა, ხელში მომაჩეჩა და მითხრა:

— აიღე და გაჩუმდი.

საჭირო იყო, მადლობა გადამეხადა ხელთათმანებისათვის, მე კი მადლობის ნაცვლად ვკითხე:

— საით აპირებთ? მიემგზავრებით სადმე?

— მივემგზავრები,—თქვა მან.—შორეულ ჩრდილოეთში, პოლარული წრის იქით. გაგიგონია?

მე ბუნდოვნად გამახსენდა შორეული ნაოსნობის შტურმანის წერილი.

— გამიგონია.

— ჰოდა, იქ მე, ძმობილო, საცოლე დამრჩა. იცი ეგ რა არის?

— ვიცი.

— ტყუი. იცი, მაგრამ არ გესმის.

მე დავიწყე სხვადასხვა უცნაური საგნების თვალიერება, რომლებიც მას თან მიჰქონდა; ბეწვის შარვალი სამკუთხი უკანა ნაწილით, თასმებიანი ლითონის ლანჩები და ასე შემდეგ. ექიმი კი ბარგს ალაგებდა და თან ლაპარაკობდა. ერთი ჩემოდანი ვერაფრით ვერ დახურა. მოჰკიდა ხელი სახურავს და ლოგინზე გადმოაპირქვავა. გადმოპირქვავების დროს ჩემოდნიდან რაღაც დიდი სურათი გადმოვარდა და ჩემს ფეხებთან დაეცა. ეს იყო საკმაოდ ძველი, ჩაყვითლებული, რამდენიმე ადგილას მოღუნული სურათი. უკანა მხარეზე მსხვილი, მრგვალი ხელით ეწერა: ხომალდ „წმინდა მარიამის“ შემადგენლობა. სურათს თვალიერება დავუწყე და ჩემ გასაოცრად კატკას მამა ვიპოვე. დიახ, ის იყო. ექსპედიციის შუაში იჯდა გულხელდაკრეფილი, სწორედ ისე, როგორც იმ სურათზე, რომელიც ტატარინოვების სასადილო ოთახში ეკიდა. მაგრამ ექიმი ვერ ვიპოვე ამ სურათში და ვკითხე, თქვენ რატომ არა ხართ-მეთქი.

— ეგ იმიტომ, რომ „წმინდა მარიამით“ მე არ მიმგზავრია,— მიპასუხა ექიმმა და თან ხვნეშით ჩემოდანს თასმა გადაუჭირა.

სურათი გამომართვა, მაგრამ არ იცოდა სად ჩაედო.

— ერთმა კაცმა დამიტოვა სახსოვრად.

მინდოდა მეკითხა, ვინ იყო ის კაცი, კატკას მამა ხომ არ იყო-მეთქი, მაგრამ უკვე წიგნში ჩადო სურათი. წიგნი კი ზურგჩანთაში.

— აბა, სანია,— მითხრა მან,—დროა წავიდე. მომწერე ხოლმე, რას აკეთებ და როგორა ხარ: გახსოვდეს, ძმაო, რომ შენ საინტერესო ეგზემპლარი ხარ.

მისი მისამართი ჩავიწერე და ერთმანეთს გამოვეთხოვეთ.

შინ ფეხით წავედი და ცოტა შორს მოვუარე—ტვერსკოიზე—რადიოს მოსასმენად. ეს პირველი ხმამაღლა მოლაპარაკე იყო მოსკოვში. ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ღრიალებდა და ამიტომ გრიშკა ფაბერს მაგონებდა ტრაგედია „დადგა ჟამში“.

საბავშვო სახლს რომ მივუახლოვდი, მეთერთმეტე საათი იქნებოდა. ცოტა არ იყოს, მეშინოდა, კარები დაკეტილი დამხვდება-მეთქი. მაგრამ არა! კარები ღიაა და ყველა ფანჯრებში შუქია. რა მოხდა?

საწოლ ოთახში შურდულიანით შევვარდი. ჭაჭანება არ არის! ლოგინები გაშლილია, ეტყობა, დაწოლას აპირებდნენ.

— ძია პეტია,—შევეკითხე მზარეულს, რომელიც ახალ კოსტუმში გამოწყობილი, ქუდით ხელში საბზარეულოდან გამოდიოდა,—რა მოხდა?

— კრებაზე ვარ მიწვეული.—იდუმალი ჩურჩულით მიპასუხა მან.

— რა კრებაა? სადა?

— მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მოსამსახურე პერსონალის კრებაა,— ისევ იდუმალად მიპასუხა მან.

ეტყობა, უკვე მოესწრო კარგად გადაკვრა, იმიტომ რომ ყოველი სიტყვის შემდეგ თვალებს ხანგრძლივად ხუჭავდა. ახსნა დამიწყო, რაკი კრებაზე ვარ მიწვეული, კაცივით უნდა მეცვასო, მაგრამ მე უკვე ხევით მივრბოდი სკოლაში.

სააქტო დარბაზი გაჭედილი იყო. ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. კარებში და დერეფანშიც ბლომად იდგნენ ბავშვები. მე მაინც გავძვერი და პირველ რიგში დავჯექი, მხოლოდ სკამზე კი არა, იატაკზე, იქვე სცენის წინ...

ეს საზეიმო კრება იყო დეიდა ვარიას თავმჯდომარეობით. ძალზე გაწითლებული, იგი პრეზიდიუმში იჯდა და ფანქრით ერთთავად თმას ისწორებდა, რომელიც ზედ ცხვირზე ეჩეჩებოდა. ეს პირველი დიდი კრება იყო, რომელსაც ის თავმჯდომარეობდა, და გასაგებია, რატომ ღელავდა ასე. უჯრედის სხვა ბავშვები აქეთ-იქით უსხდნენ და გულმოდგინედ რაღაცას წერდნენ. მათ ზემოდან კი, პრეზიდიუმის მაგიდის თავზე, ჩემი პლაკატი ეკიდა და მთელ დარბაზს დასცქეროდა. სული შემიგუბდა. ეს ჩემი პლაკატი იყო! ღრუბლებში მოსრიალე თვითმფრინავი წარწერით: „ახალგაზრდებო, შედით ს. ფ. მ. ს-ში!“ მაგრამ რა შუაში იყო აქ ჩემი პლაკატი,—ამას დიდხანს ვერ მივხვდი, რადგან ყველა ორატორი მხოლოდ რაღაც ულტიმატუმზე ლაპარაკობდა. მაგრამ აი გამოვიდა კორაბლიოვი და ყველაფერი ნათელი გახდა.

— ამხანაგებო,—ხმადაბლა, მაგრამ გარკვევით დაიწყო მან.— საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმი წამოუყენეს. საერთოდ თქვენ ძალიან სწორად შეაფასეთ ამ საბუთის მნიშვნელობა. თქვენი თვალსაზრისით, მისი ავტორები ტიპიური იმპერიალისტები არიან. სავსებით სწორია, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თვითონ მათ ეგ არ იცოდნენ, ან რომ ამის შესახებ პირველად თქვენგან ესმოდეთ. არა, ჩვენ სხვაგვარად უნდა ვუპასუხოთ ულტიმატუმს. ჩვენ უნდა შევქმნათ ჩვენ სკოლაში საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების უჯრედი!

ყველამ ტაში დაუკრა და მერე კორაბლიოვის ყოველი წინადადების შემდეგ ტაშს უკრავდნენ. სხვათა შორის, ბოლოს ჩემ პლაკატზე მიუთითა და მე სიამაყე ვიგრძენი, რომ მთელი სკოლა ჩემ ღრუბლებში მოსრიალე თვითმფრინავს უყურებს და კითხულობს წარწერას „ახალგაზრდებო, შედით ს. ფ. მ. ს.“ში.

შემდეგ ნიკოლაი ანტონიჩი გამოვიდა და იმანაც ძალიან კარ-

გად ილაპარაკა. მერე დეიდა ვარიამ გამოაცხადა, რომ კომკავშირის უჯრედი მთლიანად შედის ს. ფ. მ. ს-ში და მსურველებს შეუძლიათ ჩემთან ჩაეწერონ ხვალ დილის ათი საათიდან—საღამოს ათ საათამდე ჯერჯერობით კი ფული შეკრიბონ საბჭოთა ავიაციის სასარგებლოდ და შეკრებილი ფული გაზეთ „პრავდას“ მისამართით გაგზავნონო.

ეტყობა, მე ვღელავდი, რადგან ვალკა, რომელიც იქვე ჩემსავით იატაკზე იჯდა, გაკვირვებით მიყურებდა. ვერცხლის ათშაურიანი ამოვიღე და დავანახვე. იგი მიხვდა, მგონი, რაღაც უნდოდა ეკითხა, ალბათ „სპინინგის“ შესახებ, მაგრამ არაფერი უთქვამს და მხოლოდ თავი დამიქნია.

ესტრადაზე ავვარდი და ათშაურიანი დეიდა ვარიას მივეცი.

— ივან პავლიჩ,—ვუთხარი კორაბლიოვს, რომელიც დერეფანში იდგა და გრძელი მუნდშტუკით პაპიროსს ეწეოდა.—რა ხნიდან იღებენ მფრინავებად?

მან სერიოზულად შემომხედა.

— არ ვიცი, სანია. შენ კი, მე მგონი, ჯერჯერობით არ მიგიღებენ...

არ მიმიღებენ? მომაგონდა ფიცი, რომელიც ოდესღაც მე და პეტკამ ერთმანეთს მივეცით ტაძრის ეზოში: „იბრძოლე და ეძიე, ჰპოვე და უკან არ დაიხიო“. მაგრამ მე ხმამაღლა არ მითქვამს იგი. სულ ერთია, კორაბლიოვი მაინც ვერ გაიგებდა.



ნაწილი მეხამე

ძველი წერილები

თავი პირველი

ოთხი წელი

როგორც ძველ, მუნჯ ფილმებში არის ხოლმე, მე წარმომიდგენია დიდი საათი, რომლის ისარი წლებს გვიჩვენებს. სრული წრე— და ჩემს თავს მესამე კლასში ვხედავ, კორაბლიოვის გაკვეთილზე, რომაშკას გვერდით. სანაძლეო დადებულია, რომ მე არც ხელს გამოვწევ და არც დავიყვირებ, როცა რომაშკა თითებზე ჯიბის დანას დამისვამს. ეს ნებისყოფის გამოცდაა. თანახმად „წესებისა ნებისყოფის გასავითარებლად“, მე უნდა მივეჩვიო, არ გამოვხატო გარეგნულად ჩემი გრძნობები. ყოველ საღამოთი ვიმეორებ ამ წესებს და აი, ძლივს მომეცა შესაფერისი შემთხვევა! მე ჩემს თავსა ვცდი.

მთელი კლასი ჩვენ გვადევნებს თვალყურს, კორაბლიოვს ყურს აღარავინ უგდებს, თუმცა დღეს საინტერესო გაკვეთილია: ჩუკჩეების ადათებისა და წესების შესახებ.

— დაუსვი.—ვეუბნები რომაშკას.

ის უსინდისოც თითებზე გულგრილად მისვამს დანას. მე არა ვყვირი, მაგრამ ჩემდა უნებურად ხელს უკან ვწევ და სანაძლეოს ვაგებ.

ვიღაც ვაის იძახის, ჩურჩული მთელ მერხებს ედება. სისხლი ჩემდის. განგებ ხმამაღლა ვიცინი, რათა ვაჩვენო, რომ სულაც არა

მტკივა, და უეცრად კორაბლიოვი კლასიდან მაგდებს. ხელს ჯიბეში ვყოფ და კლასიდან გავდივარ.

— შეგიძლია, არ დაბრუნდე.

მაგრამ მე ებრუნდები. გაკვეთილი საინტერესოა და კარებთან, იატაკზე დამჯდარი ვუსმენ...

წესები ნებისყოფის გასავითარებლად! მთელი წელიწადი ჩავკირკიტებდი ამ წესებს. შევეცადე არა მარტო „ჩემი გრძნობების დაფარვას.“ არამედ იმასაც, „რომ ყურადღება არ მიმექცია იმ ხალხის აზრისათვის, რომელნიც მეზიზღებოდნენ.“ არ მახსოვს, ამ ორი წესიდან რომელი უფრო ძნელი იყო. მგონი პირველი, რადგან ჩემი სახე გამოხატავდა სწორედ ყველაფერ იმას, რასაც მე ვგრძნობდი და ვფიქრობდი.

„რაც შეიძლება ნაკლები იძინე, რადგანაც ძილის დროს ნებისყოფა თან არ გვახლავს“,—არც ეს იყო ძნელი ამოცანა ჩემისთანა ადამიანისათვის, მაგრამ სამაგიეროდ ვისწავლე „დღის წესრიგის დილიდანვე განსაზღვრა“—და მთელი ჩემი სიცოცხლე ამ წესს მივდევ.

რაც შეეხება უმთავრეს წესს—„გახსოვდეს შენი არსებობის მიზანი“, ამის გამეორება ძალიან ხშირად არა მჭირდება, რადგანაც ეს მიზანი იმ წლებშივე ნათელი იყო ჩემთვის...

კვლავ სრული წრე—ოცდახუთი წლის ზამთრის ადრიანი დილაა. ყველაზე ადრე ვიღვიძებ, ვწევარ და არ ვიცი, მძინავს თუ უკვე გამეღვიძა. თითქოს სიზმარში მეჩვენება ჩვენი ენსკი, „კრეპოსტნოი ვალი“, პონტონის ხიდი, ფერდობზე შეფენილი სახლები, გაერკული, მოხუცი სკოვოროდნიკოვი; დეიდა დაშა დამრიგებლური კილოთი სხვის წერილებს კითხულობს. მე—პატარა, თმაგაკრეჭილ ბიჭს, განიერი შარვალი მაცვია. მე ვარ კი ხამდვილად?

ვწევარ და ვფიქრობ, მძინავს და არცა მძინავს. ენსკი სადღაც მისცურავს თავისი წერილებით, გაერით, დეიდა დაშათი. ვიგონებ ტატარინოვებს... ორი წელიწადია იმათთან არა ვყოფილვარ—ნიკოლაი ანტონიჩს ისევ ისე ვძულვარ. ჩემს გვარში არც ერთი სისინა ბგერა არ არის, მიუხედავად ამისა ივი სისინით წარმოთქვამს ჩემ გვარს. ნინა კაპიტონოვნას კვლავ ვუყვარვარ, ამას წინათ კორაბლიოვმა მოკითხვა გადმომცა მისგან. ნეტა მარია ვასილევნა როგორ არის? ისევ ძველებურად ზის დივანზე და აბოლებს? კატია?

საათს ვუყურებ, მალე შვიდი გახდება. დროა ავდგე—ჩემ თავს

ოიტყვა მივეცი. ზარის დარეკვამდე ავდგე ხოლმე. ფეხაკრეფით პირსაბანისაკენ მივრბივარ, ღია ფანჯრის წინ ვვარჯიშობ. ცივა, თოვლის ფიფქები ფანჯარაში ცვივიან, ფარფატით ბეჭებზე მეცემიან და ზედვე მადნებიან. წელზევით ვიბან და წიგნს ვაშურებ! მშვენიერი წიგნია,- ამუნდსენის „სამხრეთი პოლუსი," — რომელსაც უკვე მეოთხედ ვკითხულობ.

ვკითხულობ, როგორ შეხვდა ჩვიდმეტი წლის ჰაბუკი ამუნდსენი ცნობილი დრეიფიდან დაბრუნებულ ნანსენს; როგორ გაატარა „მთელი დღე ბაირაღებით მორთულ ქუჩებში, ბრბოში, რომელიც ვაშას გაიძახოდა. საფეთქლებთან სისხლი უცემდა და ჰაპუკური ოცნებანი ქარიშხალივით ბობოქრობდნენ მის გულში".

სიცივე მივლის მხრებიდან ზურგისაკენ, ფეხები და მუცელიც კი თითქოს გამეყინა. ეკალს მაყრის. ისე ვკითხულობ, თითქოს მეშინია, ერთი სიტყვა არ გამომრჩეს. უკვე მოისმის ხმები სამზარეულოდან: გოგონები ჭურჭლით ხელში მხიარული ლაპარაკით სასადილოსაკენ მიდიან. მთელი სახე მიხურს, საფეთქლებში სისხლი მაწვება. კითხვას განვაგრძობ მღელვარედ და აღფრთოვანებით. ვგრძნობ, რომ სამუდამოდ დამამახსოვრდება ეს წუთები...

კვლავ სრული წრე — და ჩემ თავს პატარა, დიდი ხნის ნაცნობ ოთახში ვხედავ. სამი წლის მანძილზე თითქმის ყველა საღამო ამ ოთახში მაქვს გატარებული. კომკავშირის უჯრედის დავალებით პირველად ვატარებ წრეში გაზეთების კოლექტიურ კითხვას. პირველად შიში მიპყრობს. მე ვიცი „მიმდინარე მომენტი", „ნაციონალური პოლიტიკა", „საერთაშორისო საკითხები". მაგრამ უფრო კარგად ვიცი ფრენის საერთაშორისო რეკორდები, —სიმაღლეზე, ხანგრძლივობაზე, სიშორეზე. ფასების დაწევის შესახებ რომ მკითხონ უცებ? მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. გოგონებიდან ვიღაც მთხოვს, ლენინის ბიოგრაფია ვუამბო, ლენინის ბიოგრაფია კი, გაგიხარიათ, შესანიშნავად ვიცი!

სულ უფრო და უფრო ივსება კომკავშირის უჯრედის ოთახი. ნემსის ყუნწი არ ჩაიგდება. ზღურბლზე კორაბლიოვი დგას და ყურადღებით მისმენს: ულვაშებზე ხელს ისვამს. ვაშა! მაშ კმაყოფილია! სიხარულისა და სიამაყის გრძნობა მიპყრობს. ვლაპარაკობ და თან გაოცებული ვფიქრობ: „ოჰ, რა კარგად ვლაპარაკობ-მეთქი"

ეს ჩემი პირველი საზოგადოებრივი გამოსვლაა, თუ არ ჩავთვლით ერთ შემთხვევას კოცონთან, სადაც სტიოპა ივანოვის ძალა-

უფლება დაემხო. მგონი ბედმა გამიღიმა. მეორე დღეს საზმეცის მასწავლებელმა გამომიძახა, მთხოვა, ლენინის ბიოგრაფია გამემეორებინა, და თქვა: „თუ ავად გავხდი, სანია გრიგორიევი შემცვლისო“.

კიდევ ერთი სრული წრე—და მე ჩვიდმეტი წლისა ვარ. მთელი სკოლა სააქტო დარბაზშია. წითელ მატერიაგადაფარებულ მაგიდასთან სასამართლოს წევრები სხედან. მარცხნივ—დამცველი, მარჯვნივ—საზოგადოებრივი ბრალმდებელი. საბრალმდებლო სკამზე დამნაშავე ზის.

— ბრალდებულო! თქვენი სახელი? მიმართავს, თავმჯდომარე.
— ევგენი.
— გვარი?
— ონეგინი.
ეს დაუვიწყარი ღ ღ ე იყო.

თავი მეორე

ევგენი ონეგინის გასამართლება

პირველად არავინ არ დაინტერესებულა ამით. მაგრამ აი ჩვენი თეატრის ერთმა მსახიობმა ქალმა წინადადება შემოიტანა, ევგენი ონეგინის გასამართლება პიესასავით დაგვედგა, კოსტუმებში, და უცბად მთელი სკოლა ალაპარაკდა ამაზე.

მთავარი როლის შემსრულებლად გრიშკა ფაბერი მოვიწვიეთ, რომელიც უკვე ერთი წელიწადია თეატრალურ სასწავლებელში სწავლობდა, მაგრამ ზოგჯერ ძველ დროს გაიხსენებდა და ჩვენი პრემიერების სანახავად შემოიელიდა ხოლმე. მოწმეების თამაში ჩვენმა არტისტებმა იკისრეს. მაგრამ ლარინების გადიასათვის კოსტიუმი ვერ ვიშოვეთ და მტკიცება დაგვჭირდა, რომ პუშკინის ხანაში გადიებს ისევე ეცვათ, როგორც ახლა აცვიათ. დაცვა ვალკას დაავალეს. საზოგადოებრივ ბრალმდებლად ჩვენი აღმზრდელი სუტკინი იყო, თავმჯდომარე კი მე გახლდით.

პარიკით, ლურჯ ფრაკში, მუხლებამდის ჩულქებში და ბაფთიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი ბოროტმოქმედი დამნაშავის სკამზე იჯდა და უდარდელად, წვერწამტვრეული ფანქრით ფრჩხილებს იწმენდდა. ხანდახან დაცინვით და ამავე დროს დანისლული თვალებით ხალხსა და სასამართლოს წევრებს გადახედავდა ხოლმე. ალბათ, მისი აზრით, მსგავს პირობებში ასე მოიქცეოდა ევგენი ონეგინი.

მოწმეების ოთახში (ყოფილი სამასწავლებლო) ისხდნენ მოხუცი ლარინა თავისი ქალებით და გადიათი. ისინი, პირიქით, ძალიან ღელავდნენ, განსაკუთრებით გადია, რომელიც გასაოცრად ახალგაზრდა და ლამაზი იყო თავის წლოვანებისათვის. დამცველიც ღელავდა და რატომღაც საბუთებით სავსე „საქაღალდეს“ ხელიდან არ უშვებდა. დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთები—ორი ძველებური დამბაჩა—ჩემ წინ მაგიდაზე ეწყო. ჩემს ზურგს უკან ისმოდა რეჟისორების აჩქარებული ჩურჩული.

— თვლით თქვენ თავს დამნაშავედ?—ეკითხე გრიშას.

— რაში?

— დუელის სახით მკვლელობაში,—წაიჩურჩულეს რეჟისორებმა.

— დუელის სახით მკვლელობაში.—ვთქვი მე, საბრალმდებლო დასკვნაში ჩავიხედე და დავუმატე:—თვრამეტი წლის პოეტის, ვლადიმერ ლენსკის მკვლელობაში.

— არასოდეს!—დაცინვით მიპასუხა გრიშკამ,—უნდა ანახვავებდეთ, რომ დუელი მკვლელობა არ არის.

— მაშ თუ ასეა, მოწმეთა დაკითხვას შევუდგეთ.—გამოვაცხადე მე.—მოქალაქე ლარინა, რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ საქმის შესახებ?

რეპეტიციაზე ყველაფერი ეს სიხარულით გვავსებდა, აქ კი უნებურად ყველა გრძნობდა, რომ არაფერი გამოდიოდა: მხოლოდ გრიშკა ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში. ხან სავარცხელს იღებდა და ქილვაშს ივარცხნიდა, ხან საყვედურით თვალს თვალში უყრიდა სასამართლოს წევრებს, ხან თავს ამაყად უკან გადასწევდა და დამცინავად იღიმებოდა. როდესაც მოწმემ, მოხუცებულმა ლარინამ გამოაცხადა, რომ ჩვენ ოჯახში ონეგინი ნათესავივით იყო მიღებული, -გრიშკამ ერთი ხელი თვალებზე მიიფარა, მეორე კი გულზე დაიდო, რათა ეჩვენებინა, როგორ იტანჯებოდა. მშვენივრად თამაშობდა და შევამჩნიე, რომ მოწმეები: ტატიანა და ოლგა პირდაპირ თვალს ვერ აშორებდნენ—ტატიანა კიდევ არაფერი, ის ხომ შეყვარებულია რომანის მისედვით, მაგრამ ოლგა?—იმას მთლად ავიწყდებოდა როლი. ხალხიც მხოლოდ გრიშკას უყურებდა, ჩვენ კი ორავინ ყურადღებას არ გვაქცევდა.

მოწმე მოხუცი ლარინა გაეუშვი და ტატიანა გამოვიძახე, ოჰ, როგორ ენად გაიკრიფა! სულაც არა ჰგავდა პუშკინის ტატიანას, მხოლოდ „ტატიანკით“ და მხრებზე დაყრილი კულულებით თუ მიამსგავსებდით. ჩემს კითხვაზე—თვლის თუ არა ონეგინს დამნაშავედ, იმან ორჭოფულად მიპასუხა—ონეგინი ეგოისტიაო.

სიტყვა დამცველს მივეცი და სწორედ ამ წუთიდან წავიდა ყველაფერი ყირამალა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დამცველმა აბდაუბდის ჩმახვა დაიწყო, მეორე ის, რომ კატია დავინახე.

რაღა თქმა უნდა, ამ ოთხ წელიწადში ძალიან გამოცვლილიყო, მაგრამ მკერდზე გადმოყრილი ნაწნავები ძველებურად ეხვეოდა და ასეთივე ხვეულები უმშვენებდა შუბლს. წინანდებურად ამაყად ჭუტავდა თვალებს და ცხვირიც ისეთივე სიმტკიცის გამომხატველი ჰქონდა—ალბათ, ასი წლის შემდეგაც ვიცნობდი ამ ცხვირით.

ყურადღებით უსმენდა ვალკას. ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა—ვალკასთვის დაცვის დავალება, რომელსაც მთელ ქვეყანაზე ზოოლოგიის გარდა არაფერი აინტერესებდა. მან დაიწყო ძალიან უცნაური დასაბუთება, რომ დუელები ცხოველთა სამყაროშიც არსებობს, მაგრამ ამას არავინ მკვლელობად არა თვლის. მერე მღრღნელებზე გადავიდა და ისე გაიტაცა ამან, რომ აღარავინ იცოდა, როგორ დაუბრუნდებოდა ევგენი ონეგინის დაცვას. მაგრამ კატია ინტერესით უსმენდა; წინა წლების გამოცდილებით ვიცოდი, როდესაც პირში ნაწნავი ჭდევს და წიწკნის—უთუოდ რითიმე არის გატაცებული. გოგონებიდან მხოლოდ იგი არ აქცევდა ყურადღებას გრიშკას.

ვალკამ უცებ დაამთავრა და სიტყვა საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა აიღო. ეს ხომ მთლად მოსაწყენი იყო. საზოგადოებრივი ბრალმდებელი მთელი საათი ამტკიცებდა, რომ, თუმცა ლენსკი XIX საუკუნის მეჰამულეთა და ბიუროკრატთა საზოგადოებამ მოჰკლა, მაინც ევგენი ონეგინი მთლიანად და საესებით აგებს პასუხს ამ მკვლელობის გამო, „რადგან ყოველგვარი დუელი მკვლელობაა წინასწარმოფიქრებული განზრახვით“

ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი ბრალმდებელის აზრით, ევგენი ონეგინისათვის უნდა მიესაჯათ ათი წელი მთელი ქონების კონფისკაციით.

ასეთ წინადადებას არავინ მოელოდა. დარბაზში ხარხარი გაისმა. გრიშკა ამაყად წამოდგა ზეზე... მე სიტყვა მივეცი.

ამბობენ, რომ მსახიობები მაყურებლის სულიერ განწყობილებას გრძნობენო: ეტყობა, გრიშკამაც იგრძნო, რადგანაც პირველი სიტყვიდანვე სამინელ ღრიალს მოჰყვა, როგორც შემდეგში აგვიხსნა, „მაყურებლის ხელში დასაჭერად“, მაგრამ ვერ შესძლო „მაყურებლის ხელში დაჭერა“. მის სიტყვას ერთი ნაკლი ჰქონდა: ვერ

გაიგებდით, თავისი სახელითა ლაპარაკობდა თუ ევგენი ონეგინის სახელით. ვფიქრობ, ევგენი ონეგინი არ იტყოდა, „ლენსკის თავი მოჰქონდა, ყოყოჩობდაო“ ან, რომ მას „ახლაც არ აუკანკალდებოდა ხელი, რომ ვლადიმერ ლენსკის გული გაეგმირა“.

ერთი სიტყვით, როცა დაჯდა თავისი თავით დიდად კმაყოფილი და შუბლიდან ხვითქის წმენდა დაიწყო, ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— სასამართლო სხდომაზე მიდის.

— ჩქარა, ბავშვებო!

— მოსაწყენია.

— გააჟიანურეს!

ყველაფერი ეს მართალი იყო და ჩვენ წინასწარმოულაპარაკებლად გადავწყვიტეთ, თათბირი სასწრაფოდ ჩაგვეტარებინა. სახტად დავრჩი, როცა სასამართლოს წევრების უმრავლესობა საზოგადოებრივ ბრალმდებელს დაეთანხმა. ათი წელი ქონების კონფისკაციით! ცხადია, აქ ევგენი ონეგინი არაფერ შუაში იყო. ათი წლის მისჯას გრიშკა ფაბერს უპირებდნენ, რომელმაც ყველას თავი მოაბეზრა ტატიანასა და ოლგას გარდა, მაგრამ მე ვთქვი, რომ ეს უსამართლობაა, გრიშკა მაინც კარგად თამაშობდა და უიმისოდ მოსაწყენი იქნებოდა-მეთქი. ხუთ წელზე შევთანხმდით.

— ადექით, სასამართლო მობრძანდება!

ყველანი ფეხზე ადგნენ. განაჩენი გამოვაცხადე.

— სწორე არ არის!

— გავამართლოთ!

— ძირს!

— კეთილი, ამბანაგებო,—ვთქვი მე პირქუშად.—მეც გეთანხმებით. ჩემი აზრით, ევგენი ონეგინი უნდა გავამართლოთ, გრიშკას კი მადლობა გამოვუცხადოთ. ვინ არის მომხრე?

ყველამ სიცილით ხელი ასწია.

— შიღებულია ერთხმად. კრება დახურულია.

ძალიან გაბრაზებული ვიყავი. ტყუილად მოვკიდე ხელი ამ საქმეს. იქნება სჯობდა, მთელი ეს სასამართლო ხუმრობად გადაგვექცია? მაგრამ როგორ? მე მეგონა, ყველა ამჩნევდა ჩემს მოუხერხებლობასა და ენაბლაგვობას.

ასეთ ცუდ გუნებაზე გამოვედი გასახდელ ოთახში და სწორედ კატიას შევხვდი. ის იყო პალტო მიეღო და თავისუფალ ადგილს ეძებდა, გასასვლელთან ახლო.

— გამარჯობა,—მითხრა სიცილით,—პალტო დამიჭირე. აი სასამართლოც ამასა ჰქვია!

ეს ისე თქვა, თითქოს გუშინ დავშორებოდით ერთმანეთს.

— გაგიმარჯოს,—ვუპასუხე მოღუშულად.

მან ცნობისმოყვარეობით შემომხედა.

— ოჰ, როგორი გამხდარხარ!

— როგორი?

— ამაყი. აბა, პალტო აიღე და წავიდეთ.

— სად?

— ოჰ, ღმერთო, სად? თუნდაც მოსახვევამდი. ძალიან თავაზიანი არა ხარ!

უპალტოოდ გავყევი, მან კიბიდან დამაბრუნა.

— ცივა და დიდი ქარია...

აი, როგორი დამამახსოვრდა იგი, როცა მე სადოვო-ტრიუმფალურისა და ტვერსკოის კუთხეში დავეწიე.

ნაცრისფერი ყურებიანი ქუდი ეხურა. ქუდის ბოლოები შეკრული არა ჰქონდა. შუბლზე დაყრილი ხვეულები უკვე თოვლს შეეევერცხლა, ვიდრე მე სკოლაში მივბრუნდებოდი. ქარი პალტოს კალთასა სტაცებდა.—ოდნავ დახრილი იდგა და ხელით პალტოს იჭერდა. შუატანისა იყო, მოხდენილი და, მგონი, ძალიან ლამაზი. მე ვამბობ—მგონი-მეთქი, იმიტომ რომ მაშინ ამაზე არა ვფიქრობდი. რასაკვირველია, ჩვენი სკოლის არც ერთი გოგონა არ გაბედავდა ასე მბრძანებლობას.

— „პალტო აიღე და წავიდეთ“!

მაგრამ ეს ხომ კატკა იყო, რომელიც თმებით მითრევია და თოვლში ცხვირით ჩამიფლია!

იმ ორ საათში, რომელიც ჩვენთან დაჰყო, სკოლის ყველა საქმეების გაგება მოესწრო. ძალიან წუხდა ბროიტმანის—ხატვის მასწავლებლის—სიკვდილს, რომელიც ყველას გვიყვარდა. ისიც გაეგო, როგორ დასცინოდა ყველა „ნემკას“, რომელმაც სიბერის ეამს თმები შეიკრიჭა და ტუჩების შეღებვა დაიწყო. მიამბო ჩვენი კედლის გაზეთის უახლოესი ნომრის შინაარსი. თურმე მთლიანად ევგენი ონეგინის გასამართლებას მიეძღვნება. ერთი კარიკატურა უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა—ლოზუნგქვეშ: „დუელებს ცხოველთა სამყაროშიაც აქვთ ადგილი“—ვალკა ორ მოჩხუბარ ძაღლს აშველებს. გრიშკა ფაბერი, რომელსაც ხელში სავარცხელი უჭირავს, მიბნედილი თვალებით შეჰყურებს მოწმეებს—ტატიანასა და ოლგას.

— ყური მიგდე, ყველანი კაპიტანს რად გეძახიან? საზღვაო სასწავლებელში გინდა შესვლა?

— ჯერ კიდევ არ ვიცი,—ვიცრუე მე, თუმცა უკვე დიდი ხანია ვიცოდი, რომ საზღვაო სასწავლებელში კი არა, საფრენოსნო სკოლაში შევიდოდი.

ნაცნობი სახლის ალაყაფის კარებამდე მივაცილე. მთხოვა, შემეელო ხოლმე.

— არა, უხერხულია.

— რატომ? რა ჩემი საქმეა, თუ ნიკოლაი ანტონიჩთან ცუდ განწყობილებაში ხარ. დიდედა გიგონებდა. შემოიარე ხოლმე, ჰა?

— უხერხულია.

კატიამ ცივად აიჩეჩა მხრები.

— მაშ, როგორც გინდა.

ეზოში დავეწიე.

— რა სულელი ხარ, კატკა. გეუბნები, უხერხულია-მეთქი, უკეთესია, სადმე წავიდეთ ერთად, კარგი? სასრიალოზე?

კატიამ შემომხედა და უეცრად ცხვირი აიწია, როგორც ბავშვობაში იცოდა.

— მოვიფიქრებ,—დიდი ამბით თქვა მან,—ხვალ დამირეკე, ასე ოთხ საათზე. უჰ, როგორა ცივა! კბილებიც კი ეყინება ადამიანს.

თავი მეხამე

ს ა ს რ ი ა ლ ო ზ ე

ჯერ იმ წლებშივე, როდესაც ამუნდსენით ვიყავი გატაცებული, ერთი სულ უბრალო აზრი მომივიდა თავში: თვითმფრინავით ამუნდსენი შვიდჯერ უფრო სწრაფად მიაღწევდა სამხრეთ პოლუსს. რა წვალებით მიიწევდა წინ ამ გაუთავებელ, თოვლით დაფარულ უდაბნოში! ორი თვე მისდევდა კვალდაკვალ ძაღლებს, რომელთაც საბოლოოდ ერთმანეთი დაფლითეს და შეჭამეს. თვითმფრინავით კი ერთ დღე-ღამეში მიაღწევდა სამხრეთ პოლუსს და არც კი ეყოფოდა მეგობართა და ნაცნობთა სახელები ყველა მწვერვალების, მყინვარებისა და ზეგნებისათვის დასარქმევად, რომელთაც ამ გადაფრენის დროს აღმოაჩენდა.

ცისმარე დღე ვეებერთელა ამონაწერებს ვაკეთებდი პოლარული მოგზაურობებიდან. გაზეთებიდან ვჭრიდი შენიშვნებს ჩრდილოეთში პირველი გაფრენების შესახებ და ძველ კანტორის წიგნში

ვაკრავდი. ამ წიგნის პირველ გვერდზე ეწერა: „წინ“—ჰქვია მის გემს. „წინ“—ამბობს იგი და მართლაც წინ მიისწრაფის! „ნანსენი ამუნდსენის შესახებ.“—ეს იყო ჩემი დევიზი. ოცნებაში თვითმფრინავით ყველა მარშრუტებით გავყევი: სკოტს, შეკლტონს, რობერტ პირს და, რაკი ჩემს განკარგულებაში თვითმფრინავი იყო, უნდა მისი მოწყობილობის შესწავლას შევდგომოდი.

თანახმად ჩემი წესების მესამე პუნქტისა,—„რაც გადაწყვიტო—შეასრულე“,—მე წავიკითხე „თვითმფრინავთმშენებლობის თეორია“. ოჰ, რა წამება იყო, მაგრამ ყველაფერი, რაც ვერ გავიგე, ყოველ შემთხვევისათვის ზეპირად ვისწავლე.

ყოველდღე გონებაში ვშლიდი და ვაწყობდი თვითმფრინავს. შევისწავლე მისი ძრავი და ხრახნები. უახლესი ხელსაწყოებით მოვაწყვე, ჩემი ხუთი თითივით ვიცნობდი. მხოლოდ ერთი რამ არ ვიცოდი ჯერ, როგორ უნდა მეფრინა, და სწორედ ეს მინდოდა მესწავლა.

ჩემ გადაწყვეტილებას არავის ვუმხელდი, თვით კორაბლიოვსაც კი. სკოლაში ისედაც ამბობდნენ ჩემზე, ყველაფერს ედებაო, და არ მინდოდა ჩემი ავიაციის ამბავზეც ელაპარაკათ, ეთქვათ—„ახალი გატაცებაოო“.—ეს არ იყო უბრალო გატაცება, თითქოს დიდი ხნის წინათ გადავწყვიტე, რომ მფრინავი გამოვსულიყავი, ჯერ კიდევ ენსკში, იმ დღეს, როდესაც ტაძრის ეზოში მე და პეტკა გაშხლართულები ვიწექით და დღისით მთვარისა და ვარსკვლავების დანახვას ვცდილობდით. როდესაც რუხმა, ფრთიანი თევზის მსგავსმა თვითმფრინავმა ღრუბლებს ლაღად შემოუარა და პესჩინკის იქითა მხარეს მიიმალა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ასე მეგონა, მაგრამ მაინც ტყუილად არ დამამახსოვრდა ის თვითმფრინავი. ალბათ მართლაც მაშინ ვიფიქრე პირველად იმაზე, რითაც ახლა მთელი ჩემი გონება იყო შეპყრობილი.

ამგვარად, ყველას ვუმალავდი ჩემ საიდუმლოს და უეცრად ვავამჟღავნე. და მერე ვის გავუმჟღავნე? კატიას.

იმ დღეს დილიდანვე მოვილაპარაკეთ სასრიალოზე წავსულიყავით, მაგრამ სულ რაღაც გვიშლიდა ხელს. ხან კატიამ გადადო წასვლა, ხან მე. როგორც იყო წავედით.—ციგურაობაც უკუღმართად დაიწყო. ჯერ ერთი ნახევარი საათი ყინვაში მოგვიხდა ცდა: სასრიალო თოვლს დაეფარა და ახლა თოვლსა ხვეტავდნენ. მეორე ის, რომ კატიას პირველ წრეზევე ქუსლი მოსტყდა და იძულებული ვიყავით, ციგურა თასმით დაგვემაგრებინა, რომელიც მე ყოველ

შემთხვევისათვის წამოვიღე. მაგრამ ჩემი თასმაც წამდაუწუმ იხსნებოდა. ეს კიდევ არაფერია! იძულებულები ვიყავით, გასახდელ ოთახში დავბრუნებულიყავით და ციგურები დაბღვერილი წითური ზეინკლისათვის მიგვეცა, რომელიც საშინელი ღრჭიალით ჩარხავდა ციგურებს ჭუჭყიან მრგვალ სალესავზე. ის იყო ბალთა შეაკეთა, რომ ახლა თასმა ასწყდა, ღორის ტყავისა იყო—და აბა ერთი შეჰკარით ყინვაში დაგრეხილი ღორის თასმა. ძლივს ყველაფერი მოწესრიგდა. ისევ წამოვიდა თოვლი და ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებულები დიდხანს ვციგურაობდით დიდი ნახევარი წრეებით, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ. ამ ილეთს ჰოლანდიური ნაბიჯი ჰქვია.

თოვლი ხელს უშლის კარგ მოციგურავეებს, მაგრამ რა სასიამოვნოა, როცა საცურაოზე უეცრად თოვლი წამოვა! ფიფქები სწორედ არ ეცემიან ყინულს. ჰაერში იწყებენ ტრიალს, რადგან მოციგურავე ხალხის ყინულზე ტრიალის დროს ქარი ჩნდება, და ფიფქებიც დიდხანს ხან ზევით მიდიან და ხან ქვევით, ვიდრე გამუვირვალე ნათელ ყინულს არ დაეფინებიან. უჰ, რა სილამაზეა. უცებ ვიგრძენი, რომ ამქვეყნად ყველაფერი კარგია. ვიცოდი, რომ კატიაც ამასვე გრძნობდა, მიუხედავად უხეში ღორის თასმისა, რომელმაც ფეხი უკვე გადააქლითა. იმასაც უხარია, რომ თოვლი ბარდნის და რომ ჩვენ ჰოლანდიური ნაბიჯით ვციგურაობთ.

მერე მე ბაგირთან დავდექი, რომლითაც მოედანი იყო გამოყოფილი, და კატიას დავუწყე. ცქერა. „ორმაგ რვიანებს“ აკეთებდა. ჯერ ვერ ახერხებდა. ჯავრობდა და ყველაფერს ქუსლს აბრალებდა. მერე ისე მშვენივრად გააკეთა რვიანი, რომ ვილაც ჩასუქებულმა კაცმა, რომელსაც დიდის მონდომებით გამოჰყავდა წრეები, ამოიხვნეშა კიდეც და დაუძახა:

— მშვენიერია!

გავიგონე, რომ მასაც შესჩივლა კატიამ ქუსლის გამო.

დიახ, მშვენიერია, ძაღლივით გავითოშე. კატკას ხელი დავუქნიე და ორი დიდი წრე გავაკეთე, რომ გავხურებულიყავი.

მერე ისევ ჰოლანდიური ნაბიჯით ვციგურავეთ, რის შემდეგ იქვე ორკესტრის ქვეშ დავსხედით.—კატიამ უეცრად მომიახლოვა აწითლებული, გახურებული სახე და შავი ცოცხალი თვალები. მე მეგონა, ყურში რამე უნდა მითხრას-მეთქი, და ხმამაღლა ეკითხე:

— ჰა?

მას გაეცინა.

— არაფერი, ისე, ცხელა!

— კატკა,—ვუთხარი.—იცი რა?.. არავის ეტყვი?

— არავის.

— საფრენოსნო სკოლაში მივდივარ.

მან თვალები აახამხამა, მერე უხმოდ მომაჩერდა.

— გადაწყვიტე?

— ჰო.

— საბოლოოდ?

მე თავი დავუქნიე.

უეცრად ორკესტრმა დაიგრიალა და ვეღარ გავიგე, რა მითხრა, როცა კაბიდან და ჟაკეტიდან თოვლს იბერტყავდა.

— არ მეყურება!

ხელი ჩამჭიდა და ჩვენ სასრიალოს მეორე მხარეს—ბავშვთა მოედნისაკენ გავსრიალდით. იქ ბნელოდა და სიჩუმე იყო. მოედანი თოვლს დაეფარა. სასრიალოს გასწვრივ ნაძვები იყო დარგული, მოედნის გარშემოც პატარა ნაძვები იდგა—თითქოს სადღაც ტყეში ვიყავით, ქალაქგარეთ.

— მიგიღებენ კი?

— სკოლაში?

— ჰო.

ეს საშინელი კითხვა იყო. ყოველ დილით ანოხინის სისტემით ვვარჯიშობდი და მიულერის სისტემით ცივი წყლით ტანს ვიზელავდი. კუნთებს ვისინჯავდი და ვფიქრობდი: „რომ არ მიმიღონ?“ ვამოწმებდი თვალებს, ყურებს, გულს, სკოლის ექიმი მეუბნებოდა, ჯანმრთელი ხარო. მაგრამ ჯანმრთელობა სხვადასხვანაირია,—მან ხომ არ იცოდა, რომ მე საფრენოსნო სკოლაში ვაპირებდი შესვლას—ვაითუ ნერვიული ვარ? ან შეიძლება კიდევ სხვა რამ? სიმაღლე! წყეული სიმაღლე! უკანასკნელ წელს მხოლოდ სანტიმეტრ-ნახევრით გავიზარდე.

— მიმიღებენ!—მტკიცედ ვუპასუხე.

კატიამ შემომხედა, მგონი, პატივისცემით...

სასრიალოდან მაშინ წამოვედით, როცა შუქი უკვე ჩააქრეს და თექისჩექმებიანმა დარაჯმა რაღაც უცნაურად ნელმა, თუმცა ჩვეულებრივი ნაბიჯით დადიოდა, გულშემზარავად დაუსტვინა და ცოცხით ჩვენკენ გამოსწია.

დაცარიელებულ გასახდელ ოთახში ციგურები მოვიხსენით, ბუფეტი უკვე დაკეტილი იყო, მაგრამ კატია მებუფეტე ქალთან

მივიდა, „გადიაო“, მიმართა და იმანაც, გულაჩუყებულმა, თითო ფუნთუშა და თითო ჭიქა ცივი ჩაი მოგვცა. ჩვენ ვსვამდით და თან ვლაპარაკობდით.

— რა ბედნიერი ხარ, რომ უკვე გადაგიწყვეტია,— ამოიოხრა კატიამ,— მე კი ჯერ არ ვიცი.

მას შემდეგ, რაც ვუთხარი, საფრენოსნო სკოლაში მივდივარ-მეთქი, ჩვენ მხოლოდ სერიოზულ საკითხებზე ვლაპარაკობდით, უმთავრესად ლიტერატურაზე. კატიას ძალიან მოსწონდა გლადკოვის „ცემენტი“ და მკიცხავდა, რომ ჯერ არ წამეკითხა. საერთოდ ის ჩემზე ბევრად უფრო მეტსა კითხულობდა.

შემდეგ სიყვარულზე ჩამოვარდა ლაპარაკი და შევთანხმდით, რომ სიყვარული — სისულელეა. ჯერ შევყოყმანდი, მაგრამ კატიამ გადაჭრით თქვა — „რასაკვირველია, სისულელეაო“, და რაღაც მაგალითი მოიყვანა გლადკოვიდან. მეც დავეთანხმე.

ჩვენ ვბრუნდებოდით ისეთი ჩაბნელებული და იდუმალი სიჩუმით მოცული ქუჩებით, თითქოს ეს სკატერტნი და ნოეოვოის შესახვევები კი არა, რაღაც საოცარი ქუჩები იყო სადღაც მთვარეზე.

თავი მეოთხე

ცვლილებები

მე და კატიას მისი შინაური საქმეების შესახებ არ გვილაპარაკია, მხოლოდ ვკითხე, მარია ვასილევნა როგორ არის-მეთქი, მან მიპასუხა:

— გმადლობ, არა უშავს რა.

— ნინა კაპიტონოვნა?

— გმადლობ, არა უშავს რა.

შეიძლება მართლაც „არა უშავდათ რა“, მაგრამ მე გავიფიქრე, რომ ცუდად იყვნენ, თორემ, მაგალითად, რატომ არჩია სასრიალოდან ფეხით წამოსვლა. თუმცა მარტო ფული ხომ არაფერს ნიშნავს: მშვენივრად მახსოვდა, როგორ მეზარებოდა ხოლმე ენსკში შინ დაბრუნება, როცა გაერ კული სრული ბატონ-პატრონი გახდა ჩვენს ოჯახში და მე და ჩემ დას მისთვის „მამა“ უნდა გვეწოდებინა. ჩემი აზრით, კატიასაც ამის მსგავსი რაღაც აწუხებდა. სახლში დაბრუნების დრო რომ მოვიდა, მოიღუშა. შინ რაღაც უსიამოვნება ჰქონდათ. მალე მარია ვასილევნას შევხვდი და საბოლოოდ დავრწმუნდი ამაში.

ჩვენ შევხვდით თეატრში, „პრინცესა ტურანდოტზე“. კატიას სამი ბილეთი აეღო; — მესამე — ნინა კაპიტონოვნასათვის, მაგრამ ნინა კაპიტონოვნა რატომღაც არ წამოვიდა და ბილეთი მე დამრჩა.

ხშირად დავდიოდი თეატრში, მაგრამ ერთია — კულტლაშქრობა და სულ სხვაა — მარია ვასილევნა და კატია. ვალკას საყელოგადმოკეცილი პერანგი გამოვართვი, რომაშკას კი — ჰალსტუხი. უსინდისო! გირაო მთხოვა.

— რომ დაკარგო?

იძულებული ვიყავი გირაოდ მანეთი დამეტოვებინა.

ჩვენ ერთად არ წავსულვართ თეატრში და კატიამ კინაღამ დაიგვიანა. კარებს უკვე ჭეტავდნენ, როცა მოვარდა.

— დედა სადღაა?

დედა უკვე პარტერში იყო. ხმა გაგვცა, როდესაც სიბნელეში ადგილების ძებნის დროს ხან ვის ვადგამდით ფეხს და ხან ვის...

სკოლაში ბევრს ლაპარაკობდნენ „პრინცესა ტურანდოტზე“ და დადგმასაც კი შეეცადნენ. გრიშკა ფაბერი ამტკიცებდა, რომ ამ პიესაში მამაკაცის ყველა როლი თითქოს საგანგებოდ ჩემთვის არის დაწერილიო. ამიტომ პირველ აქტში მარია ვასილევნასთვის არც კი შემიხედია, მხოლოდ შევნიშნე, რომ წინანდებურად ძალიან ლამაზი იყო და შეიძლება უფრო გალამაზებულიც კი. თმა ახლა სხვანაირად ჰქონდა დავარცხნილი და თეთრი, მაღალი შუბლი მთლიანად უჩანდა. იჯდა წელში გამართული და სცენას თვალს არ აშორებდა.

სამაგიეროდ ანტრაქტზე კარგად დავაკვირდი — და მეწყინა! გამხდარიყო, დაბერებულიყო. თვალები დასდიდრონებოდა და პირქუში გამომეტყველება მიეღოთ. მე გავიფიქრე: რომ ვისაც ადრე არ უნახავს, ახლა იქნებ შეშინებოდა კიდეც იმისი თვალების გამომეტყველებისა.

„პრინცესა ტურანდოტზე“ ვლაპარაკობდით, კატიამ გამოაცხადა, დიდად არ მომწონსო. მე არ ვიცოდი, მომწონდა თუ არა, და კატიას დავეთანხმე. მაგრამ მარია ვასილევნამ გვითხრა, — შესანიშნავიაო.

— თქვენ ჯერ პატარები ხართ და არ გესმით.

კორაბლიოვზე მკითხა, როგორ არისო, და მომეჩვენა, რომ სახე ოდნავ შეუვარდისფერდა, როდესაც ვუთხარი:

— მგონი, კარგად.

სინამდვილეში კორაბლიოვი მაინცდამაინც კარგად არ იყო. ზამთრის დასაწყისში მძიმედ იავადმყოფა. მაგრამ მეგონა, რომ კორაბლიოვიც ასევე უპასუხებდა, „კარგადა ვარო", თუნდაც ძალიან ცუდად ყოფილიყო. რა თქმა უნდა, იმას არ დავიწყებოდა, რომ მარია ვასილევნამ უარი უთხრა.

იქნებ მარია ვასილევნა ცოტათი ნანობდა კიდეც ახლა ამას, თორემ ასე დაწვრილებით არ დამიწყებდა იმისი ამბის გამოკითხვას. ისიც კი მკითხა, რომელ კლასებში ასწავლის კორაბლიოვი და როგორ ექცევიან სკოლაშიო.

მე მეტად მოკლედ ვუპასუხებდი, რაზეც ის ბოლოს და ბოლოს გაჯავრდა.

— ფუი, სანია, ორ სიტყვას ვერ გათქმევინებს ადამიანი. „ჰო" და „არა". გეგონება ენა ჩავარდნიაო,— მითხრა წყენით.

მოულოდნელად ნიკოლაი ანტონიჩი ახსენა. საოცარია! ნიკოლაი ანტონიჩი შესანიშნავი ადამიანიაო, თქვა. მე ხმა არ ამომიღია.

ანტრაქტი გათავდა და ჩვენ დარბაზში შევედით. მეორე ანტრაქტზეც ისევ ნიკოლაი ანტონიჩზე ჩამოაგდო ლაპარაკი. შევამჩნიე რომ კატია შეიშმუხნა, ტუჩები აუთრთოლდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა.

ჩვენ ფოიეში დავდიოდით და მარია ვასილევნა სულ ნიკოლაი ანტონიჩზე ლაპარაკობდა. ეს მეტისმეტი იყო! მიკვირდა კიდეც. მე ჯერაც არ დამვიწყებოდა, როგორ ექცეოდა წინათ ნიკოლაი ანტონიჩს.

ახლა კი თურმე გულკეთილი და კეთილშობილი ადამიანია. მთელი სიცოცხლე თურმე თავის ბიძაშვილზე ზრუნავდა (პირველად გავიგოხე, როგორ უწოდა თავის განსვენებულ მეუღლეს მარია ვასილევნამ „ვანია"), მაშინაც კი, როცა თვითონაც უჭირდა. მთელი თავისი საცხოვრებელი შესწირა მისი უკანასკნელი ბედუკულმართი ექსპედიციის მომზადებას.

— ნიკოლაი ანტონიჩს სწამდა მისი. — თქვა გულმხურვალედ.

ყველაფერი ეს ნიკოლაი ანტონიჩისგან მქონდა მოსმენილი, სწორედ ამავე სიტყვებით. წინათ მარია ვასილევნა მისი სიტყვებით არა ლაპარაკობდა—აქ რაღაც ამბავი იყო. თუმცა დიდის ხალისით და გატაცებით ლაპარაკობდა, მე მაინც მეჩვენებოდა, რომ მარია ვასილევნა ცდილობდა თავისი თავი დაერწმუნებინა,

რომ ყველაფერი ეს სწორედ ასე არის, ნიკოლაი ანტონიჩი არაჩვეულებრივი ადამიანია და განსვენებული მეუღლე ყველაფერში მისგან არის დავალებული.

მთელი მესამე აქტი ამაზე ვფიქრობდი. გადავწყვიტე, უსათუოდ გამომეკითხა კატიასათვის მამის ამბავი.—უეცრად თვალწინ მეზღვაურის სურათი წარმომიდგა. მეზღვაურს გაშლილი შუბლი, მტკიცედ შეკრული ბაგე და ჭრელი, ცოცხალი თვალები ჰქონდა. ნეტავი რა ექსპედიცია იყო, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა?..

სპექტაკლის შემდეგ ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში შევიცადეთ, ვიდრე გასახდელში ხალხი შეთხელდებოდა.

— სანია, რატომ ჩვენსა აღარ მოდიხარ?—მკითხა მარია ვასილიევნამ.

მე რაღაც წავიბუტბუტე.

— მე მგონი, ნიკოლაი ანტონიჩს დიდი ხანია დაავიწყდა ის სულელური ამბავი.—განაგრძობდა მკაცრად მარია ვასილიევნა.—თუ გინდა, მოველაპარაკები.

სულაც არ მინდოდა, რომ ნიკოლაი ანტონიჩისათვის მათთან სიარულის ნებართვა გამოეთხოვა, და კინაღამ ვუთხარი, „გმადლობთ, საჭირო არ არის მეთქი“.

მაგრამ უცებ კატიამ გამოაცხადა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი სულაც არაფერ შუაშია, ჩემთან ივლის და არა ნიკოლაი ანტონიჩთანაო.

— არა, არა!—თქვა შეშფოთებულმა მარია ვასილიევნამ.—რატომ? ჩემთანაც ივლის და დედასთანაც.

თავი მეხუთე

კატიას მამა

რა ექსპედიცია იყო ის ექსპედიცია? ან ვინ იყო კატიას მამა? ვიცოდი მხოლოდ, რომ იგი მეზღვაური იყო და მოკვდა. მოკვდა კი? კატია თავის დღეში მამას „განსვენებულს“ არ უწოდებდა. საერთოდ, ნიკოლაი ანტონიჩის გარდა, რომელსაც, პირიქით, ძალიან უყვარდა ეს ხიტყვა, ტატარინოვებთან იშვიათად ახსენებდნენ მას. სურათები ყველა ოთახებში ეკიდა, მაგრამ იშვიათად თუ რამეს იტყოდნენ იმაზე.

ბოლოს და ბოლოს მკითხაობა მომწყინდა, მით უმეტეს, რომ შეიძლებოდა პირდაპირ მეკითხა კატიასთვის, სად იყო მისი მამა, ცოცხალია თუ მოკვდა. მეც ავდექი და ვკითხე.

აი რა მიამბო კატიამ.

ოთხი წლისა იყო მაშინ, მაგრამ კარგად ახსოვს ის დღე, როდესაც მამა უნდა გამგზავრებულიყო. მაღალი ტანისა იყო, დიდრონხელებიანი, ლურჯი კიტელი ეცვა. დილაადრიან, როდესაც კატიას ჯერ ისევ ეძინა, ოთახში შემოვიდა და იმის საწოლთან დაიხარა. თავზე ხელი გადაუსვა, მგონი რაღაც თქვა: „შეხე, მაშა, როგორი ფერმკრთალია, სიტყვას მომცემ, რომ უფრო ხშირად ჰაერზე ამყოფებ? კატიამ ოდნავ გაახილა თვალები და ნამტირალევი დედა დაინახა. მაგრამ არ შეამჩნევინა, რომ გაეღვიძა, ეხალისებოდა თავი მოემძინარებინა. შემდეგ ისინი დიდ ნათელ დარბაზში გრძელ სუფრასთან ისხდნენ, რომელზედაც თეთრი ხელსაწმენდები ელაგა. კატიამ ამ ხელსაწმენდებს ველარ მოაცილა თვალი და ვერ შეამჩნია, სად გაქრა დედა. იმის ადგილზე ახლა დიდედა იჯდა, რომელიც სულ ოხრავდა: „ღმერთო ჩემო!“ დედა კი მხრებზე ამობურთულ უცნაურ ახალ კაბაში მამის გვერდით ჯდა და შორიდან კატიას თვალს უკრავდა.

სუფრას ბევრნი უსხდნენ, იყო სიცილი და მხიარულება, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მაგრამ აი წამოდგა მამა, ღვინით სავსე ჭიქა ასწია და უცებ ყველანი გაჩუმდნენ. კატიას არ ესმოდა, რასა ლაპარაკობდა იგი, მაგრამ ახსოვდა, როგორ დაუკრეს ტაში და „ვაშა“ შესძახეს, როცა დაამთავრა, დიდედამ კი კვლავ წაიბუტბუტა „ღმერთო ჩემოო“ და ამოიოხრა. შემდეგ ყველა ემშვიდობებოდა მამას და კიდევ ვიღაც მეზღვაურებს. მამამ გამომშვიდობებისას კატია მაღლა შეისროლა და თავისი დიდრონი, კეთილი ხელებით დაიჭირა.

— აბა, მაშა,—უთხრა დედას და გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

ეს იყო გამოსათხოვარი ვახშამი: კაპიტან ტატარინოვს აცილებდნენ ენსკის ვაგზალზე. თორმეტი წლის მაისში იგი ენსკში ჩამოვიდა ოჯახთან გამოსათხოვებლად, ივნისის ნახევარში კი ხომალდ „წმინდა მარიამით“ პეტერბურგიდან ვლადივოსტოკს გაემგზავრა.

პირველ ხანებში ყველაფერი ძველებურად მიდიოდა. ოღონდ მათ ცხოვრებაში ერთი ახალი რამ გაჩნდა.—ეს იყო მამის წერილი. „აი, მოიცადე, მამას წერილი მოვა“! და მართლაც მოდიოდა წერილი. ზოგჯერ წერილი ერთ-ორ კვირას იგვიანებდა, მაგრამ მერე მაინც მოდიოდა. მოვიდა უკანასკნელი წერილი იუგორსკი შარიდან. მართალია, ეს უკანასკნელი წერი-

ლი იყო, მაგრამ დედა ძალიან არ შეწუხებულა. კიდევაცა თქვა, ეს ასეც უნდა იყოსო. „წმინდა მარიამი“ ისეთ ადგილებში მიდიოდა, სადაც აიც ფოსტა იყო და არც სხვა რამ, ყინულისა და თოვლის გარდა.

ასეც უნდა იყოს! თვითონ მამამაც ხომ მოიწერა, წერილს მეტს აღარ მიიღებთო, მაგრამ მაინც ძალიან სამწუხარო იყო და დედაც, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო დადუმდა და დასევდიანდა.

„მამას წერილი“! ეს შესანიშნავი რამ იყო! როგორც კი მოვიდოდა მამას წერილი, დიდედა ყოველთვის რამეს გამოაცხობდა, ახლა კი ამ შესანიშნავი რამის ნაცვლად, რომელიც ყველას ახარებდა, ახალი გრძელი და მოსაწყენი სიტყვები გაისმოდა: „ასეც უნდა იყოს“! ან „რა გაეწყობა, სხვანაირად არც შეიძლება“.

ეს სიტყვები ყოველდღე მეორდებოდა. მეტადრე საღამოობით, როცა კატიას დასაძინებლად დააწვენდნენ, ხოლო დედა და დიდედა გაუთავებლად ლაპარაკობდნენ, კატია კი უსმენდა. დიდი ხანია უნდოდა ეთქვა: „ალბათ, მგლებმა შეჭამესო“, მაგრამ იცოდა, რომ დედა გაჯავრდებოდა, და ამიტომ არას ამბობდა.

მამა „იზამთრებს“! ენსკში კი დიდი ხანია უკვე ზაფხული იყო. ის მაინც ისევ „იზამთრებდა“. ეს რაღაც უცნაური იყო, მაგრამ კატია არაფერს ეკითხებოდა. ერთხელ გაიგონა, როგორ უთხრა დიდედამ მეზობელს: „სულ ვამბობთ—იზამთრებსო, მაგრამ ცოცხალი კია—ღმერთმა იცის!“

შემდეგ დედამ დაწერა „თხოვნა ვიღაც უმაღლესი პირის სახელზე“. ეს თხოვნა კატიას მშვენივრად ახსოვდა,—მაშინ უკვე დიდი იყო. კაპიტანი ტატარინოვის მეუღლე თხოულობდა დამხმარე ექსპედიცია გაეგზავნათ მისი უბედური ქმრის დასახმარებლად. იგი აღნიშნავდა, რომ ექსპედიციის მთავარი მამოძრავებელი „უთუოდ ეროვნული სიამაყე და ქვეყნის სახელი იყო“. იმედოვნებდა, რომ „ყოვლის შემწყალე მეფე“ უყურადღებოდ არ დასტოვებს მამაც მოგზაურს, რომელიც მუდამ მზად არის სიცოცხლე შესწიროს „ეროვნულ დიდებას“

„უმაღლესი სახელი“—კატიას რაღაც ჯვაროსნული ლაშქრობის მაგვარი რამ ეგონა: აუარებელი ხალხი და წინ არქიელი ჟოლოსფერი ქუდით. თურმე ეს მეფე იყო და მეტი არაფერი. მეფეს დიდხანს არ მიუცია პასუხი და დიდედა ყოველ საღამოთი ლანძღავდა მას. ბოლოს მოვიდა პასუხი მეფის კანცელარიი-

დან. კანცელარია მეტად თავაზიანი კილოთი ურჩევდა დედას, საზღვაო მინისტრისათვის მიემართა. მაგრამ არა ღირდა საზღვაო მინისტრისათვის მიმართვა. იმას უკვე მოახსენეს ამის შესახებ, რაზედაც მან განაცხადა: „სამწუხაროა, რომ კაპიტანი ტატარინოვი არ დაბრუნდა: სახელმწიფო ქონებისადმი გულგრილი მოპყრობისათვის დაუყოვნებლივ პასუხისგებაში მივცემდიო“.

შემდეგ ენსკში ნიკოლაი ანტონიჩი ჩამოვიდა და სახლში ახალი სიტყვები გაისმა. „არავითარი იმედი“. ეს მან დიდედას უთხრა ჩუმად, მაგრამ ყველამ კი გაიგო—დიდედას ნათესავებმა, ბუბენჩიკოვებმა, და კატკას ამხანაგებმაც, ყველამ, დედას გარდა.

არავითარი იმედი! არასოდეს აღარ დაბრუნდება! არასოდეს აღარ იტყვის რამეს სასაცილოს, აღარ შეედავება დიდედას, რომ „სადილის წინ არყის გადაკვრა მარგებელია და, თუ მარგებელი არ არის, ყოველ შემთხვევაში, მაწყინარი მაინც არაა და, რაკი მაწყინარი არაა, მაშ სასიამოვნო მაინც არის“. არასოდეს აღარ დასცინებს დედას, რომ იგი ძალიან დიდხანს ირთვება თეატრში წასასვლელად. არავინ აღარ გაიგონებს მის სიმღერას დილაობით: „რა, არის ჩვენი ცხოვრება? თამაში.“

არავითარი იმედი! იგი დარჩა სადღაც შორს, შორეულ ჩრდილოეთში, თოვლსა და ყინულებში და მისი ექსპედიციიდან არავინ დაბრუნებულა.

ნიკოლაი ანტონიჩი ამბობდა, თვითონ მამაა დამნაშავე, ექსპედიცია შესანიშნავად იყო მომზადებული, მარტო ფქვილი ხუთი ათასი კილოგრამი ჰქონდათ, ავსტრალიური ხორცის კონსერვი—ათას ექვსას ოთხმოცდარვა კილო, ლორი—ოცი, სკორიკოვის მშრალი ბულიონი—სამოცდაათი კილოგრამი! რამდენი ორცხობილა, მაკარონი, ყავა! დიდი სალონი შუაზე გადაეღობათ და ორცხობილით ვაევსოთ. ორმოცი კილოგრამი სატაცურიც კი წაეღოთ! მურაბა, კაკალი! და ყველაფერი ეს ნიკოლაი ანტონიჩის ფულით იყო ნაყიდი. ოთხმოცი მშვენიერი ძაღლი, რომ ავარიის შემთხვევაში შესაძლებელი ყოფილიყო ძაღლებით შინ დაბრუნებაო!

ერთი სიტყვით, თუ მამა დაიღუპა, რა თქმა უნდა, თავისიენ ბრალია. ადვილი წარმოსადგენია, მაგალითად, რომ იქ, სადაც საჭირო იყო მოცდა, ის ჩქარობდა! ნიკოლაი ანტონიჩის აზრით, ის მუდამ ჩქარობდა. ასეა თუ ისე, იგი დარჩა იქ, შორეულ ჩრდილოეთში, და არავინ იცის, ცოცხალია თუ მკვდარი—რადგა-

ნაც ექსპედიციის ოცდაათი წევრიდან შინ არც ერთი არ დაბრუ-ნებულა.

მაგრამ თავის ოჯახში კიდევ დიდხანს ცოცხლობდა. იქნებ უეცრად გაიღოს კარი და შემოვიდეს! ისეთივე, როგორიც უკანას-კნელ დღეს იყო ენსკის ვაგზალზე. ლურჯ კიტელში, გახამებული თეთრი გახსნილი საყელოთი, როგორსაც ახლა აღარავინა ხმა-რობს. მხიარული, დიდრონი ხელებით!

ოჯახში ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო მასთან დაკავშირებული. დედა პაპიროსს ეწევა—ყველამ იცის, რომ დედამ პაპიროსის წევა მამას დაკარგვის შემდეგ დაიწყო. დიდედა კატიას ქუჩაში აგ-დებს—ესეც მამას სურვილი იყო! მას უნდოდა, რომ კატკა ხში-რად ყოფილიყო ჰაერზე. წიგნები ვიწრომინიან კარადაში უცნაუ-რი სათაურებით, რომელთაც არავის აძლევდნენ წასაკითხად,— ეს მისი წიგნები იყო!

შემდეგ მოსკოვში გადმოსახლდნენ, ნიკოლაი ანტონიჩის ბი-ნაში—და ყველაფერი შეიცვალა. ახლა აღარავისა ჰქონდა იმე-დი, რომ უეცრად კარი გაიღებოდა და იგი შემოვიდოდა! ეს ხომ სხვისი სახლი იყო, სადაც ის არასოდეს არა ყოფილა.

თავი მეექვსე

ისევ ცვლილებები

იქნებ არც კი წავსულიყავი ტატარინოვებთან, კატია რომ არ დამპირებოდა, კაპიტანის წიგნებს და რუკებს გაჩვენებო. მარშრუტს შევხედე და აღმოჩნდა, რომ ეს ის ცნობილი „ჩრდილო-აღმოსავ-ლეთის გასასვლელი“ იყო, რომელსაც სამასი წელიწადი ეძებდნენ. ბოლოს შვედმა მოგზაურმა ნორდენშელდმა იგი 1871 წელს გაიარა. ეჭვს გარეშეა, რომ ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან კიდევ ოჯდახუთმა წელმა განვლო, ვიდრე მეორე მოგზაური—ვილკიცკი იმავე გზას გაივლიდა, ოღონდ პირუკუ მიმართულებით. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ძალიან საინტერესო იყო და მე გადავ-წყვიტე წასვლა...

ტატარინოვების ბინაში არაფერი არ გამოცვლილიყო, მხოლოდ ნივთები შეცოტავებულიყო შესამჩნევად.

სხვათა შორის, აღარ იყო ლევიტანის სურათი, რომელიც ოდესღაც ისე მომწონდა,—სწორი ფართო გზა ბაღში და მზით განათებული ფიქვები. კატიას ვკითხე, სურათი რა იქნა-მეთქი.

— აჩუქეს,—მოკლედ მიპასუხა კატიამ.

მე ხმა არ ამომიღია.

— ნიკოლაი ანტონიჩს,—უეცრად ღვარძლიანად დაუმატა კატიამ,—იგი აღმერთებს ლევიტანს.

ეტყობა, ნიკოლაი ანტონიჩისთვის მარტო ლევიტანი არ ეჩუქებინათ, რადგანაც სასადილო ოთახი საერთოდ რაღაც დაცარიელებულიყო. საზღვაო კომპასი კი წინანდებურად თავის ადგილზე იდო და ისარიც წინანდებურად ჩრდილოეთს უჩვენებდა.

შინ არავინ იყო, არც მარია ვასილევნა, არც დიდედა.

შემდეგ დიდედა მოვიდა, მე მესმოდა, როგორ იხდიდა დერეფანში და თან კატიას შესჩიოდა, ყველაფერი გააძვირეს: კომბოსტო თექვსმეტი კაპიკი გახდა, ხბოს ხორცი—ექვსი შაური, მიცვალებულთა სულის მოხსენიება—ორმოცი კაპიკი, კვერცხი—მანეთი და ოცი კაპიკი.

მე გამეცინა და დერეფანში გავედი.

— ნინა კაპიტონოვნა, ლიმონი?

იგი გაკვირვებული მოტრიალდა.

— ბიჭებმა არ მოგტაცეს ლიმონი?

— სანია!—შესძახა ნინა კაპიტონოვნამ და ხელი-ხელს შემოჰკრა.

ფანჯარასთან მიმიყვანა, მიმატრიალ-მომატრიალა, ყოველი მხრიდან დამათვალიერა და უკმაყოფილო დარჩა.

— დაბალი ხარ,—მითხრა წყენით.—არ იზრდები.

სამზარეულოში გაიქცა რძის დასადგმელად და რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა.

— ლიმონი მოაგონდა,—თქვა და გაეცინა,—მერე რა! მტაცებდნენ!

ძალზე დაბერებულიყო, წელში მოხრილიყო და გამხდარიყო. ჩემთვის ნაცნობ მწვანე ხავერდის უსახელოებო ჩასაცმელში ლაღლაღებდა, გამხდარი მხრები ამოშვეროდა. მაგრამ წინანდებურად მხნე, მზრუნველობით აღსავსე და ახლა მხიარული სახეც კი ჰქონდა. ჩემი ნახვა ძალიან გაუხარდა.—ბევრად უფრო მეტად, ვიდრე მე მოველოდი.

— ამბობენ, მოუბარშავი უგრეხელი უნდა ჭამო და გაიზრდებიო.—დაბეჯითებითა თქვა.—ჩვენთან, ენსკში მღვდელი იყო. აი ამ სიმაღლე! სულ უგრეხელასა ჭამდა.

— მერე, ტანი აიყარა?—სერიოზულად ჰკითხა კატიამ.

— ტანი არ აუყრია, მაგრამ ხმა კი გაუბოხდა. მანამდე წრიპინა იყო. მას გაეცინა. უეცრად რძე მოაგონდა.

— უი! გადმოვიდოდა.

და გაიქცა.

მე და კატია დიდხანს ვათვალიერებდით კაპიტანის წიგნებსა და რუკებს. აქ იყო ნანსენის „ყინულისა და ღამის სამყაროში", შემდეგ „კარის ზღვის ლოციები" და სხვა. საერთოდ, წიგნები ბევრი არ იყო, მაგრამ ყველა უკლებლივ საინტერესო. ძალიან მინდოდა რომელიმე მეთხოვა წასაკითხად, მაგრამ რა თქმა უნდა, მშვენივრად მესმოდა, რომ ეს უხერხული იყო. იმიტომ, გამიკვირდა, როცა კატიამ უეცრად მითხრა:

— გინდა? წაიღე.

— მერე შეიძლება?

— შეიძლება, —არ შემოუხედია, ისე მიპასუხა.

დიდხანს არ მიფიქრია, სწორედ მე რად გამომიცხადა ასეთი ნდობა, და საჩქაროდ დავიწყე წიგნების გადარჩევა. ძალიან მინდოდა ყველა წიგნის წაღება, მაგრამ ეს უხერხული იყო და ხუთი წიგნი გადავდე, მათ შორის თვითონ კაპიტანის ბროშურაც. მისი სათაური იყო: „გრილის ექსპედიციის დაღუპვის მიზეზები".

ტატარინოვებთან საგანგებოდ იმ ვარაუდით მივედი, რომ ნიკოლაი ანტონიჩი შინ არ უნდა დამხვედროდა,—ამ დროს ყოველთვის პედაგოგიური საბჭოს სხდომა იყო ხოლმე. მაგრამ, ეტყობა, სხდომა გადაედოთ და ის შინ დაბრუნდა. მე და კატია ისე გავერთეთ ლაპარაკში, რომ ზარის ხმა არ გაგვიგონია,—და უეცრად გვერდით ოთახში ფეხის ხმა და დინჯი ხველა მოისმა. კატია შეიშმუხნა და კარი მიაჯახუნა.

თითქმის იმავე წუთში კარები გაიღო და ნიკოლაი ანტონიჩი გამოჩნდა.

— ათასჯერ გთხოვე, კატიუშა, კარებს ასე ნუ აჯახუნებ მეთქი,— უთხრა მან,—უკვე დროა დაივიწყო ამისთანა ჩვეულებები.

რა თქმა უნდა, მაშინვე დამიხახა, მაგრამ არაფერი უთქვამს. მხოლოდ ოდნავ მოჭუტა თვალები და თავი დამიკანტურა. მეც თავი დავუქნიე.

— ჩვენ ადამიანთა საზოგადოებაში ვცხოვრობთ, —ალერსიანად განაგრძობდა ნიკოლაი ანტონიჩი,—და ამ საზოგადოების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას ერთმანეთის პატივისცემა წარმოადგენს შენ ხომ იცი, კატიუშა, რომ მე ვერ ვიტან კარების ჯახუნს.

ისლა დამრჩენია ვიფიქრო, რომ შენ განგებ ჩაიდინე ეს, მაგრამ მე არ მინდა ეს ვიფიქრო, დიახ, არ მინდა...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

მაშინვე მივხვდი, რომ ის უბრალოდ კატიას გასაბრაზებლად ჩმახავდა ამ აბდაუბდას. მაგრამ მახსოვს, ძველად კატიასთან ასეთ ლაპარაკს ვერა ბედავდა.

როგორც იყო წავიდა, მაგრამ ჩვენ უკვე გუნება გაგვიფუჭდა და აღარ გვინდოდა კაპიტანის წიგნების თვალიერება. გარდა ამისა, მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ნიკოლაი ანტონიჩი ლაპარაკობდა, კატია ზურგით იდგა მაგიდისკენ, რომელზედაც წიგნები ეწყო. ნიკოლაი ანტონიჩს არაფერი შეუჭჩრევია. მაგრამ მე ხომ მივხვდი: მას არ უნდა სცოდნოდა, რომ კატიამ ამ წიგნების წაღების უფლება მომცა!

ერთი სიტყვით, გუნება გაგვიფუჭდა და მე შინ წასასვლელად გავემზადე. ვნანობ, რომ იმავე წუთას არ წავედი. მეც არ ვიცი, რად დავყოვნდი, ვიდრე კატიას ვეთხოვებოდი, ნიკოლაი ანტონიჩი ისევ შემობრუნდა.

— შესაძლებელია, შენ გეწყინა, კატიუშა,—დაიწყო კვლავ.— ტყუილად! შენ, ეტვს გარეშეა, მშვენივრად იცი, რომ მე შენთვის კეთილი მსურს, როგორც ადამიანს და როგორც პედაგოგს.

მე გადმომხედა, დაიღრიჯა და ცხვირით უსიამოვნოდ შეისუნთქა ჰაერი.

— სხვა საქმეა, შენ რომ ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანი იყო! მაგრამ შენ ჩემი განსვენებული საყვარელი ძმის შვილი ხარ. შენა ხარ შვილი იმ ადამიანისა, რომელსაც მე ყველაფერი შევწირე—არა მარტო საცხოვრებელი, შეიძლება ითქვას, თვით სიცოცხლეც.

მე მომეჩვენა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი ყოველწლიურად სულ მეტსა და მეტ მსხვერპლსა სწირავდა თავის ძმას. წინათ ლაპარაკი იყო ხოლმე „როგორც ზნეობრივ, ისე ნივთიერ დახმარებაზე“, ახლა კი აღმოჩნდა, რომ ნიკოლაი ანტონიჩმა მას მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.

— აი ამიტომ,—განაგრძობდა ნიკოლაი ანტონიჩი,—მზადა ვარ, ათასჯერ გაგიმეორო ერთი და იგივე! მე დაღლილი ვარ სამუშაო დღის შემდეგ, ხომ მაქვს დასვენების უფლება—და აი ხედავ! გელაპარაკები, ვცდილობ შთაგაგონო ის, რაც დიდი ხანია უნდა შეგეგნო—როგორც შენ ხნოვანებას და შენ განვითარებას შეეფერის.

კატია სდუმდა.

მე ვხედავდი, რა მძიმე იყო მისთვის ეს დუმილი! მაგრამ მას ძლიერი ნებისყოფა ჰქონდა.

მე ვერ წავიდოდი, ვიდრე ის არ გაათავებდა. გარდა ამისა, არც უწიგნებოდ მინდოდა წასვლა და ამიტომ დავჯექი. სულაც არ მიფიქრია წყენინება, უბრალოდ, დგომით დავიღალე. ის კი გაბრაზდა.

— მოგაგონებ, კატიუშა,—აუღელვებელი, ალერსიანი ხმით განაგრძობდა იგი,—ერთ ცნობილ რომაულ ანდაზას: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი, და მე გეტყვი, ვინა ხარ შენ“. თუ შენ შესაძლებლად მიგაჩნია მეგობრობა ისეთ ადამიანთან, რომელსაც აზრადაც არ მოსდის, რომ, ვიდრე თვითონ დაჯდებოდეს, ჯერ თავის პედაგოგს შესთავაზოს სკამი...

და ნიკოლაი ანტონიჩმა უმწეოდ გაშალა ხელები.

ოდნავ შევკრთი, რადგან სულაც არ მიფიქრია მისი წყენინება! მაგრამ აქ უკვე ვეღარ მოითმინა კატიამ.

— ეს ჩემი საქმეა, ვისთანა ვმეგობრობ!—სწრაფად უპასუხა და გაწითლდა.

ალბათ, ნინა კაპიტონოვნა იქვე ახლომახლო იყო სადმე, შეიძლება კარებს უკანაც იდგა, რადგან, თქვა თუ არა ეს კატიამ, ის იმწამსვე ოთახში გაჩნდა და დაფაცურდა. რძე უკვე ადუღდა, იქნებ ყავა სურს ნიკოლაი ანტონიჩს? თორემ ეს-ესაა ბაზრიდან მოვიდა და სადილი ჯერ კიდევ დაგვიანდება. ეტყობა, პირველად არ უხდებოდა ასეთი უსიამოვნო დავის შეწყვეტა. კატიას ჯიუტად დაეხარა თავი და ისე უსმენდა ნინა კაპიტონოვნას, ნიკოლაი ანტონიჩი—ზრდილობიანად, მაგრამ დამცინავად...

მოვიცადე, ვიდრე გავიდოდნენ, და კატიას გამოვეთხოვე. შინ გულდამძიმებული დავბრუნდი. მე მეცოდებოდნენ ისინი—მარია ვასილევნა, დიდედა და კატია. არ მომეწონა ცვლილებები ტატარინოვების სახლში.

თავი მეშვიდე

შენიშვნები არშიებზე. ვალკას მღრღნელები, ძველი ნაცნობები

სკოლაში ყოფნის უკანასკნელი წელი იყო და, სიმართლე რომ ვთქვათ, უნდა მესწავლა და არა სტუმრად და სასრიალოდ

მეელო. ზოგიერთ საგნებში კარგად მივდიოდი, მაგალითად, მათემატიკაში და გეოგრაფიაში. ზოგიერთში კი საკმაოდ ცუდად, მაგალითად ლიტერატურაში.

ლიტერატურას ლიხო გვასწავლიდა, ძალიან სულელი კაცი, და მთელი სკოლა ლიხოვირს ეძახდა. ყუბანურ ქუდს არ იშორებდა, რომელსაც დაფაზე ვხატავდით და ზედ პროექციით ვირის ყურებს ვუხატავდით. ლიხოს არ ვუყვარდი და აი რატომ: ჯერ ერთი, ერთხელ კარნახით წერის დროს „ობსტრაქტულად“ გვიკარნახა. მე გავუსწორე და ამაზე შევკამათდით. მაშინ წინადადება მივეცი, მეცნიერებათა აკადემიას შევკითხოდით. ეს იწყინა.

მეორე: ბავშვების უმრავლესობა თავის თხზულებებს წიგნებიდან და წერილებიდან ადგენდა.—წაიკითხავდნენ კრიტიკას და გადმოიწერდნენ. მე ასე არ მიყვარდა. მე ჯერ თხზულებასა ვწერდი და მერე ვკითხულობდი კრიტიკას. ეს არ მოსწონდა ლიხოს! ის წააწერდა ხოლმე „პრეტენზია ორიგინალურობაზე. სუსტია“. მას, რასაკვირველია, უნდოდა ეთქვა—ორიგინალობაზე. ერთი სიტყვით, მეშინოდა, რომ ლიტერატურაში საბოლოო ნიშანი „ცუდი“ მექნებოდა.

უკანასკნელ „გამოსაშვებ“ თხზულებისათვის ლიხომ რამდენიმე თემა შემოგვთავაზა, რომელთაგანაც ყველაზე საინტერესოდ მომეჩვენა „გლეხობა ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ ლიტერატურაში“! მე გატაცებით შევუდექი წერას, მაგრამ მალე ცეცხლი გამინელდა—შესაძლებელია, კატიას მოცემულმა წიგნებმა ამიცრუეს გული. ამ წიგნების შემდეგ ჩემი თხზულება ჯოჯოხეთურად მოსაწყენი მეჩვენებოდა.

მარტო საინტერესო წიგნები კი არ იყო, ეს კატიას მამის წიგნები იყო. ფრანკლ ინის, ანდრეს და სხვათა დარად თოვლში და ყინულში უგზო-უკვლოდ დაკარგულ პოლარული კაპიტანის წიგნები.

ჩემს სიცოცხლეში ჯერ ასე ნელა არ მიკითხავს. თითქმის ყოველ გვერდზე იყო შენიშვნები, ხაზგასმული სტრიქონები, კითხვითი და ძახითი ნიშნები. ხან „სავსებით ეთანხმებოდა“ კაპიტანი, ხან კიდევ „არ ეთანხმებოდა“. ის ნანსენს ედავებოდა—ამან გამაოცა! უსაყვედურებდა, რომ პოლუსამდე სულ ოთხასიოდე კილომეტრიღა იყო დარჩენილი, ნანსენი კი მიწისკენ გამობრუნდა. ნანსენის წიგნში დართულ რუკაზე მისი დრეიფის განაპირა წერტილი

წითელი ფანქრით იყო შემოხაზული. ეტყობა, ეს ყველაზე მეტად აინტერესებდა კაპიტანს, რადგანაც არა ერთხელ უბრუნდებოდა სხვა წიგნების გვერდებზედაც, „ყინული თვითონ გადაწყვეტს ამოცანას“,—ეწერა ერთი გვერდის გასწვრივ. გადავშალე და უეცრად წიგნიდან ჩაყვითლებული ქაღალდის ფურცელი გამოვარდა. ის იმავე ხელით იყო დაწერილი. აი ისიც:

„... ადამიანის გონება იმდენად იყო შეპყრობილი ამ ამოცანით, რომ მისი გადაწყვეტა, მიუხედავად პირქუში სამარისა, რომელსაც იქ ჰპოვებდნენ მეტწილად მოგზაურები, ერთიან ეროვნულ შეჯიბრებად გადაიქცა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თითქმის ყველა კულტურული ქვეყნები. არ იყვნენ მხოლოდ რუსები, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველი მისწრაფებანი ჩრდილოეთ პოლუსის აღმოჩენისა რუსმა ადამიანებმა ჯერ კიდევ ლომონოსოვის დროს გამოამეღავნეს და აქამდე არ ჩამქრალა. ამუნდსენს სურს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ჩრდილოეთ პოლუსის აღმოჩენის სახელი ნორვეგიას დარჩეს, მაგრამ ჩვენ წავალთ წელს და მთელ ქვეყანას დავუმტკიცებთ, რომ რუსებსაც შესწევთ უნარი ასეთი გმირობისა“.

ეტყობა, ეს რომელიღაც მოხსენების ნაწყვეტი იყო, რადგანაც მეორე მხარეს ეწერა—„მთავარ ჰიდროგრაფიულ სამმართველოს უფროსს“ თარიღი—„17 აპრილი, 1911 წ.“

აი სად უმიზნებდა თურმე კატიას მამა! მას უნდოდა ნანსენივით რაც შეიძლება უფრო შორს გაჭრილიყო ჩრდილოეთში მოდრეიფე ყინულით და შემდეგ პოლუსზე ძაღლებით მისულიყო. ჩვეულებისამებრ, ვიანგარიშე, თვითმფრინავით რამდენად უფრო ჩქარა მიაღწეედა პოლუსს.

გაუგებარი იყო მხოლოდ ერთი რამ: 1912 წლის ზაფხულში ხომალდი „წმინდა მარიამი“ პეტერბურგიდან ვლადივოსტოკში გავიდა, რა შუაში იყო აქ ჩრდილოეთ პოლუსი?

მეორე დღეს, ჯერ ისევ საუზმემდე მეკარის ოთახში ჩავედი და კატიას დავურეკე:

— კატია, განა მამაშენი ჩრდილოეთ პოლუსისაკენ გაემგზავრა?

ეტყობა, ასეთ კითხვას არ ელოდა, იმიტომ რომ პასუხად ნამძინარევი ზმუილი მომესმა. შემდეგ მითხრა:

— არა... მერე რა იყო?

— არაფერი. მას ნანსენის განაპირა წერტილიდან ძაღლებით უნდოდა პოლუსზე მისვლა. ეჰ, შენ!

— რათა „ეჰ შენ“?

— მამაშენის შესახებ ასეთი რამეები არ იცი. დღეს თავისუფალი ხარ?

— მე და კირკა ზოობაღში მივდივართ.

ჰმ, ზოობაღში! ვალკა დიდი ხანია მეპატიჟებოდა ზოობაღში მისი მღრღნელების სანახავად და პირდაპირ უსინდისობა იყო, რომ აქამდის ვერ მოვახერხე იქ მისვლა.

კატიას ვუთხარი, შესავალთან შეგხვდებით-მეთქი.

კირკა სწორედ ის კირენი იყო, რომელმაც ოდესღაც დუბროვსკი წაიკითხა და ამტკიცებდა, „მაშა დუბროვსკის მისთხოვდაო“. ახლა თავზე ქერახაწნავებშემოხვეული დიდი გოგონა გამხდარიყო. წინანდებურად პირში შესცქეროდა კატიას და ყოველ მის სიტყვას ემორჩილებოდა. მხოლოდ ზოგჯერ წინააღმდეგობის ნაცვლად მოულოდნელად ისე ხმამაღლა აკისკისდებოდა, რომ ყველანი შეკრთებოდნენ ხოლმე. კატია კი, როგორც ჩვეულება ჰქონდა, ყურებში თითებს იცობდა.

ვალკა შეგვპირდა, შესავალთან დაგხვდებითო, მაგრამ არ ვიცი, რატომ არა ჩანდა, ბილეთების აღება კი სწორედ სისულელე იყო, რაკი ვალკა გვეტრაბახებოდა, თქვენი უფასოდ შეყვანა შემიძლიანო.

როგორც იყო მოვიდა. გაწითლდა, როცა გოგონებს ვაცნობდი, და წაიბუტბუტა, „მეშინია, ვაითუ მღრღნელების ნახვა თქვენთვის საინტერესო არ იყოსო“. კატიამ ზრდილობიანად უპასუხა, პირიქით, ძალიან საინტერესოა, თუ იმ სიტყვის მიხედვით ვიმსჯელებთ მღრღნელებზე, რომელიც თქვენ ევგენი ონეგინის დაცვის დროს წარმოთქვითო, და ჩვენ დინჯად გავუარეთ დარაჯს, რომელსაც ვალკამ სამჯერ გაუმეორა, მე ექსპერიმენტალური ბიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომელი ვარ და ესენი „ჩემთან“ არიანო.

მაშინდელი ზოობაღი ახლანდელ ზოობაღს არა ჰგავდა. ბევრი განყოფილება დახურული იყო, სხვები კი, ჩვეულებრივ, თოვლით დაფარულ მინდვრებს წარმოადგენდნენ. ვალკამ გვითხრა, ამ მინდვრებზე თეთრი მელიები ცხოვრობენ და მათ სოროები აქვთო და ისე შემდეგ. მაგრამ ჩვენ ვერავითარ თეთრ მელიებს და საერთოდ თოვლის მეტს ვერაფერსა ვხედავდით. ისე რომ, იძულებული ვიყავით ვალკას ცარიელი სიტყვებისთვის დაგვეჯერებინა.

მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ისე უნდოდა თავისი მღრღნელე-

ბი ეჩვენებინა. ამიტომ აღარ დაგვაცადა, ვეფხვი, სპილო და სხვა საინტერესო ცხოველები გვენახა. მთელი ზოობაღი გადაგვატარა და რაღაც ნახევრად ჭუჭყიან შენობასთან მიგვიყვანა. ამ შენობაში ცხოვრობდნენ ვალკას მღრღნელები. არ ვიცი, ვინ რას გულისხმობდა ამ მღრღნელებში, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ისეთი სახე მივიღეთ, რომ სწორედ ასე ვფიქრობდით, მღრღნელები—ჩვეულებრივი თაგვები არიან.

ისინი ბევრნი იყვნენ და ყველას რაღაც ავადმყოფობა ჰქონდა შეყრილი, როგორც გამოგვიცხადა ვალკამ სიამაყით. ვალკამ გვითხრა, რომ იმის გამგებლობაში იყვნენ აგრეთვე ღამურები და რომ ის თავის ხელით აკმევდა მატლებს. საერთოდ, საკმაოდ საინტერესო იყო, მიუხედავად იმისა, რომ შენობაში ძალიან ცუდი სუნი იდგა, ხოლო ვალკას დაუსრულებელ ლაპარაკს ბოლო არ უჩანდა.

ჩვენ პატივისცემით ვუსმენდით. განსაკუთრებით კირენი. მერე უეცრად გააჟრჟოლა და გამოგვიცხადა, თაგვები მძულსო.

— სულელო,—ხმადაბლა უთხრა კატიამ.

კირენს გაეცინა.

— არა, მართლაც ხომ საზიზღრობაა,—თქვა კირენმა.

ვალიასაც გაეცინა. მაგრამ მე ვხედავდი, რომ გული დასწყდა თავის თაგვების გამო. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და გავწიეთ.

— რა მოსაწყენია ეს ყველაფერი. მაიმუნები მაინცა ვნახოთ,—თქვა კირენმა.

და ჩვენ მაიმუნების სანახავად გავწიეთ.

აი სიმყრალე სად იყო! შედარებაც კი არ შეიძლებოდა ვალკას მღრღნელებთან! კირენმა გამოაცხადა, არ ვისუნთქებო.

— მაშ დარაჯები როგორღა არიან?—უთხრა კატიამ.

დარაჯს შევხედეთ, რომელიც გალიებთან სულელური, მაგრამ თავგამოდებული შეხედულებით იდგა.

გაერ კული გახლდათ! ერთ წამს შევყოყმანდი—მე ხომ ათ წელზე მეტი იყო, რაც არ მენახა, მაგრამ აი, ის წინ წამოდგა და თავისი საზიზღარი ბოხი ხმით დაიწყო:

— მაიმუნი—მაკაკა...

— ის იყო.

დაჟინებით დავაცქერდი, მაგრამ ვერ მიცნო. დაბერებულიყო, ცხვირი იხვის ნისკარტივით გახდომოდა. კულულებიც უკვე ის კულულები აღარ იყო—თხელი, ჭუჭყიანი, ჭაღარა. წინანდელი

ომახიანი, ახალგაზრდა გაერისაგან ჰხოლოდ დაგრეხილი ულვაშები და ფერისმჭამელები დარჩენილიყო.

— ცხოველის მკერდზე და მუცელზე,—განაგრძობდა გაერი ჩემთვის კარგად ნაცნობი ჭკუისდამრიგებლური პირქუში სახით,— თქვენ ხედავთ ძუძუებს, რომელნიც ცნობილნი არიან, როგორც მათი შვილების რძის პერიოდის განვითარების ორგანოები.

ის არის, ის! გუნებაში გამეცინა და გავიღიმე. კატიამ მკითხა, რად იღიმებიო! მე წავჩურჩულე:

— ერთი შეხედე.

მან შეხედა.

— იცი, ვინ არის?

— ვინ?

— ჩემი მამინაცვალი.

— ტყუი.

— პატიოსნებას გეფიცები.

მან უნდობლად აჭიმა წარბები, მერე თვალები ააბამხამა და სმენად გადაიქცა.

— შემდეგ გალიაში თქვენ ნახავთ ადამიანის მსგავს მაიმუნ გიბონს, რომელიც გვაცვიფრებს თავის მსგავსებით ადამიანთან. ამ გიბონს ზოგჯერ გონება უბნელდება ხოლმე და ცოფიანივით უვლის მთელ სადგომს.

საცოდავი გიბონი! მომაგონდა, მეც როგორ „მიბნელდებოდა გონება“, როდესაც ეს საზიზღარი თავის გაუთავებელ ლაპარაკს მოჰყვებოდა ხოლმე.

კატიას და კირას შევხედე. რასაკვირველია, იფიქრებენ ჭკუაზე შეიშალაო! მაგრამ ჩემი თავის პატივისცემას დავკარგავდი, ასეთი შემთხვევა რომ გამეშვა.

— ჯოხები პოპინდიკულარულები უნდა იყვნენ,—ვთქვი მე ხმადაბლა.

მან გვერდზე გადმომხედა, მაგრამ თავი ისე დავიჭირე, ვითომ გიბონს ვათვალიერებდი.

— შემდეგ გალიაში,—განაგრძობდა გაერი,—თქვენ ნახავთ გიბრალტარის უკუდო მაიმუნს: განვითარების დონით ბავშვსა ჰგავს. პირში ჯიბე აქვს, სადაც ჩვეულებრივად თავისი საკვების გემრიელ მარაგს ინახავს.

— რა თქმა უნდა,—ვთქვი მე,—ყველას უნდა გემრიელი ლუკმის ხელში მოგდება. მაგრამ შეიძლება ასეთ ლუკმას უზრუნველმყოფი მოვლენა ეწოდოს? ეს კიდევ საკითხია.

მე თვითონ არ მოველოდი, ზეპირად თუ მეხსომებოდა ეს აბდაუბდა. კირკას სიცილი წასკდა. გაერი გაჩუმდა და სულელური, მაგრამ ეჭვით სავსე თვალებით მომაჩერდა. ეტყობა, რალაც ბუნდოვანმა მოგონებამ გაუელვა დახშულ გოგრაში... მაგრამ, რა თქმა უნდა, ვერა მცნობდა.

— ჩვენ მათ უზრუნველვყოფთ,—უკვე სხვანაირი, უკმეხი საქმიანი კილოთი თქვა მან.—ყოველდღე ხეთქავენ და ხეთქავენ. ადამიანიც კი არა სჭამს ამდენს, რამდენსაც ასეთი ქმნილება.

უეცრად მოაგონდა.

— უკანა მხრიდან შეხედეთ.—განაგრძო მან.—და თქვენ ნახავთ, რომ ეს არე არანორმალურად წითელი აქვთ. ეს ტყავი არ გეგონოთ, მაგარი ქერქია, კოჟიჟის მსგავსი.

— მითხარით, გეთაყვა,—ვკითხე სერიოზულად,—არიან მოლაპარაკე მაიმუნები?

კირენს გაეცინა.

— არ გამიგონია,—უნდობლად მიპასუხა გაერმა. არ ესმოდა, დავცინოდი თუ სერიოზულად ველაპარაკებოდი.

— მე ერთ მაიმუნზე მიამბეს, რომელიც ნავმისადგომში მსახურობდა,—განვაგრძობდი მე,—შემდეგ იქიდან გამოაგდეს და ბავშვების აღზრდას მიჰყო თურმე ხელი.

გაერს გაეღიმა.

— რომელი ბავშვების?

— სხვისი ბავშვების. ის ჩექმებით სცემდა მათ,—განვაგრძობდი მე და ვიგრძენი, ამ მოგონებების გამო როგორი ბაგიბუგი დამიწყო გულმა,—მეტადრე გოგონას სცემდა, რადგანაც ბიჭს, ვინ იცის, იქნებ ხურდაც დაებრუნებინა.

მე უფრო და უფრო ვუწევდი ხმას. გაერი პირდაღებული მისმენდა. უცბად შეშინებულმა პირი მოკუმა და თვალები აახამხამა.

— სადილს შემდეგ მადლობა უნდა ეთქვათ მისთვის,—კირას ხელი ავუქნიე, რომელმაც შეშინებულმა ნიდაყვში ხელი წამავლო;—თუმც ის საზიზღარი მაიმუნი თვითონ კი არა მუშაობდა—სხვის ხარჯზე ცხოვრობდა და დილიდან საღამომდის მხოლოდ თავის დაწყევლილ ჩექმებს აპრიალებდა. თუმცაღა შემდეგ სიკვდილის ბატალიონში მოეწყო და იქიდან ორასი მანეთი და ახალთ ახალი ფორმა მიიღო. ის სიტყვებს წარმოთქვამდა ხოლმე!—მგონი კბილები დავაკრაჭუნე.—ხოლო როცა ბატალიონი გადანადგურეს, ქალაქიდან გაიქცა და, რაც კი სახლში მოიპოვებოდა, ყველაფერი თან წაიღო.

ალბათ უკვე მაგრად ეყვიროდი, რადგანაც უეცრად კატია მე და გაერს შუაში ჩაგვიდგა.

გაერმა რაღაც წაიბუტბუტა და გალიას მიეყრდნო. მან მიცნო—ტუჩები აუკანკალდა.

— სანია!—ბრძანების კილოთი დამიძახა კატიამ.

— მოიცა!—და კატია იქით გავწიე.—მისი ბედი, რომ გაიქცა, რადგანაც მე იმას...

— სანია!

მახსოვს, სახტად დაკრჩი, როცა გაერმა მოულოდნელად შეჰ-ყვირა და ხელები თავში იტაცა. გონს მოვედი. უხერხულად მოლიმარმა კატიას შევბედე. ჩემი ღრიალისა შემრცხვა.

— წავიდეთ,—მოკლედ თქვა კატიამ.

მივდიოდით ზოობაღში და ვდუმდით. ვხედავდი, რომ კირა შეშინებული ახამხამებდა თვალებს და ახლო არ მეკარებოდა. კატიამ რაღაცა წასჩურჩულა.

— საზიზღარი,—წავიბუტბუტე.

ჯერაც ვერ დავმშვიდებულიყავი.

— დღესვე ვალკას ხელით გადავცემ ზოობაღს განცხადებას. რად აჩერებენ ასეთ საზიზღარს! ეგ ხომ თეთრგვარდიელია.

— მე ახლა მეშინია შენი,—მითხრა კატიამ.—შენ თურმე ცოფიანი ყოფილხარ. უყურე, ტუჩებიც კი გადაგითეთრდა.

— ეს იმიტომ, რომ მისი მოკვლა მინდოდა,—ვუთხარი მე,—კმარა, ჯანდაბას იმისი თავი! სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, როგორ მოგეწონათ გიბონები?

თავი მერვე

ბ ა ლ ი

ჩვენ სკოლასთან სადურგლო სახელოსნო იყო, სადაც საღამოობით ვმუშაობდი. სწორედ იმ ხანებში დიდი შეკვეთა მივიღეთ სასწავლო ხელსაწყოებზე სასოფლო სკოლებისათვის და კარგი ფულის გაკეთება შეიძლებოდა.

„გლეხობა ოქტომბრის შემდგომ ლიტერატურაში“ დამთავრებული იყო. გაჯავრებულმა ერთ ღამეში დავწერე, მაგრამ მე სხვა ვალებიცა მქონდა—მაგალითად გერმანული, რომელიც არ მიყვარდა. მოკლედ, ნახევარი წლის ბოლოს მე და კატიამ მხოლოდ ერთხელ მოვახერხეთ სასრიალოზე წასვლა—და ისიც არ გვიციგუ-

რავნია. ყინული ძალიან იყო დასერილი. დილიდანვე ხოკეის გუნდები ვარჯიშობდნენ. მხოლოდ ჩაი დავლიეთ ბუფეტ'ში.

კატიამ მკითხა, მამინაცვლის შესახებ თუ დასწერე განცხადებაო.

— დავწერე, მაგრამ ვალკა მეუბნება, სულ ერთია, ის უკვე იქ აღარ არისო.

— მაშ სად არის?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი, გაქცეულა.

ვხედავდი, რომ კატიას უნდოდა ეკითხა, ასე რადა გძულსო, მაგრამ მე მისი მოგონება არ მინდოდა და არაფერი ვთქვი. ბოლოს მაინც მკითხა, იძულებული გავხდი მეამბნა.—ძალიან მოკლედ—როგორა ვცხოვრობდით ენსკში, როგორ მომიკვდა მამა ციხეში და როგორ გათხოვდა დედა გაერზე. კატიას გაუკვირდა, რომ და მყავდა .

— რა ჰქვია?

— იმასაც სანია ჰქვია.

მაგრამ უფრო მეტად გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ ჩემი ენსკიდან წამოსვლის შემდეგ ერთხელაც არ მიმიწერია მისთვის.

— რამდენი წლისაა?

— თექვსმეტის.

კატიამ აღშფოთებულმა შემომხედა.

— ღორო!

ეს მართლაც ღორობა იყო და მე დავიფიცე, რომ უსათუოდ მივწერდი.

— სკოლას რომ დავამთავრებ. აბა ახლა რა მივწერო? უკვე რამდენჯერმე დავიწყე წერილის წერა, ცოცხალი ვარ და ჯანმრთელად... რა საინტერესოა.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა არდადეგების წინ. მერე ისევ მეცადინეობა და მეცადინეობა,—კითხვა და კითხვა. დილის ექვს საათზე ვდგებოდი და „თვითმფრინავთმშენებლობას“ ჩავუჯდებოდი ხოლმე. საღამოთი კი სადურგლოში ვმუშაობდი, ზოგჯერ გვიანობამდე...

მაგრამ, აი, გათავდა ნახევარი წელი. თერთმეტი თავისუფალი დღე გვაქვს! უპირველესად ყოვლისა, კატიას დავურეკე და ჩვენ სკოლაში ბალზე დავპატიჟე.

აფიშაში ეწერა, რომ ბალი ანტირელიგიურია, მაგრამ ბავშვები გულგრილად შეხვდნენ ამას და მხოლოდ ორი-სამი კოსტიუმი

თუ იყო ანტირელიგიურ თემაზე. მაგალითად, შურა კოჩნევს, რომელზედაც მღეროდნენ:

В двенадцать часов по ночам
Из спальни выходит кочан,—

ქსენძის[1] კოსტიუმი ეცვა და კარგიც გამოვიდა! სუტანა და ფართოფარფლებიანი ქუდი ძალიან უხდებოდა მის აყლარწულ ტანს. პირქუშად დადიოდა და ყველაფერზე ძრწოდა. ძალიან სასაცილო იყო, კარგად თამაშობდა! სხვა ბიჭები იატაკზე ანაფორებს დააფართხუნებდნენ და ხარხარებდნენ.

კატია საკმაოდ გვიან მოვიდა. ის იყო უნდა გავქცეულიყავი ტელეფონით დასარეკად და კიდეც მოვიდა გაყინული, ჭარხალივით გაწითლებული, და გასახდელშივე, ვიდრე იმის პალტოსა და კალოშებს ჩავაბარებდი, ღუმელისკენ გაიქცა.

— უჰ, რა ყინვაა,—თქვა და ლოყა ღუმელს მიადო,—ორას გრადუსამდე იქნება.

მაქმანის საყელოიანი ლურჯი ხავერდის კაბა ეცვა და ნაწნავზე დიდი ლურჯი ბაფთი ეკეთა.

როგორ საოცრად უხდებოდა ეს ბაფთი, ლურჯი კაბა და ყელზე ერთი პირი წვრილი მარჯანი! მკვრივი, მაგრამ თანაც ჰაეროვანი და მოხდენილი იყო. ერთი სიტყვით, სააქტო დარბაზში შეეედით თუ არა, სადაც უკვე ცეკვავდნენ, ჩვენი სკოლის ყველაზე საუკეთესო მოცეკვავეებმა თავიანთი მანდილოსნები მიატოვეს და კატიასკენ გამოიქცნენ. პირველად ვინანე ჩემს ცხოვრებაში, რომ ცეკვა არ ვიცოდი. ისეთი სახე მივიღე, თითქოს ჩემთვის სულ ერთი იყო, და მსახიობების ოთახისაკენ გავემართე. მაგრამ იქ გამოსასვლელად ემზადებოდნენ და გოგოებმა გამომაგდეს. დარბაზში დავბრუნდი. სწორედ ამ დროს ვალსი დამთავრდა. კატიას დავუძახე, ჩვენ დავსხედით და ლაპარაკი გავაბით.

— ვინ არის?—მკითხა შეძრწუნებულმა.

მე გავიხედე.

— სად?

— აგერ წითელთმიანი.

არაფერი განსაკუთრებული, რომაშკა იყო! კოხტად გამოწყობილიყო, სწორედ ის ჰალსტუხი ეკეთა, რომელიც ერთხელ

---

[1] ქსენძი—კათოლიკური ეკლესიის მღვდელი პოლონეთში.

გირაოთი მათხოვა. დღეს რაღაც არც ისე უშნო მეჩვენა, მაგრამ კატია ზიზღით შეჰყურებდა.

— ვერა ხედავ, პირდაპირ საშინელია,- მითხრა მან.—თვალი შეჩვეული გაქვს და იმიტომ ვერ ამჩნევ. ური ჰიპსა ჰგავს.

— ვისა?

— ური ჰიპს.

თავი ისე მოვაჩვენე, ვითომდა ვიცი, ვინ არის ური ჰიპი, და მრავალმნიშვნელოვნადა ვთქვი.

— ჰო-ო!

მაგრამ კატიას გაცურება არც ისე ადვილი იყო.

— ეჰ, დიკენსი არ წაგიკითხავს!—მითხრა მან,—და განვითარებულად კი ითვლები!

— ვინა მთვლის განვითარებულად?

— ყველანი. ერთ თქვენ სკოლელ გოგონას ველაპარაკე და იმან მითხრა: „გრიგორიევი ბრწყინვალე პიროვნებაა“. პიროვნებას დამიხედეთ! დიკენსი არ წაუკითხავს.

მინდოდა ამეხსნა, რომ დიკენსი კი წამიკითხავს, მაგრამ ური ჰიპი არ წამიკითხავს-მეთქი, მაგრამ სწორედ ამ წუთში ორკესტრმა დაუკრა და ჩვენმა ფიზკულტურის მასწავლებელმა, რომელსაც ყველანი უბრალოდ გოშას ეძახდნენ, კატია მიიწვია საცეკვაოდ, მე ისევ მარტო დავრჩი. ამჯერად მსახიობებთან შემიშვეს და საქმეც კი მომცეს. ერთი გოგონასათვის რაბინის გრიმი უნდა გამეკეთებინა. ეს ადვილი საქმე არ იყო. ნახევარ საათამდე ვუტრიალე და, როდესაც კვლავ დარბაზში დავბრუნდი, კატია ისევ ცეკვავდა. ახლა უკვე ვალკასთან.

თავისთავად ეს საკმაოდ სასაცილო სანახაობა იყო—ვალკა თავის ფეხებს თვალს არ აშორებდა, თითქოს ეშმაკმა იცის, რა საინტერესო რამ იყო, კატია კი ნელი ხელის კვრით ხელდახელ ასწავლიდა ცეკვას და თან ჯავრობდა. მაგრამ მე რატომღაც მოწყენილობა ვიგრძენი.

ვილაცამ ღილზე ნომერი წამომაცვა—ფოსტას თამაშობდნენ. მოწყენილი ვიჯექი კატორღელივით მკერდზე ნომერმიკრული. ერთბაშად ორი წერილი მივიღე: „კმარა თავისკატუნი. გულახდილად მითხარი, ვინ მოგწონს? პასუხი მომწერე № 140“, მეორე წერილი იდუმალებით იყო აღსავსე: „გრიგორიევი ბრწყინვალე პიროვნებაა, დიკენსი კი არ წაუკითხავს“. კატიას თითი დავუქნიე. მას გაეცინა, ვალკა მიატოვა და ჩემს გვერდით დაჯდა.

— თქვენთან მხიარულებაა, ოღონდ ძალიანა ცხელა. რას იტყვი ახლა, ისწავლი ცეკვას?

არა-მეთქი, ვუთხარი და ჩვენი კლასისაკენ წავედით. იქ ფოიეს საკითი იყო რაღაც მოწყობილი. კუთხეებში ბუტაფორული საკარძლები იდგა ტრაგედიიდან „დადგა ჟამი“. ელნათურებსაც ლურჯი და წითელი ქაღალდი ჰქონდათ შემოხვეული. ჩემ მერხზე დავსხედით—უკანასკნელ მერხზე მარჯვენა მწკრივში. არ მახსოვს, რაზე ვლაპარაკობდით, რაღაც მნიშვნელოვანზე, მგონი, ხმოვან კინოზე. კატიას ამისი არაფერი სწამდა და მე დასამტკიცებლად რაღაც მონაცემები მოვუყვანე ბგერისა და სინათლის შედარებითი სისწრაფის შესახებ.

იგი სულ მთლად ლურჯი იყო—ჩვენ ზემოდან ლურჯი ელნათურა ენთო და, ალბათ, იმიტომ გავთამამდი ასე. დიდი ხანია მინდოდა მეკოცნა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გაყინული და გაწითლებული მოვიდა და ღუმელს ლოყა მიადო, მაგრამ მაშინ ეს შეუძლებელი იყო.—ახლა კი, როცა ის ლურჯია,—შესაძლებელი გახდა. სიტყვა არ დამიმთავრებია, გავჩუმდი, თვალები დავხუჭე და ლოყაზე ვაკოცე.

ოჰ, როგორ გაჯავრდა!

— ეს რას ნიშნავს?—იკითხა მრისხანედ.

მე ვდუმდი—გულს დაგადუგი გაჰქონდა. ვშიშობდი: აი ახლა შეტყვის: „ამიერიდან ჩვენ უცნობები ვართ“, ან რაიმეს ამის მსგავსს.

— ეს ღორობაა!—მითხრა აღშფოთებულმა.

— არა, ღორობა არ არის,—ვუპასუხე დაბნეულად.

ერთი წუთი ვდუმდით, მერე კატიამ წყლის მოტანა მთხოვა. წყალი რომ მოვუტანე, მთელი ლექცია წამიკითხა. როგორც ორჯერ ორი ოთხია, დამიმტკიცა, ჩემს მიმართ გულგრილადა ხარ განწყობილი, რომ „ეს შენ მხოლოდ გეჩვენება“ და, რომ ახლა ჩემს მაგიერ სხვა გოგონა ყოფილიყო, იმასაც აკოცებდიო.

— შენ უბრალოდ ცდილობ შენი თავი დაარწმუნო,—თქვა დაბეჯითებით,—სინამდვილეში კი მაგის მსგავსი არაფერია.

სჯეროდა, რომ მე მისი წყენინება არ მინდოდა, ასეც იყო. მაგრამ მაინც ასე არ უნდა მოვქცეულიყავ, რადგანაც მე მხოლოდ თავს ვიტყუებ, სინამდვილეში კი არაფერს არა ვგრძნობ...

— არავითარი სიყვარული,—დაუმატა დუმილის შემდეგ და მე ვიგრძენი, რომ გაწითლდა.

პასუხის ნაცვლად მისი ხელი ავიღე და სახეზე და თვალებზე მოვისვი. ხელი არ წაურთმევია და ასე რამდენიმე წუთი მდუმარედ ვისხედით ჩემს მერხზე, ნახევრად ჩაბნელებულ საკლასო

ოთახში. ჩვენ ვისხედით კლასში, სადაც გაკვეთილს მეკითხებოდნენ და მე კი „ლობე-ყორეს ვედებოდი“, სადაც მე დაფასთან თეორემებს ვამტკიცებდი; ჩემს მერხზე, სადაც ჯერ ისევ ეწყო ვალკას დაჭმუჭნილი „შპარგალკები“. ეს უცნაური იყო. მაგრამ რა კარგი! არ შემიძლია გადმოგცეთ, რა ნეტარი იყო ეს წუთები.

მერე მომეჩვენა, რომ კუთხეში ვიღაცა ხვნეშოდა, მივიხედე და რომაშკა დავინახე. არ ვიცი ისე რადა ხვნეშოდა, მხოლოდ ძალიან საზიზღარი სანახავი კი იყო. რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა, რომ შევნიშნეთ. რაღაცა წაიბუტბუტა და უსიცოცხლო ღიმილით ჩვენთან მოვიდა.

— გრიგორიევო, რატომ არ გამაცნობ?

მე ვდექი. ალბათ, მაინცდამაინც თავაზიანი შეხედულება არა მქონდა, იმიტომ რომ მან შეშინებულმა ააცამხამა თვალები და გარეთ გავარდა. სასაცილო იყო, რომ ასე შეეშინდა. ორივეს სიცილი წაგვსკდა. კატიამ მითხრა, რომ ის მარტო ური ჰიპს კი არა, მოკაუჭებულცხვირიან, მრგვალთვალა ბუსაცა ჰგავსო. გამოიცნო: რომაშკას კლასში ზოგჯერ ბუს ეძახდნენ და ამით აბრაზებდნენ. ჩვენ დარბაზში დავბრუნდით.

შურკა კოჩნევი შესავალში შეგვხვდა და კომიკურად შეძრწუნდა. კატია გავაცანი, მან კატია, როგორც ნამდვილმა ქსენძმა, ისე დალოცა და აკანკალებული ხელი ტუჩებთანაც კი მიუტანა საკოცნელად.

ცეკვა უკვე გათავდა და დაიწყო საკონცერტო განყოფილება. ნაწყვეტები „რევიზორიდან“, რომელსაც ჩვენი თეატრი ამზადებდა.

მე და კატია მესამე რიგში ვისხედით, მაგრამ არაფერი არ გვესმოდა. ყოველ შემთხვევაში მე. ჩემი აზრით, არც იმას. მე წავჩურჩულე.

— კიდევ ვისაუბროთ, ხომ?

დინჯად შემომხედა და თავი დამიქნია.

თავი მეცხრე

პირველი პაემანი. პირველი უძილობა

პირველად არ მომსვლია, რომ ცხოვრება, რომელიც ერთი გზით მიდის,—ვთქვათ პირდაპირი გზით, უეცრად მოტრიალდებოდა და იწყებოდა „ბოჩკები“ და „იმელმანები“.[1]

---

[1] უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებია.

ასე იყო, როდესაც რვა წლის ბიჭმა დანა დავკარგე პონტონის ხიდზე. ასე იყო განათლების განყოფილების განმანაწილებელში, როდესაც მოწყენილობისაგან ძერწვა დავიწყე. ასე იყო, როცა კორაბლიოვის წინააღმდეკ„ შეთქმულების“ შემთხვევითი მოწმე აღმოვჩნდი და ტატარინოვების სახლიდან თავლაფდასხმული გამომაძევეს. ასე იყო ახლაც, როცა მე კვლავ გამომაძევეს,—და ამჯერად სამუდამოდ.

აი, როგორ დაიწყო მორიგი შეტრიალება: მე და კატიამ პაემანი დავნიშნეთ ორუეინზე, თუნუქის სახელოსნოსთან—ის კი არ მოვიდა.

ამ სევდიან დღეს ყველაფერი უკუღმა მიდიოდა! მეექვსე გაკვეთილიდან გავიპარე—ეს სისულელე იყო, იმიტომ რომ ლიხო შეგვპირდა მეცადინეობის შემდეგ სახლში მოცემულ თხზულებებს დაგირიგებთო. მე მინდოდა მომეფიქრა ჩვენი საუბარი. მაგრამ, აბა რა უნდა მომეფიქრა, როცა რამდენიმე წუთის შემდეგ ძაღლივით გავიყინე და გაცხარებული ფეხებს ვაბაკუნებდი და ცხვირს და ყურებს ვისრესავდი.

მაგრამ მაინც ეს ძალიან საინტერესო იყო! გუშინდელის შემდეგ როგორ შეიცვალა ყველაფერი! მაგალითად, გუშინ მე შემეძლო მეთქვა: კატკა, სულელო! დღეს კი—არა. მაგრამ უფრო საინტერესო იყო ფიქრი იმაზე, რომ ეს სწორედ ის კატიაა, რომელმაც ოდესღაც მკითხა, წაგიკითხავს თუ არა „ელენე რობინზონი“, რომელმაც ლაქტომეტრი ააფეთქა, რისთვისაც ლაზათიანად წავკარი კისერში. ვითომ ის კატია არის?

„ის არის“,—გავიფიქრე მხიარულად.

ახლა კი ის—ის არ იყო, და მეც—მე არ ვიყავი. მაგრამ აი უკვე ერთმა საათმა გაიარა. შესახვევში არავინა ჭაჭანებდა, მხოლოდ პატარა, ცხვირა მეთუნუქე რამდენიმეჯერ გამოვიდა სახელოსნოდან და შეშინებულმა ეჭვიანი თვალით შემომხედა. ზურგით მივბრუნდი, მაგრამ, მგონი, ამან უფრო გაუძლიერა ეჭვები. ქუჩის მეორე მხარეზე გადავედი და ის კი სულ იდგა ორთქლის ბოლქვებში გახვეული, ენსკის ტაძრის გუმბათზე დახატული ღმერთივით. იძულებული გავხდი, ქვევით წავსულიყავი, ტვერსკოისაკენ...

სკოლაში რომ დავბრუნდი, უკვე ესადილათ. სამზარეულოში წავედი გასათბობად, მზარეულმა დამტუქსა და დატუქსვას ერთი თეფში ცხელი კარტოფილი მოაყოლა. უხმოდ შევჭამე და ვალკას

მოსაძებნად გავწიე. მაგრამ ვალკა ზოობაღში წასულიყო. ჩემი თხზულება ლიხოს რომაშკასათვის მიეცა.

ცუდ გუნებაზე ვიყავი და იმიტომ ყურადღება არ მიმიქცევია, რა აღელვებით შემხვდა რომაშკა. პირდაპირ დაბზრიალდა, როცა ბიბლიოთეკაში შეედი, სადაც ჩვეულებრივად გაკვეთილებს ვსწავლობდით.

რამდენიმეჯერ უმიზეზოდ გაეცინა და საჩქაროდ მომცა ჩემი თხზულება.

— ესეც შენი ლიხოვირი,— მითხრა ლაქუცით:— შენს ადგილას ვუჩივლებდი.

მე გადავშალე, ჩემი თხზულების ყოველ გვერდს წითელი ხაზი მისდევდა, ბოლოში კი ეწერა: „იდეალიზმი. მეტად სუსტია“.

გულგრილადა ვთქვი: „სულელი!“-მეთქი. რვეული დავხურე და გავედი. რომაშკა უკან დამედევნა. საკვირველი იყო, როგორ მელაქუცებოდა, ჩემს წინ მიკუნტრუშებდა, პირში შემომცქეროდა! ეტყობა, ძალიან უხაროდა, რომ ასე ჩავჯექი ჩემი თხზულებით. აზრადაც არ მომდიოდა მისი მოქმედების ნამდვილი მიზეზი.

— აი, ეგეც შენი ლიხოვირი,— მალი-მალ იმეორებდა.— კარგად თქვა მაგაზე შურა კოჩნევმა: „თავი კოკოსის კაკალივით აქვს— გარედან მაგარია, შიგნით კი თხევადიო“.

უსიამოვნოდ გაეცინა და ისევ სირბილით წინ გადამისწრო:

— გასწი, დამეკარგე,— ვუთხარი კბილების კრაჭუნით.

როგორც იყო მომშორდა.

ჯერ ბავშვები კულტლაშქრობიდან არ დაბრუნებულიყვნენ, მე კი უკვე ლოგინში ვიწექი. ასე ადრე არ უნდა დავწოლილიყავი: დავხუჭე თვალები და გვერდზე გადავბრუნდი, მაგრამ ძილი გამიფრთხა.

ეს პირველი უძილობა იყო ჩემს ცხოვრებაში. ძალიან დამშვიდებული ვიწექი და ვფიქრობდი. რაზე? მგონი ყველაფერზე, რაც ქვეყანაზე არსებობს.

ხვალ კორაბლიოვს მივუტან თხზულებას და ვთხოვ წაიკითხოს. ვფიქრობდი მეთუნუქეზე, რომელსაც ქურდი ვეგონე. კატიას მამის წიგნზე— „გრილის ექსპედიციის დაღუპვის მიზეზები“.

მაგრამ რაზეც არ უნდა მეფიქრა, ჩემი ფიქრი მაინც კატიას გარშემო ტრიალებდა. თვლემას ვიწყებდი და უეცრად ისეთი სინაზით მაგონდებოდა იგი, რომ სულიც კი მიგუბდებოდა და გული მძიმედ და ძალუმად მიწყებდა ძგერას. ასე უფრო კარგად ვხედავდი მას, ვიდრე ჩემს გვერდით რომ ყოფილიყო. მე ვგრძნობდი იმის ხელს ჩემს თვალებზე.

„კარგია, კმარა,—შეგიყვარდა და ეგ არის, მოდი მაინც დავიძინოთ, ძმაო“,—ვუთხარი ჩემს თავს.

მაგრამ ახლა, როდესაც ასეთი სიამოვნება მოეფინა ჩემს გულს, დაძინება დამენანა, თუმც ცოტა კი მეძინებოდა. გათენებისას ჩამეძინა, ძია პეტია სამზარეულოში მახმედას—ჩვენ პატარა კნუტს, რაღაცას ებუზღუნებოდა.

თავი მეათე

უსიამოვნებანი

პირველი პაემანი და პირველი უძილობა—ეს მაინც ისევ უწინდელი კარგი დრო იყო. მეორე დღეს კი დაიწყო უსიამოვნება

საუზმის შემდეგ კატიას დავურეკე და უკუღმართ ბედზე ტელეფონთან ნიკოლაი ანტონიჩი მოვიდა.

— ვინ კითხულობს?

— მისი ნაცნობი.

— რომელი ნაცნობი?

მე ვდუმდი.

— ჰა?

ყურმილი დავკიდე...

თორმეტ საათზე მწვანილეულობის დუქანში ჩავსაფრდი, საიდანაც მთელი ტვერსკაია-იამსკაია ჩანდა. ამჯერად ქურდი არავის ვეგონე. ხან ვითომ ტელეფონით ვრეკავდი, ეაშლის წნილს ვყიდულობდი, კარებთან გულგრილი გამომეტყველებით ვჩერდებოდი. ნინა კაპიტონოვნას ვუცდიდი. წინა წლების გამოცდილებით ვიცოდი, ბაზრიდან რა დროს ბრუნდებოდა. ძლივს, როგორც იყო გამოჩნდა. პატარა, მოხრილი, თავის მწვანე ხავერდის პალტო-სალოფში, ქოლგით ხელში—ასეთ ყინვაში! თავისი განუყრელი კალათით.

— ნინა კაპიტონოვნა!

მან კუშტად შემომხედა და, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ისე ჩამიარა გვერდი. მე გავოცდი.

— ნინა კაპიტონოვნა!

კალათი დადგა, წელში გასწორდა და აღშფოთებულმა შემომხედა.

— იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო,—მითხრა მკაცრად.—მე ძველი მახსოვს და ამიტომ არა ვჯავრობ, მაგრამ დღეიდან შენი ხმა არ გამაგონო და არც თვალით დამენახო.

თავი ოდნავ უცანცარებდა.

— შენ შენთვის, ჩვენ კი ჩვენთვის! არც არაფერი მოიწერო და არც დარეკო! მართალი გითხრა, არ მოველოდი! ჩანს, შევმცდარვარ!

კალათს ხელი დაავლო და—ჯახ! ალაყაფის კარები ზედ ცხვირწინ მომიკეტა.

პირდაღებული გავცქეროდი. ჩვენ ორში რომელი შეიშალა-მეთქი ჭკუაზე? მე თუ ის?

ეს იყო პირველი უსიამოვნო საუბარი. ამას მოჰყვა მეორე, მეორეს კი—მესამე.

შინ რომ ვბრუნდებოდი, სადარბაზო შესასვლელთან ლიხო შემხვდა. აბა რა შესაფერი დრო იყო ჩემი თხზულების შესახებ ლაპარაკისა.

კიბეზე ერთად ავდიოდით, ის, როგორც ყოველთვის, თავაწეული, ცხვირის სულელური მანჭვით, მე კი—როგორ მინდოდა—ერთი წიხლი მეთხლიშა მისთვის.

— ამხანაგო ლიხო, თხზულება მივიღე,—ვუთხარი მოულოდნელად,—თქვენა სწერთ „იდეალიზმი“, ეს შეფასება კი არა, ბრალდებაა, რომელსაც დამტკიცება სჭირდება.

— მერე მოვილაპარაკოთ.

— არა, ახლა. მე კომკავშირელი ვარ, თქვენ კი იდეალისტობასა მწამებთ. თქვენ არაფერი არ გესმით.

— რაო?—იკითხა და შუბლი შეიკრა.

— თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ იდეალიზმზე,—განვაგრძობდი მე და თან სიხარულით ვამჩნევდი, რომ ყოველი ჩემი სიტყვის შემდეგ სულ უფრო და უფრო უგრძელდებოდა სახე.—თქვენ არ იცოდით, გული რითი მოგეკლათ ჩემთვის, და ამიტომ დამიწერეთ „იდეალიზმი“. ტყუილად კი არ ამბობენ თქვენზე...

ერთი წამით შევჩერდი, რადგან ვიგრძენი, რომ ახლა უხეშ რაღაცას ვიტყოდი, მაგრამ მაინც ვთქვი:

— რომ თავი კოკოსის ნაყოფს გიგავთ: გარედან მაგარია, შიგნით კი ცხვადი.

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ორივენი გავშრით. შემდეგ მან ნეტოები დაბერა და მოკლედ და გესლიანად მითხრა:

— მაშ, ეგრე?!

და საჩქაროდ გატრიალდა.

სწორედ ერთი საათის შემდეგ კორაბლიოვთან გამომიძახეს.

უკვე ვიცოდი, თავზე რა რისხვა დამატყდებოდა: კორაბლიოვი-იშვიათად იძახებდა ვისმეს თავის ბინაზე.

ასე გაჯავრებული დიდი ხანია არ მეხახა. თავჩაღუნული ოთახში ბოლთასა სცემდა და, როდესაც შეეედი—რაღაც ზიზღით მომცა გზა.

— იცი, რას გეტყვი!—მას კუშტად შეუტოკდა ულვაშები.—დიდებული საქმე ჩაგიდენია! ადაძიანს ესიამოვნება!

— ივან პავლიჩ, ყველაფერს ახლავე აგიხსნით,—ვუთხარი მე და თან ვცდილობდი, დამშვიდებულად მელაპარაკა.—მე კრიტიკოსები არ მიყვარს, ეს მართალია, მაგრამ ეგ ხომ იდეალიზმი არ არის! სხვა ბავშვები ყველაფერს კრიტიკოსებისაგან იწერენ, ეს ლიხოს მოსწონს. ჯერ დაამტკიცოს, რომ მე იდეალისტი ვარ. მან უნდა იცოდეს, რომ ეგ ჩემთვის შეურაცხყოფაა.

კორაბლიოვს რვეული გავუწოდე, მაგრამ არც კი დახედა.

— შენ პედაგოგიურ საბჭოს უხდა აუხსნა შენი მოქმედება.

— დიდი სიამოვნებით!.. ივან პავლიჩ,—უეცრად ვუთხარი მე,—დიდი ხანია, რაც ტატარინოვებთან არა ყოფილხართ?

— მერე რა?

— არაფერი.

კორაბლიოვმა პირდაპირ თვალებში შემომხედა.

— იცი, ძმაო,—მშვიდად მითხრა მან.—ვხედავ, რომ შენ ტყუილ უბრალოდ არ მოექეცი ასე უხეშად ლიხოს. დაჯექი და მიამბე, მხოლოდ ტყუილები არ იყოს.

საკუთარ დედასაც არ გამოუტყდებოდი, რომ კატია შემიყვარდა და მთელი ღამე კატიაზე ფიქრში გავატარე, ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ დიდი ხანია მინდოდა მეამბნა კორაბლიოვისათვის ტატარინოვების სახლში მომხდარი ცვლილებების შესახებ, რომელიც მე ასე არ მომეწონა!

ყურს მიგდებდა და თან ბოლთასა სცემდა. დროდადრო ჩერდებოდა და ნაღვლიანად მიიხედ-მოიხედავდა ხოლმე. საერთოდ ჩემმა ნაამბობმა, მგონი, ცუდ გუნებაზე დააყენა. ერთხელ თავშიაც კი წაიტანა ხელი, მაგრამ გონს მოვიდა და ხელი შუბლზე მოისვა, ვითომ შუბლს იზელავდა.

— კარგი,—მითხრა, როდესაც ვთხოვე, ტატარინოვებისათვის დაერეკა და გამოერკვია, თუ რა მოხდა.—დაეურეკავ, შენ კი ერთი საათის შემდეგ შემოიარე.

— ივან პავლიჩ, ნახევარი საათის შემდეგ!

ულვაშებში ჩაეცინა—ნაღელიანად და თან ალერსიანად...

ეს ნახევარი საათი სააქტო დარბაზში გავატარე. პარკეტი სააქტო დარბაზში ნაძვის ტოტების მსგავსად არის დაგებული. და როცა ფანჯრიდან კარებისაკენ მივდიოდი, მუქი ზოლები ბაცად ვოჩანდა, ბაცები კი—მუქად. მზე კაშკაშებდა. დიდრონ ფანჯრებიდან სვეტად შემოჭრილ მზის სხივებში მტვერი ტრიალებდა. რა კარგია ყველაფერი ამქვეყნად! და თანაც რა ცუდი!

როდესაც დავბრუნდი, კორაბლიოვი სავარძელში იჯდა და პაპიროსს სწევდა. ბუსუსებიანი მწვანე ფრენჩი, რომელსაც ყოველთვის მაშინ იცვამდა, როცა თავს ცუდადა გრძნობდა, ბეჭებზე ესხა და პერანგის რბილი საყელო შეხსნილი ჰქონდა.

— ეჰ, ძმაო, რადა მთხოვე დამერეკა,—მითხრა მან.—ახლა მთელი შენი საიდუმლო ვიცი.

— რა საიდუმლო?

ისე შემომხედა, თითქოს პირველად დამინახა.

— ოღონდ უნდა იცოდე საიდუმლოს შენახვა,—განაგრძო მან,—შენ კი არ იცი. დღეს შენ, მაგალითად, ვინმე მოგწონს, ხვალ კი ეს მთელმა სკოლამ იცის. კარგია, თუ მარტო სკოლამ...

ალბათ, ძალიან სულელური გამომეტყველება მქონდა, რადგანაც კორაბლიოვს უნებურად ჩაეცინა,—თუმცა თითქმის შეუმჩნეველად. უცბად, სულ ცოტა, ოცმა აზრმა მაინც გამიელვა თავში. „ვინ მიყო ეს? რომაშკამ? მოვკლავ! აი, რატომ არ მოვიდა კატია! აი, რატომ გამომაგდო მოხუცმა ქალმა!“

— ივან პავლიჩ, მე იგი მიყვარს,—ვუთხარი მტკიცედ.

მან მხრები აიჩეჩა.

— ჩემთვის სულ ერთია, თუნდა მთელმა სკოლამ ილაპარაკოს...

— ჰო, სკოლამ კი შეიძლება,—თქვა კორაბლიოვმა,—მაგრამ რას იტყვის მარია ვასილევნა და ნინა კაპიტონოვნა,—ეს შენთვის სულ ერთი არ არის, ხომ?

— არა, ეგეც სულ ერთია,—ვუპასუხე გაცხარებულმა.

— თუ უკაცრავად არა ვარ, შენ, მგონი, სახლიდან გამოგაგდეს?

— რომელი სახლიდან? ის კატიას სახლი არ არის, კატია იმაზე ოცნებობს, რომ სკოლას დაამთავრებს თუ არა, ამ სახლს მოშორდეს.

— უკაცრავად, უკაცრავად... მაშ შერთვას აპირებდი?

მე გონს მოვედი.

— ეს არავისი საქმე არ არის!

— რა თქმა უნდა,—საჩქაროდ დაატანა კორაბლიოვმა,—მაგრამ გამიგონე, ჩემი აზრით, ეგ ასე უბრალო ამბავი როდია! საჭიროა მაინც კატიასაც შევეკითხოთ. შეიძლება ჯერჯერობით არც აპირებს გათხოვებას. ყოველ შემთხვევაში, უნდა მოვიცადოთ, ვიდრე ენსკიდან დაბრუნდება.

— ო,—ვთქვი მე ძალიან მშვიდად,—ენსკში გაგზავნეს? შესანიშნავია.

კორაბლიოვმა კვლავ შემომხედა,—და ამჯერად აშკარა ცნობისმოყვარეობით.

— დეიდა გაუხდა ავად და იმის სანახავად წავიდა,—თქვა მან,—რამდენიმე დღით და სწავლის დაწყებისათვის აქ იქნება. მგონი, ამახ არ უნდა აგაღელვოს.

— არცა ვღელავ, ივან პავლიჩ. რაც შეეხება ლიხოს, თუ გნებავთ, ბოდიშს მოვიხდი, მხოლოდ იმანაც წაიღოს უკან თავისი მოსაზრება, რომ მე იდეალისტი ვარ...

თითქოს არაფერი მომხდარაო, თითქოს არც კატია გაუგზავნიათ ენსკში, თითქოს მე არ გადამეწყვიტა რომაშკას მოკვლა, ჩვენ თხუთმეტიოდე წუთი ვილაპარაკეთ ჩემი თხზულების შესახებ. შემდეგ გამოვეთხოვე, ვუთხარი, თუ შეიძლება ხვალ კიდევ შემოვივლი-მეთქი, და წავედი.

თავი მეთერთმეტე

ენსკში მივემგზავრები

რომაშკა უნდა მოვკლა! ერთი წუთით არ მეპარებოდა ეჭვი, რომ ეს იმან ჩაიდინა. მაშ სხვამ ვინ! ფოიეში იჯდა და დაინახა, როგორ ვაკოცე კატიას.

სიძულვილით ვუყურებდი მის საწოლს და მაგიდას. ნახევარ საათამდე ვუცდიდი საწოლ ოთახში. შემდეგ ბარათი დავწერე, რომელშიაც ახსნა-განმარტებას მოვითხოვდი და თან ვემუქრებოდი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი სკოლის წინაშე საბიზღარს ვუწოდებდი. მერე ბარათი დავხიე და ვალკასთან გავწიე ზოობაღისაკენ.

რასაკვირველია, თავის მღრღნელებთან იყო, ჭუჭყიან ხალათში, ყურსუკან გარჭობილი ფანქრით, დიდი ბლოკნოტი იღლიაში ამოეჩარა, გალიის წინ იდგა და ღაშურებს ჭკვებავდა—მატლებს აჭმევდა და თან დიდად კმაყოფილი სახით რაღაცას უსტვენდა.

მე დავუძახე, გაბუცებულმა მოიხედა, გაჯავრებით ხელი ჩაიქნია და მითხრა:

— მოიცადე.

— ვალია! ერთი წუთით.

— მოიცა, სათვალავს შემაშლევინებ. რვა, ცხრა, ათი...—ის მატლებსა თვლიდა.

— აი გაუმაძღარი! ჩვიდმეტი, თვრამეტი, ოცი...

— ვალკა!—შევძახე ვედრებით.

— აქედან გაგაგდებ!—სწრაფად მითხრა ვალკამ.

სიძულვილით შევხედე ღამურებს. თავდაყირა ეკიდნენ პირდაღებულები, რაღაც უცნაური, თითქმის ადამიანის სახისანი. საზიზღრები! რას იზამ! უნდა მეცადა, ვიდრე არ დასკდებოდნენ.

ძლივს! მაგრამ ვალკა ჭუჭყიან თითებს ცხვირზე ისვამდა და კიდევ ნახევარ საათამდე იწერდა რაღაცას ბლოკნოტში. როგორც იყო, ეს წამებაც გათავდა!

— ჯანდაბას შენი თავი!—ვუთხარი მე.—გული არ გამიწყალე შენი მხეცებით. ფული გაქვს?

— ოცდაშვიდი მანეთი,—ამაყად მომიგო ვალკამ.

— მომეცი სულ.

ეს შეუბრალებლობა იყო ჩემი მხრივ, ვიცოდი, რომ ვალკა რაღაც გველებისათვის აგროვებდა ფულს, მაგრამ მეტი რა გზა იყო! მე მხოლოდ ჩვიდმეტი მანეთი მქონდა, ბილეთი კი სწორედ ორჯერ მეტი ღირდა.

ვალკამ ოდნავ აახამხამა თვალები, შემდეგ დინჯად შემომხედა და ფული ამოიღო.

— მივემგზავრები.

— საით?

— ენსკში.

— რისთვის?

— ჩამოვალ და ყველაფერს გიამბობ, მანამდე კი ერთ რამეს გეტყვი: რომაშკა საზიზღარია. შენ მას იმიტომ მეგობრობ, რომ არ იცი რა საზიზღარია. და თუ იცი და მაინც მეგობრობ, შენც საზიზღარი ხარ და მეტი არაფერი. ნახვამდის!

ის იყო ფეხი გავდგი კარებში, რომ ვალკამ დამიძახა და ისეთი უცნაური ხმით, რომ წამსვე დავბრუნდი.

— სანია,—წაიბუტბუტა მან,—მე იმას არა ვმეგობრობ საგრთოდ...

ის გაჩუმდა და კვლავ ცხვირის ქექვა დაიწყო.

— მე ვარ დამნაშავე,—გამოაცხადა მტკიცედ.—უნდა გამეფრთხილებინე. გახსოვს კორაბლიოვის ისტორია?

— როგორ არა. მაშ ვისღა უნდა ახსოვდეს, თუ მე არ მეხსოვება.

— ჰოდა აი ეგ იმისი საქმეა.

— როგორ?

— ნიკოლაი ანტონიჩთან წავიდა და ყველაფერი უამბო.

— ტყუი!

წამში გამახსენდა ის საღამო, როცა ტატარინოვებისაგან დაბრუნებულმა ვალკას ვუამბე კორაბლიოვის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ.

— ჰო, მაგრამ, მე ხომ შენ გიამბე!

— რომაშკამ კი ყური მოგვიგდო.

— მერე რაღასა სდუმდი?

ვალკამ თავი დახარა.

— პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა,—წაიბუტბუტა მან.—გარდა მაგისა, მემუქრებოდა, ღამე ყურებას დაგიწყებო. გესმის, ვერ ვიტან, როცა მძინარეს მიყურებენ. ახლა კი ვიცი, რომ ეგ სისულელეა. ეს იქიდან დაიწყო, როდესაც ერთხელ გამომეღვიძა და დავინახე, როგორ მიყურებდა.

— სულელი ხარ და მეტი არაფერი.

— უბის წიგნაკში იწერს და მერე ამბავი მიაქვს ნიკოლაი ანტონიჩთან,—ნაღვლიანად განაგრძობდა ვალკა.—სულს მიწუხებს, ამბავს მიუტანს და მერე მიამბობს. ყურებში თითებს ვიცობ, მაინც მიამბობს.

სამიოდე წლის წინათ სკოლაში ლაპარაკობდნენ, რომაშკას თვალებლიას სძინავსო,—ეს მართალი იყო, მე თვითონ ვნახე, როგორ ეძინა, ქუთუთოებს შუა აშკარად მოუჩანდა თვალის კაკალი—რაღაც ამღვრეული და საშინელი... უსიამოვნო სანახავი იყო—სძინავს კიდეც და არცა სძინავს! რომაშკა ამბობდა, არასდროს არა მძინავსო. რა თქმა უნდა, ტყუოდა. მოკლე ქუთუთოები ჰქონდა და მეტი არაფერი. მაგრამ იყვნენ ისეთები, რომელთაც სჯეროდათ, პატივსა სცემდნენ იმის გამო, რომ „არ ეძინა“ და, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ კიდეც. ალბათ ვალკას შიშიც აქედან დაიწყო:—იმას ხომ მთელი ხუთი წელი რომაშკას გვერდით საწოლზე ეძინა.

ყველაფერმა ამან ბუნდოვნად გამიარა თავში. „სულელი— გავიფიქრე.— ძალიან ბუნებისმეტყველი არა ხარ“.

— ეჰ, შე ჩვარო!—ვუთხარი,—შენთან სალაპარაკოდ ახლა არა მცალია, მაგრამ, ჩემი აზრით, იმ უბის წიგნაკის შესახებ შენ უჯრედს უნდა მისწერო.—სიმართლე გითხრა, არ მეგონა, რომ ასე მოგაჯდებოდა ზურგზე. რამდენი „პატიოსანი სიტყვა“ გაქვს მიცემული?

— არ ვიცი,—წაიბუტბუტა ვალკამ.

— დავთვალოთ!

მან სევდიანად შემომხედა...

ზოობაღიდან ვაგზალში წავედი ბილეთისათვის, იქიდან კი სკოლაში. ძალიან კარგი ფარგალდანი მქონდა. გადავწყვიტე თან წამეღო—ყოველი შემთხვევისათვის, თუ გამიჭირდებოდა, გავყიდდი.

და აი ყველა ჩემ სისულელეს კიდევ ერთი სისულელე მიემატა, რის გამოც ერთიორად დავისაჯე.

საწოლ ოთახში ათამდე კაცი იქნებოდა, როდესაც შევედი, და მათ შორის ტანია ველიჩკოც. ჩვენი კლასელი გოგონა.

ყველა გართული იყო—ვინ კითხვით, ვინ ლაპარაკით.

შურა კოჩნევი მათემატიკის ახალ მასწავლებელს აჯავრებდა:— ხელებაწეული გონებაში წარმოდგენილ დაფას მივარდებოდა და ნელ-ნელა, ღირსებით აღსავსე გამომეტყველებით ჯდებოდა. ყველანი ხარხარებდნენ. ერთი სიტყვით, არავინ აქცევდა ყურადღებას რომაშკას, რომელიც ჩემ საწოლთან მუხლებზე დაჩოქილი ჩემ სკივრსა ჰქექავდა.

ამ ახალმა სისაძაგლემ განმაცვიფრა. თავში სისხლი ამივარდა, მაგრამ ნაბიჯი არ ამიჩქარებია, ისე მივუახლოვდი და აუღელვებელი ხმით ვკითხე:

— რას ეძებ, რომაშკა?

შეშინებულმა შემომხედა და, მიუხედავად ძლიერი აღელვებისა, მაინც შევამჩნიე, რომ ამ წუთში არაჩვეულებრივად ჰგავდა ბუს. საოცრად ფერმკრთალი, დიდრონი წითელი ყურებით.

— კატიას წერილებს?— განვაგრძობდი მე.—ნიკოლაი ანტონიჩს უნდა გადასცე? აჰა, მიიღე!

და რაც ძალა და ღონე მქონდა სახეში წიხლი ჩავცხე.

ყველაფერი ეს ჩუმი ხმით იყო ნათქვამი და ამიტომ არავინ მოელოდა, რომ ჩავარტყამდი. მგონი, კიდევ ორი-სამი ვუთაქე. შემომაკვდებოდა, ტანია ველიჩკო რომ არ ჩარეულიყო. ვიდრე ბიჭები პირდაღებულები იდგნენ, ის გაბედულად ჩაგვივარდა შუა-

ში, და ისე ღონივრადა მკრა ხელი, რომ ჩემდაუნებურად საწოლზე დავჯექი.

— გაგიჟდი?

რაღაც ბურუსში დავინახე მისი სახე და მივხვდი, რომ ზიზღით შიყურებდა. გონება მოვიკრიბე.

— ყველაფერს აგიხსნით,—ვთქვი მე მთრთოლვარე ხმით.

მაგრამ ისინი სდუმდნენ. რომაშკა თავგადაეარდნილი იატაკზე ეგდო, ისიც სდუმდა. ლოყა ჩალურჯებოდა. სკივრს ხელი დავავლე და გავედი...

გულდამძიმებული სამიოდე საათს ვაგზალში დავეხეტებოდი. ამღვრეული ვკითხულობდი გაზეთს, ზეპირად ვისწავლე მატარებლების განრიგი, დავლიე ჩაი მესამე კლასის ბუფეტში. მშიოდა, მაგრამ ჩაი უგემური მეჩვენა, ბუტერბრროდი ყელში არ ჩადიოდა, პირში ისეთი გემო მქონდა, თითქოს ვალკას ღამურებივით მატლები მეჭამა. ჩემი თავი ჭუჭკში ამოსვრილი მეგონა იმ სურათის შემდეგ. ეჰ, სკოლაში არ უნდა დავბრუნებულიყავი. რა ეშმაკად მინდოდა ფარგალდანი! ნუ ოუ დეიდა დაშა ბილეთის ფულს არ მოჰცემდა.

თავი მეთორმეტე

მშობლიური სახლი

ახლა იმ ადგილებზე რომ გავიარე, სადაც მე და პეტკა სკოვოროდნიკოვს ოდესღაც საქურდლად და კარდაკარ სამათხოვროდ გვეხეტიალნა, ერთი შთაბეჭდილება დამრჩა—შთაბეჭდილება არაჩვეულებრივი სილაღისა.

ჩემს ცხოვრებაში პირველად ვმოგზაურობდი რკინიგზით, რკინიგზის ბილეთით ხელში. შემეძლო ფანჯარასთან ვმჯდარიყავი, მეზობელ მგზავრებთან მემუსაიფა, პაპიროსი მომეწია, თუ საერთოდ ვწევდი! კონტროლიორის ჩამოვლის დროს საჭირო არ იყო სკამის ქვეშ შეძვრომა! არხეინად განვაგრძობდი ლაპარაკს, როცა კონტროლიორს ბილეთი მივეცი. ეს არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო, რაღაც სიხალვათისა, თუმცა ვაგონში საკმაო სივიწროვე იყო. ამან გამართო და ახლა მე ვფიქრობდი ენაკზე,—ჩემ დაზე, დეიდა დაშაზე, იმაზე, როგორ მოულოდნელად დავეცემი თავს და როგორ ვერ მიცნობენ ისინი!

ამ ფიქრებში ჩამეძინა და იმდენი მძინებოდა, რომ მგზავრებს

შეშინებოდათ—ხომ არ მოკვდაო? მაგრამ, როგორც ხედავთ, არ მოვმკვდარვარ!

რვა წლის განშორების შემდეგ რა კარგია მშობლიურ ქალაქში დაბრუნება! სულ ყველაფერი ნაცნობია და თან თითქოს უცნობი! ნუთუ ეს გუბერნატორის სახლია? ოდესღაც რა უზარმაზარი მეჩვენებოდა. ნუთუ ეს „ზასტენნაიაა“? განა ასეთი ვიწრო და დაბრეცილი იყო? ან ეს ლოპუხინის ბულვარია? მაგრამ ბულვარმა გული დამიამა: ცაცხვების უკან, მთავარი ხეივნის გაყოლებით, მშვენიერი ახალი შენობები მისდევდა. შავი ცაცხვები თითქოს დაეხატათ თეთრ ფონზე და მათი შავი ჩრდილები ირიბად გაწოლილიყვნენ თოვლზე. ძალიან ლამაზი სანახავი იყო.

მე ჩქარა მივდიოდი და ყოველ ნაბიჯზე ხან ძველსა ვცნობდი და ხან ახალი მაოცებდა. აი ბავშვთა თავშესაფარი, რომელშიც დეიდა დაშა მიცემას გვიპირებდა ძე და სანიას—მას ახლა მწვანე ფერი დაჭკრავს და კედელზედაც დიდი ოქროსასოებიანი მარმარილოს დაფა მიუკრავთ. წარწერა წავიკითხე და თვალებს არ დავუჯერე: „ამ სახლში 1824 წელს ცხოვრობდა ალექსანდრ სერგეისძე პუშკინი“. ნუთუ ამ სახლში? ოჰ, როგორ გამოიდებდნენ თავს თავშესაფრის ბავშვები, ეს რომ სცოდნოდათ!

აი „სათათბიროც“, სადაც ოდესღაც მე და დედაჩემმა თხოვნა შევიტანეთ. ახლა აქ ძველებური დაბალი რკინის ბადე მოეხსნათ ფანჯრებიდან, ალაყაფის კარებზე კი ფირფიტა იყო მიკრული: „კულტურის სახლი“.

აი „კრეპოსტნოი ვალიც“—გულმა დაგადუგი დამიწყო. ჩემს თვალწინ გრანიტის სანაპირო გადაიშალა და მე ძლივს ვიცანი ჩვენი საწყალი დავაკებული ნაპირი. მაგრამ უფრო მეტად გამაკვირვა იმან, რომ იქ, სადაც ძველად ჩვენი ქოხმახები იდგა, ბაღი გაეშენებინათ და გადიები თბილად გამოკრული ბავშვებით კერპებივით ისხდნენ გრძელ სკამებზე. ამას არ მოველოდი! დიდხანს ვიდექი „კრეპოსტნოი ვალზე“ და განცვიფრებისაგან დამუნჯებული ვაკვირდებოდი ბაღს, გრანიტის სანაპიროს და ბულვარს, სადაც ჩვენ ოდესღაც ვთამაშობდით! უშენის ნაცვლად, რომლის უკანაც ძველად სამღებრო საქონლის სავაჭრო იწყებოდა, ახლა მაღალი ნაცრისფერი შენობა წამოჭიმულიყო და შესავალთან უზარმაზარ ჭურჭში გახვეული მცველი ბოლთასა სცემდა. იმასთან მივედი.

— ენსკის ელექტროსადგურია,— თავმომწონედ მიპასუხა, როდესაც შენობაზე ვუჩვენე და ვკითხე, მანდ რაღა არის-მეთქი.

— შემთხვევით ხომ არ იცით, სადა ცხოვრობს სკოვოროდნიკოვი?

— მოსამართლე?

— არა.

— მაშ არ ვიცი. ჩვენ ერთი სკოვოროდნიკოვი გვყავს— მოსამართლე.

მოვშორდი. ნუთუ შესაძლებელია, რომ მოხუცი სკოვოროდნიკოვი მოსამართლე გამხდარიყო? მოვტრიალდი და კვლავ შევხედე მშვენიერ მაღალ შენობას, აშენებულს ჩვენ ნაქოხმახარზე, და გადავწყვიტე, რომ შესაძლებელია.

— როგორია ის მოსამართლე? მაღალი ტანისაა?

— მაღალი ტანისაა.

— ულვაშები აქვს?

— არა, ულვაშები არა აქვს,— თითქო სკოვოროდნიკოვის მაგივრად ითაკილაო, ისე მიპასუხა მცველმა.

ჰმ, ულვაშები არა აქვს? იმედი მთლად დამეკარგა.

— მერე სადა ცხოვრობს ეგ მოსამართლე?

— გოგოლის ქუჩაზე, ყოფილ მარკუზეს სახლში.

მე ვიცოდი ეს სახლი— ერთ-ერთი საუკეთესო სახლი ქალაქში, სადარბაზო კარის ორივე მხარეს ლომის თავებით. კვლავ დავიბენი, მაგრამ მეტი რა ჩარა იყო და გოგოლის ქუჩისკენ გავწიე, თუმცა იმედი სულ არა მქონდა, რომ მოხუცმა სკოვოროდნიკოვმა ულვაშები მოიპარსა, მოსამართლე გახდა და ასეთ მშვენიერ სახლში დაბინავდა.

ნახევარი საათის შემდეგ გოგოლის ქუჩაზე ვიყავი, მარკუზეს სახლთან. ლომის თავები დაბერებულიყვნენ ამ რვა წელიწადში, მაგრამ ჯერ ისევ შთამაგონებლად და მრისხანედ გადმოჰყურებდნენ იქაურობას! ვიდექი განიერ, გადმოხურულ სადარბაზო კართან და ვყოყმანებდი, რაც იქნება იქნება, დავრეკო? თუ მილიციელსა ვკითხო, სად არის სამისამართო მაგიდა?

ფანჯრებზე მოჩანდა დეიდა დაშას ყაიდის მარმაშის ფარდები,— უეცრად გადავწყვიტე და დავრეკე.

კარი გამიღო ლურჯ ფლანელის კაბიანმა ასე თექვსმეტი წლის შავგვრემანმა გოგონამ, რომელსაც შუაზე გაყოფილი

თმა სწორედა ჰქონდა გადავარცხნილი. შავგვრემანი იყო—ამან დამაბნია.

— აქა ცხოვრობენ სკოვოროდნიკოვები?

— დიახ.

— დარია გავრილოვნა შინა ბრძანდება?

—მალე მოვა,—მიპასუხა გოგონამ ღიმილით და თან ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა. მთლად სანიასავით ეღიმებოდა, მაგრამ სანია ქერა იყო, ხუჭუჭთმიანი და ცისფერთვალება, არა, სანია არ არის!

— შეიძლება მოვუცადო?

— დიახ.

ჩემი პატარა სკივრი დერეფანში დავდგი, პალტო გავიხადე და გოგონას დიდ, სუფთა და თითქმის მდიდრულად მოწყობილ ჩაღ ოთახში შევყევი... ოთახში მთავარი ადგილი როიალს ეჭირა,—ეს კი სულ არა ჰგავდა დეიდა დაშას. მაგრამ სურათი ცისფერი შუშის ქილებს შუა თოვლიან მთების ფონზე ლერწმის სავარძელში მჯდომარე გმირისა,—ეს თითქმის თვით დეიდა დაშა იყო!

გახარებული ალბათ სულელივით ვათვალიერებდი იქაურობას, რადგანაც გოგონა თვალს არ მაშორებდა. უეცრად თავი დახარა და წარბები აჭიმა—სწორედ ისე, როგორც დედაჩემმა იცოდა, მიეხვდი, რომ სანია იყო.

— სანია ხარ?—ვკითხე ეჭვის კილოთი. მას გაუკვირდა.

— დიახ.

— მოიცა, შენ ხომ თეთრი იყავი,—განვაგრძობდი მთრთოლვარე ხმით.—რა მოხდა? ჩვენ რომ სოფელში ვცხოვრობდით, შენ ძალზე თეთრი იყავი. ახლა კი გაშავებულხარ!

სახტად დარჩენილმა პირიც კი დააღო.

— რომელ სოფელში?

— როდესაც მამა მოგვიკვდა.—ვუთხარი მე და გამეცინა.—ეჰ, დაგავიწყდა?! არც მე გახსოვარ?

ენა ოდნავ მებმოდა—ალბათ სიხარულისაგან. მე ხომ ის ძალიან მიყვარდა, რვა წლის უნახავი მყავდა, მერე როგორა ჰგავდა დედას!

— სანია ხარ?—იმანაც მიცნო ბოლოს.—ღმერთო ჩემო! ჩვენ კი დიდი ხანია გამოგიტირეთ!

სანია გადამეხვია.

— სანია, სანია! ნუთუ შენა ხარ? დეიდა დაშაც შინ არ არის! დაჯექი, რაღასა დგეხარ? საიდან? როდის ჩამოხვედი?

ჩვენ ერთად დავსხედით, მაგრამ ის მაშინვე წამოხტა და დეკრეფანში გაიქცა ჩემი სკივრის შემოსატანად.

— მოიცა, ერთი! სად მირბიხარ? ის მაინც მითხარი, როგორა ცხოვრობთ? დეიდა დაშა როგორ არის?

— შენ როგორღა ხარ? რატომ ერთხელ არ მოიწერე? ჩვენ ხომ გეძებდით! გაზეთებშიაც კი გამოვაცხადეთ!

— არ წამიკითხავს,—ვთქვი მე მონანიებით.

მხოლოდ ახლა შევაფასე მთელი სიგრძე-სიგანით, რა უსინდისობა იყო დავიწყება იმისა, რომ მე მყავს ასეთი და! და ასეთი მშვენიერი დეიდა დაშა, რომელსაც პირდაპირ ვერც კი ეტყოდით, რომ დავბრუნდი, რადგანაც შესაძლო იყო სიხარულისაგან გული გახეთქოდა, როგორც სანიამ გამომიცხადა.

— პეტიაც გეძებდა!—განაგრძობდა იგი.—ახლახან მისწერა ტაშკენტში. იმას ჰგონია, შენ ტაშკენტში ცხოვრობ.

— პეტკა?

— ჰო, რა ვქნა.

— სკოვოროდნიკოვი!

— უჰ, მაშ ვინა?

— სად არის?

— მოსკოვში,—მომიგო სანიამ.

სახტად დავრჩი.

— დიდი ხანია?

— მას აქეთ, რაც გაიქეცით.

პეტკა მოსკოვშია! განცვიფრებისაგან გონება ვერ მომეკრიბა.

— სანია, მეც ხომ მოსკოვში ვცხოვრობ.

— არა?

— პატიოსნებას გეფიცები! როგორ არის? რას აკეთებს?

— არა უშავს რა, კარგად არის. წელს სკოლას ამთავრებს.

— ოჰ, დახე ერთი, მეც ხომ წელს ვამთავრებ! მისი სურათი არა გაქვს?

სანია თითქოს ოდნავ დაიბნა, როცა სურათზე ვკითხე. „ახლავეო“, მითხრა, გავიდა და მაშინვე შემობრუნდა, გეგონებოდათ პეტკას სურათი ჯიბიდან ამოიღოო.

— რა ლამაზია, არა?—ვთქვი მე და გადავიხარხარე,—წითელთმიანია?

— წითელთმიანია.

— უჰ, დასწყევლოს ღმერთმა, რა კარგია! მოხუცი? მოხუცი როგორ არის? ნუთუ მართალია?

— რა არის მართალი?

— მოსამართლეა?

— ერიჰა! ის უკვე ხუთი წელია, მოსამართლედ არის.

ერთმანეთს ლაპარაკს აღარ ვაცდიდით. ვეკითხებოდით, ვუამბობდით. მერე სანია სამზარეულოში გაიქცა, მაგრამ მე უკან გავყევი და ვუთხარი, უშენოდ მომწყინდება-მეთქი. ეს სრული ჭეშმარიტება იყო: უიმისოდ მაშინვე მომეწყინა.

სამოვარი დავდგით, ღუმელი ავანთეთ და დერეფანში ზარმაც ყრუდ დაიწკრიალა.

— დეიდა დაშაა!

— შენ აქ დარჩი,—წამჩურჩულა სანიამ.—მე შევამზადებ, ძალიან სუსტი გული აქვს...

იგი გავიდა და მეზობელ ოთახიდან ასეთი ლაპარაკი მოისმა:

— დეიდა დაშა, თუ ღმერთი გწამს, ნუ აღელდები! მე ძალიან კარგი ახალი ამბავი ვიცი. კი არ უნდა აღელდე, პირიქით.

— აბა მითხარი, ციყვო

— დეიდა დაშა, ქადების გამოცხობა გადაიფიქრე, მაგრამ დაგჭირდება კი.

— პეტია ჩამოვიდა?

— პეტია ხომ პეტიაა, მაგრამ არც მთლად პეტია. დეიდა დაშა, არა ღელავ?

— არა.

— პატიოსან სიტყვას მაძლევ?

— ეჰ, კარგია ერთი! პატიოსნებას გეფიცები!

— აი ვინ ჩამოვიდა!—და სანიამ სამზარეულოს კარები გააღო. საინტერესო ის იყო, რომ დეიდა დაშამ შემომხედა თუ არა, მაშინვე მიცნო.

— სანია,—ჩუმად თქვა მან.

გულში ჩამიკრა, შემდეგ დაჯდა და თვალები დახუჭა. მე ხელი დავუჭირე.

— ჩემო კარგო, თვალი ხომ არ მატყუებს, შენა ხარ?

— მე ვარ, დეიდა დაშა!

— სიზმარში ხომ არა ვარ?

— არა, დეიდა დაშა.

მაგრამ დეიდა დაშამ, მგონი, არ დაიჯერა, კვლავ დახუჭა თვალები, თითქოს, მართლაც დაეძინაო.

— ჩემო კარგო! ცოცხალი ხარ? სად იყავი, სადა? სად არ გეძებდით, მთელი ქვეყანა შევძარით.

— ვიცი. დეიდა დაშა. დამნაშავე ვარ.

— დამნაშავეო! ღმერთო ჩემო, ჩამოვიდა და კიდევ იმას ამბობს—დამნაშავეო! ჩემო საყვარელო! რა ბიჭი დამდგარხარ! რა ლამაზი.

დეიდა დაშას მე ყოველთვის ლამაზი ვეგონე...

რა გავიხსენო და რა გიამბოთ კიდევ ამ დაუვიწყარ შეხვედრაზე? თუ ის გითხრათ, რომ დეიდა დაშას სიტყვა არ დაუმთავრებია, უცებ წამოხტა და საშინელი გამომეტყველებით სანიას წასჩურჩულა: „არ გიჭმევია?“ სიცილისაგან კინაღამ გადავიქეცი, როდესაც ათასნაირი საჭმელებით გავსებული მაგიდა დავინახე: ამას ეძახდნენ „სადილის წინ წასაუზმებას“.

ამ წუთიდან მე მგონი ჭამის მეტს არაფერს ვაკეთებდი. ვუამბობდი ჩემს თავგადასავალს და ვჭამდი. შემდეგ დეიდა დაშამ გამომიცხადა, ჭუჭყიანი ხარო, და ძალაუნებურად აბაზანაში ჩავჯექი და ერთი კარგად ვიბანავე. ასე გავიდა ეს დღე.

საღამოთი გაწკრიალებული და გამოზენზილი სასადილო ოთახში ვიჯექი. სანია და დეიდა დაშა კი აქეთ-იქით მისხდნენ და ისეთი სიყვარულით მიყურებდნენ, რომ პირდაპირ სინდისი მქენჯნიდა. შემდეგ მოსამართლეც მოვიდა.

ელექტროსადგურის გუშაგს ტყუილი არ უთქვამს—მოხუცს ულვაშები მოეპარსა. ერთი ათი წლით გაყმაწვილებულიყო და ახლა უკვე ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ ის ოდესმე წებოს ხარშავდა და, რაც მთავარია, რომ ამ წებოზე დიდ იმედებს ამყარებდა.

უკვე იცოდა ჩემი დაბრუნების ამბავი. სანიამ დაურეკა ტელეფონით.

— აბა, უძღებო შვილო,—მითხრა და გადამეხვია,—არც კი გეშინია, რომ თავს მოგკვეთავ? აი შე არამზადავ, შენა!

რა შემეძლო მეთქვა თავის გასამართლებლად? მე მხოლოდ სინანულით ამოვიოხრე.

გვიან ღამით მე და ის მარტონი დავრჩით. მოხუცს უნდოდა გაეგო, რაც ენსკიდან წავედი, რას ვაკეთებდი და როგორ ვცხოვრობდი. როგორც მოსამართლეს შეეფერება, ის მკაცრად მეკითხებოდა ჩემი სკოლისა და პირადი საქმეების შესახებ.

მე ვუთხარი, მინდა მფრინავი გამოვიდე-მეთქი, ის გაჩუმდა და დიდხანს მიყურა თავის ხშირ წარბებქვემოდან.

— სამხედრო მფრინავი?

— პოლარული, და თუ საჭირო იქნება—სამხედრო.

ის გაჩუმდა.

— სახიფათო, მაგრამ შესანიშნავი, საინტერესო საქმეა,—თქვა მან.

მხოლოდ ერთი რამ არ ვუთხარი: ის, რომ ენსკში კატიას გამოვყევი. ენა როგორ მომიტრიალდებოდა მეთქვა, რომ, თუ არა კატია, შესაძლებელია, ჯერ კიდევ დიდი ხანი გასულიყო, ვიდრე მე ჩემ მშობლიურ ქალაქში, მშობლიურ სახლში დავბრუნდებოდი.

თავი მეცამეტე

ძველი წერილები

ვიღაცამ შემოაღო სასადილო ოთახის კარები და ჩუმადა თქვა: „სძინავსო“. მე გამეღვიძა, კედლის უკან ჭიქაზე ფრთხილად მოხვედრილმა კოვზმა დაიწკარუნა, მივხვდი, რომ სანია სამზარეულოში საუზმობდა, რომ მე არ გამღვიძებოდა. გადავწყვიტე, მაშინვე ავმდგარიყავი. მგონი, ავდექი, მაგრამ გამოურკვეველია, რამდენი დრო გავიდა და თურმე მე არ ავმდგარვარ, მძინავს და მხოლოდ ძილში ვლანძღავ ჩემ თავს, რატომ არ ავდექი მეთქი.

ერთი სიტყვით, საათის თორმეტამდე მეძინა. სანია დიდი ხანია სკოლაში წასულიყო, მოხუცი — სამსახურში და დეიდა დაშასაც უკვე მოესწრო „სადილის დადგმა“, როგორც მაცნობა.

ჩაის დროს სულ იმასა სწუხდა, არაფერსა სჭამო.

— თურმე როგორ გაჭმევენ,—თქვა აღშფოთებით.—ბოშაც კი უკეთესად აჭმევდა თავის ცხენს, მაგრამ მაინც მოუკვდა.

— დეიდა დაშა, გუშინაც მიგოდრა. დამერწმუნე, ახლაც კი მტკივა მუცელი. დეიდა დაშა, მე ხომ თქვენ ძველ ადგილზე გეძებდით. სახლები კი აუღიათ, არა?

— აიღეს,—თქვა დეიდა დაშამ და ამოიოხრა.

ჩვენ მეზობლები მოვიგონეთ, თურმე მინჯა, რომელმაც ოდესლაც ჩემი გონება განაცვიფრა, ახლა კაპიტანად მსახურობს გემ „ტურგენევზე“, ყოფილ „ნეპტუნზე“. მტვირთავების მამასახლისი ძია მიშა შარშან მომკვდარა, მისი ვაჟი კი ქალაქის საბჭოს თავ-

მჯდომარეა. მე ვუამბე დეიდა დაშას გაერ კულის ამბავი. ის ვიშვიშებდა და თან შიშის ზარი სცემდა.

— დეიდა დაშა, ბუბენჩიკოვებს ხომ არ იცნობ?

ბუბენჩიკოვები ნინა კაპიტონოვნას ნათესავები იყვნენ და მე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ კატია იმათთან ჩამოვიდოდა.

— შერისხულებს? იმათ ვინ არ იცნობს.

— როგორ თუ შერისხულებს?

— ისინი მღვდელმა შერისხა,—მითხრა დეიდა დაშამ.—მღვდელი გამოაგდეს და იმან შერისხა. მას აქეთ დიდი ხანია, რევოლუციამდე მოხდა ეგ ამბავი. შენ ჯერ პატარა იყავი, რადა კითხულობ?

— მოსკოვიდან მოკითხვა უნდა გადავცე,—ვიცრუე მე.

დეიდა დაშამ თავი უნდობლად გადააქნია.

— ვითომ მოკითხვა...

მისამართი ვიცოდი: საკუთარი სახლი ებრაელების სამლოცველოსთან. მაგრამ ახლა სამლოცველო აღარ იყო და საერთოდ ქალაქში ყველაფერი ისე გამოცვლილიყო, რომ ბუბენჩიკოვების პოვნა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. ბოლოს ერთი მაღალი ყრუ ღობის წინ ამოვყავი თავი, რომელზედაც ფირფიტა ეკიდა:“ მ. გ., ლ. გ. და ო. გ. ბუბენჩიკოვების სახლი, ლაპუტინის 8.“

პატარა ჭიშკარი ჩარაზული იყო, მაგრამ ადვილად გავაღე და ბაღში გავჩნდი, რომლის სიღრმეში ძველებური სვეტებიანი პატარა ხის სახლი იდგა ნაძერწჩუქურთმიანი ფრონტონით. ჭიშკრიდან მხოლოდ ერთი გზა მიდიოდა—ჩვეულებრივი ახლად გაკვალული ბილიკი, რომელზედაც თხა დასეირნობდა,—და მე გულარხეინად ამ ბილიკით სახლისაკენ გავწიე.

ეს სწორედ ასე მოხდა, ესე იგი ძალიან უბრალოდ: მე ბაღში შევედი,—კიდეც მახსოვს გამიკვირდა, რომ ბაღი ასეთი ლამაზი იყო, მთლად თოვლით დაფარული და მზის შუქით გაკაშკაშებული,—შევედი და ბილიკით პირდაპირ თხისაკენ წავედი. თხა აკიკინდა და უეცრად, როგორც ზღაპარშია ხოლმე, ყველაფერი შეიცვალა! სადღაც კარმა დაიჯახუნა, გაისმა ყვირილი და დავინახე, რომ სახლიდან მოხუცი ქალი მორბის ჯოხით ხელში. შესაძლოა, ეს ჯოხი კი არა, ქარცახი იყო.

— მაშენკა! მაშენკა!—გაჰკიოდა ის.—შინაურია! შინაურია!

სასიამოვნო იყო მოსმენა იმისა, რომ მე შინაური ვარ, მაგრამ

სიბარული ჯერ ნაადრევი გამოდგა. სახლიდან მეორე მოხუცი ქალი გამოვიდა და ოდნავ კბილებდაკრეჭილი ჩემკენ გამოქანდა. ხელში ბორბლებიანი ჯაგრული ეჭირა, რომლითაც ხალიჩებსა სწმენდავენ ხოლმე. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ჯაგრულით ჩემი ცემა უნდოდა.

— მაშენკა!—გაჰკიოდა მოხუცი ქალი, რომელიც პირველად გამოვიდა,—შინაურია, შინაური!

მაგრამ ეტყობა, თხას არა სჯეროდა, იმიტომ რომ კიკინს უმატა. ძე მინდოდა ბუბენჩიკოვებს გავცნობოდი, პირველი წინადადებაც კი მქონდა მომზადებული, მაგრამ ასეთ გარემოებაში ეს შეუძლებლად მომეჩვენა. ცოტა ხანს შევჩერდი და ნელ-ნელა, რომ ღირსება არ დამეკარგა, ჭიშკრისაკენ გავწიე.

კუშტი მოხუცი ბრაზიანი ბურტყუნით რამდენიმე ნაბიჯზე გამომყვა და უკან გაბრუნდა.

აი, ოინი! ქუჩაში სიცილი ამივარდა და, ალბათ, იმათაც გაიგონეს, როგორ გამეცინა. საოცარი იყო, არც კი მკითხეს, ვინ ვიყავი, ან რა მინდოდა, ალბათ, ეგონათ რომ შეცდომით მოვხვდი იმათ ბაღში. გასაოცარი იყო ისიც, რომ მთელ ამ აურზაურზე კატიას გარეთ არ გამოუხედია. ერთი სიტყვით ყველაფერი უცნაურად მოხდა!

დეიდა დაშას გაუკვირდა, რომ ასე მალე დავბრუნდი.

— დეიდა დაშა, სანია მოვიდა?

— მესამე საათზე მოვა. დღეს ექვსი გაკვეთილი აქვს.

დეიდა დაშას კონვერტი და ქაღალდი ვთხოვე და წერილის წერას შევუდექი. „მივწერ კატიას და სანიას გავატან, იქნებ იმას უფრო კეთილად შეხვდნენ-მეთქი“.

„კატია,“—დავწერე და ფიქრებმა წამიღო. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ცოცხლად მომაგონდა პეტკას „წერილების ნიმუშთა კრებული“. „ვპოვე რა თქვენში, პატივცემულო ქალბატონო, ყველა კეთილი თვისებანი იმისა, ვისაც ასე დიდი ხანია ვგლოვობდი,—ვთვლი ჩემს მოვალეობად თქვენი მეუღლე გავხდე და მივცე ნაზი დედა ჩემს პატარებს“.

უეცრად გადავიხარხარე და ძალიან შევაშინე დეიდა დაშა.

„კატია,—დავწერე მე.—შევეცადე შენამდე მომეღწია, მაგრამ უკან დავიხიე, შემხვდა რა გარდაუვალი წინააღმდეგობანი თხისა და ორი დიდედის სახით. ასე, ოთხ საათზე ტაძრის ეზოში მოდი. ამ ბარათს გადმოგცემს—აბა გამოიცანი ვინ? ჩემი და. ა. გრიგორიევი“.

— დეიდა დაშა, პეტკას ოდესღაც საინტერესო წიგნები ჰქონდა, სად აწყვია? ან საერთოდ წიგნები სადა გაქვთ?

პეტკას წიგნები სანიას ოთახში აღმოჩნდა, თაროებზე. ეტყობოდათ, დიდ პატივში არ იყვნენ, რადგანაც სულ უკანასკნელ თაროზე ათას რაგინდარასთან ერთად ეწყო. სევდა შემომაწვა, როდესაც ხელში ავიღე „საშინელი ღამე, ან აბაჩეულებრივად უცნაური თავგადასავალი დონელი ყაზახისა კავკასიის მთებში“. ეშმაკმა იცის, როგორი პატარა და რა უბედური ვიყავი მაშინ, როცა ამას ვკითხულობდი.

იატაკზე დაეცა გამოხუნებულ გაზეთში გახვეული პაკეტი, როდესაც „წერილების ნაშუშთა კრებულის“ ძებნით გატაცებული წიგნები ღონივრად მიეწი-მოვწიე. ეს ძველი წერილები იყო! ის წამს ვიცანი. ეს იყო წერილები, რომლებიც ოდესღაც საფოსტო ჩანთით გამორიყა წყალმა ჩვენს ეზოში. მომაგონდა ზამთრის გრძელი ღამეები, როდესაც დეიდა დაშა გვიკითხავდა ამ წერილებს. რა მშვენიერი და რა საოცარი მოგვჩვენა ეს ხმამაღალი კითხვა.

სხვისი წერილები! ვინ იცის სად არიან ახლა ის ადამიანები, ვინც ამ წერილებსა სწერდნენ? აი თუნდაც ეს წერილი, სქელ ჩაყვითლებულ კონვერტში,—შეიძლება ვისმეს ღამეები არ ეძინა ამ წერილის მოლოდინში?

ჩემდა უნებურად გავხსენი კონვერტი და რამდენიმე სტრიქონი წავიკითხე:

„ღრმად პატივცემულო მარია ვასილევნა!

ვეშურები გაცნობოთ, რომ ივან ლვოვიჩი ჯანმრთელად და კარგად არის. ოთხი თვის წინათ თანახმად მისი მოწერილობისა, მე და ჩემთან ერთად ექსპედიციის ცამეტმა წევრმა ხომალდი დავტოვეთ...“

ვკითხულობდი—და თვალებს არ ვუჯერებდი. ეს შტურმანის წერილი იყო, რომელიც ოდესღაც ზეპირად ვიცოდი და ენისკსა და მოსკოვს შუა მატარებლებში ზეპირად ვამბობდი! მაგრამ მე სხვა რამემ გამაოცა.

„წმ. მარიამი“—წავიკითხე ქვემოთ,—ჯერ ისევ კარის ზღვაში გაიყინა და 1913 წლის ოქტომბრიდან შეუჩერებლივ მიემართება ჩრდილოეთისაკენ პოლარულ ყინულებთან ერთად“. „წმ. მარიამი“! ასე ერქვა კაპიტანი ტატარინოვის ხომალდს. წერილი გადმოვაბრუნე და ხელახლად დავიწყე კითხვა.

„ღრმად პატივცემულო მარია ვასილევნა! ვეშურები გაცნო-

ბოთ, რომ ივან ლვოვიჩი...“ — ივან ლვოვიჩი! კატია კატერინა ივანოვნაა!

დეიდა დაშამ გადაწყვიტა, რომ ჭკუაზე შევიშალე, უეცრად ისე შევყვირე და გაფოთებულმა დავიწყე ძველი წერილების თვალიერება.

მაგრამ მე ვიცოდი, რას ვაკეთებდი: დეიდა დაშას ოდესღაც სხვა წერილი ჰქონდა წაკითხული ჩემთვის, სადაც ნაამბობი იყო ყინულებში ცხოვრებისა და ვიღაც მეზღვაურის შესახებ, რომელიც სასიკვდილოდ დაიმტვრა, იმის შესახებ, თუ ცულით როგორა სპრიდნენ ყინულს კაიუტებში.

— დეიდა დაშა, ყველა წერილები აქ არის?

— ღმერთო ჩემო, რა მოსდა, რა?

— არაფერი, დეიდა დაშა! აქ ერთი რამ უნდა იყოს.

მე თვითონ არ ვიცოდი, რას ვამბობდი. აი იგი!

„ჩემო მეგობარო, ჩემო ძვირფასო, მაშენკა!

აი თითქმის ორი წელი გავიდა მას აქეთ, რაც მე წერილი გამოგიგზავნე იუგორსკი შარის სატელეგრაფო ექსპედიციის საშუალებით. მაგრამ რამდენი რამ შეიცვალა მას შემდეგ, გადმოცემაც კი არ შემიძლია. დავიწყებ იმით, რომ მაშინ ჩვენ თავისუფლად შევდიოდით დასახული გეზის მიხედვით, და 19.3 წლის ოქტომბრიდან კი, პოლარულ ყინულებთან ერთად ნელ-ნელა მივცურავთ ჩრდილოეთისაკენ. ამგვარად, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენ უარი უნდა გვეთქვა პირველ მიზანდასახულებაზე—ციმბირის ნაპირებით ვლადივოსტოკში მისვლაზე, მაგრამ ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო! ახლა სულ სხვა აზრს შევუპყრივარ. იმედი მაქვს, რომ შენ ზოგიერთი ჩემი თანამგზავრებივით „ბავშვური“ და „უგუნური“ არ მოგეჩვენება ეს აზრი“.

აქ თავდებოდა პირველი ფურცელი. გადავაბრუნე, მაგრამ მეორე გვერდზე შეუძლებელი იყო რაიმეს წაკითხვა, გარდა ორიოდე უაზრო სიტყვისა, რომელსაც ძლივს გაარჩევდით ლაქებს შორის.

მეორე ფურცელი ხომალდის აღწერით იწყებოდა: „...ალაგ-ალაგ მნიშვნელოვან სიღრმეს აღწევენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ბინდვრის შუაგულში დგას პლანშირამდე თოვლში ჩაფლული ჩვენი „წმ. მარიამი“. დროდადრო ტაკელაჟიდან რთვილის გირლანდები სწყდებიან და ნელი შრიალით ძირს ცვივიან. როგორც ხედავ, დარდმა პოეტად მაქცია, თუმცა ჩვენ ნამდვილი პოეტიცა გვყავს— ჩვენი მზარეული კოლპაკოვი, მუდამ მხნე და ხალისიანი არსება!

მთელი დღეები თავის პოემას მღერის. აი, ოთხი სტრიქონი, რომელიც ზეპირად მახსოვს:

დედა-რუსეთის დიადი დროშით
ჩვენ გავუდგებით შორეულ გზასა,
ციმბირის ნაპირს მოვუვლით ირგვლივ,
კოხტა ხომალდით გავცურავთ ზღვასა.

ვწერ და კვლავ ვკითხულობ ჩემ დაუსრულებელ წერილს, კვლავ ვწერ და ვხედავ, რომ უბრალოდ ვმასლაათობ შენთან! იმ დროს, როდესაც რამდენი მნიშვნელოვანი რამ მაქვს სათქმელი! კლიმოვის ხელით ვგზავნი პაკეტს ჰიდროგრაფიული სამმართველოს უფროსის სახელზე. ეს ჩემი დაკვირვებებია – სამსახურებრივი წერილები და ანგარიში, რომელშიც განმარტებულია ჩვენი დრეიფის ისტორია. მაგრამ, ყოველ შემთხვევისათვის შენცა გწერ ჩვენი აღმოჩენის შესახებ: ტაიმირის ნაპევარკუნძულის ჩრდილოეთით, რუკაზე არავითარი მიწა არ არის აღნიშნული, მაშინ, როდესაც 79° 35′ განედზე ყოფნის დროს გრინვიჩის აღმოსავლეთით 86 და 87 მერიდიანებს შუა, ჩვენ შევნიშნეთ მკაფიო მოვერცხლისფრო, ოდნავ ამოზნექილი ზოლი, რომელიც პირდაპირ ჰორიზონტიდან მოდის. სამ აპრილს ზოლი მთვარისფერ მკრქალ დისკოდ გადაიქცა, მეორე დღეს კი ჩვენ დავინახეთ ფორმის მიხედვით ძალიან უცნაური ღრუბლები, რომელნიც შორს მთებზე შემოხვეულ ნისლსა ჰგავდა. მე მწამს, რომ ეს მიწაა. სამწუხაროდ. მე არ შემეძლო მის გამოსაკვლევად ასეთ მძიმე მდგომარეობაში გემი დამეტოვებინა, მაგრამ ყველაფერი წინ არის. ჯერჯერობით შენი სახელი ვუწოდე და ახლა რომელ გეოგრაფიულ რუკაზედაც გინდა იპოვი გულითად სალამს შენი...

აქ თავდებოდა მეორე ფურცლის მეორე მხარე. გადავდე ეს ფურცელიც და მესამეს შევუდექი. პირველი სტრიქონები წყლისაგან იყო წაშლილი. შემდეგ:

„...მწარეა ფიქრი, რომ ყველაფერი შეიძლებოდა სხვანაირად დატრიალებულიყო. ვიცი, ის თავის მართლებას დაიწყებს, შესაძლებელია დაგარწმუნოს კიდეც, რომ მხოლოდ მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. მხოლოდ ერთს გემუდარები: ნუ დაუჯერებ მაგ ადამიანს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მთელ ჩვენს ბედუკუღმართობას მხოლოდ მაგას უნდა ვუმადლოდეთ! მარტო ის კმარა, რომ იმ სამოცი ძაღლიდან, რომლებიც არხანგელსკში მოგვყიდა,

უმეტესი ნაწილის დახოცვა ჯერ ისევ ახალ მიწაზევე მოგვიხდა. აი, რა ძვირად დაგვიჯდა ეს ნათესაური პატივისცემა. მარტო მე კი არა, მთელი ექსპედიცია წყევლა-კრულვას უთვლის მას. ჩვენ თავი გადავდეთ, ვიცოდით, რომ ალალბედზე მივდიოდით, მაგრამ ასეთი მეხის დაცემას მაინც არ მოველოდით. ისლა დაგვრჩენია, მოვიქცეთ ისე, რის ძალაც შეგვწევს. რამდენი რამ შემეძლო მეამბნა შენთვის ჩვენი მოგზაურობის შესახებ! კატიუშკას მთელი ზამთარი ეყოფოდა საამბობლად. მაგრამ რა ფასად გვიჯდება ყველაფერი ეს, ღმერთო ჩემო! არ მინდა იფიქრო, რომ ჩვენი მდგომარეობა უიმედოა – მაგრამ მაინცდამაინც ძალიან ნუ მელით"...

როგორც ელვა გაანათებს ხოლმე ტყეში ყველაფერს,— ბნელი სურათი უეცრად იცვლება და ფოთლებსაც კი არჩევ ხეებზე, რომელიც ერთი წუთის წინათ ნადირად თუ გოლიათად გეჩვენებოდა, ასე გავიგე ყველაფერი ამ სტრიქონების კითხვის დროს და ისეთი წვრილპანებიც კი გამახსენდა, რომლებიც თითქოს სამუდამოდ დავიწყებას იყვნენ მიცემულნი.

ჩემთვის ნათელი გახდა ნიკოლაი ანტონიჩის მიერ წარმოთქმული სიტყვების არაგულწრფელობა „განსვენებული ძმის" შესახებ. გასაგები გახდა სახის ეს ყალბი, დამაფიქრებელი იერი, როდესაც ძმაზე ლაპარაკის დროს ნიკოლაი ანტონიჩი სასტიკი გამომეტყველებით ემუანიდა წარბებს, თითქოს ყველაფერში ნაწილობრივ თქვენც იყავით დამნაშავე. ჩემთვის ნათელი გახდა სულმდაბლობა ამ ადამიანისა, რომელიც თავს ისე გაჩვენებდათ, თითქოს თავის კეთილშობილებით ამაყობსო. მისი სახელი არ იყო ნახსენები, მაგრამ ეს ნიკოლაი ანტონიჩი იყო! ამაში ეჭვი არ მეპარებოდა.

აღელვებისაგან პირში ნერწყვი გამიშრა და ჩემს თავს ისე ხმამაღლა დავუწყე ლაპარაკი, რომ დეიდა დაშას მართლა შეეშინდა.

— სანია, რა მოგივიდა, რა?

— არაფერი, დეიდა დაშა. სხვა წერილები სადღაა?

— ყველა აქ არის, რა ვქნა!

— არა, კიდევ არის! გახსოვთ, თქვენ ოდესღაც წამიკითხეთ ის წერილი! სხვებზე უფრო დიდი იყო, რვაგვერდიანი.

— არ მახსოვს, გენაცვალე.

პაკეტში მეტი ვეღარაფერი ვიპოვე,—რვა ფურცლიდან მხოლოდ სამიღა იყო. მაგრამ ესეც საკმაოისია!

კატიას ბარათში „მოდი ოთხზე“ გადავასწორე „მოდი სამზე“, შემდეგ „მოდი ორზე“, მაგრამ უკვე ორი საათი იყო და ისევ „მოდი სამზე“ დავწერე.

თავი მეთოთხმეტე

პაემანი ტაძრის ეზოში. „ნუ დაუჯერებ მაგ ადამიანს“

ჩემს პატარაობაში ათასჯერ ვყოფილვარ ტაძრის ბაღში, მაგრამ მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ ასე ლამაზი იყო. ის გაშენებულია მაღლა გორაზე, რომლის ძირშიაც ორი მდინარე—პესჩინკა და ტიხოი ერთდებიან. ირგვლივ გალავანი აქვს შემოვლებული. კედელი მშვენივრად შენახულა, მაგრამ კოშკები დაპატარავებულა მას შემდეგ, რაც მე და პეტია უკანასკნელად შევხვდით აქ ერთმანეთს ძმობის ფიცის მისაცემად.

დიდი თოვლი იდო, მაგრამ მაინც ავედი პირველ ფერდაზე ბერი მარტინის კოშკთან: მინდოდა მენახა, რა ბედი ეწია ირინოვსკის მდელოს, ნიკოლსკის სკოლაა, ტყავის ქარხანას. ყველაფერი თავის ადგილზე დაჰიხვდა—და ყველგან, საითაც გაიხედავდი, თოვლი იდო, თვით ჰორიზონტამდე...

როგორც იყო ისინიც მოვიდნენ—კატკა და სანია. მე ვხედავდი, ხელით როგორ უჩვენა სანიამ, რომელიც თავის ყვითელ ტყავუჭში დედაბერსა ჰგავდა, თითქოს ეუბნებოდა „აი ტაძრის ეზო“, მაშინვე გამოეთხოვა, იდუმალი გამომეტყველებით თავი დაუქნია და წავიდა.

— კატია!—დავუძახე.

იგი შეკრთა, დამინახა და გაეცინა...

მთელი ნახევარი საათი ვდავობდით. მე ვეჩხუბებოდი, რომ წამოსვლა არ გამაგებინა—ის კი, რომ წერილს არ დავუცადე და ჩამოვედი. მერე ორივეს მოგვაგონდა, რომ ერთმანეთს მთავარი მაინც არ ვუამბეთ. თურმე ნიკოლაი ანტონიჩი ელაპარაკა კატიას. „განსვენებული ძმის სახელით“ ჩემთან შეხვედრა აუკრძალა. გრძელი სიტყვა წარმოთქვა და ატირდა.

— თუ გინდა ნუ დამიჯერებ, სანია,—მითხრა კატიამ სერიოზულად,—მაგრამ პატიოსნებას გეფიცები ჩემი საკუთარი თვალითა ვნახე ეს!

— კარგი,—ვუთხარი მე და ხელი მკერდზე მივიდე.

უბეში კაპიტანი ტატარინოვის წერილები მეწყო, გახვეული კომპრესის ქაღალდში, რომელიც დეიდა დაშას გამოვართვი.

— მომისმინე, კატია,—ვუთხარი მტკიცედ,—მე მინდა ერთი ამბავი გიამბო. ზოგადად ასეა: წარმოიდგინე, რომ შენ მდინარის პირას ცხოვრობ და ერთ მშვენიერ დღეს ნაპირზე საფოსტო ჩანთა გაჩნდა. რა თქმა უნდა, ციდან არ ჩამოვარდნილა, ის წყალმა გამორიყა—ფოსტალიონი დამხრჩვალიყო! და აი ეს ჩანთა ერთ ქალს ჩაუვარდება ხელში, რომელსაც ძალიან უყვარს კითხვა. ერთ მის მეზობელს, ასე რვა წლის ბიჭს კი, ძალიან უყვარს მოსმენა. და აი, ერთხელ ქალი ასეთ წერილს უკითხავს: „ღრმად პატივცემულო მარია ვასილევნა"...

კატია შეკრთა და განცვიფრებულმა შემომხედა.

— „...ვეშურები გაცნობოთ, რომ ივან ლვოვიჩი ჯანმრთელად და კარგად არის.—განვაგრძობდი ჩქარ-ჩქარა.—ოთხი თვის წინათ, თანახმად მისი მოწერილობისა..."

და მე არ შევჩერებულვარ, სულმოუთქმელად, ზეპირად ვთქვი შტურმანის წერილი, თუმცა რაღაც შიშითა და გაკვირვებით აღსავსე კატიამ რამდენჯერმე წამავლო ხელი სახელოში.

— შენ ნახე ეგ წერილი?—მკითხა მან და გაფითრდა,—მამაჩემზე სწერს?—კვლავ მკითხა, თითქოს სხვანაირად შეიძლებოდა ყოფილიყო.

— ჰო, მაგრამ ჯერ დამაცადე!

და მე ვუამბე, როგორ წააწყდა ერთხელ დეიდა დაშა მეორე წერილს, სადაც მოთხრობილი იყო ყინულებში გაჭედილ და ნელ-ნელა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ გემის ცხოვრება.

— „ჩემო მეგობარო, ჩემო ძვირფასო მაშენკა"... დავიწყე ზეპირად და გავჩერდი.

ეკალი დამაყარა, ყელში თითქოს რაღაცამ წამიჭირა და უცბად თითქოს სიზმარში წარმომიდგა მარია ვასილევნას დაბერებული სახე, წარბებქვემოდან კუშტად გამომყურე თვალები. ის კატიასა ჰგავდა, როდესაც ამ წერილს სწერდა კაპიტანი. კატია კი პატარა გოგონა იყო, რომელიც სულ „მამას წერილს" ელოდა. და აი ძლივს მოესწრო მის მიღებას.

— ერთი სიტყვით,—ვუთხარი და ჯიბიდან კომპრესის ქაღალდში გახვეული წერილები ამოვიღე.—დაჯექი და წაიკითხე, მე კი წავალ. როცა წაიკითხავ, მერე დავბრუნდები...

რა თქმა უნდა, მე არსად არ წავსულვარ. ბერი მარტინის კოშ-

კის ქვეშ ვიდექი და, ვიდრე კატია წერილებსა კითხულობდა, თვალი არ მომიშორებია მისთვის. ძალიან მეგრალებოდა, გულში სითბო მივლიდა, როდესაც იმაზე ვფიქრობდი, და სიცივე—როდესაც გავიფიქრებდი, რა მძიმე იყო მისთვის ამ წერილების კითხვა. მე ვხედავდი, როგორი უნებური მოძრაობით გაისწორა ჩამოშლილი თმა, რომელიც კითხვას უშლიდა. სკამიდან როგორ წამოდგა, თითქოს ძნელად გასაგები სიტყვის გასარჩევად. წინათ არ ვიცოდი—მწუხარება იყო თუ სიხარული ასეთი წერილების მიღება, მაგრამ ახლა, კატიას რომ ვუყურებდი, ვხედავდი, რომ დიდი მწუხარება იყო. მე მივხვდი, რომ იგი იმედს არასოდეს არა ჰკარგავდა! ცამეტი წლის წინათ მისი მამა უგზოუკვლოდ დაიკარგა პოლარულ ყინულებში, სადაც სიცივისა და შიმშილისაგან სიკვდილზე ადვილი არაფერია. მაგრამ იმისთვის ის მხოლოდ ახლა მოკვდა!

როცა დავბრუნდი, კატიას თვალები დაწითლებული ჰქონდა, იგი იჯდა, წერილები ხელში ეჭირა, ხელები მუხლებზე ეწყო.

— გაიყინე?—ვკითხე, რადგანაც არ ვიცოდი საიდან დამეწყო ლაპარაკი.

— რამდენიმე სიტყვა ვერ გავარჩიე... აი ,,გემუდარები''.

— ოჰ, ესა! აქა სწერია: ,,გემუდარები, ნუ დაუჯერებ... მაგ ადამიანს''...

საღამოთი კატია ჩვენთან იყო სტუმრად, მაგრამ ჩვენ არაფერი გვილაპარაკნია ძველი წერილების შესახებ.—ამაზე წინასწარ შევთანხმდით. მხოლოდ დეიდა დაშამ ვერ შეიკავა თავი და დამხრჩვალი ფოსტალიონის ამბავი გვიამბო. თურმე იგი შემთხვევით კი არ დამხრჩვალიყო, „სატრფოს გულისათვის“ დაეხრჩო თავი. როგორც მან აგვიხსნა, მას ერთი ქალი ჰყვარებია, რომელიც თურმე სხვას მიათხოვეს.

— ჯერ წერილები მაინც დაერიგებინა!—უკმაყოფილოდ თქვა დეიდა დაშამ.

კატია ძალიან სევდიანი იყო. ყველანი თავს ევლებოდნენ, მეტადრე სანია, რომელიც მაშინვე შეეთვისა მას, როგორც გოგონებმა იციან ხოლმე. შემდეგ მე და სანიამ კატია პირდაპირ თხამდის მივაცილეთ, რომელიც ისევ გზაზე გაბოტილიყო, მაგრამ ამჯერად აღარ გაანჩხლებულა—მხოლოდ გაჯავრებით ააცანცარა წვერი.

მოხუცებულებს ჯერ ისევ ეღვიძათ, როდესაც შინ დავბრუნდით. მოსამართლე ცოტაოდენი დაგვიანებით ეჩხუბებოდა დეიდა

დაშას, რატომ წერილები არ დაარიგე,—„ის წერილები მაინც დაგერიგებინა, რომლებზედაც მისაჰართის გარჩევა შეიძლებოდაო“, და თან მისთვის მხოლოდ ერთ გამართლებას პოულობდა—ათი წლის ხანდაზმულობას. დეიდა დაშა კატიაზე ლაპარაკობდა. იმისი აზრით, ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო.

— არა უშავს რა, მომეწონა,—თქვა და ამოიოხრა.—ლამაზია, სევდიანი, ჯანსაღი.

სანიას ჩვენი ჩრდილოეთის რუკა ვთბოვე და ის გზა ვაჩვენე, რომლითაც უნდა გაევლო კაპიტან ტატარინოვს ლენინგრადიდან ვლადივოსტოკამდე. მხოლოდ ახლა მომაგონდა მისი აღმოჩენის შესახებ. ეს რა მიწაა, ტაიმირის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით?

— მოიცა,—მითხრა სანიამ,—ეს ხომ ჩრდილოეთის მიწაა!

ეშმაკმა დალახვროს! ეს იყო 1913 წელს ლეიტენანტ ვილკიცკის მიერ აღმოჩენილი ჩრდილოეთის მიწა. განედი 70° 35′ ოთხმოცდა ექვსსა და ოთხმოცდა შვიდ მერიდიანებს შორის. უცნაურია!

— ბოდიში, ამხანაგებო,—ვთქვი მე და ეტყობა ოდნავ გავფითრდი, რადგან დეიდა დაშამ შიშით შემომხედა,—ყველაფერი მესმის! „ჯერ იყო მკვეთრი მოვერცხლისფრო ხოლი, რომელიც პირდაპირ ჰორიზონტიდან მოდიოდა. სამ აპრილს ზოლი მკრქალ დისკოდ გადაიქცა“. სამ აპრილს!

— სანია,—ის იყო დაიწყო შეშინებულმა დეიდა დაშამ.

— ბოდიში, ამხანაგებო! სამ აპრილს! ვილკიცკიმ კი ჩრდილოეთის მიწა შემოდგომაზე აღმოაჩინა, კარგად არ მახსოვს როდის, მაგრამ შემოდგომაზე, სექტემბერში თუ ოქტომბერში! შემოდგომაზე, ნახევარი წლის შემდეგ! შემოდგომაზე! ესე იგი, იმას არაფერიც არ აღმოუჩენია, რადგან ის უკვე აღმოჩენილი იყო.

— სანია,—თქვა მოსამართლემაც.

— აღმოჩენილი იყო და სახელიც დაერქვა მარია ვასილევნას პატივსაცემად.—განვაგრძობდი მე და თან ჩრდილოეთის მიწას თითს მაგრად ვაჭერდი, თითქოს მეშინოდა, კიდევ რაიმე გაუგებრობა არ მომხდარიყო.—მარია ვასილევნას პატივსაცემად „მარიამის მიწა“, ან რაღაც ამგვარი ეწოდა. ახლა კი დასხედით და მე ყველაფერს აგიხსნით!..

როგორ უნდა დაგეძინოს ამისთანა დღის შემდეგ? წყალსა ვსვამდი და რუკას ვსინჯავდი. სასადილო ოთახში ენსკის

სახელები ეკიდა. მე დიდხანს ვათვალიერებდი მათ და არ ვიცოდი, რომ ეს სანიას ნახატებია, რომ ის ფერწერასა სწავლობს და სამხატვრო აკადემიაზე ოცნებობს. კვლავ რუკას ვსინჯავდი, მომაგონდა, რომ დიდი ხანი არ არის, რაც ამ კუნძულებს ჩრდილოეთის მიწა დაერქვა, რომ ვილკიცკიმ იმათ „ნიკოლოზ მეორის მიწა უწოდა“.

საწყალი კატიას მამა! რა უიღბლო ყოფილა! არც ერთ გეოგრაფიულ წიგნში არ არის მისი ხსენება და მთელ ქვეყანაზე არავინ იცის, რა გააკეთა მან.

სიბრალულისაგან და აღტაცებისაგან გამაჟრჟოლა და დავწექი, იმიტომ რომ მეექვსე საათი იყო და ქუჩაში უკვე ვიღაც ცოცხს უფხაკუნებდა. მაგრამ რა დამაძინებდა. მტანჯავდა ნაწყვეტები კაპიტანის წერილებიდან, თითქოს მესმოდა დეიდა დაშას ხმა და ვხედავდი კიდეც, როგორ კითხულობდა წერილს, ოხვრით, ენის ბორძიკით და თან სათვალის ზემოდან გვიყურებდა. სურათი, რომელიც ოდესღაც წარმოუდგა ჩემს გონებას,—თოვლზე გაშლილი თეთრი კარვები, მარხილში შებმული ძაღლები, ბეწვისჩექმებიანი გოლიათი ვეებერთელა ბეწვის ქუდით, კვლავ თვალწინ დამიდგა და ვინატრე, ნეტა ყველაფერი ეს მე შემმთხვეოდა ცხოვრებაში, რომ მე ვყოფილიყავი იმ გემზე, რომელიც ფოდრეიფე ყინულებთან ერთად ნელი სვლით დაღუპვისაკენ მიემართებოდა, რომ მე ვყოფილიყავი კაპიტანი, რომელიც გამოსათხოვარ წერილსა სწერს ცოლს, სწერს და ვერ ამთავრებს. „მე მას შენი სახელი ვუწოდე—და ყოველ გეოგრაფიულ რუკაზე იპოვნი გულითად სალამს შენი...“

როგორ შეიძლებოდა ეს ფრაზა დაბთავრებულიყო?.. და უეცრად რალაცამ ნელა გამიარა თავში, ძალიან ნელა, თითქოს უნებურად, ლოგინზე წამოვჯექი. ჩემი თავისა არა მჯეროდა და თან ვგრძნობდი, რომ ახლავე ჭკუაზე შევიშლებოდი—ჭკუაზე შევიშლებოდი იმიტომ, რომ მომაგონდა.

„... სალამი შენი „მონჭოტიმო ქორ-ბრჭყალასაგან“, როგორც ოდესღაც მეძახდი. რამდენი ხანია მას შემდეგ, ღმერთო ჩემო! თუმც, არა ვჩივი“.—კვლავ ვიგონებდი, ებუტბუტებდი და თან მეშინოდა, რომ აი კიდევ ერთი სიტყვა, კიდევ ერთი სიტყვა და შემდეგ კი—დამავიწყდა, ვერ მოვიგონებ-მეთქი, „მე არა ვჩივი. ჩვენ ერთმანეთსა ვნახავთ და ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ ერთი აზრი, ერთი აზრი მტანჯავს მე!“

ლოგინიდან წამოვხტი, ლამპა ავანთე, მაგიდას ვეცი, სადაც ფანქარი და რუკები ეწყო.

„მწარეა იმის შეგნება,—ახლა რუკაზე ვწერდი,—მწარეა იმის შეგნება, რომ შეიძლებოდა ყველაფერი სხვანაირად დატრიალებულიყო. ბედუკულმართობა კვალდაკვალ გვდევდა და პირველი მარცხი—შეცდომა, რომელიც ასე ძვირად გვიჯდება ყოველ საათსა და ყოველ წუთში,—ის არის, რომ ექსპედიციის მოწყობა ნიკოლაის მივანდე“.

ნიკოლაის? სწორე კია? ჰო, ნიკოლაის!

მე გავჩერდი, იმიტომ რომ მერე მეხსიერება თითქოს დამეხშო,—შემდეგ კი—ეს კვლავ აშკარად მახსოვდა—რაღაც მეზღვაური საჩკოვის შესახებ, რომელიც ნაპრალში ჩავარდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა. მაგრამ ეს უკვე სულ სხვა რამ იყო. ეს იყო წერილის შინაარსი და არა ტექსტი, რომლიდანაც მეტი ვეღარაფერი გავიხსენე, გარდა რამდენიმე ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვისა...

აღარც დამძინებია. მოსამართლე მერვე საათზე ადგა და შეეშინდა, ჩრდილოეთის რუკასთან საცვლების ამარა მჯდომი რომ დამინახა, რომელზედაც უკვე მოვასწარი ხომალდ „წმ. მარიამის“ დაღუპვის ყველა წვრილმანების ამოკითხვა. ყველა წვრილმანებისა, ორმლებიც ნამდვილად თვით კაპიტან ტატარინოვსაც კი გააკვირვებდა, რომ დაბრუნებულიყო.

წინა დღეს შევთანხმდით ქალაქის მუზეუმში წავსულიყავით. სანიას უნდოდა ეჩვენებინა ჩვენთვის ეს მუზეუმი, რომლითაც ენსკში ძალიან ამაყობდნენ. იგი მოთავსებული იყო პაგანკინის პალატებში—ძველ სავაჭრო შენობაში, რომლის შესახებაც პეტკა სკოეოროდნიკოვი ოდესღაც მიამბობდა, სახლი ოქროთია გატენილი, ხოლო სახლის კედელში თვით ვაჭარი პაგანკინია ჩატანებული და, ვინც სარდაფში შევა—დაახრჩობსო. სარდაფის კარები მართლაც დაკეტილი იყო და ზედ ვეებერთელა კლიტე ედო, ალბათ მეთორმეტე საუკუნისა, სამაგიეროდ ფანჯრები დაღებული იყო, საიდანაც მეურმეები სარდაფში შეშასა ჭყრიდნენ.

მესამე სართულზე სანიას მასწავლებლის, მხატვარ ტუვას სურათების გამოფენა იყო და უპირველესად ყოვლისა ამ სურათების სანახავად წაგვიყვანა სანიამ. მხატვარი აქვე იყო სურათებთან,—პატარა ტანის, ხავერდის „ტოლსტოვკიანი“, ალერსიანი კაცი, დიდი შავი ქოჩრით, რომელშიაც ჭაღარა ვერცხლივით უბრწყინავ-

და. მისი სურათები კარგი იყო, მაგრამ ოდნავ მოსაწყენი—სულ ენსკი და ენსკი, ღამით და დღისით, მთვარისა და მზის შუქზე, ენსკი ძველი და ახალი. თუმც ჩვენ უსინდისოდ ვაქებდით ამ სურათებს!—მეტისძეტი კარგი იყო ის ტუვა, თან სანიაც ისეთი თაყვანისცემით შეჰყურებდა მას!

სანია ეტყობა, მიხვდა, რომ მე და კატიას მოსალაპარაკებელი გვქონდა, რადგანაც უეცრად ბოდიში მოიხადა, რაღაც მოიმიზეზა და გამოფენაზე დარჩა. ჩვენ კი ქვევით ჩავედით დიდ დარბაზში, სადაც ბადისებურ რკინის აბჯარში ჩაცმული რაინდები იდგნენ, რომელთაც სამკერდიდან აბჯარი ისე გამოსჩაჩოდათ, როგორც პერანგი გამოეჩაჩებათ ხოლმე ჟილეტიდან.

რასაკვირველია, მოთმინება არა მყოფნიდა კატიასათვის მეამბნა ჩემი წუხანდელი აღმოჩენების ამბავი, მაგრამ არ ვიცოდი როროგორ დამეწყო. იმან თვითონ დაიწყო.

— სანია,—მითხრა მან, როდესაც ჩვენ სტეფანე ბატორის დროინდელი მხედრის წინ გავჩერდით, რომელიც, არ ვიცი რით, კორაბლიოვს მაგონებდა,—მე ბევრი ვიფიქრე, თუ ვისზე წერს: „ნუ დაუჯერებ იმ ადამიანს“.

— მერე?

— გადავწყვიტე, რომ იმაზე არა წერს.

ჩვენ ვდუმდით, მას თვალი არ მოუშორებია მეომრისათვის.

— არა, სწორედ იმაზე სწერს,—ვუპასუხე საკმაოდ კუშტად.—სხვათა შორის, მამაშენმა აღმოაჩინა ჩრდილოეთის მიწა. სწორედ იმან, და არა ვილკიცკიმ, მე ეს დავადგინე.

მაგრამ ამ ცნობას, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ მთელი მსოფლიოს გეოგრაფები განაცვიფრა, კატიაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— რატომ გგონია?—განაგრძო მან ოდნავი ძალდატანებით,—რომ სწორედ ის არის... ნიკოლაი ანტონიჩი. წერილში ეგ არა ჩანს, იმაზე ხომ არაფერია ნათქვამი.

— როგორ არა ჩანს!—ვგრძნობდი, რომ ბრაზი მერეოდა,—ჯერ ერთი, ძაღლების ამბავი. რამდენჯერ უტრაბახია, ექსპედიციისათვის მშვენიერი ძაღლები შევიძინეო? მეორეც...

სანია მოვიდა და ჩვენ გავჩუმდით. არაფერი არ გვესმოდა, ისე ვუყურებდით „უძველესი რუსი თავადების ყოფაცხოვრებას“, „ენსკის გუბერნიის გლეხის შუაცეცხლიანი ქოხი კაპიტალისტური წყობილების დროს“. სანია რაღაცას გვიხსნიდა, ჩვენ არ ვუსმენ-

დით, მეტადრე კატია, რომელიც წამდაუწუმ შეწუხებული შემომ-ხედავდა ხოლმე, თითქოს მეკითხებოდა: „დარწმუნებული ხარ?“ და მეც უსიტყვოდ ვუპასუხებდი: „სავსებით დარწმუნებული ვარ-მეთქი“.

მერე სანია გამოგვეთხოვა და წავიდა, ჩვენ კი კიდევ დიდხანს-დავდიოდით ენსკის ქალაქის მუზეუმის ჩაბნელებულ დარბაზებში.

— ... მეორე?

— მეორე ის, რომ წუხელის კიდევ ერთი ადგილი გამახსენდა-ამ წერილიდან, აი, იგი.

და მე ის ადგილი ვთქვი, დაწყებული ამ სიტყვებიდან: „მონჰოტიმო ქორ-ბრჭყალა“. ვთქვი გარკვევით, ხმამაღლა, ლექსივით. კატიას ფართოდ გაეღო თვალები და ქანდაკებასავით გარინდებული-მისმენდა, უეცრად რაღაც სიცივემ გაუელვა თვალებში და მე გავიფიქრე, „ჩემი არა სჯერა-მეთქი.

— გჯერა ჩემი?

ის გაფითრდა და ხმადაბლა მითხრა.

— ჰო.

მეტი აღარ გვილაპარაკნია ამაზე. მხოლოდ ვკითხე, ხომ არ-გახსოვს საიდან არის ეს „მონჰოტიმო ქორ-ბრჭყალა“-მეთქი. არ მახსოვს, მგონი გუსტავ ემარიდან არისო. მერე დაუმატა, რომ ვერც კი წარმოიდგენ, რა საშინელია ყველაფერი ეს დედაჩემისთვისაო.

— ყველაფერი ეს ბევრად უფრო რთულია, ვიდრე შენა გგონია,—მითხრა ნაღვლიანად და მთლად დიდივით.—დედა ისედაც გაწამებულია იმით, რაც წარსულში მოხდა—ამაზე ხომ ლაპარაკიც-ზედმეტია, ნიკოლაი ანტონიჩი კი...

კატია გაჩუმდა. მაგრამ მერე ამიხსნა რაც მოხდა. ესეც აღმოჩენა იყო და, შეიძლება ითქვას, უფრო მოულოდნელი, ვიდრე-კაპიტანი ტატარინოვის მიერ ჩრდილოეთის მიწის აღმოჩენა. თურმე ნიკოლაი ანტონიჩს მრავალი წლები უყვარდა მარია ვასილევნა! შარშან დედა რომ ავად გამხდარა, ნიკოლაი ანტონიჩს-მთელი დღეები ტანთ არ გაუხდია,—მომვლელი ქალი მოუწვევია, თუმცა ეს სულაც არა ყოფილა საჭირო. როცა გამოკეთებულა, სოჩაში თვითონვე წაუყვანია და სასტუმრო „რივიერაში“ მოუწყვია, მაშინ, როცა სანატორიუმში ბევრად უფრო იაფი დაჯდებოდა... ჯირდაპირ „ჭკუაზე შეიშალა“, როგორც ნინა კაპიტონოვნას უთ-ქვამს. გაზაფხულზე ლენინგრადიდან მარია ვასილევნასათვის ძა-

ლიან ძვირფასი ბეწვის მოკლე ჟაკეტი ჩამოუტანია, ფრთებივით სახელოებით. თავის დღეში არ დაწვება დასაძინებლად, თუ მარია ვასილევნა შინ არ არის. თურმე იმდენი ეჩიჩინა, უნივერსიტეტს თავი დაანებებინა, რადგანაც მარია ვასილევნასათვის ძნელი იყო ერთდროულად სწავლა და სამსახური. მაგრამ ყველაზე საინტერესო ისტორია ამ ზამთარს მომხდარა: უეცრად მარია ვასილევნას გამოუცხადებია, რომ იმის დანახვა აღარ შემიძლიანო, და ნიკოლაი ანტონიჩი სახლიდან გამქრალა. იმავე ტანსაცმელით წასულა, რაც ზედა სცმია, და მთელი ათი დღე სახლში არ გამოჩენილა. არავინ იცის, სადა ცხოვრობდა, ალბათ სასტუმროში. აქ უკვე ნინა კაპიტონოვნა გამოჰქომაგებია, უთქვამს, ეს უკვე „ნამდვილი იხკვიზიცია არისო", და თვითონვე მოუყვანია შინ. მაგრამ მარია ვასილევნას კიდევ ერთი თვე ხმა არ გაუცია მისთვის...

იმის წარმოდგენა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი სიყვარულისაგან გიჟდება—პირდაპირ შეუძლებელი იყო! ნიკოლაი ანტონიჩი თავისი ფუნთუშა ხელებით, ოქროს კბილით, ისეთი მოხუცი! მაგრამ, კატიას რომ ეუსმენდი, წარმოვიდგინე ეს რთული და მტანჯველი დამოკიდებულება. წარმოვიდგინე, როგორ გაატარა მთელი ეს წლები მარია ვასილევნამ. ის ხომ ძალიან ლამაზი ქალი იყო და ოცი წლისა მარტოდმარტო დარჩა. „არც ქვრივი და არც ქმრიანი"! თავის თავს აიძულებდა ქმრის ხსოვნისადმი პატივისცემით ეცხოვრა! წარმოვიდგინე, წლობით როგორ უვლიდა და ეფერებოდა ნიკოლაი ანტონიჩი, რა თავაზიანად ექცეოდა, შემპარავი, კერპი, მომთმენი. მან შესძლო დაერწმუნებინა,—და არა მარტო ის,—რომ მხოლოდ მას ესმოდა და უყვარდა მისი ქმარი. კატია მართალი იყო, მარია ვასილევნასთვის ეს წერილი დიდი მეხის დაცემა იქნებოდა. შეიძლება უკეთესი იყოს ამ წერილის სანიას ოთახში დატოვება თაროებზე, წიგნებში.

თავი მეთხუთმეტე

ვსეირნობთ. დედას სანახავად მივდივარ. გუბენჩიკოვები. გამომგზავრების დღე

ენსკში გატარებული ითელი კვირა უფრო ნაღელიანი იყო, ვიდრე მხიარული. მაგრამ რა შესანიშნავი მოგონებები დამრჩა სამუდამოდ!

მე და კატია ყოველდღე ვსეირნობდით. მე ჩემს საყვარელ

ადგილებს ვუჩვენებდი და ჩემს ბავშვობაზე ვუამბობდი! სადღაც წამიკითხავს, რომ არქეოლოგები ერთი რომელიმე წარწერის მიხედვით მთელი ერის ისტორიასა და ადათებს აღადგენენ ხოლმე.—მეც ასევე აქა-იქ ძველი ენსკის შერჩენილი კუთხე-კუნჭულების მიხედვით აღვადგინე და ვუამბე კატიას ჩვენი წარსული ცხოვრება.

მაგრამ თვითონ მეც ხელახლა შევაფასე ეს მშვენიერი ქალაქი. პატარა ბიჭი რომ ვიყავი, ვერ ვამჩნევდი მთებზე გაშლილი ბაღების მთელ სიმშვენიერეს, დაქანებულ ქუჩებს, მაღალ სანაპიროებს, რომლებიც „რეშეტკიდან“ კუთხით იშლებოდნენ. ახლაც ასე ერქვა ორი მდინარის—პესჩინკისა და ტიხოის შესართავს.

მხოლოდ ერთი დღე გავატარე უკატიაოდ. სასაფლაოზე წავედი.—რატომღაც მეგონა, რომ ამდენი ხნის შემდეგ დედაჩემის საფლავის კვალიც არ იქნებოდა დარჩენილი. მაგრამ ვიპოვე. დაფახფახებული ხის ღობე ეკრა და გადაზნექილ ჯვარზე კიდევ შეიძლებოდა გარჩევა: „უფალო, შეუნდე შენს სულიერ მხევალს“. ზამთარი იყო და, რა თქმა უნდა, ყველა საფლავები ერთნაირად დაეფარა თოვლს, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ ეს უპატრონო საფლავი იყო.

სევდა შემომაწვა და მოგონებებში წასულმა დიდხანს ვიხეტიალე ბილიკებზე. რამდენი წლისა იქნებოდა ახლა დედა? ორმოცისა. ჯერ ისევ სულ ახალგაზრდა. მწარე იყო მოსაგონებლად, რომ შეეძლო ბედნიერად ეცხოვრა, აი, თუნდაც ისე, როგორც დეიდა დაშა ცხოვრობს. ძომაგონდა იმისი დაღლილი, მძიმე გამოხედვა, სარეცხისაგან შეპმული ხელები, საღამოობით დაღლილობისაგან სიკვდილის პირას მისულს ჭამის თავიც აღარა ჰქონდა ხოლმე. მერე როგორი ჭკვიანი იყო! საზიზღარი გაერ კული, აი ვინ მოაჯადოვა და ვინ დაღუპა იგი!

ისევ საფლავთან მივედი და თითქოს გამოვეთხოვე. მერე დარაჯი ვიპოვე, რომელიც ნახევრად დანგრეულ სამლოცველოში ჩეხავდა შეშას, და იქაურობას გუგუნი გაჰქონდა.

— ბიძია,—ვუთხარი,—აქ თქვენთან აქსინია გრიგორიევას საფლავია. აი ამ გზაზე, რომ მოუხვევთ, მეორეა.

მგონი ისე დაიჭირა თავი, ვითომ იცოდა, რომელ საფლავზე ველაპარაკებოდი.

— არ შეიძლება, რომ მიხედოთ ხოლმე? ფულს გადავიხდი.

დარაჯი ბილიკზე გავიდა, გაიხედა და დაბრუნდა.

— ამ საფლავს მოვლა არ აკლია,—მითხრა მან,—ახლა ზამთა-

რია და არა ჩანს. სხვა საფლავებს მართალია მოვლა აკლიათ, ჯვრები დამძვრალი აქვთ და რა ვიცი კიდევ რა. ამას კი აქვს.

სამი მანეთი მივეცი და წამოვედი.

შინ რომ ვბრუნდებოდი, ვფიქრობდი გაერ კულიზე, დედაჩემზე, ნეტა რამ შეაყვარა ისეთი ადამიანი. ჩემდაუნებურად მარია ვასილევნაც მომაგონდა და მე ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტე, რომ ქალებს ვერაფერს გაუგებ...

შემდეგ ჩვენ ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს, მხოლოდ წამოსვლის წინა დღეს რაღაც ეშმაკად ვკითხე კატიას მოხუც ბუბენჩიკოვებზე:—მართალია რომ ისინი შერისხულები არიან-მეთქი? კატიას გაუკვირდა.

— ვითომ? მე არ ვიცოდი,—მაგრამ ეგ სავსებით შესაძლებელია, იმიტომ რომ ისინი ათეისტები და ნიღილისტები არიან. „მამები და შვილები“ წაგიკითხავს?—მკითხა მან.

— წამიკითხავს.

— გახსოვს ნიღილისტი ბაზაროვი?

— მახსოვს!

— აი ისინიც ისეთივე ნიღილისტები არიან, როგორც ბაზაროვი.

— მოიცა, მოიცა! ეგ როდინდელი ამბავია!

— მერე რა! ისინი მოხუცებულები არიან. თხა კი უბრალოდ ხუშტურიანია. ისინი თხის რძესა სვამენ. მეც მეხვეწებოდნენ, მაგრამ უარი ვთქვი. როცა თხა ნერვიულობს, რძე ფუჭდება.

— შენ უბრალოდ მასულელებ,—ვუთხარი დაფიქრების შემდეგ.

— არა, პატიოსნებას გეფიცები,—სწრაფად მიპასუხა კატიამ.

ხუშტურიანი თხა, რომელსაც სამი ნიღილისტი ქალი უვლის, ეშმაკმა იცის! მაინც ეს რაღაც სისულელე იყო!

გამომშვიდობების დღეც დადგა! დეიდა დაშა დილის ექვსი საათიდან აცხობდა და ჯერ ხეირიანად არც კი გამღვიძებოდა, რომ უკვე ხაფრანისა და კიდევ რაღაც სანელებლის სასიამოვნო სუნი მეცა, რომელსაც ცომში უშვრებიან ხოლმე. შემდეგ ის სასადილო ოთახში შემოვიდა, სადაც მე მეძინა, და ზრუნვით აღსავსემ ცხვირზე სათვალით, ფქვილში ამოგანგლილმა, პეტკას წერილი შემომიტანა, რომლისათვის წვერში ოდნავ წაევლო ხელი.

— სანია, უნდა გაგაღვიძო,—მკაცრი კილოთი მითხრა მან.—პეტენკას წერილია.

წერილი მართლაც პეტენკასაგან იყო, მოკლე, მაგრამ „შესა-

ფერი", როგორც მოსამართლემა თქვა. ჯერ ერთი, ის უხსნიდა, არდადეგებზე რატომ არ ჩამოვიდა: ლენინგრადში გაჰყოლოდა ექსკურსიას. მეორე, განცვიფრებული იყო ჩემი გამოჩენით ენსკში და ამის გამო გულითად გრძნობებს გამოთქვამდა. მესამე, საშინლად მლანძღავდა, წერილს არა მწერო, არა მკითხულობო და საერთოდ -გულგრილი ცხენივით იქცევიო". მეოთხე კონვერტში კიდევ ერთი წერილი იდო სანიასათვის. სანიას გაეცინა.—აი სულელი, არ შეეძლო ბოლოში მიეწერა, — მაგრამ, ეტყობა, მართლაც არ შეეძლო მიეწერა, რადგანაც სანიამ წაიღო წერილი და თავის ოთახში ერთი სამი საათი კითხულობდა, ვიდრე არ შევუვარდი და არა ვთხოვე, დეიდა დაშა შეეჩერებინა, რომელსაც გზაში უამრავი ნამცხვრის გატანება უნდოდა ჩემთვის.

ალბათ ასეთივე სურათი იყო ლაპუტინის შესახვევში, სახლ ნომერ რვაში, რადგანაც კატიამ სახლიდან გამოსვლაც კი ვერ მოახერხა ამ დღეს. მას არამცთუ პროდუქტებით ამარაგებდნენ, თითქო ჩრდილოეთ პოლუსზე მიდიოდა—რთავდნენ კიდეც. ძველებური, გამოუყენებლად დარჩენილი სამი ნიღლისტი ქალის მზითევი—თათრული მაქმანები, ხავერდის ზოლიანი ჟაკეტები მხრებზე პუპპუპებით, სარჩულიანი მძიმე კაბები... ყველაფერს გზა და დანიშნულება მისცეს.

როგორ მოგწონთ, რომ სანიამ ერთი წუთით შეირბინა ბუბენჩიკოვებთან და სადილზე კი დაიგვიანა: ცოტა დარცხვენილი მოვიდა და განაცხადა, იქ ძალიან საინტერესოაო. სამივე მოხუცი ჰკერავს და მშვენიერი კაბა გამოდის. კატიას უხდება, მე კი არა, სამაგიეროდ ქუდი მიხდება და ისეთ ქუდს უსათუოდ გავიკეთებო.

— ერთი სიტყვით ყველაფერი მივიზომ-მოვიზომეთ,—გვითხრა სანიამ და გაიცინა.—თავბრუც კი დამეხვა.

მოსამართლე ადრე მოვიდა სამსახურიდან, რომ უკანასკნელად ჩემთან ერთად ესადილა. ერთი ბოთლი ღვინო მოიტანა, დავლიეთ და მან სიტყვა წარმოთქვა. მშვენიერი სიტყვა იყო, ბევრად უკეთესი, ვიდრე ოდესღაც გაერ კულის სიკვდილის ბატალიონში შესვლის გამო გამართულ სადილზე თქვა. პეტკა და მე არწივებს შეგვადარა და იმედი გამოთქვა, რომ ჩვენ კიდევ ბევრჯერ დავბრუნდებით მშობლიურ ბუდეში. ის მოხარული იქნებოდა დაეკვეხნა, რომ ასეთი ბიჭები დაზარდა, მაგრამ ამას ვერ იტყოდა, რადგანაც თვითონ ჩვენმა ქვეყანამ გაგვზარდა ჩვენ და დაღუპვისაგან გადაგვარჩინა. ასე თქვა მან. ამ ადგილზე დეიდა დაშამ წა-

მოიტირა, თითქოს უნდოდა მოეგონებინა ჩვენთვის, რომ ის თვითონაც სიამოვნებით მოჰკიდებდა ხელს ჩვენს აღზრდას, სხვის დაუხმარებლად... მე ფეხზე ავდექი და ვუპასუხე მოსამართლეს... არ მახსოვს, რას ვამბობდი, მაგრამ მეც ძალიან კარგად ვილაპარაკე. ერთი სიტყვით. მე ვთქვი, რომ სატრაბახო ჯერჯერობით არაფერი გვაქვს მეთქი.

ისე შევყევით სადილს, რომ კინაღამ დაგვიგვიანდა, ვაგზალზე ეტლით წავედით. ჩემ ცხოვრებაში პირველად მივემგზავრებოდი ასეთი ამბით — ეტლში გამოჭიმული, ფეხებთან ჩადგმული კალათით. დეიდა დაშას რომ მთელი დღე ჩემ თვალწინ არ ეტენა შიგ ნამცხვრები, ალბათ ვიტყოდი ამ კალათზე, არ ვიცი საიდან გაჩნდა-მეთქი, რადგანაც ენსკში ხელსალთად ჩამოვედი.

ჩვენ რომ მოვედით, კატია უკვე ვაგონის საფეხურზე იდგა. მოხუცი ბუბენჩიკოვები ერთმანეთს აღარ აცლიდნენ დარიგებების მიცემას: რომ გზაში არ გაციებულიყო, ბარგი არავის აეცალა, ბაქანზე არ გამოსულიყო, როგორც ჩავიდოდა, დეპეშა გამოეგზავნა, შინაურებისათვის მოკითხვა გადაეცა და საერთოდ წერილები მოეწერა ხოლმე.

არ ვიცი, ისინი იქნებ მართლაც ნიღილისტები იყვნენ, ჩემი შეხედულებით კი მელიის ქურქში შეფუთნილი უბრალოდ მოხუცი დეიდები იყვნენ, ზონრებზე დაკიდებულ, უზარმაზარ სასაცილო მუფთებით.

ეს იყო და ეს. მე სხვა ვაგონში მქონდა ადგილი და ამიტომ ჩვენ მხოლოდ შორიდან მივესალმეთ კატიას და ბუბენჩიკოვებს — კატიამ ხელი დაგვიქნია, მოხუცებულებმა კი გაბღინძულად დაგვიკრეს თავი.

მეორე ზარია! ვეხვევი სანიას და დეიდა დაშას. მოსამართლე მთხოვს, პეტკა ვინახულო. მეც ვაძლევ პატიოსან სიტყვას, რომ, ჩავალ თუ არა, იმავ დღესვე მივალ პეტკასთან, — სანიას მოსკოვში ვეპატიჟები და ისიც მპირდება გაზაფხულის არდადეგებზე ჩამოვალო, — თურმე ამის შესახებ უკვე მოლაპარაკებულია პეტკასთან.

მესამე ზარია! მე ვაგონში ვარ. სანია ჰაერში რაღაცას მიწერს და მე პასუხად ალალბედზე ვუწერ: „კეთილი!“ დეიდა დაშა იწყებს ჩუმად ტირილს და უკანასკნელი, რასაც მე ვხედავ: სანია, დეიდა დაშას ცხვირსახოცს ართმევს ხელიდან და სიცილით ცრემლებს სწმენდავს. მატარებელი იძვრის და საყვარელი ენსკის ვაგზალიც იძვრის, სულ უფრო და უფრო ჩქარა. აი ნიღილისტი ქალები თითქოს მისცურავენ ჩემ წინ! კიდევ წუთი — და აღარც პერონი ჩანს. მშვიდობით, ენსკო!

შემდეგ სადგურზე ვიღაც პატივსაცემ ძიას გავუცვალე ადგილი, რომელსაც ჩემი ქვედა საწოლი ერჩივნა, და კატიას ვაგონში ადავბარგდი. ჯერ ერთი, იმიტომ რომ უფრო ნათელი იყო, მეორეც ის, რომ ის კატიას ვაგონი იყო.

კატიას უკვე ყველაფერი მოეწესრიგებინა:—მაგიდაზე სუფთა ხელსაწმენდი გადაეფარებინა, ფანჯარაზე ფარდა ჩამოეშვა, თითქოს მთელი საუკუნეა, რაც ამ ვაგონში ცხოვრობსო.

ორივე ახალი ნასადილევი ვიყავით, მაგრამ მაინც ხომ უნდა გვენახა, რა ჩაგვიწყეს კალათებში მოხუცებულებმა.

მოკლედ, კატიას კალათმა მაინც აჯობა ჩემსას. იქ აღმოჩნდა ლ ბი—მშვენიერი, საკუთარი ბაღის ზამთრის ვაშლი! თითო აშლი შევჭამეთ და მეზობელსაც გავუმასპინძლდით—პატარა ტანის პირგაუპარსავ სათვალიან შავგვრემან, გალურჯებულ კაცს, რომელსაც ვერ გაეგო ვინ ვიყავით: თუ და-ძმანი ვართ—ერთმანეთს არა ვგევართ! თუ ცოლ-ქმარი—ჯერ ცოტა ადრეა.

უკვე მესამე საათი იყო. პირგაუპარსავ მეზობელს ცხვირზე თავისი პატარა, მაგარი მუშტი დაედო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ხვრინავდა, მე და კატია კი ისევ დერეფანში ვიდექით და ელაპარაკობდით. შეპირხლულ ფანჯარაზე ინიციალებსა ვწერდით, მერე სიტყვების პირველ ასოებს.

— როგორც „ანა კარენინაში“,—თქვაკ ატიამ.

მაგრამ ჩემის აზრით, ეს სულაც არა ჰგავდა „ანა კარენინას“ და საერთოდ არაფერსაც არა ჰგავდა.

კატია ჩემს გვერდით იდგა, რაღაც სულ სხვანაირი, დიდივით შუაზე გაყოფილი საყვარელი მუკი თმიდან განსაცვიფრებელი, სულ სხვა ყური უჩანდა, კბილებიც სხვანაირი ჰქონდა, როცა იცინოდა—წინათ არასოდეს ასე თამამად და თანაც ასე ამაყად არ ატრიალებდა ხოლმე თავს, როცა ლაპარაკს ეუწყებდი. ის უცხო იყო, კვლავ სულ სხვაგვარი და მე ვგრძნობდი, რომ ძალიან მიყვარდა, ყველაზე მეტად ქვეყანაზე.

ფანჯრებიდან უცებ სატელეგრაფო მავთულები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, რომლებიც ხან იძირებოდნენ, ხან ისევ მაღლა იწევდნენ. ჩვენ წინ მუკი თოვლით დაფარული მუკი მინდორი იშლებოდა. არ ვიცი რა სიჩქარით მივდიოდით, ალბათ არა უმეტეს ორმოცი კილომეტრისა საათში. მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ ჩვენ რაღაც ხლაპრული სისწრაფით მივქროდით. ყველაფერი წინ იყო. მე არ

ვიცოდი, რა მელოდა, მაგრამ მტკიცედ მწამდა, რომ ეს სამუდამოა, რომ კატია ჩემია და მე მისი ვარ სიკვდილამდე.

თავი მეთექვსმეტე

რა მელოდა მოსკოვში

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ბრუნდებით მშობლიურ სახლში, სადაც ნახევარი სიცოცხლე გაგიტარებიათ და უეცრად გაკვირვებით გიყურებენ, თითქოს სადმე სხვაგან მოხვდით. ასეთი რამ ვიგრძენი, როდესაც ენსკიდან სკოლაში დავბრუნდი.

პირველი ადამიანი, რომელიც გასახდელშივე შემხვდა, რომაშკა იყო. მე რომ დამინახა, სახე დაებრიცა, მერე კი გაეღიმა.

— მომილოცავს ჩამოსვლა!—ბოროტად მითხრა მან.—ცხ, ცხ! სიცოცხლე!

ეს გაიძვერა რაღაცით იყო კმაყოფილი.

ბიჭები არ იყვნენ—უკანასკნელი დღე იყო სწავლის დაწყების წინ—და მე სამზარეულოში გავედი ძია პეტიას სანახავად. ძია პეტიაც საკმაოდ უცნაურად შემხვდა.

— რა ვუყოთ, ძმაო, მოხდება ხოლმე,—ჩურჩულით მითხრა.

— ძია პეტია, რა მოხდა, არ მეტყვით?

ვითომც არ გაუგონიაო, ძია პეტიამ ქვაბში ერთი მუჭა მარილი ჩაჰყარა და გაიტვრინა. ის ოხშივარს ყნოსავდა.

დერეფანში კორაბლიოვს მოვკარი თვალი და გამოვუდექი.

— გამარჯობათ, ივან პავლიჩ.

— ოჰ, შენა ხარ?—სერიოზულად მიპასუხა მან.—ჩემთან შემოიარე. უნდა მოგელაპარაკო...

—

კორაბლიოვს მაგიდაზე ახალგაზრდა ქალის სურათი ედგა, მე უცბად ვერ ვიცანი მარია ვასილევნა—რაღაც მეტისმეტად ლამაზი იყო! მაგრამ დავაკვირდი—ყელზე ერთი პირი მარჯანი ჰქონდა, სწორედ ის, რომელიც კატიას ეკეთა ჩვენ ბალზე. გავმხიარულდი, როდესაც სურათზე მარჯანი გავარჩიე. ეს თითქოს სალამი იყო კატიასაგან.

კორაბლიოვი მოვიდა და ჩვენ ლაპარაკი დავიწყეთ.

— ივან პავლიჩ, რა მოხდა!

— ის მოხდა,—აუჩქარებლად მიპასუხა კორაბლიოვმა,—რომ შენ სკოლიდან გარიცხვას გიპირებენ.

— რისთვის?

— არ იცი?

— არა.

კორაბლიოვმა კუშტად შემომხედა.

— აი, ეგ კი აღარ მომწონს.

— ივან პავლიჩ! გეფიცებით, რომ არ ვიცი.

— ცხრა დღით თვითნებურად წასვლისათვის,—თქვა კორაბ-ლიოვმა და ერთი თითი მოკეცა,—ლიხოს შეურაცხყოფისათვის, ჩხუბისათვის.

— მაშ აგრე! კარგი,—ვუპასუხე ძალიან დამშვიდებულად,—მაგრამ ვიდრე გამომრიცხავდეთ, კეთილ ინებეთ და მომისმინეთ.

— სიამოვნებით.

— ივან პავლიჩ,—დავიწყე დიდი ამბით,—გინდათ იცოდეთ, რად გავარტყი რომაშკას სიფათში?

— აბა, „სიფათების" გარეშე,—გამაფრთხილა კორაბლიოვმა.

— კარგით, „სიფათების" გარეშე ვილაპარაკებ. იმიტომ გავარტყი სიფათში, რომ ის უსინდისოა. ჯერ ერთი, იმან უამბო ტატარინოვებს ჩემზე და კატიაზე. მეორე ის, რომ ჩუმად უგდებს ყურს, რასაც ბავშვები ნიკოლაი ანტონიჩზე ლაპარაკობენ, და მერე ამბავი მიაქვს მასთან. მესამე, ჩემ დაუკითხავად ჰქექავდა ჩემ ჩემოდანს. ეს ნამდვილი გაჩხრეკა იყო. ბავშვებმა ნახეს, ზედ როგორ წავადექი. ეგეც მართალია, რომ გავარტყი. ვგრძნობ, რომ ეს სწორი არ იყო, წიხლი არ უნდა ჩამეზილა, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და არა ქვა, გულმა ვეღარ მომითმინა. ეს ყველას შეიძლება მოუვიდეს.

— კარგი. შემდეგ.

— ლიხოს შესახებ თქვენ უკვე იცით. ჯერ დამიმტკიცოს, რომ იდეალისტი ვარ. თხზულება წაიკითხეთ?

— წავიკითხე. ცუდია.

— კარგი. ცუდი იყოს. მაგრამ დარწმუნებული ვარ, იქ იდეალიზმის ნიშანწყალიც არ არის.

— ვთქვათ, რომ ასეა. შემდეგ.

— შემდეგ რა? ყველაფერი ვთქვი.

— არა, ყველაფერი არ გითქვამს. იცი შენ, რომ მილიციით გეძებდნენ.

— ივან პავლიჩ... დიახ, ეგ სწორია. მართალია ვალკას ვუთხარი, მაგრამ კეთილი, ეგ ნუ ჩამეთვლება. მაგრამ ნუთუ იმისათვის, რომ მე არდადეგებზე წავედი—და ისიც სად? სამშობლოში, სადაც რვა წელიწადია არა ვყოფილვარ,—სკოლიდან უნდა გამრიცხონ.

ჯერ კიდევ, როცა კორაბლიოვმა მილიცია ახსენა, მე მივხვდი, რომ იმის რისხვას ვერ გადავურჩებოდი, და არც შევმცდარვარ.

ერთხელ უკვე მიყვირა, — მეოთხე კლასში, როდესაც ისკა გრუმანტმა ბანაობის დროს ქვებზე ფეხი გადაიყვლიფა, მე მზის აბაზანებით დავუწყე მკურნალობა და ორი თითი მოსაჭრელი გავუხადე. ეს საშინელი „რისხვა“ იყო. ახლა ისევ ის განმეორდა. თვალებგადმოკარკლული კორაბლიოვი მიყვიროდა, მე კი ხანდახან გაუბედავად ვეუბნებოდი:

— ივან პავლიჩ!

— ხმა, კრინტი!

ის თვითონ ჩუმდებოდა ერთი წამით, რომ სული მოეთქვა.

ასე და ამგვარად, ნელ-ნელა მივხვდი, რომ მე ნამდვილად ბევრ რამეში ვიყავი დამნაშავე. მაგრამ ნუთუ გამრიცხავენ? მაშ მშვიდობით, ამ ქვეყნად ყველაფერო! მშვიდობით, საფრენოსნო სკოლავ. მშვიდობით, სიცოცხლევ!

როგორც იყო კორაბლიოვი გაჩუმდა.

— ხელიდანა ხარ წასული და ეგ არის,—თქვა მან.

— ივან პავლიჩ,—დავიწყე საკმაოდ მტკიცედ, მაგრამ გაბზარული ხმით,—მე არ შეგეკამათებით, თუმცა თქვენ ბევრ რამეში მართალი არა ხართ, მაგრამ ეს სულ ერთია. თქვენ ხომ არ გინდათ, რომ მე გამრიცხონ?

კორაბლიოვი სდუმდა.

— ვთქვათ, არ მინდა.

— მაშინ თქვენ თვითონ მითხარით, როგორ მოვიქცე?

— ბოდიში უნდა მოიხადო ლიხოს წინაშე.

— კარგით. მხოლოდ ჯერ...

— მე ველაპარაკე!—გაჯავრებით ჩამომართვა სიტყვა კორაბლიოვმა.—„იდეალიზმი“ წაშალა. მაგრამ შეფასება ძველი დარჩა.

— შეფასება—დიდი სიამოვნებით. თუმცა სწორი არ არის, რომ მე „ძლიერ სუსტზე“ დავწეოე. ასეთი ნიშანი საერთოდ არ არის. ცუდი მინუსით, ვითომ?

— მეორეც,—განაგრძო კორაბლიოვმა,—ბოდიში უნდა მოიხადო რომაშკასთან.

— არასოდეს.

— მაგრამ ხომ თვითონ შენა თქვი: „ვგრძნობ, რომ სწორი არ იყოო“.

— დიახ ვთქვი. შეგიძლიათ გამრიცხოთ. მე მის წინაშე ბოდიშს არ მოვიხდი.

— ყური მიგდე, სანია.— სერიოზულად მითხრა კორაბლიოვმა.— ძლივს გამოვაძახებინე შენი თავი პედაგოგიურ საბჭოზე, მაგრამ ახლა ვნანობ, რომ ამდენს ვეცადე. თუ შენ მიხვალ და მოჰყვები: „არასოდეს! შეგიძლიათ გამრიცხოთო“!— უსათუოდ გაგრიცხავენ,— ამაში დარწმუნებული იყავი.

ამ სიტყვებს განსაკუთრებით გაუსვა ხაზი და მე მაშინვე მივხვდი, ვის გადაჰკრა. წამსვე ოვალწინ წარმომიდგა ნიკოლაი ანტონიჩი— თავაზიანი, დინჯი, წესიერი, შნოიანი. აი, ვინ ეცდება ჩემს გარიცხვას.

— მე მგონი, უფლება არა გაქვს შენი მომავალი სასწორზე დადო სულელური თავმოყვარეობის გამო.

— ეს სულელური თავმოყვარეობა არაა, ეს ადამიანის პატიოსნებაა, ივან პავლიჩ,— განვაგრძობდი ცხარედ,— არა, მაშ რა გნებავთ? რომაშკას ამბავი მივაფუჩეჩო, რაკი ის ნიკოლაი ანტონიჩს ეხება, ვის ხელთაც არის ჩემი გარიცხვა-დატოვების საკითხი? თქვენ გინდათ ასეთი საზიზღრობა ჩავიდინო? არასოდეს! ახლა მესმის, რატომ შეეცდება იგი ჩემ გარიცხვას. ჩემი თავიდან მოშორება უნდა. უნდა, რომ სადმე გადავიკარგო და კატიას ჩამოვშორდე. ვერ მივართვი! ყველაფერს ვიტყვი პედსაბჭოზე. მე დავამტკიცებ, რომ რომაშკა— უსინდისო ადამიანია და მხოლოდ უსინდისო მოიხდის მის წინაშე ბოდიშს.

კორაბლიოვი ჩაფიქრდა.

— მოიცა,— მითხრა მან.— შენ ამბობ, რომ რომაშკა ჩუმად ყურს უგდებს, რასაც ბავშვები ნიკოლაი ანტონიჩზე ლაპარაკობენ, და მერე ამბავი მიაქვს. როგორ დაამტკიცებ მაგას...

— მე მოწმე მყავს— ვალკა.

— რომელი ვალკა?

— ეუკოვი. იმან სიტყვასიტყვით ასე მითხრა: „რომაშკა უბის წიგნაკში იწერს და შემდეგ ნიკოლაი ანტონიჩს ეუბნება, რასაც მასზე ლაპარაკობენ. ამბავს მიუტანს და მერე მე მიამბობს. მე ყურებში თითებს ვიცობ, ის მაინც მიამბობსო“. ამას მე სიტყვასიტყვით გადმოგცემთ.

— ჰმ, საინტერესოა,— სწრაფად თქვა კორაბლიოვმა.— მერე ვალკა რაღასა სდუმდა? ის მგონი შენი ამხანაგია!

— ივან პავლიჩ, რომაშკა მასზე გავლენას ახდენდა. ღამე მძინარეს უცქეროდა, ვალკა კი ამას ვერ იტანს. მერე ის უბრალოდ კი არ უამბობდა, პატიოსან სიტყვას ჩამოართმევდა ხოლმე, რა

საკვირველია, ვალკა სულელია, რომ პატიოსან სიტყვას აძლევდა, მაგრამ რაკი სიტყვას აძლევდა, უნდა შეენახა კიდეც. ხომ სწორია?

კორაბლიოვი ადგა. გაიარ-გამოიარა, სავარცხელი ამოიღო და ულვაშების ვარცხნა დაიწყო. მერე წარბები გადაივარცხნა, შემდეგ ისევ ულვაშები. ის ფიქრობდა. ჩემ გულს კი დაგა-დუგი გაჰქონდა, მაგრამ მე ხმას აღარ ვიღებდი: დაე, იფიქროს! სუნთქვაც კი შევანელე: მეშინოდა ხელი არ შემეშალა.

— რა გაეწყობა, სანია, შენ ხომ გაიძვერობა არ შეგიძლია,— მითხრა ბოლოს კორაბლიოვმა,—როგორც მე მიამბე ახლა ყველაფერი ასევე უამბე პედსაბჭოს. მაგრამ ერთი პირობით.

— რა პირობით, ივან პავლიჩ?

— არ აღელდე, მაგალითად ახლა შენ თქვი, რომ ნიკოლაი ანტონიჩს კატიას გულისთვის უნდა შენი გარიცხვა, ამის თქმა საჭირო არ არის საბჭოზე.

— ივან პავლიჩ! ნუთუ მე არ მესმის?

— შენ გესმის, მაგრამ მეტისმეტად ღელავ... იცი რა, სანია,— მოდი შევთანხმდეთ. მე ხელს აი ასე დავდებ მაგიდაზე, შენ კი ილაპარაკე და თან ჩემ ხელს უცქირე. თუ მე მაგიდაზე ხელის დარტყმას დავიწყებ—ეს იმის ნიშანი იქნება, რომ შენ ღელავ. თუ არა და—არა.

— კეთილი, ივან პავლიჩ. გმადლობთ. სხდომა როდის არის?

— დღეს, სამზე. მაგრამ შენ უჯრო გვიან გამოგიძახებენ.—მან მთხოვა, ვალკა გამეგზავნა მასთან, და ჩვენ დავშორდით.

თავი მეჩვიდმეტე

ვალკა

ვცდილობდი, ძალიან არ მეღელვა. ყოველ შემთხვევისათვის ჩემი ბარგი ჩავალაგე, რომ, თუ გამრიცხავდნენ, მაშინვე წავსულიყავი. შემდეგ კედლის გაზეთი წავიკითხე—ჩემ შესახებ სიტყვა არ იყო, ჩანს, ეს საკითხი ბიუროზე არა მდგარა. ან არდადეგებზე არც ერთი კრება არ მოუწვევიათ.

ეს ყველაზე საშინელი იყო: გამრიცხავენ არა მარტო სკოლიდან—კომკავშირიდანაც. მართლაც! რა იციან ბავშვებმა ამ ამბის შესახებ? რომ მე საწოლ ოთახში შევვარდი, რომაშკას ვცემე და არავისთვის სიტყვა არ მითქვამს, ენსკში წავედი? რა თქმა უნდა,

ჩემ თავს, როგორც კომკავშირელს, ჩირქი მოვცხე. მე მოვალე ვიყავი განმარტება მიმეცა ჩემი მოქმედების შესახებ. მაგრამ გვიანღაა!

მთელი დღე სულ ამაზე ვფიქრობდი და ვწუხდი. კომკავშირის უჯრედის ოთახი დაკეტილი იყო, ბიუროს წევრთაგან კი შინ მხოლოდ ნინკა შენემანი დამხვდა. მე ის არ მიყვარდა და მასთან ასეთ საქმეზე ლაპარაკი არ მინდოდა. ჩემის აზრით, ის ჩერჩეტი იყო.

მე ვალკას ვუცდიდი, მაგრამ დრო გადიოდა და ის კი არსადა ჩანდა, რა თქმა უნდა, ზოობაღში იყო! მე მკვახე კილოთი დაწერილი ბარათი დავუტოვე—იმ შემთხვევისთვის, თუ გზაზე ავცდებოდი, და პრესნიაზე წავედი.

ამჯერად ვალკა მაშინვე ვერ ვიპოვე.

— ეუკოვი პროფესორთან არის—მითხრა თხუთმეტიოდე წლის ბიჭმა, რომელიც ოდნავა ჰგავდა ვალკას ისეთივე კეთილი და ოდნავ შეშლილის სახით.

— პროფესორი სადღაა?

— შემოვლაზეა.

ხელმეორედ შევეკითხე.

— ბაღშია შემოვლაზე.

აქამდე ისე მეგონა, რომ პროფესორები მხოლოდ საავადმყოფოებში დადიან შემოვლაზე, მაგრამ ბიჭუნამ მოთმინებით ამიხსნა, რომ არა მარტო საავადმყოფოში, არამედ ზოოპარკშიაც დადიან, და რომ ამ შემთხვევაში პროფესორმა ავადმყოფებს კი არ უნდა შემოუაროს, არამედ მხეცებს.

— თუმცა ხდება, რომ მხეცებიც ავადმყოფობენ,—დაუმატა დაფიქრების შემდეგ,—ოღონდ, რა თქმა უნდა, უფრო იშვიათად.

ეს ცნობილი პროფესორი რ... იყო, რომლის შესახებაც ლაპარაკით ვალკამ ყურები გამომიჭედა. მაშინვე მივხვდი, რომ სწორედ ის იყო და მივხვდი ისევ იმიტომ, რომ ისიც ვალკასა ჰგავდა, მხოლოდ მოხუც ვალკას: დიდცხვირა, დიდრონი სათვალით, გრძელ ქურქში, კრაველის წოწოლა ქუდით.

პროფესორი მაიმუნების შენობასთან იდგა და მის გარშემო საკმაოდ ბევრი ხალხი ირეოდა. პალტოს ზემოდან ყველას თეთრი ხალათები ეცვათ. მთელი ეს ხალხი თითქოს მისკენ მიიწევდა; თითქოს ყველას სურდა, რაიმე ეამბნა მისთვის. მაგრამ ის მხოლოდ ვალკას უსმენდა, სწორედ ვალკას და ქუდიდან დანაოჭებული ყურიც კი გამოეწია.

შორიახლოს გავჩერდი. ეტყობოდა, როგორ ღელავდა ვალკა, თვალებს ახამხამებდა. „ყოჩაღ“,—გავიფიქრე, მე თვითონ არ ვიცი რატომ.

ის კარგა დიდხანს ლაპარაკობდა, პროფესორი კი სულ უსმენდა, ბოლოს იმანაც თვალების ხამხამი და ცხვირის სრუნტვა დაიწყო. ერთხელ პირიც დააღო, ეტყობა რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ვალკამ ენერგიულად და გაჯავრებით მიიწია მისკენ და პროფესორმა მორჩილებით პირი მოკუმა.

ძლივს გაათავა ვალკამ, პროფესორმა ყური ქუდის ქვეშ შემალა და ჩაფიქრდა. უეცრად, რაღაც გაკვირვებით ვალკას მხიარულად შხარზე ხელი დაჰკრა და ნამდვილი ცხენივით შეიჭიხვინა. ყველანი ხმამაღალი ლაპარაკით ადგილიდან დაიძრნენ. ვალკა კი იდიოტური აღფრთოვანებული გამომეტყველებით გაშეშდა. დრო ვიხელთე და დავუძახე:

— ვალკა.

— ოჰ, შენა ხარ!

არასოდეს არ მენახა ასეთი აღელვებული, ცრემლებიც კი ადგა თვალებზე. დაბნეულად იღიმებოდა.

— რა მოგივიდა?

— როგორ?

— ტირი?

— რასა ტყუი?—მიპასუხა ვალკამ.

თვალები მუშტით მოიწმინდა და სიხარულით ღრმად ამოისუნთქა.

— ვალკა, რა მოხდა?

— ისეთი არაფერი. უკანასკნელ დროს გველებზე ვმუშაობდი და ერთი საინტერესო რაიმეს დამტკიცება შევძელი.

— რისი?

— რომ ჭრელ გველებში ასაკის მიხედვით სისხლის შეცვლა ხდება.

გაკვირვებით შევხედე: ჭრელ გველებს ასაკის მიხედვით სისხლი ეცვლებათ და ამის გამო შენ სიხარულით იტირო? ვერ წარმოვიდგინა ამისთანა რამით ასეთი აღტაცება.

— მომილოცნია,—ვუთხარი, მე,—მოსალაპარაკებელი მაქვს შენთან. როგორა ხარ? შეგიძლია მომისმინო?

— შემიძლია.

ჩვენ თაგვებთან წავედით.

— იცი, რომ ჩემი გარიცხვა უნდათ სკოლიდან?

ეტყობა, ვალკამ იცოდა ეს, მაგრამ სრულიად დავიწყებოდა! ჯერ ფართოდ გააღო თვალები, შემდეგ შუბლში ხელი შემოიკრა და თქვა:

— ჰო, ჰო! ვიცი.

— ბიუროზე იმსჯელეს?

ოდნავ ჩახრინწული ხმა მქონდა. ვალკამ თავი დამიქნია.

— გადაწყვიტეს, შენთვის დაეცადათ.

გულზე მომეშვა.

— შეიტანე რომაშკას შესახებ უჯრედში?

ვალკამ თვალი ამარიდა.

— იცი რა,—წაილუღლუღა მან,—უჯრედში კი არ შემიტანია, ისე ვუთხარი, რომ, თუ კიდევ ჩამაცივდები, მაშინ შევიტან-მეთქი. მითხრა, აღარ ვიზამო.

— მაშ ასე! შენთვის სულ ერთია, რომ მე სკოლიდან მრიცხავენ.

— რათა?—შეძრწუნებულმა იკითხა ვალკამ.

— იმიტომ, რომ მხოლოდ შენ ერთს შეგეძლო დაგედასტურებინა, რომ რომაშკას მე მარტო პირადი მიზეზების გამო არა ვცემე. შენ კი მხდალი ხარ და შენი სიმხდალე სისაზიზღრემდე მიდის. შენ უბრალოდ გეშინია გამომექომაგო.

გულქვაობა იყო ასეთი სიტყვების თქმა ვალიასათვის. მაგრამ საშინლად ვიყავი მასზე გაბრაზებული. ჩემი აზრით, რომაშკა საზოგადოებრივად მავნე ტიპი იყო, რომელთანაც საჭირო იყო ბრძოლა.

— დღეს შევიტან,—ჩამწყდარი ხმით თქვა ვალკამ.

— კეთილი,—ვუთხარი მკვახედ.—მხოლოდ იცოდე, რომ მე არ გეხვეწები ამას. მე მხოლოდ როგორც კომკავშირელის, შენ მოვალეობად მიმაჩნია ეს. ახლა კი ყური მიგდე: კორაბლიოვმა გთხოვა, მასთან შეიარო.

— როდის?

— ახლავე.

ხვეწნა დამიწყო, თხუთმეტი წუთი მაინც მაცალეო, რომ რაღაც ლაქებიანი გომბეშოსათვის ეჭმია, მაგრამ მე ყური არ ვათხოვე, პალტო ჩავაცვი და კორაბლიოვთან წავიყვანე...

ნახევარი საათის შემდეგ ძალიან გაჯავრებული დაბრუნდა, დიდხანს ქშინავდა და თან ცხვირს იზელავდა, თურმე კორაბლიოვს უკითხავს, მართლა ვერ იტან ღამე რომ გიყურებენო? ამინ განაცვიფრა.

— არ მესმის, საიდან გაიგო! შენ უთხარი არა, მხეცო?

— არა, მე არ მითქვამს,—ვიცრუე.

— რაც მთავარია, მეკითხება: „თუ სიყვარულით გიყურებენო?“.

— მერე?

— მე ვუთხარი, „მაშინ არ ვიცი-მეთქი“...

ექვსის ნახევარზე დარაჯი მოვიდა.

— გრიგორიევო, პედსაბჭოზე გთხოვენ.—ზრდილობიანად მითხრა მან.

თავი მეთვრამეტე

უკან დასახევ გზებს აღარ ვიტოვებ

ეს ჩვეულებრივი სხდომა იყო ჩვენს პატარა სამასწავლებლოში, ლურჯ ფოჩებჩამოგლეჯილ მაუდის სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან. მაგრამ მე მომეჩვენა, რომ ყველა რაღაც იდუმალი და საქმიანი გამომეტყველებით შემომცქეროდა. სერაფიმას ბოტები ეცვა და ესეც კი თითქოს რაღაც გამოცანად მეჩვენა. რომ შევედი, კორაბლიოვი იცინოდა. გავიფიქრე, „განგებ“ იცინის-მეთქი.

— აბა, გრიგორიევო,—ლმობიერად დაიწყო ნიკოლაი ანტონიჩმა,—რა თქმა უნდა იცი, რად გამოგიძახეს ამ სხდომაზე. შენ უსიამოვნება მოგვაყენე ჩვენ და არა მარტო ჩვენ, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელ სკოლასაც. უსიამოვნება მოგვაყენე შენი ველური, უღირსი მოქმედებით, შეუფერებელი საქციელით ადამიანური საზოგადოებისათვის, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის განვითარებასაც უნდა შეეუწყოთ ხელი ჩვენი ძალისა და შესაძლებლობის მიხედვით.

— გთხოვთ შემეკითხოთ,—ვუთხარი მე.

— ნიკოლაი ანტონიჩ, ნება მიბოძეთ,—ფიცხლად ჩაერია კორაბლიოვი.—გრიგორიევო, აბა გვიამბე, სად გაატარე ეს ცხრა დღე სკოლიდან გაქცევის შემდეგ.

— მე არ გავქცეულვარ, ენსკში წავედი,—ვუპასუხე მშვიდად.—იქ ჩემი და ცხოვრობს, რომელიც თითქმის რვა წელიწადია არ მენახა. ეს შეუძლია დაადასტუროს მოსამართლე სკოვოროდნიკოვმა, ვისთანაც ვიყავი ბინად, გოგოლის ქუჩაზე ცამეტ ნომერში. ბარკუზეს ყოფილ სახლში.

მე რომ პირდაპირ მეთქვა—ეს ცხრა დღე კატია ტატარინოვა-

სთან ერთად გავატარე, რომელიც ენსკში იმიტომ გაგზავნეს, რომ ჩვენ არდადეგებზე მაინც არ შევხვედროდით-მეთქი ერთმანეთს, მაშინაც კი არ მოახდენდა ჩემი სიტყვები ამაზე მეტ შთაბეჭდილებას ნიკოლაი ანტონიჩზე! იგი გაფითრდა, თვალები აახამხამა და თავი მორჩილად გვერდზე დახარა.

— მერე, რატომ არავის შეატყობინე შენი წასვლის შესახებ?— მკითხა კორაბლიოვმა.

მე ვუპასუხე, თავს დამნაშავედ ვთვლი დისციპლინის დარღვევისათვის და პირობას ვიძლევი, რომ ასეთი რამ აღარ გამეორდება-მეთქი.

— მშვენიერია, გრიგორიევო,—მითხრა ნიკოლაი ანტონიჩმა.— აი ეგ მშვენიერი პასუხია. ის დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ასევე დამაკმაყოფილებლად ახსნა სხვა შენი მოქმედებანიც.

იგი ალერსიანად მიყურებდა. საოცრად იცოდა თავის დაჭერა.

— ახლა გვიამბე, რა მოხდა შენ და ივან ვიტალიევიჩის შორის.

აქამდის ვერ გამიგია, რატომ მოხდა, რომ ჩემი და ლიხოს განწყობილების შესახებ ლაპარაკის დროს ერთხელაც არ წამომცდენია „იდეალიზმი“. ალბათ რაკი ლიხომ მომხსნა ეს ბრალდება, იმის შესახებ ლაპარაკი საჭიროდ აღარ ჩავთვალე. ეს საშინელი შეცდომა იყო, გარდა ამისა საჭირო არ იყო იმის თქმა, რომ თხზულებებს „კრიტიკოსების“ გარეშე ვწერ. ეს არავის არ მოეწონა. კორაბლიოვმა შუბლი შეიკრა და ხელი მაგიდაზე დადო.

— მაშ, როგორც ჩანს შენ კრიტიკა არ გიყვარს,—უწყინარად მკითხა ნიკოლაი ანტონიჩმა.—რა უთხარი ივან ვიტალიევიჩს? სიტყვასიტყვით გაიმეორე.

მთელ პედაგოგიური საბჭოს წინაშე გამემეორებინა ის, რაც მე ლიხოს ვუთხარი! ეს შეუძლებელი იყო! ლიხო რომ ისეთი რეგვენი არა ყოფილიყო, თვითონვე ამაშორებდა ამ კითხვას. მაგრამ ის მხოლოდ მე მიყურებდა გამარჯვებული სახით და მეტი არაფერი.

— აბა!—წარმოთქვა ნიკოლაი ანტონიჩმა.

— ნიკოლაი ანტონიჩ, ნება მიბოძეთ,—მიმართა მას კორაბლიოვმა.—ჩვენ უკვე ვიცით, რა უთხრა მან ივან ვიტალიევიჩს. სასურველი იყო გაგვეგო, რითა ხსნის გრიგორიევი თავის მოქმედებას.

— ბოდიში, ბოდიში,—თქვა ლიხომ.—მე მოვითხოვ რომ გაიმეოროს! დოსტოევსკის სკოლის დეფექტური მოწაფეებისაგანაც კი არა მსმენია ასეთი რამ.

მე ვდუმდი. რომ შემძლებოდა სხვისი ფიქრების წაკითხვა, ალ-

ბათ კორაბლიოვის თვალებში ამოვიკითხავდი: „სანია, თქვი რომ „იდეალიზმზე“ გაჯავრდი, მაგრამ მე ეს არ შემეძლო.

— აბა!—დამცინავი კილოთი გაიმეორა ნიკოლაი ანტონიჩმა.

— არ მახსოვს,—წავიბუტბუტე მე.

ეს სისულელე იყო, რადგანაც ყველასათვის ნათელი გახდა, რომ მე ვიცრუე. ლიხომ წაიფრუტუნა.

— დღეს გამლანძღა ცუდი ნიშნისათვის, ხვალ კი ყელს გამომჭრის,—თქვა მან.—ოჰ, რა ხულიგნობაა!

მე კელავ, როგორც მაშინ კიბეზე, მომინდა ერთი წიხლი ჩამეზილა მისთვის, მაგრამ, რასაკვირველია, თავი შევიკავე, პირი მაგრად მოვკუმე, ვდუმდი და კორაბლიოვის ხელს შევცქეროდი. ხელი ასწია, ოდნავ დაჭკრა რამდენჯერმე მაგიდას და ისევ თავის ძველ ადგილზე დადო.

— რასაკვირველია, თხზულება ცუდია,—ვთქვი და თანა ვცდილობდი თავი შემეკავებინა. თან მძულვარებით ვფიქრობდი, როგორ გამოვსულიყავი ამ სულელური მდგომარეობიდან.

— შეიძლება „ძლიერ სუსტზე“ არ იყოს დაწერილი, რადგანაც ასეთი ნიშანი საერთოდ არ არსებობს, მაგრამ მე ვგრძნობ, რომ თხზულება მაინცდამაინც ვერაფერი შვილია. მოკლედ, თუ საბჭო დაადგენს, ბოდიშს მოვიხდი.

როგორც ჩანს, ესეც სისულელე იყო, ყველანი ისე ახმაურდნენ, თითქოს კაცმა არ იცის, რა ვთქვი, და კორაბლიოვმა აშკარა უკმაყოფილებით შემომხედა.

— ჰო, გრიგორიევო,—არაბუნებრივი ღიმილით მომმართა ნიკოლაი ანტონიჩმა,—მაშ შენ მზადა ხარ ბოდიში მოიხადო ივან ვიტალიევიჩის წინაშე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას საბჭო დაადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენ დამნაშავედ არა სთვლი თავს. რას იზამ! მივიღებთ ცნობად და სხვა საკითხზე გადავალთ.

„... შენი მომავალი საფოთხეში ჩააგდო სულელური თავმოყვარეობის გულისათვის,“—მომაგონდა ეს სიტყვები.

— ბოდიშს ვიხდი.—მივუბრუნდი ლიხოს და უხერხულად ვუთხარი.

მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩმა უკვე დაიწყო ლაპარაკი, ლიხომაც თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც გაუგონია.

— მითხარი, გრიგორიევო, აი შენ გალახე რომაშოვი, სახეში ფეხი ჩასცხე და ისე მძიმედ დაასახიჩრე იგი, რომ შენი ამხანაგის რომაშოვის ჯანმრთელობა შერყეულია, რითი ხსნი ასეთ, ჩვენი სკოლის კედლებში არგაგონილ მოქმედებას?

მგონი ყველაზე ძალიან ის მძულდა ამ წუთში, თავისი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკისათვის. მაგრამ კორაბლიოვის ხელი მეტყველად აიწია მაგიდის ზემოთ და მე ალელვებამ გადამიარა.

— ჯერ ერთი, მე რომაშოვს არა ვთვლი ჩემ ამხანაგად, ასეთი ამხანაგი ჩემთვის თავის მოჭრა იქნებოდა! — მეორეც, მე ბას მხოლოდ ერთხელ გავარტყი, და მესამეც, რაღაც არ ეტყობა, რომ ჯანმრთელობა შერყეოდეს!

ყველა გულისწყრომით ახმაურდა, მაგრამ კორაბლიოვმა ოდნავ შესამჩნევად დამიქნია თავი.

— ჩემი მოქმედება შეიძლება აიხსნას ასე, — განვაგრძობდი სულ უფრო დამშვიდებულად. — მე რომაშოვს უსინდისო ადამიანად ვთვლი და, როდესაც გნებავთ, მაშინ შემიძლია ამის დამტკიცება. მე კი არ უნდა მეცემნა, საზოგადოებრივი სასამართლო უნდა გამემართა და მთელი სკოლა მომეწვია.

ნიკოლაი ანტონიჩს უნდოდა შეევჩერებინე, მაგრამ მე ყური არ ვათხოვე.

— რომაშოვი — ეს ტიპიური ნეპმანია, რომელიც მხოლოდ ფულზე ლაპარაკობს და მხოლოდ ერთს ფიქრობს — როგორ გამდიდრდეს! ვისგან შეიძლება ვახშით ფულის შოვნა? რომაშოვისაგან! ვისგან შოულობენ გოგოები პუდრსა და პომადას? რომაშოვისაგან. ერთ კოლოფ პუდრს იყიდის და მერე თითო მწიკვსა ჰყიდის. ის საზოგადოებრივად მავნე ტიპია, მთელ სკოლას აფუჭებს.

შემდეგ სულ ამგვარად განვაგრძობდი, თითქოს მართლაც სასამართლოში საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვდიოდი. ზოგჯერ ჩემი სიტყვა თითქოს გაერ კულის წარმოთქმულ სიტყვებსა ჰგავდა, მაგრამ არ მეცალა ამ მსგავსებაზე მეფიქრა.

— მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია! მე ვამტკიცებ, რომ რომაშოვი ფსიქოლოგიურად მოქმედებს უფრო სუსტ ბავშვებზე, იმ მიზნით, რომ ხელში ჩაიგდოს ისინი. თუ მაგალითია საჭირო — ინებეთ ვალია ეუკოვი. რომაშოვმა ისარგებლა იმით, რომ ვალია ნერვიულია და ყოველგვარი სისულელით დააშინა. რას უშვრება ვალიას? ჯერ პატიოსან სიტყვას ჩამოართმევს და მერე უამბობს თავის საზიზღარ საიდუმლოებებს. პირდაპირ განცვიფრებული ვიყავი, როდესაც ეს გავიგე. კომკავშირელი, რომელიც პატიოსან სიტყვას იძლევა და მერე რაზე? რომ არავის არ უამბობს. — რას? რაც ჯერ თვითონაც არ მოუსმენია! რა ეწოდება ამას? მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია.

კორაბლიოვი უკვე დიდი ხანია, ხელის გულს მაგიდას არტყამდა. მაგრამ მე აღარა ვფიქრობდი — ვღელავდი თუ არა. მე ისე მეგონა, რომ ოდნავადაც არა ვღელავდი.

— ეს კიდევ ყველაფერი როდია! მე თქვენ გეკითხებით, — ვთქვი მე ხმამაღლა და ნიკოლაი ანტონიჩს მივუბრუნდი. — შეიძლებოდა ჩვენ სკოლაში ეარსება ასეთ რომაშოვს, მას რომ მფარველები არა ჰყოლოდა? არა. და ასეთი მფარველები ჰყავს მას! ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, ერთი მათგანია ცნობილი — ნიკოლაი ანტონიჩი!

ეს კარგად იყო ნათქვამი! მე თვითონ არ მოველოდი, ასე გაბედულად თუ ვიტყოდი. ყველა გაიტვრინა, მთელი პედაგოგიური საბჭო, და ელოდნენ, რა მოხდებოდა. ნიკოლაი ანტონიჩს გაეცინა და გაფითრდა. თუმცა ის ყოველთვის ფითრდებოდა სიცილის დროს.

— როგორ დაგიმტკიცოთ ეს? ძალიან უბრალოდ, ნიკოლაი ანტონიჩს ყოველთვის აინტერესებდა — რას ლაპარაკობენ მის შესახებ ჩვენ სკოლაში. არ ვიცი, რისთვისა სჭირდება ეს. ფაქტია, რომ ამ მიზნისათვის მან რომაშოვი დაიქირავა. მე ვამბობ, სწორედ დაიქირავა იმიტომ, რომ რომაშოვი უფასოდ არაფერს აკეთებს. დაიქირავა და რომაშოვმა დაიწყო ჩუმად ყურის მიგდება და ამბის მიტანა. მერე ის ეუკოვს პატიოსან სიტყვას ართმევდა და უამბობდა თავის ამბიტანიაობის შესახებ. თქვენ შეგიძლიათ მკითხოთ — მერე შენ რაღასა სდუმდიო? მე ეს წასვლის წინა დღეს გავიგე და ეუკოვი მაშინ დამპირდა, რომ უჯრედში შეიტანდა განცხადებას, მაგრამ მან ეს მხოლოდ დღეს გააკეთა.

მე გავჩუმდი. კორაბლიოვმა მაგიდიდან ხელი აიღო და ცნობისმოყვარეობით ნიკოლაი ანტონიჩისკენ მიბრუნდა, თუმც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ერთადერთს მას ეჭირა თავი ასე თავისუფლად. სხვა პედაგოგები რაღაც უხერხულობასა გრძნობდნენ.

— გრიგორიევო, გაათავე შენი ახსნა-განმარტებანი? — თავშეკავებით მკითხა ნიკოლაი ანტონიჩმა, თითქოს არაფერი მომხდარაო.

— დიახ, გავათავე.

— იქნება შეკითხვები აქვს ვინმეს?

— ნიკოლაი ანტონიჩ, — თავაზიანად მიმართა კორაბლიოვმა, — ჩემი აზრით, შეგვიძლია გავუშვათ გრიგორიევი. იქნება ახლა ეუკოვი ან რომაშოვი გამოვიძახოთ?

ნიკოლაი ანტონიჩმა ჟილეტის ზედა ღილი შეიხსნა და გულზე ხელი დაიდო. იგი კიდევ უფრო მეტად გაფითრდა, კეფაზე გადავარცხნილი თხელი თმის ჯალჯი კეფიდან უეცრად შუბლზე ჩამოეშალა. საკარძლის ზურგს მიეყრდნო და თვალები დახუჭა. ყველანი მას მისცვივდნენ. ასე დამთავრდა სხდომა.

თავი მეცხრამეტე

ძველი მეგობარი

სკოლაში მხოლოდ ჩემს სიტყვაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც მე პედაგოგიურ საბჭოზე წარმოვთქვი, და ამან ძალიან გამართო. მეტისმეტი იქნებოდა მეთქვა, რომ გმირად მიმაჩნდა თავი, მაგრამ მაინც მეზობელი კლასის გოგონები ჩემ სანახავად მოდიოდნენ და საკმაოდ ხმამაღლა მსჯელობდნენ ჩემს გარეგნობაზე. ჩემს სიცოცხლეში პირველად მეპატია პატარა ტანი. ისიც კი აღმოჩნდა, რომ მე ჩარლი ჩაპლინს ჩამოვგავდი. ტანია ველიჩკო, რომელსაც სკოლაში დიდ პატივსა სცემდნენ, ჩემთან მოვიდა და მითხრა, რომ არდადეგებზე სისტემატურად შენ წინააღმდეგ გამოვდიოდი, ახლა კი ჩემი აზრით, ძალიან სწორედ მოიქეცი, რომ რომაშკას სახეში გაარტყიო.

— მაგრამ შენ ჯერ უნდა დაგემტკიცებინა, რომ ის საზოგადოებრივად მავნე ტიპია,—მითხრა მან გონივრულად.

ერთი სიტყვით, გამიკვირდა და მეწყინა, როცა სწორედ სახელის მოხვეჭის დროს კომკავშირის უჯრედმა სასტიკი საყვედური გამომიტანა გაფრთხილებით. პედაგოგიური საბჭო აღარ შეკრებილა ნიკოლაი ანტონიჩის ავადმყოფობის გამო, მაგრამ კორაბლიოვმა მითხრა, შესაძლებელია სხვა სკოლაში გადაგიყვანონო.

ეს მაინცადამაინც გასახარელი არ იყო და, რაც მთავარია, ასე თუ ისე არც სამართლიანი! უჯრედის დადგენილებას ვეთანხმებოდი. მაგრამ სხვა სკოლაში გადამიყვანონ!? რატომ? იმიტომ, რომ რომაშკას უსინდისობა დავამტკიცე? იმიტომ რომ მე ვამხილე ნიკოლაი ანტონიჩი, რომელიც მას მფარველობდა? ასეთ ნაღვლიან გუნებაზე სამკითხველოში ვიჯექი, რომ კარებში ვიღაცამ ხმადაბლა იკითხა:

— რომელი?

და კარიბჭეზე აყლაყუდა, თმაწითელი ქოჩორა ბიჭი დავინახე, რომელიც გაკვირვებული მიყურებდა.

წითელთმიანებს საერთოდ უყვართ დიდი ქოჩორი, მაგრამ ანბიუს თმა ისე ჰქონდა გაბურძგნილი, როგორც გეოგრაფიის სახელმძღვანელოში პირველყოფილ ადამიანს. საინტერესოა: რომ ჯერ სწორედ ეს გავიფიქრე და მხოლოდ მერე მივხვდი, რომ ეს პეტკა—პეტკა სკოვოროდნიკოვის ბრწყინვალება დგას ჩვენი ბიბლიოთეკის ზღურბლზე და გაკვირვებული მიყურებს. მე წამოვხტი, მისკენ გავექანე და სიჩქარით სკამები წავაკეცე.

— პეტია!

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, მერე დავფიქრდით და გადავეხვიეთ.

— პეტია, როგორა ხარ? ცოცხალი ხარ, ჯანმრთელად? არ..., როგორ მოხდა, რომ ერთხელაც არ შევხვდით ერთმანეთს!

— ეგ შენი ბრალია, სულელო!—მიპასუხა პეტკამ.—სად არ გეძებდი, შენ კი თურმე სად შეგიფარებია თავი.

ძალიან ჰგავდა თავის სურათს, რომელიც სანიასთან ვნახე, ოღონდ სურათში თმა დაეარცხნილი ჰქონდა. როგორ მიხარ-ოდა! ოდნავადაც არა ვგრძნობდი უხერხულობას,—თითქოს ღვიძლ ძმას შევხვედროდე.

— პეტკა! ეშმაკმა დალახვროს, კარგია, რომ მოხვედი! შენთან წერილები გამომატანეს! აჰა, დაიჭი!

წერილები გადავეცი.

— როგორ მიპოვე? ენსკიდან მოგწერეს?

— ჰო! მეორე დღეა გელი. ვფიქრობ, არ მოდის-მეთქი, უსინდისო. მოხუცები როგორ არიან?

— მოხუცები ალჩუზე არიან,—ვუპასუხე მე.

მას გაეცინა.

— მე მეგონა თურქესტანში იყავი. რა ჰქენი? ვერა და ვერ მიაღწიე?

— შენა?

— მე ვიყავი,—მითხრა პეტკამ.—მაგრამ არ მომეწონა. ცხელა. ერთთავად წყურვილი გკლავს. ციხეში ჩამსვეს, აქაურობა მომენატრა და დავბრუნდი. შენ იქ სული ამოგძვრებოდა.

საწოლ ოთახში გავიყვანე, მაგრამ ბავშვები შემოგვეხვივნენ. შიგ პირში დაგვიწყეს ყურება,—და უეცრად აღმოჩნდა, რომ ჩვენს სკოლაში თურმე კუთხეს ვერ იპოვი, რომ ვისმეს დაელაპარაკო.

— მოდი ქუჩაში გავიაროთ,—მითხრა პეტკამ,—ამინდი კარგია, შინ რა გავაკეთოთ? ან თუ გინდა ჩემთან წავიდეთ?

— მარტო ცხოვრობ?

თითებით მაჩვენა: ორნიო.

— ცოლი შეირთე?

მან მუშტი მომიღერა.

— ამხანაგთან ერთად.

გზაში საკმელად ენსკიდან ჩამოტანილი ნამცხვრის თითო ვეებერთელა ნაჭერი ავიღეთ და პირგამოტენილები ლაპარაკით კიბეებზე დავეშვით. და აი აქ ძალიან უცნაური შეხვედრა მოხდა.

პირველ სართულზე გეოგრაფიის კაბინეტთან ციყვის საყელოიან ქურქში ჩაცმული ქალი მოაჯირთან იდგა და ძირს იყურებოდა. ჯერ მომეჩვენა, რომ გადავარდნას აპირებდა, — თვალებდახუჭული მოაჯირთან ბარბაცებდა. მაგრამ ჩვენ ალბათ შევაშინეთ და ის გაუბედავად კარებისკენ წავიდა. მარია ვასილევნა იყო, მაშინვე ვიცანი, თუმცა თავის თავს არა ჰგავდა. მარტო რომ ვყოფილიყავი, იქნებ გამომლაპარაკებოდა კიდეც. მაგრამ პეტკა მახლდა თან და, გარდა ამისა, სწორედ ამ წუთში ნამცხვარსა ვჭამდი და მხოლოდ უხმოდ დამიქნია თავი ჩემს უხერხულ სალამზე და იქით მიბრუნდა.

მას შემდეგ, რაც მე უკანასკნელად ვნახე, გამხდარიყო. სახეც გაქვავებული და მოღუშული ჰქონდა. ამ ფიქრებით ქუჩაში გამოვედით და სასეირნოდ გავწიეთ. კვლავ ორნი, კვლავ ზამთარში, კვლავ მოსკოვში, დიდი ხნის განშორების შემდეგ.

საოცარია, როგორა ჰგავდა პეტიას თავგადასავალი ჩემსას! დაღონებული ვუსმენდი და თითქოს ჯერ ისევ ბავშვობაში წაკითხული და სიმწარითა და მღელვარებით განცდილი წიგნი მაგონდებოდა, მაგრამ საოცარია! მომეჩვენა, რომ მაშინ ჩვენ უფრო გამოცდილები და უფრო დიდები ვიყავით... პატარა მოხუცებივით.

ტაშკენტში პეტკამ სახელი გაითქვა, როგორც იხვების მუსრის გამვლებმა. რა თქმა უნდა, გარეული იხვებისა კი არა, შინაურის. იხვებს ნაპირზე გამორეკავდა, მერე თავებს გადაუგრეხდა და საბავშვო სახლის ეზოში ცეცხლზე სწვავდა. ამისთვის ბოლოს და ბოლოს ციხეში ჩასვეს, სადაც სამუდამოდ შეიძულა გარგარი. ციხეში საუზმეზე, სადილად და ვახშმადაც გარგარის ჩენჩოს აკმევდნენ. შემდეგ ციხიდან გამოუშვეს. მოსკოვში დაბრუნდა და ყაზანის სადგურზე ალყაში მოჰყვა. სკოლაში ჩემზე ერთი წლით გვიან შევიდა და მხოლოდ შარშან დამეწია, ერთი კლასით გადახტა.

— გახსოვს: „ფე! ფე! იაკ სმიეშ ტაკ რობიც!“

— მახსოვს. ეს თუ გახსოვს: „ვინც ამ პატიოსან სიტყვას ულალატებს, პატიებას ნულარ ელის, ვიდრე არ დასთვლის რამდენიხეა ტყეში, რამდენი ვარსკვლავი ჩამოვარდება ციდან...“

მე ბოლომდის ვთქვი ფიცი.

— რა კარგია! —სიამოვნებით თქვა პეტიამ.—კარგი ფიცია— „იბრძოლე და ეძიე! ჰპოვე და უკან არ დაიხიო“.

— გახსოვს, ბიძაშენს როგორ ვეძებდით?—სიტყვა გავაწყვეტინე,— მართლა, სად არის? იპოვე?

ბიძა თურმე ფრონტზე გარდაცვლილიყო პარტახტიანი ტიფით.

— ის თუ გახსოვს?..

ასე ვლაპარაკობდით მთელი გზა „გახსოვს“... რატომღაც ძალიან ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით, გამალებით ბარდნიდა, ბულვარებზე ბევრი ბავშვები იყვნენ, ერთმა ახალგაზრდა გადიამ შემოგვხედა და გაეცინა.

— დაიცა, ასე რად მივქრივართ?—მკითხა პეტკამ და ნაბიჯი შევანელეთ.

— პეტია, ერთი წინადადება მაქვს,—ვუთხარი მე, როდესაც სეირნობით მოღლილები კაფეში ვისხედით ტვერსკოიზე.

— თქვი!

— მე წავალ ტელეფონით დავრეკავ, შენ კი ყავა სვი და ჩუმად იყავი.

იმას გაეცინა.

— სასაცილოა.—თქვა მან. მე შევნიშნე, რომ პეტკას უყვარს თქმა „სასაცილოა“ და „სულელო!“

ტელეფონი ჩვენი მაგიდიდან შორს იყო, ზედ შემოსასვლელში, და მე განგებ ხმამაღლა ვლაპარაკობდი.

— კატია, ძალიან მინდა ერთმანეთს გაგაცნოთ. მოდი, კარგი? რას აკეთებ? ჩემთვის, სხვათა შორის, აუცილებელია—მოგელაპარაკო.

— ჩემთვისაც. მოვიდოდი, მაგრამ ჩვენთან ყველანი ავად არიან.—სევდიანად ლაპარაკობდა და უეცრად მომინდა მისი ნახვა.

— როგორ ყველანი? ეს არის ახლა ვნახე მარია ვასილევნა.

— სადა?

— კორაბლიოვთან მიდიოდა.

— ო, ო,—რაღაც უცნაურად თქვა კატიამ,—არა, დიდედაჩემია ავად.

— რა დაემართა?

— რა ვიცი, სკამიდან გადმოვარდა,—გულმოსულმა თქვა კა-

ტიამ.— რიღასთვისაც თაროზე აფოფხებულა და ზღართანი კი მოუდენია. ახლა გვერდი სტკივა. ხათაბალაა პირდაპირ! თან ერთი წუთით არ ისვენებს ლოგინში... სანია, წერილები მივეცი,— უეცრად ჩურჩულით დაუმატა კატიამ და მე ჩემდა უნებურად მილი უფრო მაგრა მივიკარ ყურზე.— ვუთხარი, რომ შენ ჩემთან ერთად იყავი ენსკში, და მერე მივეცი.

— მერე?— ჩურჩულითვე ვკითხე მე.

— საქმე ძალიან ცუდად არის, მერე გიამბობ. ძალიან ცუდად.

იგი გაჩუმდა და ტელეფონში მისი სუნთქვა გავიგონე.

ერთმანეთს გამოვეთხოვეთ და მაგიდასთან ისეთი გრძნობით დავბრუნდი, თითქოს ძალიან დამნაშავე ვიყავი კატიას წინაშე. სევდა შემომაწვა და რაღაც მოუსვენრობამ მომიცვა. პეტკა თითქოს მაშინვე მიხვდა ამას.

— მოიხედე,— მითხრა განგებ, რომ სხვა საგანზე ჩამოეგდო ლაპარაკი,— მამაჩემს მოელაპარაკე საფრენოსნო სკოლის შესახებ?

— ჰო!

— მერე რაო?

— მომიწონა.

პეტკა გაჩუმდა. გრძელი ფეხები გამოეშოტა, ისე იჯდა და ჩაფიქრებული ხელს იმ ადგილებზე ივლებდა, სადაც დროთა ვითარებაში წვერულვაში უნდა ამოსვლოდა.

— მეც უნდა მოველაპარაკო,— შენიშნა მან ენის ბორძიკით,— გესმის, შარშან სამხატვრო აკადემიაში მინდოდა შესვლა.

— მერე?

— წელს კი გადავიფიქრე.

— რატომ?

— ნიჭი რომ არ მეყოს?

გამეცინა. მაგრამ მას სერიოზული და საქმიანი სახე ჰქონდა.

— საერთოდ, თუ მაგაზე წავიდა საქმე, საკვირველია, რომ სამხატვრო აკადემიაში შედიხარ. მე კი ყოველთვის მეგონა, რომ შენ მოგზაური ან კაპიტანი გამოხვიდოდი!

— რასაკვირველია, ეგ უფრო საინტერესოა,— გაუბედავად თქვა პეტკამ,— მაგრამ რას იზამ, თუ ნიჭი მაქვს?

— მერე აჩვენე ვისმეს შენი ნ ამუშევარი?

— ვუჩვენე... ოვს.

მან ცნობილი ხეატვარი დამისახელა.

— მერე?

— არა უშავს რაო, მითხრა.

— მაშ გათავდა და მორჩა! უნდა შეხვიდე. ეგ, ძმაო, ღორობა იქნება, რომ შენი ნიკის პატრონი სადმე საფრენოსნო სკოლაში შეხვიდე. ხომ შეიძლება შენში მომავალი რეპინი დაღუპო.

— ეე... არა ერთი, ვითომ.

— ასე რომ იყოს?

— სულელო! დამცინი,—გაჯავრებით მითხრა პეტკამ,—ეგ სერიოზული საკითხია!

ფული გადავიხადეთ, გამოვედით და მთელი საათნახევარი ტვერსკოიზე დავხეტიალებდით. ვლაპარაკობდით ყველაფერზე,—ენსკიდან შანხაიში ძივფრინავდით, რომელიც მაშინ ახალი აღებული იყო სახალხო არმიის მიერ. შანხაიდან მოსკოვში, ჩემ სკოლაში. ჩემი სკოლიდან კი—პეტკას სკოლაში.—თან ვცდილობდით ერთმანეთისათვის დაგვემტკიცებინა, რომ ქვეყანაზე ტყუილად კი არა ვცხოვრობთ, არამედ ფილოსოფიური მიზანშეწონილობით.

კინო „არსში“ რომანოვების დამბობა მიდიოდა. ჩვენ ფოტოსურათების სანახავად შევჩერდით. ამალის ყველა ოფიცერი მეფეს ჩამოგავდა. იგი დიდ სასაცილო ავტომობილში იჯდა, რომელიც გაბახდელ ჩარდახიან ეტლსა ჰგავდა, და თავაზიანად იღიმებოდა.

— დიახ, ეშმაკმა იცის,—ამოიოხრა პეტკამ,—მდგომარეობა მართლაც საშინელია!

— მოდი, მე პირდაპირ გეტყვი, გაქვს ნიკი თუ არა.

— ბევრი კი გესმის?

— მესმის!

ჩვენ პეტკასთან წავედით.

შარშანდლამდის პეტკასაც ჩემსავით საბავშვო სახლში უცხოვრია, მერე თურმე ბედმა გაუღიმა: ერთ მუშფაკელს დაუმეგობრდა, რომელსაც „რაბოჩი მოედანზე“ ოთახი ჰქონდა, და ერთად დაიწყეს ცხოვრება. მუშფაკელი გვარად ხეიფეცი იყო. ჩვენ რომ მივედით, ხეიფეცს ეძინა.

— აი,—მითხრა პეტკამ, საწოლის ზურგზე ჩამოკიდული ლამპა მოხსნა და სურათებით დაფარულ, საკმაოდ ჭუჭყიან კედელზე ერთ-ერთ სურათს მიანათა. ჯერ შეუიარაღებელი თვალით ვუყურებდი, შემდეგ თვალები მოვჭუტე და მუშტში გავხედე.

პორტრეტი იყო—მაშინვე მივხვდი ვისი: პეტკას მეგობარი ხეიფეცისა, რომელმაც შუქის გადაადგილებით შეწუხებულმა სწო-

რედ ამ წამში გაახილა თვალები, ერთი ამოიოხრა, სახეზე ხელები მიიფარა და მაშინვე დაეძინა. შესანიშნავი პორტრეტი იყო: ჩაფიქრებული ბავშვური თვალები, სიმტკიცის გამომხატველი შუბლი, გადაჭიმული შეზრდილი წარბები.

— ტუშია?

— ჰო, თითქმის წყალია!—სევდიანად მიპასუხა პეტიამ.

სურათი თხელი ტუშით იყო დახატული. მაგრამ შავი და თეთრი კონტრასტების რა გრძნობით, რა ლაღად!

— ჰოო,—ვთქვი მე უნებლიე პატივისცემით.—აბა, კიდევ მაჩვენე რამე!

ყველა დანარჩენ სურათებზე—ჩემი და სანია გახლდათ. სანია ნავში, სანია ქურასთან, სანია უკრაინულ ტანსაცმელში და სანია ბებიასავით თავის ყვითელი ბეწვის ტყაპუჭში.

ჩემდა უნებურად მომაგონდა, როგორ შეკრთა სანია, როცა ვკითხე, პეტიას სურათი ხომ არა გაქვს-მეთქი, და როგორ მალე მომიტანა,—თითქოს კარებს უკან გავიდა და სურათი ჯიბიდან ამოიღო. რას იზამ! ფერი-ფერსა, როგორც მოსამართლე ამბობს. ტყუილად კი არ არის, რომ სანიაც სამხატვრო აკადემიაში აპირებს შესვლას.

სიმართლე უნდა ითქვას,—პეტკა არა ცდილა სანია უკეთესი დაეხატა, ვიდრე ნამდვილად იყო. მაგრამ, ეტყობა, სურდა მის სახეში მონღოლური ნაკვთებისთვის გაესვა ხაზი. თვალების ვიწრო ჭრილი, ფართო ლოყის ძვლები და გამოხედვა რაღაც აღმოსავლური, თათრული. შესაძლებელია ამიტომ იყო, რომ ზოგიერთ ტილოებზე ასე საოცრად ჰგავდა დედას.

ზოგიერთ სურათზე სანია უფრო ცუდად იყო დახატული, ვიდრე ხეიფეცი, მაგრამ სანია ქურასთან—საუცხოო იყო. მეტადრე ქურა: ქოთნებში პირდაპირ დუღდა ყველაფერი, ცომის თეთრი პატარა გუნდები ხტოდნენ, დუღდნენ.

— რა გითხრა, ძმაო, უტყუარია!

— რა?

— ნიჭი გაქვს.

პეტკამ ამოიოხრა.

— აბა, რა არის მხატვარი!—დაიწყო მან.—გულახდილად გეტყვი, რომ ხატვა არც კი მიყვარს. წინათ მიყვარდა, ახლა კი სულაც აღარ მიყვარს.

— სულელო, ამაზე კარგი რა არის!

— რათა,—გაჯავრებით მითხრა პეტკამ.—აი, შენ გინდა მფრინავი გამოხვიდე. შენ ეგ გაინტერესებს. მე კი ხატვა არ მიზიდავს.

— ჩუმად, გააღვიძებ.

— დიახ, როგორ არა, გაღვიძებ,—თქვა პეტკამ და გაჯავრებით შეხედა მუშფაკელს.

— მაგას ჰკითხე რჩევა?

— ეგ ძეუბნება, ავადმყოფი ხარო.

გამეცინა.

— მართლაც ხომ იყო ასეთი შემთხვევები,—თქვა პეტკამ,—მაგალითად ჩეხოვი, ექიმიც იყო—და მწერალიც.

— მართალი ხარ. იცი, მე შენ ადგილზე რას გავაკეთებდი?

— რასა?

— მფრინავად წავიდოდი და ერთ ოც წელს ვიფრენდი. მერე დავიწყებდი ხატვას.

— გადაეჩვევი, დაგავიწყდება!

გვიანობამდე ვიჯექი პეტკასთან, მაგრამ ხეიფეცს არა და არ გაღვიძებია. ვცადეთ გაგვეღვიძებინა, მაგრამ მას მხოლოდ ბავშვივით გაეცინა ძილში და გვერდი იცვალა.

თავი მეოცე

შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც ათი საათის შემდეგ სახლში დაბრუნებისას გულის კანკალით უნდა აგვეღლო გვერდი მრისხანე იაფეტისათვის, რომელიც უზარმაზარ ქურქში გახვეული შესავალი კარების წინ ტაბურეტზე იჯდა და ეძინა. კარგი იყო თუ ეძინა! ახლა სკოლას ვამთავრებდით და, როცა გვსურდა, მაშინ შეგვეძლო შინ დაბრუნება.

თუმცა ჯერ არც ისე გვიან იყო—თორმეტი სრულდებოდა, ბავშვები ისევ საუბრობდნენ, ვალია საწოლზე ფეხებაკეცილი იჯდა და რაღაცას წერდა.

— სანია, ივან პავლიჩმა გთხოვა, თორმეტამდის თუ დაბრუნდება, შემოიაროსო, ახლა რომელია?

— ნახევარი.

— მაშ გასწი.

პალტო წამოვისხი და კორაბლიოვთან გავიქეცი.

ეს არაჩვეულებრივი საუბარი იყო, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში და მე სრულიად დამშვიდებით უნდა გადმოგცეთ იგი. არ უნდა ვიღელვო, მეტადრე ახლა, როდესაც ამდენმა წელმა განვლო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო. მე რომ მივმხვდარიყავი, რა მნიშვნელობა ჰქონდა მარია ვასილევნასათვის თითოეულ ჩემ სიტყვას... მაგრამ ამ „რომ“-ს ბოლო არა აქვს, მე კი არც არაფერში ვიმართლებ თავს და არც ბრალსა ვდებ. ამგვარად, აი ის საუბარი.

მარია ვასილევნა კორაბლიოვთან დამიხვდა. მთელი საღამო იქა მჯდარიყო. მაგრამ კორაბლიოვთან კი არა, ჩემთან მოსულიყო, სწორედ ჩემთან და პირველი სიტყვისთანავე მითხრა ეს.

იგი იჯდა წელში გამართული, სახეგაქვავებული და დროდადრო ნაზი ხელით თმას ისწორებდა. მაგიდაზე ღვინო და ნამცხვარი ეწყო. კორაბლიოვი წამდაუწუმ სვამდა ღვინოს, მარია ვასილევნამ კი მხოლოდ ერთხელ მოსვა, არც გამოუცლია ჭიქა. პაპიროსს არ აქრობდა და ყველგან ფერფლი ეყარა, მის მუხლებზედაც კი. ყელზე ჩემთვის ნაცნობი ერთი პირი მარჯანი ეკეთა, რომელიც რამდენჯერმე სუსტად მოსწია, თითქოს მძივი ახრჩობდა. ეს იყო და ეს.

— შტურმანი იწერება, ამ წერილის ფოსტით გამოგზავნას ვერა ვბედავო.—თქვა მან.—და მიუხედავად ამისა, ორივე წერილი ერთ საფოსტო ჩანთაში კი აღმოჩნდა. რითი ხსნი ამას?

მე ვუპასუხე, არ ვიცი და, თუ ცოცხალია, საჭიროა ეს შტურმანსა ვკითხოთ-მეთქი.

მარია ვასილევნამ თავი გაიქნია.

— ეჰ, ცოცხალი რომ იყოს.

— შეიძლება მისმა ნათესავებმა იციან. ამას გარდა, მარია ვასილევნა,—ვუთხარი მოულოდნელი აღფრთოვანებით,—შტურმანი ხომ ლეიტენანტი სეიფოვის ექსპედიციამ იპოვა. აი, ვის ეცოდინება. შტურმანმა, დარწმუნებული ვარ, მათ ყველაფერი უამბო.

— ჰო, შესაძლებელია,—მიპასუხა მარია ვასილევნამ.

— მერე ჰიდროგრაფიული სამმართველოს პაკეტი! თუ შტურმანმა წერილები ფოსტით გაგზავნა, ალბათ, ის პაკეტიც იმავე ფოსტით უნდა გაეგზავნა. უნდა გავიგოთ.

მარია ვასილევნამ კვლავ თქვა:

— ჰო-ო.

გავჩუმდი. მარტო მე ვლაპარაკობდი, კორაბლიოვს ჯერ სიტყვაც არ დაეძრა. ვერ ვიტყვი, როგორი გამომეტყველებით უყურებდა მარია ვასილევნას. უეცრად მაგიდიდან დგებოდა და გულხელდაკრეფილი იწყებდა ოთახში ფეხაკრეფით სიარულს. ძალიან უცნაური იყო ამ საღამოს. თითქოს ფრინავს, თითქოს ფრთები ასხია, თითქოს ეს არის ულვაშები ქარზე ბუმბულივით გაეშლებაო. ეს არ მომწონდა. მე მესმოდა მისი: უხაროდა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი ისეთი საზიზღარი აღმოჩნდა, ამაყობდა, რომ მან იწინასწარმეტყველა ეს. ცოტათი ეშინოდა მარია ვასილევნასი და იტანჯებოდა: რადგანაც მარია ვასილევნაც იტანჯებოდა, მაგრამ უფრო მეტად მაინც სიხარულს გრძნობდა და ეს რატომღაც მეზიზღებოდა.

— ენსკში რას აკეთებდი?—უეცრად მკითხა მარია ვასილევნამ.—ნათესავები გყავს იქ?

— დიახ, ნათესავები მყავს, და მყავს,—ვუპასუხე მე.

— ძალიან მიყვარს ენსკი,—მიუბრუნდა მარია ვასილევნა კორაბლიოვს—მშვენიერია. რა ბაღებია! რაც ენსკიდან წამოვედი, ისეთი ბაღები აღარ მინახავს.

უეცრად ენსკზე დაიწყო ლაპარაკი. რატომღაც გვიამბო, რომ იქ სამი დეიდა ჰყავს რომელთაც ღმერთი არა სწამთ და ძალიან ამაყობენ ამით, და რომ ერთ მათგანს გეიდელბერგში აქვს დამთავრებული ფილოსოფიური ფაკულტეტი. მარია ვასილევნა წინათ არა ყოფილა ასეთი მოლაპარაკე. გაფითრებული, მშვენიერი, თვალებგაბრწყინებული იჯდა და პაპიროსს პაპიროსზე სწევდა.

— კატიამ მითხრა, რომ შენ თურმე კიდევ რაღაც წინადადებები მოგგონებია ამ წერილიდან.—განაგრძო მან და უცბად დეიდებიც დაავიწყდა და ენსკიც.—მაგრამ ვერ ვათქმევინე, რა წინადადებებია.

— დიახ, მომაგონდა.

მე მეგონა, ახლავე მთხოვდა, მეთქვა ის წინადადებები, მაგრამ ის სდუმდა, თითქოს აშინებდა მათი მოსმენა.

— აბა, სანია,—მოჩვენებითი რიხით მითხრა კორაბლიოვმა.

მე ვთქვი:

— იქ თავდებოდა: „სალამი შენი...“ სწორეა?

მარია ვასილევნამ თავი დამიქნია.

— შემდეგ კი ასე იყო: „შენი მონჰოტიმო ქორ-ბრეკალასაგან“.

— მონჰოტიმო?—გაოცებით ჩამეკითხა კორაბლიოვი.

— დიახ, მონჰოტიმო,—გავიმეორე მტკიცედ.

— „მონტიჰომო ქორ-ბრეუალა“,—გამისწორა მარია ვასილევნამ და ამჯერად ხმა ოდნავ აუთრთოლდა.—ოდესღაც ასე ვეძახდი მას.

შეიძლება ახლა ეს ოდნავ სასაცილოდ გვეჩვენოს, რომ კაპიტან ტატარინოვს იგი „მონტიჰომო ქორ-ბრეუალას“ უწოდებდა. მეტადრე ჩემთვის არის სასაცილო, იმიტომ რომ მე ახლა გაცილებით უფრო მეტი ვიცი მის შესახებ, ვიდრე ვინმე სხვამ დედამიწის ზურგზე. მაგრამ მაშინ ეს ოდნავადაც არ იყო სასაცილო: რაც ხანი აქ იყო მშვიდად ლაპარაკობდა და ახლა ასე უეცრად ათრთოლებული ხმა...

სხვათა შორის თურმე ეს სახელი სულაც არა ყოფილა გუსტავ ემარიდან, როგორც მე და კატიას გვეგონა, არამედ ჩეხოვიდან. ჩეხოვს აქვს ერთი მოთხრობა, რომელშიც ვიღაც წითელთმიანი ბიჭი თავის თავს მონტიჰომო ქორ-ბრეუალას უწოდებს.

— კარგით, მონტიჰომო,—ვუთხარი მე.—მე კი—მონჰოტიმო ბახსოვს!.. „როგორც ოდესღაც მიწოდებდი. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, ღმერთო ჩემო! თუმც მე არა ვჩივი. ჩვენ ერთმანეთსა ვნახავთ და ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ ერთი აზრი, ერთი აზრი მტანჯავს მე“. „ერთი აზრი“—ორჯერ მე კი არ გამიმეორებია, წერილში იყო ასე—ორჯერ.

მარია ვასილევნამ კვლავ დამიქნია თავი.

— „მწარეა აღიარება,—განვაგრძობდი გამოთქმით,—რომ ყველაფერი შეიძლებოდა სხვანაირად დატრიალებულიყო. ბედუკულმართობა გვდევდა ჩვენ და პირველი ბედუკულმართობა—შეცდომა, რის გამოც ყოველ საათსა და ყოველ წუთში ვისჯებით,—ის არის, რომ ექსპედიციის მოწყობა მე ნიკოლაის მივანდე“.

შეიძლება მე ტყუილად დავუსვი მახვილი უკანასკნელ სიტყვას, რადგან მარია ვასილევნა, რომელიც ისედაც ძალიან გაფითრებული იყო, უფრო გაფითრდა. გაფითრებული კი არა, რაღაც გადატეტკილი იჯდა ჩვენ წინ და ზედიზედ სწევდა თუთუნს. მერე რაღაც უცნაური სიტყვები თქვა,—და აი აქ იყო, რომ პირველად გავიფიქრე, შეშლილია-მეთქი. მაგრამ ამისათვის მნიშვნელობა არ მიმიცია, რადგან თითქოს კორაბლიოვიც რაღაც გიჟივით იყო ამ საღამოს. ოჰ, ის, ის კი მაინც უნდა მიმხვდარიყო, თუ რა დღეში იყო მარია ვასილევნა! მაგრამ მან მთლად დაჰკარგა თავი. ალბათ, უკვე ეჩვენებოდა, რომ ხვალ მარია ვასილევნა მას ცოლად გაჰყვებოდა.

— იმ სხდომის შემდეგ ნიკოლაი ანტონიჩი ავად გახდა,—მიუბრუნდა ის კორაბლიოვს,—ვუთხარი, ექიმს მოგიყვან-მეთქი,—არ ინდომა. მე არ მილაპარაკნია მასთან ამ წერილების შესახებ. მით უმეტეს, რომ ასეთ დაძმარებულ გუნებაზეა. მართლაც ხომ არა ღირს ჯერ?

იგი განადგურებული იყო, თავზარდაცემული, მაგრამ მე ჯერ კიდევ ვერაფერს მივმხვდარიყავი.

— ოჰ, მაშ ასე, არა ღირს,—ვუპასუხე მე,—ძალიან კარგი! მაშინ მე თვითონ გავაკეთებ მაგას! ასლს გავუგზავნი! წაიკითხოს!

— სანია!—თითქოს გონს მოვიდაო, დამიყვირა კორაბლიოვმა.

— არა, ივან პავლიჩ, მე ვეტყვი,—განვაგრძობდი მე,—იმიტომ რომ ეს ყველაფერი მაშფოთებს. ცხადია, რომ ექსპედიცია მის გამო დაიღუპა! ეს—ისტორიული ფაქტია! მას ბრალად სდებენ საშინელ ბოროტმოქმედებას და, ჩემი აზრით, თუ მაგაზე წავიდა საქმე, მარია ვასილევნამ, როგორც კაპიტანი ტატარინოვის მეუღლემ, თვითონ უნდა წაუყენოს მას ეს ბრალდება.

ის იყო არა მეუღლე, არამედ ქვრივი კაპიტანი ტატარინოვისა. ახლა ის ნიკოლაი ანტონიჩის ცოლი იყო და, მაშასადამე, ეს ბრალდება თავის ქმრისათვის უნდა წაეყენებინა. მაგრამ ვერც ამ გარემოებამ მოაღწია ჩემ შეგნებამდე.

— სანია!—კვლავ დამიყვირა კორაბლიოვმა.

მაგრამ მე უკვე გავჩუმდი. სათქმელი აღარაფერი მქონდა. ჩვენი ლაპარაკი ჯერ ისევ გრძელდებოდა, მაგრამ მე აღარაფერი მქონდა სალაპარაკო. მხოლოდ ვთქვი, რომ მიწა, რომელზედაც ლაპარაკია წერილში,—ეს ჩრდილოეთის მიწაა და, მაშასადამე, ჩრდილოეთის მიწა კაპიტანმა ტატარინოვმა აღმოაჩინა. მაგრამ უცნაურად გაისმა ყველა ეს გეოგრაფიული „გრძედი“, „განედი“ ამ ოთახში, ამ დროს.

კორაბლიოვი კვლავ დაფორიაქებდა ოთახში, მარია ვასილევნა კვლავ პაპიროსს სწევდა და მისი ტუჩებისაგან ვარდისფრად შეღებილი ნამწვების მთელი ხროვა იდგა მის წინ საფერფლეში. იგი იჯდა უძრავად, მშვიდი, მხოლოდ ზოგჯერ სუსტად მოსწევდა ხოლმე მარჯნის მძივს—თითქო ეს ხალვათად შებმული მძივი ახრჩობდა. რა შორს იყო მისგან ჩრდილოეთის მიწა, რომელიც სადღაც მერიდიანებს შუა იდო!

ეს იყო და ეს, გამომშვიდობების დროს კიდევ რაღაც წავიბუტბუტე, მაგრამ კორაბლიოვი, შუბლშეკრული, პირდაპირ ჩემ-

კენ იმგვარად წამოვიდა, რომ შეუმჩნეველად კარებს უკან ამოვ-
ყავი თავი.

თავი ოცდამეერთე

მარია ვასილევნა

ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ მარია ვასილევნას სიტყ-
ვა არ წამოსცდენია კატიაზე. მე და კატიამ ენსკში ათი დღე გავა-
ტარეთ! მარია ვასილევნას კი ხმაც არ ამოუღია ამაზე.

ეს საეჭვო სიჩუმე იყო და მე ამაზე ვფიქრობდი ღამე, ვიდრე
არ დამეძინა, დილით ფიზიკის, საზმეცისა და, განსაკუთრებით, ლი-
ტერატურის გაკვეთილებზეც.

თუმცა ლიტერატურის გაკვეთილზე სხვა საკითხებზე უნდა
მეფიქრა, რომლებიც უფრო ახლო იდგა გოგოლთან და მის უკვ-
დავ პოემა „მკვდარ სულებთან", რომელსაც მაშინ გავდიოდით.
ფხიზლად უნდა ვყოფილიყავი, იმიტომ რომ ლიხო, განსაკუთრე-
ბით პედსაბჭოს შემდეგ, ტყავიდანა ძვრებოდა, ოღონდ კი მთელი
სკოლისათვის დაემტკიცებინა, რომ, თუ მე იდეალისტი არ ვიყავი,
ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ „ძლიერ სუსტზე" ვიცოდი.

მაგრამ, რატომღაც, არ ველოდი, თუ გამომიძახებდა, და
შევკრთი კიდეც, როდესაც ხმამაღლა ჩემი გვარი ამოიკითხა.

— ჩვენ გვსმენია, როგორ აძლევენ თავიანთ თავს ნებას ზოგი-
ერთი ორატორები, შეურაცხყოფა მიაყენონ დამსახურებულ ადა-
მიანებს,—თქვა მან.—ვნახოთ ერთი, აქვთ თუ არა ამის უფლება?

და მან მკითხა, წამიკითხავს თუ არა გოგოლის „შინელი,"
თითქოს ამით შეიძლებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა.

ეს კიდევ არაფერი: „შინელი" ჩვენ პირველი საფეხურის სკო-
ლაში გავიარეთ და უგუნურება იყო ახლა ამის კითხვა, როდესაც
ჩვენ „მკვდარი სულები" გვქონდა მოცემული. მაგრამ მე მშვიდად
ვუპასუხე. წამიკითხავს-მეთქი.

— კარგით. მაშ როგორ უნდა გავიგოთ დოსტოევსკის სიტყ-
ვები: „ჩვენ ყველანი გოგოლის „შინელიდან" გამოვედითო"?

მე ავუხსენი, რომ, თუმცა ეს დოსტოევსკიმ თქვა, სინამდვილე-
ში „შინელიდან" არაფერი გამოსულა და ლიტერატურასა და სა-
ზოგადოებაში კი შემდეგ სულ სხვა ნიავმა დაჰბერა. „შინელი"
ეს შერიგებაა სინამდვილესთან, ლიტერატურა კი, მაგალითად ლევ
ტოლსტოი, იყო ბრძოლა სინამდვილესთან.

— შენ დოსტოევსკის ეკამათები? — დამცინავი ღიმილით მკითხა ლიხომ.

მე ვუპასუხე, დიახ, ვეკამათები და, რომ დოსტოევსკისთან კამათი ეს კიდევ იდეალიზმი არ არის-მეთქი.

კლასში გაიცინეს, ლიხო წამოჭარხლდა. მგონი, მაშინვე უნდოდა „არადამაკმაყოფილებელი" დაესვა, ხელებიც უთრთოდა, მაგრამ ეს უხერხული იყო და ზრდილობის გულისათვის კიდევ ერთი შეკითხვა მომცა:

— გოგოლის გმირებიდან რომელი შეიძლება ჩავთვალოთ უსაქმურ ტიპად.

ვუპასუხე, რომ გოგოლის ყველა გმირი უსაქმურია-მეთქი, გარდა ტარას ბულბასი, რომელმაც თანახმად თავის იდეებისა, ცოტა რამ მაინც გააკეთა. მაგრამ რომ გოგოლს არ შეიძლება ამის გამო ბრალი დავდოთ, იმიტომ რომ მაშინ ასეთი ცხოვრება იყო.

ლიხომ ოფლი მოიწმინდა და „არადამაკმაყოფილებელი" დამიწერა.

— ივან ვიტალიევიჩ, მე მოვითხოვ, რომ მეცნიერებათა აკადემიაში მკითხოს, — ვუთხარი ძე. როდესაც ვჯდებოდი. — მე და თქვენ ლიტერატურის საკითხებში ვერა ვთანხმდებით.

მან რაღაც დაიყიყინა, მაგრამ ამ დროს ზარის ხმაც გაისმა.

ბავშვების აზრით, ამ შემთხვევაში მე სავსებით მართალი ვიყავი და ლიხოს უფლება არა ჰქონდა ჩემთვის არადამაკმაყოფილებელი დაეწერა, იმისთვის რომ მე დოსტოევსკის არ ვეთანხმებოდი, ან იმისთვის, რომ გოგოლის ყველა გმირებს უსაქმურებად ვთვლიდი. ვალიამ შენიშნა, რომ გოგოლს კიდევ ჰყავს ვილაც დადებითი ტიპი, — მემამულე კოსტანჟოგლო „მკვდარი სულების" მეორე ნაწილში, რომელიც გოგოლმა დასწვა, მაგრამ მე ვუპასუხე, რომ, თუკი თვითონ გოგოლმა დასწვა, მაშასადამე, სალაპარაკოც აღარაფერია-მეთქი. გარდა ამისა მემამულე არ შეიძლება დადებითი ტიპი იყოს. სწორედ ამ წუთში დავინახე პეტკა.

ეს მოულოდნელი იყო. პეტკა ჩვენ სკოლაში, დიდ დასვენებაზე!

— პეტია, რა ამბავია?

— რაღაც საქმეები მაქვს, — მიპასუხა პეტკამ და გაიცინა.

— რა საქმეები?

— სხვადასხვა. მინდა მოგელაპარაკო.

— რაზე?

— რეპინზე. შენ გუშინ სისულელეს ამბობდი. რეპინს არ შეეძლო არ ეხატა და, შენ რომ მისთვის საფრენოსნო სკოლაში წასვლა შეგეთავაზებინა, იცი საით გაგგზავნიდა?

გაოცებული ვუყურებდი.

— თურმე როგორი ხარ!

— როგორი?

— მართლა ავადმყოფი.

პეტკა შეიქმუხნა.

— არა,—მითხრა წყენით,—სერიოზულად გეკითხები.

— მეც სერიოზულად გეკითხები: რატომ სკოლაში არა ხარ?

— დღეს ავითესე,—სწრაფად მითხრა პეტკამ.—ეს უნდა მოვიფიქრო, სკოლაში კი მოფიქრება არ შემიძლია, მიშლიან.

დასვენება გათავდა. მითხრა, წითელ კუთხეში მოგიცდიო. იმ დღეს ჩვენ ოთხი გაკვეთილი გვქონდა.

მართლაც არ წასულიყო. თავი სკამის ზურგზე გადაეგდო, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და თვალები დაეხუჭა.

— შენ ამბობ, მფრინავიო,—დაიწყო, როდესაც ერთი საათის შემდეგ იმავე მდგომარეობაში და იმავ ადგილზე დამხვდა.—შეიძლება შენ მფრინავისათვის საჭირო არავითარი მონაცემები არა გაქვს? აბა თუ გახსოვს ცხოვრებაში შენი თუნდაც ერთი მოქმედება, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გვემსჯელა, რომ შენგან მფრინავი გამოვა?

მე მომაგონდა ჩემი ერთ წამში მიღებული მტკიცე გადაწყვეტილება ენსკში წასვლის შესახებ კატიას დასადევნებლად.

— მახსოვს!

— მაგალითად.

— ხელად არ გიამბო!

— დავუშვათ, მაგრამ მაინც შენ ეს ლოღიკურად ამოირჩიე და არა ინსტინქტურად.

— ცხადია, ლოღიკურად.

— ჰკუით და არა გულით?—თქვა პეტკამ და ოდნავ გაწითლდა.

— არა, გულით.

— ტყუი. აი მაგალითად, სხვა ბავშვები, რომლებიც მფრინავებად მიდიან, აშენებენ მოდელებს, პლანერებს...

— მერე რა! სამაგიეროდ მე თეორია ვიცი.

მე შემეძლო მისთვის მეპასუხა, რომ ყოველ წელიწადს ვცდი-

ლობდი ჩვენს სკოლაში პლანერისტების წრის ჩამოყალიბებას, მაგრამ ეს წრეები იშლებოდა, რადგან ჩვენ ბავშვებს მხოლოდ თეატრი აინტერესებდათ. ჩემი და ვალკას გარდა ყველას მსახიობობა უნდოდა და, სხვათა შორის, ბევრნიც გახდნენ მსახიობები, მაგალითად, გრიშა ფაბერი.

— ჩემის აზრით კი,—თქვა სიჩუმის შემდეგ პეტკამ,—იცი რომელი პროფესია უნდა აირჩიოს ადამიანმა? რომლითაც ფიქრობ მთელი შენი სულიერი ძალების გამოვლინებას. მე ეს წამიკითხავს და ასეც არის. მაგალითად მე დარწმუნებული არა ვარ, რომ, როგორც მხატვარი, მთელ ჩემ სულიერ ძალებს გამოვამეღავნებ, შენ კი, ჩანს, დარწმუნებული ხარ.

— დარწმუნებული ვარ.

— კარგია, ბედნიერი ყოფილხარ.

სადილობის დრო იყო, მაგრამ საკმაოდ საინტერესოდ ვსაუბრობდით და მე გადავწყვიტე, პეტკა სახლამდის მიმეცილებინა.

— იცი, ჩემი აზრით, არც შენ შეგიძლია არა ხატო,—ვუთხარი, როცა სკოლიდან გამოსულები ვოროტნიკოვის შესახვევის კუთხეში შევჩერდით,—სცადე ერთი წელიწადი ან ორი—და მოგენატრება, ხატვისკენ გაგიწევს გული. და საერთოდ, ჩემი აზრით, კარგიც არის, როცა დაეჭვებული ხარ საკუთარ თავში და გგონია, ჩემგან არაფერი გამოვაო.

— რატომ?

— იმიტომ რომ—„შენ თავში არა ხარ დარწმუნებული".

— როგორ თუ „არა ვარ დარწმუნებული"?

— როგორ და: ნამდვილ მხატვარს უსათუოდ ეჭვი უნდა ეპარებოდეს თავის ნიჭში. ხან ამით არის უკმაყოფილო, ხან იმით. ძალიან კარგიც არის, რომ შენ არა გწამს შენი ნიჭი,—ვუთხარი აღფრთოვანებით—არა, პეტკა, ეს ცხადია: შენ სამხატვრო აკადემიაში უნდა შეხვიდე.

მან ამოიოხრა და თავი გააქნია. მაგრამ ჩემი აზრი „ეჭვების" შესახებ, მგონი, მოეწონა.

ასე მუსაიფით მოვდიოდით ვოროტნიკოვის ქუჩით. მაგონდება, როგორ შევჩერდით აფიშის ბუდრუგანასთან. მე პეტკას ვუსმენდი და თან გონებადაუტანებლად სპექტაკლების დასახელებასა ვკითხულობდი, როდესაც ვიღაც გოგონამ კუთხიდან გამოუხვია და ქუჩა სწრაფად გადაირბინა.

უქუდოდ იყო, მოკლესახელოიან კაბის ამარა—ასეთ ყინვაში! შეიძლება ამიტომ იყო, რომ უცბად ვერ ვიცანი.

— კატია!

ერთი მოიხედა, მაგრამ არ გაჩერებულა—მხოლოდ ხელი დამიჭნია. მე დავეწიე.

— კატია, უპალტოოდ რადა ხარ? რა მოხდა?

დალაპარაკება უნდოდა, მაგრამ კბილს კბილზე აცემინებდა. პირი მაგრად მოკუმა, რომ კანკალი შეეჩერებინა, და მხოლოდ მერე მითხრა.

— სანია, ექიმთან მივრბივარ, დედა ძალიან ცუდად არის.

— რა მოუვიდა?

— არ ვიცი, მგონი, თავი მოიწამლა...

არის წუთები, როდესაც ცხოვრება სხვა სიჩქარეზე გადადის, ყველაფერი მიჰქრის, მიჰქრის და ისე სწრაფად იცვლება ყველაფერი, რომ ვერც კი ამჩნევ.

როგორც კი გავიგონე, „მგონი, თავი მოიწამლაო"—ყველაფერმა უფრო სწრაფად დაიწყო ცვლა, ვიდრე ამის შემჩნევა შეიძლებოდა, და ეს სიტყვები სადღაც გულის სიღრმეში დროდადრო საზარლად მეორდებოდა.

პეტკასთან ერთად, რომელსაც არაფერი არ ესმოდა, მაგრამ არც არაფერსა კითხულობდა, ექიმთან გავიქეცით, პიმენოვის ქუჩაზე. მერე მეორესთან, რომელიც ხანჟონკოვის ყოფილ კინოს ზემოდან ცხოვრობდა,—და სამივე ერთად შევცოცვდით მის მყუდრო შალითაგადაკრულ ავეჯით მოწყობილ ბინაში, სადაც აგრეთვე, ისიც რაღაც შალითაში ჩაცმული, უცხვირპირო მოხუცი ქალი დაგვხვდა.

მან უკმაყოფილო თავის ქნევით მოგვისმინა და სადღაც გავიდა. გასვლის დროს მაგიდიდან რაღაც გაიყოლა—ყოველ შემთხვევისათვის, ხელს არ გააყოლონო.

რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა ექიმი.—ტანდაბალი, ღაჟღაჟა, ზღარბივით თმააბურძგნილი, პირში სიგარით.

— რა ამბავია, ყმაწვილებო?

ვიდრე ის იცვამდა, ჩვენ დერეფანში ვიდექით და განძრევისა გვეშინოდა, შალითაში ჩაცმული მოხუცი ქალი კი იდგა და თვალს არ გვაშორებდა, თუმცა დერეფნიდან წასაღები არა იყო რა. შემდეგ ტილო მოიტანა და ჩვენი ნაფეხურები გაწმინდა, თუმცა არც გასაწმენდი იყო რამ, მხოლოდ პეტკას კალოშების გარშემო პატარა ჭოჭი დამდგარიყო. შემდეგ პეტკა დარჩა ექიმის დასაჩქარებლად, რომელსაც ჯერაც არ ჩაეცვა, მიუხედავად კატიას ტანჯული სახისა. მე რამდენჯერმე მინდოდა კატიას დავლაპარაკებოდი, მაგრამ არ შემეძლო. პეტკა დარჩა, ჩვენ კი გავიქეცით.

ქუჩაში უსიტყვოდ ჩავაცვი კატიას ჩემი პალტო. თმები ჩამოშლოდა და ხელდახელ დაიმაგრა, მაგრამ ერთი ნაწნავი მაინც ჩამოუვარდა და გაჯავრებით პალტოს ქვეშ ამოსდო.

ალაყაფის კარებთან სასწრაფო დახმარების კარეტა იდგა და შეძრწუნებულები უნებურად შევჩერდით. კიბეზე სანიტრებს საკაცით მარია ვასილევნა ჩამოჰყავდათ.

ის საკაცეზე იწვა, სახეზე არაფერი ეფარა, ისეთივე გადატეტკილი, როგორც წინა დღით კორაბლიოვთან, მაგრამ ახლა სახე თითქოს ძვლისაგან ჰქონდა გამოკვეთილი.

მოაჯირს მივეკარი, გზა მივეცი, რომ საკაცე გაეტარებინათ. კატიამ შესაბრალისად თქვა: „დედილო", და საკაცეს გვერდით გაჰყვა. მაგრამ მარია ვასილევნას თვალი არ გაუხელია, არ განძრეულა. ნამდვილ მიცვალებულსა ჰგავდა და მე მივხვდი. რომ ის არ გადარჩებოდა.

გულმოკლული ეზოში ვიდექი და ვუყურებდი, როგორ დგამდნენ საკაცეს კარეტაში, აკანკალებული ხელებით ფეხებს როგორ უფუთნიდა მოხუცი მარია ვასილევნას, ყველას როგორ ამოსდიოდათ პირიდან ორთქლი — სანიტარსაც, რომელმაც საიდანღაც წიგნი გამოიღო და სთხოვა ხელი მოეწერა, ნიკოლაი ანტონიჩსაც, რომელიც ავადმყოფურად სათვალის ქვემოდან იყურებოდა, ისე მოაწერა ხელი წიგნში.

-- აქ კი არა,— უხეშად უთხრა სანიტარმა, გაჯავრებით ხელი ჩაიქნია და წიგნი ხალათის დიდ ჯიბეში ჩაიდო.

კატია შინ გაიქცა და თავის პალტოში ჩაცმული დაბრუნდა, ჩემი კი სამზარეულოში დაეტოვებინა. ისიც კარეტაში ჩაჯდა და აი კარები, რომლის იქით იწვა საშინელი, სახეშეცვლილი და გადატეტკილი მარია ვასილევნა, მიიხურა. კარეტა ერთი შეინჯღრა და ჩვეულებრივი საბარგო მანქანასავით სწრაფად გაქანდა ქსენონისაკენ.

ეზოში მარტო ნიკოლაი ანტონიჩი და მოხუცი ქალი დარჩნენ. ერთ ხანს ჩუმად იდგნენ. მერე ნიკოლაი ანტონიჩი მიბრუნდა და პირველი წავიდა სახლისაკენ. ფეხებს მექანიკურად ადგამდა, თითქოს წაქცევისა ეშინოდა. ასეთი ჯერ არასოდეს არ მენახა იგი.

მოხუცმა მთხოვა, ექიმს დავხვედროდი და მეთქვა, რომ იგი საჭირო აღარ იყო. მე გავიქეცი და ექიმს და პეტკას ტრიუმფალურის მოედანზე შევხვდი, თუთუნის ბუდრუგანასთან. ექიმი ასანთს ყიდულობდა.

— მოკვდა?—მკითხა მან.

ვუპასუხე, სასწრაფო დახმარებით საავადმყოფოში წაიყვანეს და, თუ საჭიროა, შემიძლია ფული გადავიხადო-მეთქი.

— საჭირო არ არის, საჭირო არ არის,—ხიზღით თქვა ექიმმა.

პეტკას გამოვემშვიდობე, დავპირდი, ხვალ ყველაფერს გიამბობ-მეთქი, და ტვერსკოი-იამსკოიზე დავბრუნდი. მოხუცებული სამზარეულოში იჯდა და ტიროდა. ნიკოლაი ანტონიჩი შინ აღარ დამიხვდა, საავადმყოფოში წასულიყო.

— ნინა კაპიტონოვნა,—ვკითხე მე,—იქნება რამე გჭირდებათ?

ის დიდხანს იხოცავდა ცხვირს, ტიროდა და კვლავ ცხვირს იხოცავდა. მე ვიდექი და ვუცდიდი. ბოლოს მთხოვა, ჩაცმა მიშველეო, და ჩვენ ტრამვაით ქსენონში წავედით.

თავი ოცდამეორე

ღ ა მ ი თ

ღამე ისევ ვგრძნობდი სიჩქარეს, რომლისაგანაც, მგონი, ყურები ძიზუოდა, ჯერ კიდევ სადღაც მივექანებოდი, თუმცა ჩემ ლოგინზე ვიწექი, სიბნელეში მე მივხვდი, რომ მარია ვასილევნამ წინადღითვე, კორაბლიოვთან გადაწყვიტა თავის მოკვლა.

ეს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და სწორედ ამიტომ იყო ასე დამშვიდებული, ამიტომ სწევდა თუთუნს და უცნაურ რამეებს ლაპარაკობდა. ვინ იცის, რა იდუმალი ფიქრები უტრიალებდა თავში, ჩვენ კი ეს არ ვიცოდით. ყველაფერს, რასაც იგი ლაპარაკობდა, მისი გადაწყვეტილება ერთვოდა. მე კი არ მეკითხებოდა, თავის თავს ეკითხებოდა და თავის თავსვე აძლევდა პასუხს.

შესაძლოა ფიქრობდა, რომ მე ვცდებოდი—წერილში ვიღაც სხვაზე იყო ლაპარაკი. იქნებ იმედი ჰქონდა, რომ ის წინადადებები, რომლებიც მე მომაგონდა და რომლებიც კატიამ განგებ არ უთხრა, ასეთი საშინელი არ იქნებოდა. იქნებ ელოდა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი, რომელსაც იმდენი ამაგი ჰქონდა მის განსვენებულ ქმარზე, რომ მხოლოდ მასზე შეიძლებოდა გათხოვილიყო, აღმოჩნდებოდა არცთუ ისე დამნაშავე, ან არცთუ ისე სულცდადაბალი.

მე კი? რა ჩავიდინე მე?

დამცხა, მერე შემცივდა, მერე ისევ დამცხა. საბანი გადავიხადე და ღრმად დავიწყე სუნთქვა, რომ დავმშვიდებულიყავი და დამ-

შვიდებით მომესაზრა ყველაფერი. კვლავ გავიმეორე მეხსიერებაში ჩვენი საუბარი! თითქოს ყოველი სიტყვა ნელა მობრუნდა ჩემს წინ და მე იგი მეორე, საიდუმლო მხრიდან დავინახე.

„მიყვარს ენსკი. მშვენიერია! რა ბაღებია“. სიამოვნებასა ჰგვრიდა სიყმაწვილის მოგონება ასეთ წუთებში—თითქოს ეთხოვებოდა ენსკს—ახლა, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილი ჰქონდა.

„მონტიჰომო ქორ-ბრჭყალა, მე ბას ოდესღაც ასე ვეძახდი“. მას ხმა აუკანკალდა, რადგან სხვამ არავინ იცოდა, რომ ის ასე ეძახდა, და ეს იყო უტყუარი საბუთი ჩემი სიტყვების სისწორისა.

„მე არ მილაპარაკნია მასთან იმ წერილების შესახებ. მით უმეტეს, რომ ასეთ დაძმარებულ გუნებაზეა. მართლაც ხომ არა ღირს ჯერ?“—და ეს სიტყვები, რომლებიც გუშინ ისე უცნაურად მომეჩვენა—რა ნათელი იყო დღეს ჩემთვის! ის მისი ქმარი იყო—შესაძლებელია, ყველაზე მახლობელი ადამიანი ქვეყანაზე, და უბრალოდ არ უნდოდა მისი შეწუხება და სხვა არაფერი—იცოდა, რომ ნიკოლაი ანტონიჩს კიდევ ბევრი უსიამოვნება ელოდა.

უკვე დიდი ხანია დამავიწყდა, რომ ღრმად უნდა მესუნთქა, ტიტველა ფეხებჩამოშვებული ისევ ლოგინზე ვიჯექი და ისევ ვფიქრობდი. მას კორაბლიოვთანაც უნდოდა გამომშვიდობება—დიახ! კორაბლიოვსაც უყვარდა იგი და შეიძლება ყველაზე მეტად. უნდოდა გამომშვიდობებოდა იმ ცხოვრებას, რომელიც არ გაუმართლდა და რომელზედაც, ალბათ, ოცნებობდა. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იგი კორაბლიოვზე ოცნებობდა.

დიდი ხანია ძილის დრო იყო, მით უმეტეს, რომ ხვალ ძალიან სერიოზული საკონტროლო სამუშაო მელოდა და მით უმეტეს, რომ სულაც არ იყო სასიამოვნო იმაზე ფიქრი, რაც იმ უბედურ დღეს მოხდა.

მგონი, ჩამეძინა, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით. უეცრად ვიღაცამ იქვე ჩემს ახლო ხმადაბლა თქვა: „მოკვდაო“. თვალები დავაჭყიტე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავინ იყო. ალბათ, ეს მე თითონვე ვთქვი, მაგრამ ხმამაღლა კი არა, ჩემთვის, გონებაში.

და აი ჩემდაუნებლიედ კვლავ ფიქრებმა წამიღეს, როგორ მივედით მე და ნინა კაპიტონოვნა საავადმყოფოში. მინდოდა დამეძინა, მაგრამ თავს ვერაფერი მოვუხერხე და კვლავ ამეშალა მოგონებები.

ჩვენ დიდ, თეთრ სკამზე ვისხედით რომელიღაც კარებთან— მე უცბად ვერ მივხვდი, რომ მარია ვასილევნას საკაცე მეზობელ ოთახშია, ასე ახლო ჩვენგან.

ხანში შესული მომვლელი გამოვიდა და გვკითხა:

— თქვენ ტატიანოვასთანა ხართ? უსაშველოდ შეიძლება!

და საჩქაროდ თვითონ ჩააცვა მოხუცს ხალათი და თვითონვე შეუკრა.

გული ჩამწყდა. მაშინვე მივხვდი, რომ, თუ უსაშველოდ შეიძლებოდა შესვლა, ჩანს, ძალიან ცუდად იყო, და კიდევ ერთხელ ჩამწყდა გული, როდესაც ხანში შესული მომვლელი მეორე, უფრო ახალგაზრდა მომვლელთან მივიდა, რომელიც ავადმყოფებსა სწერდა, და მის შეკითხვაზე ასე უპასუხა:

— რას ამბობ: აქამდის ძლივს მოაღწევინესო!

მერე დაიწყო მოლოდინი. ვუყურებდი თეთრ კარებს და, მგონი, ვხედავდი, როგორ იდგნენ ყველანი—ნიკოლაი ანტონიჩი, მოხუცი და კატია — საკაცესთან მარია ვასილევნას გარშემო. მერე ვიღაც გამოვიდა, კარი ერთი წამით გაიღო და დავინახე, რომ ეს სულაც ისე არა ყოფილა, როგორც მე მეგონა. უკვე არავითარი საკაცე არ იყო: ვიღაც თეთრი, შავთმიანი სავარძელზე იწვა და ამ შავთმიანი თეთრის წინ ვიღაც, ისიც თეთრში, დაჩოქილი იდგა. აგრეთვე დავინახე სავარძლიდან ჩამოკიდული შიშველი მკლავი და კარები მიიხურა. შემდეგ გაისმა წვრილი ჩახრინწული ხმით ყვირილი, ავადმყოფების ჩამწერი შეჩერდა, გაჩუმდა და კვლავ განაგრძო საქმე. არ ვიცი როგორ, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ნიკოლაი ანტონიჩი ყვიროდა. ასეთი წვრილი ხმით? როგორც ბავშვი?

ხანში შესული მომვლელი ქალი ოთახიდან გამოვიდა და არაბუნებრივი საქმიანი სახით დაუწყო ლაპარაკი ვიღაც ყმაწვილ კაცს, რომელსაც ხელში ქუდი ეჭირა და ჭმუჭნიდა. მომვლელმა მე შემომხედა, რადგანაც აქ ნინა კაპიტონოვნასთან ერთად მოვედი, მაგრამ უცბად მომარიდა თვალი და მე მივხვდი, რომ მარია ვასილევნა გარდაიცვალა.

მერე გავიგონე, როგორ უთხრა მომვლელმა ვიღაცას „მენანება, რა ლამაზიაო!“ მაგრამ ეს სიზმარივით იყო. იქნებ ეს იმან კი არა, ვინმე სხვამ თქვა, როცა კატია და მოხუცი გამოვიდნენ იმ ოთახიდან, სადაც მარია ვასილევნა გარდაიცვალა.

თავი ოცდამესამე

კვლავ წესები. ის სხვა არის

მეტად სევდიანი დღეები იყო და არ მინდა დაწვრილებით ვწერო იმ დღეებზე, თუმცა კარგად მახსოვს ყოველი საუბარი, ყოველი შეხვედრა, თითქმის ყოველი გაფიქრებაც კი. ეს იყო დღეები, რომელთაც თითქოს დიდი ჩრდილი მიაყენეს ჩემ ცხოვრებას.

დაასაფლავეს თუ არა მარია ვასილევნა, სამუშაოს ჩავუჯექი. ალბათ, რაღაც თვითდაცვის გრძნობამ გამაკერპა ისე, რა სიკერპითაც მე ვმეცადინეობდი და თავს ვაიძულებდი არაფერზე მეფიქრა. პეტკას რომ კიდევ ეკითხა ჩემთვის: შენი ცხოვრებისა და მოქმედების მიხედვით თუ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შენგან მფრინავი გამოვაო, მე ისევ „ჰოს“ ვუპასუხებდი და ახლა ამის უფრო მეტი საფუძველიც მექნებოდა.

ეს ადვილი არ იყო—მეტადრე, თუ წარმოიდგენთ, რომ მარია ვასილევნას დასაფლავებაზე კატიასთან რომ მივედი, მან ზურგი შემომაქცია.

ახლაც კი აუღელვებლად არ შემიძლია ამის მოგონება—წარმოიდგინეთ, რას ვიგრძნობდი მაშინ, როგორი თავზარდაცემული და აღელვებული ვიქნებოდი.

აი როგორ მოხდა ეს: მარია ვასილევნას დასაფლავებაზე სრულიად მოულოდნელად ძალიან ბევრი ხალხი მოვიდა:—სამსახურის ამხანაგები და სტუდენტებიც კი, რომლებთან ერთად ოდესღაც ესწავლა უნივერსიტეტში. იგი მუდამ ეულად გეჩვენებოდათ, მაგრამ თურმე ბევრი იცნობდა და ბევრს უყვარდა. ამ უცხო, ჩურჩულით მოლაპარაკე ადამიანთა შორის, რომელნიც კარებს მისჩერებოდნენ, საიდანაც არა და არ გამოჰქონდათ კუბო, იდგა კორაბლიოვი ტანჯული თვალებით, დიდრონი ულვაშებით, რომელიც ახლა მის გამხდარ და დაბერებულ სახეზე რაღაც საოცრად დიდრონი მოჩანდა.

დიდი ხანია შემჩნეული მქონდა, რომ ნათესავები კუბოს გამოჰყვებიან ხოლმე, ალაყაფის კარებთან კი დგას და შემდეგ დასაფლავების თადარიგს იჭერს გარეშე ხალხი. მაგრამ აქ სხვანაირად მოხდა, ალბათ იმიტომ, რომ ნათესავებიდან კუბოს გამომტანი არავინ იყო.

ნიკოლაი ანტონიჩი განცალკევებით იდგა, თავდახრილი, ხოლო

ნინა კაპიტონოვნას მისი ხელი ეჭირა, თითქოს ეშინოდა არ წაიქცესო, თუმცა ნიკოლაი ანტონიჩი წელში გამართული იდგა. მოხუცი ბუბენჩიკოვებიც აქ იყვნენ. ისინი მოლოზნებსა ჰგავდნენ თავიანთი ძველებური შავი შლეიფიანი პალტოებით.

კატია მათ გვერდით იდგა და თვალს არ აშორებდა ჭიშკარს. ლოყები დასწითლებოდა, მიუხედავად მთელი მისი მწუხარებისა, რომელიც მოუსვენრობაზე ეტყობოდა: წამდაუწუმ ისწორებდა ქუდს, ალბათ ნაწნავები ცუდად დაემაგრებინა და ქუდი მალიმალ შუბლზე ეფხატებოდა...

ნახევარი საათი იცდიდნენ. კუბო კი არა და არ გამოჭქონდათ. უეცრად გამბედაობა მოვიკრიბე და კატიასთან მივედი.

არ ვიცი, იქნებ უხერხული იყო ასეთ წუთებში იმასთან მისვლა, მაგრამ ერთი სიტყვა მაინც მინდოდა მეთქვა იმისთვის.

— კატია!

იმან შემომხედა და მიბრუნდა...

მთელი დღეები წიგნებს ვუჯექი. აღვადგინე ჩემი ძველი განაწესი, ესე იგი ექვს საათზე ვდგებოდი, ტანზე ცივ წყალს ვივლებდი, ლია ფანჯარასთან ვვარჯიშობდი და ცხრილის მიხედვით ვმეცადინეობდი. ძვალად შედგენილი „წესები ნებისყოფის გასავითარებლად“ კვლავ გამომადგა, განსაკუთრებით, ერთი: „უნდა დაჭფარო შენი გრძნობები, ან, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არ გამოამეღავნო მაინც“. მე გარეგნულად არ ვამეღავნებდი მათ, თუმცა დღითი დღე სულ უფრო და უფრო მიმძიმდა. თითქოს იმ დიდ ჩრდილს, რომელიც ზევით ვახსენე, ჯერ შორსა ვხედავდი და აი, უკვე სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა.

ეს იყო ჩემი სკოლაში ყოფნის უკანასკნელი ნახევარი წელი, გადაწყვეტილი მქონდა, ყველა საგანში „ფრიად დამაკმაყოფილებელი“ მიმეღო. ეს არც ისე ადვილი იყო, მეტადრე ლიტერატურაში.

მაგრამ აი, ერთხელ ლიხომაც დიდი ხვნეშითა და ბუზღუნით „ფრიად საკმაო“ დამიწერა. გამოსაშვები თხზულებისა არ მეშინოდა, ხელი ჩავიქნიე და თხზულება ამ ბრიყვის ყველა მოთხოვნილებათა მიხედვით დავწერე, - ველოდი, რომ ეს დააკმაყოფილებდა. იმის თავმოყვარეობას და უმაღლეს ნიშანს დამიწერდა.

კლასში ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი და მხოლოდ ვალკა იყო ახლა ჩემზე წინ. მაგრამ ის საოცარი ნიჭიერი და გარდა ამისა, ჩემზე ბევრად ჭკვიანი იყო.

ჩრდილი კი სულ მიახლოვდებოდა. კორაბლიოვს თითქოს ჩემი დანახვა ემძიმებოდა. ნიკოლაი ანტონიჩი სკოლაში არ დადიოდა და, თუმცა არავის უხსენებია პედსაბჭოზე ჩვენი შეჯახების ამბავი, მაინც ყველა რაღაც საყვედურით მიყურებდა. პედსაბჭოზე მისმა ცუდად გახდომამ და მარია ვასილევნას სიკვდილმა სრულიად გაამართლა იგი.

ყველას ემძიმებოდა ჩემი დანახვა. ასე ობლად არასოდეს არ მიგრძვნია თავი. მაგრამ მე ჯერ არ ვიცოდი, რა თავზარდამცემი უსიამოვნება მელოდა.

ერთხელ,—მარია ვასილევნას სიკვდილის შემდეგ უკვე ორი კვირა იყო გასული,—კორაბლიოვთან შევიარე. მინდოდა მეთხოვა, ჩვენთან ერთად გეოლოგიურ მუზეუმში წამოსულიყო, (მაშინ პიონერხელმძღვანელი ვიყავი და ბავშვები მეხვეწებოდნენ მეჩვენებინა მუზეუმი). ჩვენ ჯერ ისევ პირველი საფეხურის სკოლაში ვიყავით, როდესაც კორაბლიოვმა წაგვიყვანა და მახსოვდა, როგორი საინტერესო იყო ის მუზეუმი.

კორაბლიოვი ძალიან აღელვებული გამოვიდა და მთხოვა, მერე მივსულიყავი.

— როდის, ივან პავლიჩ?

— არ ვიცი, მერე.

დერეფანში ქურქი და ქუდი ეკიდა, პატარა მაგიდაზე კი ყავისფერი მოქსოვილი შარფი იდო, რომელსაც ოდესღაც ჩემს თვალწინ ქსოვდა კატიას დიდედა. კორაბლიოვთან ნიკოლაი ანტონიჩი იყო.

გამოვბრუნდი და გულჩაწყვეტილი ჩავუჯექი წიგნს—„საჰაერო ფლოტი წარსულში და მომავალში“,—მაგრამ კითხვას გულს ვერ ეუდებდი—ვინ იცის სად დაჰქროდნენ ჩემი ფიქრები და ყოველ ფურცელზე ჩემი თავისთვის უნდა მომეგონებინა რომელიმე „წესი ნებისყოფის განსამტკიცებლად“. რატომ მოვიდა ნიკოლაი ანტონიჩი იმასთან? ის ხომ აგერ ოთხი წელიწადია კორაბლიოვთან არა ყოფილა. რამ ააღელვა ასე კორაბლიოვი?

კორაბლიოვთან რომ დავბრუნდი, ნიკოლაი ანტონიჩი იქ აღარ დამიხვდა. დღევანდელ დღესავით მახსოვს—ღუმელი ენთო და კორაბლიოვი სქელ ბუსუსიან ფრენჩში, რომელსაც მაშინ იცვამდა, როცა ცოტა ნასვამი ან ავად იყო ხოლმე, ღუმელთან იჯდა და ცეცხლს ჩასცქეროდა. მე რომ შევედი, თავი მაღლა აიღო და მითხრა:

— რა ჩაიდინე, სანია! ღმერთო ჩემო, რა ჩაიდინე!

— ივან პავლიჩ!

— ღმერთო ჩემო, რა ჩაიდინე—სასოწარკვეთილებით გაიმეორა იმან—ის ხომ ნიკოლაი ანტონიჩი არ არის! ეს მან დაამტკიცა უდავოდ, ნამდვილად.

— არაფერი მესმის, ივან პავლიჩ! ვისზე ლაპარაკობთ?

კორაბლიოვი ადგა, მერე დაჯდა და ისევ ადგა.

— ნიკოლაი ანტონიჩი იყო ჩემთან. იმან დამიმტკიცა, რომ კაპიტანის წერილში იმაზე არ არის ლაპარაკი. ეს ვიღაც სხვა ნიკოლაია, ვიღაც მრეწველი ფონ ვიშიმირსკი.

სახტად დავრჩი.

— ივან პავლიჩ, ეგ სიცრუეა, იგი ტყუის!

— არა, მართალია,—მომიგო კორაბლიოვმა,—ეს ვეებერთელა საქმე იყო, რომლის შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ამ საქმეში ბევრი ხალხი ერია: ვაჭრები, საქონლის მიმწოდებლები და კაპიტანმა თავიდანვე იცოდა ყველაფერი. იცოდა, რომ ექსპედიცია ძალიან ცუდად იყო მომზადებული, და ამის შესახებ სწერდა კიდეც ნიკოლაი ანტონიჩს. მე ჩემის თვალით ვნახე ის წერილი.

ვუსმენდი და ყურებს არ ვუჯერებდი. რატომღაც მუდამ მეგონა, რომ წერილი, რომელიც ენსკში ვიპოვე,—ერთადერთია, და ამ ამბავმა, რომ კაპიტანის რაღაც სხვა წეოილებიც შენახულიყო, გამაოცა.

— იქ ბევრი უბედურება გადაიტანეს,—განაგრძობდა კორაბლიოვი.—ვიღაც გეძის მეპატრონემ ზღვაში გასვლის წინ ექსპედიციის წევრები გადმოსხა გემიდან, დიდი გაჭირვებით იშოვეს რადიოტელეგრაფი და იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ, რადგან რადისტი ვერ იშოვეს და კიდევ რაღაც,—მაშ ნიკოლაი ანტონიჩი რატომღაა ყველაფერში დამნაშავე? ეს ხომ ცხადია, ღმერთო ჩემო! და მე... მე ვხვდებოდი ამას... მაგრამ მე...

მან ვერ დაასრულა, იგი ტიროდა.

— ივან პავლიჩ,—ვუთხარი მე და ეცდილობდი არ მეცქირა ამ საშინელი სურათისათვის—აცრემლებული კორაბლიოვისათვის. გამოდის, რომ ის კი არა,—ვიღაც ფონია დამნაშავე. მაშ, რაღას ამტკიცებდა ყოველთვის, რომ ის ხელმძღვანელობდა საქმეს? ჰკითხეთ იმას, რამდენი მშრალი ბულიონი წაიღო თან ექსპედიციამ, რამდენი მაკარონი, რამდენი ორცხობილა და ყავა, რატომ წინათ არ უხსენებია არასოდეს ის ფონი.

კორაბლიოვმა ცხვირსახოცით თვალები და ულვაშები მოიწმინდა. თახჩიდან არაყი გამოიღო, აკანკალებული ხელით ნახევარი ჭიქა დაასხა, ისევ გადაანაკრულა ბოთლში, დალია და დაჯდა.

— ახლა კი სულ ერთია.—და ხელი ჩაიქნია.—მაგრამ მე ასე რამ დამაბრმავა,—კვლავ სასოწარკვეთით თქვა მან.—მე უნდა დამერწმუნებინა იგი, რომ ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია. კიდევაც რომ ნიკოლაი ანტონიჩი ყოფილიყო იგი, სულ ერთია, არ შეიძლება ასეთ დიდ საქმეში ერთ ადამიანს დასდო ბრალი. მე უნდა მეთქვა, რომ შენ ნიკოლაი ანტონიჩი გძულს და ამიტომ ამტკიცებ მაგას.

უხმოდ ვუსმენდი კორაბლიოვს. მე მუდამ მიყვარდა იგი და პატივსა ვცემდი. გულს მიკლავდა, ასეთ საცოდავ მდგომარეობაში რომ ვხედავდი. ის ცხვირს იხოცავდა და თმა და ულვაშებიც ასწეწოდა.

— მძულს იგი თუ არა მძულს,—ვთქვი მე მშვიდად,—ამას არავითარი კავშირი არა აქვს საქმესთან. და მე, საერთოდ, არ ვიცი, რის თქმა გინდათ ამითი! რომ მე განგებ ვამტკიცებდი, ესე იგი პირადი საზიზღარი ზრახვების გამო?

კორაბლიოვი სდუმდა.

— ივან პავლიჩ.

იგი კვლავ სდუმდა.

— ივან პავლიჩ!—შევძახე მე.—თქვენ ფიქრობთ, რომ მე განგებ ჩავერიე ამ საქმეში, რათა ნიკოლაი ანტონიჩისათვის სამაგიერო მიმეზღო? ამიტომ ამბობთ,—თუნდაც ის იყოს და არა ვინმე ფონი, სულ ერთია, ასეთ დიდ საქმეში არ შეიძლება ერთ კაცს დასდოთ ბრალი,—თქვენ ფიქრობთ, რომ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე? თქვით ბარემ! ასე ფიქრობთ?

კორაბლიოვი სდუმდა. თვალთ დამიბნელდა და ვიგრძენი, როგორ ძლიერ და მძიმედ მიცემდა გული.

— ივან პავლიჩ, — აკანკალებული ხმით, მაგრამ მტკიცედ ვუთხარი მე. — ისლა დაჰრჩენია, თუნდ მოვკვდე, უნდა დავამტკიცო ჩემი სიმართლე და მე დავამტკიცებ ამას. დღესვე წავალ ნიკოლაი ანტონიჩთან და ვთხოვ მაჩვენოს ის საბუთები და წერილები. მან თქვენ დაგარწმუნათ, რომ წერილში ლაპარაკი მის შესახებ კი არა, არამედ ვილაც ფონის შესახებ არის. მაშ, მეც დამარწმუნოს.

— რაც გინდა, ისა ჰქენი,—მშვმუნვარედ მითხრა კორაბლიოვმა.

მე წამოვედი. ის ადგილიდან არ დაძრულა. ისევე ღუმელთან დარჩა, — დაქანცული, სასოწარკვეთილი. ჩვენ ორივენი სასოწარკვეთილებაში ვიყავით, მაგრამ ჩემში ამ გრძნობას რაღაც ულმობელი გააფთრება ერთვოდა, ის კი სრულ უიმედობაში იყო ჩავარდნილი, დაბერებული, მთლად ეული --ცარიელ, გაყინულ ბინაში.

თავი ოცდამეოთხე

ცილისწამება

სათქმელად ადვილია: მე მასთან წავალ და ვეხოვ, ის წერილები მაჩვენოს. ამისი ფიქრიც კი გულს მირევდა. მართლაც, გამცემს კი ხმას? კიბეებიდან დამაგორებს. მორჩა და გათავდა... ჭიდაობას ხომ არ დავუწყებ, რაც არ უნდა იყოს, ის ავადმყოფი და მოხუცია.

არ წავიდოდი, მაგრამ ერთი აზრი არა მშორდებოდა: კატია.

თავი მიწყებდა ტკივილს, როცა მაგონდებოდა, ზურგი როგორ მემომაქცია დასაფლავებაზე. ახლა ჩემთვის ცხადი იყო, რად მომექცა ასე: ნიკოლაი ანტონიჩმა დაარწმუნა, რომ ყველაფერში მე ვიყავი დამნაშავე.

წარმოვიდგენდი, როგორ ელაპარაკებოდა მას, და გული შეუანელებოდა: „შენს მეგობარს ისეთი მშვენიერი მეხსიერება აქვს! როგორ მოხდა, რომ ენსკში წასვლამდე ერთხელაც არ მოჰგონებია ის წერილები“?

მართლაც, როგორ შეიძლებოდა დამვიწყებოდა? მე ისე ვიყავი განცვიფრებული ამ წერილებით ბავშვობაში! ზეპირად ვამბობდი მატარებლებში ენსკსა და მოსკოვს შორის! დამვიწყებოდა ის წერილები, რომლებიც თითქოს შორეული ვარსკვლავებიდან ჩამოცვივდნენ ჩვენს პატარა ქალაქში.

მე მხოლოდ და მხოლოდ ასე შემეძლო ამეხსნა — თქვენ თვითონ განსაჯეთ, სწორი იყო თუ არა.

როდესაც კატია თავის მამის ამბავს მიამბობდა, როდესაც მე ძველ ფოტოზე შევყურებდი კაპიტანს კიტელში, სამხრეებით, უკანაწეულ თეთრ შალითიან ქუდში, როდესაც მის წიგნებს ვკითხულობდი, ყოველთვის მეგონა, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბავი იყო. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ენსკიდან წამოსვლამდე მრავალი წლის წინათ. წერილები კი, ეს ჩემი ბავშვობა

იყო, ესე იგი სულ სხვა დრო. აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ორი სულ სხვადასხვა დრო ერთიმეორეს მოსდევდა. აქ იყო არა შეხსიერების, არამედ რაღაც სულ სხვა შეცდომა.

ათასჯერ გავიფიქრე „ფონის“ შესახებ. მაშ, იმაზე სწერდა კაპიტანი ტატარინოვი: „მთელი ექსპედიცია წყეველა-კრულვას უთვლის“. მაშ ის იყო? „ჩვენ მთელ ბედუკულმართობას მას უნდა ვუმადლოდეთ“. კორაბლიოვმა კი თქვა, რომ ასეთ საქმეში არ შეიძლება ერთ ადამიანს დასდონ ბრალი. კაპიტანი სხვაგვარად ფიქრობდა.

მაშ იმაზე სწერდა: „აი რა ძვირად დაგვიჯდა მისი სამსახური“. მაგრამ მაინცდამაინც ვილაც ფონს რატომ უნდა გაეწია კაპიტანი ტატარინოვისათვის ეს სამსახური? სამსახური შეეძლო გაეწია მდიდარ ბიძაშვილს—ტყუილად კი არ გამიგონია მისგან იმდენი ამ სამსახურის შესახებ.

ერთი სიტყვით, მოქმედების არავითარი გეგმა არა მქონია. როდესაც ორ თებერვალს, საღამო ხანს, ლურჯ საპარადო ქურთუკში გამოწყობილი ტატარინოვებთან მივედი და უცხო ქალს, რომელმაც კარი გამიღო, ვუთხარი, ნიკოლაი ანტონიჩის ნახვა მინდა-მეთქი.

ღია კარებიდან დავინახე, სასადილოში ჩაისა სვამდნენ. ნინა კაპიტონოვნამ ხმადაბლა რაღაც თქვა. მე დავინახე: მას თავისი ხოლიანი შალი ჰქონდა წამოსხმული და სამოვართან იჯდა.

არ ვიცი, რა იფიქრა ნიკოლაი ანტონიჩმა, მაგრამ, კარიბჭეზე რომ გამოჩნდა, შეკრთა და ოდნავ უკან დაიხია.

— რა გინდა?

— თქვენთან მინდოდა მოლაპარაკება.

ცოტა ხანს დაფიქრდა.

— შემოდი.

მის კაბინეტში მინდოდა შესვლა, მაგრამ მან მითხრა:

— არა, აქეთ მობრძანდი.

მერე მივხვდი, რომ განგებ მოიქცა ასე: სასადილო ოთახში განგებ შემიტყუა, რომ ყველას თვალწინ გამსწორებოდა.

ყველა შეკრთა, როდესაც ნიკოლაი ანტონიჩის უკან მე გამოვჩნდი. მოხუცი ბუბენჩიკოვები, რომელთა ნახვასაც სულ არ ველოდი, წამოხტნენ და ერთ-ერთს, რომელიც ენსკში გამომიდგა, იატაკზე კოვზი დაუვარდა. კატია მეორე მხრიდან შემოვიდა სასადილოში და ისევე გაშეშდა კარებში.

მე წავილუღლუღე:

— იქნებ აქ უხერხულია?

— არა, აქ უხერხული არ არის.

შესვლისთანავე უნდა მივსალმებოდი, ახლა კი, მგონი, აღარა ღირდა—მაგრამ მე მაინც ყველას თავი დავუკარი. არავინ არ მიპასუხა, მხოლოდ ნინა კაპიტონოვნამ ოდნავ შესამჩნევად დამიქნია თავი.

— აბა, რა გნებავს?

— თქვენ ივან პავლიჩს უთხარით, თითქოს კაპიტანი ტატარინოვი თქვენ ვინმე ფონ-ვიშიმირსკის შესახებ გწერდათ. ეს მე აუცილებლად უნდა ვიცოდე, რადგანაც გამოდის, რომ მე განგებ ვარწმუნებდი მარია ვასილევნას, რათა თქვენთვის მეწყენინებინა. ასე ფიქრობს, მაგალითად, კორაბლიოვი და სხვებიც. ერთი სიტყვით, მე გთხოვთ მაჩვენოთ ის წერილები, რომელთა საშუალებითაც გინდათ დაამტკიცოთ, რომ ექსპედიციის დაღუპვაში დამნაშავეა ვიღაც ფონ ვიშიმირსკი... ხოლო სიკვდილში... (მე ეს სიტყვა გადავყლაპე) და ყველა დანარჩენში კი—მე.

ეს საკმარისად გრძელი სიტყვა იყო, მაგრამ მე წინასწარ მქონდა მომზადებული და ამიტომ შეუფერხებლივ წარმოვთქვი. ენა დამება მხოლოდ მაშინ, როდესაც მარია ვასილევნას სიკვდილის შესახებ ვთქვი, და სიტყვა „სხვების“ ხსენებისას, იმიტომ რომ კატიაზე გავიფიქრე. იგი ისევ კარებში იდგა—აწურული და სუნთქვაშეკრული.

მხოლოდ ახლა, ამ სიტყვის წარმოთქმის დროს, შევნიშნე, როგორ დაბერებულიყო ნიკოლაი ანტონიჩი. ის ცხვირმოკაუჭებულ ბებერ ფრინველს დამსგავსებოდა, ლოყები მომჩვარებოდა და ოქროს კბილსაც კი, რომელიც ერთგვარ შუქსა ჰფენდა ხოლმე მის სახეს, ბრწყინვალება დაეკარგა.

იგი ყურს მიგდებდა და ქშინავდა. გეგონებოდათ, არ იცოდა, რა ეპასუხა ჩემთვის. მაგრამ სწორედ ამ წუთას მეორე ბუბენჩიკოვამ გაკვირვებით ჰკითხა:

— ვინ არის?

ნიკოლაი ანტონიჩმა სული მოითქვა და დაილაპარაკა.

— ვინ არის?—სისინით ჩაეკითხა იგი.—ეს ის საზიზღარი ცილისმწამებელია, ვისზედაც ყოველ დღე და ყოველ საათს გელაპარაკებით.

— ნიკოლაი ანტონიჩ, თქვენ თუ ჩემი გალანძღვა გსურთ...

— ეს ის ადამიანია, რომელმაც იგი მოჰკლა,—გაიმეორა ნიკოლაი ანტონიჩმა. სახე უთრთოდა და ხელებს იმტვრევდა.—ეს ის ადამიანია, რომელმაც უსაშინელესი ცილი დამწამა, როგორიც კი შესაძლებელია ადამიანმა წარმოიდგინოს! მაგრამ მე ჯერ ცოცხალი ვარ!

მკვდრად იგი არავის მიაჩნდა და მე მინდოდა მეთქვა ეს მისთვის, მაგრამ მან ხელახლა დაიყვირა.

— ჯერ ცოცხალი ვარ!

ნინა კაპიტონოვნამ ხელი მოჰკიდა. მან ხელი გამოჰგლიჯა.

— შემეძლო კანონისათვის მიმემართა და გამესამართლებინა ყველაფრისათვის... ყველაფრისათვის, რაც მან ჩაიდინა, რათა ჩემი სიცოცხლე მოეწამლა. მაგრამ არის სხვა კანონი, სხვა სასამართლო და ამ კანონით ეს ოდესმე იგრძნობს, თუ რა ჩაიდინა! მან მოჰკლა იგი!—თქვა ნიკოლაი ანტონიჩმა და ცრემლები ლაპალუპით წამოუვიდა თვალებიდან.—იგი ამან მოჰკლა! ახლა, დაე, იცოცხლოს, თუ შეუძლიან...

ნინა კაპიტონოვნამ სკამი გასწია და მკლავში ხელი გაუყარა, თითქოს ეშინოდა, ეს არის ახლა წაიქცევაო. ნიკოლაი ანტონიჩმა ბინდგადაკრული თვალებით შეხედა მას. ეს იყო წუთი, როდესაც ეჭვი დამებადა ჩემს სიმართლეში. მაგრამ მხოლოდ ერთი წუთი.

— მერე ვისი მიზეზით? ღმერთო ჩემო, ვისი მიზეზით?—განაგრძობდა ნიკოლაი ანტონიჩი.—ამ ბიჭის მიზეზით, რომელიც ისეთი ზნედაცემულია, რომ კვლავ გაჰბედა შემოსვლა ამ სახლში, სადაც ის მოკვდა? ამ უწმინდური სისხლის ბიჭის გამო.

არ ვიცი, რა უნდოდა ამით ეთქვა და რად იყო იმისი სისხლი ჩემს სისხლზე წმინდა. მაგრამ არაფერია! მე უხმოდ ვუსმენდი. კატია კედელთან იდგა, აჭიმული, წელში გასწორებული.

— კვლავ გაბედა ამ სახლში მოსვლა, საიდანაც მე გველივით გაეისროლე! ვის რა ბედი აქვს, ღმერთო ჩემო! მთელი ჩემი სიცოცხლე მას შევწირე, ყველაფერი გავაკეთე მისთვის, რაც კი ძალუძს ადამიანს გააკეთოს საყვარელი ადამიანისათვის, ის კი ამ საზიზღარი, საძაგელი გველის მიზეზით მოკვდა, რომელმაც უთხრა რომ მე—მე არა ვარ, რომ მე ყოველთვის ვატყუებდი მას, რომ მე მოვკალი მისი ქმარი—ჩემი ძმა.

გამიკვირდა, რომ იგი ასე მგზნებარედ ლაპარაკობდა, სრული თავდავიწყებით. ვგრძნობდი, რომ გაფითრებული ვიდექი. მაგრამ არაფერია! მე ვიცოდი, რა მეპასუხა.

— ნიკოლაი ანტონიჩ,—დავიწყე მე და თან ვცდილობდი, არ ავღელვებულიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ენა მაინცადამაინც არ მემორჩილებოდა.—მე პასუხს არ გაგცემთ თქვენს ეპითეტებზე, რადგანაც მესმის, რა მდგომარეობაში ხართ. თქვენ მართლაც გამაგდეთ, მაგრამ მე ისევ მოვედი და ვივლი მანამ, ვიდრე არ დავამტკიცებ, რომ მარია ვასილევნას სიკვდილში სრულიად არა ვარ დამნაშავე. და თუ ვინმეა დამნაშავე, ყოველ შემთხვევაში, არა მე, არამედ ვიღაც სხვა. ფაქტია, რომ თქვენ გაქვთ განსვენებული კაპიტანი ტატარინოვის წერილები, რომელთა საშუალებითაც დაარწმუნეთ კორაბლიოვი და, ალბათ, საერთოდ ყველანი, რომ მე ცილი დაგწამეთ. მე გთხოვთ, მაჩვენოთ ის წერილები, რათა ყველანი დარწმუნდნენ, რომ მე მართლაც ის საზიზღარი გველი ვარ, ვისზედაც ეს არის ახლა ლაპარაკობდით.

ამ სიტყვებს საშინელი აურზაური მოჰყა. ბუბენჩიკოვები, რომლებიც ჯერაც ვერ გარკვეულიყვნენ, გაიძახოდნენ:

— ვინ არის?

მაგრამ იმათ არავინ აუხსნა, ვინ ვიყავი მე, და ისინი სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ყვიროდნენ. ნინა კაპიტონოვნაც მიყვიროდა, წადიო. მხოლოდ კატია სდუმდა. იგი კედელთან იდგა და ხან მე მიყურებდა, ხან ნიკოლაი ანტონიჩს.

უეცრად ყველანი გაჩუმდნენ. ნიკოლაი ანტონიჩმა მოხუცი ქალი მოიშორა, თავის ოთახში გავიდა და ერთი წუთის შემდეგ დაბრუნდა. ხელში წერილების დასტა ეჭირა. არა ერთი და ორი, არამედ სწორედ დასტა—ორმოცამდე. არა მგონია, რომ ყველა კაპიტანი ტატარინოვის წერილები ყოფილიყო, უფრო სწორედ რომ ვთქვათ,—ეს სხვადასხვა წერილები იყო, სხვადასხვა პირებისაგან — მიწერ-მოწერა, დაკავშირებული ექსპედიციასთან ან რაიმე ამდაგვარი. ეს წერილები სახეში მესროლა, შემდეგ მომაფურთხა და სავარძელზე დაეცა. მოხუცი ქალები მისცვივდნენ მას.

ნაფურთხი რომ სახეში მომხვედროდა, ადვილი შესაძლებელია—გამერტყა, ან მომეკლა კიდეც,—ჩემთვის ჯერ პირში არავის მოეფურთხებინა და, მიუხედავად ყველა ჩემი წესებისა, ამის გამო შემეძლო კაცი მომეკლა. მაგრამ სახეში არ მომხვედრია. არც წერილებმა მოაღწიეს ჩემამდის.

გასაგებია, რომ მე აკრეფა არ დავუწყე ამ წერილებს, თუმცა იყო წამი, როდესაც მე კინაღამ არ ავიღე ერთი მათგანი—ის, რომელზედაც ლუქის ბეჭედი იყო წარწერით „წმ. მარიამი“. მე არ

მოვყევი აკრეფას. მე ამ სახლში უკანასკნელად ვიყავი. კატია ჩვენს შუა იდგა—სავარძელთან, სადაც ნიკოლაი ანტონიჩი პირმოკუმული იწვა და გულზე მალიმალ ხელს იდებდა. მე კატიას შევხედე—შიგ თვალებში, რომელთაც უკანასკნელად ვხედავდი.

— კეთილი,—ვთქვი მე.—არ მოვყვები ამ წერილების კითხვას, რომელნიც სახეში მესროლეთ. მე სხვაგვარად მოვიქცევი—ექსპედიციას ვიპოვი, მე არა მჯერა, რომ ის უკვალოდ დაიკარგა, და მაშინა ვნახოთ, ვინ იქნება ჩვენს შორის მართალი.

მე მინდოდა კატიას გამოვთხოვებოდი და მეთქვა მისთვის, რომ ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, ზურგი როგორ შემომაქცია დასაფლავებაზე. მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩმა სავარძლიდან წამოდგომა დააპირა და კვლავ საშინელი აურზაური ატყდა. ბოხუცი ბუბენჩიკოვები დამეხვივნენ და რაღაც მაგრად დამარტყეს ზურგში. ხელი ჩავიქნიე და წამოვედი.

თავი ოცდამეხუთე

უკანასკნელი შეხვედრა

ასე ობლად არასოდეს არ მიგრძვნია თავი. უფრო მეტი გაშმაგებით მივეტანე წიგნებს. მგონი, მთლად გადავეჩვიე ფიქრს. უფრო კარგი! სჯობდა არ მეფიქრა.

უეცრად წარმოვიდგინე, რომ შესაძლებელია ჯანმრთელობის გამო არ მიმიღონ მეთქი საფრენოსნო სკოლაში, და შეეუდექი ტანვარჯიშს, ყოველგვარ ხტომებს და ყირებს. ყოველ დილით ვისინჯავდი კუნთებს, კბილებს. განსაკუთრებით მაწუხებდა წყეული სიდაბლე; ყველა ამ უსიამოვნებებისაგან მგონი უფრო დავდაბლდი.

მაგრამ მაინც, მარტის ბოლოს საბუთები შევაგროვე და თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოში გავგზავნე. საბუთებს დავურთე თხოვნა—გავეგზავნე ლენინგრადში საფრენოსნო-თეორიულ სკოლაში.

მე მგონი, საჭირო არ არის ახსნა, თუ რად მინდოდა მოსკოვიდან წასვლა.

პეტკაც ლენინგრადში აპირებდა. მან საბოლოოდ გადაწყვიტა, სამხატვრო აკადემიაში შესულიყო.—სანიამაც ლენინგრადში გადაწყვიტა წასელა იმავე მიზნით.

ოდესღაც მე ბარონ კლოდტის ცხენებსა ვძერწავდი და ჩემი წარმოდგენა ლენინგრადზე ხიდზე შემდგარ ამ მშვენიერ ცხენებთან იყო დაკავშირებული. მე მეგონა, რომ ლენინგრადში ყოველ ნაბიჯზე

ძეგლები და მარმარილოს შენობები იქნებოდა. პეტკამ მირჩია, „ბრინჯაოს მხედარი“ წამეკითხა, და მე უფრო გამიცხოვლდა ამ შესანიშნავ ქალაქში წასვლის სურვილი. მაგრამ, რასაკვირველია, შეეძლოთ მოსკოვშიც დავეტოვებინე და სევასტოპოლშიაც გავეგზავნე.

საგაზაფხულო არდადეგებზე მე და პეტკა ენსკში წავედით. სხვათა შორის, ისევ უბილეთოდ, რადგანაც ფულს „სკოლის დამთავრებისათვის“ ვზოგავდით.

მაგრამ ეს სულ სხვა მგზავრობა იყო და თვითონ მეც სულ მთლად გამოვიცვალე ამ ნახევარ წელიწადში. დეიდა დაშა ავიშვიშდა ჩემს დანახვაზე, მოსამართლემ კი გამოაცხადა, რომ ასეთი სიგამხდრისათვის სასამართლოს წესით უნდა აგონ პასუხი. ყოველგვარ ზომებს მივიღებ, გამოვარკვიო ის მიზეზები, რომელთა გამოც მოპასუხემ სულის წონასწორობა დაჰკარგაო.

მაგრამ მოპასუხეს არაფერი უამბნია ამ მიზეზების შესახებ. იგი ძალიან დასევდიანებული დახეტიალებდა ტაძრის ბაღში, სანაპიროზე, იმ ადგილებში, რომლებიც დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ნაწნავებიან „მაძიებელს“ უჩვენა, რომელსაც ნაცრისფერი ყურებიანი ქუდი ეხურა.

მხოლოდ პეტკას ვუამბე და ისიც გაკვრით—ჩემი ლაპარაკის შესახებ კორაბლიოვთან და იმის შესახებ, თუ როგორ მიმიღო ნიკოლაი ანტონიჩმა. მაგრამ პეტკა სულ სხვა რამით დაინტერესდა: მან მომისმინა და ზეშთაგონებით მითხრა:

— უცებ რომ იპოვო?

— რა ვიპოვო?

— ექსპედიცია!

„უცებ რომ ვიპოვო“?—გავიფიქრე ნე.

სახეზე ეკალი დამაყარა, შიშმაც ამიტანა და სიხარულმაც. „უცებ რომ ვიპოვო?“ და როგორც ბავშვობაში, თითქოს წარმომიდგა ბუნდოვანი სურათი: თოვლზე თეთრი კარვები, აქასქასებულ ძაღლებს მიაქვთ მარხილი. უზარმაზარი კაცი, გოლიათი ბეწვის ჩექმებით, მარხილს ეგებება. მე კი, მეც ბეწვის ჩექმები მაცვია, ვეებერთელა ქუდი მხურავს და პირში ჩიბუხით კარვის კარებში ვდგევარ...

უნდა ითქვას, რომ პეტკა ენსკში ძალიან უცნაურად იქცეოდა. სულ რაღაც აღტაცებული იყო. ტყუილად კი არ მიკრავდა მოსამართლე თვალს და ყოველ სადილზე სიტყვას აგდებდა ნაადრევი ქორწინების უპირატესობის შესახებ. სანია წითლდებო-

და, პეტკა კი დანისლული თვალებით უსმენდა და ჭამით ვერ-ძღებოდა... იმათ რომ ვაკვირდებოდი, ვხვდებოდი, რომ ზამთრის არდადეგებზე ალბათ მეც ასეთივე ვიყავი: ვჭამდი და ვჭამდი. ეს იყო და ეს. რასაც მეუბნებოდნენ, დაგვიანებით ვიგებდი. მაგრამ მეჩვენებოდა, რომ იმათთვის ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ენსკში სულ კატიაზე ვფიქრობდი. სანიას წიგნებს შორის „კრაზანა“ ვიპოვე და ამ მშვენიერი რომანის კითხვის დროს ვფიქრობდი, რომ კრაზანას თავგადასავალი ძალიანა ჰგავდა ჩემსას. ისევე, როგორც კრაზანას, მეც ცილი დამწამეს და საყვარელმა ქალმა უარჰყო იგი ისევე, როგორც მე. წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ შევხვდებით ერთმანეთს თოთხმეტი წლის შემდეგ და ის მე ვერ მიცნობს. მეც კრაზანასავით ვკითხავ, ჩემ სურათზე ეუჩვენებ და ვკითხავ:

— ვინ არის ეს, თუ გაეკაღნიერდები და შეგეკითხებით?

— ეს ჩემი ბავშვობის მეგობრის სურათია, რომელზეც გიამბეთ.

— რომელიც თქვენ მოჰკალით?

ის შეკრთება და მიცნობს. მაშინ მე მივაყრი ჩემი სიმართლის საბუთებს და ზურგს შევაქცევ.

მაგრამ ასეთი შეხვედრის დიდი იმედი არა მქონდა. გულის სიღრმეში დარწმუნებული ვიყავი ჩემს სიმართლეში. მაგრამ ზოგჯერ გულში რაღაც ცივად დამივლიდა ხოლმე — მეტადრე მაშინ, როდესაც ის დაწყევლილი „ფონი“ მოჰგონდებოდა. ცოტა ხნით ადრე ენსკში წასვლამდე კორაბლიოვმა მითხრა, რომ ნიკოლაი ანტონიჩმა მაჩვენა კაპიტანი ტატარინოვის მიერ ნიკოლაი ივანიჩ ფონ ვიშიმირსკიზე გაცემული მინდობილობის დედანი ექსპედიციის ყველა საქმის წარმოების შესახებო.

— შენ შესცდი,—მომახალა მოკლედ და შეუბრალებლად.

მოსკოვში მარტო დავბრუნდი. პეტკა გაცივდა და რამდენიმე დღით ენსკში დარჩა. მე მომეჩვენა, რომ განგებ გაცივდა. ყოველ შემთხვევაში, ის ძალიან კმაყოფილი იყო ამით.

ენსკში მოწყენილი ვიყავი და იმედი მქონდა, მოსკოვში ჩამოვალ, წიგნებს ჩავუჯდები და მოსაწყენად დრო არ მექნება-მეთქი. მაგრამ მოსაწყენი დრო აღმოჩნდა! გაბრაზებული და დადუმებული სკოლის შენობაში დავხეტიალებდი.

სწორედ ამ დღეებში ჩვენკლასელ მარტინოვას წავეჩხუბე. სისაძაგლისათვის გავარტყი: ტანია ველიჩკოს ავტომატური კალამი

ასწავნა და მერე სცადა, ვალკასთვის გადაებრალებინა, — მაგრამ ნაწილობრივ იმიტომაც გავარტყი, რომ გოგო იყო.

მეორე დღეს უჯრედში გამომიძახეს და მკითხეს, რა მოხდაო. გოგოებთან ამხანაგური დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ მათთან ჩხუბი მაინც მიღებული არ იყო, განსაკუთრებით უკანასკნელ კლასში. მე ვთქვი, რომ მარტინოვა საძაგელია, რა ვუყოთ, რომ გოგოა, ბიჭისთვის რომ გამერტყა, გამომიძახებდით თუ არა. მეთქი?

პავშვები დაფიქრდნენ და დამეთანხმნენ, არაო.

მაგრამ ერთხელ საიდანღაც შინ დავბრუნდი. შესავალში, მაგიდაზე, სადაც ფოსტალიონები მთელ ჩვენს კორესპონდენციას აწყობდნენ, წერილი „საიდუმლო" დავინახე: „მეცხრეკლასელ ა. გრიგორიევს". წერილი გავხსენი: „სანია, მინდოდა მოგლაპარაკებოდი. თუ თავისუფალი ხარ, დღეს რვის ნახევარზე ბაღში მოდი, ტრიუმფალურზე".

მეცინება, რომ მაგონდება, თუ როგორ შეიცვალა ყველაფერი ამ წერილის წაკითხვისთანავე. კიბეებზე ლიხო შემხვდა, სალამი მივეცი. სადილზე ვალიას ჩემი გურიევის ფაფა დავუთმე და მარტინოვაც კი ისეთი საძაგელი აღარ მეჩვენებოდა. მართლაც, მგონი არა ღირდა მისი ცემა, მით უმეტეს, რომ, რაც უნდა იყოს, მაინც გოგოა.

ექვსი საათია! შვიდის ნახევარი! შვიდი. შვიდზე მე უკვე ბაღში ვიყავი. რვის თხუთმეტია, რვის ნახევარი! ბინდდება, მაგრამ ფარნები ჯერ არ ანთია და ათასნაირი სულელური აზრები ძომდის თავში — „ფარნები არ აინთება და მე კატიას ვერ ვიცნობ. ფარნები აინთება, მაგრამ ის არ მოვა... ფარნები არ აინთება და ის მე ვერ მიცნობს..."

ფარნები ინთება და ნაცნობი ბაღი, სადაც ოდესღაც მე და პეტკა პაპიროსების გასაღებას ვცდილობდით, სადაც გაზაფხულის დღეებში ათასჯერ მიზუთხია გაკვეთილები, ერიამუ-ლით სავსე ბაღი, სადაც მხოლოდ ჩვიდმეტი წლისას შეგიძლია იზუთხო გაკვეთილები, ეს ძველი ბაღი, სადაც მთელი ჩვენი და კიდევ ორი სხვა სკოლა: 143-ე და 28 ე პაემანებს ნიშნავენ, — ეს ბაღი სახეს იცვლის და თეატრს ემსგავსება. ახლა ჩვენ შევხვდებით. აი ისიც.

ერთმანეთს სალამს ვაძლევთ და ვდუმვართ, თბილა, ორი აპრილია, მაგრამ უეცრად თოვას იწყებს. თითქოს განგებ, რომ მთე-

ლი ჩემი სიცოცხლის მანძილზე დაუვიწყარი ყოფილიყო ის საღამო.

— კატია, ძალიან მიხარია, რომ მოხვედი. მეც დიდი ხანია მინდოდა შენთან ლაპარაკი. მაშინ. თქვენთან, ვერაფერი ვერ აგიხსენი, რადგანაც ნიკოლაი ანტონიჩმა ყვირილი დაიწყო და ახსნისათვის ვიღას ეცალა. რა თქმა უნდა, თუ შენ იმისი გჯერა...

ამ წინადადების დამთავრებისა მეშინია, რადგან, თუ კატიას იმისი სჯერა, მე უნდა წავიდე ამ ბაღიდან, სადაც ჩვენ ვსხედვართ გაფითრებულები, სერიოზულები და ელაპარაკობთ. ელაპარაკობთ და ერთმანეთს არ ვუყურებთ. უნდა წავიდე ამ ბაღიდან, სადაც თითქოს მარტო ჩვენ ორნი ვართ, თუმცა ყოველ სკამზე ვიღაცა ზის და პატარა ჩია უცხვირპირო დარაჯი კოჭლობით ბილიკებს უვლის.

— ნულარ ვილაპარაკებთ მაგაზე.

— კატია, მე არ შემიძლია არ ვილაპარაკო. საერთოდ ჩვენ სალაპარაკოც აღარაფერი გვაქვს, თუკი შენ იმისი გჯერა.

იგი მიყურებს სევდიანი და მთლად დიდი, ბევრად ჩემზე უფროსი და ჩემზე ჭკვიანი.

— ის შეუბნება, ყველაფერში შენა ხარ დამნაშავეო.

— შენა?

— რაკი მე პირველმა დავიჯერე ეს შეუძლებელი რამ, თითქოს მამა თავის წერილში მას გულისხმობდა,—რასაკვირველია, მე ვარ ყველაფერში დამნაშავე.

მაგონდება, რა უთხრა ერთხელ კორაბლიოვმა ნიკოლაი ანტონიჩზე მარია ვასილევნას: „დამიჯერეთ, ეგ საშინელი ადამიანია". მაგონდება, რასა სწერდა იმის შესახებ კაპიტანი: „გემუდარები, ნუ დაუჯერებ მაგ ადამიანს". ერუანტელი მიელის იმის გაფიქრებაზე, რომ ეს ადამიანი ახლა კატიას დაუწყებს დარწმუნებას, რომ კატიაა ყველაფერში დამნაშავე, რომ მან მოჰკლა დედა, რომ მან წაართვა ერთადერთი ბედნიერება ცხოვრებაში და, მაშასადამე, მის წინაშეც დამნაშავეა. რომ მხოლოდ მან, ნიკოლაი ანტონიჩმა, იცის, როგორ უნდა მოაწყოს ახლა, ამ ბოროტმოქმედების შემდეგ,კატიამ თავისი ცხოვრება... და ყველაფერ ამას შელაპარაკებს ნელ-ნელა, დღითი დღე, გრძელი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით, რომელთაგანაც თავბრუ გეხვევა.

მე წამოვხტი სასოწარკვეთილი და შიშის ზარით შეპყრობილი.

— ახლა იგი თხუთმეტ წელიწადს აღარ გაგითავებს ლაპარაკს, რომ შენა ხარ დამნაშავე და ბოლოს და ბოლოს დაგარწმუნებს

კიდეც ამაში, როგორც მარია ვასილევნა დაარწმუნა. განა შენ არ გესმის, რომ ეს უფლების მოპოვება იქნება? თუ შენ დამნაშავე ხარ, ის შენზე სრულ უფლებას მოიპოვებს და ყველაფერს გაგაკეთებინებს, რასაც მოინდომებს.

— მე წავალ.

— სად წახვალ?

— ჯერ არ ვიცი. გადავწყვიტე გეოლოგიურ-საძიებოზე შევიტანო განცხადება. დავამთავრებ და წავალ.

— შენ არსადაც არ წახვალ. შეიძლება ახლა კიდევ წასულიყავი, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ,—დამერწმუნე არსად არ წახვალ! ის ლაპარაკით გაგაბრუებს. ხომ დააჯერა მარია ვასილევნა, რომ იგი გულკეთილი და კეთილშობილი ადამიანია და, რაც მთავარია, რომ მარია ვასილევნა დავალებულია მისგან იმდენი მზრუნველობის გამო! რა ეშმაკად გადაგეკიდა! აკი მეუბნებოდა, ყველაფერში შენ ხარ დამნაშავეო.

— იგი ამბობს, რომ შენ უბრალოდ მკვლელი ხარ და მეტი არაფერი.

— ძალიან კარგი.

— და რომ მას არ გაუკვირდება, რომ შენი თავი დაახვრეტინოს.

— კეთილი! იმის გარდა ყველანი დამნაშავენი არიან. მე კი ვეუბნები, რომ ის საზიზღარი ადამიანია, იმის გაფიქრებაც კი საზარელია, რომ ასეთი ადამიანები არიან ქვეყანაზე.

— მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ...

— კარგი, ნუ ვილაპარაკებთ. ახლა მითხარი, რა გჯერა ყველა ამ სისულელიდან?

კატია დიდხანს სდუმს. მე კვლავ მის გვერდით ვჯდები, ძალიან ვშიშობ, მაგრამ ხელზე ხელს ვკიდებ, ის განზე არ იწევს, არც ხელი მიაქვს.

— მე მჯერა, რომ შენ განგებ არ ამბობდი, ის ნიკოლაი ანტონიჩიაო. შენ მართლა გეგონა, რომ ის ნიკოლაი ანტონიჩი იყო.

— ახლაც მგონია.

— მაგრამ არ უნდა ცდილიყავი ამაში ჩემს დარწმუნებას, მით უმეტეს დედაჩემისას.

— მაგრამ ნამდვილად ის არის.

კატია ჩემგან განზე იწევს, ხელიც უკან მიაქვს.

— მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

— კარგი, ნუ ვილაპარაკებთ. ოდესმე დავამტკიცებ, რომ ის ნიკოლაი ანტონიჩია, დავამტკიცებ, თუგინდ მთელი ჩემი სიცოცხლე მაგას შევწირო.

— ის ნიკოლაი ანტონიჩი არ არის და, თუ შენ არ გინდა, აქედან წავიდე, მაგაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

— კეთილი. ნუ ვილაპარაკებთ.

ჩვენ ამაზე აღარ გვილაპარაკნია. მან მკითხა გაზაფხულის არდადეგების შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ გავატარე დრო ენსკში, როგორ არიან სანია და მოხუცები. მეც მოკითხვა გადავეცი სანიასა და მოხუცებისაგან. მაგრამ ის აღარ მითქვამს, რა მოწყენილი ვიყავი უიმისოდ ენსკში, მეტადრე, როდესაც მარტო დავხეტიალებდი ჩვენს ნაცნობ ადგილებში, რა ბევრსა სჭამდა პეტკა და სულ ზეშთაგონებით იყო შეპყრობილი, და რომ იმათთვის ეს მდგომარეობა არც ისე არაჩვეულებრივია! მე არ ვიცოდი. ვუყვარდი ახლა კატიას თუ არა, მაგრამ ამის კითხვაც კი შეუძლებელი იყო, თუმცა ძალიან მინდოდა მეკითხა. მაგრამ ამ სიტყვის წარმოთქმაც არ შეიძლებოდა ახლა, როდესაც ჩვენ ვისხედით და ვლაპარაკობდით ასეთი სერიოზულები და ფერმიხდილები და როდესაც კატია ისე ჰგავდა თავის დედას! მე მხოლოდ მოვაგონე ენსკიდან როგორ მოვდიოდით, თითებით როგორ ვწერდით შეპირხლულ ფანჯრებზე და უეცრად თვალწინ იშლებოდა თოვლით დაფარული მინდორი. მას შემდეგ ყველაფერი გამოიცვალა! და ახლა ჩვენ არ შეგვეძლო ერთმანეთის მიმართ ის ვყოფილიყავით, რაც უწინ ვიყავით, მაგრამ ძალიან მინდოდა გამეგო, ისევ ვუყვარდი თუ არა.

— კატია,—ვუთხარი უეცრად,—არ გიყვარვარ?

ის შეკრთა და განცვიფრებით შემომეხედა, შემდეგ გაწითლდა და მომეხვია. მომეხვია და ჩვენ თვალებდახუჭულებმა ვაკოცეთ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, მე, მაგრამ, მგონი, იმანაც,—იმიტომ რომ ჩვენ ერთდროულად გავახილეთ თვალები. ჩვენ ერთმანეთს ვაკოცეთ ბაღში, ტრიუმფალურზე, მოსკოვის შუაგულში. იმ ბაღში, სადაც ჩვენი დანახვა სამ სკოლას შეეძლო—ჩვენსას, 143 ეს და 28-ს. მაგრამ ეს შეამნარევი ამბორი იყო. ეს განშორების ამბორი იყო. და თუმცა გამოთხოვებისას ჩვენ შევთანხმდით, რომ კვლავ შევხვდებოდით, მე მაინც ვგრძნობდი, რომ ეს ამბორი განშორებისა იყო.

აი რატომ იყო, რომ, როდესაც კატია წავიდა, მე ბაღში დავრ-

ჩი და დაღონებული კიდევ დიდხანს დავხეტიალებდი ბილიკებზე- იმ სკამზე ვჯდებოდი, რომელზედაც ჩვენ ვისხედით, მივდიოდი და კვლავ ვბრუნდებოდი. ქუდი მოვიხადე. თავი მიხურდა, გული მიკვნესოდა. იქაურობას ვერა ვშორდებოდი.

როდესაც შინ დავბრუნდი, ჩემ საწოლთან მაგიდაზე დიდი კონ-ვერტი დამხვდა, რომელსაც თავდაცვა-ავიაქიმის ბეჭედი ჰქონდა და მსხვილად ეწერა ჩემი სახელი. მამის სახელი და გვარი. ჩემ ცხოვ-რებაში პირველად მიწოდებდნენ სახელს და მამის სახელს. აკან-კალებული ხელებით კონვერტი გავხსენი. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭო მაცნობებდა, რომ ჩემი ქაღალდები მიღებულია და რომ ორ მაისს საექიმო კომისიაში უნდა გამოვცხადდე საფრენოსნო სკოლაში შე-სასვლელად.



ნაწილი მეოთხე

ჩრდილოეთი

თავი პირველი

საფრენოსნო სკოლა

1928 წლის ზაფხულია. ჩემს თავს ბოხჩით ხელში ლენინგრადის ქუჩებში ვხედავ.

საბავშვო სახლელებს სკოლის დამთავრების შემდეგ პირველ დღეებში მოსახმარად აძლევდნენ კოვზს, ტოლჩას, ორ წყვილ საცვალს და „ყველაფერს, რაც პირველ ხანებში დასჭირდებათ". მე და პეტია ჩვენი სკოლის ყოფილ მოსწავლესთან, „ელექტრო-სილის" ზეინკალ სიომა გინზბურგთან ვცხოვრობთ. სიომას დედას სახლმმართველისა ეშინია, ამიტომ ყოველ დილით მომაქვს იქიდან ჩემი ბოხჩა, საღამოთი კი კვლავ უკან მიმაქვს: თავს ისე ვიჭერ, თითქოს ეს არის, ახლა ჩამოვედი. სასადილოდან ლუწ რიცხვებში პირველი თავი სადილი გამოგვაქვს 15 კაპიკად, კენტ რიცხვებში კი—მეორე, 25 კაპიკად. დავსეტიალებთ გაინიერ ქუჩებში, შორს გაჭიმულ ნევის სანაპიროზე და პეტია, რომელიც ლენინგრადში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ სახლში, „ბრინჯაოს მხედარზე" მიამბობს, მე კი სულ იმას ვფიქრობ: მიმიღებენ თუ არა.

სამი კომისიაა—საექიმო, სამანდატო და საერთო-საგანმანათლებლო. გული, ფილტვები, ყურები, კვლავ გული! ვინა ვარ, სად

დავიბადე, სადა ვსწავლობდი და რატომ გადავწყვიტე მფრინავი, გავხდე?

მართლა ცხრამეტი წლისა ვარ? გადაკეთებული ხომ არ არის დაბადების წელი? შეხედულებით თითქოს ნაკლებისა ვარ. რაიკომის რეკომენდაციას გრიგორიევმა რად მოაწერა ხელი, ეგ ვილა არის — ძმა თუ მოგვარე!

აი ძლივს — დადგა გადამწყვეტი დღე! აერომუზეუმის წინ ვდგევარ — აქ ვიჭერდით გამოცდებს. ეს უზარმაზარი, ლომებიანი სახლია როშალის პროსპექტზე. პეტიამ მითხრა, ეს ლომები „ბრინჯაოს მხედარშია“ აღწერილი და თითქოს ამ ლომების წყალობით გადაირჩინა თავი წყალდიდობის დროს ევგენიმ, დღემდის არ ვიცი, მართალია ეს თუ არა. პუშკინისათვის არა მცალია. ლომები ისეთნაირად მიყურებენ, თითქოს ისინიც საცაა კითხვას დამიწყებენ: ვინა ვარ, სად დავიბადე და მართლა ცხრამეტი წლისა ვარ?

მაგრამ, აი როდის იწყება ნამდვილი შიში: როდესაც მეორე სართულში ავდივარ და დაფაზე საფრენოსნო სკოლაში მიღებულთა სიას ვუყურებ.

ვკითხულობ: ვლასოვი, ვორონოვი, გოლომბი, გრიბკოვი, დენისიაკი... თვალთ მიბნელდება, მე არა ვარ. კვლავ ვკითხულობ: ვლასოვი, ვორონოვი, გოლომბი გრიბკოვი, დენისიაკი... მე არა ვარ! რაც შეიძლება ღრმად ვსუნთქავ ჰაერს, რომ დამშვიდებით წავიკითხო: ვლასოვი, ვორონოვი, გოლომბი, გრიბკოვი, დენისიაკი. ვუყურებ ამ სიას, რომელშიაც რაც ქვეყანაზე გვარებია, მგონი, ყველა სწერია, გარდა ჩემი გვარისა, და ისეთი სევდა მიპყრობს, როგორიც შეიპყრობს ხოლმე სიცოცხლემოძულებულ ადამიანს.

კოკისპირულ წვიმაში ვბრუნდები შინ. ვლასოვი, ვორონოვი, გოლომბი“... ბედნიერი გოლომბი!

ტლანქი სახის, უზარმაზარი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი, ვინმე ვასკა ნუნეს ბალბოა წარმომიდგება, როდესაც ამ გვარს წარმოვთქვამ. რასაკვირველია! მე ვინ მიმიღებს! ეს წყეული სიდაბლე!

კარებს პეტია მიღებს, მას შიში იპყრობს. მე გაწუწული ვარ, სახეზე ადამიანის ფერი აღარ მადევს.

— რა მოგივიდა?

— პეტია, სიაში არა ვარ.

— ტყუი.

სიომას დედა შურდულიკით შემორბის სამზარეულოში და მკითხება, სახლმმართველი ხომ არ შეგხვედრიაო. ხმას არ ვი-

ლებ. სამზარეულოში სკამზე ვზივარ, პეტია კი თავჩაქინდრული სევდიანად დგას ჩემს წინ.

მეორე დილას ორივენი წავედით აერომუზეუმში და სიაში ჩემი გვარი ვიპოვეთ. მეორე სვეტში, სადაც სხვა ბიჭებიც იყვნენ „გ“-ზე. გრიგორიევი ორი იყო — ივანე და ალექსანდრე. პეტია მარწმუნებდა, შენი გვარი აღელვებისაგან ვერ იპოვეო...

დრო გარბის და აი, ჩემს თავს აერომუზეუმის იმავე სამკითხველოში ვხედავ, სადაც გამოცდებს ვაბარებდით. სამანდატო და საექიმო კომისიის მიერ გადარჩეული ცამეტი კაცი მწკრივში ვდგევართ — ზორბა, წითელთმიანი მხიარული სკოლის უფროსი გამოდის და გვეუბნება:

— ყურადღება, ამხანაგო მოსწავლეებო.

ამხანაგო მოსწავლეებო! მე საფრენოსნო სასწავლებლის მოსწავლე ვარ! ტანზე ეკალს მაყრის და მეჩვენება, რომ თითქოს ჯერ ცხელი და მერე ცივი წყალი გადამასხეს. მე მოსწავლე ვარ! მე ვიფრენ! არ მეყურება, რაზე ლაპარაკობს უფროსი...

დრო გარბის, ქარხნიდან პირდაპირ ლექციებზე მივდიოვართ. სიომა გინზბურგმა ზეინკლის თანაშეწყედ მომაწყო „ელექტროსილაში“.

ვისმენთ მატერიალურ ნაწილს, ავიაციის თეორიას, ძრავებს. ქარხანაში რვა საათის ყოფნის შემდეგ ძალიან გვეძინება, მაგრამ ჩვენ ვუსმენთ მატერიალურ ნაწილს, ავიაციის თეორიას, ძრავებს და მხოლოდ დროდადრო მიშა გოლომბი, რომელიც ჩემსავით პატარა ტანისა აღმოჩნდა, ჩემ ზურგს უკან ეწყობა და ნელა იწყებს ფშვინვას. შემდეგ ფშვინვას უმატებს და მე ფრთხილად თავს მაგიდაზე ვარტყმევინებ...

ჩვენ საფრენოსნო სკოლაში ვსწავლობთ, მაგრამ როგორ არა ჰგავს იგი ახლანდელ საფრენოსნო სკოლას! ჩვენ არა გვაქვს არც ძრავები, არც თვითმფრინავები, არც ბინა, არც ფული. მართალია, აერომუზეუმში რამდენიმე ძველი დამტვრეული თვითმფრინავი დგას — თუ სურვილი გაქვს, შეიძლება შენი თავი მზვერავად წარმოიდგინო „ხაველანდზე“ — ან გამანადგურებლად „ნიუპორზე“, რომელიც უკანასკნელად სამოქალაქო ომის ფრონტზე დაფრინავდა. მაგრამ ამ დამსახურებულ „კუბოებზე“ სწავლა არ შეიძლება.

ძრავებს ვაგროვებთ თავდაცვა-ავიაქიმის შესანიშნავი მანდატით, რომლის თანახმადაც სრული უფლება გვაქვს, კედლიდან თვითმფრინავის რომელი ნაწილიც გვსურს, ჩამოვხსნათ, ლენინ-

გრადის ყველა წითელი კუთხეები დავიარეთ. ზოგჯერ ეს ნაწილები არა წითელ კუთხეში, არამედ სახლმმართველობაში ავიაციის მოყვარულ ბუბჰალტრის მაგიდის ზემოდან ჰკიდია. ჩვენ ვიღებთ მათ და აეროდრომზე მიგვაქვს. ზოგჯერ ეს მშვიდობიანად ხერხდება, ზოგჯერ დავიდარაბით. მე და ტექნიკოსი სამჯერ ვიყავით მკერავთა კლუბში და გამგეს ვუმტკიცებდით, რომ ძველ ძრავს, რომელიც ფოიეში დგას, არავითარი სააგიტაციო მნიშვნელობა არა აქვს.

როგორ ვუელით მთელ ამ ჩაჟანგებულ ხარახურას, როდესაც ის ბოლოს და ბოლოს ჩვენს ხელში ვარდება! ვწმენდთ, ვწმენდთ და კვლავ ისევ ვწმენდთ; პირველ ნახევარ წელს მგონი წმენდისა და ძრავების აწყობის მეტს არაფერს ვაკეთებთ. ეს მე უფრო მიჭირს, ვიდრე სხვებს,—ჩკეხთან თითქმის ყველანი ზეინკლები და შოფერები არიან. მაგრამ მე განგებ ყველაზე ძნელ სამუშაოს ვკიდებ ხელს. სანამ ცოცხალი ვარ, არ დამავიწყდება თვითმფრინავი -У-1-ს* მარცხენა სიბრტყე, რომელზედაც ჩვენ ვსწავლობდით. ეს თვითმფრინავის ყველაზე ჭუჭყიანი ნაწილია, ხეთი ძრავიდან მარცხენა სიბრტყის ქვეშ ასხამს და მე სანაძლეოზე სკოლის დამთავრებამდე ყოველდღე ვრეცხავ მას. ზურგზე გაწოლილი ტალახსნაფოტით ვაცლი, მერე ჯაგრისით, შემდეგ ჩვრით, წყალი ზედდამდის, ზეთის სუნისაგან გული მერევა.

რა თქმა უნდა, ჩვენ მაინცდამაინც არა ვგევართ მომავალ პილოტებს, მეტადრე, როდესაც გვიან ღამით შინ ვბრუნდებით აეროდრომიდან და მთელი ტრამვაი ცხვირზე ხელს იჭერს და აღშფოთებული შემოგვყურებს. მაგრამ ჩვენ წარბსაც არ ვიხრით. მიშკა ამბობს:

— ვის ეშმაკს ასდის სასაქმებელი ზეთის სუნი? ფუი!—და დემონსტრატიულად ცხვირზე ხელს იჭერს.

ჩვენი დღე ძალიან ადრე იწყება—დილის შვიდი საათიდან ათ საათამდე ძრავების აწყობას ვუნდებით და რიგრიგობით ვუხსნით ვანია გრიბკოვს, რა არის ჰორიზონტი. ჩვენ გვყავდა ერთი ასეთი, ვანია გრიბკოვი, რომელსაც მთელი სკოლა უხსნიდა, თუ რა იყო ჰორიზონტი. შემდეგ ინსტრუქტორები მოდიან და ფრენა იწყება.

ჩემი ინსტრუქტორი, იგივე სკოლის უფროსი, იგივე მატერიალური და სამნეო ნაწილის გამგე—ძველი სამოქალაქო ომის დროინდელი მფრინავი. ზორბა ტანის, მხიარული კაცია, არაჩვეუ-

ლებრივი თავგადასავლების მოყვარული, რომელთაც საათობით გვიამბობს. ფიცხია, მაგრამ ადვილად დაშოშმინდება ხოლმე, გამბედავი, მაგრამ ცრუმორწმუნეა. ინსტრუქტორის მოვალეობა ძალიან უბრალოდ ესმის: ის მლანძღავს და, რაც უფრო მაღლა ავდივართ, მით უფრო მაგრა ილანძღება. ძლივს მომეშვა—პირველად ნახევარი წლის განმავლობაში!.. ეს შესანიშნავი იყო! ათიოდე წუთი მშვენიერ გუნებაზე ვფრინავდი. არ ილანძღება—ჩანს კარგად მიმყავს თვითმფრინავი; მიუხედავად ძრავის ხმაურობისა, მომეჩვენა, რომ სრულ სიწყნარეში მივფრინავთ—უჩვეულო მდგომარეობაა!

მაგრამ აქვე მივხვდი, რაც მოხდა; ტელეფონი გამორთულიყო და ყურმილი ქიმის იქით კონწიალებდა. დავიჭირე ყურმილი და მასთან ერთად უკანასკნელი წინადადებაც.

— ნიჩაბო! თქვენ კი არ უნდა ფრინაედეთ, საასენიზაციო აღალში უნდა მსახურობდეთ!

ჩემი ინსტრუქტორი ყველაზე საშინელ ლანძღვასაც კი ზრდილობიან „თქვენობით“ მომართვასთან ათავსებს...

სხვა სახე ცოცხლდება ჩემს თვალწინ, როდესაც ლენინგრადში ჩემი ყოფნის პირველ წელიწადს ვიგონებ. საკორპუსო აეროდრომზე ყოველდღე მოდის ჩ. მას უბრალო საქმე აბარია—ძველი, მრავალჯერ დამტვრეული მანქანით მგზავრებს ასეირნებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რა ადამიანია იგი. ჩვენ ვიცნობთ და გვიყვარს იგი' დიდი ხნით უფრო ადრე, ვიდრე მას გაიცნობდა და შეიყვარებდა ჩვენი ქვეყანა. ვიცით, ვისზე ლაპარაკობენ მფრინავები აერო-მუზეუმში, რომელიც იმ წლებში რაღაც ჩვენი კლუბის მაგვარი იყო. ჩვენ ვიცით, ვის ჰბაძავს სკოლის უფროსი, როდესაც წყნარი ბანით ლაპარაკის დროს მახვილს ოდნავ „ო“-ზე უსვამს:

— როგორ არის საქმე? ახერხებთ ღრმა ვირაჟებს? ოღონდ ტყუილი არა თქვათ! აბა თქვენ იცით!

ქუდმოგლეჯილები მივრბივართ იმ ადამიანისაკენ, როდესაც ის თავისი გასაოცარი ფიგურების შემდეგ აეროდრომზე ბრუნდება. უმაღლესი პილოტაჟის მოყვარულნი თითქმის ოთხით მიღოლავენ აქედან, ზაფრანის ფერი ადევთ, ის კი კაბინიდან უსათვალოდ გვიყურებს—უდიდესი ალღოს მფრინავი, ადამიანი, რომელშიც არწივის სული ცოცხლობდა.

ივან ივანიჩის მიერ სახსოვრად დატოვებულ სტეტოსკოპთან ერთად ყველგან თან დამაქვს ამ მფრინავის სურათი, რომელიც

მან მაჩუქა არა ლენინგრადში. როცა კურსანტი ვიყავი, არამედ ბევრად უფრო გვიან, რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში. ამ სურათზე მისი ხელით აწერია, „თუ ყოფნაა,— უნდა იყო საუკეთესო“.

ასე მიდიოდა ეს წელი — მძიმე, მაგრამ მშვენიერი წელი ლენინგრადში. ძალიან გულმოდგინედ და ენერგიულად ვმუშაობდით, ვსადილობდით, სადაც მოგვხვდებოდა, და დროის დიდ ნაწილს ძველი ძრავების აწყობას და გაწმენდას ვანდომებდით. ეს მშვენიერი წელი იყო, ოცნებათა წელი, რომელმაც საპუნქტირო ხაზივით დასახა ჩემი მომავალი ცხოვრება. წელი, როდესაც ვიგრძენი, რომ ძალმიძს შევქმნა ჩემი ცხოვრება ისეთი, როგორსაც მსურს ვხედავდე მას.

საგულისხმოა, რომ თუმც ერთი თავისუფალი წუთიც არა მქონია. მაინც დღიურის მაგვარს რაღაცას ვაწარმოებდი, ზოგიერთ აზრებსა და შთაბეჭდილებებს ვიწერდი. სამწუხაროდ, ეს დღიური დაბეკარგა. მაგრამ მახსოვს, რომ პირველ ფურცელზე ციტატი იყო კლაუზევიცდან: „პატარა ნახტომის გაკეთება უფრო ადვილია, ვიდრე დიდის, მაგრამ მაინც, როდესაც განიერ თხრილზე გადახტომა გვსურს, ჩვენ იმით კი არ ვიწყებთ, რომ ნახევარ ნახტომით მის ძირზე დავხტეთ“.

სწორედ ეს იყო ჩემი მთავარი ფიქრი ლენინგრადში — წინსვლა ნახევარი ნახტომების გარეშე.

დრო გარბის და მხოლოდ ერთი დღით ჩერდება 1930 წლის აგვისტოს ბოლოს. ამ დღეს მე მდიდრულ, ათეულ სხვადასხვანაირ მაღალ და დაბალ მაგიდებიდან შემდგარ უზარმაზარ სუფრას ვუზივარ. დიდრონი ფანჯრები, შუშის ჭერი. ეს ფოტოგრაფ-მხატვარ ბერენშტეინის ბინაა, ვისთანაც უქირავს ოთახი ჩემს და სანიას.

თავი მეორე

სანიას ქორწილი

ყოველ გამოსასვლელ დღეს მივდიოდი სანიასთან და, უნდა გამოგიტყდეთ, იქნებ უცნაურიც იყოს დაზე ასეთი ლაპარაკი,— სულ უფრო და უფრო მეტად მომწონდა. რაღაც მხიარული, მოქნილი და, ამასთან ერთად, საქმიანი იყო.

აკადემიაში შევიდა და მაშინვე საბავშვო გამომცემლობაშიც სამუშაო იშოვა. მშვენიერი ოთახი იქირავა და ფოტოგრაფ-მხატ-

ვარსა და მის ოჯახს, მათაც აგრეთვე რაღაც საქმეებს უკეთებდა, თვალში რომ ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ. მუდამ იცოდა ჩვენი საქმეების ვითარება, ჩემი და პეტიასი—და დაუზარებლად სწერდა ჩვენს მაგიერ მოხუცებს. ამასთან ერთად ბევრს მუშაობდა აკადემიაში და, თუმცა პეტიასავით დიდი ნიჭით არ იყო დაჯილდოებული, მაინც მშვენივრად ხატავდა. მას უყვარდა მინიატურები—ხელოვნება, რომელსაც ახლა თითქმის აღარ მისდევენ ჩვენი მხატვრები. და ისე ფაქიზად აკეთებდა სახისა და ტანსაცმელის ყოველ წვრილმანს, რომ პირდაპირ გაგაოცებდათ. როგორც ბავშვობაში, მუსაიფი ახლაც უყვარდა და, როდესაც ნაწყენი იყო რითიმე ან გატაცებული, ისე ჩქარ-ჩქარა მიაყრიდა, რომ ბოლოს და ბოლოს ვერაფერს გავიგებდი ხოლმე, ერთი სიტყვით, ეს საყვარელი და იყო და იგი ახლა თხოვდებოდა.

ცხადია, მიხვდებით, ვისზე თხოვდებოდა, თუჰკა ამ საღამოს მხატვარ-ფოტოგრაფის ატელიეში შეკრებილ ყმაწვილთა შორის პეტია ყველაზე ნაკლებად ჰგავდა ნეფეს. ძალიან ჩაფიქრებული—იგი ვიღაც ცხვირნისკარტა ბიჭს მისჯდომოდა და სდუმდა. ბიჭი კი სულ ეძიძგილავებოდა, თითქოს ცხვირით უნდა გაბურღოსო. ჩურჩულით ვკითხე სანიას, ეს ცხვირნისკარტა ვინ არის-მეთქი, და მან მოწიწებით მიპასუხა:

— იზია.

მაგრამ მე რატომღაც თვალში არ მომივიდა ეს იზია.

საერთოდ უცნაური ქორწილი იყო. მთელი საღამო სტუმრები რაღაც ძროხის შესახებ კამათობდნენ—რამდენად სწორია, რომ მხატვარი ფილიპოვი უკვე ორ წელიწად-ნახევარია ძროხასა ხატავსო. თითქოს მან ძროხა პატარა ოთხკუთხედებად დახაზა და თითოეულ ოთხკუთხედს ცალკე ხატავს. მინდოდა მეთქვა, უბრალოდ ავადმყოფი ყოფილა-მეთქი, მაგრამ იზიამ უკვე მოასწრო ამ ძროხახე მთელი თეორიის აგება და რაღაც უწოდა კიდეც „იზმის“ დაბოლოებით. ნეფე-დედოფალს ყურადღებას არავინ აქცევდა.

სანიას ქორწილში სადღესასწაულო განწყობილებით მივდიოდი. და გითხოვდება—ეს ხომ არც ისე ხშირად ხდება ცხოვრებაში! დილით დიდი დეპეშა მივიღეთ მოსამართლისა და დეიდა დაშასაგან ორი მისამართით: ნეფე-დედოფალს, ასლი კი—მე. მთელი თვე ვაწყობდი მათთვის რადიომიმღებს, მაგრამ ამ მხატვრებისათვის ყველაფერი ამაო ყოფილა. მთელი საღამო ძროხაზე კამათობდნენ.

ნ ეფე დედოფალი მაინც მხიარულად იყვნენ, მეტადრე პეტია, რომელიც დროდადრო იტყოდა: „სასაცილოა!“—და კმაყოფილი სახით მიიხედ-მოიხედავდა ხოლმე. სანია ძალიან გაძეძეებული იყო:—ოეფეშები არა ჰყოფნიდა და სტუმრებს ორ ცვლად უნდა გამასპინძლებოდა.

მხოლოდ ერთი წუთით დაჯდა, გაწითლებული, გაოგნებული, ახალ მაქმანჩატანებულ კაბაში, რომელმაც, მეც არ ვიცი რატომ, ენსკი და დეიდა დაშა მომაგონა. ამ წუთით ვისარგებლე და ავდექი.

— ყურადღება, სადღეგრძელოს ამბობს!—თქვა იზიამ და ცნობისმოყვარეობით შემომხედა, ყველანი გაჩუმდნენ.

— ამხანაგებო, ჯერ ერთი, წინადადებას გაძლევთ პატარძლის სადღეგრძელო დალიოთ,—ვთქვი მე.—თუმც დაა ჩემი, მაგრამ რადგან ფიქრად არავის მოსდის მისი სადღეგრძელო შესვას, იძულებული ვხდები, ეს სადღეგრძელო მე შემოგთავაზოთ.

ყველამ „ვაშა“ შესძახა და სანიას ჭიქები მიუჯახუნეს.

— მეორე, წინადადებას გაძლევთ, ნეფის სადღეგრძელო დალიოთ,—განვაგრძობდი მე—თუმცა, საცა სამართალია, ჯერ მას უნდა დაელია ჩემი სადღეგრძელო. რატომ? რადგან სწორედ მე დავუმტკიცე, რომ მხატვარი უნდა გამოსულიყო და არა მფრინავი. შესაძლოა, საიდუმლოს ვამჟღავნებ, მაგრამ ეს ფაქტია: მას მფრინავობა უნდოდა. ერთხელ მთელი დღე ვიკამათეთ ამაზე. მარწმუნებდა, სულაც არ მიყვარს ხატვაო. ეშინოდა, რომ ხატვით ვერ შესძლებდა მთელ თავის სულიერ ძალთა გამოვლინებას.

ყველამ ხარხარი დაიწყო, მე ჭიქაზე კოვზი მივაწკარუნე.

— საიდან მოვიტანე, რომ ის სწორედ მხატვარი უნდა გამოსულიყო? ძალიან უბრალოდ. მან თავისი სურათები მაჩვენა. შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ მაშინ მას მხოლოდ ერთი სიუჟეტი აინტერესებდა. სწორედ ის სიუჟეტი, რომლის სადღეგრძელოც ეს არის დავლიეთ.

მე სანიაზე ვუჩვენე.

— დამერწმუნეთ, ტყუის,—წაიბუტბუტა პეტიამ.

— ეს სიუჟეტი მრავალნაირად იყო გამოსახული: ნავში. ქურასთან, პატარა სკამზე, ალაყაფის კარებთან, პატარა სკამზე ბაღში, პალტოში, უპალტოოდ, უკრაინულ კოფთაში და ლურჯ ხალათში. აქ უკვე ძნელი არ იყო წინასწარმეტყველება: ჯერ ერთი ის, რომ ოდესმე მხატვარი გახდებოდა, მეორე ის, რომ ჩვენ ოდესმე ამ სუფრასთან შევიკრიბებოდით და ჩვენი ნეფე დედოფლის სადღეგრძელოს დავლევდით, რასაც ახლა მოგიწოდებთ.

მე სანიას და პეტიას ჭიქა მივუჯახუნე და ბოლომდის გამოვცალე.

მერე ჩემი სადღეგრძელო დალიეს, შემდეგ იზიასი. ეს კი შეცდომა იყო, რადგანაც იზიამ თავის სამადლობელს ბოლო ვეღარ მოაბა. იგი ლაპარაკობდა რაღაც სიტყვამოსწრებული თავდასხმებით მხატვარი ფილიპოვის წინააღმდეგ და მხოლოდ თვითონ იცინოდა. პეტკა კმაყოფილებით უყურებდა და სულ „სასაცილოაო", იმეორებდა, მერე უეცრად წამოჭარხლდა და თქვა, რომ იზია ტიპიური „უგვანო კაცია" და თან „უნიჭო კაციო", დაუმატა დაფიქრების შემდეგ.

მაგრამ იზია არ დაეთანხმა. არ ვიცი ეს კამათი რით გათავდებოდა, რომ სწორედ ამ დროს სანიას პროფესორი არ მოსულიყო, ძალიან პატივსაცემი, მშვენიერი შავწვერა კაცი. ყველანი მის მისაგებებლად გაიქცნენ და კამათი შეწყდა.

სიმართლე გითხრათ, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ნამდვილ პროფესორს. ძალიან მომეწონა. ხელად დაითრო და მითხრა, ყოველთვის ავიატორი მინდოდა გამოვსულიყავი, ჯერ ისევ 1914 წლის ომის დროსო. მერე სანიას მოეხვია და რამდენადმე უფრო ხანგრძლივად ჰკოცნიდა, ვიდრე ეს ამისთანა პატივსაცემ წვერიან პროფესორს შეეფერებოდა, მერე საავარძელზე მიწვა და მიეძინა.

ერთი სიტყვით, სანიას ქორწილში დიდი მხიარულება იყო, მაგრამ გულის სიღრმეში რაღაც სევდასა ვგრძნობდი, რომელშიც ჩემ თავსაც არ მინდოდა გამოეტეხოდი. მხატვრები რაღაც უცნაურებად მეჩვენებოდნენ—და ეს გასაგებია, იმიტომ რომ მე სხვა ცხოვრება და სხვა ინტერესები მქონდა. თუმცა, მგონი, ისინიც ამასვე ფიქრობდნენ ჩემზე. ეს ჩემი სიტყვის წარმოთქმის დროს ვიგრძენი.

მაგრამ ჩემს სევდას სხვა მიზეზიც ჰქონდა: სანია მიმიხვდა ამას, რადგან, როდესაც პროფესორს გამოელვიძა და საქვეყნოდ გამოაცხადა, დიპლომის დაცვამდის ვუკრძალავ სანიას გათხოვებასაო და ყველა სიცილ-ხარხარით შემოეხვია მას, სანიამ ჩუმად დამიქნია ხელი და ჩვენ სამზარეულოში გავედით.

— მოკითხვა შემოგითვალეს... იცი ვინ?

მაშინვე მივხვდი ვინ, მაგრამ მშვიდად ვუთხარი:

— არ ვიცი.

— კატიამ.

— რას ამბობ? გმადლობ.

სანიამ წყენით შემომხედა. ოდნავ კიდევაც გაფითრდა, ისე ეწყინა და გამიჯავრდა, რასაკვირველია, მშვენივრად ხედავდა, რომ მე ვეთვალთმაქცობდი.

— მუდამ ასე სტყუი,— მითხრა მან სწრაფად.—ჩაილდ ჰაროლდს დამიხედეთ! გთხოვ, ნუ მატყუებ, განსაკუთრებით დღეს, ჩემს ქორწილში. კატიას მივწერ, რომ მთელი დღე მეხვეწებოდი, ეს წერილი მომეცა. მაგრამ მე არ მოგეცი.

— არაფერსაც არ გეხვეწები.

— შენ გულში მთხოვ,— დარწმუნებით მითხრა სანიამ,—მაგრამ თავს ისე იჭერ, თითქოს შენთვის სულ ერთი იყოს. თუმცა შემიძლია წერილი მოგცე, ოღონდ უკანასკნელი გვერდი არ წაიკითხო, კარგი?

წერილი ხელში მომაჩეჩა და გაიქცა. რა თქმა უნდა, წერილი წავიკითხე, უკანასკნელი გვერდი კი—სამჯერ, იმიტომ რომ იქ ჩემზე იყო ლაპარაკი. კატია სულაც არა სთხოვდა, მოკითხვა გადმოეცა, არამედ უბრალოდ კითხულობდა ჩემს საქმეებს და როდის ვამთავრებ სკოლას. ერთი შეხედვით ეს ჩვეულებრივი წერილი იყო, ნამდვილად კი—ძალიან სევდიანი. მაგალითად ასეთი რამ ეწერა იქ:

„ახლა ოთხი საათია, ჩვენთან კი უკვე ბნელა. მე უეცრად წამეძინა და, როდესაც გამეღვიძა, ვერ მივხვდი, რა მოხდა ასეთი სასიამოვნო. თურმე სიზმარში ენსკი მენახა, ვითომ დეიდები სამგზავროდ მაცმევდნენ“...

რამდენჯერმე გადავიკითხე ეს ადგილი და დაუვიწყარი დღე,— ჩვენი გამომგზავრება ენსკიდან თვალწინ დამიდგა. მომაგონდა მიმავალ მატარებელს როგორ მოსძახოდნენ დარიგებებს კატიას დეიდები, მერე როგორ გადავედი კატიას ვაგონში და როგორ დავიწყეთ კალათების სინჯვა. ტანდაბალ, პირგაუპარსავ მეზობელს ვერ გამოეცნო ვინ ვიყავი, კატია ჩემს გვერდით იდგა ტალანში. ჩემს გვერდით იდგა, მე მას ვუყურებდი, ველაპარაკებოდი,— რა ძნელი იყო ამის წარმოდგენა ახლა, როდესაც იგი ასე შორს იყო ჩემგან.

არ შემინიშნავს, როგორ დაბრუნდა სანია.

— წაიკითხე?

— სანია, მისწერე გეთაყვა, რომ ჩემი საქმეები ძალიან კარგად მიდის, რომ სკოლას ოქტომბერში ვამთავრებ, შერე კი... ჯერ არ ვიცი, საით გავწევ. ჩრდილოეთისაკენ ვითხოვ გაგზავნას.

— ახლავე დაჯექი და ეგ ყველაფერი შენ თვითონ მისწერე!

— არა, მე არ მივწერ.

— არ გაგიშვებ, ვიდრე არ მისწერ!

— სანია!

— ახლავე პეტკას დავუძახებ,—სერიოზულად მითხრა სანიამ,— და საერთოდ ყველანი, დაგიჩოქებთ და შეგეხვეწებით, რომ მისწერო, შენ შეუბრალებლად იქცევი.

— ჯანდაბას შენი თავი, სანია! მოვრალი ხარ და მეტი არაფერი. აბა, მივდივარ.

— სად მიდიხარ? ჭკუაზე შეიშალე?

— უნდა წავიდე... გვიან არის, ხვალ კი ადრე ვარ ასადგომი და საერთოდ...

არა ვთქვი რა „საერთოდ“, მაგრამ იგი მიმიხვდა და გამომშვიდობებისას თანაგრძნობით ლოყაზე მაკოცა.

თავი მესამე

ვწერ ექიმ ივან ივანიჩს

კატიაზე გაჯავრებული ვიყავი, რადგან მოსკოვიდან გამგზავრების წინ გამომშვიდობება მინდოდა მასთან და წერილი მივწერე. იმან კი არ მიპასუხა და არც მოვიდა, თუმცა იცოდა, რომ დიდი ხნით მივდიოდი და შეიძლება არასოდეს აღარ გვენახა ერთმანეთი. რა თქმა უნდა, მე აღარ მიმიწერია. რას იზამ, ალბათ ნიკოლაი ანტონიჩმა უკვე მოასწრო და დაარწმუნა, რომ მე მას ცილი დავწამე, „საშინელი ცილი, როგორიც კი შეიძლება ადამიანის გონებამ წარმოიდგინოს“, რომ მე—„უწმინდური სისხლის მქონე ბიჭი ვარ“, ვისი მიზეზითაც დედა მოუკვდა.

კეთილი, ჯერ ყველაფერი წინ არის! ამ სურათის მოგონებაზე თავბრუ მესხმოდა.

რა შემეძლო გამეკეთებინა ლენინგრადში: რვიდან ხუთ საათამდე ქარხანაში და ხუთიდან—ღამის პირველ საათამდე საფრენოსნო სკოლაში მუშაობის დროს?

ზამთარში, გაფრენამდე, აერომუზეუმის სამკითხველოში ვმეცადინეობდით, ერთხელ მუზეუმის გამგესა ვკითხე, ხომ არაფერი იცით კაპიტანი ტატარინოვის შესახებ. რაიმე წიგნი ხომ არ არსებეთქი სამკითხველოში იმის ცხოვრებაზე, ან მისი საკუთარი წიგნი, „გრილის ექსპედიციის დაღუპვის მიზეზები?“

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მუზეუმის გამგე დიდი ინტერესით შეხვდა ამას. აქვე უნდა ვთქვა, რომ იგი ჩვენი საფრენოსნო სკოლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო და კურსანტები მუდამ იმას მიმართავდნენ ხოლმე თავიანთი საქმეების გამო.

— კაპიტანი ტატარინოვი?—გაკვირვებით ჩამეკითხა.—ოჰო! ყოჩაღ! მერე შენ რად გაინტერესებს?

ამაზე რომ მეპასუხა, უნდა მეამბნა ყველაფერი, რაც თქვენ წაიკითხეთ. ამიტომ მე მოკლედ ვუპასუხე:

— მიყვარს საერთოდ მოგზაურობების კითხვა.

— მაგრამ სწორედ ამ მოგზაურობაზე თითქმის არაფერია დაწერილი,—თქვა მუზეუმის გამგემ.—აბა, წამოდი ერთი, ბიბლიოთეკაში წავიდეთ.

რასაკვირველია, უიმისოდ მე ვერაფერს ვერ ვიპოვიდი, რადგან ყველაფერი ეს ცალკე წერილებად იყო გაზეთებში გაბნეული, წიგნი კი მხოლოდ ერთი იყო—ოცდახუთფურცლიანი პატარა ბროშურა, სათაურით „ქალი ზღვაში“. აღმოჩნდა, რომ კაპიტანს არა მარტო გრილის ექსპედიციის შესახებ დაეწერა.

რა წიგნი იყო ეს? ორჯერ გადავიკითხე და გადავწყვიტე, რომ საინტერესო წიგნია, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, რომ ის საზღვაო ოფიცერმა დაწერა. და ისიც როდის? 1910 წელს, ცარიზმის დროს!

ამ წიგნში ამტკიცებდნენ, რომ ქალს შეუძლია მეზღვაური იყოს, და მოჰყავდათ შემთხვევები აზოვის ზღვის სანაპიროს მეთევზეთა ცხოვრებიდან, როდესაც ქალები განსაცდელის დროს მამაკაცებზე უფრო გაბედულადაც იქცეოდნენ. კაპიტანი ამტკიცებდა, რომ „ქალების დაუშვებლობას მეზღვაურთა პროფესიაში“, წინააღმდეგ გავრცელებული ცრუმორწმუნეობისა, ბევრი უბედურება მოაქვს მეზღვაურთათვის, რომელნიც იძულებულნი არიან დიდი ხნით მოსწყდნენ ხმელეთზე დატოვებულ ოჯახს, და რომ მომავალში გეგმის ქიმზე ის ხედავს „ქალს-მექანიკოსს, ქალს-შტურმანს, ქალს-კაპიტანს“.

ამ ბროშურის კითხვის დროს მომაგონდა კაპიტანის შენიშვნები ნანსენის მოგზაურობაზე და მისი მოხსენებითი ბარათი 1911 წელს ჩრდილოეთ პოლუსის ექსპედიციის შესახებ. პირველად მომივიდა აზრად, რომ ეს იყო არა მარტო მამაცი მეზღვაური, არამედ არაჩვეულებრივი საღი გონების და ცხოვრებაზე ფართო, მოწინავე აზრების მქონე ადამიანი.

მაგრამ ზოგიერთი წერილების ავტორები, ალბათ, სხვაგვარად ფიქრობდნენ. „პეტერბურგსკაია გაზეტაში“, მაგალითად, ვიღაც ჟურნალისტი ილაშქრებდა ექსპედიციის წინააღმდეგ იმ საფუძველზე, რომ მინისტრთა საბჭომ „უარჰყო კაპიტანი ტატარინოვის თხოვნა აუცილებელი სახსრების გამოყოფის შესახებ“. სხვათა შორის, ეს წერილი ასეთი ენით იყო დაწერილი: „...ვინაიდან, დაინტერესებულ უწყებათა დადასტურებით, მოსაზრებანი მსჯელობას დაქვემდებაოებულ მოგზაურობის პრაქტიკული განხორციელების პირობების შესახებ არა საკმარისად დასაბუთებულად არიან წარმოდგენილნი და, ამასთან ერთად, საერთოდ კაპიტანი ტატარინოვის დასახული ექსპედიცია არა საკმაოდ მოფიქრებულ ხასიათს ატარებს, მინისტრთა საბჭომ მიიღო, რომ მთავრობამ საზღვაო უწყების წარმომადგენლის საშუალებით ამ წინადადების უარყოფის აზრი უნდა გამოთქვას“.

მეორე გაზეთში საინტერესო ფოტო ვიპოვე: ლამაზი თეთრი გემი, რომელმაც „აღმოჩენათა საუკუნის“ — ხომალდები მომაგონა. ეს იყო ხომალდი „წმ. მარიამი“. პეტერბურგიდან ციმბირის ნაპირებით ვლადივოსტოკში გამგზავრებისათვის ეს ხომალდი მეტად კეკლუცი და კოხტა ჩანდა.

იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში უფრო საინტერესო სურათი იყო მოთავსებული: ხომალდის შემადგენლობა—მართალია, ძნელი იყო ამ სურათზე რაიმეს გარჩევა, მაგრამ თვით ფიგურათა განწყობა და ისიც, რომ კაპიტანი გულხელდაკრეფილი შუაში იჯდა —ყველაფერი ეს ძალიან ნაცნობად მომეჩვენა. სად მინახავს ეს სურათი? რა თქმა უნდა ტატარინოვებთან, სხვა სურათებს შორის, რომელნიც ოდესღაც კატიამ მაჩვენა. მაგრამ კვლავ ვერ მომეგონებინა. არა, ტატარინოვებთან არ მინახავს! ექიმ ივან ივანიჩთან— აი სადა ვნახე ეს სურათი!

ცხრაას ოცდასამ წელს, საავადმყოფოდან რომ გამოვეწერე, ექიმთან შევიარე გამოსამშვიდობებლად. ჩრდილოეთში მიემგზავრებოდა და სწორედ მაშინ, ჩემოდანში ბარგის ჩალაგების დროს, გადმოვარდა ეს სურათი. ავიღე, სინჯვა დავუწყე და ვკითხე, რატომ თქვენ არა ხართ მეთქი გემის შემადგენლობაში. მან მიპასუხა: მე არ მიმგზავრია „წმ. მარიამითო“. მერე სურათი გამომართვა და დაუმატა:

— ეს ერთი ადამიანისაგან დამრჩა სახსოვრად.

— ვინ იყო ის ადამიანი?

და უეცრად უბრალო, მაგრამ თანაც უცნაურმა აზრმა გამიელვა თავში, რომლის დადასტურება მხოლოდ ექიმ ივან ივანიჩს შეეძლო. შაშინვე გადავწყვიტე მიმეწერა მისთვის. თითქმის შვიდი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ის მოსკოვიდან წავიდა, მაგრამ მე რატომღაც სავსებით ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი ცოცხალი იყო. ისევე კითხულობს კოზმა პრუტკოვის ლექსებს და ლაპარაკის დროს ისევე იღებს რაიმე ნივთს და წინანდებურად ჟონგლიორივით ჰაერში ისვრის და იჭერს.

აი რა მივწერე:

_პატივცემულო ივან ივანოვიჩ.

ამას გწერთ თქვენი „საინტერესო ავადმყოფი", რომელიც ოდესღაც, თქვენი თქმისა არ იყოს, „ყრუ მუნჯობისაგან" განკურნეთ. კიდევ გახსოვართ თუ არა? ჩრდილოეთში რომ მიემგზავრებოდით, თქვენ მთხოვეთ მომეწერა ჩემი საქმეების შესახებ და აი ახლა, შვიდი წლის შემდეგ, როგორც იყო მოვახერხე დაპირების შესრულება. თავს კარგადა ვგრძნობ. ახლა მე საფრენოსნო სკოლის მოსწავლე ვარ. ვსწავლობ თავდაცვა-ავიაქიმის საფრენოსნო სკოლაში და, იმედი მაქვს, ოდესმე თქვენთანაც მოვფრინდები. სხვათა შორის, ერთი საქმის გამო გწერთ: თქვენთან რომ ვიყავი მოსკოვში, თქვენ ხელში გეჭირათ ხომალდ „წმ. მარიამის" შემადგენლობის ფოტოსურათი—კაპიტანია ტატარინოვი. 1912 წლის მაისში ხომალდი პეტერბურგიდან გავიდა, 1913 წლის შემოდგომაზე კი უგზოუკვლოდ დაიკარგა კარის ზღვაში. გახსოვთ, თქვენა თქვით, ეს ფოტო ერთმა ადამიანმა დამიტოვაო სახსოვრად, მაგრამ ვინ იყო ის ადამიანი, არ გითქვამთ. ჩემთვის ძალიან საპირო გავიგო, ვინ იყო იგი. რა თქმა უნდა, თქვენ უფლება გაქვთ მკითხოთ: მერე შენ რად გაინტერესებსო? მე მოკლედ გიპასუხებთ: მე მაინტერესებს ყველაფერი, რაც კაპიტან ტატარინოვს შეეხება, იმიტომ რომ მე ვიცნობ მის ოჯახს და ჩემთვის მნიშვნელოვანია, ამ ოჯახს კაპიტანის ცხოვრებისა და სიკვდილის სრული სინამდვილე გავაგებინო.

ძალიან მადლობელი ვიქნები, თუ მიპასუხებთ. როშალის პროსპექტი 12, აერომუზეუმი, თავდაცვა-ავიაქიმის საფრენოსნო სკოლა.

სალმით ალექსანდრე გრიგორიევი".

უნდა მქონოდა იმედი, რომ პასუხს მივიღებდი? შეიძლება ექიმი უკვე დიდი ხანია მოსკოვს დაბრუნდა? შეიძლება უფრო შორს გადავიდა ჩრდილოეთში? ან უბრალოდ აღარ ვახსოვარ, ახლა წე-

რილს კითხულობს და ვერ გაუგია—რა ფოტო? რომელი გრიგორიევი?

თავი მეოთხე

პასუხს ვილებ

გავიდა ერთი თვე, ორი, სამი. თეორიული მეცადინეობა დავამთავრეთ და საბოლოოდ საკორპუსო აეროდრომზე გადავბარგდით...

ეს „დიადი დღე“ იყო აეროდრომზე—1930 წლის 25 სექტემბერი. დღემდე ამ სახელწოდებით ვიგონებთ ამ დღეს. ის ჩვეულებრივად დაიწყო: დილის შვიდ საათზე უკვე „უტილს“ ვუსხედით, ვიღაც უკვე ცდილობდა მიშა გოლომბის „გაკვირვებას“, რომელსაც თავისდღეში ვერაფრით გააკვირვებდით, ვანია გრიბკოვი უკვე ვიღაცას ეკითხებოდა, რა არის ჰორიზონტიო.

— აი, ის ადგილი, სადაც ცა დედამიწას უერთდება. გესმის?

— მერე რატომ არ ერთდებიან, როცა მიეფრინავ?

ბოლოს, როგორც იყო გაიგო, რა იყო ჰორიზონტი. მაგრამ ის ჰორიზონტს ყოველთვის ერთ და იმავე ადგილზე პოულობდა – „პეტილოვიცა“ უკან, სრუტეზე. აი სწორედ იქით მიფრინავდა. მოსცილდებოდა თუ არა მიწას, მაშინვე „ჰორიზონტს მიაწვებოდა“ ხოლმე. იქამდის „აწვებოდა“, ვიდრე მოტორისტად არ გადაიყვანეს.

ცხრა საათზე ინსტრუქტორი ჩამოვიდა და დაიწყო ამბები: ჯერ ერთი ვიღაც რიხიანი, ოქროსსათვალიანი ძიაკაცი მოიყვანა, როგორც მალე გამოირკვა,—რაიკომის მდივანი. მდივანმა გადახედა თვითმფრინავებს, მერე თვითმფრინავების ყუთებს, რომელშიაც სახელოსნოები გვქონდა მოწყობილი, და უთხრა:

— იცით, რას გეტყვით, ძვირფასო, უპირველესად ყოვლისა, დაცვა უნდა მოაგვაროთ. ეს რა წესია, რომ აეროდრომზე ერთთავად ვიღაც საეჭვო პირები დაეხეტებიან.

— სადა?—ჰკითხა ინსტრუქტორმა,—ოხ, ესენი? ესენი ხომ ჩემი მოსწავლეები არიან.

მეორე, ის იყო, რომ, სტუმარი გავაცილეთ თუ არა, ინსტრუქტორი გვეცა: ბენზინს რადა ღვრითო. გაჭარხლდა და თითქმის თავისივე ქოჩრის ფერისა გახდა. ეს პირველი არ იყო, ამიტომ ჩვენ ვფიქრობდით, იყვირებს და გაჩუმდებაო.

მაგრამ ის ჩაცუცქდა და ბენზინის კასრთან პატარა ორმოებს თითით სინჯვა დაუწყო. ორმოებში წყალი იდგა, მაგრამ მან გამოაცხადა, ბენზინიაო.

— არა, წყალია,— შეეკამათა გოლომბი.

— მე კი გეუბნები ბენზინია-მეთქი!

— წყალია!

— ბენზინია!

— კარგი, ბენზინი იყოს,— დაეთანხმა გოლომბი.

ინსტრუქტორმა მეორე ორმოში ჩაჰყო თითი, უსუნა და ადგა. მრისხანედ შეიკრა შუბლი და კიდევ ერთხელ უსუნა.

— წყალია,— ჩამწყდარი ხმით წაიბურტყუნა მან. ჩვენ სიცილისაგან მიწაზე დავცვივდით...

მესამე ის, რომ... მაგრამ ის, რაც მოხდა, დაწვრილებით უნდა გიამბოთ:

ამ დღეს ჩვენ რამდენჯერმე გავფრინდით ერთად. ის თვალს არ მაშორებდა, მაგრამ ამჯერად არა მლანძღავდა.

— აბა,— ბითხრა ბოლოს.— ახლა კი მარტო გაფრინდით.

ალბათ, ძალიან აღელვებული ვჩანდი, რადგანაც ერთი წუთი ყურადღებით აღსავსე, კეთილი თვალებით მიყურა. მერე ხელსაწყოები შეამოწმა, სწორედ მუშაობენ თუ არაო, და პირველ, ამჟამად ცარიელ კაბინაში თასმები დაამაგრა.

— ნორმალური წრიული გაფრენა. მიწას მოსწყდებით, სიმაღლეს აიღებთ. ეს ორმოცდაათ მეტრზე ქვემოთ ფრენას არ გააძლიერებთ.

იმ გრძნობით შეპყრობილი, თითქოს ამას მე კი არ ვაკეთებ, არამედ ვიღაც სხვა, მოვემზადე და ხელი ავწიე — გაფრენას ვითხოვდი. სტარტერმა თეთრი ბაირაღი ამიქნია — გაფრენა შეიძლება. გზი მივეცი და მანქანა აეროდრომზე გაგოგდა.

დიდი ხანია დავიწყებული მქონდა ბავშვური წყენა, როდესაც პირველად ჰაერში ავფრინდი და გავიგე, რა იყო გაფრენა. ალბათ, გულის სიღრმეში მაინც მეგონა, რომ ფრინველივით გავინავარდებდი, და მე კი სწორედ ისე, როგორც მიწაზე, სავარძელში ვიჯექი. სავარძელში ვიჯექი და არც მიწასა და არც ცაზე საფიქრებლად არ მეცალა. მხოლოდ მეათე თუ მეთორმეტე დამოუკიდებელი გაფრენის დროს შევამჩნიე, რომ დედამიწა გეოგრაფიულ რუკასავით არის დახაზული და ჩვენ ძალიან ზუსტ ვეომეტრიულ სამყაროში ვცხოვრობთ. მე მომეწონა დედამიწაზე აქა-იქ დაცემული

ღრუბელთა ჩრდილები და საერთოდ გავიგე, რომ ქვეყანა საოცრად ლამაზია...

ამგვარად პირველად მივფრინავ მარტო. ინსტრუქტორის კაბინა ცარიელია. გაფრენის პირველი ნაწილი, კაბინა ცარიელია, მანქანა კი მიჰქრის. მეორე, სრული თავისუფლების შეგსანიშნავი გრძნობით შეპყრობილი მარტოდმარტო მივფრინავ. მესამე, უნდა დავეშვა, მეოთხე,—ყურადღება. ძრავს ვაჩერებ. მიწას სულ უფრო და უფრო ვუახლოვდები. აი ის პირდაპირ მანქანის ქვეშ არის. გაქცევა. სდექ!

მგონი, ეს ყველაფერი ცუდად არ იყო შესრულებული, რადგან ჩვენმა ბრაზიანმა ინსტრუქტორმაც მოწონებით დამიქნია თავი, მიშა გოლომბმა კი მის ზურგს უკან ცერი მიჩვენა.

— სანკა, ყოჩაღ!—მითხრა მან, როდესაც ბექობზე დავსხედით პაპიროსის მოსაწევად,—გეფიცები! ჰო, მართლა, შენი წერილია, დღეს აერომუზეუმში ვიყავი და დარაჯმა მითხრა „გრიგორიევისაა, იქნებ გადასცეთო“.

მან წერილი გამომიწოდა. ეს ივან ივანიჩის წერილი იყო.

„ძვირფასო სანია! ძალიან მოხარული ვარ, რომ თავს კარგადა გრძნობ, მაგრამ შენ ტყუილად მწერ „ყრუმუნჯობისაგან“ განმკურნეთო! ასეთი ავადმყოფობა არც არის, ჩემო ძმაო. „სიმუნჯე სიყრუის გარეშე“—მართლა გეუბნები. გელი შენი თვითმფრინავით, თორემ სულ ძაღლებით გვიხდება მგზავრობა. ახლა სურათის შესახებ. ის სურათი „წმ. მარიამის“ შტურმანმა ივან დმიტრიევიჩ კლიმოვმა მაჩუქა. 1914 წელს იგი არხანგელსკში ჩამოიყვანეს ფეხებმოყინული და სისხლის მოწამვლისაგან გარდაიცვალა ქალაქის საავადმყოფოში. მას ორი რვეული დარჩა და ბლომად წერილები,—ჩემის აზრით, ოციოდე წერილი, რასაკვირველია, ეს გემიდან წამოღებული ფოსტა იყო, თუმცა შესაძლოა, რომ ზოგიერთი წერილი გზაში დასწერა. მას ლეიტენანტი სედოვის ექსპედიცია წააწყდა. როდესაც გარდაიცვალა, საავადმყოფომ მისამართების მიხედვით დაგზავნა წერილები, რვეულები და რამდენიმე სურათი კი ჩემთან დარჩა. რაკი შენ იცნობ კაპიტან ტატარინოვის ოჯახს და „მიზნად გაქვს მისი სიცოცხლისა და სიკვდილის სრული სინამდვილე გააგებინო“ (ესე იგი ოჯახისა კი არა, კაპიტანის), შენ, ცხადია, გაინტერესებს, თუ რა რვეულებია. ეს ორი ჩვეულებრივი, შავად საწერი სასკოლო რვეულია, სამწუხაროდ ძალიან გაურკვეველი ხელით, ფანქრით ნაწერი. რამდენჯერმე შე-

ვეცადე წამეკითხა და ბოლოს ხელი აავიღე. აი, მგონი, ყველაფერი, რაც მე ვიცი. ეს 1914 წლის ბოლოს მოხდა. ის იყო ომი დაიწყო და კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიცია აღარავის აინტერესებდა. რვეულები და სურათები ახლა ჩემთან ინახება—ჩამოდი, ესე იგი, მოფრინდი და იქამდის იკითხე, ვიდრე მოთმინება გეყოფა. ჩემი მისამართი: ზაპოლარიე, კიროვის ქუჩა № 24.

მოიწერე. გეთაყვა, საინტერესო ავადმყოფო. შენი ექიმი ი. პავლოვი.

შენი და როგორ არის? კიდევა სწვავთ ჯოხზე წამოცმულ კარტოფილს?"

მეც ასე ვფიქრობდი! სურათი შტურმანისა იყო. ექიმმა თავისი თვალით ნახა შტურმანი, სწორედ ის შტურმანი, რომელმაც მოაწერა: „სრული პატივისცემით შორეული ნაოსნობის შტურმანი ი. კლიმოვი"! სწორედ ის, რომელმაც სამუდამოდ განმაცვიფრა საოცარი სიტყვებით: „განედი", „ხომალდი", „ფრამი" და არაჩვეულებრივი ზრდილობით: „ვეშურები დაგარწმუნოთ"... „იმედი მაქვს მალე გნახავთ"... სწორედ ის შტურმანი, რომლის წერილიდანაც გავიგე, რომ ექსპედიცია არა მარტო ჭუჭყიანი სარდაფის სადგომია ფოსტის ქვეშ, არამედ შორეული ზღვაოსნობა, კაპიტნები, მცურავი ყინულები.

გადავწყვიტე, რომ, დავამთავრებდი თუ არა სკოლას, მაშინვე ზაპოლარიეში წავიდოდი და იმ რვეულებს წავიკითხავდი. ექიმმა ხელი აიღო ამაზე. მაგრამ ის უარს არ იტყოდა ამ დღიურების წაკითხვაზე, თუ იმედი ექნებოდა, რომ ერთ სიტყვას მაინც იპოვიდა მისი სიმართლის დამადასტურებელს, მისთვისაც რომ პირში მიეფურთხებინათ, კატიას რომ ჰგონებოდა, რომ მან მოჰკლა მისი დედა...

ალბათ ხმამაღლა დავიწყე ლაპარაკი, რადგან ბექობზე მჯდომმა მიშა გოლომბმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს როგორც იყო გაკვირვება დააპირაო.

— მიშკა,—ვუთხარი მას,—სკოლა დავამთავროთ და ჩრდილოეთისაკენ მოვუსვათ.

— მოვუსვათ, მაგრამ იქ რა გვინდა?

— საჭიროა.

— თუ საჭიროა, მოვუსვათ.

— მაშ, გადაწყვეტილია?

— გადაწყვეტილია.

თუმცა, ეს დიდი ხანია გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ ჩრდილოეთში მხოლოდ სამი წლის შემდეგ მოვხვდი.

თავი მეხუთე

სამი წელი

ყრმობა ერთ დღეს არა თავდება— და ამ დღეს კალენდარში ვერ აღნიშნავ „დღეს ჩემი ყრმობა გათავდაო“. ის შეუმჩნეველად მიიპარება,—ისე შეუმჩნეველად, რომ მასთან გამოთხოვებას ვერ ასწრებ. ეს-ეს არის ახალგაზრდა და ლამაზი იყავი, უცებ გაიხედავ და ტრამვაიში პიონერი მოგმართავს: „ძიაო“. ტრამვაის მუქ შუშაში შენ ანარეკლს თვალს მოჰკრავ და გაკვირვებით ფიქრობ: „ჰო, ძია ვარ“! ყრმობა გათავდა, მაგრამ როდის, რომელ რიცხვში, რომელ საათზე? არ იცი.

ასე გათავდა ჩემი ყრმობაც. მაგრამ ის დღე, როდესაც ვიგრძენი, რომ სულ სხვაგვარად ვუყურებ იმას, რაც წინათ ჩემ მისწრაფებათა არსს შეადგენდა,—ეს დღე მშვენივრად მახსოვს...

ლენინგრადიდან ბალაშოვში გამგზავნეს. ის იყო ერთი საფრენოსნო სკოლა დავამთავრე, რომ მეორეში დავიწყე სწავლა—ამჯერად ნამდვილ ინსტრუქტორთან და ნამდვილ მანქანაზე.

სხვა დრო არ მახსოვს ჩემ ცხოვრებაში, რომ ასე გულმოდგინედ მემუშავა.

— იცით, როგორა ფრინავთ?—ჯერ კიდევ ლენინგრადში მითხრა სკოლის უფროსმა.—სკივრივით. ჩრდილოეთისათვის კი კლასი უნდა გქონდეთ.

შევისწავლე ღამის გაფრენები, როდესაც სტარტის შემდეგ მყისვე წყვდიადი დგება და, ვიდრე სიმაღლეს აიღებდე, გგონია, თითქოს ხელების ცეცებით ბნელ დერეფანში მიდიხარ. ძირს, „აეროდრომზე ელვარებს—T, წითელი ნათურებით შემოფარგლული შავი მინდორი, თითქოს პუნქტირით არის შემოვლებული. რკინიგზის ლიანდაგი ასაქცევების სიგნალებით ციმციმებს, რომლებიც ღამის არაჩვეულებრივი სიზუსტით არიან განლაგებულნი და არაფრით არა გვანან დღის სიზუსტეს. ირგვლივ წყვდიადი, უხილავი მიწა. მაგრამ, აი, შორს გამოკრთება დაფიონი, კიდევ რამდენიმე წუთი და ეს დაფიონი კი არა,—ქალაქია. ათასნაირი ნათურა, სხვადასხვაფერი, სხვადასხვაგვარი... ფანტასტიკური სურათია!

მე ვისწავლე თვითმფრინავის ბრმად წაყვანა, როდესაც გარ-

შემო ყველაფერი თეთრ ნისლშია გახვეული და გგონია, მილიონი წლების შემდეგ მიფრინავ სხვა გეოლოგიურ ეპოქაში. თითქოს თვითმფრინავით კი არა, დროთა მანქანით მიჰქრიხარ წინ, სულ წინ!

მე მივხვდი, რომ მფრინავმა უნდა იცოდეს ჰაერის თვისებები და ხუშტურები, ისევე, როგორც კარგმა მეზღვაურმა იცის წყლის თვისებები...

ეს იყო წლები, როდესაც არქტიკა, რომელიც აქამდე შორეულ ყინულებად გვეჩვენებოდა და რომელიც არავისთვის არ იყო საჭირო, მახლობელი გახდა ჩვენთვის და პირველმა დიადმა გადაფრენებმა მთელი ქვეყნიერების ყურადღება მიიპყრო.

თითოეულ ჩვენგანს მფრინავის საკუთარი იდეალი ჰქავდა. და ჩვენ კამათს ბოლო არა ჰქონდა. ვამტკიცებდით, რომ ა. ლ-ზე უკეთ ფრინავს, ხოლო ჩ. ორივეზე უკეთესად. ეროვნულ დროშაში გახვეული ამერიკული არმიის პოლკოვნიკი ბენ ეიელსონი, რომელსაც საკუთარმა მარცხენა ხელმა შეუნგრია მკერდი, ეს არის, ახლაწაასვენა ამერიკაში მფრინავმა ს.-მ.,—და ამ გადაფრენამ ჩვენ გ�გვაცვიფრა. არა, ეს ჯერ ისევ ყრმობა იყო.

გაზეთებში ყოველდღე ქვეყნდებოდა წერილები არქტიკული საზღვაო და საჰაერო ექსპედიციების შესახებ. ამ წერილებს მეტ მღელვარებით ვკითხულობდი. მთელი სულითა და გულით ჩრდილოეთისკენ მივისწრაფოდი.

ერთხელ—ამ დღეს ერთ-ერთი ძნელი გაფრენა მომელოდა,—უკვე მანქანაში ვიჯექი, რომ ინსტრუქტორს გაზეთი დავუნახე ხელში. გაზეთში კი ისეთ რამეს მოვკარი თვალი, რამაც მუზარადი დასათვალე მომახსნევინა და თვითმფრინავიდან გამომიყვანა.

„მხურვალე სალამი და მილოცვა ექსპედიციის მონაწილეთ, რომელთაც წარმატებით გადაწყვიტეს უძნელესი ნაოსნობის ამოცანა ყინულოვან ოკეანეზე“. ეს მსხვილი ასოებით ეწერა პირველი გვერდის შუა ადგილას.

ყური არ მიგდია, რას მეუბნებოდა განცვიფრებული ინსტრუქტორი, კიდევ ერთხელ დავხედე ამ ფურცელს. მინდოდა, ერთი თვალის გადავლებით წამეკითხა „დიადი ჩრდილოეთის გზა აღმოჩენილია“—ერთი წერილის სათაური! „სიბირიაკოვი“ ბერინგის სრუტეში“—მეორის სათაური! „სალამი გmარჯვებულთ“—მესამისა! ეს იყო ცნობა სიბირიაკოვის ისტორიული ლაშქრობის შესახებ, რომელმაც ზღვაოსნობის ისტორიაში პირველად გაიარა ერთ-

ნავიგაციაში ჩრდილოეთის საზღვაო გზა, რომლის გავლასაც აპირებდა კაპიტანი ტატარინოვი „წმ. მარიამით“.

— რა დაგემართათ, ავადა ხართ?

— არა, ამხანაგო ინსტრუქტორო.

— სიმაღლე ათას ორასი მეტრი. ორი ღრმა ვირაჟი ერთ მხარეს და ორი მეორეს.

— მესმის, ამხანაგო ინსტრუქტორო.

ისე ვიყავი აღელვებული, რომ კინაღამ ნებართვა ვითხოვე გაფრენა გადაედოთ.

მთელი დღე კატიაზე ვფიქრობდი, განსვენებულ მარია ვასილევნაზე, კაპიტანზე, რომლის ცხოვრებაც ასე უცნაურად გადაეხლართა ჩემს ცხოვრებას. მაგრამ ახლა მე უფრო სხვაგვარად ვფიქრობდი მათზე, ვიდრე უწინ, და მთელი ჩემი წყენა უფრო სიცა, უფრო მშვიდ გარემოებაში დამიდგა თვალწინ. რასაკვირველია, მე არაფერი დამვიწყებია, არ დამვიწყებია ჩემი უკანასკნელი საუბარიც მარია ვასილევნასთან, როდესაც ყოველ სიტყვას იდუმალი აზრი ჰქონდა, — მისი გამოთხოვება სიყმაწვილესთან და თვით სიცოცხლესთან. მე არ დამვიწყებია, როგორ ვისხედით მეორე დღეს მე და კატიას დიდედა ქსენონში, როგორ უეცრად გაიღო კარი და მე დავინახე ვიღაც თეთრი შავი თმით და სავარძლიდან ჩამოშვებული ტიტველი ხელი. ჯერ არ დამვიწყებია, როგორ შემომაქცია დასაფლავებაზე კატიამ ზურგი და არც ჩემი ოცნება, თუ როგორ შევხვდებოდით რამდენიმე წლის შემდეგ მე და კატია ერთმანეთს და მე მას ჩემი სიმართლის დამამტკიცებელ საბუთებს ვესროდი. არ დამვიწყებია, როგორ მომაფურთხა სახეში ნიკოლაი ანტონიჩმა.

მაგრამ ყველაფერი ეს თითქოს რაღაც პიესა იყო, რომელშიც მთავარი მოქმედი პირი უკანასკნელ მოქმედებაში გამოდის, მანამდე კი მასზე მხოლოდ ლაპარაკია. ყველანი ლაპარაკობენ ადამიანზე, რომლის სურათიც კედელზე ჰკიდია: ფართოშუბლიანი მეზღვაურის სურათი, მას მტკიცედ შეკრული ბაგე აქვს და ღრმად ჩამჯდარი თვალები...

დიახ, ის იყო მთავარი მოქმედი პირი ამ ისტორიაში და, თუ ამ ისტორიაში ასე დიდი ადგილი დაიჭირა ჩემმა ყრობამ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაზე საინტერესო აზრები მაშინ მოგდის თავში, როდესაც თვრამეტი წლისა ხარ. იგი დიდი მოგზაური იყო და დაღუპა იმან, რომ იგი არა სცნეს. მისი ისტორია მის პირად

საქმეებსა და ოჯახურ ამბებს დიდად სცილდებოდა. ჩრდილოეთის დიადი გზა აღმოჩენილია—აი მისი ისტორია. ნაოსნობა ყინულოვან ოკეანეზე ერთ ნავიგაციაში—აი მისი აზრი. ადამიანები, რომელთაც გადასჭრეს ეს ამოცანა; რომელიც კაცობრიობის წინაშე ოთხას წელიწადს იდგა, მისი ადამიანები არიან. მას შეეძლო, როგორც სწორს, ისე ელაპარაკა მათთან.

რაღა არიან ამასთან შედარებით ჩემი ოცნებანი, იმედები და სურვილები! რა მინდა მე? რად გავხდი მფრინავი? რად მივისწრაფვი ჩრდილოეთისაკენ?

და უეცრად ისევე, როგორც ოცნებით წარმოდგენილ პიესაში, ყველაფერი თავთავის ადგილზე განლაგდა და სრულიად უბრალო აზრები მომივიდა თავში ჩემი მომავლისა და ჩემი საქმის შესახებ. ბევრი რამ, რაც მე პოლარულ მფრინაველებზე ვიცოდი, თითქოს სხეულიდან შემოტრიალდა ჩემკენ და მე წარმოვიდგინე პოლარული წრის იქით დაუსრულებელი ღამეები, რომლებიც მთელი ნახევარი წელიწადი გრძელდება, კარგი ამინდის მოლოდინში გატარებული გამომთაყვანებელი მთელი კვირები, გადაფრენები თოვლიან ქედებზე, როდესაც თვალი უნებურად იძულებითი დაშვების ადგილს ეძებს, გაფრენები ქარბუქში, როდესაც საკუთარი მანქანის ფრთებსაც კი ვერა ხედავ, ძრავის გაშვების მტანჯველი გაწამაწია ორმოცდაათგრადუსიან ყინვაში. მომაგონდა ერთი პოლარული მფრინავის ფორმულა: „რას ნიშნავს ჩრდილოეთში ფრენა? ქარბუქში ყოფნას და წყლის თბობას“. მომაგონდა საშინელი ამბები არქტიკულ ნამქერზე, რომელიც სახლიდან ორი მეტრის მანძილზე ნამქრავს ადამიანს.

მაგრამ ამ სიძნელეებმა და საშიშროებამ განა შეაშინა სიბირიაკოველები, რომელთაც გაშლილი იალქნებით მიიყვანეს ბერინგის ზღვასთან ხრახნილდაკარგული ყინულმჭრელი?

არა, პეტია მართალი იყო. უნდა ამოირჩიო ის პროფესია, რომლითაც მთელი შენი სულიერი ძალების გამოვლინება შეგიძლია. მე მივისწრაფოდი ჩრდილოეთისკენ და მფრინავის პროფესიისკენ. იმიტომ, რომ ეს იყო პროფესია, რომელიც ჩემგან მოთმინებას, ვაჟკაცობას და ჩემი ქვეყნისა და ჩემი საქმისადმი სიყვარულს მოითხოვდა.

ვინ იცის, იქნებ ოდესმე მეც მახსენონ იმ ადამიანთა შორის, რომელთაც შეეძლებოდათ კაპიტან ტატარინოვთან,—როგორც სწორთან, ლაპარაკი?

მეხსიერებაში აღვნიშნე ის დღე, როდესაც ეს აზრები მომივიდა—1932 წლის 3 ოქტომბერი.

ბალაშოვის სკოლის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე განცხადება მიეეცი ჩრდილოეთში გაგზავნის შესახებ, მაგრამ სკოლამ არ გამიშვა. ინსტრუქტორად დავრჩი და კიდევ მთელი ერთი წელი დავყავი ბალაშოვში. ვერ დავიტრაბახებ, კარგი ინსტრუქტორი ვიყავი-მეთქი. რასაკვირველია, მე შემეძლო ადამიანისათვის ფრენა მესწავლებინა და ამასთან არავითარი სურვილი არა მქონდა, ყოველ წამს მელაიძღა იგი. მე მესმოდა ჩემი მოწაფეებისა; ჩემთვის, მაგალითად, სავსებით გასაგები იყო თვითმფრინავიდან გადმოსვლისთანავე რატომ ჩქარობს ერთი პაპიროსს მოუკიდოს, მეორე კი დაშვების დროს ნაძალადევ სიმხიარულეს იჩენს. მაგრამ არ ვიყავი მოწოდებით მასწავლებელი და ჩემთვის მოსაწყენი იყო მეათასედ ახსნა სავებისთვის იმისა, რაც მე დიდი ხანია ვიცოდი.

1933 წლის აგვისტოში შვებულება მივიღე და მოსკოვს წავედი. ლიტერი ენსკამდის მქონდა ლენინგრადზე გავლით. ლენინგრადშიც მელოდნენ და ენსკშიც. მაინც გადავწყვიტე მოსკოვში გამევლო, სადაც არ მელოდნენ.

მოსკოვში საქმეები მქონდა. ჯერ ერთი, მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში უნდა შემევლო და ჩრდილოეთში გადაყვანაზე მოვლაპარაკებოდი; მეორე, ვალია ეუკოვისა და კორაბლიოვის ნახვა მინდოდა. საერთოდ ბევრი საქმე მქონდა და მე ძალიან მალე დავუმტკიცე ჩემ თავს, რომ მოსკოვში გაელა აუცილებელი იყო...

რასაკვირველია, სულ არ ვაპირებდი კატიასთან დარეკვას, მით უმეტეს, რომ ამ სამ წელიწადში მაოლოდ ერთხელ მივიღე მისგან მოკითხვა—სანიას პირით. ყველაფერი, რაც ჩვენ შორის იყო, უკვე დიდი ხანია გათავდა და დავიწყებას მიეცა, ამიტომ დარეკვაც კი გადავწყვიტე და ყოველ შემთხვევისთვის პირველი თავაზიანი და ცივი წინადადებაც კი მოვამზადე. მაგრამ რატომღაც ხელი ამიკანკალდა, როდესაც ყურმილი ავიღე და ჩემდა უნებურად სხვა ნომერი ვუთხარი—კორაბლიოვისა.

იგი შვებულებაში იყო და ქალის უცნობმა ხმამ მიპასუხა, მხოლოდ სასწავლო წლის დასაწყისისათვის დაბრუნდებაო.

— გულითადი სალამი გადაეცით მისი მოწაფისაგან,—ვუთხარი მე.—გადაეცით, რომ მფრინავი გრიგორიევი ურეკავდა.

ყურმილი დავდე. სასტუმროში ვიყავი და ჯერ ქალაქი უნდა

გამომეძახა და მერე ნომერი მეთქვა. დაღონებული შევყურებდი ტელეფონს და არა ვრეკავდი — ჯერ ისევ ვფიქრობდი, რა მეთქვა? არ შემეძლო მასთან უცხოსავით მელაპარაკა.

გადავწყვიტე, ჯერ ზოობაღში დამერეკა ვალიასათვის.

მაგრამ არც ვალია იყო მოსკოვში. ზრდილობიანად მაცნობეს, ასისტენტი ჟუკოვი შორეულ ჩრდილოეთში იმყოფება და საეჭვოა ექვს თვეზე ადრე დაბრუნდესო.

— ვინ კითხულობს?

— სალამი გადაეცით, თუ შეიძლება,—ვუთხარი მე.—მფრინავი გრიგორიევი გელაპარაკებათ.

მოსკოვში მეტი აღარავინა მყავდა. შეიძლებოდა დამერეკა საჰაერო ფლოტის სამმართველოს რომელიმე მდივნისათვის. მაგრამ მდივნებისათვის არ მცხელოდა. ყურმილი ავიღე და ვითხოვე.

— ქალაქი.

ქალაქმა მიპასუხა და მე ნომერი ვუთხარი. ტელეფონთან ნინა კაპიტონოვნა მოვიდა, მაშინვე ვიცანი იმისი ალერსიანი და მტკიცე ხმა.

— შეიძლება კატიას სთხოვოთ?

— კატიას?—გაკვირვებით ჩამეკითხა ნინა კაპიტონოვნა.—კატია არ არის.

— შინ არ არის?

— არც შინ არის და არც ქალაქშია. ვინა კითხულობს?

— გრიგორიევი,—ვუთხარი მე.—ხომ არ შეგიძლიათ მითხრათ მისი მისამართი?

ნინა კაპიტონოვნა სდუმდა. ეჭვს გარეშეა ვერ მიცნო, ქვეყანაზე ცოტა გრიგორიევები არიან!

— ის პრაქტიკაზეა. მისამართი: ქალაქი ტროიცკი, მოსკოვის უნივერსიტეტის გეოლოგიური პარტია.

მადლობა გადავუხადე და ყურმილი დავკიდე.

აღარ შემეძლო ამ მოსაწყენ ნომერში დარჩენა სულ მარტოდმარტო. ორ საათამდე კი, როდესაც თავდაცვა-ავიაქიმის მდივანს უნდა მიეღე, კიდევ დიდი დრო იყო. გარეთ გამოვედი და უმიზნოდ დავიწყე ხეტიალი მოსკოვის ქუჩებში.

არასოდეს არ უნდა იხეტიალო მარტოდმარტომ იმ ადგილებში. სადაც ორს გივლიათ ერთად. ჩვეულებრივი ბაღი მოსკოვის ცენტრში ქვეყანაზე ყველაზე სევდიან ადგილად გეჩვენება. მიყრუებული ჭუჭყიანი ქუჩა, როგორიც მოსკოვში რამდენიც გნებავთ,

·იმდენია, ნაღველსა გგვრის და შენდა უნებურად თავი ბევრად უფრო დიდი და უფრო ჭკუადამჯდარი გგონია.

თითქოს თითონ მე მშვიდად ჩავიხედე რამდენიმე წლის შემდეგ საკუთარ გულში და ყველაფერი შეეაფასე—სიფიცხე სრულიად ზედმეტი საქმეებში, რომელნიც ეხებიან ქვეყანაზე ყველაზე უძვირფასესს—ადამიანის გულს. საკუთარ თავში დაეჭვება, რაიც მე ფეხდაფეხ მდევდა ალბათ იმ დროიდან, როდესაც პატარა მუნჯი ბიჭი ვიყავი და ქვეყანა ასე გამოუცნობლად რთული მეჩვენებოდა. ახლაც მეგონა, რომ ჩემში კიდევ იყო რაღაც იმ სიმუნჯისა მაგალითად ჩემ სიყვარულში: მე ვერ შევძელი გამომეთქვა, რისი თქმაც მსურდა, და ყველაზე უმთავრესზე გავჩუმდი. თითქოს სიყვარულმა იმიტომ არ გამიმართლა, რომ ძალიან რთული გარემოებანი გადაეღობა ყოველის მხრიდან,—და კვლავ იგივე რთული სამყაროა, რომლის წინაშეც მუნჯი ბიჭი განცვიფრებული ვრინდდებოდი.

არა, მე შეეიცვალე. მე ვგრძნობდი ამას. უკვე ის ფიცხი ბიჭი აღარ ვიყავი, რომელიც ისწრაფვის ერთი წუთი არ დაჰკარგოს თავის სიმართლის დასამტკიცებლად. ახლა უკვე ვიცოდი. რომ მე ყველაზე მეტად სიმშვიდე და სიმტკიცე მმართებდა.

სევდამორეული და საკუთარი თავისადმი სიბრალულით აღვსილი სიყრმის წლებზე და მოწაფეობის დროს განცდილ სიყვარულზე ვფიქრობდი. ახლა სიყრმეს გამოვეთხოვე და სიყვარულიც უკვე სხვაგვარი იყო. მაგრამ წინანდებურად ახლაც ყველაფერი წინ იყო და მე კიდევ უფრო მეტი იმედით გავყურებდი მომავალს.

მოსკოვში დიდხანს არ დავრჩენილვარ. ძალიან თავაზიანად მომექცნენ საზღვაო გზათა სამმართველოში და შემდეგ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოში. მაგრამ მითხრეს, რომ ჩრდილოეთზე ფიქრიც კი ზედმეტია, ვიდრე ბალაშოვის სკოლა არ გაგანთავისუფლებსო.

მხოლოდ წლინახევრის შემდეგ მივაღწიე ჩრდილოეთში დანიშვნას—და ისიც სრულიად შემთხვევით. ლენინგრადში ძველი პოლარული მფრინავი გავიცანი, რომელსაც ცენტრში დაბრუნება უნდოდა. მისი ხნის კაცს უკვე აღარ შეეფერებოდა ჩრდილოეთში ფრენა. ჩვენ ერთმანეთს გავუცვალეთ ადგილები. მან ჩემი ადგილი დაიკავა, მე კი დამნიშნეს მეორე პილოტად ჩრდილოეთის ერთ-ერთ შორეულ ხაზზე.

თავი მეექვსე

ექიმთან

ამ სახლის პოვნა ძნელი არ იყო, რადგანაც მთელ ქუჩაზე მხოლოდ ერთი სახლი იდგა, სხვა დანარჩენები კი მხოლოდ ზაპოლარიის მშენებელთა წარმოდგენაში არსებობდნენ.

უკვე ბინდდებოდა, როდესაც ექიმთან დავაკაკუნე, სწორედ ფანჯრებიც განათდა, ჩრდილი გამოჩნდა და ვიღაცამ ფარდის უკან ნელა გაიარა. დიდხანს არავინ გამიღო და თვითონ მე ფრთხილად შევაღე მძიმე კარები და სუფთა, ფართო დერეფანში აღმოვჩნდი.

— მასპინძლები შინ არიან?

არავინ გამომხმაურებია. კუთხეში ცოცხი შევნიშნე და ქეჩის ჩექმები ჩამოვიბერტყე: მუხლამდის თოვლში ვიყავი.

— შინ არის ვინმე?

არავინ იყო. მხოლოდ პატარა წითელი კნუტი გამოხტა ტანსაცმლის საკიდს ქვემოდან, შეშინებულმა შემომხედა და მოჰკურცხლა. მერე კარებში ექიმი გამოჩნდა.

მედიცინის თვალსაზრისით იქნებ ეს დაუჯერებელი იყოს, მაგრამ იგი არამც თუ დაბერებულიყო ამ წლების განმავლობაში, გაახალგაზრდავებულიყო კიდეც და კვლავ იმ მაღალ, მხიარულ, წვერიან ექიმს დამგვანებოდა, რომელიც სოფელში მე და ჩემს დას კარტოფილის შეწვას გვასწავლიდა.

— ჩემთანა ხართ?

— ექიმო, ავადმყოფთან მინდა მიგიწვიოთ,—ვუთხარი აჩქარებით.—საინტერესო შემთხვევაა: სიმუნჯე სიყრუის გარეშე. ადამიანს ყველაფერი ეყურება და „დედის“ თქმაც კი არ შეუძლია.

ექიმმა ნელ-ნელა სათვალე შუბლზე აიწია.

— ბოდიში...

— საინტერესო შემთხვევაა-მეთქი,—განვაგრძობდი სერიოზულად,—მხოლოდ ექვსი სიტყვის წარმოთქმა შეუძლია: ქათამი, უნაგირი, ყუთი, ქარბუქი, სვამენ, აბრამი. ავადმყოფი გ. ჟურნალშია აწერილი.

ექიმი ისე წამოვიდა ჩემკენ, თითქოს ყურში ან ენაში უნდა ჩამაელოს ხელიო, მაგრამ უბრალოდ თქვა.

— სანია!

ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

— მაინც მოფრინდი, ჰა?

— მოვფრინდი.

— აი ყოჩაღ! მფრინავი ხარ? ყოჩაღ! ყოჩაღ!

მერე ხელი ძომხვია და სასადილო ოთახში შემიყვანა. იქ თორმეტიოდე წლის ბიჭი იდგა, რომელიც ძალიანა ჰგავდა ექიმს. ბიჭმა ხელი ჩამომართვა და „ო“—ზე მაბვილით მითხრა—„ვოლოდია“ო.

ოთახი დერეფანზე უფრო კარგად იყო განათებული და ექიმმა კვლავ რამდენჯერმე მიმატრიალ-მომატრიალა. ამჯერად, მგონი, თავი ძლივს შეიკავა, რომ მართლაც არ ჩაეხედა ყურში.

— ყოჩაღ!—კვლავ ერთი ათჯერ გაიმეორა მან.—შენი და? სად არის? ისიც ფრინავს?

— ჩემი დისაგან გულითადი სალამი.—ვუთხარი მე.—ის მხატვარია, გათხოვდა და ლენინგრადში ცხოვრობს.

— უკვე გათხოვდა? ის ნაწნავებიანი გოგონა?

მე გამეცინა. სანიას ბავშვობაში ნაწნავები ჰქონდა.

— ოჰ, შე ბებერო ჩემო თავო,—ამოიოხრა ექიმმა.—ჩამოდის პატარა გამხდარი ბიჭუნა, რომელიც ვეებერთელა დაფლეთილ შარვალში დადიოდა, და უკვე მფრინავია, ნაწნავებიანი გოგონა—მხატვარი, გათხოვდა და ლენინგრადში ცხოვრობს.

— ივან ივანიჩ, მერწმუნეთ, არ გამოცვლილხართ. საოცარია! გაახალგაზრდავებულხართ კიდეც!

ექიმს გაეცინა. ეამა ჩემი ქათინაური და მეც მთელი საღამო დროდადრო ვიმეორებდი, რომ გაახალგაზრდავებულხართ ან ყოველ შემთხვევაში ოდნავადაც არ გამოცვლილხართ-მეთქი.

ჩაისა ვსვამდით, როდესაც ექიმის ცოლი ანა სტეპანოვნა მოვიდა. მაღალი, სრული ქალი, რომელიც თავის „მალიცასა“ და „პიმებში“, რომელიღაც ჩრდილოელ ღმერთსა ჰგავდა. მან „მალიცა“ მოიხადა და „პიმები“ გამოიცვალა, მაგრამ მაინც ახოვანება არ დაჰკარგა. მასთან შედარებით, ჩემზე რომ არა ვთქვა რა, თვითონ მაღალი ექიმიც არაფერი გამოჩნდა. სულ ახალგაზრდა სახე ჰქონდა და ძალიან ეხამებოდა ამ სუფთა ხის სახლს, ყვითელ იატაკს და სოფლურ ფეხსაფენებს. მასაც რაღაც დაჰკრავდა ძველი რუსული, როგორც თვით ზაპოლარიეს, თუმც ეს სულ ახალი ქალაქია მხოლოდ ხუთი-ექვსი წლის წინათ აშენებული. მერე გავიგე, რომ ზღვისპირელი იყო.

ჩვენ ზაპოლარიეზე დავიწყეთ ლაპარაკი და მე გავიგე ამ საო-

ცარი ხის ქალაქის ისტორია—ქალაქისა, რომლის ტროტუარები, ქუჩები და ნიადაგიც კი დატკეპნილი ნახერხია.

— წვიმა გადაიღებს თუ არა, ასე გგონია, ბინაში დადიხარ,— თქვა ანა სტეპანოვნამ.—საითაც გაიხედავ, ყველგან იატაკებია. შარა-ვზაც ხისაა.

თურმე ექიმი პირველ გემს მოჰყვა ზაპოლარიეში და მთელი ქალაქი მის თვალწინ აშენდა.

— ათას ცხრაას ოცდარვა წელს აქ ტაიგა იყო,—თქვა მან.— და აი აქ, სადაც ახლა ჩვენა ვსხედვართ და ჩაის მივირთმევთ, კურდღლებზე ნადირობდნენ.

— ახლა კი ერთი სახლი დგას,—სიტყვა ჩამოართვა ანა სტეპა-ნოვნამ,—ქუჩა უნდა აეშენებინათ და ვერა და ვერ მოიცალეს.

— თეატრი ცუდია ვითომ?

— თეატრი კარგია.

— შარშან ჩვენთან მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი ჩამოვიდა,—ლაპარაკში ჩაერია ვალოდია და გაწითლდა.—ყვავი-ლებით შევხვდით, გაუკვირდათ ყვავილები საიდანა გაქვთო, აქ კი ოამდენიც გნებავთ, იმდენია ყვავილები.

ყველამ მას შევხედეთ და იგი უფრო გაწითლდა.

— ვალოდიას თეატრი უყვარს,—გვითხრა ანა სტეპანოვნამ,— და კიდევ ძალიან უყვარს...

— დედა!..

ექიმს გაეცინა.

— დედიკო, შეიძლება ერთი წუთით?—მრისხანედ უთხრა ვა-ლოდიამ და გავიდა.

ანა სტეპანოვნასაც გაეცინა და უკან გაჰყვა.

— ლექსებსა სწერს.—ჩურჩულით მითხრა ექიმმა.—არა, რომ გამახსენდება, ძალიან საინტერესოა.—განაგრძობდა იგი.—საოცა-რი რამ იყო! როდესაც პირველ სატყეო ქარხანას აშენებდნენ— გაზეთში თარიღის ნაცვლად ბეჭდავდნენ, ამდენი და ამდენი დღეა ქარხნის გაშვებამდეო. ოცი დღე, ცხრამეტი დღე და ძლივს ერთი დღეღა დარჩა! ახლა პირველი თვითმფრინავები! როგორა ხვდე-ბოდნენ მათ! შენ? უეცრად მოაგონდა ექიმს.—შენ როგორა ხარ? რას აპირებ?

— ფრენას ვაპირებ.

— საით?

— ჯერ არ ვიცი. გეგმები დიდია, ჯერჯერობით კი კრასნო-იარსკში ბეწვეულს გადავზიდავ.

— გეგმები,—ახალი ტრასა?

— დიახ... ივან ივანიჩ,—ვუთხარი მე, როდესაც სუფრა მოვაცარიელეთ და ძალიან გემრიელ, ოოლოს შინნაკეთებ ღვინის სმას შევუდექით,—გახსოვთ ჩვენი წერილები. აი, ლენინგრადში რომ ვიყავი?

— მახსოვს.

— თქვენ ძალიან საინტერესო წერილი მომწერეთ იმ შტურმანის შესახებ,—განვაგრძობდი მე,—და უპირველესად ყოვლისა, მსურს გავიგო—ისევ შენახული გაქვთ მისი შავად ნაწერი რვეულები?

— შენახული მაქვს.

— ძალიან კარგი. ახლა მოგისმინეთ. ეს საკმაოდ გრძელი ამბავია, მაგრამ მე მაინც გიამბობთ—აკი თქვენ მასწავლეთ ლაპარაკი, ახლა სამაგიეროს გიხდით.

და მე ყველაფერი ვუამბე—დაწყებული წერილებიდან, რომელთაც ოდესღაც ხმამაღლა მიკითხავდა დეიდა დაშა. კატიას შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ვთქვი—ინფორმაციის წესით. მაგრამ ექიმს რატომღაც გაეღიმა, მაგრამ მაშინვე გულგრილი გამომეტყველება მიიღო.

— ...სულით ხორცამდე განადგურებული იყო,—თქვა მან შტურმანზე.—ნამდვილად განგრენისაგან კი არ მომკვდარა—და ლილობისაგან მოკვდა. მეტისმეტად ბევრი ძალ-ღონე დახარჯა, რომ სიკვდილი აეცდინა, და სიცოცხლისათვის უკვე ღონე აღარ ეყო. ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა იგი.

— თქვენ ელაპარაკეთ მას?

— ველაპარაკე.

— რის შესახებ?

— როგორც მახსოვს სამხრეთის რომელიღაც ქალაქის,—თქვა ექიმმა,—არ ვიცი სოხუმის, არ ვიცი ბაქოს შესახებ. უბრალოდ აკვიატებული იდეა ჰქონდა. მაშინ ყველანი ომზე ლაპარაკობდნენ. ის იყო ომი დაიწყო. ის კი სოხუმზე ლაპარაკობდა—რა კარგია იქ, როგორა თბილაო, ეტყობა, იქაური იყო.

— ივან ივანიჩ, აქა გაქვთ ის დღიურები? ამ სახლში?

— აქა მაქვს.

— მაჩვენეთ.

მე ბევრსა ვფიქრობდი ამ დღიურებზე და ბოლოს და ბოლოს ეს დღიურები რაღაც სქელ, შავ მუშამბაში ჩასმულ რვეულებად

წარმომედგინა. მაგრამ ექიმი გავიდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ორი პატარა რვეული გამოიტანა, რომლებიც სასკოლო უცხო სიტყვათა ლექსიკონებსა ჰგავდა. უნებურმა მღელვარებამ შემიპყრო, როდესაც ალალბედზე ერთ-ერთი რვეული გადავშალე.

„შტურმან ივ. დმ. კლიმოვს.

წინადადებას გაძლევთ თქვენ და ყველა ქვემოთ დასახელებულთ. თანახმად თქვენი და მათი სურვილისა, დასტოვოთ გემი დასახლებული მიწის მიღწევის მიზნით...“

— ექიმო, რა მშვენიერი ხელი ჰქონია! სრულიად თავისუფლადა ვკითხულობ!

— არა, ეს მე მაქვს მშვენიერი ხელი,—მიპასუხა ექიმმა.—შენ კითხულობ იმას, რის გარჩევაც მე შევძელი. რამდენიმე ადგილზე ჩავდე ფურცლები, რომლებიც გავარჩიე, აბა სხვა ნახე!

და მან პირველ გვერდზე გადაშალა რვეული.

გაურკვეველი ხელი მინახავს, მაგალითად ვალკა ეუკოვი ისე სწერდა, რომ მასწავლებლებს დიდხანს ეჭვი ეპარებოდათ, სასაცილოდ ხომ არ გვიგდებსო. მაგრამ ასეთ ხელს პირველად ვხედავდი. ეს იყო რვეულის ფურცლებზე სრული უწესრიგობით გაბნეული ქინძისთავის ოდენა სათევზაო ანკესები.

პირველივე ფურცლებზე ქონი იყო დასხმული და ფანქარი ოდნავ აჩნდა ყვითელ გამჭვირვალე ქაღალდს. შემდეგ დაწყებული და დაუმთავრებელი სიტყვების რაღაც დომხალი იყო. მერე რუკის ნახაზი და ისევ დომხალი, რომელშიაც ვერავითარი გრაფოლოგი ვერ გაერკვეოდა.

— კეთილი,—ვთქვი და რვეული დავხურე.—მე ამას წავიკითხავ.—ექიმმა სიამოვნებით შემომხედა.

— გისურვებ გამარჯვებას,—გულწრფელად მითხრა მან.

დასაძინებლად მასთან დავრჩი, რადგანაც დაღამებულიყო და ქარბუქი იწყებოდა. ზაპოლარიეში კი ქუჩაში არვინ გავა, როდესაც ქარბუქი იწყება. ანა სტეპანოვნამ ვალოდიას ოთახში გამიშალა ლოგინი, დასაკეც საწოლზე, და მე ძილის წინ დიდხანს ვუყურებდი ვალოდიას, რომელიც გვერდზე იწვა, კოხტად დაწყობილი ხელისგულები ლოყის ქვეშ ამოედო და ეძინა. მძინარე პირწავარდნილი პატარა ექიმი იყო, მხოლოდ წვერი აკლდა. დასაკეცი საწოლი აჭრიალდა, როდესაც ქეჩის ჩექმების გასახდელად ჩამოვჯექი. ვალოდიამ ერთი წამით გაახილა დიდრონი ლურჯი თვალები და ძილში რაღაც წაიბუტბუტა.

დღიურებს ვკითხულობ

არ შემიძლია ჩემს თავს სულწასული ადამიანი ვუწოდო. მაგრამ, მგონი, მხოლოდ მოთმინების გენიას შეეძლო ამ დღიურების წაკითხვა! ეჭვს გარეშეა, ისინი გემის დგომის დროს იწერებოდა, სელაპის ქონის ჭრაქების შუქზე, ორმოცდახუთგრადუსიან ყინვაში, გათოშილი და დაღლილი ხელით. ეტყობოდა ზოგიერთ ადგილებზე ხელი ქვევით დაქანებულიყო და გრძელი, უმწეო და უაზრო ხაზი გაევლო.

მაგრამ მე უნდა წამეკითხა ეს დღიურები.

და კვლავ შევუდგებოდი ხოლმე ამ მტანჯველ მუშაობას. ყოველ საღამოს—ხოლო თავისუფალ დღეებში დილიდანვე,—გამადიდებელი შუშით ხელში მაგიდასთან ვჯდებოდი და იწყებოდა ეს დაძაბული, სათევზაო ანკესების ნელი გარდაქმნა ადამიანურ სიტყვებად, ხან სასოწარკვეთილ, ხანაც იმედით აღსავსე სიტყვებად. ჯერ გაჭკირით მივდიოდი—ვჯდებოდი და პირდაპირ ვკითხულობდი. მაგრამ მერე ერთი ეშმაკური აზრი მომივიდა თავში და უეცრად მთელი ფურცლების კითხვა დავიწყე, წინათ კი ცალკე სიტყვებსა ვკითხულობდი.

დღიურების გადაფურცვლის დროს შევნიშნე, რომ ზოგიერთი ფურცლები სხვებზე ბევრად უფრო გარკვევით იყო დაწერილი. მაგალითად ბრძანება, რომლის ასლიც ექიმმა გადმოიღო. ამ ადგილებიდან ყველა ასოები ამოვწერე თავიდან ბოლომდე და „შტურმანის ანბანი“ შევადგინე. ამასთან ზედმიწევნით აღვადგინე მისი ხელის ყველა ვარიანტები. ამ ანბანით საქმე ბევრად უფრო სწრაფად წავიდა. ხშირად საკმარისი იყო ამ ანბანის მიხედვით ერთი ან ორი ასო სწორედ გამომეცნო, რომ ყველა დანარჩენი ასოები თავისთავად სხდებოდნენ თავთავიანთ ალაგზე.

ასე ვარჩევდი დღითი დღე ამ დღიურებს.

„შორეული ნაოსნობის შტურმანის ივ. დმ. კლიმოვის დღიურები.

ოთხშაბათი, 27 მაისი. გვიან დავიძარით და ექვს საათში 4 ვერსი გავიარეთ. დღეს საიუბილეო დღე გვაქვს. ჩვენი აზრით, გემს სულ 100 ვერსით დავშორდით. რასაკვირველია ეს არც ისე ბევრია ერთი თვის მგზავრობისათვის, მაგრამ სამაგიეროდ გზაც ისე-

თია, როგორსაც ჩვენ არ მოველოდით. იუბილე ზეიმით გადავიხადეთ: გამხმარი მოცვის წვენი გავაკეთეთ და სიტკბოსათვის ორი ქილა დაკონსერვებული რძით შევაზავეთ.

პარასკევი, 29 მაისი. თუ ნაპირს მივაღწიეთ, მაშინ ამ ადამიანებს—მათი ხსენებაც არ მინდა—ახსოვდეთ 29 მაისი, დღე მათი სიკვდილისაგან გადარჩენისა და ყოველწლიურად ადიდონ იგი, მაგრამ თუ ხალხი გადარჩა, ორლულა და ჩვენი მარჩენალი სამზარეულო მაინც ჩავძირეთ. ამის გამო გუშინ უმი ხორცი უნდა გვეჭამა და ცივი რძიანი წყალი უნდა გვესვა. ეჰ, ოღონდ კი ღმერთმა მშვიდობით მიმაღწევინოს ამ დოყლაპიებით ნაპირს!

კვირა 31 მაისი. აი ის ოფიციალური დოკუმენტი, რის საფუძველზედაც უნდა გამოვსულიყავი ექსპედიციის ერთი ნაწილის მეთაურად.

„შტურმან ივ. დმ. კლიმოვს.

წინადადებას გაძლევთ თქვენ და ქვემოთ დასახელებულთ, თანახმად თქვენი და მათი სურვილისა, დასტოვოთ გემი დასახლებული მიწის მიღწევის მიზნით. ა. წ. 10 აპრილიდან ყინულით წასვიდეთ და თან წაიღოთ მარხილები და კაიაკები სანოვაგით, ორი თვის ანგარიშით მოიმარაგოთ ყველაფერი. გემის დატოვების შემდეგ �ოთ სამხრეთისაკენ, ვიდრე მიწას არ დაინახავთ, და მიწას რომ დაინახავთ, იმოქმედოთ გარემოების შესაბამისად, მაგრამ უკეთესია ეცადოთ მიაღწიოთ ბრიტანეთის არხს, ფრანც იოსების კუნძულებს შორის. მიჰყვეთ მას, როგორც უფრო ცნობილ კონცხს ფლორისაკენ, სადაც, მე ვფიქრობ, სანოვაგესა და შენობებს იპოვით. შემდეგ, თუ დრო და გარემოება ნებას მოგცემთ, გაემართოთ შპიცბერგენისაკენ. როდესაც შპიცბერგენს მიაღწევთ, უაღრესად ძნელი ამოცანა წამოიჭრება თქვენს წინ: იპოვოთ იქ ადამიანები, რომელთა ადგილსამყოფელი ჩვენ არ ვიცით, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მის სამხრეთ ნაწილში თქვენ ამას მოახერხებთ, თუ ნაპირებზე მცხოვრებთ ვერა ნახავთ, სამრეწველო გემს მაინც წააწყდებით სადმე. თქვენთან ერთად წამოვა, თანახმად მათი თხოვნისა, ექსპედიციის ცამეტი წევრი.

ივანე ტატარინოვი

ხომალდ „წმ. მარიამის“ კაპიტანი

1914 წლის 10 აპრილი

ჩრდილო ყინულოვანი ოკეანე.

ღმერთი ხომ ხედავს, როგორ მიჭირდა წამოსვლა, რაკი მას ისეთ მძიმე, თითქმის უიმედო მდგომარეობაში ვტოვებდი.

სამშაბათი, 2 ივნისი. ჯერ კიდევ გემზე მემანქანე კორნევმა ოთხი წყვილი სათვალე გაგვიკეთა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ისინი თავიანთ დანიშნულებას ასრულებდნენ. შუშები „ჯინის“ ბოთლებისაგან არის გაკეთებული. წინა მარხილებით მიდიან ბედნიერები— „თვალხილულნი“. „უსინათლონი“ კი თვალდახუჭულნი მისდევენ მათ კვალს, მხოლოდ დროდადრო წამწამებშუა გზას გაჰყურებენ. თვალები გვტკივა მტანჯველი, აუტანელი შუქისაგან. აი ჩვენი მოძრაობის სურათი, რომელიც არასდროს არ დამავიწყდება: ჩვენ მივდივართ მწყობრად. ფეხშეწყობილად, ერთდროულად მივქანაობთ წინ, მკერდით ღვედს ვაწვებით და ერთი ხელით კაიაკის კიდეს ვეჭიდებით. ჩვენ მივდივართ თვალდახუჭულნი, მარჯვენა ხელში თხილამურის ჯოხი გვიჭირავს, რომელსაც მექანიკური სიზუსტით ვწევთ წინ, ვისვრით მარჯვნივ და ნელა გვრჩება უკან. როგორ ერთფეროვნად, როგორ მკვეთრად ჭრიალებს თოვლი ამ ჯოხის სათიხარის ქვეშ! უნებურად ეუგდებ ყურს ამ ჭრიალს და თითქოს აშკარად მეყურება: „შორს არის, შო-რს“. თითქოს ბურანში ვიყოთ, ისე მივდივართ, მექანიკურად ვადგამთ ფეხებს და მკერდით ღვედს ვაწვებით... დღეს მომეჩვენა, რომ ცხელი ზაფხულია და მაღალი სახლების ჩრდილში სანაპიროზე მივდივარ. ამ სახლებში აზიური ხილის საწყობებია, კარები ყურთამდის ღიაა და ხილისა და ჩირის არომატული და მძაფრი სურნელება მოდის. ფორთოხლის, ატმის, ვაშლის ჩირის და მიხაკის გამაბრუებელი სურნელება დგას. სპარსელი ვაჭრები სიცხისაგან დარბილებულ ასფალტის პანელსა რწყავენ და მე მესმის მათი მშვიდი, ხორხისმიერი ბგერები. ღმერთო, რა სურნელებაა, რა სასიამოვნო სიგრილეა!.. ჩემ ჯოხს ფეხი წამოვდე და გამოვეფხიზლდი, კაიაკს ხელი ვტაცე და განცვიფრებული შევჩერდი—თოვლი, სულ თოვლი, სადამდისაც კი თვალი მისწვდება. ისევ თვალისმომჭრელად კაშკაშებს მზე. ისევ მტანჯავს თვალების ტკივილი.

ხუთშაბათი, 4 ივნისი. დღეს დუნაევის კვალს მივყვებოდი და შევნიშნე, რომ სისხლს აფურთხებდა, ღრძილები გავუსინჯე—სურავანდია. უკანასკნელ დღეებში ფეხების ტკივილს უჩივის.

პარასკევი, 5 ივნისი. ერთთავად თვალწინ მიდგას ივან ლეოვიჩი იმ წუთებში, როდესაც ჩვენ გვაცილებდა, გამოსამშვიდობებელ სიტყვას ამბობდა და უეცრად გაჩუმდა, პირი მაგრად მოკუმა და

რაღაც უმწეო ღიმილით გარშემო მიიხედ-მოიხედა. ის ავად არის. ახალი წამომდგარი იყო ლოგინიდან, როცა დავტოვე. ღმერთო ჩემო, ეს ყველაზე საშინელი შეცდომაა! მაგრამ უკან ხომ ვეღარ დავბრუნდები.

შაბათი, 6 ივნისი. ჯერ გუშინწინვე ჩამაცივდა მორევი, ყინულის გორის მწვერვალიდან რაღაც „როენუშკას" ვხედავო, სარკესავით სწორ ყინულს, რომელიც შორს იკარგება სამხრეთისაკენ. „საკუთარი თვალითა ვნახე, ბატონო შტურმანო, ისეთი „როენუშკაა", რომ ვერ აღწერ". დღეს კარავში აღარ იყო. უთხილამურობდ წასულა და მისი პიმების კვალი ოდნავ ეტყობა მაგარი თოვლის თხელ ფენას. მთელი დღე ვეძებდით, ვყვიროდით, ვუსტვენდით, თოფს ვისროდით, რომ ხმა მიგვეწვდინა. პასუხს მოგვცემდა—შაშხანა და თორმეტიოდე ვაზნა ჰქონდა თან. მაგრამ არაფერი ისმოდა.

კვირა, 7 ივნისი. კაიაკებისა და თხილამურებისა და თხილამურის ჯოხებიდან ხუთსაჟენიანი სიმაღლის იალქანი შევკარით, ორი ბაირაღი დავამაგრეთ და ბექობის წვერზე დავდგით. თუ ცოცხალია, ჩვენ ნიშნებს დაინახავს.

სამშაბათი, 9 ივნისი. კვლავ გზას გავუდექით. ცამეტნი დავრჩით—საბედისწერო რიცხვი! ნეტავი როდის მივაღწევთ მიწას. როგორიც უნდა იყოს, თუნდ მთლად მოტიტვლებული, რომელიც თუ ალერსით არ მიგვიღებს, ერთ ადგილზე მაინც იდგება და შიში არ გვექნება ყოველ წამს, ჩრდილოეთისაკენ წაგვიღებსო!

ოთხშაბათი, 10 ივნისი. დღეს საღამოს კვლავ სამხრეთის ქალაქის ზმანება, სანაპირო და ღამის ყავახანები, თეთრპანამებიანი ხალხი. სოხუმია? კვლავ ხილის საამო სურნელება და მწარე ფიქრები: „რა გინდოდა ამ ცივ ყინულოვან ზღვაში, როდესაც ასე კარგია სამხრეთის ნაოსნობა? იქა თბილა. პერანგის ამარა და ფეხშიშველაც კი შეიძლება სიარული. შეიძლება ფორთოხლების, ყურძნისა და ვაშლის ჭამა. საოცარია, რატომ არასდროს განსაკუთრებით არა მყვარებია ხილი. თუმცა შოკოლადიც—კარგია, ჭვავის ორცხობილასთან ერთად, ასე ვნაყრდებოდით შუადღისას. ოღონდ, ძალიან ცოტა ვვხვდება—შოკოლადის ფილის თითო პატარა ნატეხი. კარგი იქნება წინ დაიდგა ერთი თეფში დიკის ორცხობილა, ხელში კი შოკოლადის მთელი ფილა დაიჭირო და ჭამო რამდენიც გინდა! ნეტავი რამდენი ვერსია ამ შესაძლებლობამდე, რამდენი საათი, რამდენი დღე, რამდენი კვირა!

ხუთშაბათი, 11 ივნისი. თოვლით დაფარული საშინელი გზა, თოვლის ქვეშაც წყალია. ყინულჭრილები ყოველ ნაბიჯზე გზას ვვიღობავენ. დღეს სამ ვერსზე მეტი არ გაგვივლია. მთელი დღე ნისლია და მქრქალი შუქი, რომლისაგანაც ასე სტკივა ადამიანს თვალები. ახლაც ამ რვეულს თითქოს მარმაში აქვს გადაფარეული და ღაწვებზე მდუღარება ჩამომდის. ხვალ სამებობაა. რა კარგი იქნება ამ დღეს „იქ", სადმე სამხრეთში და რა საშინელია აქ, 82 გრადუს განედზე ყინულჭრილებით და ყინულის გორებით მთლად დასერილ ყინულზე. ყინული ყოველ წამს პირდაპირ ჩვენ თვალწინ იცვლის ადგილს. ერთი ნაპრალი ჰქრება, მეორე ჩნდება, თითქოს ვიღაც გოლიათები უზარმაზარ ფიცარზე ჭადრაკსა თამაშობენო.

კვირა, 14 ივნისი. აი აღმოჩენა, რის შესახებაც არაფერი ეთქვამს ჩემი თანამგზავრებისათვის. ყინული მიგვაქროლებს და ჩვენ მიწას ვშორდებით. დღეს მივაღწიეთ ფრანც იოსების განედს და განვაგრძობთ სამხრეთისაკენ სვლას, მაგრამ კუნძულის მსგავსიც არაფერი ჩანს. ყინული მიგვაქროლებს და ჩვენ მიწას ვშორდებით. ამას მე ვხედავ ჩემი ყოვლად უვარგისი ქრონომეტრითაც, ვაბატონებული ქარებითა და წყალში გაშვებული გაფისული თოკის მიმართულებითაც.

ორშაბათი, 15 ივნისი. ის მე დავტოვე ავადმყოფი და ისეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, რომლის დაფარვა მხოლო მას შეეძლო. ეს მისპობს ჩვენი გადარჩენის რწმენას.

სამშაბათი, 16 ივნისი. ახლა ორი მყავს სურავანდიანი. სოტკინიც ავად გახდა, ღრძილებიდან სისხლი სდის და შეუსივდა კიდეც. ამითლა ვმკურნალობ, რომ თხილამურებით გზის საძებნელად ვგზავნი, ღამე კი ქინაქინის აბებს ვაძლევ. შეიძლება ეს მკურნალობის მკაცრი ხერხია, მაგრამ, ჩემი აზრით, სხვა გზა არ არის, ვიდრე ადამიანი სულით არ დაცემულა. სურავანდი ყველაზე მძიმედ ივან ლვოვიჩსა ჰქონდა, რომელმაც თითქმის ნახევარი წელი დავადმყოფა და მხოლოდ ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით აიძულა თავი მორჩენილიყო, ესე იგი თავს სიკვდილის ნება არ მისცა და ეს ნებისყოფა, ეს ლაღი გონება, ეს სულის დაუშრეტელი სიმხნეევ განწირულია გარდუვალი დაღუპვისათვის.

ხუთშაბათი, 18 ივნისი. განედი 81°, კვლავ გვაკვირვებს დრეიფის სისწრაფე სამხრეთისაკენ.

პარასკევი, 19 ივნისი. ასე, ოთხ საათზე ჩვენი სადგომიდან

OSO-ზე „რაღაც“ დავინახე. ეს ორი მოვარდისფრო ღრუბელი იყო, ზედ ჰორიზონტზე, რომელთაც ფორმა არ შეუცვლიათ, ვიდრე ნისლმა არ დაჰფარა. მგონი არასდროს არა ვყოფილვართ გარშემორტყმულნი ამდენი ყინულქრილებით ირგვლივ, უამრავი ჭყივანა თოლიები დაფრინავენ. ოჰ, ეს თოლიები ღამე ძილს არ მაძლევენ, მოუსვენრად ფუსფუსებენ, ერთმანეთში დავობენ და ჩხუბით ყინულზე გამორიყულ მოკლული სელაპის შიგნეულს უტრიალებენ. ისინი ბოროტი სულებივით დაგვცინიან, ისტერიკულად ხარხარებენ, წივიან, უსტვენენ და მგონი ილანძღებიან კიდეც. რამდენ ხანს მეხსომება „თოვლივით თეთრი თოლიების შორი ძახილი“, ეს კარავში გატარებული უძილო ღამეები, ეს დღედაღამ მოკაშკაშე მზე, რომელიც კარავის კედლებშიც კი ატანს!

შაბათი, 20 ივნისი. ერთ კვირას ვიყავით დაბანაკებული ერთ ადგილზე, მაგრამ მაინც ყინულთან ერთად სამხრეთისაკენ მთელ ერთ გრადუსზე დავცილდით გეზს.

ორშაბათი, 22 ივნისი. საღამოთი, ჩვეულებისამებრ, მაღალ ბორცვზე ავედი ჰორიზონტის დასათვალიერებლად. ამჯერად O-ზე ისეთი რამ დავინახე, რამაც ამაღელვა, ჩამოვჯექი და სწრაფად დავიწყე ბურბინდისა და თვალების წმენდა. ნათელი თეთრი ზოლი მოჩანდა, რომელიც ცისფერ მინდორზე ფუნჯით კოხტად გავლებულ ზოლს ჰგავდა. ჯერ გადავწყვიტე, მთვარეა მეთქი, მაგრამ რატომღაც ამ მთვარის სეგმენტის მარცხენა მხარე თანდათან ჩაბნელდა. ხოლო მარჯვენა უფრო განათდა. ღამე ხუთჯერ მაინც გამოვედი ბურბინდით და ყოველთვის მთვარის ეს ნაწილი იმავე ადგილზე მხვდებოდა. მიკვირს, რომ ჩემი თანამგზავრებიდან ამას ვერავინ ამჩნევს. რა ძნელია თავის შეკავება, რომ არ შევვარდე კარავში და რაც ძალა და ღონე მაქვს არ დავიყვირო: „რას უცქერთ საფრთხობელებივით, რა დროს ძილია, ვერა ხედავთ, რომ ყინული მიწისაკენ მიგვაქანებს?“ მაგრამ, არ ვიცი რატომ, მე ვედუმვარ. ვინ იცის, იქნებ ესეც მირაჟია. სამხრეთის ქალაქშიც ხომ წარმოვიდგინე ჩემი თავი, სანაპიროზე, პაპანაქება ზაფხულში, მაღალი სახლების ჩრდილებქვეშ!

(ამ სიტყვებით თავდებოდა პირველი რვეული. მეორე 11 ივლისს იწყებოდა).

შაბათი, 11 ივლისი. სელაპი მოვკალით, ორი ჯამი სისხლი მოვაგროვეთ და გემრიელი კერძი გავიკეთეთ. როდესაც ჩაის ვადუღებთ ან კერძსა ვხარშავთ, მაშინ ხუმრობის თავი აღარავისა.

აქვს. დღეს დილით ერთი ვედრო შეჭამანდი გეახელით და ერთი ვედრო ჩაი დავლიეთ. სადილადაც ერთი ვედრო შეჭამანდი შევჭამეთ და ერთი ვედრო ჩაი დავაყოლეთ და ახლაც ვახშმად თითო გირვანქაზე მეტი ხორცი შევჭამეთ და მოუთმენლად ველით, როდის ადუღდება ჩვენი ერთი ვედრო ჩაი. ჩვენი ვედრო კი დიდია, გადაჭრილი კონუსის ფორმისა. ახლაც არ ვიტყოდით უარს ერთ ვედრო შეჭამანდზე, მაგრამ გვერიდება, მომჭირნეობა უნდა გავწიოთ. ისეთი შადა გვაქვს, რომ მგელი რა არის ჩვენთან. ეს რაღაც არაჩვეულებრივია, ავადმყოფური.

ამგვარად, კუნძულზე ვიმყოფებით. ჩვენ ფეხქვეშ ყინული კი არ არის, რომლიდანაც ორი წლის განმავლობაში არ გადმოვსულვართ, მიწა და ხავსია. ყველაფერი კარგია, მაგრამ წინანდებურად ერთი აზრი არ მასვენებს: რატომ კაპიტანი ჩვენთან ერთად არ წამოვიდა? მას არ უნდოდა გემის დატოვება, მას არ შეეძლო „ცარიელი ხელით დაბრუნება“, „შემჭამენ, ცარიელი ხელით რომ დავბრუნდეო“, და მერე ის ბავშვური უგუნური გადაწყვეტილება: „თუ უიმედო გარემოება მაიძულებს დავტოვო გემი, მე წავალ მიწისაკენ, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ“. მე მგონი, უკანასკნელ დროს ის ოდნავ შეშლილი იყო ამ მიწის გამო. ჩვენ ეს მიწა 1913 წლის აგვისტოში ვნახეთ.

ორშაბათი, 13 ივლისი. 050-ზე ზღვა ჰორიზონტამდე თავისუფალია ყინულისაგან. ეჰ, „წმ. მარიამ“, აი, სად უნდა მოხვდე, ეზეთუნახავო!

სამშაბათი, 14 ივლისი. დღეს სოტკინი და კოროლკოვი კუნძულის განაპირა მხარეს მიადგნენ და შესანიშნავი რამ აღმოაჩინეს: ზღვის ახლოს პატარა ქვის ბორცვი შენიშნეს. ისინი განცვიფრებაში მოიყვანა ამ ბექობის სწორმა ფორმამ. უფრო ახლოს რომ მივიდნენ, იქვე პატენტიანი ინგლისური ლუდის ბოთლი დაინახეს ხრახნიანი საცობით. ბიჭებმა იმ წამსვე ქვები მიყარმოყარეს, ბექობი მიანგრა-მოანგრიეს და მალე ქვების ქვეშ თუნუქის ქილა იპოვეს. ქილაში აღმოჩნდა ძალიან კარგად შენახული ინგლისური ბაირაღი და მის ქვეშ ასეთივე ბოთლი. ბოთლზე მიკრულ ქაღალდზე რამდენიმე გვარი ეწერა. შიგნით კი—ბარათი ინგლისურ ენაზე. ჩვენ და ნილსმა შეერთებული ძალებით ძლივძლივობით გავარჩიეთ, რომ ინგლისის პოლარული ექსპედიცია ჯეკსონის მეთაურობით 1897 წ. აგკისტოში ფლორას კონცხიდან გამოვიდა და მერი ჰარმსუორტის კონცხზე მოვიდა, სადაც ეს ბაირა-

ღი და ბოთლი დატოვა. ბოლოს იტყობინებოდნენ, გემ „უინდუორდზე" ყველაფერი რიგზეაო.

აი მოულოდნელი ახსნა ყველა ჩემი ეჭვებისა. ჩვენ მერი ჰარმსუორტის კონცხზე ვიმყოფებით: ეს ალექსანდრას მიწის სამხრეთ-დასავლეთის ბოლოა. ხვალ ჩვენ კუნძულის სამხრეთ ნაპირზე გადასვლას და ფლორას კონცხისაკენ გამგზავრებას ვფიქრობთ, აღ ცნობილ ინგლისელ ჯეკსონის მამულისაკენ.

ოთხშაბათი, 15 ივლისი. ბანაკი დავტოვეთ. უნდა გადაგვეწყვიტა: ყველანი ყინულით წავსულიყავით და მთელი ტვირთი თან წაგვეღო, თუ ორ პარტიად გავყოფილიყავით, რომლიდანაც ერთი თხილამურებით ივლიდა ყინულზე, მეორე კი ხუთი კაცის შემადგენლობით კაიაკებით—ყინულის ნაპირ-ნაპირ ცურვით წავიდოდა. ჩვენ, მგზავრობის ეს მეორე ხერხი ავირჩიეთ!

ხუთშაბათი,16 ივლისი. დილით მაქსიმემ და ნილსმა ჩვენი სადგომის ახლოს დაიწყეს კაიაკების გადმოტანა და ნილსი ისე შორს წაიღო დინებამ, რომ ორ კაცს მოუხდა მის დასაჭერად წასვლა. დურბინდით ვიყურებოდი და ვხედავდი, როგორ გადასდო ნილსმა ნიჩაბი და უმწეო გამომეტყველებით უყურებდა მის სახსნელად წასულ კაიაკს. ნილსი ძალიან ავად არის, სხვანაირად არ შემიძლია ავხსნა მისი მოქმედება. საერთოდ რაღაც უცნაურიც გახდა. სიარულის დროს ბარბაცებს, სულ განმარტოებით ზისვახშმად დღეს ორი მყვინთავა და ერთი სუსხური მოვხარშეთ.

პარასკევი, 17 ივლისი. საშინელი ამინდია. ისევ გრანტის კონცხზე ვიმყოფებით და სანაპირო პარტიას ველოდებით. ღამე ცა მოიწმინდა. წინ, OSO-ზე, მგონი სულ ახლო დაუსრულებელი ყინულის იქით კლდოვანი კუნძული მოჩანს. ნუთუ ეს ნორდბრუკია, რომელზედაც გადაჭიმულა ფლორას კონცხი? მალე დადგება ის დრო, როდესაც გამოირკვევა, მართალი ვიყავი თუ არა, როცა ამ კონცხისაკენ მივისწრაფოდი? ოცი წელი—დიდი ვადაა. შეიძლება იქ ამ ხნის განმავლობაში ჯეკსონის შენობების კვალიც კი არ დარჩენილა? მაგრამ რა უნდა გვექნა? შორს შემოგვევლო? განა შესძლებდნენ ზღვის ცხოველების ქონით გაპოხილ ძონძებში გამოხვეული, კბენარით სავსე ჩემი საცოდავი ავადმყოფი თანამგზავრები?

შაბათი, 18 ივლისი. თუ ამინდმა არ გვიღალატა, ხვალ წინ წავალთ. ცდა აღარ შემიძლია. ნილსი ძლივს დალასლასებს და არც კოროლკოვია იმაზე უკეთესად. თუმცა დუნაევი ფეხებს უჩივის,

მაგრამ მაინც არ ემჩნევა ის აპათია და დაუძლურება, რომელსაც ნილსი და კოროლკოვი მოუცავს. ეს მოსვენებას არ მაძლევს. რას შეეძლო შეეფერხებინა ქვეითად წამოსულნი? არ ვიცი, მაგრამ აქ დაყოვნება—გარდაუვალი სიკვდილია.

ორშაბათი, 20 ივლისი. კუნძული ბელი. კაიაკებიდან რომ გადმოვედით, დავრწმუნდით, რომ ნილსს სიარულის თავი აღარა ჰქონდა. ის ძირს ეცემოდა და ,ცდილობდა ოთხით გამოცოცებულიყო. კარავივით რაღაც მოვაწყვეთ, ნილსი შიგ შევიყვანეთ და ჩვენს ერთადერთ საბანში გავახვიეთ. იგი ხოხვით სულ სადღაც მიიწევდა, მაგრამ მერე დაწყნარდა. ნილსი—დანიელია. „წმ. მარიამზე“ ორი წლის მუშაობის განმავლობაში კარგად ისწავლა რუსული, მაგრამ გუშინდელი დღიდან რუსული დაავიწყდა. ყველაზე მეტად ზარსა მცემს მისი უაზრო, შიშით სავსე თვალები—თვალები გონებადაკარგული ადამიანისა. ბულიონი მოვხარშეთ და ნახევარი ფინჯანი მივეცით. დალია და დაწვა. მენანება, კარგი მეზღვაურია, ძალიან ჭკვიანი, მცდელი. ყველანი დასაძინებლად დაწვნენ. მე კი შაშხანა ავიღე და ფრიალო კლდისაკენ გავწიე, რომ ფლორას კონცხისათვის გადამეხედა.

სამშაბათი, 21 ივლისი. ნილსი ღამე მოკვდა. საბანიც კი არ გადაუხდია, რომელშიაც შევახვიეთ. სახე მშვიდი ჰქონდა, ვერ დაემახინჯებინა სიკვდილისწინა ტანჯვებს. ასე, ორი საათის შემდეგ გამოვიტანეთ ჩვენი აწ დამშვიდებული ამხანაგი და მარხილზე დავასვენეთ. საფლავი ღრმად ვერ გავთხარეთ, რადგანაც მიწა ძალიან იყო გაყინული, ცრემლი არავის გადმოუგდია ამ ობოლ, შორეულ საფლავზე. ამ ადამიანის სიკვდილს თავზარი არ დაუცია ჩვენთვის. თითქოს სრულიად ჩვეულებრივი რამ მოხდა. რასაკვირველია, ეს არ იყო შეუბრალებლობა და უგულობა. ეს იყო გონების არანორმალური დახშობა სიკვდილის წინაშე, რომელიც ყველას დღეს თუ ხვალ გველოდა. ჩვენ თითქოს მტრულადაც კი ვუყურებდით შემდეგ „კანდიდატს“, დუნაევს, და გონებაში ვმკითხაობდით: „მიაღწევს თუ იქამდე მოკვდება“? ერთმა თანამგზავრმა გაბრაზებითაც კი დაუტია: „აბა რას უზიხარ, შე გლახაკო? ნილსს ხომ არ გინდა გაჰყვე? წადი, გამორიყული ხე მოძებნე. გაინძერი!“ ხოლო, როცა დუნაევი მორჩილად წავიდა, უკან მიაძახა: „აბა, ფეხები ნუ გებლანდება!“ ეს არ იყო გაავება დუნაევის წინააღმდეგ. ახლა არც გამორიყული ხე გვესაჭიროებოდა დიდად. ეს იყო გაავება ავადმყოფობის წინააღმდეგ, რომელიც

ამბანაგს გართმევდა, მოწოდება იყო სიკვდილთან ბოლომდე საბრძოლველად. „ფეხების გაბლანდვა“, როდესაც მუხლები დამბლადაცემულივით გეკეცება, ძალიან დამახასიათებელია. შემდეგ ენა აღარ გემორჩილება. ავადმყოფი ცდილობს სიტყვების მკაფიოდ გამოთქმას, მაგრამ, რაკი დაინახავს, რომ ამით არაფერი გამოდის, თითქოს შერცხვენილი ჩუმდება!

ოთხშაბათი, 22 ივლისი. სამ საათზე ფლორას კონცხისაკენ გავემგზავრეთ. კვლავ ივან ლვოვიჩზე ვფიქრობდი. უკვე ეჭვი აღარ მეპარება, რომ ის ოდნავ შეშლილია ამ მიწის გამო, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ. უკანასკნელ დროს ერთთავად უსაყვედურებდა თავის თავს, რომ პარტია არ გაგზავნა მის გამოსაკვლევად. ეს მიწა გამოსამშვიდობებელ სიტყვაშიც ახსენა. არასდროს არ დამავიწყდება ეს გამომშვიდობება, ეს ფერმკრთალი, ზეშთაგონებით აღსავსე სახე, შორს გამყურე თვალები. რაა საერთო წინანდელ ლაღლაჟა, სიცოცხლით სავსე, ანეგდოტებისა და სასაცილო ამბების შემთხზველ, ექსპედიციის ხელით საგოგმანებელ ადამიანთან, რომელიც ხუმრობით შეუდგებოდა ხოლმე ყოველგვარ ძნელ საქმეს? არავინ წასულა მისი სიტყვის შემდეგ. ის იდგა თვალებდახუჭული, თითქოს უნდა აზრები მოიკრიბოს გამოსათხოვარი სიტყვის სათქმელადაო, მაგრამ სიტყვების ნაცვლად, ოდნავ გასაგონი კვნესა აღმოხდა და თვალის უპეებში ცრემლი გაუბრწყინდა, ჯერ ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო ლაპარაკი, შემდეგ უფრო მშვიდად განაგრძო: „ყველა ჩვენგანისთვის ძნელია მეგობრების გაცილება, რომლებთანაც ორი წლის ბრძოლა და მუშაობა გვაკავშირებს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ცოტა როდი გავაკეთეთ, თუმცა ექსპედიციის ძირითადი ამოცანა ჯერ მაინც არ არის გადაწყვეტილი. რუსების შრომით და გარჯით ჩრდილოეთის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფურცლებია ჩაწერილი—რუსეთს შეუძლია იამაყოს ამით. ჩვენ გვევალებოდა, ჩრდილოეთის რუს მკვლევართა ღირსეული საქმე გაგვეგრძელებინა და, თუ დავიღუპებით, ჩვენი აღმოჩენა ჩვენთან ერთად არ უნდა დაიღუპოს. მაშ, დაე, გადასცენ ჩვენმა მეგობრებმა, რომ ექსპედიციამ რუსეთს შემატა ვეებერთელა მიწა, რომელსაც ჩვენ „მარიამის მიწა“ ვუწოდეთ.“ ის ცოტა ხანს სდუმდა, მერე თითოეულ ჩვენგანს გადაეხვია და თქვა: „მე მინდა გითხრათ არა მშვიდობით“, არამედ „ნახვამდის“.

ხუთშაბათი, 30 ივლისი. ახლა ჩვენ მხოლოდ რვანი დავრჩით — ოთხი „კაიაკზე“ და ოთხიც სადღაც ალექსანდრას მიწაზე.

შაბათი, 1 აგვისტო. აი რა მოხდა დღეს: ორი-სამი მილიღა იყო დარჩენილი ფლორას კონცხამდე. უცებ ძლიერმა NO ქარმა დაუბერა, რომელიც სწრაფად ძლიერდებოდა და ნახევარი საათის შემდეგ, გეგონებოდათ, საკვამლე მილიდან უბერავსო. ჩამოწოლილ ბურუსში არც შეგვიმჩნევია, ისე დავკარგეთ მხედველობიდან მეორე კაიაკი, რომელზედაც დუნაევი და კოროლკოვი იყვნენ. ქართან და დინებასთან ბრძოლა შეუძლებელი იყო და ჩვენ ერთ-ერთ, უფრო დიდ აისბერგს მოყუდროვებული მხრიდან მივადექით. ავედით და ზედ კაიაკი ავიტანეთ. აისბერგზე რომ ავედით, მის წვერზე ანძა დავარჭეთ და ბაირაღი ავუშვით იმ იმედით, რომ, თუ დუნაევი დაინახავდა, ისიც მიხვდებოდა რომელიმე ყინულზე ასულიყო. საკმაოდ ციოდა და ჩვენც კარგა დაღლილებმა დასაძინებლად დაწოლა გადავწყვიტეთ. მალიცები ჩავიცვით და აისბერგის მწვერვალზე თავშექცევით დავწექით—ისე, რომ მაქსიმეს ფეხები ჩემს ზურგს უკან ჰქონდა, მე კი ფეხები მის ზურგს უკან მეწყო. ამგვარად 7 -8 საათი მშვიდად გვეძინა. საშინელი იყო ჩვენი გამოღვიძება. რაღაცამ საზარლად დაიჭექა, გაგვეღვიძა და ვიგრძენით, რომ ქვევითკენ მივექანებოდით, მეორე წამში ჩვენი ორსაწოლიანი ტომარა—წყლით გაივსო, ჩვენ ვიძირებოდით და თავგანწირეით ყოველგვარ ღონეს ვხმარობდით, ერთმანეთს ფეხებსა ვკრავდით, რომ ამ მუხანათური ტომრიდან როგორმე თავი დაგვეღწია. დასახრჩობად გადაყრილ კატებსა ვგავდით. ვერ გეტყვით, რამდენ წამს გაგრძელდა ჩვენი ფართხალი, მაგრამ მე საშინლად ხანგრძლივი მომეჩვენა. გადარჩენისა და დაღუპვის ფიქრებთან ერთად თავში ჩვენი მგზავრობის სხვადასხვა სურათებმა გამიელვა: მორევის, ნილსისა და ოთხ ქვეითად წამოსულთა სიკვდილი. ახლა ჩვენი ჯერი მოვიდა და ამის შესახებ თავისდღეში ვერავინ გაიგებს; სწორედ ამ დროს ფეხები მაქსიმეს ფეხებს მომიხვდა, ჩვენ ერთმანეთი გამოვყარეთ ტომრიდან და მეორე წამში გალუმპულები აისბერგის წყალქვეშა „ძირზე" ვიდექით და ჩვენ გარშემო წყალზე მოტივტივე ჩექმებს, ქუდებსა, საბნებსა და ხელჯაგებს ყინულზე ვისროდით. „მალიცები" ისე მძიმე იყო, რომ თითოეული ორს უნდა აგვეწია, საბანი კი სულაც ვერ დავიჭირეთ—ჩაიძირა. ტყუილად ვიმტვრევდი თავს—ახლა რაღა უნდა ვქნათ, ხომ გავიყინებით-მეთქი. თითქოს ამ კითხვის პასუხად მწვერვალიდან ჩვენი კაიაკი წყალში ჩაყირავდა, რომელიც, ეტყობოდა, ან ქარმა გადმოაგდო, ან ჩვენსავით ყინული ჩაემტვრა. ახლა ვიცოდით,

რაც უნდა გაგვეკეთებინა! წინდები და კურტკები გავწურეთ და ისევ ჩავიცვით, ხოლო ყველაფერი, რაც დაგვრჩა, კაიაკში ჩავყარეთ, ჩავსხედით და ნიჩბები მოვუსვით! ღმერთო ჩემო, რა გაშმაგებით ვუსვამდით ნიჩბებს! მე ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამან გადაგვარჩინა! ასე ექვსი საათის შემდეგ ფლორას კონცხს მივადექით...“

შტურმანის გემიდან წამოსვლის შემდეგ ადრინდელ ჩანაწერებში საინტერესო რუკა ვიპოვე. ძველებური იერი ჰქონდა, მე გავიფიქრე, რომ ნანსენის „ფრაბზე“ მოგზაურობის დარიულ რუკასა ჰგავს-მეთქი.

მაგრამ აი რამ განმაცვიფრა: ეს იყო „წმ. მარიამის“ დრეიფის რუკა 1912 წლის ოქტომბრიდან 1914 წლის აპრილამდე და დრეიფი ნაჩვენები იყო იმ ადგილებზე, სადაც ეგრეთ წოდებული პეტერმანის მიწა მდებარეობდა. ახლა ვინ არ იცის, რომ ეს მიწა არ არსებობს? მაგრამ ვინ იცის, რომ ეს ფაქტი პირველად კაპიტანმა ტატარინოვმა დაადგინა „წმ. მარიამის“ ხომალდზე?

მაშ რაღა გააკეთა ამ კაპიტანმა, ვისი სახელიც არც ერთ გეოგრაფიულ წიგნში არა გვხვდება? მან ჩრდილოეთის მიწა აღმოაჩინა, მან დაამტკიცა, რომ პეტერმანის მიწა არ არსებობს. მან არქტიკის რუკა შესცვალა—და მაინც თავის ექსპედიციას დამარცხებულად თვლიდა...

მაგრამ აი რა იყო მთავარი: დღიურის, უკვე ჩემი ასლით, მეხუთედ, მეექვსედ და მეშვიდედ გადაკითხვის დროს (ახლა აღარ მიშლიდა ხელს თვით წაკითხვის პროცესი) ყურადღება მივაქციე იმ ჩანაწერებს, რომლებშიაც ლაპარაკი იყო, როგორ უყურებდა კაპიტანი ამ აღმოჩენას.

„უკანასკნელ ხანებში ის მუდამ უსაყვედურებდა თავის თავს, რომ პარტია არ გაგზავნა მის გამოსაკვლევად (ესე იგი ჩრდილოეთის მიწის).

„...თუ ჩვენ დავიღუპებით, ჩვენი აღმოჩენა ჩვენთან ერთად არ უნდა დაიღუპოს. დაე ჩვენმა მეგობრებმა გადასცენ, რომ რუსეთის ექსპედიციამ, რუსეთს შემატა ვეებერთელა მიწა, რომელსაც ჩვენ „მარიამის მიწა“ ვუწოდეთ.

„თუ უიმედო გარემოებანი მაიძულებენ გემი მივატოვო, მე წავალ იმ მიწისაკენ, რომელიც ჩვენ აღმოვაჩინეთ“.

და შტურმანი ამ აზრს ბავშვურს და არაგონივრულს უწოდებს.

ბავშვურს და არაგონივრულს! კაპიტანის უკანასკნელ წერილში, რომელიც ოდესღაც დეიდა დაშამ წამიკითხა, ეს ორი სიტყვა იყო:

„ნებსით თუ უნებლიეთ ჩვენ უარი უნდა გვეთქვა პირველ განზრახვაზე—ვლადივოსტოკში ციმბირის ნაპირებით მისვლაზე. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია! სულ სხვა აზრითა ვარ ახლა შეპყრობილი. ვიმედოვნებ, რომ ის, ზოგიერთი ჩემი თანამგზავრივით, შენც „ბავშვური“ და „არაგონივრული“ არ მოგეჩვენება“...

ფურცელი ამ სიტყვებით თავდებოდა. შემდეგი ფურცელი კი აკლდა, ახლა მე ვიცოდი თუ რა აზრი იყო ეს: მას უნდოდა, გემი დაეტოვებინა და ამ მიწისაკენ წასულიყო. ექსპედიციამ, რომელიც მისი ცხოვრების მთავარ მიზანს შეადგენდა, წარმატება ვერა ჰპოვა. მას არ შეეძლო შინ „ცარიელი ხელით“ დაბრუნებულიყო. ის თავის მიწისაკენ მიისწრაფოდა და ჩემთვის აშკარა იყო, რომ, თუ კი სადმე არის კიდევ დარჩენილი მისი ექსპედიციის კვალი, ეს კვალი უსათუოდ ამ მიწაზე უნდა ვეძებოთ. მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ ჩემთვის იყო აშკარა? შეიძლება ასე აშკარა და ნათელი მეჩვენებოდა იმიტომ, რომ მე ვიცნობდი ქალს, რომლის სახელიც ეწოდა ამ მიწას. მე ვნახე იგი სიკვდილის წუთებში და ძლიერ მინდოდა ამ ექსპედიციის კვალისთვის მიმეგნო. უფრო მეტად კი მინდოდა დამემტკიცებინა კატიასათვის, რომ მე ის მიყვარს და მუდამ მეყვარება.

1935 წლის მარტის გვიან ღამით ამ დღიურის უკანასკნელი გვერდი გადავწერე,—უკანასკნელი, რომლის გარჩევაც შევძელი.

საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის დიდ ორსართულიან სახლში, სადაც მე მაშინ ვცხოვრობდი, დიდი ხანია ყველას ეძინა და მხოლოდ ჩემი ფანჯრიდან ეცემოდა შუქი გზასთან მდგომ დათოვლილ ტანწვრილ ხეებს. ცოტა არ იყოს, თავი მტკიოდა და თვალები მეწვოდა. ტანთ ჩავიცვი და გარეთ გამოვედი.

გარშემო სიჩუმე იყო, ჰაერი ნავდა და არც ისე ბნელოდა.—ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. დასავლეთით—სუსტი ჩრდილოეთის ელვარება მოსჩანდა და ძველი დაუვიწყარი გრძნობა, რომელიც ბალაშოვის აეროდრომზე განვიცადე, კვლავ დამიბრუნდა.

თითქოს თეატრში უცბად შუქი აინთო და ჩემს გვერდით შევნიშნე ადამიანები, რომელნიც ეს არის, სცენაზე ვნახე! ნუთუ ეს მართალია? გეგონებოდათ, ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ არ შეიძლებოდა თქმა—ცოცხლები არიან ეს ადამიანები თუ მხოლოდ თამაშია, რომელიც გაუფერულდება და გაჰქრება რეალური აზრის სინათლეზე. აი, შუქიც აანთეს, მაგრამ არაფერი არ გამქრალა. პირიქით, არაჩვეულებრივი სიცხადით, ცოცხლებივით დავი-

ნახე ჩემს გარშემო ეს ადამიანები, მათი შიშით და ავადმყოფობებით, სასოწარკვეთილებით, მოჩვენებებით და იმედებით. როდესაც გემი დასტოვეს, ის ას სამოცდაათი მილის მანძილზე იდგა ნაპირიდან, მათ კი ორი ათას კილომეტრამდე გაიარეს ყინულოვან უდაბნოში, რადგანაც მათ დინება მიაქანებდა და ისინი ბიწას შორდებოდნენ. მათ შოოის კაპიტანი არა ყოფილა, მაგრამ ეს საშინელი დღიური სავსე იყო მოგონებებით კაპიტანზე – მისი სიტყვებით, მისდამი სიყვარულითა და შიშით მისი სიცოცხლის გამო! გამოსათხოვარი სიტყვა დაწერილი იყო ფანქრით, რომელსაც ქაღალდი ჩაეჭრა და ეს ყველაზე უფრო გარკვეული ადგილი იყო მთელ დღიურში. „მაგრამ სიტყვების ნაცვლად ოდნავ გასავონი კვნესა აღმოხდა და თვალის უპეებში ცრემლი აუელვარდა...“

გავიგებ კი ოდესმე, რა ბედი ეწია ამ ადამიანს, რომელმაც თითქოს მე დამავალა, მეამბნა მისი სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი? დასტოვა კი გემი, რომ მის მიერ აღმოჩენილი მიწა შეესწავლა, თუ შიმშილისაგან დაიღუპა თავის ხალხთან ერთად და იამალას ნაპირებთან ჩაყინული ხომალდი მკვდარი ხალხით წლობით მიაპობდა ზღვას ნანსენის გზით გრენლანდიისაკენ? ან იქნებ ცივ ქარიშხლიან ღამეს, როდესაც ერთი ვარსკვლავიც არა ციმციმებს, არც მთვარეა და არც ჩრდილოეთის ელვარება, ის ყინულებმა დაამსხვრიეს, გრიალით წამოვიდა ანძები, ანძის ნაჭუსები და ქანდარები, რომლებიც ყველაფერს ამტვრევდნენ გემბანზე, ხოცავდნენ ადამიანებს. დაღუპვის წინ აჭრიალდა გემის კორპუსიც და ორი საათის შემდეგ ქარბუქმა უკვე თოვლით გადაჰფარა კატასტროფის ადგილი?

ან იქნება სადმე უდაბურ პოლარულ კუნძულზე დღესაც ცხოვრობენ ადამიანები — „წმ. მარიამის“ შეძადგენლობა, რომელთაც შეეძლებოდათ ეამბნათ, რა ბედი ეწია თვით გემის კაპიტანს, ხომ იცხოვრა რამდენიმე წელი შპიცბერგენის უკაცურ კუთხეში ექვსმა რუსმა მეზღვაურმა, დათვებსა და სელაპებს ხოცავდნენ და მათი ხორცით იკვებებოდნენ. მათი ბეწვით იმოსებოდნენ, თავიანთ ქოხებშიაც, რომელიც ყინულისა და თოვლისაგან გააკეთეს, ამ ბეწვს აფენდნენ?

მაგრამ არა, ვის გაუგონია! ოცმა წელმა განვლო იმ „ბავშვური“ და „არაგონივრული“ აზრის გამოთქმის შემდეგ — დაეტოვებინა გემი და „წმ. მარიამის“ მიწისაკენ წასულიყო! წავიდნენ კი იმ ბიწისაკენ? მიაღწიეს კი?

თავი მერვე

ექიმის ოჯახი

მთელი ზამთარი ამ დღიურებს ვარჩევდი. ჩემი ცხოვრება კი ზაპოლარიეში თავისი გზით მიდიოდა. კრასნოიარსკში ხელსაწყოებს ვეზიდებოდი ხე-ტყის ქარხნებისათვის და ბოლოს ეს მარშრუტი რვა ნახევარ საფრენოსნო საათამდე დავიყვანე. ნორილსკში გადამყავდა საძიებო პარტიები, მიყრუებულ ნენცურ რაიონებში მიმყავდა მასწავლებლები, ექიმები, პარტიული მუშაკები. ცნობილ მფრინავ მ.თან ერთად დისკონზე ვიყავი. მიხდებოდა ფრენა ენისეი კურეიკისა და ქვემო ტუნგუსის შესართავებზე.

ზაპოლარიეში დაბრუნებისას, ვიბანავებდი თუ არა და პირს გავიპარსავდი, მაშინვე ექიმთან გავრბოდი.

ძალიან შევეჩვიე ექიმს და მის ოჯახს და მათაც, მგონი, შეეუყვარდი. სასაცილო იყო: ექიმი ისე მექცეოდა, როგორც თავის ქმნილებას — ზოგჯერ ცალ თვალსაც კი მოხუჭავდა ხოლმე, თითქოს მაინც არა სჯეროდა, რომ მე ის გამხდარი, დიდშარვლიანი შავი ბიჭი ვიყავი, რომელიც ოდესღაც იმეორებდა: „ქათამი, უხაგირი, ყუთი“, რასაკვირველია, იგი ახლა ისეთი იდუმალებით მოცული აღარ მეჩვენებოდა, როგორც ბავშვობაში, სოფელში, მაგრამ ახლაც ვერ იტყოდი, თუ რას გააკეთებდა ის მეორე წუთს. შეეძლო, მაგალითად, ლაპარაკის დროს მოულოდნელად თავისი სკამი თქვენთვის გადმოეგდო, ხოლო თქვენ უსათუოდ უნდა დაგეჭირათ და უკანვე გადაგეგდოთ მისთვის. ასეთი ვარჯიშის რამდენიმე წუთის შემდეგ ექიმი ისე დაჯდებოდა ამ სკამზე, ვითომც აქ არაფერიაო, და საუბარი გრძელდებოდა. ნენცებს, რომელთა შორისაც გულითადი მეგობრები ჰყავდა, იგი კოზმა პრუტკოვს უკითხავდა ხოლმე.

პირბუდაღი, შავგვრემანი, მძივით ამოქარგულ ირმის ქურქებში გამოწყობილი ნენცები მოდიოდნენ ექიმთან, ისხდნენ და მუსაიფობდნენ. მაღალ მარხილებში შებმული თვალსევდიანი რუხი ირმები კი იდგნენ და ელოდნენ აივანთან.

ექიმმა ნენცური იცოდა და ისინი რჩევის საკითხავად მოდიოდნენ მასთან — ზოგჯერ ძალიან მნიშვნელოვან საქმეებზე. მათთვის ყველაფერი როდი იყო ნათელი ახალ სოციალისტურ წყობაში და ხშირად არ ენდობოდნენ ვილაც ვასკა-თავმჯდომარეს, რომელიც ტუნდრების საბჭოში საკოლმეურნეო საკითხების მთავარ სპეცია-

ლისტად ითვლებოდა. ერთხელ, მაგალითად, იმის საკითხავად მოვიდნენ, როგორ მოვექცეთ ბანდიტს: ჩვენ თვითონ მოვკლათ თუ ხელისუფლებას გადავცეთო? მეორედ მოვიდნენ გამოსარკვევად, რა აზრისაა ექიმი პრიმუსზე,—ვარგა თუ არა ეს ნივთი ოჯახში მოსახმარადო?

ექიმიც გულმოდგინედ განუმარტავდა ხოლმე, რომ ბანდიტი ხელისუფლებას უნდა გადასცენ, რომ პრიმუსი გამოსადეგია საოჯახო საქმიანობაში და ნენცებიც სერიოზული ბავშვური გამომეტყველებით უხმოდ უსმენდნენ მას. თუმცა მალე მეც მომიხდა ნენცების წინაშე დიდი სიტყვით გამოსვლა პრიმუსის შესახებ— მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ყოველ შემთხვევაში, ეს ურყევი მეგობრობა იყო. ექიმმა მიამბო, რომ ეს მეგობრობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მან ერთ სოფელში ბრტყელი ჭიების დასაყრელი პუნქტი მოაწყო. ეს მედიცინის ჭეშმარიტი ზეიმი იყო. ექიმს „ჭიების აღმომფხვრელი“ უწოდეს და მისი სახელი მთელ ტუნდრაზე გავარდა...

სახლში ბევრი ცხოველები ჰყავდათ: „ხვადი კატა ფილკა, კუ, ხლარბი და ჭოტი, ჭოტს მაგიდის ქვეშ ჰქონდა ბინა დი, როდესაც სადილად ვსხდებოდით, „აჰაი, აჰაი, აჰაის“ გაიძახოდა. ყველაფერი ეს ვალოდიას მეურნეობა იყო—ჰყავდა კიდევ ორი ძაღლი, ბუსკა და ტოგა, რომელთაც ნარტებში შესაბმელადა წვრთნიდა; ნენცებმა მას მამონტის ძვლების ფირფიტებით მორთული მშვენიერი აკაზრულობა აჩუქეს. ძალიან მომწონდა, რომ ვალოდია თავისი ლექსებით არა ტრაბახობდა. ეს მისი საიდუმლო იყო და მთელი ზამთრის განმავლობაში მე მხოლოდ ერთხელ მოვისმინე, როგორ წაიკითხა მან ლექსები. ჯერ დიდხანს ბუტბუტებდა, არ იცოდა, რომ მე მეორე ოთახში ვიყავი და ყველაფერი მესმოდა, მერე ხმამაღლა და გამოთქმით წარმოთქვა:

სკოლიდან სახლში ბრუნდება
ჩვენი ტუნგუსი ციმციმით,
პირზე ღიპილი უბრწყინავს,
ვიწრო თვალებით იცინის.
კართან მიაჯდო მარბილი
და გადმოფრინდა წამს ისა,
კარავში შეაქვს სიცოცხლე
და სიხარული ბავშვისა...

და კვლავ ბუტბუტი დაიწყო.

მე ვუამბე მას კაპიტანი ტატარინოვის ისტორია და ავუხსენი,

რა მნიშვნელობა აქვს ამ ისტორიისათვის განსვენებული კლიმოვის დღიურებს. და აი მუდამ, როდესაც ექიმთან მივიდოდი ხოლმე ახალი ამოკითხული ფურცლით, ვალოდიაც იქვე გაჩნდებოდა და ჩვენ საუბარს ისეთი მღელვარე სახით უსმენდა, რომ ექიმი მე გადმომხედავდა და ალერსით მხარზე ხელს გადახვევდა ხოლმე. ეჭვს გარეშეა, არა ერთი ლექსი იყო მიძღვნილი ამ ისტორიისადმი და ამგვარად, კაპიტანი ტატარინოვის ცხოვრება მარტო პროზაში როდია აღწერილი.

ექიმი დაინტერესდა ავადმყოფობით, რომლის შესახებაც შტურმანი სწერს,—ჯერ ფეხი ეშლება ავადმყოფს, მერე ენა ებმის, რასაც მოსდევს სწრაფი, უმიზეზო სიკვდილი. ვალოდიას მოაგონდა, რომ ასეთივე ავადმყოფობით მოკვდა კაპიტან სკოტის თანამგზავრი ევანსი.

— სკოტი სწერს, ასეთი ავადმყოფობით ყველაზე ძლიერები კვდებიანო,—თქვა მან და გაწითლდა,—მისი აზრით ეს რაღაც ფსიქიურია.

განსაკუთრებით გააოცა ჩემმა მოსაზრებამ, რომ შესაძლებელია ხომალდი ექსპედიციის მკვდარი წევრებით ჯერ ისევ დგას ყინულებში, რომელიმე უდაბურ კუნძულთან. მას რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ არაფერი თქვა, მხოლოდ ბავშვურად დააღო პირი და მთელ სახეზე, შუბლზე, ლოყებზე და კისერზედაც კი ეკალი დააყარა აღელვებისაგან...

მთავარი პირი ოჯახში, რა თქმა უნდა, ანა სტეპანოვნა იყო. ყველანი მას ემორჩილებოდნენ, ჰოტიც კი, რომელიც არავის ეპუებოდა და ექიმს ყოველთვის საყვედურის კილოთი „აჰაი, აჰაი, აჰაის“ გაუბამდა ხოლმე. ტყუილად კი არ ეუბნებოდნენ ნენცები ექიმს: „ოი, კარგია, რომ ასეთი წარმოსადეგი ცოლი გყავს!“ ის პატივისცემას უნერგავდა ყველას. მარტო თავის სახლში კი არა—მის ნათქვამს მთელ ქალაქში უწევდნენ ანგარიშს.

იგი ცნობილ მეზღვაურთა ოჯახიდან იყო. მისი მამა, ბიძა და ძმები კაპიტნებად იყვნენ მდინარეებისა და ზღვის გემებზე. ზოგჯერ კარის დროს,—ასე უწოდებენ ზაპოლარიეში აგვისტოსა და სექტემბრის თვეებს, როდესაც ჩვენ ყინულმჭრელებს კარის ზღვით საბჭოთა და უცხოეთის გემები გაჰყავთ,—ეს დიდცხვირა და დიდულვაშა ძმები და ბიძა ამ სახლში გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთივე მაღლები და ჯანღონით სავსენი, როგორც თვით ანა სტეპანოვნა იყო.

კაპიტანი ტატარინოვის ისტორიას ანა სტეპანოვნა სულ სხვა მხრიდან მიუდგა.

— საწყალი ქალები!—თქვა მან, თუმცა ქალების შესახებ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი.—უცდიან ერთ წელიწადს, ორსაც, იქნებ ის დიდი ხანია მოკვდა კიდეც და მისი კვალიც აღარსად არის. ისინი კი ელიან და ელიან. იმედს არა ჰკარგავენ, იქნებ დაბრუნდესო! ახლა უძილო ღამეები! ახლა შვილები! რა უთხრან შვილებს? ასეთ უიმედო ყოფნას სიკვდილი სჯობია. არა, ვერ დამაჯერებთ,—მტკიცედ თქვა ანა სტეპანოვნამ,—ეს მე ჩემი თვალით მინახავს. და თუ ოდესმე დაბრუნდა,—რასაკვირველია, გმირია, ამას თქმა არ უნდა. მაგრამ ქალიც გმირია!

თავი მეცხრე

ჩვენ, მგონი, შევხვედრივართ ერთმანეთს

დილის შვიდ საათზე გამომიარა ვალოდიამ. ძილში შემომესმა როგორ უჯავრდებოდა თავის ბუსკას და ტოგას. წინა დღით შევთანხმდით, მემიეცეობის საბჭოთა მეურნეობაში წავსულიყავით, და მან უეცრად ძაღლებით წასვლა შემომთავაზა.

— მობრუნება არ იციან.—მითხრა სერიოზულად,—თორემ ისე ძალიან კარგად მიდიან. მოსახვევებში ჩამოვდივარ და მე თვითონ მოვატრიალებ ხოლმე.

ის იყო უნდა მეთქვა, იქნებ მაინც თხილამურებით სჯობდეს-მეთქი წასვლა, მაგრამ ვალოდიამ თავის ძაღლების მაგიერ ითაკილა და იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი.

— დედაც კი დაადასტურებს,—თქვა დაბეჯითებით,—თუ მიხვეულ-მოხვეული არ არის გზა, მშვენივრად მიდიან.

ნარტზე დავსხედით და მან ნამდვილი ნენცივით დასჭყივლა ძაღლებს „ხეს!“ და ძაღლებიც გაფრინდნენ. ოჰ, როგორ შემოგვცხო სახეში ხორხოშელამ, თვალებში გვჩხვლეტდა და სუნთქვა შეგვეკრა! ნარტი თოვლის ზვინზე შეისროლა და მე ვალოდიას ჩავეიდე ხელი. მან გაკვირვებით მომხედა, მე ხელი გავუშვი და, ჩემი აზრით, რაღაც ძალიან სუსტად მოჭერილ თასმაზე დავიწყე ხტომა.

კარგი იქნება, ცოტა ნელა ვიაროთ-მეთქი, გულში გავიფიქრე, მაგრამ გაგიგონია! ფიქრიც კი ზედმეტი იყო! ვალოდიას მრისხანედ აღემართა ჯოხი და თავის ძაღლებს დასჭყიოდა. ისინიც სულ

უფრო და უფრო სწრაფად მიჰქროდნენ. რასაკვირველია, შემეძლო ვალოდიასათვის დამეყვირა, აღვირს ცოტათი მოსწიე მეთქი. მაგრამ აშკარა იყო, ამით სამუდამოდ დავკარგავდი მის პატივისცემას. მაინც დავუყვირებდი — მეტისმეტად მაღლა ხტოდა თოვლის ზვინებზე ეს დაწყეველილი ნარტი! მაგრამ სწორედ ამ წუთს ვალოდიამ კიდევ ერთხელ მომხედა. ისეთი აწითლებული, ბედნიერი სახე ჰქონდა და ყურებიანი ქუდი ისე ჩასპანდურად მოჰქცეოდა გვერდზე, რომ მე გადავწყვიტე გულდაღმა დავწოლილიყავი და ბედს დავმორჩილებოდი.

რრახ! უეცრად ძაღლები თითქოს გაშეშდნენ და მე თვითონ არ ვიცი, ნარტზე როგორ შევრჩი. საიმისო არაფერი მომხდარა; თურმე პროტოკისაკენ უნდა მოგვეხვია და ვალოდიამ ძაღლები გააჩერა, რომ მიმართულება შეეცვალა.

აღარ მახსოვს, რამდენჯერ მივეცი ჩემ თავს სიტყვა ძაღლებით აღარ მემგზავრა, — ალბათ იმდენჯერ, რამდენი მოსახვევიც არის კუნძულზე, სადაც მეშხეცეობის საბჭოთა მეურნეობაა მოთავსებული. მაგრამ ვალოდია აღტაცებული იყო.

— ხომ დიდებულია, არა?

მეც დავეთანხმე, დიდებულია-მეთქი.

აი ძლივს პროტოკაც გამოჩნდა! ბუჩქნარში შევიჭერით, ნაპირიდან ჩავცურდით და ხტომა-ხტომით ყინულზე გავსრიალდით. ახლა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ პირდაპირ გზაზე ვალოდიას ძაღლები შესანიშნავად მიდიოდნენ. ყოველ წამს ეპირებოდნენ ჩვენი მარხილის დამსხვრევას ამ ოღრო-ჩოღრო ყინულებზე და ვალოდიას ყვირილისა და ლანძღვისაგან კინაღამ ხმა ჩაეხლიჩა. ჩვენი ბედი, რომ გაღმა ნაპირი თავქვე იყო და ძაღლებმა თვითონ შეანელეს ნაბიჯი.

მაგრამ აი, პროტოკას გავცდით, ძაღლებმა კვლავ მოუმატეს ნაბიჯს, აყეფდნენ და უეცრად — ეს რა ამბავია? თითქოს პასუხად ნაძვნარიდან რამდენიმე ძაღლის გაბმული ყეფა მოისმა — ჯერ შორს, მერე კი სულ უფრო და უფრო ახლოს. ეს იყო გაბმული საზარელი ყეფა, რისგანაც უნებურად გულიც კი შემეკუმშა.

— ვალოდია, რა უნდა აქ ამდენ ძაღლებს?

— ძაღლები კი არა, მელიებია!

— მერე და ჰყეფენ?

— ძაღლისმაგვარი მელიებია! — მობრუნდა და დაიყვირა ვალოდიამ. — ისინი ჰყეფენ.

რასაკვირველია, მინახავს შავი მურა მელიები, მაგრამ ვალოდიამ ამიხსნა, ამ საბჭოთა მეურნეობაში მოვერცხლისფრო შავ მელიებს ამრავლებენ და ეს სულ სხვა ჯიშიაო. ასეთი მელიები მთელ ქვეყანაზე არსად არის. კუდის თეთრი ბოლო სილამაზედ ითვლება, აქ კი, ამ საბჭოთა მეურნეობაში, ცდილობენ ისეთი მელიები გამოიყვანონ, რომ ერთი თეთრი ბეწვიც არ ერიოთო.

მოკლედ, მან მართლაც დამაინტერესა და მე ცოტა უკმაყოფილოც დავრჩი, როცა მეოთხედი საათის შემდეგ საბჭოთა მეურნეობის ალაყაფის კარებს მივადექით და შაშხანიანმა დარაჯმა გვითხრა, დათვალიერებისათვის დაკეტილიაო.

— მაშ რისთვის არის ღია?

— მეცნიერული მუშაობისათვის, — შთამაგონებელი კილოთი გვიპასუხა დარაჯმა.

კინაღამ ვუთხარი, სწორედ მეცნიერული მუშაობისათვის მოვედით-მეთქი, მაგრამ დროზე შევხედე ვალოდიას და ენა მოვიკვნიტე.

— დირექტორის ნახვა ხომ შეიძლება?

— დირექტორი წასულია.

— მოადგილე ვინ არის?

— უფროსი სწავლული სპეციალისტი,—გვითხრა დარაჯმა ისეთი სახით, თითქოს თვითონ იყო უფროსი სწავლული სპეციალისტი.

— ოჰ! ჩვენც სწორედ ის გვინდოდა.

ვალოდია კარებში დავტოვე და მე უფროსი სწავლული სპეციალისტის მოსაძებნად წავედი.

ალბათ, საბჭოთა მეურნეობაში ბევრი ხალხი არ დადიოდა. რადგანაც მხოლოდ ერთი ვიწრო ბილიკი იყო გატკეპნილი განიერ, თოვლით დაფარულ ეზოში სახლისაკენ, რომელიც დარაჯმა დამანახვა. ამ სახლმა ჯერ კიდევ შორიდან მომაგონა მოსკოვის ზოობაღის მომწვანო ფერის ლაბორატორია, სადაც ვალია ჟუკოვმა ოდესღაც თავისი მღრღნელები გვიჩვენა, ოღონდ ლაბორატორია ოდნავ უფრო დიდი იყო. ისეთი ძლიერი იყო მსგავსება, რომ თითქოს თაგვების საკმაოდ საზიზღარი სუნიც კი მეცა, როდესაც ქეჩის ჩექმებიდან თოვლი ჩამოვიბერტყე, კარი შევაღე და დიდ, მაგრამ დაბალჭერიან ოთახში ამოვყავი თავი, რომელიც მეორე უფრო დიდ ოთახში გადიოდა და სადაც ვიღაც კაცი მაგიდას მისჯდომოდა. ისიც კი მომეჩვენა, თითქოს სწორედ ვალკა იყო ეს

კაცი, თუმცა პირველ წუთში თვალისმომჭრელი თოვლის შუქის შემდეგ კარგად ვერ გავარჩიე მისი სახე, მით უმეტეს, რომ, დამინახა თუ არა, წამოდგა და ფანჯარასთან ზურგით დადგა. თითქოს სულ ვალკასავით მიყურებდა ის კაცი, ისეთივე კეთილი და ოდნავ შეშლილის გამომეტყველებით, მასაც ვალკასავით შავი ბუსუსი აქვს ლოყებზე, ოღონდ ცოტა უფრო ხშირი და უფრო შავი, და საცაა ისიც ვალკას ხმით შემეკითხება: „რა გნებავთ?“

— ვალია,—შევძახე მე,—შენა ხარ? ვალკა?

— რა თქვით?—დაბნეულად მკითხა მან და ვალკასავით გვერდზე დახარა თავი.

— ვალკა, საქონელო!—ვუთხარი მე და თან ვგრძნობდი, გული როგორ მიფრთხიალებდა.—რა მოგვიდა! მართლა ვერა მცნობ?

მას დაბნეულად გაეღიმა და ხელი გამომიწოდა.

— არა, როგორ არა,—მაგრამ კილოზე შეეატყე, რომ ვერ მიცნო.—ჩვენ მგონი შევხვედრივართ ერთმანეთს!

— მგონი! მგონი შევხვედრივართ!

ხელი მოვკიდე და ფანჯარასთან მივათრიე.

— აბა, შემომხედე! ძროხავ!

მან შემომხედა და გაუბედავად გაეცინა.

— ჯანდაბა შენ თავს, ნუთუ ვერა მცნობ?—განცვიფრებით ვუთხარი.—რა მოგვიდა? იქნება მე ვცდები?

თვალები აახამხამა, მერე დაბნეული გამომეტყველება გადაეყარა სახიდან და ნამდვილი ვალკა დამიდგა წინ, ისეთი ნამდვილი, რომ უკვე შეუძლებელი იყო ქვეყანაზე ვისმეში შეგშლოდათ! მაგრამ, ალბათ, თვითონ მეც უფრო მეტად დავემსგავსე ჩემ თავს რადგან, როგორც იყო, მიცნო.

— სანია!—დაიყვირა და სუნთქვა შეეკრა.—შენა ხარ?

ერთმანეთი გადავკოცნეთ და მაშინვე ხელგადახვეულები საითკენღაც წავედით. კარებში კიდევ ერთხელ მაკოცა.

— მართლა შენა ხარ? ეშმაკმა დალახვროს! ყოჩაღ! როდის ჩამოხვედი?

— კი არ ჩამოვედი, აქა ვცხოვრობ.

— როგორ თუ აქა ცხოვრობ?

— როგორ და უკვე ნახევარი წელია აქა ვარ.

— როგორ, რანაირად?—წაიბუტბუტა ვალიამ.—ჰო, თუმცა მე ძალიან იშვიათად დავდივარ ქალაქში, თორემ შევხვდებოდით ერთმანეთს. ჰმ, ნახევარი წელი! ნუთუ მართლა ნახევარი წელია?

მეორე ოთახში გამიყვანა, რომელიც, მგონი, არაფრით არ განსხვავდებოდა პირველისაგან. — შეიძლება მხოლოდ იმით, რომ აქ საწოლი იდგა და კედელზე თოფი ეკიდა. ის კაბინეტი იყო, ეს საწოლი ოთახი. სადღაც ახლოს კი ლაბორატორია, ამის მიხვედრაც ძნელი არ იყო, რადგანაც აქაურობა ყარდა. გამეცინა—ისე უხდებოდა ვალიას, მის დაბნეულ სახეს, მის ქოჩორს და ღინღლს ლოყებზე ეს ნადირის სუნი. ვალიას ყოველთვის რაღაც საშინელი სუნი ასდიოდა ხოლმე.

მარტოდმარტო ცხოვრობდა ამ დიდ სახლში, რომელიც სამი ოთახისა და სამზარეულოსაგან შედგებოდა. სწორედ ის იყო უფროსი სწავლული სპეციალისტი და მას თანამდებობით ეკუთვნოდა ეს დიდი ცარიელი სახლი, რომლისთვისაც, რა ექნა, არ იცოდა.

უეცრად მომაგონდა, რომ ვალოდია ალაყაფის კარებთან დავტოვე და ვალიამ მის დასაძახებლად გაგზავნა უმცროსი სწავლული სპეციალისტი, რომელიც ვალიაზე ერთი ოცდაათი წლით უფროსი იყო, საკმაოდ ომახიანი, წვერიანი მამაკაცი, უცნაური ნოღა ცხვირით. მაგრამ, ეტყობა, მან ვალოდიაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ისინი ხახევარი საათის შემდეგ მეგობრული მუსაიფით შემოვიდნენ და ვალოდიამ გამოგვიცხადა, რომ პაველ პეტროვიჩი— ასე ერქვა ამ კაცს—მელიების სამზარეულოს ჩვენებას დამპირდაო.

— მელიების სადილით გამასპინძლებასაც დავპირდი,—თქვა პაველ პეტროვიჩმა.

— რა გვაქვს დღეს სადილად?

— პამიდორი და მანის ფაფა.

— „ჯუნგლები“ აჩვენეთ,—უთხრა ვალიამ.

ვალოდია გაწითლდა და, მგონი, სუნთქვაც კი შეწყვიტა, ეს სიტყვა რომ გაიგონა. ხუმრობაა! „ჯუნგლები!“

— პაველ პეტროვიჩ, შეიძლება ჯერ „ჯუნგლებში“ წავიდეთ? ჩურჩულით ჰკითხა მან.

— არა, ჯერ სამზარეულოში, თორემ საუზმეს ვერ მივუსწრებთ!

ისინი წავიდნენ, მე და ვალია მარტონი დავრჩით. ის ჩემ გამასპინძლებას შეუდგა, ჩაი დააყენა და სამზარეულოდან ხაჭაპური გამოიტანა.

— ამას ჩვენ სასადილოში ამზადებენ! არა უშავს რა, არა? რას იტყვი?

ხაჭაპურსაც რაღაც ნადირის სუნი უდიოდა. მე გემო გავუსინჯე და ჩვენ საბავშვოსახლელ მზარეულ ძია პეტიასავით ვთქვი:

— ოჰ! საწამლავია!

ვალიას ბედნიერად გაეცინა.

— სად არიან ახლა ისინი? სად არის ტანკა ველიჩკო? გრიშკა ფაბერი? სად არის ივან პავლიჩი? როგორ არის?

— ივან პავლიჩს არა უშავს რა,— თქვა ვალიამ,—ერთხელ ვიყავი მასთან. შენც გიკითხა.

— მერე?

— არაფერი ვიცი-მეთქი, ვუთხარი.

— დიახ, როგორ არა, არ იცის! მოსკოვში ვინ დაგირეკა? გითხრეს?

— მითხრეს, ვილაც მფრინავმა დარეკაო. მაშინ მე არ ვიცოდი, რომ შენ მფრინავი იყავი.

— ტყუი! აქ როგორღა მოხვდი?

— მე ერთი საინტერესო რამ მოვიგონე, გესმის—მითხრა ვალკამ,—რისგანაც ისინი სწრაფად იზრდებიან.

— ვინ?

— მელიები.

გამეცინა.

— ისევ სისხლის შეცვლა ასაკთან დაკავშირებით?

— რაო?

— სისხლის შეცვლა ჭრელ გველებში ასაკთან დაკავშირებით,— დიდი ამბით გავიმეორე.—ესეც საინტერესო რამ იყო, რაც შენ მოიგონე. არა, როგორ მიხარია, რომ გხედავ!

მე მართლაც ძალიან მიხაროდა, მთელი სულითა და გულით! ჩვენ ყოველთვის გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ მაშინ არ ვიცოდით, თუ რა კარგია მოულოდნელი შეხვედრა მოსკოვიდან შორს, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც მთელი წარსული ცხოვრება ნახევრად მივიწყებული გგონია.

ჩვენ კორაბლიოვზე დავიწყეთ ლაპარაკი, მაგრამ ამ დროს ვალიას მოაგონდა, რომ მელიის ლეკვებისათვის რაღაც წამალი უნდა მიეცა.

— განკარგულება გაეცი, რომ მისცენ!

— არ შეიძლება, მე თვითონ უნდა მივცე,—მზრუნველობით თქვა ვალიამ. —ეს ვიგანტოლია, რახიტის საწინააღმდეგო საშუალება. ხომ მომიცდი? ახლავე დავბრუნდები.

არ მინდოდა დავშორებოდი და ჩვენ ერთად წავედით.

თავი მეათე

ღამე მშვიდობისა

უკვე ბინდდებოდა, როდესაც ვალოდია „ჯუნგლებიდან“ დაბრუნდა—ასე ერქვა თურმე საბჭოთა მეურნეობაში შემოღობილ ტყიან ნაკვეთს, სადაც მხეცები თავისუფლად იყვნენ გაშვებული. ვალოდია ყველაზე მეტად გააკვირვა პატარა სახლებმა, რომლებშიაც მელიები ცხოვრობდნენ.

— უჰ, რა დიდებულია,—თქვა და თან ცდილობდა, ძალიან არ გამოემჟღავნებინა აღტაცება,—სულ ადამიანებივითა ცხოვრობენ. საუზმობენ, მკვდარი საათიცა აქვთ, მერე პატარები თამაშობენ, დიდები კი ხანდახან სტუმრად დადიან.

ვალია აღარ მომეშვა და ღამე იქ დავრჩი. ექიმს დავურეკეთ, რომ ვალოდია მარტო დაბრუნდებოდა შინ...

ზაპოლარიე—ხმაურიანი ქალაქია. რა თქმა უნდა, იქ ძალიან დიდი მოძრაობა არ არის, თუმცა ზოგჯერ ქუჩაზე ერთდროულად მიჰქრიან და ერთმანეთს უსწრებენ ავტომობილები, ირმები, ცხენები და შებმული ძაღლები. ხე-ტყის ქარხნებში ხმაურობენ ხერხები და ყურებში დღე და ღამ გესმის ეს ღმუილი, რომელიც თანდათან ძლიერდება. საბოლოოდ თითქოს შეეჩვევი ამ ხმაურს და ველარ ამჩნევ, მაგრამ მაინც სადღაც შორს გაუთავებლად ჭრიალებს ხერხი.

აქ კი, საბჭოთა მეურნეობაში, სიწყნარე იყო. ჩვენ დიდხანს ვსეირნობდით ტყეში, სადაც პაველ პეტროვიჩი ხოხბებისათვის მახეების დასაგებად გამოსულიყო და დიდხანს ვემუსაიფეთ ტყისა, კარისა და ამინდის შესახებ.

— ვალენტინ ნიკოლაიჩ, რას იზამთ, დონ კარლოსს ამაღამ თქვენთან წაიყვანთ?—ჰკითხა მან და ეს ძალიან სასაცილო და სასიამოვნო იყო, რომ ასეთი ხნიერი და პატივსაცემი, ნოლაცხვირიანი კაცი ვალიას მამის სახელით მიმართავს და ისეთი პატივისცემით ელაპარაკება, როგორც ნამდვილ უფროს სწავლულ სპეციალისტს. დონ კარლოსი პატარა მელიას ერქვა, რომელსაც ყინვისა ეშინოდა.

შემდეგ ჩვენ ვალიას ბინაში დავბრუნდით, თითო პატარა ჭიქა არაყი გადავკარით და ვალიამ ამიხსნა, რომ მართლაც უკანასკნელ ნახევარ წელიწადს თითქმის ფეხი არ გამიდგამს საბჭოთა მეურნეობიდანო. საინტერესო სამუშაო მქონდა:—სიასამურის კუჭებს

ვშიგნავდი და ვარკვევდი, რისგან შედგებოდა მათი საკვები. რამდენიმე კუჭი მე თვითონა მქონდა. ორას ცალამდე რომელიღაც ნაკრძალმა მითავაზა. ძალიან საინტერესო რამ გამოვარკვიე: წვრილბეწვიანი ნადირის დამზადების დროს თრითინა უნდა დავზოგოთ, რადგანაც სიასამური უმთავრესად თრითინით იკვებება.

მე უხმოდ ვუსმენდი. ჩვენ მარტონი ვიყავით ცარიელ სახლში, ოთახიც მთლად ცარიელი იყო — დიდი, მყუდროებას მოკლებული, მარტოხელა კაცის ოთახი.

— ჰო, საინტერესოა,—ვთქვი მე, როდესაც ვალიამ ლაპარაკი გაათავა.—მაშ სიასამური თრითინით იკვებება! დიდებულია! შენთვის კი იცი რა არის საჭირო? აუცილებელზე აუცილებელი? ცოლის შერთვა!

ვალიამ ჯერ თვალები აახამხამა, მერე გაეცინა.

— რათა გგონია?—გაუბედავად მითხრა მან.

— იმიტომ რომ ძაღლივითა ცხოვრობ. თან იცი, როგორი ცოლი გინდა? რომელიც ლაბორატორიაში მოგართმევს ბუტერბროდებს, შენ კი დიდ ყურადღებას არ მოგთხოვს.

— ეჰ, შენც საქმე გამოგლევია,—წაიბურტყუნა ვალიამ.—ასეც ვიზამ! დრო მოვა და შევირთავ კიდეც. ერთი დისერტაცია დავიცვა, მერე თავისუფალი ვიქნები. მე მალე დავბრუნდები მოსკოვში. შენა?

— რა მე?

— შენ რატომ არ ირთავ ცოლს?

მე გავჩუმდი.

— ჩემი საქმე სხვაა. და ჩემი ცხოვრებაც სულ სხვაა. იცი, როგორა ვცხოვრობ? დღეს აქა ვარ, ხვალ — ცხრა მთას იქით. მე ცოლს ვერ შევირთავ.

— არა, შენც უნდა შეირთო.—მიპასუხა ვალიამ,—ყური მიგდე,—მოულოდნელი აღტაცებით განაგრძო მან.—გახსოვს, თქვენ რომ მოხვედით ჩემთან ზოობაღში, კატიას ამხანაგი ახლდა! რა ერქვა იმას? აი, მაღალი, ნაწნავებიანი.

ისეთი კეთილი, ბავშვური სახე გაუხდა, რომ შევხედე და უნებურად სიცილი დავიწყე.

— როგორ არ მახსოვს! კირენი! ლამაზია ხომ?

— ძალიან,—თქვა ვალიამ.—ძალიან ლამაზია.

უნდოდა ჩემთვის თავის საწოლზე გაეშალა ლოგინი, მაგრამ მე არ დავანებე და იატაკზე დავწექი. ტახტები, რამდენიც გინდოდათ,

იმდენი იყო, მაგრამ მე ყოველთვის იატაკზე წოლა მერჩივნა. თივის სქელი ლეიბი გაიწ-გამოიწია, მე ვთქვი „ოჰო“-მეთქი და ვალია შეწუხდა, ვაითუ კარგად ვერა წევხარო. მაგრამ მე ძალიან მოსვენებულად ვიწექი. ცას ვხედავდი. ისეთი წყნარი მოჩანდა, თითქოს იქაც ირგვლივ სულ თოვლით დაფარული ტყე არისო. ძალიან სასიამოვნო იყო ამ ცის ყურება და თან მუსაიფი. არ მეძინებოდა.

რაზე არ ვილაპარაკეთ! ვალიას ზღარბიც კი მოვიგონეთ, რომელიც უნივერსიტეტში ერთ აბაზად გავყიდეთ. მერე ისევ კორაბლიოვზე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი.

— იცი რას გეტყვი,— უეცრად მითხრა ვალიამ,— შეიძლება ვცდები, რასაკვირველია. მაგრამ, მე მგონი, მას ცოტათი უყვარდა მარია ვასილევნა. შენ როგორა ფიქრობ?

— შესაძლებელია.

— იმიტომ რომ ძალიან უცნაურია, მაგრამ ერთხელ მასთან შევიარე და ვხედავ, მაგიდაზე მისი სურათი უდევს. რაღაცა ვკითხე, იმიტომ რომ სწორედ მეორე დღეს ტატარინოვებთან ვაპირებდი წასვლას, და უცბად მარია ვასილევნაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მერე გაჩუმდა, ისეთი სახე ჰქონდა... ვიფიქრე, აქ საქმე სხვახაირად არის-მეთქი.

— ვალკა, ჯანდაბას შენი თავი.—ვუთხარი გაბრაზებულმა.— ვერ გამიგია ღმერთმანი სადა ცხოვრობ! ცოტათი უყვარდაო! კორაბლიოვს უიმისოდ სიცოცხლე არ შეეძლო! და მთელი ის ამბავი ხომ შენ თვალწინ მოხდა. მაგრამ შენ მაშინ ჭრელი გველებით იყავი გართული,— გასაგებია!

— რას ამბობ! საბრალო!

— ჰო, ის საბრალოა.

ჩვენ გავჩუმდით, მერე ვკითხე:

— ხშირად დადიოდი ტატარინოვებთან?

— არა, ძალიან ხშირად არა. სამჯერ თუ ვიქნებოდი.

— როგორ არიან?

ვალია ნიდაყვზე წამოიწია. მგონი უნდოდა სიბნელეში ჩემი სახე გაერჩია, თუმცა მე ეს სრულიად დამშვიდებულადა ვთქვი.

— არა უშავს რა. ნიკოლაი ანტონიჩი ახლა პროფესორია.

— მართლა! მერე რასა კითხულობს?

— პედოლოგიას,—თქვა ვალიამ,— გარწმუნებ ძალიან პატივსაცემი პროფესორია... და საერთოდ...

— რა საერთოდ?

— მე მგონი, შენ სცდებოდი.

— ვითომ?

— ჰო, ჰო,—ღრმა რწმენით თქვა ვალიამ,—შენ მასში სცდებოდი. ერთი ნახე, როგორ ექცევა თავის მოსწავლეებს. პირდაპირ მზად არის მათი გულისთვის წყალში და ცეცხლში გადავარდეს. რომაშოვმა მიამბო, რომ შარშან...

— რომაშოვმა? ის საიდანღა გაჩნდა?

— როგორ საიდან? მათთან სწორედ იმან მიმიყვანა.

— მაშ ისიც დაიარება ტატარინოვებთან?

— ისა? ის ნიკოლაი ანტონიჩის ასისტენტია. ყოველდღე მათთან არის. და საერთოდ მათი ოჯახის ყველაზე მახლობელი ადამიანია.

— მოიცა, რასა ლაპარაკობ? არ მესმის, რომაშკა?

— ჰო,—თქვა ვალიამ.—მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, მის ასე არავინ ეძახის. სხვათა შორის, მგონი კატიას შერთვას აპირებს.

რაღამაც შიგ გულში დამკრა და წამოვჯექი. ვალიაც წამოჯდა და გაკვირვებული მომაჩერდა.

— რა მოგივიდა?..—მკითხა მან.—ჰო! ჯანდაბას ჩემი თავი! სულ მთლად დამავიწყდა!

ის აბურტყუნდა, მერე დაბნეულად მიიხედ-მოიხედა და საწოლიდან გადმოვიდა.

— კი არ აპირებს...

— ჰო კარგი, დააბოლოვე,—ეუთხარი მე სრულიად დამშვიდებულად.

— რა დავაბოლოვო?—წაიბურტყუნა ვალიამ,—მე შენთვის არაფერი მითქვამს, უბრალოდ, მე ვფიქრობ ასე, მაგრამ მერე რა, რომ ვფიქრობ! ზოგჯერ ისეთი რამ მომივა ხოლმე თავში, რომ მე თვითონვე მიკვირს!

— ვალია!

— არა ვიცი რა!—თქვა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ვალიამ.—რას ჩამაცივდი, საქონელო? ეს მე მგონია ეგრე. ზოგჯერ, ვინ იცის, რა არა მგონია ხოლმე! შენ შეგიძლია არ დამიჯერო, გათავდა და მორჩა!

— მაშ შენა გგონია, რომაშოვს კატიას შერთვა უნდა?

— არა, არა-მეთქი! გეუბნები, სრულიადაც არა. ის კარგად გამოეწყო და მეტი არაფერი.

— ვალია!

— მეტი არაფერი არ ვიცი, გეფიცები.

— შენ გელაპარაკა?

— მერე რა, მელაპარაკა. მაგალითად, მიამბო, რომ ცამეტი წლიდან აგროვებდა ფულს. ახლა კი მოუსვა ხელი და ნახევარი წლის განმავლობაში სულ დახარჯა.—ამასაც აქვს რაიმე მნიშვნელობა შენი აზრით?

მე აღარ ვუსმენდი. იატაკზე ვიწექი, ცას შევყურებდი და მეჩვენებოდა, რომ სადღაც საშინელ ჯურღმულში ვწევარ და ჩემ ზემოდან მთელი ქვეყანა ხმაურობს და ლაპარაკობს. მე კი მარტო ვარ და ხმის გამცემი არავინა მყავს. ცას ჯერ კიდევ ბინდი ეკრა, ვარსკვლავებიც კვლავ ციმციმებდნენ, არ ვიცი საიდან, მაგრამ უკვე შემოკრთა სუსტი შორეული სინათლე და მე გავიფიქრე, რომ ჩვენ ბოლო ღამე ლაპარაკში გავატარეთ, და აი, მივიღეს კიდეც!

— ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა!—ვუპასუხე გონებადაუტანებლივ.

სჯობდა ვალოდიას გავყოლოდი! ყელში რაღაც მობაწვა, მინდოდა წამოვმდგარიყავი და ჰაერზე გამევლო, მაგრამ არ ავმდგარვარ. მხოლოდ გვერდი ვიცვალე, გულდაღმა დავწექი და სახე ხელებში ჩავმალე. მაშ ასე! ეს წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ამის დავიწყება ერთი წუთითაც აღარ შემეძლო. ვერ წარმომედგინა თვით რომაშკა, ვერ წარმომედგინა იგი კატიას გვერდით. მაგრამ რად მეგონა, რომ დღემდე ვახსოვდი კატიას? ჩვენ ხომ რამდენიმე წელი იყო, რაც ერთმანეთი არ გვენახა.

ვიწექი და ვფიქრობდი. რაზე აღარა ვფიქრობდი.—ვფიქრობდი ყველაფერზე, რაც თავში მომდიოდა, არა მარტო კატიაზე. მომაგონდა, რომ ვალიას არ უყვარს, როდესაც მძინარეს უყურებენ, და კორაბლიოვმა ერთხელ ხუმრობით როგორა ჰკითხა: „თუ სიყვარულით გიყურებენო?.“ მერე აღმოჩნდა, რომ მე კვლავ კატიაზე ვფიქრობ და უცებ რა ცოცხლად მომაგონდა—კატია კი არა, ის მშვენიერი სულიერი განწყობილება, რომელსაც ყოველთვის განვიცდიდი, როდესაც მას ვხედავდი. ამ წუთში ყველაზე მეტად ქვეყანაზე ძილსა ვნატრობდი, მაგრამ არამც თუ თვალების დახუჭვა, ციდან თვალის მოშორებაც კი არ შემეძლო, რომელსაც ნელნელა, მაგრამ მაინც დღის შუქი ემატებოდა.

ვალიას ეძინა და, ალბათ, გაელვიძებოდა, მე რომ ავმდგარი-

ყავი. მაგრამ იმასთან ლაპარაკის გუნებაზე აღარ ვიყავი და ამიტომ კარგა ხანს ჯერ გულდაღმა ვიწექი, მერე გულაღმა. მერე კვლავ გულდაღმა, ხელებში თავჩამალული.

შემდეგ,—ალბათ, უკვე დილის შვიდი საათი იქნებოდა, ტელეფონი აწკარუნდა. ვალია წამოხტა და ნამძინარევი მეორე ოთახში გაიქცა, თან საბანი გაითრია.

— გისმენთ! შენ გეძახიან,—მითხრა ერთი წუთის შემდეგ, რომ დაბრუნდა.

— მე?

ქურქი წამოვისხი და ტელეფონთან მივედი.

— სანია!—ექიმი მელაპარაკებოდა.—სად დაიკარგე? საოლქო აღმასკომიდან ვრეკავ. ახლავე გადავცემ ყურმილს.

— დიახ, გისმენთ,—ვუთხარი მე.

— ამხანაგო გრიგორიევო,—მითხრა სხვა ხმამ. ზაპოლარიეს შინსახკომის რწმუნებული იყო.—სასწრაფო საქმეა. ექიმ პავლოვთან ერთად ვანოკანში უნდა გაფრინდეთ. ლედკოვს იცნობთ?

რა თქმა უნდა! ეს საოლქო აღმასკომის წევრი იყო, ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ადამიანი ჩრდილოეთში. მას ვინ არ იცნობდა.

— ის დაჭრილია და სასწრაფო დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ. როდის შეგიძლიათ გაფრინდეთ?

— ერთი საათის შემდეგ.

— თქვენ, ექიმო?

ვერ გავიგონე, რა უპასუხა ექიმმა.

— ინსტრუმენტებიც, ყველაფერი წესრიგშია? კეთილი, ერთი საათის შემდეგ აეროდრომზე გელით.

თავი მეთერთმეტე

გ ა ფ რ ე ნ ა

აი ვინ ისხდნენ თვითმფრინავში დილით, ხუთ მარტს, როდესაც ზაპოლარიეში ავფრინდით და გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ: ფიქრებში წასული ექიმი, მუქი სათვალით, რომელმაც საოცრად გამოსცვალა, ჩემი ბორტმექანიკოსი ლური, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადამიანი ზაპოლარიეში ან სხვაგან, სადაც გნებავთ, სადაც ის თუნდ სამი-ოთხი დღით გამოჩნდებოდა, და მე.

ეს ჩემი მეთხუთმეტე გაფრენა იყო ჩრდილოეთში, მაგრამ

პირველად მივფრინავდი ისეთ რაიონში, სადაც თვითმფრინავი არ ენახათ. ვანოკანი—ძალიან მიყრუებული ადგილია პიასინის ერთ-ერთ შესართავის რაიონში. მაგრამ ექიმი ნამყოფი იყო პიასინაზე და ამბობდა, ვანოკანის პოვნა ძნელი არ არისო.

დაჭრილი იყო საოლქო აღმასკომის წევრი. ეს ნადირობის დროს შემთხვეოდა, შესაძლებელია აოც ნადირობის დროს! ყოველ შემთხვევაში, შინსახკომის რწმუნებულმა გვთხოვა ჩვენ, მე და ექიმს, გამოგვერკვია, რა პირობებში მოხდა ეს ამბავი. ვანოკანში დაახლოებით სამ საათზე უნდა მივფრენილიყავით, ჯერ ისევ თვალნათლივ, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის წავიღეთ: ოცდაათი დღის სანოვაგე სამი კაცისათვის, პრიმუსი, რაკეტები, თოფი თავისი ვაზნებით, ბარები, კარავი, ცული.

ამინდის შესახებ მხოლოდ ერთი ვიცოდი, ზაპოლარიეში მშვენიერი დარი იდგა. მაგრამ როგორია იგი მარშრუტის მიხედვით—ეს არ ვიცოდი. მისი „შეკვეთა" არც არავისთვის შეიძლებოდა და არც გვეცალა შესაკვეთად.

ამგვარად, ყველაფერი წესრიგში იყო, როდესაც ზაპოლარიეში ავფრინდით და გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ავიღეთ. ყველაფერი რიგზე იყო და მე უკვე აღარა ვფიქრობდი იმაზე, რაც გუშინ ვალიასგან გავიგე. ძირს ენისეი მოჩანდა—თეთრ ნაპირებს შუა გაწოლილი ფართო თეთრი ბაფთი, ნაპირებს ტყე მისდევდა, რომელიც ხან უახლოვდებოდა ნაპირს, ხან შორდებოდა. ცოტათი მტკიოდა თავი უძილო ღამის შემდეგ, ზოგჯერ ყურებიც მიწყებდა წივილს—მაგრამ სწორედ ყურები, ძრავი კი შესანიშნავად მუშაობდა.

ბერე მდინარეს გავცდით და დაიწყო ტუნდრა—სწორი, დაუსრულებელი, თოვლით დაფარული, არც ერთი შავი წერტილი, თვალს ვერაფერზე შეაჩერებ...

ასე რად ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს არ მოხდებოდა? უნდა მიმეწერა, როდესაც სანიას პირით მოკითხვა შემომითვალა. მაგრამ დათმობაზე წასვლა არ მინდოდა მანამდე, ვიდრე არ დავუმტკიცებდი, რომ მე მის წინაშე არაფერში არ ვიყავი დამნაშავე. მაგრამ არასოდეს არ უნდა იყო ზედმეტად დარწმუნებული, რომ შენ ვისმეს უყვარხარ, უყვარხარ ყველაფრის მიუხედავად, რომ შეიძლება კიდევ ხუთი ან ათი წელი გავიდეს და შენ ისევ ეყვარები!

თოვლი, თოვლი, ყველგან თოვლი.—საითაც გაიხედავ.

წინ ღრუბლები იყო. სიმაღლე ავიღე და ღრუბლებში შეეედი: სჯობს ბრმად იფრინო, ვიდრე ამ დაუსრულებელ მოსაბეზრებელი პერსპექტივის დამამახინჯებელ თეთრ ფონს დასცქეროდე.

არავითარი განსაკუთრებული ღვარძლი არა მქონია რომაშკას მიმართ, თუმც, ახლა აქ რომ ყოფილიყო, ალბათ მოვკლავდი. სიბრაზეს არა ვგრძნობდი, რადგანაც ეს შეუძლებელი იყო. როგორ შეიძლება წარმოიდგინო ეს ადამიანი თმის მაგივრად ჩალისფერი კატის ბუწკებით თავზე, გაწითლებული ყურებით, ადამიანი, რომელმაც ცამეტი წლისამ გადაწყვიტა გამდიდრება და სულ ინახავდა და ანგარიშობდა თავის ფულს.—როგორ შეიძლებოდა წარმოგედგინა იგი კატიას გვერდით! როგორ გაბედავდა ამას, ეს ისეთივე უაზრობა იყო, როგორც ის, მაგალითად, რომ მოესურვებინა და სხვა ადამიანად ქცეულიყო—ისეთ ადამიანად, როგორც კატიაა, მისი პირდაპირობით და სილამაზით.

ამ ღრუბლებს გავცდით და სხვა ღრუბლებში შეეედით, ღრუბლებს იქიდან თოვდა და თოვლი მხოლოდ სადღაც ქვეეით იწყებდა ბრეწყვიალს მზის შუქზე, რომელსაც ჩვენგან ღრუბლები ჰფარავდნენ.

ფეხები გამეყინა და ვინანე, რომ პატარა პიმები ჩავიცვი, და არა მეორე წყვილი, უფრო სრული.

მაშ გადაწყვეტილია—მოსკოვში მივფრინავ. მხოლოდ წინასწარ უნდა გავაფრთხილო კატია ჩემი ჩასვლის შესახებ. წერილი უნდა მივწერო—ისეთი წერილი, რომ წაიკითხოს და სამუდამოდ დაახსომდეს.

შავი ღრუბლებიდან გამოვედით და მზე, როგორც ყოველთვის, როდესაც ღრუბლებიდან გამოდიხარ, მეტისმეტად კაშკაშა მომეჩვენა.—მე კი ვერა და ვერ გადამეწყვიტა, ჩემი წერილი უბრალოდ „კატიათი" დამეწყო თუ „ძვირფასო კატიათი".

„ჩვენ დიდი ხანია ერთმანეთისათვის აღარ მიგვიწერია და შენ გაკვირვებული დარჩები, როდესაც ჩემ ხელს იცნობ. როგორა ცხოვრობ? ამდენი ხანი იმიტომ არა გწერდი, რომ მეგონა, გაჯავრებული იყავი ჩემზე. რასაკვირველია, შენ მართალი ხარ, მე დამნაშავე ვარ, რომ ამდენი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. ენსკიდან დაბრუნებულმა მოსკოვზე რომ გამოვიარე, უეჭველად უნდა მენახე და არა თვრამეტი წლის ბიჭივით შენი სახლის გარშემო მეხეტიალა..."

წერილი უკვე დამავიწყდა. მე იგი უნდა წამომეყვანა და მეტი

არაფერი. აკი მშვენივრად ვიცოდი, რომ ის ამ ყალბ და უბედურ სახლში არ უნდა დარჩენილიყო, იმ საშინელ და ყალბ ნიკოლაი ანტონიჩთან, ვისიც კატიას სჯეროდა.

აი მთებიც! მხით განათებულნი ღრუბლებიდან ამოწვდილიყვნენ ხან ტიტველნი, ხან თვალისმომჭრელი თოვლით დაფარულნი. სარკეში ვხედავდი, ხელი როგორ ასწია საშამ, თითქოს მთებს მიესალმაო, ექიმს რაღაცა დაუძახა და ექიმმაც, სასაცილომ, რომელიც რაღაც ბურთივით საყვარელ ცხოველსა ჰგავდა, გულგრილად დაუქნია თავი.

გაფანტულ ღრუბლებს შორის მოჩანდნენ შორს გაჭრილი, ლამაზი. მაგრამ პირქუში ხეობები—ნაღდი სიკვდილი იძულებითი დაშვების შემთხვევაში! ჩემდა უნებურად გავიფიქრე, მერე კი ისევ წერილის თხზვას შევუდექი და იქამდის ვთხზავდი, ვიდრე სხვა ეფრო სასწრაფო საქმეები არ გამომიჩნდა.

თითქოს ქარიც არა ჰქროდა, როდესაც პირველი უზარმაზარი თოვლის ღრუბლები მწვერვალებს მოსწყდნენ და ტრიალით სულ მაღლა და მაღლა ავიდნენ.

სარკე, რომელშიც ეს არის ექიმსა და ლურისა ვხედავდი, უეცრად ჩამუქდა, შეიჭირხლა და ათი წუთის შემდეგ ვერც კი წარმოიდგენდით, რომ ჩვენს ზემოდან ეს არის ახლა მზე კაშკაშებდა და ცა დაგვცქეროდა. ახლა აღარა ჩანდა არც მიწა, არც მზე, არც ცა. ყველაფერი აირია. ქარი წამოგვეწია და ჯერ მარცხნიდან დაგვარტყა, შემდეგ პირდაპირ სახეში, მერე კვლავ მარცხნიდან და უცბად სადღაც წაგვიღო, იქაც ნისლი იყო და ხორხოშელა თოვლი მოდიოდა, რომელიც მაგრა გვცემდა სახეში, ტანისამოსსა და ყველა ღილკილოებში ეკვროდა. მერე ჩამობნელდა—და როცა კვლავ სარკეში შევიხედე, უკვე ველარაფერი დავინახე. გარშემო არაფერი ჩანდა და რამდენიმე ხანი თვითმფრინავი უკუნ სიბნელეში მიმყავდა, თითქოს კედლებს ვეჯახებოდი, იმიტომ რომ ყოველი მხრიდან ქარით შემაგრებული ნამდვილი თოვლის კედლები იყო აღმართული! ხან ვჭრიდი მათ, ხან უკან ვიხევდი, ხან ისევ ვჭრიდი, ხან შორს—მათ ქვემოთ აღმოვჩნდებოდი ხოლმე. ეს ყველაზე საშინელი იყო, თვითმფრინავი უეცრად ას ორმოცდაათი-ორასი მეტრით ძირს ეშვებოდა, მე კი არ ვიცოდი, რა სიმაღლისა იყო ეს მთები, რომელნიც, არ ვიცი რატომ, არ იყვნენ აღნიშნულნი ჩემს რუკაზე. ერთადერთი, რის გაკეთებაც შეშეძლო—ეს იყო ას ოთხმოცი გრადუსით სიჩქარე განმევითარე-

ბინა და უკან ენისეისკენ წავსულიყავი. ნაპირებს დავინახავ, მალალ ნაპირს გადავიცლი და ქარბუქს გვერდს ავუქცევთ, ან უკიდურეს შემთხვევაში, ზაპოლარიეში ღაბრუნდებით.

ადვილი სათქმელია—სიჩქარეს განვავითარებ! თვითმფრინავმა, რატომღაც ნჯღრევა დაიწყო, როდესაც მარცხენა ფეხი დავაჭირე და კვლავ სადღაც გადაგვისროლა, მაგრამ მე მაინც თანდათან სიჩქარეს ვუმატებ. მგონი, მანქანას რაღაც ეუთხარი. სწორედ ამ წუთში ვიგრძენი, რომ ძრავს რაღაც ემართება. სამწუხაროა, იმიტომ რომ ქვემოთ ისევ ის ხეობები მოჩანდა, რომლებიც—ამის დიდი იმედი მქონდა—უკვე კარგა შორს დაგვრჩა-მეთქი. იმათ გაიელვეს და გაჰქრნენ, მერე კვლავ გაიელვეს შორს გაჭიმულმა ხეობებმა,—ჩვენ ვერ გვიპოვიდნენ და თავის დღეში ვერავინ გაიგებდა, თუ რა შეგვემთხვა. უნდა გავცლოდით ამათ და მე გავეცალე, თუმცა თვითმფრინავი ხან ჰაერში ეკიდა, თითქოს ეს წყეული ქარბუქი ერთი წამით ჩაფიქრდებოდა ხოლმე, კიდევ როგორ შემოეტია ჩვენთვის, ხან ლაყლაყით, როგორც უნდოდა, ისე მიდიოდა. მე გავეცალე, მაგრამ ძრავს მაინც კარგი დღე არ ადგა და უნდა დავშვებულიყავით. უნდა დავშვებულიყავით ძალიან ნელა და თვალი მედევნებინა მობრუნების მაჩვენებლისათვის, კრენები არ დამეშვა და სულ მიწის შესახებ მეფიქრა, რომელიც სადღაც ქვევით არის, მაგრამ არ იცი სად არის, ან როგორია. თავში საათივით რაღაც მიკაკუნებდა, ჩემს თავს და მანქანას ხმამაღლა ველაპარაკებოდი, მაგრამ არ მეშინოდა. მახსოვს მხოლოდ, ერთი წამით როგორ დამცხა, როდესაც რაღაც მუქმა მასამ თვითმფრინავის გვერდით გაიქროლა, მე სწრაფად გვერდი ავუქციე და კინაღამ ფრთა მიწას მოედო.

თავი მეთორმეტე

ქ ა რ ბ უ ქ ი

აღარ გიამბობთ იმ სამი დღე-ღამის ამბავს, რომელიც პიასინის ნაპირების მახლობლად ტუნდრაში გავატარეთ. ეს ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მოგონებაა. ერთი საათი მეორესა ჰგავდა, მეორე—მესამეს და მხოლოდ პირველი წუთები არ განმეორებულან, როდესაც როგორმე უნდა დაგვემაგრებინა თვითმფრინავი, რომ ქარბუქს არ გაეტაცნა.

სცადეთ ეს ტუნდრაში, სადაც არავითარი მცენარეულობა არ

არის, ათ ბალიან ქარში! ძრავის გამოურთავად დავდგით თვითმფრინავი კუდით ქარისკენ. ვინ იცის, იქნებ მისი ჩაფლაც მოგვეხერხებინა, მაგრამ საკმარისი იყო ბარი შეგვეგდო თოვლისათვის, რომ თოვლი უკვე ქარს მიჰქონდა. თვითმფრინავს აქეთ-იქით ისვროდა და უნდა მოგვეგონა რაიმე უტყუარი მის დასამაგრებლად, რადგანაც ქარი სულ უფრო ძლიერდებოდა და ნახევარი საათის შემდეგ უკვე ვეღარაფერს გავხდებოდით. მაშინ ჩვენ ერთი უბრალო რამ გავაკეთეთ, რასაც ყველა პოლარულ პილოტს ვურჩევ: სიბრტყეებს თოკები წავაბით, ხოლო თოკებს მოვაბით თხილამურები, პატარა ჩემოდნები, მომცრო ყუთი ტვირთით, ძაბრიც კი,— ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობდა თოვლის დაგროვებას. თხუთმეტი წუთის შემდეგ ამ საგნების გარშემო უკვე ქვეყნის თოვლი მოაყარა და თოვლის ზვინები დადგა, სხვა ადგილებში კი თვითმფრინავის ქვეშიდან ქარი ძველებურად ხვეტავდა თოვლს.

ახლა ლოდინის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა. მაინცდამაინც სახალისო არ იყო ეს, მაგრამ სხვა რა გზა გვქონდა, უნდა გვეცადა და გვეცადა. დიდხანს კი?—ვინ იცის!

უკვე ვთქვი, რომ ჩვენ ყველაფერი გვქონდა იძულებითი დაშვებისათვის, მაგრამ რას უზამ მაგალითად კარავს? რაში გამოიყენება, როცა უბრალოდ კაბინიდან გამოსვლა—რთული სატანჯველი საქმეა, რომელსაც დღეში ერთხელ გადაწყვეტ და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ დღეში ერთხელ მაინც ხომ აუცილებელია კაბინიდან გამოსვლა...

ვიდრე შალითაზე ზონრების დახსნას მოახერხებდი, თითები უკვე ტკივილს გიწყებდა. და ამიტომ სამჯერად გვიხდებოდა მათი დახსნა. თოვლი ნაბიჯის გადადგმისთანავე ძირს გვცემდა, ამიტომ სიარულის განსაკუთრებული ხერხის გამომუშავება დაგვჭირდა—ქარის საწინააღმდეგოდ ოთხმოცდახუთი გრადუსით უნდა მოვხრილიყავით.

ასე გავიდა პირველი დღე. ცოტა უფრო მეტად ცივა. ცოტა უფრო მეტად გეძინება და, რომ არ დაგეძინოს, ათას რამეს იგონებ, რასაც ბევრი დრო მიაქვს, მაგრამ არაფერსა გშველის. ვცდილობ, მაგალითად, პრიმუსი დავანთო, ლურის კი სარჩილავი ლამპის დანთებას ვუბრძანებ. ძნელი ამოცანაა! ძნელია პრიმუსის დანთება, როცა ყოველ წამს თავიდან ფეხამდის გაყრილებს, როცა უეცრად ისეთი სიცივე გაგივლის ღრმად ყურებში,

თითქოს დაფის აპკი გეყინებაო. როდესაც პირისახე ერთ წამში შეგეთოვლება და ყინულის ნიღბად იქცევა. ლური ცდილობს იხუმროს, მაგრამ ორმოცდაათგრადუსიან ყინვაში ხუმრობა ხუმრობას არა ჰგავს და მას მეტი აღარაფერი დარჩენია, იხუმროს უბრალოდ იმაზე, რომ ხუმრობა უყვარს ყოველგვარ გარემობაში და ყოველ დროს.

ასე გაიარა პირველმა ღამემ, უფრო ცივა. უფრო გეძინება. თოვლი კი წინანდებურად მოჰქრის და ბოლოს ისე გვეჩვენება, რომ ჩვენ თვალწინ მიჰქრის სულ რაც კი დედამიწის ზურგზე თოვლია.

ამ დღეებში კვლავ დავაფასე ექიმი ივან ივანიჩი.

შეგნება სრული უმოქმედობის, ამ უიმედო მდგომარეობიდან გამოსვლის სრული შეუძლებლობისა—აი რა იყო ყველაფერზე მძიმე! მგონი ასე არ გამიძნელდებოდა ამის ატანა, ასეთი ჯანსაღი და მაგარი რომ არა ვყოფილიყავი. ეს გრძნობა ირევა მეორე ნაღვლიან გრძნობაში. მე არ შევასრულე საპასუხისმგებლო დავალება,—ეს კიდევ მესამეში, რომელიც არავის არ შეეხება—შეურაცხყოფილი სიამაყისა და გულისტკენის გრძნობაში,—აი, სულიერი განწყობილება, რომლის დროსაც მადა არა გაქვს და სიმართლე რომ ვთქვა, არც თუ ისე გეშინია გაყინვის.

ექიმი ყველაფერსა ხედავდა, ყველაფერი ესმოდა! ჩემ სიცოცხლეში არა ვყოფილვარ ასეთი გულმოდგინე მეთვალყურეობის ქვეშ. თითოეული ამ გრძნობისათვის მას თავისი რეცეპტი ჰქონდა და, მგონი, იმ გრძნობისათვისაც კი, რომელიც არავის არ ეხებოდა.

მესამე დღეა. ძალიან გვეძინება. სულ უფრო ცივა, სულ უფრო ნესტიანდება „მალიცები“ და უკვე რაღაც ნერვიული სიცივე წინასწარ ძვლებამდის გივლის, გაიფიქრებ თუ არა, რომ ეს ნესტი შეიძლება ყინულად იქცეს.

მაგრამ იქნებ ასე სჯობდეს. „მალიცებიდან“ ყინულის გამომტვრევას დრო უნდა, ხოლო უსაქმოდ ჯდომა და დაუსრულებლად ფიქრი სევდის მომგვრელია. შემდეგ უფრო მეტად გცივა.—რას იზამ, სითბო ქარს მიაქვს—და მე პიმების ქვეშ ფეხებზე მფრინავის ხელჯაგებს ვიცვამ.—მთავარია, არ დაგეძინოს და არ მისცე დაძინების საშუალება ბორტმექანიკოსს, რომელიც ყველაზე უფრო სუსტი აღმოჩნდა ჩვენს შორის, გარეგნულად კი თითქოს ყველაზე მაგარი ჩანდა. ექიმი დროდადრო ხელს არტყამს და ანჯღრევს, მერე ექიმიც იწყებს თვლემას და ახლა უკვე მე მიხდება მისი ზრდილობიანად, მაგრამ ჯიუტად შენჯღრევა.

— სანია, არა, ღმერთმანი, ძილზე არც კი მიფიქრია,—ბუტბუტებს ის და თვალებს ძლივს ახელს.

მე კი აღარ მეძინება. თოვლი ყურებში მიზუის და, როდესაც წამიერი სიჩუმე ჩამოვარდება ხოლმე, ეს მთრთოლავი სიჩუმე პირქუშ მტანჯველ უაზრო ზუზუნზე უფრო ხმაურიანი მეჩვენება. სადღაც შორს, დიკსონზე, ზაპოლარიეში რადისტები ჩვენს შესახებ ლაპარაკობენ:

— სად არიან? აქა და აქ ხომ არ გაუვლიათ?

— არ გაუვლიათ.

ძლიერ მოსაწყენი იყო ჯდომა და ლოდინი, როდის ეშველება და როდის ჩადგება ეს ქარბუქი. ბოლოს მომაგონდა, რომ თან წიგნი მქონდა წამოღებული.

„მალიცებს“ მუხლს ცოტა ზემოთ გადავუჭირე და თავიან-ხელებიანად შიგ შევძვერი. ვიწროდა ვარ, მაგრამ, თუ მარცხენა ხელში ყურზემოდან ჯიბის ფარანს დაიჭერ, მარჯვენაში კი—წიგნს, კითხვა შეიძლება! მე დინამიკიანი ფარანი მქონდა და ერთთავად თითები უნდა მემოძრავებინა, რომ სულ ანთებული ყოფილიყო. მაგრამ თითების შეუჩერებელი მოძრაობა შეუძლებელია და მე თითებს ვშლიდი,—მაშინ უეცრად სიცივე ამიტანდა ხოლმე, ყველაფერი თავთავის ადგილზე ბრუნდებოდა და მე კვლავ ვგრძნობდი თოვლს, რომელსაც კაბინის ჭუჭრუტანებიდან მაყრიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ სტეფენსონის „სტუმართმოყვარე არქტიკა“ წავიკითხე და გავიგე, რომ შეცდომა იყო იმდენი ხნის უძილობა, მაგრამ მაშინ გამოუცდელი პოლარელი ვიყავი და მე მეგონა, დაძინება და სიკვდილი ერთი და იგივე იქნებოდა.

ეტყობა მაინც ჩამეძინა, ან მღვიძარემ წარმოვიდგინე ჩემი თავი ღრმად მიწის ქვეშ, ძალიან პატარა ვიწრო ყუთში. ზევით მკაფიოდ ისმოდა ქუჩის ხმაური, ტრამვაის ზარის ხმა და გრიალი. არ მეშინოდა, მაგრამ მაინც ვწუხდი, რომ აქ მარტო ვიწექი და ხელ-ფეხის განძრევა არ შეშეძლო, მაშინ, როცა სადღაც უნდა გავფრენილიყავი და ერთი თავისუფალი წუთი არა მქონდა. მერე რატომღაც ქუჩაში ამოვყავი თავი, მაღაზიის განათებული ვიტრინის წინ, მაღაზიაში კი მშვიდი, აუჩქარებელი ნაბიჯით კატია დადიოდა. მე არ მიყურებდა. ეტვს გარეშეა, კატია იყო, თუმცა ვშიშობდი, ვაითუ ის არ იყოს, ან რაიმემ ხელი შემიშალოს და ვერ გამოველაპარაკო-მეთქი, და აი, მაღაზიის კარებისკენ გავრბივარ, მაგრამ იქაურობა უკვე დაცარიელებულია, ბნელა და მინის კარებზე წარწერაა: „დაკეტილია“.

თვალები გავახილე და ისევ დავხუჭე: ისეთ ბედნიერებად მოშეჩვენა ის, რაც დავინახე. ქარბუქი ჩამდგარიყო. თოვლი აღარ გვაბრჩობდა და აღარ გვაბრმავებდა—თოვლი მიწაზე იდო, მზე დაჭაშკაშებდა და ისეთი უზარმაზარი ცა დაჭყურებდა, როგორიც მხოლოდ ზღვაზე ან ტუნდრაში შეიძლება ნახოთ. ამ თოვლისა და ცის ფონზე, თვითმფრინავიდან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით, კაცი იდგა. ხელში ხორეი ეჭირა—ჯოხი, რომლითაც ირმებს ერეკებიან. კაცის უკან ნარტში შებმული ირმები იდგნენ. შორს, თითქოს დახატულიაო, უფრო მკრთალად, ორი ციცაბო თოვლიანი გორა მოჩანდა—ეკვს გარეშეა, ნენცების ჩუმები. სწორედ ეს იყო ის მუქი შასა, რომელსაც დაშვების დროს მოვერიდე. ახლა ჩუმები თოვლით ყო დაფარული და მხოლოდ ზემოდან ღია კონუსები მოჩანდა შავად. ჩუმების გარშემო კიდევ ვიღაც ხალხი იყო, დიდრონები და პაპშვები.—ყველანი უძრავად იდგნენ და ჩვენს თვითმფრინავს უყურებდნენ.

თავი მეცამეტე

რა არის პრიმუსი?

არასდროს არ ვიფიქრებდი, რომ ცეცხლში ფეხების შეყოფა ბედნიერება იქნებოდა. მაგრამ ეს ნამდვილი, შეუდარებელი ბედნიერებაა. თქვენ გრძნობთ, როგორ გიღლით სხეულში სითბო და სულ მაღლა ამოდის, შეუმჩნეველად და ნელ-ნელა გითბებათ გული.

მეტს არაფერსა ვგრძნობდი, არაფერზე ვფიქრობდი. ექიმი რაღაცას ბუტბუტებდა ჩემ ზურგს უკან, მაგრამ მე ყურს არ ვუგდებდი და აინუნშიაც არ მომდიოდა სპირტი, რომლითაც ფეხების დაზელვა მომინდომა.

ირგვლივ ნედლი ფიჭვის ბოლიანით ტუნდრის ბუჩქნარის ბოლი იდგა, მაგრამ აღარც ეს მენაღვლებოდა—ოღონდ სითბო ყოფილიყო. თბილა—ამის დაჯერება თითქმის შეუძლებელია.

ფეხმოკეცილი ნენცები ცეცხლს ირგვლივ უსხდნენ და ჩვენ გვიყურებდნენ. მათ სერიოზული სახეები ჰქონდათ. ექიმი ნენცურად რაღაცას უხსნიდა. ისინი ისეთი გამომეტყველებით უქნევდნენ თავს, ვითომ გვესმისო. მერე გამოირკვა, რომ ვერაფერი ვერ გაეგოთ. ექიმმა გაჯავრებით ხელი ჩაიქნია და დაიწყო წარმოდგენა დაჭრილი კაცისა და თვითმფრინავისა, რომელიც მის დასახმარებლად

მიფრინავს. ძალიან სასაცილო იქნებოდა, კიდევ ერთი წუთი რომ შემძლებოდა არ დამძინებოდა. ხან მუცელზე იკიდებდა ხელს, ხან ხტებოდა და მაღლა აწეული ხელებით წინ აწყდებოდა. უეცრად ჩემკენ მოტრიალდა.

— არა, როგორ მოგწონს! ამათ ყველაფერი იციან! —თქვა განცვიფრებით.—ისიც კი იციან, რაშია დაჭრილი ლედკოვი. ეს მკვლელობის განზრახვაა. ესროლეს თურმე.

მან კვლავ ნენცურად დაიწყო ლაპარაკი და მე ბურანში მიეხვდი, ეკითხებოდა, ხომ არ იცით, ვინ ესროლაო.

— ესენი ამბობენ: ვინც ესროლა—შინ წავიდა. წავიდა, რომ იფიქროს, ერთ დღეს იფიქრებს, ორს, მაგრამ მაინც დაბრუნდება.

ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა, არ დამძინებოდა. უეცრად ყველაფერმა ტრიალი დაიწყო ჩემს წინ და სიხარულისაგან გამეცინა, რომ ძლივს დამეძინა..

როდესაც გამეღვიძა, კარგად გათენებულიყო, ერთი ბეწვი გადაეწიათ და სადღაც თვალისმომჭრელ სამკუთხედში ექიმი იდგა, ჩაცუცქული ნენცები კი გარს შემოსხდომოდნენ. შორს თვითმფრინავი მოჩანდა. ყველაფერი ეს ერთად ისე მაგონებდა რომელიღაც ნაცნობ კინო-კადრს, რომ შემეშინდა კიდევაც, ახლა გაიელვებს და გაქრება-მეთქი. მაგრამ ეს კადრი არ იყო. ეს ექიმი იყო, რომელიც ნენცებს ეკითხებოდა, სად არის ვანოკანიო.

— იქით?—გაჯავრებით ყვიროდა და ხელით სამხრეთისაკენ უჩვენებდა.

— იქით, იქით.—ეთანხმებოდნენ ნენცები.

— იქით?—ახლა აღმოსავლეთზე უჩვენებდა იგი.

— იქით.

მერე ყველამ ერთად სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაიშვირა ხელი და ექიმმა თოვლზე ჩრდილოეთ-უინულოვანი ოკეანის სანაპიროს რუკა დახატა. მაგრამ ამანაც არაფერი გვიშველა, რადგანაც ნენცებმა გეოგრაფიული რუკა ხელოვნების ქმნილებად მიიღეს და ერთმა მათგანმა, ჯერ ისევ ახალგაზრდამ, რუკის გვერდზე ირემი გამოსახა, რათა ეჩვენებინა, რომ იმანაც იცოდა ხატვა.

უპირველესად ყოვლისა, აი რა უნდა გაგვეკეთებინა: თვითმფრინავი უნდა გაგვეწმინდა თოვლისაგან, რასაც თავის დღეში ვერ მოვახერხებდით, ნენცები რომ არ დაგვხმარებოდნენ. ჩემ სიცოცხლეში არ მენახა თოვლი, რომელიც თითქმის არა ჰგავ-

და თოვლს! ცულებითა და ბარგებით ვჩეხავდით, დანებით ვჭრიდით. როგორც იქნა გამოვეერით და გადავაგდეთ უკანასკნელი თოვლის აგური და სიმაგრე, რომელსაც მე პოლარელ პილოტებს ვთავაზობდი, დაშლილია. ყველა ქვაბში და ქეთლში უკვე თბება წყალი ძრავის გასაშვებად. ახალგაზრდა ნენეცი, სწორედ ის, რომელმაც თოვლზე ირემი დახატა, ახლა კი ჩვენი შტურმანობა იკისრა, რომ ვანოკანის გზა გვიჩვენოს, უკვე ემშვიდობებოდა თავის ნამტირალევ ცოლს, ძალიან სასაცილო იყო, რადგანაც ცოლს ირმის ტყავის შარვალი ეცვა და მხოლოდ ნაწნავებში ჩატანებული ფერადი მაუდის ნაკუწები ანსხვავებდნენ მას მამაკაცისაგან. მაღალი, ბუმბულივით ღრუბლებიდან მზე გამოვიდა—ეს კარგი დარის ნიშანი იყო! მე ექიმს ვუთხარი, რომელიც ვიღაცას ტყვიის წვეთებს უშვებდა თვალებში, დროა-მეთქი. სწორედ ამ წუთში ლური მოვიდა და მითხრა, გაფრენა არ შეგვიძლიანო.

გატეხილიყო შასის განმბრჯენი. ალბათ მაშინ გაგვიტყდა როდესაც ჩუმს გვერდი ავუქციე. შასის ნენცები ასუფთავებდნენ, თოვლისაგან და იმიტომ ვერ შევამჩნიეთ მე და ლურიმ.

უკვე სრული ოთხი დღე გავიდა, რაც ზაპოლარიიდან გამოფრინდით. რა თქმა უნდა, ჩვენ გვეძებენ და ბოლოს, როცა იქნება, გვიპოვიან, თუმცა ქარბუქმა ტრასას აგვაცდინა. ჩვენ გვიპოვიან. მაგრამ ვინ იცის? შეიძლება უკვე გვიან იყოს ვანოკანში წასვლა,—ან ცხედრის გადმოსასვენებლად გავფრინდეთ?

ეს იყო ჩემი პირველი „საბრძოლო მონათვლა“ ჩრდილოეთში და მე უეცრად შემეშინდა, რომ ვერაფერს გავბედებოდი და სახლში ცარიელი ხელით დავბრუნდებოდი, ან—ეს უფრო საშინელი იყო—ტუნდრაში მიპოვნიდნენ ძაღლის ლეკვივით უმწეოს, უმწეო თვითმფრინავის გვერდით. როგორ მოვიქცე?

ექიმს დავუძახე და ვთხოვე, ნენცები შეეკრიბა...

ეს იყო დაუვიწყარი კრება, ჩუმში, ცეცხლის გარშემო, ან უფრო სწორედ, ბოლის გარშემო, რომელიც ჩვენ ზემოდან მრგვალ ჭუჭრუტანაში ადიოდა. სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა ჩუმში ამდენი ხალხი დატეულიყო. ჩვენ პატივსაცემად ირემი დაჭკლეს და ნენცები უმ ხორცს შეექცეოდნენ, ხელში დაჭიმულ ხორცის ნაჭრებს გასაოცარი სიმარჯვით ზედ ტუჩებთანა სჭრიდნენ. ცხვირის წვერს როგორ არ ატანდნენ, გასაოცარია!

გულზიზღიანი არა ვარ, მაგრამ მაინც ვცდილობდი არ მეცქირა, როგორ აწობდნენ ამ ნაჭრებს სისხლით სავსე ჯამში და ტუჩების წკლაპუნით პირში უძახებდნენ...

— ცუდია,—ასე დავიწყე ჩემი სიტყვა,—რომ თავს ვიდეთ დაჭრილი კაცის, პატივსაცემი კაცის შველა, და, აი, მეოთხე დღეა თქვენთანა ვსხედვართ, ვერაფერსა ვშველით. გადაუთარგმნეთ, ივან ივანიჩ!

ექიმმა გადაუთარგმნა.

— მაგრამ უფრო ცუდია, რომ ასე დიდი დრო გავიდა და ჩვენ კი ჯერ ისევ შორსა ვართ ვანოკანიდან და ხეირიანად არც ვიცით, საით უნდა გავფრინდეთ—ჩრდილოეთისაკენ თუ სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთით თუ დასავლეთით.

ექიმმა გადაუთარგმნა.

— მაგრამ კიდევ უფრო ცუდია, რომ ჩვენი თვითმფრინავი გატყდა და თქვენს დაუხმარებლად მისი შეკეთება არ შეგვიძლია.

ნენცები ერთად ალაპარაკდნენ, მაგრამ ექიმმა ხელი ასწია და ისინი გაჩუმდნენ. ჯერ დღისითვე შევამჩნიე, რომ ნენცები ექიმს დიდი პატივისცემით ექცეოდნენ.

— უთქვენოდ ძალიან ცუდ დღეში ჩავვარდებოდით,—განვაგრძობდი მე,—უთქვენოდ ჩვენ გავიყინებოდით, უთქვენოდ ამდენ თოვლს ვერ მოვაშორებდით თვითმფრინავს. გადაუთარგმნეთ ივან ივანიჩ!

ექიმმა გადაუთარგმნა.

— მაგრამ კიდევ ერთი თხოვნა მაქვს: ჩვენ ხის ნაჭერი გვესაჭიროება, პატარა, მაგრამ ძალიან მაგარი, ასე ერთი მეტრის სიგრძის ხე. მაშინ ჩვენ შევძლებთ თვითმფრინავის შეკეთებას და გზის გაგრძელებას, რომ საპატიო ადამიანს ვუშველოთ.

ვცდილობდი ისე მელაპარაკა, თითქოს გონებაში ნენცურიდან რუსულად ვთარგმნიდი.

— რასაკვირველია, მესმის, რომ ხე იშვიათი და ძვირფასი რამ არის, მე ამ ერთ მეტრ მაგარ ხეში ძალიან ბევრ ფულს მოგცემდით, მაგრამ მე ფული არა მაქვს. სამაგიეროდ შემიძლია პრიმუსი შემოგთავაზოთ.

ლურიმ—ჩვენ წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებულნი—პრიმუსი გამოიღო და მაღლა ასწია.

— თქვენ. რასაკვირველია, იცით, რა არის პრიმუსი. ეს არის მანქანა, რომელიც ათბობს წყალს, ხარშავს ხორცს და ადუღებს ჩაის. რამდენი დროა საჭირო ცეცხლის დასანთებად? ნახევარი საათი. პრიმუსი კი შეგიძლიათ ერთ წუთში დაანთოთ. პრიმუსზე ნამცხვრების გამოცხობაც შეიძლება და საერთოდ შესანიშნავი ნივთია, ძალიან სასარგებლო ოჯახურ საქმიანობაში.

ლურიმ ნავთი დატუმბა, ასანთი მოუკიდა და ალი უეცრად თითქმის ჭერამდე ავარდა. მაგრამ დაწყევლილი პრიმუსი, თითქოს ჯიბრზე, არა და არ ინთებოდა. ჩვენ ისე დავიჭირეთ თავი, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თითქოს ის უცბად არ უნდა ანთებულიყო. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგანაც მე ეს არის ახლა ვთქვი, რომ იმის ანთებას არაფერი უნდა მეთქი.

— გვაჩუქეთ ერთი მეტრის სიგრძის მაგარი ხე, ჩვენ კი სამაგიეროდ ამ პრიმუსს გაჩუქებთ.

ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ვაითუ ნენცებმა იწყინონ ასეთი მცირე საჩუქარი მეთქი. მაგრამ არა სწყენიათ. ისინი უხმოდ, დინჯად უყურებდნენ პრიმუსს. ლური სულ ტუმბავდა, სანათურა გავარვარდა, ზედ წითელმა ნაპერწკლებმა იწყეს ციმციმი. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ამ წუთში ველურ, შორეულ ტუნდრაში, ნენცების ჩუმში—პრიმუსი მეც კი უცებ რაღაც ცოცხალ, ანთებულ და ხმაურიან სასწაულად მომეჩვენა! ყველანი სდუმდნენ და გულწრფელი პატივისცემით შეჰყურებდნენ.

შემდეგ მოხუცი, რომელსაც პირში გრძელი ჩიბუხი ედო და ქალის თავშალი ეხვია, რაც სულ არ უშლიდა არაჩვეულებრივ ღირსეულად სჭეროდა თავი, წამოდგა და რაღაცა თქვა ნენცურად, მე მომეჩვენა, რომ ეს ერთი გრძელი წინადადება იყო. ექიმს მიმართავდა, მაგრამ მე მიპასუხებდა და აი როგორ გადმოთარგმნა მისი სიტყვა ივან ივანიჩმა:

— ბოლთან ბრძოლის სამი ხერხი არსებობს: საკვამლე ნასვრეტს ქარის მხრიდან ავაფაროთ რამე და ჰაერის მოძრაობა გაძლიერდება. შეიძლება ავწიოთ ნიუკი ანუ ბეწვი, რომელიც კარების მაგივრობას ასრულებს, და შეიძლება კარს ზემოდან მეორე გასავალი გაკეთდეს ბოლის ასასვლელად. მაგრამ სტუმრის მისაღებად ჩვენ მხოლოდ ერთი საშუალება გვაქვს: მიეცეთ ყველაფერი, რასაც კი მოისურვებს. ახლა ირემს შევკვამთ და დავიძინებთ, შემდეგ კი მოვიტანთ ყველაფერს, რაც კი ხისა მოგვეპოვება ჩვენს ჩუმებში, რაც შეეხება ამ შესანიშნავ პრიმუსს, შენ შეგიძლია, რაც გინდა ის უყო.

თავი მეთოთხმეტე

ძველი თითბრის ბარჯი

ის იყო თავფეხიანად შეიკვამა უმი ირემი, რომ ნენცებმა მთელი თავიანთი ხის ნივთები ჩემთან მოზიდეს. ამოჩორკნილი თეფ-

ში, ქვაბის საკიდი კავი, რაღაც საფეიქრო იარაღი—ფიცარი გვერდებზე მრგვალი ნახვრეტებით, მარხილის კავი, თხილამურები.

— არ გამოდგება?

მათ უკვირდათ.

— მაგარი ხე კია, ას წელიწადს გასძლებს.

სკამის ზურგიც კი მოიტანეს, რომელიც, ღმერთმა იცის, როგორ მოხვდა ამ ტუნდრაში. ჩვენმა მომავალმა შტურმანმა ღმერთი მოიტანა—მაუდის ფერადი ნაკუწებით მორთული, წოწოლა-თავიანი ნამდვილი კერპი, რომელსაც იმ ადგილზე, სადაც ადამიანს ჭიპი აქვს, ლურსმანი ჰქონდა ჩარჭობილი.

— არ გამოდგება? მაგრამ მაგარი ხე კი არის, ას წელიწადს გასძლებს.

უნდა გამოგიტყდეთ, შემრცხვა კიდეც ჩემი პრიმუსის გამო. როცა ამ ნენეცმა მკაცრად უბრძანა თავის საწყალ, ნამტირალევ ცოლს რაღაც და თუნუქშემოსალტული სკივრი გამოიტანა, ეკვს გარეშეა, მათი ჩუმის ერთადერთი მორთულობა, მეტად კმაყოფილი მოვიდა ჩემთან და სკივრი თოვლზე დადგა.

— აჰა, სკივრი,—გადმომითარგმნა ექიმმა,—ოთხი მაგარი ფიცარია, მე კომკავშირელი ვარ, არაფერი მინდა. შენი პრიმუსისათვის მიმიფურთხებია.

არ ვიცი, შეიძლება ექიმმა მთლად ზუსტად ვერ გადმომითარგმნა უკანასკნელი წინადადება, ყოველ შემთხვევაში, ეს დიდებული იყო და მე მთელი სულითა და გულით ჩამოვართვი ხელი კომკავშირელს.

ოდესმე გიგრძვნიათ, როგორა ხართ ერთი აზრით გამსჭვალული ისე, რომ უცნაურადაც კი მიგაჩნიათ, თუ ქვეყანაზე კიდევ არსებობს სხვა რამ სურვილები და ფიქრები და უეცრად თითქოს ქარიშხალი შემოიჭრება თქვენს ცხოვრებაში, თქვენ თვალის დახამხამებაში ივიწყებთ იმას, რისკენაც ეს არის მთელი სულითა და გულით მიისწრაფოდით?

სწორედ ეს დამემართა, როდესაც თოვლზე ლატნებს შორის, რომლისაგანაც ჩუმებს აშენებენ, უყურადღებოდ მიგდებული ძველი თითბრის ბარჯი დავინახე.

რასაკვირველია, ყველაფერი არაჩვეულებრივად მოხდა, დაწყებული იმ აბდაუბდისაგან, როდესაც მე პრიმუსის შესახებ ლექციას ვკითხულობდი, ნენეცები კი ძალიან დინჯად მისმენდნენ და ჩვენ შორის როგორც სიზმარში, თითქო გრძელი ნაცრისფერი ბაფთებისაგან გაკეთებული სწორი ბოლის სვეტი იდგა.

უცნაური გეჩვენებოდათ თვითმფრინავის გარშემო დაწყობილი ეს საოჯახო ხის ნივთები. უცნაურად მომეჩვენა ექვსი წლის ნენეცი ჩიბუხით პირში, რომელმაც ბრძანების კილოთი რაღაც უთხრა მოხუცებულ ქალს, რომელმაც ლომთევზის ძვლის ნაჭერი მოგვიტანა.

მაგრამ ყველაზე უცნაური ეს ბარჯი იყო, მგონი მთელ ქვეყანაზე არ მოიპოვებოდა ამაზე უფრო უცნაური ნივთი.

სწორედ ამ დროს ლურიმ კაბინიდან გამოიხედა და დამიძახა. მე რაღაც ვუპასუხე ძალიან შორიდან, იმ შორეული სამყაროდან, რომელშიც უეცრად ამ ნივთმა გადამიტანა.

რა ბარჯი იყო ეს ბარჯი? საიმისო არაფერი! ძველი თითბრის ბარჯი. მაგრამ ამ ძველ, გამწვანებულ თითბერზე სრულიად გარკვევით იყო ამოჭრილი: „ხომალდი „წმ. მარიამი“.

უკან მივიხედე: ლური ისევ იყურებოდა კაბინიდან და ეს, ეტვს გარეშეა, ლური იყო თავისი წვერით, რომლის გამოც ყოველდღე დაეცინოდი, რადგანაც ცნობილი პოლარული მფრინავი ფ-ს მიბაძვით მოიშვა და სულაც არ უხდებოდა მის ახალგაზრდა, მკვირცხლ სახეს.

შორს, განაპირა ჩუმის გვერდით, ნენცებით გარსშემოხვეული ივან ივანიჩი იდგა.

ყველაფერი თავის ადგილზე იყო—სწორედ ისე, როგორც ერთი წუთის წინათ. მაგრამ ჩემს წინ იდო ბარჯი წარწერით „ხომალდი „წმ. მარიამი“.

— ლური,—ვუთხარი სრულიად მშვიდად,—აქ მოდი.

— გამოდგება?—გამომძახა კაბინიდან ლურიმ.

კაბინიდან გადმოხტა, ჩემთან მოვიდა და საგონებელში ჩავარდნილი მიაჩერდა ბარჯს.

— წაიკითხე!

ლურიმ წაიკითხა.

— რომელიღაც გემისა არის,—თქვა მან.—„ხომალდი „წმ. მარიამი“

— შეუძლებელია! შეუძლებელია, ლური!

ბარჯი ავიღე და ბავშვივით დავიჭირე ხელში, ლურიმ ალბათ გაიფიქრა, ჭკუაზე შეიშალაო, რაღაც წაიბუტბუტა და ექიმისაკენ გაიქცა. ექიმი მოვიდა, შეწუხებულმა ოდნავ აკანკალებული ხელები თავში მომკიდა და დიდხანს მიყურა თვალებში.

— ამხანაგებო, ეშმაკმა წაგიღოთ,—გაბრაზებით ვთქვი,—თქვენ

გგონიათ, ჭკუაზე შევიშალე? სრულიადაც არა! ექიმო ეს ბარჯი „წმ. მარიამიდან“ არის.

ექიმმა სათვალე მოიხსნა და ბარჯს გულდასმით სინჯვა დაუწყო.

— ალბათ ჩრდილოეთის მიწაზე იპოვეს ნენცებმა,—განვაგრძობ. დი აღელვებული, ან არა, ჩრდილოეთის მიწაზე კი არა, სადმე სანაპიროზე. ექიმო, თქვენ გესმით, რას ნიშნავს ეს?

ნენცები დიდი ხანია უკვე ჩვენს გარშემო ისეთი გამომეტყველებით იდგნენ, თითქოს უკვე ათასჯერა ჰქონდათ ნახული, როგორ ვუჩვენებდი ექიმს ბარჯს, როგორ ვყვიროდი და ვღელავდი.

ექიმმა იკითხა, ბარჯი ვისიაო, წინ წამოდგა, როგორც ხის სკულპტურაზეა ხოლმე, ისეთი ნაოჭებით ღრმად დაღარული, უმოძრაო სახის მოხუცი ნენეცი და ნენცურად რაღაცა თქვა.

— რას ამბობს, ექიმო, საიდანა აქვს ეს ბარჯი?

— საიდანა გაქვს ეს ბარჯი?—ნენცურად ჰკითხა ექიმმა.

ნენეცმა რაღაც უპასუხა.

— ვიპოვეო, ამბობს.

— სად იპოვა?

— ნავში,—გადმომითარგმნა ექიმმა.

— როგორ თუ ნავში? ნავი სადღა იპოვა?

— ნაპირზე,—კვლავ გადმოთარგმნა ექიმმა.

— რომელ ნაპირზე?

— ტაიმირზე.

— ექიმო, ტაიმირი!—ისეთი ხმით შევყვირე, რომ მან უნებურად ისევ შეწუხებული თვალებით შემომხედა.—ტაიმირი! ყველაზე ახლო სანაპიროა ჩრდილოეთ მიწისა! ნავი სადღაა?

— ნავი არ არის,—გადმომითარგმნა ექიმმა,—ნაწილი არის.

— რა ნაწილი?

— ნავის ნაწილი.

— მაჩვენე!

ლურიმ ექიმი განზე გაიხმო და ისინი რაღაცაზე ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ვიდრე მოხუცი ნავის ნაწილს მოიტანდა, მგონი ლური ვერაფრით ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ მე ჭკუაზე შევიშალე.

ნენეცი რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა და ბრეზენტი მოიტანა, როგორც ჩანს, ტაიმირზე ნაპოვნი ნავი ბრეზენტისა იყო.

— არა ჭყიდის,—გადმოთარგმნა ექიმმა.

— ივან ივანიჩ, ჰკითხეთ ერთი, კიდევ თუ იყო რამე ნივთი ნავში? და თუ იყო, რა ნივთები და სად არის ახლა?

— იყო ნივთები,—გადმოთარგმნა ექიმმა.—არ ვიცი სად წავიდა. დიდი ხნის ამბავია. იქნებ ათი წელიც გავიდა. სანადიროდ მივდიოდი. ვხედავ, მარხილი დგას. მარხილზე ნავია, ნავში კი ნივთები აწყვია. თოფი იყო ცუდი, სროლა არ შეიძლებოდა, ვაზნები არ იყო. თხილამურები ცუდი იყო. კაცი ერთი იყო.

— კაცი?!

— მოიცა ერთი, იქნებ მე შემეშალა.—საჩქაროდ თქვა ექიმმა და ხელმეორედ შეეკითხა ნენცურად.

— დიახ, ერთი კაცი.—გაიმეორა მან.—რა თქმა უნდა, მკვდარი, დათვებს პირისახე მოეჭამათ. ისიც ნავში იწვა. ეს იყო და ეს.

— როგორ ეს იყო და ეს?

— სხვა არაფერი არა ყოფილა.

— ივან ივანიჩ, ჰკითხეთ ერთი. ჯიბეებში ხომ არაფერი ჰქონდა იმ კაცს, ქაღალდები, საბუთები?

— ჰქონდა.

— მერე სად არის?

— სად არის?—ჰკითხა ექიმმა.

ნენეცმა უხმოდ აიჩეჩა მხრები. მგონი თვითონ შეკითხვა მოეჩვენა საკმაოდ სულელური.

— მთელი ნივთებიდან მხოლოდ ბარჯი დარჩა? ხომ რაღაც ეცვა იმ კაცს? ტანისამოსი სად წავიდა?

— ტანისამოსი არ არის.

— როგორ თუ რა არის?

— როგორ და უბრალოდ,—ვაჯავრებით თქვა ექიმმა.—თუ გგონია, საგანგებოდ შეინახავდა ტანსაცმელს იმ ვარაუდით, რომ შენ ათი წლის შემდეგ თვითმფრინავით მოულოდნელად დაეცემოდი თავს?! ათი წელი! ხოლო კიდევ ათი წელი ალბათ მკვდარი იდო ნავში.

— ივან ივანიჩ, ძვირფასო, ნუ ჯავრობთ. ყველაფერი ნათელია! მხოლოდ ეს ამბავი უნდა ჩაიწეროს და თქვენ დამიმოწმებთ, რომ საკუთარი ყურით მოისმინეთ. ჰკითხეთ, რა ჰქვია?

— რა გქვია?—ჰკითხა ნენცურად ექიმმა.

— ვილკა ივანე.

— რამდენი წლისა ხარ?

— ასი წლის,—უპასუხა ნენეცმა.

ჩვენ გავჩუმდით. ლური სიცილით მოკვდა.

— რამდენის?—ხელმეორედ ჰკითხა ექიმმა.

— ასი წლის,—გაიმეორა ნენეცმა.

ექიმმა უმწეოდ მიიხედ-მოიხედა.

— ეშმაკმა იცის, როგორ არის ასი ნენცურად.—წაიბუტბუტა ივან.—შეიძლება მე ვცდები.

— ასი წლისა,—წმინდა რუსულით ჯიუტად გაიმეორა ივანე ვილკამ.

ვიდრე მის ნაამბობს ვიწერდით, სულ იმას იმეორებდა, ასი წლისა ვარო. ალბათ უფრო ნაკლებისა იყო. ყოველ შემთხვევაში შეხედულებით,—მაგრამ, რაც უფრო დიდხანს ვაკვირდებოდი ამ ხის სახეს, ამ არაფრის გამომხატველ გამოხედვას, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი, რომ ის ღრმა მოხუცი იყო. ასი წელი—ეს იყო მისი სიამაყე და ის დაჟინებით იმეორებდა, ვიდრე ოქმში არ ჩავწერეთ: „მონადირე ივანე ვილკა, ასი წლისა“.

თავი მეთხუთმეტე

ვანოკანი

პატიოსნებას ვფიცავ, დღემდე არ ვიცი, სად იშოვეს ნენცებმა ეს ძელის ნაჭერი, რომლისაგანაც განმბრჯენი გაეკეთეთ. ისინი ღამე სადღაც წავიდნენ თხილამურებით,—ალბათ მეზობელ ომთაბარეთა ბინაში და, როდესაც დილით ჩუმიდან გამოვძვერით, სადაც ყველაზე მშფოთვარე ღამე გავატარე ჩემს ცხოვრებაში,—კედარის ხის ეს ნაჭერი შემოსასვლელთან იდო.

დიახ, ეს არც თუ ისე მხიარული ღამე იყო. მხოლოდ ივან ივანიჩს ეძინა ცეცხლთან და ქუდის გაკრული ბოლოები მალიციდან კურდღლის ყურებივით სასაცილოდ გამოშვეროდა. ლური ბორგავდა და ახველებდა. მე არ მეძინა. ნენეცი ქალი აკვანთან იჯდა და დიდხანს ყურში ჩამესმოდა მისი ერთფეროვანი მელოდია, რომელსაც თითქოს უგულოდ, მაგრამ ამავე დროს რაღაც თავდავიწყებით მღეროდა. სულ ერთი და იგივე სიტყვები მეორდებოდა და ბოლოს ისე მეჩვენებოდა, რომ მთელი მისი სიმღერა ამ ორი თუ სამი სიტყვისაგან შესდგებოდა. ბავშვს დიდი ხანია ეძინა, ქალი კი მაინც მღეროდა. პირმრგვალ სახეზე ზოგჯერ შუქი მიადგებოდა ხოლმე, როდესაც ნედლი ტირიფი აპრიალდებოდა, და მაშინ ვხედავდი, რომ თვალდახუჭული მღეროდა. აი იმ სიმღერის სიტყვები დილით ექიმმა გადმომითარგმნა:

ზამთრობით
საცა არ გავიხედე,
ჩემო ბიჭიკო,
ყველგან თეთრია
მინდორი,
ჩემო ბიჭიკო.
შეხედავ ტბას და ყინული ელავს.
ჩემო ბიჭიკო,
შეხედავ მთას და
ქვებს ნახავ მბოლოდ,
ჩემო ბიჭიკო.
ძვირფასი ტუნდრა
თეთრი მინდვრებით,
ჩემო ბიჭიკო,
ფეხშარდო ბიჭო.
რა საყვარელი ყურები გაქვს,
ჩემო ბიჭიკო.
რა საყვარელი თვალები გაქვს,
ჩემო ბიჭიკო.
რა საყვარელი,
რა ფუნჩულა
ცხვირი გაქვს, შვილო.
ჩემო ბიჭიკო,
ზეცას შეხედავ,
ღრუბლები ჰფარავს.
ძვირფასი ტუნდრა.

ის გრძნობა, რომელიც ვალკასთან ლაპარაკის დროს განვიცადე, კვლავ დამიბრუნდა და ისეთი სიძლიერით, რომ მომინდა, ჩუმიდან გავსულიყავი და გამევლო, რომ ეს ნაღელიანი სიმღერა მაინც არ მესმინა, რომელსაც ნენეცი ქალი თვალდახუჭული მღეროდა. მაგრამ მე არ ავმდგარვარ. ის სულ უფრო ნელა და სულ უფრო ჩუმად მღეროდა. ბოლოს გაჩუმდა კიდეც, ჩაეძინა. ჩემს გარდა მთელ ქვეყანას ეძინა და მხოლოდ მე ვიწექი სიბნელეში და ვგრძნობდი, როგორ მიკვნესოდა გული მარტოობისა და წყენისაგან. რაღა საჭიროა ეს, რაც ვიპოვე, როცა ყველაფერი გათავებულია. როდესაც ჩვენ შორის უკვე აღარაფერია და აღარც იქნება და ჩვენ უცხოებივით შევხვდებით ერთმანეთს? ვცდილობდი, ნაღველს მოვრეოდი, მაგრამ არ შემეძლო და, ვიდრე არ დამეძინა, სულ ამას ვცდილობდი.

შუადღისათვის შასი შევაკეთეთ, ძელი გამოვჩარხეთ და განმბრჯენის მაგივრად ჩავუდგით. მეტი სიმტკიცისათვის სამაგრებს თოკი

შემოვახვიეთ. თვითმფრინავს ახლა საცოდავი იერი ჰქონდა, მე და ლური განზე გავდექით და გულგრილი თვალით შევაფასეთ ნამუშევარი.

— ჰა, რას იტყვი?

ლურიმ ზიზღით ჩაიქნია ხელი.

რას იზამ, ისე ვიგულისხმოთ, თითქოს ყველაფერი მშვენივრად არის, წყალი უნდა გავათბოთ. ძრავის გაშვების დროა.

ბიდონებში თოვლს ვყრით და ვტკეპნით, პრიმუსზე ვდგამთ. გულის გამაწვრილებელი საქმეა! ჩვენი პრიმუსი, ეს „შესანიშნავი ჰანქანა, ‚ურომლისოდაც ოჯახი არაფრად არა ღირს“, ცუდად ანთია.

მაგრამ, აი, ყველაფერი რიგზეა, ძრავი გამთბარია, ვიწყებთ გაშვებას. ნენცები ამორტიზატორის ბოლოებს ეწევიან.

— ყურადღება!

— არის ყურადღება!

— ერთი, ორი, სამი—გაუშვი!

ამორტიზატორი სხლტება, ნენცები თოვლზე ცვივიან.

ეს ოთხჯერ მეორდება. ძრავი ხტის, აცემინებს, ორ ათეულ ბრუნს აკეთებს, ჩერდება და ბოლოს მუშაობას იწყებს. დროა გამოვეთხოვოთ! ნენცები თვითმფრინავთან გროვდებიან, მე ხელს მაგრად ვართმევ, მადლობას ვუხდი დახმარებისათვის, ვუსურვებ სწყალობდეთ ბედი ნადირობაში. ისინი იცინიან—კმაყოფილები არიან. ჩვენი შტურმანი მორცხვად იღიმება და თვითმფრინავში ამოდის. არ ვიცი გამომშვიდობებისას რა უთხრა ცოლს, მაგრამ ის ახლა მხიარულად დგას თვითმფრინავთან ნაირფერ მაუდშემოვლებულ განიერ ქამრიან ქურქში, ბეწვის დიდრონ ფარფლებიან კაპორში, რის გამოც მისი სახე სხივმოფენილი გეჩვენებათ.

ეს რაღაც ელარუნებაჩონჩხლილი ნახევარ მეტრის სიმაღლის კაპორი, კაპორს ქვემოდან კი პატარა პირმრგვალი სახე—აი ყველაფერი, რასაც მე გამომშვიდობების დროს ვხედავ.

ჩვეულებისამებრ ხელს მაღლა ვწევ. თითქოს სტარტსა ვთხოვ ნენცებს.

— ნახვამდის, ამხანაგებო!

მივფრინავთ!..

არ გიამბობთ, როგორ ვიფრინეთ ვანოკანამდე, როგორ განმაცვიფრა ჩვენმა შტურმანმა, რომელიც ერთფეროვან თოვლიან ვაკეს გეოგრაფიულ რუკასავით კითხულობდა. ერთ მომთაბარის ბი-

ნასთან მთხოვა, ცოტა ხანს შევჩერებულიყავით, და ძალიან ეწყინა, როცა გაიგო, რომ, სამწუხაროდ, ჰაერში გაჩერება არ მოხერხდებოდა.

არ გიამბობთ, როგორ ვეშვებოდით ვანოკანში. მფრინავ გამომცდელებისათვის უცხო არ არის ეს განსაკუთრებული პროფესიული გრძნობა—გამბედაობისა, პასუხისმგებლობისა და აზარტისა. ბოლოს და ბოლოს ჩვენც ხომ ახალი კონსტრუქციის მანქანით შივფრინავდით, ხის განმბრჯენი—ახალი ამბავი იყო თვითმფრინავთა მშენებლობაში. თვითმფრინავი მგონი დროზე დავსვი მთელი სიმძიმით საღ ფეხზე იმიტომ, რომ ის ჯერ არ გაჩერებულიყო, ლური კი უკვე კაბინიდან გადმოხტა და ცერს მიჩვენებდა.

არც იმას გიამბობთ, როგორ გვხვდებოდნენ ვანოკანში, სამსახლში, როგორ დაიშალა საძოვრები, მეოთხეში კი აკვნიდან ბაკშვი გადმოუვარდათ, და მკურნალობა იქვე მოუხდა ექიმს. რამდენი ორაგული და ნამცხვრები გვაჭამეს, როგორ ჩამოვაყალიბე სამოდელო წრე და როგორ ვასეირნებდი თვითმფრინავით პიონერებს. როგორ მარწმუნებდნენ ვანოკანის მცხოვრებლები, სწორედ იმ დღესა და საათს, როდესაც თქვენ მოფრინდით, კიდევ ერთი თვითმფრინავი დაგვტრიალებდა თავსო, და ბოლოს როგორ მივხვდი, რომ ეს სწორედ ჩვენი თვითმფრინავი იყო, რომელმაც დაშვების წინ სამი წრე შემოხაზა.

მაგრამ არ შეიძლება არ გიამბოთ, როგორ იქცეოდა ივან ივანიჩი ვანოკანში.

ლედკოვი ცუდ მდგომარეობაში დაგვხვდა. მე მრავალჯერ შევხვედრივარ მას კრებებზე და ერთხელ კრასნოიარსკიდან იგარკაშიც კი წავიყვანე. სხვათა შორის, განმაცვიფრა მხატვრული ლიტერატურის ცოდნით! თურმე პედაგოგიური ინსტიტუტი დაემთავრებინა ლენინგრადში და საერთოდ—განათლებული კაცი იყო. წაკითხული ჰქონდა არა მარტო ლევ ტოლსტოი, არამედ ვოლტერიც. ოცდასამ წლამდის მწყემსად ყოფილა ტუნდრაში და ნენცები ტყუილად კი არ ახსენებდნენ სიამაყითა და სიყვარულით.

და ეს მშვენიერი, ჭკვიანი ადამიანი და შესანიშნავი პოლიტიკური მოღვაწე იწვა ვიღაც ძაღლის მიერ დაჭრილი და, როდესაც შევედი, ვერ ვიცანი, ისე გამოცვლილიყო.

არც კი შეიძლება ითქვას, იწვაო. საწოლზე იჯდა და სიმწარისაგან კბილებს აკრაჭუნებდა. ტკივილი უცბად წამოახტუნებდა

ხოლმე, საწოლის ზურგს ხელს ჩასჭიდებდა და უცბად სკამზე გადაჯდებოდა. შემზარავი იყო იმის ყურება, როგორ ისროდა ტკივილები ამ ვეებერთელა ძლიერ სხეულს! ზოგჯერ ტკივილები რამდენიმე წუთით უყუჩდებოდა და მისი სახე მაშინ ადამიანურ გამომეტყველებას იღებდა. მერე კვლავ წამოუვლიდა! ზედა ტუჩს ჩაიკვნეტდა, თვალები—საშინელი თვალები ძალოვანი კაცისა, რომელსაც არ ძალუძს თავის თავს მოერიოს,—უელმდებოდა. უეცრად საღ ფეხზე დგებოდა და კვლავ საწოლზე ეცემოდა. მაგრამ საწოლზედაც ვერ ისვენებდა. სადღაც ნერვების წნულში ჰქონდა მოხვედრილი ტყვია, თუ ჭრილობა დაუჩირქდა ასე მტკივნეულად, არ ვიცი. მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ამაზე შემზარავი სურათი არ მინახავს, მისი ცქერა პირდაპირ საცოდაობა იყო და ამ საცოდაობის შემხედავი, ყველა თავისდაუნებლიეთ იღრიჯებოდა, როდესაც საწოლზე ბორგვას იწყებდა და ტანჯვით ცდილობდა ერთ ადგილზე გაჩერებულიყო. მაგრამ კვლავ მთელ ძალღონეს იკრებდა და სკამზე ჯდებოდა.

ასეთი ავადმყოფის დამნახავს კი ჰქონდა თავგზა ასაბნევი, მაგრამ ივან ივანიჩს თავგზა არ აჰბნევია. პირიქით, უეცრად გაუმაწვილდა, ტუჩები წინ წამოეშვირა და გაბედულ ახალგაზრდა სამხედრო ექიმს დაემსგავსა, რომლისაც ყველას ეშინია. წამში ყველანი გამორეკა ავადმყოფის ოთახიდან, მათ რიცხვში რაიაღმასკომის წარმომადგენელიც, რომელსაც რატომღაც უსათუოდ უნდოდა ლედკოვის გასინჯვას დასწრებოდა. როდესაც ადგილობრივი ექთანი, სათვალიანი მოხუცი ქალი კანკალით წარსდგა მის წინ, ექიმმა ძალიან თავაზიანად ჰკითხა:

— გქონიათ შემთხვევა კანჭის ამპუტაციას დასწრებოდით?

საჩქაროდ გადადგ-გადმოდგა ოთახში მთელი ავეჯი. ზედმეტი მაგიდა გარეთ გაიტანა, ის კი, რომელზედაც ოპერაციის გაკეთებას აპირებდა, ოთახის შუა გულში მოსწია ჭერში ჩამოკიდებულ ლამპის ქვეშ.

ექიმმა მოითხოვა მოეტანათ რაც კი სოფელში ლამპები იყო.— „მხოლოდ არა ბოლავდნენო"—და კედლებზე ჩამოამწკრივა იმგვარად, რომ ოთახი ვანოკანისათვის უჩვეულო შუქით განათდა.

მხოლოდ წარბები აჭიმა და ხმელ-ხმელი ექთანი უკვე გავარდა პირსახოცით ხელში, რომელიც ექიმს მაინცდამაინც სუფთა არ ეჩვენა, და მე გავიგონე, როგორ უთხრა სამზარეულოში ისეთივე

ოდნავ გაჯავრებული,—თავაზიანი კილოთი, როგორც ექიმებსა სჩვევიათ.

— რას მიპირებთ, ჩემო კარგებო, სამარეში გინდათ ჩამიყვანოთ?

მაგრამ მისი სამარეში ჩაყვანა არავის უნდოდა. ყველანი ფეხის ფრჩხილებზე დარბოდნენ და ექიმს მესამე პირში ახსენებდნენ—„ისო". ექიმი განკარგულებებს იძლეოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად, თუმცა ზრდილობიანად და თან ნახევარ საათზე მეტი ხელები საპნითა და ჯაგრისით იხეხა. მერე ხელების შეუმშრალებლად ავადმყოფის ოთახში შევიდა, გაბოტილი და ხელებგაფარჩხული გაჩერდა და კრიტიკულად მოავლო თვალი იქაურობას. შემდეგ კარები დაიხურა და ვანოკანისათვის გასაკვირველი სურათი თვალისმომჭრელი ოთახისა, თვალისმომჭრელ თეთრ მაგიდაზე მწოლიარე ავადმყოფით და გაქათქათებულ თეთრ ხალათებში ჩაცმული ადამიანებით, გაჰქრა.

ასე იქცეოდა ჩვენი ივან ივანიჩი ვანოკანში. ორმოცი წუთის შემდეგ საოპერაციო ოთახიდან გამოვიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა, რადგანაც ხალათის გახდის დროს ლათინურად რაღაც მითხრა და მერე კოზმა პრუტკოვიდან დააყოლა.

„თუ გინდა ბედნიერი იყო—იყავ ბედნიერი!"

დილით ადრე ვანოკანიდან გამოვფრინდით და სამ საათნახევრის შემდეგ დაუბრკოლებლად ზაპოლარიეში დავეშვით.

ამ შემთხვევის, ესე იგი ბრწყინვალე ოპერაციის, რომლის გაკეთებაც მოახერხა ექიმმა იმ ძნელ პირობებში, და საერთოდ ჩვენი გაფრენის შესახებ შენიშვნა იყო მოთავსებული „იზვესტიაში" და შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: „ავადმყოფი სწრაფად ჯანმრთელდება", და მართლაც ავადმყოფი ძალიან მალე გამოკეთდა.

ნენცების ნაციონალური ოლქისაგან მე და ლურიმ მადლობა მივიღეთ, ექიმმა კი—საპატიო სიგელი.

ძველი თითბრის ბარჯი ახლა ჩემს ოთახში კედელზე მეკიდა დიდი რუკის გვერდით, რომელზედაც „წმ. მარიამის" დრეიფი იყო დატანილი.

ივნისის დასაწყისში მოსკოვს წავედი. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა დრო მქონდა, მხოლოდ ათი დღით გამიშვეს და ამ ათ დღეში მე არა მარტო ჩემი პირადი საქმეები, ჩემი კაპიტანის პირადი და საზოგადოებრივი საქმეებიც უნდა მომეწესრიგებინა.

ბევრი ვიფიქრე გზაში—ჩემ თავზე და ჩემსა და კატიას დამოკიდებულებაზე, კვლავ მისი მამის ისტორია ამ ფიქრებზე მაღლა დადგა, თითქოს განსაკუთრებულ ყურადღებას და პატივისცემას მოითხოვდა. ნებსით თუ უნებლიეთ მე ვხვდებოდი მას ჩემი ცხოვრების ყოველ წრეზე და საბოლოოდ მისი ცხოვრების ნამსხვრევებიდან, რომლებიც მე შევკრიბე, გამართული სურათი მივიღე. ძველი თითბრის ბარჯი უკანასკნელი ლოღიკური შტრიხი იყო დასაბუთებათა ამ სურათში. ყველაზე რთული საკითხი ამ ნაპოვნით გადაწყდა.

მართლაც, შტურმანის დღიური რომ წავიკითხე, ჩემს თავს ვეკითხებოდი: „გავიგებ კი ოდესმე, რა დაემართა კაპიტან ტატარინოვს? დასტოვა გემი, რომ მის მიერ აღმოჩენილი მიწა შეესწავლა, თუ შიმშილისაგან დაიღუპა თავის ხალხთან ერთად და მცურავ ყინულებს წლობით მიჰქონდათ ხომალდი გრენლანდიის ნაპირებისაკენ?

— დიახ,—შემეძლო ახლა მეპასუხა.—მან დასტოვა გემი. ჩვენ არ ვიცით, რა პირობებში მოხდა ეს—დაიღუპა ექსპედიციის ნაწილი თუ ხომალდი ყინულებმა დაამსხვრია. მაგრამ მან სისრულეში მოიყვანა თავისი „ბავშვური, არაგონივრული“ აზრი.

ჩემს თავს ვეკითხებოდი: „მიაღწია კი ჩრდილოეთის მიწას?“

— დიახ,—შემეძლო ახლა მეპასუხა,—მან მიაღწია ჩრდილოეთის მიწას. სხვაგვარად საიდან გაჩნდებოდა სანაპიროზე ის მარხილი ბრეზენტის ნავით, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მონადირე ივანე ვილკამ იპოვა?

ვეკითხებოდი ჩემს თავს: „სად უნდა მოიძებნოს ექსპედიციის კვალი და ღირს კი მისი ძიება?

— დიახ,—შემეძლო ახლა მეპასუხა.—ღირს მისი ძიება, რადგან, თუ ლოღიკურად ვიმსჯელებთ, ნახევარი გრადუსის სიზუსტით შეიძლება განვსაზღვროთ ამ ძიების რაიონი. ამ ამოცანის მეცნიერული მნიშვნელობა კი ეჭვს არ იწვევს.

ეს ისეთი საუბარი იყო, როგორც სასამართლოში არის ხოლმე,—მხოლოდ კითხვები და პასუხები, მაგრამ მშრალი, ცივი სიტყვების იქით მე სულ სხვა სიტყვები მეჩვენებოდა. მე ვხედავდი კატიას, ურომლისობასაც ისე ვნაღვლობდი.

— დაგავიწყდი? ეგ მართალია?

— არა,—მიპასუხა მან.—მაგრამ ის ცხოვრება, როდესაც ჩვენ ჩვიდმეტი წლისანი ვიყავით, გათავდა, შენ კი სადღაც გადაიკარ-

ვე და მე ვფიქრობდი, რომ იმ ცხოვრებასთან ერთად ჩვენი სიყვარულიც გაქრა.

— სულაც არ გამქრალა,—ასე ვეტყვი მე.—ახლა მე ქვეყნად შენზე და ყველაზე მეტი ვიცი მამაშენის შესახებ. ნახე, რა ჩამოგიტანე,—აქ არის მთელი მისი ცხოვრება. მე შევკრიბე მისი ცხოვრება და დავამტკიცე, რომ ეს დიდი ადამიანის ცხოვრება იყო. იცი, რამ გამაკეთებინა ეს? შენმა სიყვარულმა.

მაშინ ის მკითხავს:

— მაშ არ დაგვიწყებივარ? ეგ მართალია?

და მე ვუპასუხებ:

— მაშინაც კი არ დაგივიწყებდი, შენ რომ აღარა გყვარებოდი.

ეს მშვენიერი საუბარი იყო, რომელიც გზაში მოვიფიქრე და არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის სულ არა ჰგავდა იმ საუბარს, რომელიც მალე ჩემსა და კატიას შორის მოხდა. ის ჰგავდა და არცა ჰგავდა, როგორც სიზმარი ჰგავს და არცა ჰგავს სინამდვილეს.

ნაწილი მეხუთე

გულისათვის

თავი პირველი

კატიასთან შეხვედრა

ათი დღე—არც ისე დიდი დროა, რომ ერთი ქორწილი ჩაშალო და მეორე გაჩარხო. მით უმეტეს, რომ მოსკოვში ბევრი სხვა საქმეებიც მქონდა: გეოგრაფიულ საზოგადოებაში ვაპირებდი მოხსენების წაკითხვას „ერთი დავიწყებული პოლარული ექსპედიციის შესახებ“ და, მიუხედავად ამისა, მოხსენება ჯერ არა მქონდა დაწერილი. საკითხი უნდა დამესვა ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში „წმ. მარიამის“ ძიების შესახებ.

ზოგიერთი საქმეები ვალიამ მოამზადა: მაგალითად, გეოგრაფიულ საზოგადოებას შეუთანხმა ჩემი მოხსენება, მაგრამ მისი დაწერა, რასაკვირველია, ვალიას არ შეეძლო.

ჯერ კორაბლიოვთან ვაპირებდი გაჩერებას, მაგრამ მერე გადავიფიქრე და სასტუმროში წავედი, სწორედ იმ სასტუმროში, რომელშიც ორი წლის წინათ გავჩერდი ბალაშოვიდან რომ გამოვიარე. ეს შეცდომა იყო, რადგან, რაგინდ საკვირველი არ იყოს მოხეტიალე კაცისთვის, სასტუმროები არ მიყვარს. სასტუმროში ყოველთვის ნაღვლიან გუნებაზე ვდგები. კატიას დავურეკე, ის ტელეფონთან მოვიდა.

— გისმენთ.

— სანია გელაპარაკები.

ის გაჩუმდა. მერე სავსებით აუღელვებელი ხმით მკითხა.

— სანია?

— ჰო, მე ვარ.

ის კვლავ გაჩუმდა.

— დიდი ხნით ჩამოხვედით მოსკოვში?

— არა, რამდენიმე დღით,—ვუპასუხე და მეც ვცდილობდი აუღელვებელი ხმით მელაპარაკა, თითქოს ახლაც სწორედ იმ ყურებშეუკვრელ ქუდით და თოვლისაგან დასველებულ პალტოში ვხედავდი, რომელშიც ტრიუმფალურზე ვნახე უკანასკნელად.

— შვებულებაში ჩამოხვედი?

— შვებულებაშიც და საქმეზეც.

ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მეთქვა: „გავიგე, რომ ხშირად ხვდები რომაშოვს". მაგრამ თავი შევიკავე და არა ეკითხე.

— სანია როგორაა?—უეცრად იკითხა ჩემმა.—ჩვენ მიწერ-მოწერა გვქონდა, მერე კი შევწყვიტეთ.

ჩვენ სანიაზე დავიწყეთ ლაპარაკი და კატიამ მითხრა, რომ ამ დღეებში მოსკოვში ლენინგრადის ერთ-ერთი თეატრი იყო ჩამოსული, გორკის „დედა" მიდიოდა და პროგრამაში აღნიშნული იყო „მხატვარი – პ. სკოვოროდნიკოვი".

— მართლა?

— ძალიან კარგი დეკორაციები იყო. გაბედული და თანაც სადა.

მომეჩვენა, თითქოს რამდენიმეჯერ განგებ არ მომმართა სახელით, ერთხელ კი, როცა სახელით მომმართა, ხმას დაუწია, თითქოს არ უნდოდა შინ სცოდნოდათ, ვის ელაპარაკებოდა. „შენ" ერთხელაც არ მითხრა—და ჩვენ ვლაპარაკობდით რაღაც ჩვეულებრივი ხმით, ვიდრე შიშმა არ მომიცვა, რომ ყველაფერი ასე გათავდება. ესე იგი, ჩვენ ვილაპარაკებთ სხვათა შორის და გავშორდებით. მერე საბაბიც არ მექნება, რომ მეორედ დავურეკო-მეთქი.

— კატია, ჩვენ უნდა შევხვდეთ, როდის შეგიძლია?

მე ვუთხარი „როდის შეგიძლია"-მეთქი? და უცბად აშკარა გახდა, რომ სისულელე იქნებოდა მასთან თქვენობით დამეწყო ლაპარაკი.

— სწორედ ამ საღამოს თავისუფალი ვარ.

— საათის ცხრაზე?

მე ველოდი, რომ მეტყოდა, ჩემთან მოდიო,—მაგრამ არ მითხრა და ჩვენ შევთანხმდით ერთმანეთს შევხვედროდით—მაგრამ სად?

— ტრიუმფალურზე, ბაღში?

— ის ბაღი ახლა აღარ არის,—ცივად მიპასუხა მან.

შევთანხმდით, რომ დიდი თეატრის სვეტებთან შევხვდებოდით.

აი ყველაფერი, რაც ტელეფონით ვილაპარაკეთ. სულ არ იყო საჭირო ყოველი სიტყვის აწონ-დაწონა, რასაც მე ვაკეთებდი მოსკოვში პირველ დღეს, რომელიც ისე გაჭიანურდა.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოში წავედი. მერე ვალიასთან ზოოინსტიტუტში. ალბათ, შემატყო, რომ დაბნეული ვიყავი, რადგან ვალიამ რამდენჯერმე გამიმეორა, ხვალ კორაბლიოვის პედაგოგიური მოღვაწეობის ოცდახუთი წლის იუბილეა და სკოლაში საზეიმო სხდომა იქნებაო.

როგორც იქნა, საღამოს მეცხრე საათზე დიდი თეატრისაკენ გავწიე...

ეს წინანდელი კატია იყო, თავზე შემოხვეული ხაწნავებით, შუბლზე ჩამოშლილი ხვეულებით, რომლებიც ყოველთვის მაგონდებოდა, როცა მასზე ვფიქრობდი. ფერი დაჰკარგოდა, ტანი აეყარა და, რასაკვირველია, ახლა ის გოგონა აღარ იყო, რომელმაც ოდესღაც ტრიუმფალურზე ბაღში მაკოცა. იგი ახლა თავდაჭერილი ჩანდა, ლაპარაკითაც თავდაჭერილად ლაპარაკობდა, მაგრამ მაინც კატია იყო. და სულაც ისე არ დამსგავსებოდა მარია ვასილევნას, როგორც მე. რატომღაც მეშინოდა ამისი. პირიქით, კატიას ყველა ნაკვთი როგორღაც უფრო გამოჭკვეთოდა და ახლა უფრო მეტად ჰგავდა თავის თავს, ვიდრე წინათ. მოკლესახელოებიანი თეთრი აბრეშუმის ზედატანი ეცვა. გულზე თეთრწინწკლებიანი ლურჯი ბაფთი ჰქონდა დაბნეული და ყოველთვის სასტიკ გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე, როცა კი დავაპირებდი ლაპარაკის დროს მისთვის სახეში შემეხედა.

თითქოს სხვადასხვა ოთახში ვიყავით და კედლის იქიდან ველაპარაკებოდით ერთმანეთს, თითქოს მხოლოდ ზოგჯერ ოდნავ გაიღებოდა კარები და კატია გამოიხედავდა ხოლმე, რათა ენახა, ეს მართლა მე ვიყავი თუ სხვა ვინმე. ჩვენ დავხეტიალებდით მოსკოვში ამ სევდიან დღეს. მე ლაპარაკით ვერა ვძღებოდი. არ მახსოვს, ოდესმე თუ მილაპარაკნია ამდენი. მაგრამ ყველაფერი

ეს ძალიან შორს იყო იმისგან, რის თქმაც მინდოდა. მე ვუამბე, როგორ შევადგინე „შტურმანის ანბანი“ და რა შრომა დასჭირდა იმ დღიურების წაკითხვას, ვუამბე, რა პირობებში ვიპოვე ძველი თითბრის ბარჯი წარწერით: ხომალდი „წმ. მარიამი“.

მაგრამ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი, თუ რისთვის ვაკეთებდი ყველაფერ ამას. არც ერთი სიტყვა. თითქოს ეს ამბავი დიდი ხანია მოკვდა და არ იყო სავსე წყენით, სიყვარულით, მარია ვასილევნას სიკვდილით, რომაშკაზე ეკვიანობით, მთელი მღელვარე სისხლით, რომელიც ჩემში და კატიაში სჩქეფდა...

იმ წელს მოსკოვში მეტროს მშენებლობა იწყებოდა და ყველა ნაცნობ ადგილებში ქუჩებში სიგანეზე ფიცრის ღობეები იყო გავლებული. ამ ღობეებს უნდა გაჰყოლოდი ფიცრებით, რომლებიც ფეხქვეშ იზნიქებოდა და ისევ უკან უნდა დაბრუნებულიყავი, რადგანაც ღობის ბოლოს ორმო დაგხვდებოდა, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ არ იყო და რომლიდანაც ახლა ადამიანის ხმები და მიწისქვეშა მუშაობის ხმაურობა მოისმოდა.

ჩვენი ლაპარაკიც ასეთი იყო—გარშემო მოვლა, დაბრუნება და ღობეები ბავშვობის ყველაზე ნაცნობ ადგილებში, ერთთავად ამ ღობეებს ვაწყდებოდით, მეტადრე მაშინ, როცა იმ საშიშ ადგილს ვუახლოვდებოდით, რომელსაც „ნიკოლაი ანტონიჩი“ ერქვა.

მე ვკითხე, მიიღე თუ არა ჩემი წერილები—ერთი ლენინგრადიდან, მეორე—ბალაშოვიდან, და როცა მითხრა არაო, მე სიტყვა გადავუკარი—სხვა ვინმეს ხომ არ ჩაუვარდა მეთქი ხელში.

— ჩვენ სახლში სხვა ვინმე არ არსებობს,—მკვახედ მიპასუხა.

თეატრალურ მოედანზე დავბრუნდით. უკვე გვიანი საღამო იყო, მაგრამ ფარდულებში ჯერ ისევ იყიდებოდა ყვავილები, ზაპოლარიის შემდეგ უცნაურად მეჩვენა ირგვლივ ამდენი ხალხი, ავტომობილები, სახლები და ელნათურები, რომლებიც აქეთ-იქით ირხეოდნენ.

ჩვენ სკამზე ვისხედით, კატიას ხელზე დაენდო თავი და ისე მისმენდა. მე მომაგონდა, რა დიდხანს წვალობდა ხოლმე, რომ მოხერხებულად დამჯდარიყო მოსასმენად. ახლა მივხვდი, რა ცვლილება მომხდარიყო მასში—თვალები ახლა სევდიანი ჰქონდა.

ეს იყო ერთადერთი ტკბილი წუთი. მერე ვკითხე ბაღში, ტრიუმფალურზე ჩვენი უკანასკნელი საუბარი თუ გახსოვს-მეთქი. პასუხი არ გამცა. ეს ყველაზე საშინელი პასუხი იყო ჩემთვის, ძველი პასუხი: „ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ“.

შესაძლოა, მის თვალებში რომ კარგად ჩამეხედა, ბევრი რამ გამეგო. მაგრამ იგი გვერდზე იყურებოდა და მე თავი დავანებე.

მხოლოდ იმას ვგრძნობდი, რომ, რაც დრო გადიოდა, ის სულ უფრო ცივად იჭერდა თავს. თავი დამიქნია, როდესაც ვუთხარი:

— მე შენ ყოველთვის გაგაგებინებ საქმის ვითარებას.

და ზრდილობიანად გადამიხადა მადლობა, როდესაც მოხსენებაზე დავპატიჟე.

— გმადლობ, უსათუოდ მოვალ.

— ძალიან მოხარული ვიქნები.

ჩვენ გავჩუმდით.

— სანია, მინდოდა შენთვის მეთქვა, რომ პირდაპირ მაღელვებს შენი დამოკიდებულება... მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ დიდი ხანია უკვე დაივიწყე ის ამბავი.

— არ დამვიწყებია, როგორცა ხედავ!

— ხომ არაფერი გექნება საწინააღმდეგო, რომ ჩვენი საუბარი ნიკოლაი ანტონიჩს გადავცე.

— პირიქით! ნიკოლაი ანტონიჩისათვის საინტერესო იქნება იმის გაგება, რაც მე ვიპოვე. ისინი ხომ უფრო მეტად შეეხებიან მას, უფრო მეტად, ვიდრე შეუძლია წარმოიდგინოს.

ის ყველაფერი სულაც იმდენად არ ეხებოდა და მეც არავითარი საფუძველი არა მქონდა ასეთი გადაკრული თქმისათვის, რომელიც ამ სიტყვებში ჩავაქსოვე. მაგრამ ძალიან გაბრაზებული ვიყავი.

კატიამ ყურადღებით შემომხედა და ცოტა ხანს დაფიქრდა. მგონი კიდევ რაღაც უნდოდა ეკითხა, მაგრამ ვერ გაბედა. ჩვენ ერთმანეთს გამოვეთხოვეთ. მე წავედი გუნებაამღვრეული გაბრაზებული, დაღლილი და სასტუმროში რომ მივედი, პირველად ჩემ სიცოცხლეში თავი ამტკივდა.

თავი მეორე

კორაბლიოვის იუბილე

ძალიან უცნაური იყო საშუალო სკოლის მასწავლებლის იუბილეს დანიშვნა არდადეგებზე, როდესაც მოსწავლეები წასულები არიან. ვუთხარი კიდეც ვალიას, ალბათ არავინ მოვა-მეთქი.

წარმოგიდგენიათ! სკოლა სავსე იყო, ბალღები არყის ხის და ნეკერჩხლის ტოტებით კიბესა რთავდნენ. გასახდელი ოთახის ია-

ტაკზე ტოტები იყო დაგროვილი და უზარმაზარი რიცხვი „25“ დარბაზის შესავლის ზემოდან ქანაობდა, სადაც საზეიმო სხდომა იყო დანიშნული. გოგონები გირლანდებს სადღაც მიაპროწიალებდნენ, ყველა სერიოზულად და საქმიანად გამოიყურებოდა და უეცრად სიხარულმა ამიტაცა ამ სირბილისა, მღელვარებისა და განსაკუთრებით იმის გამო, რომ ჩემს მშობლიურ სკოლაში დავბრუნდი.

მაგრამ არ დამაცადეს დიდხანს გავყოლოდი ამ მოგონებებს. ფორმაში ვიყავი და ბავშვები თვალის დახამხამებაზე შემომეხვიენენ. ოღონდაც! მფრინავი! კითხვებზე პასუხის გაცემას ვერ ვასწრებდი.

ჩემთან უფროსკლასელი გოგონა მოვიდა, რომელმაც დეიდა ვარია მომაგონა – ჩვენი „სამეურნეო კომისია“, ისეთივე მსუქანი და ღაჟღაჟა იყო. გაწითლდა და მითხრა, ივან პავლიჩი გიცდითო.

ივან პავლიჩი სამასწავლებლოში იჯდა, დაბერებული, ოდნავ ბეჭებში მოხრილი, ჭაღარა—უკვე ჭაღარა, ახლა მარკ ტვენს დამსგავსებოდა. რასაკვირველია მოხუცებულიყო, მაგრამ თითქოს უფრო ჭარმაგად გამოიყურებოდა მას შემდეგ, რაც ჩვენ უკანასკნელადა ვნახეთ ერთმანეთი. ულვაშიც თუმცა შეჭაღარავებოდა, მაგრამ უფრო გაჰბუებოდა, მხნედ ჰქონდა ზემოთ აწკეპილი და ხალვათი რბილი საყელოდან სქელი, წითელი კისერი უჩანდა.

— ივან პავლიჩ, ძვირფასო, გილოცავთ! – ვუთხარი მე. ერთმანეთს გადავეხვიეთ და რამდენჯერმე გადავკოცნეთ.—გილოცავთ, გილოცავთ, -ვეუბნებოდი და თან ვკოცნიდი.—გისურვებთ, რომ ყველა თქვენი მოსწავლე ჩემსავით მადლიერი იყოს თქვენი.

— გმადლობ, სანიჩკა.

და ერთხელ კიდევ მაგრად გადამეხვია. ძალიან აღელვებული იყო და ტუჩები ოდნავ უთრთოდა.

ერთი საათის შემდეგ ესტრადაზე იჯდა, სწორედ იმ დარბაზში, სადაც ერთხელ ევგენი ონეგინი გავასამართლეთ. ჩვენ კი, როგორც პატივცემული სტუმრები, იუბილარს აქეთ-იქით ვუსხედით პრეზიდიუმში. ჩვენ, – ვალია, რომელსაც ასეთი საზეიმო დღისათვის ხასხასა მწვანე ყელსახვევი გაეკეთებინა, ინჟინერ-მშენებელი ტანია ველიჩკო, რომელიც ისე გამაღლებულიყო და გასუქებულიყო, რომ ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს სწორედ ის ყველაზე ტანწვრილი პრინციპული ტანიაა, და კიდევ ივან პავლიჩის

რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც ჩვენ დროს პატარები იყვნენ და ჩვენ მარაქაში არა ვრეოდით. ამ თაობაში ბევრი კურსანტი იყო და მე სიამოვნებით ვიცანი სამი მათგანი—ჩემი პიონერული რაზმიდან.

შემდეგ მოვიდა მშვენიერი, თეთრგეტრებიანი, სქელ ნაქსოვ ჟილეტში გამოწყობილი მოსკოვის დრამატიული თეატრის არტისტი გრიშკა ფაბერი. აი, ვინ არ გამოცვლილიყო ოდნავადაც კი. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, ყველაფერი, რაც ამ დარბაზში ხდება, მხოლოდ მას შეეხებაო. მოხდენილად ორივე ლოყაში აკოცა იუბილარს, დაჯდა და ფეხი ფეხზე შემოიდო. ერთბაშად დიდი ადგილი დაიჭირა პრეზიდიუმში, თითქოს მისი იუბილე იყო და არა კორაბლიოვისა. დანისლული თვალებით დამსწრეთ გადახედა, მერე სავარცხელი ამოიღო და თმა გადაივარცხნა. მე მივწერე: „გრიშკა, ბედასლო, გამარჯობა!“ მან წაიკითხა, შემწყალედ გაიღიმა და ხელი დამიქნია.

ჩინებული საღამო იყო, იმიტომ რომ, ვინც კი გამოვიდა, ყველამ სრული სიმართლე ილაპარაკა. ეჭვს გარეშეა, არავინ არა სტყუოდა, რადგან კორაბლიოვზე ძნელი არ იყო სიმართლის ლაპარაკი,—ის ხომ ამის მეტს არაფერს მოითხოვდა თავის მოსწავლეთაგან.

მეც ვისურვებდი, რომ ოცდახუთი წლის მუშაობის შემდეგ ჩემზედაც ასე ელაპარაკათ, როგორც ივან პავლიჩზე ლაპარაკობდნენ ამ საღამოს.

გამოვიდნენ მშობელთა სახელით, ათას ცხრაასა ოცდათერთმეტი წლის კურსდამთავრებულთა სახელით, ავეჯის ქარხნის სახელით რაისაბჭოდან, განათლების განყოფილების სახელით. ყველანი ერთიმეორეზე უფრო დიდი ყვავილების კალათებით. მაგრამ აი, თავმჯდომარემ გამოაცხადა: „ახლა გამოვა აქტიორთა სახელით ჩვენი სკოლის კედლებიდან გამოსული გრიგოლ ისრაელის ძე ფაბერიო“—და ორმა ჯანღონით სავსე ბიჭმა ისეთი კალათი შემოიტანა, რომ ყველამ პირი დააღო, რიგებში ჩურჩული ატყდა.

გრიშკა წამოდგა. როგორც ყოველთვის, მშვენივრად ლაპარაკობდა, მხოლოდ მეტისმეტად ყვიროდა და გამიკვირდა, რატომ თეატრში ვერ ასწავლეს ცოტა ჩუმად ლაპარაკი-მეთქი. ივან პავლიჩს უწოდა „ცხოვრების მასწავლებელი ხელოვნებაში“ და დაუმატა, რომ პირადად ჩემთვის ამან უდიდესი როლი ითამაშაო. მერე ისევ გადაჰკოცნა კორაბლიოვი და, დიდად კმაყოფილი თავისი თავით, დაჯდა.

ესტრადას ემატებოდა და ემატებოდა ყვავილები, ივან პავლიჩი გაწითლებული იჯდა და დროდადრო დაბნეულად ულვაშებს ისწორებდა. მგონი ერიდებოდა, რომ ასე ბედნიერად გრძნობდა თავს. ქების დროს ტანჯული თვალებით იყურებოდა.

მერე ლეიტენანტი გამოვიდა, რომელიც ჩვენ დროს მეხუთე კლასში თუ იქნებოდა. მან განაცხადა, რომ, რაკი ამხანაგი ფაბერი მსახიობების სახელით ლაპარაკობს, მეც თავს ნებას მივცემ. მისალმება წარმოვთქვა ამ სკოლის კედლებიდან გამოსულ მუშურ-გლეხური წითელი არმიის კურსანტებისა და მეთაურების სახელითაო.

— ძვირფასო ივან პავლიჩ,—დავიწყე მე, როდესაც თავმჯდომარემ სიტყვა მომცა,—ახლა ნება მიბოძეთ, მფრინავების სახელით მოგმართოთ, რადგანაც თქვენი მოსწავლეები ცოტანი როდი დაჰფრენენ თავს ჩვენს დიად სამშობლოს, და ყველა ისინი, ეჭვს გარეშეა, შეუერთდებიან ჩემ ყოველ სიტყვას. ამბობენ, მწერლები—ადამიანთა სულის ინჟინრები არიანო. მაგრამ თქვენც ადამიანთა სულის ინჟინერი ბრძანდებით. ერთხელ, მაგალითად, დილით ადრე გამომეღვიძა და შევნიშნე, რომ ჩემი მეზობელი თვალს ვერ აშორებს ჰერს და ისეა ამით გართული, რომ პასუხსაც კი არ მაძლევს კითხვებზე. მის მზერას თვალი გავაყოლე და დავინახე, რომ ჰერზე ათშაურიანის ოდენა შავი წრე იყო მოხაზული. ეს მეორე დღესაც განმეორდა. ორი თვე ჩემი მეზობელი ყოველ დილით ამ შავ წრეს უყურებდა. როგორა ფიქრობთ, რად აკეთებდა ამას? რასაკვირველია თვითონ შეუძლია გიპასუხოთ ამ კითხვაზე, რადგან ამჟამად იგი ამ მაგიდასთან, ჩემს გვერდით ზის.—ვალიას მორიდებით გაეცინა, მას მიჰყვა პრეზიდიუმი და მთელი დარბაზი.—მაგრამ რაც იყოს, იყოს—ვიტყვი მის მაგივრად: იგი შეხედვის ძალას ანვითარებდა. ვისმა შეხედვამ გააოცა? ივან პავლიჩ კორაბლიოვის ცნობილმა შეხედვამ. ძვირფასო ივან პავლიჩ, ახლა შემიძლია გულახდილად გამოგიტყდეთ: ჩვენ თვალს ვერ გისწორებდით. ზოგჯერ რაღაცას დააშავებ და ის არის მოემზადები ტყუილის სათქმელად, მაგრამ თქვენ შეგხვდებით ან მოგვაგონდებით და უნებლიეთ მართალი უნდა თქვა. ჩემის აზრით, ეს არის სწორედ მთავარი, რაც სკოლამ უნდა გვასწავლოს.

სიტყვა გავათავე და ივან პავლიჩისაკენ წავედი საკოცნელად. მეორე მხრიდან ვალია წამოვიდა და ჩვენ შუბლებით დავეჯახეთ ერთმანეთს.

აქამდის კანტიკუნტად მიკრავდნენ ტაშს, მაგრამ დაეეჯახეთ თუ არა ერთმანეთს, გამაყრუებელმა ტაშმა იგრიალა.

ჩემ შემდეგ ტანია ველიჩკო გამოვიდა, მაგრამ მე უკვე ყური აღარ მიგდია მისთვის, რადგანაც ნიკოლაი ანტონიჩი მოვიდა.

ის დარბაზში შემოვიდა—მსუქანი, დარბაისელი, თავი ამაყად ეჭირა, ფართო შარვალი ეცვა. ოდნავ წინ წაიხარა და პრეზიდიუმისაკენ გამოემართა. მე დავინახე ჩვენი საწყალი მოხუცი სერაფიმა, სწორედ ის სერაფიმა, რომელიც ოდესღაც კომპლექსური მეთოდით „იხვს“ გვასწავლიდა, როგორ მოექცა წინ ნიკოლაი ანტონიჩს, რომ მისთვის გზა გაეკვლია—ის კი ისე მიდიოდა, რომ არც სერაფიმას უყურებდა და არც იღიმებოდა.

მე აღარ მინახავს იმ უმსგავსი სცენის შემდეგ, როდესაც მიყვიროდა და ხელებს იმტვრევდა, ხოლო მერე მომაფურთხა კიდეც, და, ჩემი აზრით, მას შემდეგ საგრძნობლად გამოცვლილიყო. მას უკან ვიღაც კაცი მოსდევდა. ისიც საკმაოდ მსუქანი, ისიც ოდნავ წინწახრილი და გაუღიმარი.

ალბათ, ვერასოდეს ვერ მივხვდებოდი ვინ იყო, ამ დროს ვალიას რომ არ წაეჩურჩულა: „აი რომაშკაც“.

როგორ, ეს რომაშკაა? ასე თმადავარცხნილი, დარბაისელი, თეთრი, წესიერი სახისა. ჩინებულ ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი? სადღაა კატის ყვითელი ბანჯგვლები? სად გაჰქრა მრგვალი თვალები—ბუს თვალები—რომელთაც ღამე ვერა ხუჭავდა?

ყველაფერი ლაზათიანი, შეძლებისდაგვარად შელამაზებულ-შერბილებული ჰქონდა და დიდი კვადრატული ნიკაპიც კი ახლა უკვე ისეთი კვადრატული აღარ უჩანდა, სიმსუქნისაგან ისიც დამრგვალებოდა. ნიკაპსაც არა უჭირდა რა. თვითონვე რომ შესძლებოდა, თავისი სურვილით ახალი პირისახე გამოეძერწა, მგონი უკეთესს ვერ მოახერხებდა. შესაძლოა, უცხო ადამიანზე ახლა სასიამოვნო შთაბეჭდილებაც კი მოეხდინა.

ნიკოლაი ანტონიჩი პრეზიდიუმში ამოვიდა, ისიც თან ამოჰყვა. რასაც ნიკოლაი ანტონიჩი აკეთებდა, რომაშკაც იმასვე იმეორებდა. ნიკოლაი ანტონიჩმა თავშეკავებით, მაგრამ ერთობ გულთბილად მიულოცა კორაბლიოვს,—არ აკოცა, მხოლოდ ხელი ჩამოართვა. რომაშკამაც მხოლოდ ხელი ჩამოართვა. ნიკოლაი ანტონიჩმა თვალი მოავლო პრეზიდიუმს და, უპირველესად ყოვლისა, განათლების განყოფილების გამგეს მიესალმა. რომაშკაც არ ჩამორჩა მას. შეიძლება ეს უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ რომაშკას უფრო თავმაღლად ეჭირა თავი.

ნიკოლაი ანტონიჩმა მე ვერ შემამჩნია, უკეთ, ისეთი სახე მიიღო, თითქოს აქ არცა ვყოფილიყავი, მაგრამ რომაშკა მომიახლოვდა თუ არა, გაჩერდა და ოდნავ გაშალა ხელები, თითქოს უკვირსო,—ეს შენა ხარ განა? და ისე, თითქოს მისთვის არასდროს არ ჩამეცხოს სახეში წიხლი.

— გამარჯობა, რომაშკა,—ეუთხარი ცივად.

სახე დაებრიცა, მაგრამ მაშინვე ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, როგორც ძველმა მეგობრებმა, თითქოს სწოლოედ ასე უნდა მივმართოთ ერთმანეთს: „სანკა, რომაშკა“. გვერდით მომიჯდა და ლაპარაკი დამიწყო, მაგრამ მე საკმაოდ ზიზღით შევაწყვეტინე და მივბრუნდი, ვითომ ტანიას ვუსმენდი.

ტანიას არ ვუსმენდი, ბოლმა მახრჩობდა და მხოლოდ ნებისყოფის დაძაბვით შევინარჩუნე წინანდელი მშვიდი გამომეტყველება.

საზეიმო ნაწილი ღამთავრდა და სტუმრები სუფრაზე მიიწვიეს. რომაშკა დერეფანში დამეწია.

— ხომ მშვენივრად ჩატარდა ივან პავლიჩის იუბილე?—ხმაც კი უფრო სასიამოვნო გახდომოდა.

— ჰო, ძალიან კარგად.

— რა სამწუხაროა, რომ ასე იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს, რაც არ უნდა იყოს, ძველი ამხანაგები ვართ. სადა მსახურობ?

— სამოქალაქო ავიაციაში.

— ამას მეცა ვხედავ,—თქვა და გაეცინა.—არა, „სადა“ სხვა აზრით გკითხე, ტერიტორიულად.

— განაპირა ჩრდილოეთში.

— ჰო! სულ დამავიწყდა. აკი კატიამ მითხრა! ზაპოლარიეში მსახურობსო.

კატია! კატიამ უთხრა. უცბად დამცხა. მაგრამ სრულიად დამშვიდებით ვუპასუხე:

— ჰო, ზაპოლარიეში.

ის გაჩუმდა. მერე ფრთხილად იკითხა:

— დიდი ხნით... ჩვენთან?

— ჯერ არ ვიცი,—ვუპასუხე მეც ფრთხილად.—ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

მე თვითონ მომეწონა, რომ ასე მშვიდად და ფრთხილად ვუპასუხე და ამ წუთიდან ჩემი მღელვარება თითქოს სადღაც გაჰქრა. გველივით ცივი, ცბიერი და თავაზიანი გავხდი.

— კატიამ მითხრა, მოხსენების წაკითხვას აპირებსო, მგონი, მეცნიერთა სახლში.

— არა, გეოგრაფიულ საზოგადოებაში.

რომაშკამ სიამოვნებით შემომხედა,—თითქოს კმაყოფილი იყო, რომ მე გეოგრაფიულ საზოგადოებაში ვაპირებდი მოხსენების წაკითხვას და არა მეცნიერთა სახლში. ეს ასეც იყო, მაგრამ მაშინ კიდევ არაფერი ვიცოდი.

— რა მოხსენებაა?

— მოდი და გაიგებ,—ვუთხარი გულგრილად,—შენთვის საინტერესო იქნება.

კვლავ დაიღრიჯა, ამჯერად უფრო მეტად.

— ჰო,—თქვა მან,— უნდა ჩავიწერო, რომ არ დამავიწყდეს.— და გულმოდგინეთ რაღაცის ჩაწერა დაიწყო ბლოკნოტში.—მოხსენებას რა ჰქვია?

— დავიწყებული პოლარული ექსპედიცია.

— მოიცა ერთი! ივან ლვოვიჩის ექსპედიციის შესახებ?

— კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიციის შესახებ.—ვუპასუხე მკვახედ.

მაგრამ მან ყური არ ათხოვა ჩემ შესწორებას.

— ახალი მასალები გაქვს?

ნაცნობმა ჩლუნგმა ანგარიშიანობამ გაუელვა თვალებში და მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

„აჰაი, არამზადავ, —გავიფიქრე გულგრილად.—შენ ნიკოლაი ანტონიჩმა მოგგზავნა. შენ დავალებული გაქვს გამოარკვიო, ხომ არ ვაპირებ კვლავ იმის მტკიცებას, რომ ექსპედიციის დაღუპვაში დამნაშავეა სწორედ ის, და არა ვინმე ფონ-ვიშინირსკი“.

— ჰო, ახალი მასალების მიხედვით.

რომაშკამ ყურადღებით შემომხედა. ერთი წამით წინანდელ რომაშკად გადაიქცა, რომელიც ანგარიშობს, მოგების რამდენ პროცენტს მიიღებს, თუ წამომცდება, რა მასალაა.

— ჰო მართლა, ექსპედიციის შესახებ,—განაგრძო, მან,—ნიკოლაი ანტონიჩსაც ხომ აქვს მასალები. მას ბევრი წერილები აქვს და ზოგი საინტერესო წერილიც, ამასწინათ მაჩვენა. კარგი არ იქნებოდა იმისათვის მიგემართა?

„აჰა, გასაგებია,—კვლავ გავიფიქრე,— ნიკოლაი ანტონიჩმა დაგვალა, შეგვაცვედრო ერთმანეთს, რომ ამ საქმეზე მოვილაპარაკოთ. მას ჩემი ეშინია, მაგრამ უნდა, რომ პირველი ნაბიჯი მე გადავდგა, ვერ მოგართვი!“

— ოჰ, არა,—ვუპასუხე გულგრილად,—მან ხომ სინამდვილეში ცოტა რამ იცის. იქნებ საკვირველი იყოს, მაგრამ მე უფრო მეტი ვიცი, რა მონაწილეობაც მიიღო მან ექსპედიციაში.

ეს კარგად მოფიქრებული დარტყმა იყო და რომაშკამ, რომელიც ამ ცვლილებების მიუხედავად მაინც ისევ ის გონებაჩლუნგი რომაშკა იყო, უეცრად პირი დააღო და აშკარა სიბრიყვით შემომხედა.

„კატია, კატია“, გავიფიქრე და ვიგრძენი, რომ გული მეკვდებოდა, ისე მწყინდა მის მაგივრადაც და ჩემს მაგივრადაც.

— ჰო-ო—, გააგრძელა რომაშკამ,—ასეა საქმე.

— ჰო, ასეა.

ჩვენ სუფრასთან მივედით და ლაპარაკი შეწყდა. ბოლომდე ძლივს გავძელი ამ საღამოს, მხოლოდ ივან პავლიჩის ხათრით, რომ მას არა სწყენოდა. ცუდ გუნებაზე ვიყავი და ძალიან მინდოდა დალევა, მაგრამ მხოლოდ ერთი პატარა ჭიქა დავლიე. ისიც იუბილარის სადღეგრძელო.

რომაშკამ წარმოთქვა ეს სადღეგრძელო. ის წამოდგა და ღირსებით აღსავსე თავდაჭერით დიდხანს იცდიდა, როდის ჩამოვარდებოდა სიჩუმე. როდესაც ერთი წინადადება განსაკუთრებით გამართული გამოუვიდა, თვითკმაყოფილებით გაებადრა სახე. რაღაცა თქვა მეგობრობის შესახებ, „რომელიც აკავშირებს იუბილარის ყველა მოსწავლეს“. ამ სიტყვებით მე მომმართა და ჭიქა ასწია—მაჩვენა, რომ ამით ჩემს სადღეგრძელოსაც სვამდა. მეც ზრდილობიანად ავწიე ჭიქა. ალბათ, ამ დროს მაინცდამაინც ალერსიანი სახე არა მქონდა, რადგანაც ივან პავლიჩმა ყურადღებით ჯერ მას შეხედა, მერე მე, შემდეგ კი—უცებ არ მომაგონდა, რას ნიშნავდა ეს,—ხელი მაგიდაზე დადო და თვალით ხელზე მანიშნა,—ხელი ასწია, რამდენჯერმე დაჰკრა მაგიდას და წყნარად დაუშვა. ეს ჩვენი ძველი პირობითი ნიშანი იყო: არ იღელვო! ორივეს ერთდროულად გაგვეცინა და ცოტათი გავმხიარულდი.

თავი მესამე

უსათაურო

იმ დღეს დანიშნულ დროს უნდა შევხვედროდი „პრავდის“ ერთ თანამშრომელს, მინდოდა მეამბნა ჩემი აღმოჩენების შესახებ. ორჯერ გადამიდო შეხვედრის დრო,—სულ დაკავებული იყო. ბოლოს როგორც იქნა დამირეკა და „პრავდაში“ წავედი.

ეს მაღალ-მაღალი, გულისხმიერი, სათვალიანი ძია-კაცი იყო, ოდნავ ელამი და, ასე მეგონა, სხვაგან იყურება და რაღაც სხვაზე ფიქრობს-მეთქი. „რამდენადმე მფრინავების სპეცი“,—თქვა მან. მგონი გულწრფელად დაინტერესდა ჩემი ნაამბობით, ყოველ შემთხვევაში, მეორე სიტყვიდანვე ბლოკნოტში ჩაწერა დაიწყო. დამახატვინა ქარბუქის დროს თვითმფრინავის დამაგრების ჩემი ხერხი და მითხრა, ამის შესახებ წერილი გამეგზავნა ჟურნალ „სამოქალაქო ავიაციაში.“ მაშინვე დაურეკა „სამოქალაქო ავიაციას“ და შეუთანხმდა, ვის და როდის ჩავაბარებდი მასალას. ისე მომეჩვენა, თითქოს ძალიან კარგად გაიგო „ნმ. მარიამის“ ექსპედიციის მნიშვნელობა და თქვა, რომ ახლა ყველა დიდ ინტერესს იჩენს არქტიკისადმი და ეს დროული და საჭირო თემა არისო.

— მაგრამ ამაზე უკვე იყო წერილი,—თქვა მან.—როგორც მახსოვს, „საბჭოთა არქტიკაში“.

— „საბჭოთა არქტიკაში“?

— დიახ, გასულ წელს.

ეს ახალი ამბავი იყო! წერილი კაპიტანი ტატარინოვის შესახებ. შარშან „საბჭოთა არქტიკაში“?

— არ წამიკითხავს ეს წერილი,—ვუთხარი მე.—ყოველ შემთხვევაში, ამ წერილის ავტორმა არ იცის ის. რაც მე ვიცი. მე შტურმანის დღიურები წავიკითხე,—ექსპედიციის ერთადერთი წევრისა, რომელმაც დიდ მიწამდე მიაღწია.

მაშინვე მივხვდი, რომ ჩემ წინ ნამდვილი ჟურნალისტი იყო. უეცრად თვალები გაუბრწყინდა, სწრაფად დაიწყო ჩაწერა და სიჩქარისაგან ფანქრის წვერიც კი წაუტყდა. ალბათ, ეს რაღაც სენსაციური ამბავი იყო. სწორედ ასე თქვა:

— დიახ, ეს სენსაციაა!

მერე თავის კაბინეტი გასაღებით დაკეტა და „უფროსთან“ წამიყვანა.

„უფროსთან“ მოკლედ გავიმეორე ჩემი ნაამბობი და ჩვენ შევთანხმდით:

ა) რომ მე ხვალ დღიურებს მოვიტან რედაქციაში.

ბ) რომ „პრავდა“ თანამშრომელს გამოგზავნის ჩემ მოხსენებაზე, და

გ) რომ წერილს დავწერ ჩემი აღმოჩენის შესახებ, ისინი კი მოიფიქრებენ, სად დაბეჭდონ.

„პრავდაში“ ექსპედიციის მოძებნის შესახებაც უნდა მომელა-

პარაკნა, მაგრამ რატომღაც გადავწყვიტე. რომ ეს განსაკუთრებული საკითხია და პრესასთან კავშირი არა აქვს-მეთქი. სამწუხაროა, რადგან ჟურნალისტები რჩევას მომცემდნენ, ვისთვის მიმემართა ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში. იქნებ ტელეფონითაც კი დავრეკათ.

მისაღებ ოთახში ორი საათი მაინც ვიჯექი—სულ ვუცდიდი, როდის მექნებოდა პატივი მთავარი სამმართველოს რომელიმე მდივნის ნახვისა. ძლივს მოვესწარი. კაბინეტში შემიყვანეს და აქაც კიდევ ნახევარი საათი ვიჯექი. მდივანს არ ეცალა. კაბინეტში წამდაუწუმ შემოდიოდნენ მეზღვაურები, მფრინავები, რადისტები, ინჟინრები, დურგლები, აგრონომები და ბხატვრები. მას სულ ისე უნდა სჭეროდა თავი, თითქოს მშვენივრად ერკვევა ავიაციის, აგრონომიის, ფერწერისა და რაღიოს საქმეში. ბოლოს, როგორც იქნა, მე მომმართა.

— ისტორიულად საინტერესოა,—მითხრა, როდესაც მე ძლივძლივობით დავამთავრე ჩემი თხრობა.—მაგრამ ჩვენ სხვა, უფრო თანამედროვე ამოცანები გვაქვს.

მე დავძინე, მშვენივრად მესმის, რომ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს ამოცანა სულაც დაკარგულ ექსპედიციების ძიებაში არა მდგომარეობს, მაგრამ, იმდენად, რამდენადაც წელს ჩრდილოეთის მიწაკენ ექსპედიცია მიდის. სავსებით შესაძლებელია მიეცეს მცირე პარალელური დავალება—გამოიკვლიონ კაპიტანი ტატარინოვის დაღუპვის რაიონი-მეთქი.

— ტატარინოვი, ტატარინოვი...—თითქოს მოაგონდაო, მდივანს.—იგი წერდა ამაზე?

მე ვუთხარი, ამის შესახებ ის ვერ დაწერდა, რადგანაც ექსპედიცია დაახლოებით ოცი წლის წინ გავიდა პეტერბურგიდან და უკანასკნელად მიღებული ცნობა 1914 წლის თარიღით იყო-მეთქი.

— კარგით, მაშ რომელი ტატარინოვი წერდა ამაზე?

— ტატარინოვი კაპიტანია,—მოთმინებით ავუხსენი მე.—ის 1912 წლის შემოდგომაზე ხომალდ „წმ. მარიამით“ გაემგზავრა, რათა ჩრდილოეთის საზღვაო გზით გაეცალა, იმ მთავარ საზღვაო გზით, რომლის სამმართველოშიაც ჩვენ ვიმყოფებით. ექსპედიციას წარმატება არა ჰქონია, მაგრამ გზად კაპიტანმა ტატარინოვმა გააკეთა ღირსშესანიშნავი გეოგრაფიული აღმოჩენანი. ყველა საფუძველი გვაქვს დავადასტურით. რომ ჩრდილოეთის მიწა, მაგალითად, მან აღმოაჩინა და არა ვილკიცკიმ.

— ჰო, დიახ სავსებით სწორია,—თქვა მდივანმა.—წერილი იყო ამ ექსპედიციის შესახებ, მე წავიკითხე.

— ვისი წერილი იყო?

— მე მგონი, ისიც ტატარინოვის. ტატარინოვის ექსპედიცია, ტატარინოვის წერილი. მაშ თქვენ რასა გვთავაზობთ?

მე გავუმეორე ჩემი წინადადება.

— კეთილი, მოხსენებითი ბარათი დაწერეთ,—მითხრა მდივანმა ისეთი კილოთი, თითქოს წუხდა, რომ მე ამ მოხსენებითი ბარათის დაწერა მომიხდებოდა და ის კი ამ ბარათს მაგიდაზე დადებდა და მერე მოგეჯამა ჭირი...

მე გამოვედი.

არ შეიძლებოდა, შემთხვევით მომხდარიყო! გორკის ქუჩაზე წიგნის მაღაზიაში „საბჭოთა არქტიკის“ გასული წლის ყველა ნომრები გადავფურცლე. წერილის სათაური იყო: „ერთი დავიწყებული პოლარული ექსპედიციის შესახებ“. ჩემი მოხსენების სათაური!—ხელს აწერდა ნ. ტატარინოვი. ნიკოლაი ანტონიჩს დაეწერა!

ეს დიდი წერილი იყო, მოგონებების ყაიდისა. მაგრამ ამავე დროს მეცნიერული ტონით დაწერილი.—იწყებოდა იმით, რომ 1912 წლის ზაფხულს პეტერბურგში, ნიკოლოზის ხიდთან იდგა ხომალდი „წმ. მარიამი“. „მის კედლებზე და ჭერზე საღებავი ჯერ არ გამშრალიყო, სარკესავით ბრწყინავდა ავეჯის გაკრიალებული წითელი ხე. ხალიჩები ამშვენებდა მისი კაიუტების იატაკებს. საკუჭნაოები და ტრიუმი ყოველგვარი მარაგით იყო გატენილი. რა არ იყო იქ! კაკალი, კონფეტი, შოკოლადი, ათასნაირი დაკონსერვებული კომპოტები, ანანასები, ყუთები მურაბებით, ნამცხვარი, ხილფაფა და ბევრი სხვა რამ—ყველაზე უფრო აუცილებელის, დაკონსერვებული ხორცისა, ფქვილისა და კრუპეულის მთელ დიდ მარაგთან ერთად“.

სასაცილოა: ყველაზე ადრე სურსათიდან როგორ იწყებდა ნიკოლაი ანტონიჩი—ჩემთვის ეს კიდევ ერთი საბუთი იყო. მაგრამ ქვემოთ უფრო ჭკვიანურად წერდა. აღნიშნავდა, რომ ექსპედიცია კარგად იყო მოწყობილი და მომარაგებული საზოგადოებრივი სახსრებით. იგი მორიდებით გადაუკრავდა ხოლმე სიტყვას, რომ პირველად სწორედ იმას მოუვიდა აზრი „ნორდენშელდის კვალით გაევლოთ“. ნაღვლიანად მიუთითებდა დაბრკოლებებზე, რომლებსაც რეაქციული პრესა და საზღვაო სამინისტრო უწყობდა. საზღვაო მინისტრის რეზოლუციაც მოჰყავდა: „სამწუხაროა, რომ კაპიტანი

ტატარინოვი არ დაბრუნებულა. სახაზინო ქონებისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის დაუყოვნებლივ სასამართლოს გადავცემდიო“.

უფრო მეტი სიმწარით წერდა იმაზე, როგორ მოატყუეს მისი ძმა არხანგელსკელმა მრეწველებმა, რომელთაც, მგონი, ქუჩის ბიჭების მიერ „წყვილი ოც კაპიკად მიყიდული“ ცუდი გაუხედნავი ძაღლები შეაპარეს და საერთოდ, როგორ შეირყა მთელი საქმის ორგანიზაცია, როდესაც ნიკოლაი ანტონიჩი ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ამ საქმეს ჩამოშორებოდა. მრეწველების გვარებს არ ასახელებდა—რა თქმა უნდა! გარდა ვიღაც ვ-სა, ნიკოლაი ანტონიჩი ბრალს სდებდა ვ-ს იმაში, რომ იგი გაკეთდა ხორცის შიწოდებით, რომლის ზღვაში გადაყრა მოუხდათ ჯერ ისევ მაშინ, როდესაც იუგორსკს მიღწეულნი არ იყვნენ.

წერილის ეს ნიწილი საქმის ცოდნით იყო დაწერილი. ნიკოლაი ანტონიჩს ციტატიც კი მოჰყავდა ამუნდსენიდან: „ყოველი ექსპედიციის წარმატება მთლიანად მის მომზადებაზეა დამოკიდებული“,—და ბრწყინვილედ ასაბუთებდა ამ აზრის სამართლიანობას თავისი „გახსენებული ძმის“ ექსპედიციის მაგალითზე. ნაწყვეტები მოჰყავდა „განსვენებული ძმის“ წერილებიდან, რომელიც მწარედ ჩიოდა ვაჭრებზე, ისარგებლეს იმით, რომ არხანგელსკში გაჩერება შეუძლებელი იყო და ზღვაში გასელა უნდა დაგვეჩქარებინაო.

თვით მოგზაურობაზე ნიკოლაი ანტონიჩი თითქმის არაფერსა წერდა. ახსენებდა მხოლოდ, იუგორსკში „წმ. მარიამს“ რამდენიმე სავაჭრო გემი შეხვდა, გემები ღუზაზე იდგნენ ყინულის დაძვრის მოლოდინში, კარის ზღვის სამხრეთი ნაწილი გაყინული იყო. თანახმად ერთი კაპიტანის ნაამბობისა, ჩვიდმეტ სექტემბერს გათენებისას „წმ. მარიამი“ გაბედულად შეევიდა კარის ზღვაში და ჰორიზონტის ზოლს იქით ყინულებში მიიმალა. ამოცანა, რომელიც თავის თავს დაუსახა ი. ლ. ტატარინოვმა,—წერდა ქვემოთ ნიკოლაი ანტონიჩი,—ვერ შესრულდა. მაგრამ გზადაგზა შესანიშნავი აღმოჩენა იყო გაკეთებული, ლაპარაკია ჩრდილოეთის მიწის აღმოჩენის შესახებ, რომელსაც კაპიტანმა ტატარინოვმა „მარიამის მიწა“ უწოდა.

ვიყიდე „საბჭოთა არქტიკის“ ეს ნომერი—მით უმეტეს, რომ წერილში მითითებული იყო ამ ავტორის სხვა წერილებზე ამავე საკითხის შესახებ,—და სასტუმროში დავბრუნდი.

არ შეიძლება ითქვას, რომ კარგ გუნებაზე დავბრუნდი! რატომ-ღაც მეგონა, რაკი ეს სიცრუე დაბეჭდილია და რაკი დიდი ხანია რაც დაიბეჭდა—წელიწადზე მეტია,—მაშ, ყველაფერი გათავებულია! დაგვიანებულია მის წინააღმდეგ გამოსვლა და არც არავინ მომისმენს. დამასწრო. ეს სიცრუე იყო, მაგრამ სიცრუე—გადახლართული სიმართლესთან. მან პირველმა თქვა „წმ. მარიამის“ ექსპედიციის მნიშვნელობაზე. პირველმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთის მიწა კაპიტანმა ტატარინოვმა აღმოაჩინა ნახევარი წლით ადრე, ვიდრე ვილკიცკი აღმოაჩენდა,—რასაკვირველია, ეს მან კაპიტანის წერილიდან ამოიღო, რომელიც კატიას გადავეცი. ყველაფერში დამასწრო.

ჩემ ნომერში ბოლთასა ვცემდი და ვუსტვენდი.

სიმართლე გითხრათ, ყველაზე მეტად მსურდა, ვაგზალში წავსულიყავი და ამეღო ბილეთი მოსკოვი-კრასნოიარსკი, იქიდან კი თვითმფრინავით ზაპოლარიემდე. მაგრამ მე ვაგზალზე არ წავსულ-ვარ,—პირიქით, მოხსენებით ბარათს ჩავუჯექი. მთელი დღე ვწერდი; და როდესაც მთელი დღე მუშაობ, ნაირნაირი სევდიანი ფიქრები მოდიან, მაგრამ—რას იზამ, ბინა დაკავებულია და უკანვე ბრუნდებიან.

თავი მეოთხე

ბევრია ახალი

მე რომ შევედი, ივან პავლიჩი ჩაცუცქულიყო და ღუმელში ცეცხლს აჩაღებდა. ეს ისეთი ჩვეული სურათი იყო—ივან პავლიჩი თავის ძველ სქელბუსუსებიან ფრენჩშია და ცეცხლს აჩაღებს.—უცებ ისიც კი მომეჩვენა, რომ ამ წლებს თითქოს არც გაუვლია, რომ მე წინანდებურად მოსწავლე ვარ და ახლაც, როგორც მეცხრე კლასში, როდესაც კატიას გავყევი ენსკში, საშინელი „რისხვა“ დამატყდება თავს. მაგრამ ის მოტრიალდა. „როგორ დაბერებულა“-მეთქი, გავიფიქრე და წამში ყველაფერი თავთავის ადგილზე დაბრუნდა.

— ძლივს,—საკმაოდ გაჯავრებით მითხრა კორაბლიოვმა.—ჩემთან რატომ არ გაჩერდი ბინად?

— გმადლობთ, ივან პავლიჩ.

— აკი მწერდი, შენთან გავჩერდებიო?

— რაც არ უნდა იყოს, მაინც შეგაწუხებდით.

მან შემომხედა, ერთი თვალიც კი მოუტა, რომ თავით ფეხებამდე შეეფასებინე. ასე შეხედავს ხოლმე შემომქმედი თავის ნაშუშევარს. ეტყობა, მაინც მოეწონე, რადგან სიამოვნებით გადაისვა ულვაშზე ხელი და მითხრა დავმჯდარიყავი.

— გუშინ ვერ დაგათვალიერე, როგორც წესი და რიგია,— მითხრა მან: —არ მეცალა...

სუფრა გაშალა, თახჩიდან პატარა ბოთლი გადმოიღო, პური დასჭრა, მერე ფანჯარაში გადგმული ხბოს ციცი ხორცი მოიტანა და ისიც დასჭრა. წინანდებურად მარტო ცხოვრობდა, მაგრამ ძველ ნესტიან ბინაში რაღაც უფრო მეტი მყუდროება და თითქოს ნესტიც ნაკლები იყო. არ მომეწონა მხოლოდ, რომ, ვიდრე მე ვუამბობდი, ის პატარა ბოთლი ისე გამოსცალა, თითქმის არაფერი შეუტანებია.—ეს მეწყინა.

მე ვუთხარი, ახლა მხოლოდ მთავარს გიამბობთ-მეთქი,— მაგრამ განა მოგაგონდება ყველაზე მთავარი რა არის, როდესაც ამდენი წლის შემდეგ მახლობელ ადამიანს შეხვდები? ივან პავლიჩი მეკითხებოდა ჩრდილოეთზე, საფრენოსნო მუშაობაზე და სულ მესაყვედურებოდა, ასე მოკლედ რად მიპასუხებო.

— ივან პავლიჩ, ძვირფასო, რა გიამბოთ? მე ჯერ ხომ ბევრი არ მიფრენია. აი, ერთხელ კინალამ გავიყინე, გახსოვთ ექიმი, რომელიც მე მმკურნალობდა, სკოლიდან რომ გავიქეცი? საავადმყოფოშიაც იყავით ჩემთან...

— მახსოვს.

— ისიც ზაპოლარიეში ცხოვრობს. მე ის მოვნახე და ეს ერთადერთი ოჯახია, სადაც მე დავდივარ. ივან პავლიჩ, სხვათა შორის დაკვირვებული ვარ, რომ მე მთელი ჩემი სიცოცხლე სხვის ოჯახებს ვეკედლები. როდესაც პატარა ვიყავი, სკოვოროდნიკოვების ოჯახს მივეკედლე, გახსოვთ, გიამბეთ. მერე ტატარინოვებისას, ახლა ექიმის ოჯახს.

— დროა, ძმაო, უკვე შენი ოჯახი გაიჩინო,—სერიოზულად მითხრა კორაბლიოვმა.

— არა, ივან პავლიჩ.

— რატომ მერე?

— მე სამაგისო კაცი არა ვარ.

კორაბლიოვი გაჩუმდა. დაასხა, ჭიქები მივაჯახუნეთ და დავლიეთ. ისევ დაასხა. მერე ფრენჩი გაიხსნა—გრძელი საუბრისათვის მოემზადა.

— მომისმინე, სანია, გახსოვს, რა მითხარი, როდესაც მოსკოვიდან მიდიოდი: „ახლა ის დამრჩენია, გინდა მოვკვდე, ოღონდ უნდა დავამტკიცო, რომ მართალი ვარ“, როგორ არის საქმე? დაამტკიცე?

ეს მოულოდნელი კითხვა იყო და მე მაშინვე არ მიპასუხნია, რასაკვირველია, მახსოვდა ჩვენი ლაპარაკი. მახსოვდა, როგორ მიყვიროდა კორაბლიოვი: „ეს რა ჩაიდინე, სანია! ღმერთო ჩემო, ეს რა ჩაიდინე!“ როგორა ტიროდა და მეუბნებოდა, რომ ყველაფერში შენა ხარ დამნაშავე, რადგან შენ დაბეჯითებით ამბობდი, რომ კაპიტანის წერილში ლაპარაკი ნიკოლაი ანტონიზეა. სინამდვილეში კი ლაპარაკი თურმე ვილაც ფონ ვიშიმირსკიზე ყოფილაო.

კორაბლიოვის ადგილას მე ამ საუბარს არ მოვიგონებდი. მაგრამ იმას, ეტყობა, ძალიან უნდოდა, რომ მე ეს გამხსენებოდა. სერიოზულად მიყურებდა და, მგონი, გულის სიღრმეში რაღაც იდუმალ კმაყოფილებას გრძნობდა.

— არ ვიცი, ვისთვის არის საჭირო, რომ მე რაღაც ვამტკიცო,—ვუპასუხე მოღუშულმა.—არა მგონია, ეს ვინმეს ესაჭიროებოდეს.

— აი სწორედ ამაში სცდები, სანია,—მითხრა კორაბლიოვმა,—ეს ძალიან საჭიროა შენთვისაც, ჩემთვისაც და კიდევ ერთი ადამიანისათვისაც. მით უმეტეს, რომ შენ მართალი აღმოჩნდი.

პირდაღებული ვუყურებდი. ხუთი წელი გავიდა ჩვენი ლაპარაკის შემდეგ. ახლა ყველაზე მეტი მე ვიცოდი ქვეყანაზე კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიციის შესახებ, მე მოვძებნე და წავიკითხე შტურმანის დღიურები—და ეს ყველაზე მძიმე შრომა იყო ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ბედმა გამიღიმა: მე შევხვდი მოხუც ნენეცს, ადამიანს, რომელმაც უკანასკნელად ნახა თავისი თვალით ამ ექსპედიციის მარხილი და მარხილზე მიცვალებული,—შესაძლებელია თვით კაპიტანი. მე კი ვერავითარი საბუთი ვერ ვიპოვე, რათა ჩემი სიმართლე დამემტკიცებინა.

ახლა კი, როდესაც მოსკოვში დავბრუნდი და ჩემს ძველ მასწავლებელთან შევიარე, რომელსაც, ასე მეგონა, დიდი ხანია დავიწყებული ჰქონდა ეს ისტორია, ახლა იგი მეუბნება: „შენ მართალი აღმოჩნდიო“.

— ივან პავლიჩ,—დავიწყე არცთუ ისე მტკიცე ხმით, —თქვენ მაინც არ უნდა ამბობდეთ ამას, თუ თქვენ არა გაქვთ...

მინდოდა მეთქვა: „უცილობელი საბუთები“, მაგრამ მან შემა-

ჩერა. თითქოს დარეკეს. კორაბლიოვმა შეწუხებულმა ტუჩი ჩაიკვნიტა, მიიხედ-მოიხედა და მხარში ხელი მომკიდა.

— იცი რა, სანია... ერთ ადამიანს უნდა მოველაპარაკო,— მითხრა მან,—შენ კი ცოტა ხანს აქ იჯექი.

და კარების მაგივრად დაგლეჯილ მწვანე ფარდაჩამოფარებულ გვერდით ოთახში გამიყვანა, რომელიც წიგნებით სავსე დიდ კარადას მოგაგონებდათ.

— მოისმინე. შენთვის ეს სასარგებლოა.

დამავიწყდა, რომ ივან პავლიჩი ამ საღამოთი თავიდანვე რაღაც უცნაური მომეჩვენა. რამდენჯერმე ხმადაბლა სტვენა დაიწყო. თავზე ხელები შემოეწყო და ბოლთასა სცემდა. ბოლოს მსხლის ყუნწი შეეპამა, რომლითაც კბილებს იჩიჩქნიდა. ახლა კი, როდესაც „კარადაში“ შემსვა, სწრაფად შეინახა არაყი, რაღაც ამოიღო საწერი მაგიდიდან, ცოტა შეეპამა და ფართოდ გაღებული პირით დაიწყო სუნთქვა, შემდეგ კარების გასაღებად წავიდა.

როგორა გგონიათ, ვისთან ერთად შემობრუნდა? ნინა კაპიტონოვნასთან ერთად! ნინა კაპიტონოვნა იყო—წელში მოხრილი, უფრო მეტად გამხდარი, ბებრული ჩრდილით თვალების ირგვლივ, თავის განუყრელ უსახელოებო ხავერდის ჩასაცმელში.

რაღაცას ამბობდა, მაგრამ მე არ ვუსმენდი. მე შევცქეროდი, როგორი მზრუნველობით სვამდა სკამზე ივან პავლიჩი სტუმარს. ის იყო ჩაის დასხმა დააპირა, მაგრამ ნინა კაპიტონოვნამ შეაჩერა.

— არ მინდა. ეს არის ახლა დავლიე. რასა იქთ, როგორა ხართ?

— რაღაც უქეიფოდა ვარ, ნინა კაპიტონოვნა,—უთხრა კორაბლიოვმა.—ბეჭები მტეხავს.

— რაო? დაბერდით! მოიგონებთ რაღაცას! ბეჭები მტეხავს! უნდა ბომბანგიეთი დაიზილოთ და გაიღლის.

— როგორ, როგორა თქვით? ბომბანგიე?

— ბომბანგიე. მალამოა ისეთი. არაყსა სვამთ?

— გეფიცებით, არა ვსვამ,—უთხრა კორაბლიოვმა,—თავი დავანებე. იშვიათად ერთ პატარა ჭიქას თუ დავლევ სადილის წინ. მაგრამ მაგას ექიმებიც კი ურჩევენ.

— არა, სვამთ. აი ჩემს ახალგაზრდობაში ხუტორებში ვცხოვრობდით. მამაჩემი ხომ ყაზახი იყო. ზოგჯერ ისე მოვიდოდა, რომ ფეხზე ველარ იდგა, თან ამბობდა: „ეს არაფერია, ნამდვილი სიკვდილი—ეს ყოველდღე სადილის წინ თითო პატარა ჭიქის დალევაა“.

კორაბლიოვს გაეცინა, ნინა კაპიტონოვნამ შეხედა და იმანაც სიცილი დაიწყო.

მერე ვიღაც ლოთ გრაფინიაზე უამბო, რომელიც „დილიდანვე, გაიღვიძებდა თუ არა, ერთ ჭიქა არაყს გადაბუხავდა და დადიოდა გაყვითლებული, სახეშეშუპებული, თავშიშველი. გაივლის-გამოივლის და გადაჰკრავს. დილით კიდევ ფხიზელია, სადილობა მოვა და ბარბაცებს, საღამოთი კი—სახლი სტუმრებით არის სავსე. მშვენივრად აცვია, როიალს მიუჯდება და მღერის. თან კეთილია! ყველანი მასთან მიდიოდნენ. რამე გაუჭირდებოდათ თუ არა, ხელად გრაფინიას მიაშურებდნენ! მშვენიერი ადამიანი იყო! მაგრამ ლოთი!"

მგონი, კორაბლიოვს მაინცდამაინც არ მოსწონებია ეს მაგალითი; იმიტომ რომ შეეცადა ლაპარაკი სხვა თემაზე გადაეტანა. და ჰკითხა, კატია როგორ არისო.

ნინა კაპიტონოვნამ ნელა ჩაიქნია ხელი.

— სულ ვჩხუბობთ,—თქვა და ამოიოხრა,—ძალიან თავმოყვარეა. ერთ საქმეს არ დაამთავრებს, მეორეს ჰკიდებს ხელს. იმიტომაცაა ასეთი ნერვიული.

— ნერვიული?

— ნერვიული და ამაყი. თან სულ სდუმს.—თქვა ნინა კაპიტონოვნამ.—ეჰ, მდუმარე ხალხის მეტი რა მინახავს. რაღაც ჭკუაში არ მომდის, რომ ერთთავად სდუმს. რა პირი მოგიკუმია, თქვი, რა გაწუხებს! არა, არ ამბობს.

— ჰკითხეთ, ნინა კაპიტონოვნა.

— არ მეტყვის. მე თვითონ ეგეთი ვარ. ჩემ სიცოცხლეში არ ვიტყვი.

— ერთხელ შემხვდა და მომეჩვენა, თითქოს არა უშავს რა,—თქვა კორაბლიოვმა.—თეატრში მიდიოდა მარტო, ეს კი გამიკვირდა, მაგრამ საკმაოდ მხიარული იყო და, სხვათა შორის, მითხრა, გეოლოგიური ინსტიტუტი ორ ოთახს მაძლევსო.

— სთავაზობდნენ. მაგრამ არ გადავიდა.

— რატომ?

— ის ეცოდება.

— ეცოდება?—ხელმეორედ შეეკითხა კორაბლიოვი.

— ეცოდება, დედის ხსოვნის პატივისცემითაც ეცოდება და ისეც. ის კი უიმისოდ... მოვა თუ არა, მაშინვე: „კატია სად არის? დარეკა?"

მაშინვე მივხვდი, „ის" ვინ იყო: ნიკოლაი ანტონიჩი.

— ჰოდა, არ გადავიდა, სულ ვიღაცას ელის!

ნინა კაპიტონოვნა სხვა საკარძელზე გადაჯდა, უფრო ახლო მიუჯდა კორაბლიოვს.

— ერთხელ წერილი წავიკითხე,—ეშმაკური ჩურჩულით დაიწყო და მიიხედ-მოიხედა, თითქოს კატიას შეეძლო მისი დანახვა,— ეტყობა, ენსკში დამეგობრდნენ, არდადეგებზე რომ იყო კატია. იმისი და სწერს, „ყოველ წერილში თხოვნით მომაბეზრა თავი: სად არის კატია, როგორ არის, ყველაფერს მივცემდი, ოღონდ ის მენახაო. მას უშენოდ სიცოცხლე არ შეუძლია და მე არ მესმის თქვენი უმიზეზო დაუბრებაო“.

— მაპატიეთ, ნინა კაპიტონოვნა, ვერ გავიგე, ვისი და?

— ვისი? იმისი. თქვენის.

კორაბლიოვმა თავისდაუნებურად ჩემკენ გამოიხედა და მე ფარ-დის გამოხეულ ნახვრეტში კორაბლიოვის თვალებს შევხვდი. ჩემი და? სანია?

— მერე რა, ალბათ ეგრეც არის,—თქვა კორაბლიოვმა,—ალ-ბათ, მართლაც არ შეუძლია უიმისოდ სიცოცხლე. რა მოხდა მერე.

— „თხოვნით თავი მომაბეზრაო,—გამოთქმით გაიმეორა ნინა კაპიტონოვნამ,—უშენოდ სიცოცხლე არ შეუძლიანო“. აი, თურმე საქმე როგორ არის. კატიას კი უიმისოდ არ შეუძლია.

კორაბლიოვმა კვლავ ჩემკენ გამოიხედა.

მომეჩვენა, რომ ულვაშებში ეღიმებოდა.

— ჰოდა, სხვაზე გათხოვებას კი აპირებს?

— არ აპირებს. მაგისთანები არ მოსწონს.—სწორედ ასე თქვა.— არ უნდა, იმ რომაშოვს მისთხოვდეს, არც მე მინდა ის ხუცესის მოდგმა.

— როგორ ხუცესის?

— მღვდლის შვილია, ტყუილების გუდაა. რაც არ უნდა უთხრა, მაშინვე წაუმატებს, მაგისთანები მეჯავრებიან. თან უნა-მუსოც არის.

— კარგით ერთი, ნინა კაპიტონოვნა! რასა ბრძანებთ!

— უნამუსოა! ორმოცი მანეთი გამომართვა. ვითომ საჩუქრი-სათვის,—აღარც მოუცია. მე, რასაკვირველია, არ გამიხსენებია. თან ყველაფერში ცხვირსა ჰყოფს. ღმერთო ჩემო! ბებერი არ ვიყო...

და მწარედ ხელი ჩაიქნია.

ახლა წარმოიდგინეთ, რას განვიცდიდი, ამ ლაპარაკს რომ ვუს-

მენდი! ვუყურებდი მოხუცს ფარდის ჭუჭრუტანიდან და ეს ჭუჭრუტანა, თითქოს ობიექტივი იყო, რომელშიც ყველაფერს, რაც ჩემსა და კატიას შორის მოხდა, რაც წუთი გადიოდა, სულ უფრო მკაფიოდ ვხედავდი, თითქოს ფოკუსში ექცეოდა. ყველაფერი მოახლოვდა და თავის ადგილას ჩადგა. ყველაფერი ეს იმდენი იყო— და იმდენი რამ კარგი, რომ გულმა რაღაცნაირად ფრთხიალი დამიწყო და მივხვდი, რომ ძალიანა ვღელავ. მხოლოდ ერთი რამ იყო სრულიად გაუგებარი: მე არასოდეს „თავი არ მომიბეზრებია“ ჩემი დისთვის თხოვნით და არასოდეს არ მიმიწერია, რომ „უკატიაოდ სიცოცხლე არ შემიძლია მეთქი“.

„სანკამ მოიგონა ყველაფერი,—ვთქვი ჩემთვის.—ის ტყუილებს ეუბნებოდა და ყველაფერი კი სიმართლე იყო“.

ნინა კაპიტონოვნა კვლავ განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი. იმდენად გავერთე ფიქრებში, რომ სიარული დავიწყე ჩემ „კარადაში“ და გონს მხოლოდ მაშინ მოვედი, როდესაც კორაბლიოვის მკაცრი ჩახველება გავიგონე.

ასე ვიჯექი „კარადაში“, ვიდრე ნინა კაპიტონოვნა წავიდოდა. არ ვიცი, რისთვის მოვიდა, ალბათ, უბრალოდ დარდების გასაქარვებლად. გამომშვიდობებისას კორაბლიოვმა ხელზე აკოცა, იმან კი—შუბლზე. ისინი წინათაც ყოველთვის ასე ეთხოვებოდნენ ერთმანეთს.

ფიქრებში წავედი, არც გამიგონია, კორაბლიოვი როგორ დაბრუნდა, უეცრად თავზე დამადგა და ფარდის შუა მისი ცხვირი და ულვაშები დავინახე.

— ცოცხალი ხარ?

— ცოცხალი ვარ, ივან პავლიჩ.

— რას იტყვი?

— რა უნდა ვთქვა, საშინელი და გამოუსწორებელი ბრიყვი ვარ,—ვუპასუხე და თავში ხელი შემოვირტყი.—როგორ ველაპარაკებოდი! ოჰ, როგორ ველაპარაკებოდი. როგორ ვერ მივხვდი ვერაფერს! რატომ არაფერი ვუთხარი, ის კი ელოდა, რომ რამეს ვეტყოდი! რასა გრძნობდა, ივან პავლიჩ! რასა ფიქრობს ახლა ჩემზე.

— არაფერია, რასაც ფიქრობს, გადაიფიქრებს.

— არა, არასოდეს! იცით, რა ვუთხარი: მე მუდამ გაგაგებინებ- მეთქი საქმის ვითარებას.

კორაბლიოვს გაეცინა.

— ივან პავლიჩ!

— შენ ხომ იწერებოდი, უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიანო.

— არ მიმიწერია!—ვუთხარი სასოწარკვეთილებით შეპყროობილმა.—ეგ სანკამ მოიგონა. მაგრამ ეგ სიმართლეა, ივან პავლიჩ, ეგ სიმართლეა. უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია და ჩვენ მართლაც უმიზეზოდ გავიბუტეთ. მეგონა, უკვე დიდი ხანია აღარ ვუყვარვარ-მეთქი. მაგრამ ახლა რა ვქნა, რა ვქნა?

— იცი რა, სანია, ცხრა საათისათვის საქმეზე უნდა შევხვდეს ერთ ადამიანს.—მითხრა მან,—ისე რომ შენ...

— კეთილი, მე ახლავე წავალ. ნეტა შეიძლება ახლა კატიასთან შევიარო?

— ის გამოგაგდებს და სავსებით სწორიც იქნება.

— გამომაგდოს,—ვუთხარი და უეცრად ვაკოცე,—ჯანდაბა ჩემ თავს, არ მესმის, რა ვქნა ახლა? თქვენ როგორა ფიქრობთ?

— ახლა ტანისამოსი უნდა გამოვიცვალო,—მითხრა კორაბლიოვმა და „კარადაში“ გავიდა,—შენ კი, შენ, ჩემი აზრით, გონს უნდა მოხვიდე.

ვხედავდი, როგორ გაიხადა ფრენჩი, აიწია რბილი პერანგის საყელო და ყელსახვევის შეკვრა დაიწყო.

— ივან პავლიჩ,—უეცრად დავიყვირე.—მოითმინეთ! სულ არ გადამავიწყდა! თქვენ თქვით, რომ მე მაშინ მართალი ვიყავი როდესაც ჩვენ ვდავობდით, თუ ვის შესახებ იყო ლაპარაკი კაპიტანის წერილში.

— დიახ.

— ივან პავლიჩ!

კორაბლიოვი „კარადიდან“ გამოვიდა თმადავარცხნილი, რუხი ფერის ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, ჯერ ისევ ახალგაზრდა, წარმოსადეგი.

— ახლა ჩვენ თეატრში წავალთ,—მითხრა სერიოზულად,—და შენ ყველაფერს გაიგებ. შენ ასეთი ამოცანა გექნება: უნდა იჯდე ჩუმად და ისმინო, გესმის?

— არაფერი არ მესმის. წავიდეთ.

თავი მეხუთე

თ ე ა ტ რ ში

მოსკოვის დრამატიული თეატრი! გრიშა ფაბერის მიხედვით თუ იმსჯელებდით, შეიძლებოდა წარმოგედგინათ, რომ ეს დიდი,

ნამდვილი თეატრია, რომლის ყველა აქტიორს გრიშასავით ჩინებული თეთრი გეტრები აცვია და გრიშასავით ხმამაღლა და კარგად მეტყველებს: მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის მაგვარი. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს პატარა თეატრი იყო რომელიღაც შესახვევში სრეტენკაზე.

როგორც ამას შესავალთან განათებული რეკლამა გვამცნობდა, გადიოდა სპექტაკლი „მგლის ბილიკი", აქტიორთა გვარებში შაშინვე ვიპოვეთ გრიშა. იგი ექიმს თამაშობდა „ექიმი—გ. ფაბერი". ეს როლი რატომღაც სულ ბოლოში ეწერა.

გრიშა ვესტიბიულში შეგვხვდა, ისეთივე ბრწყინვალე, როგორც ყოველთვის, და დაუყოვნებლივ თავის ტუალეტში მიგვიწვია.

— იმას მაშინ დავუძახებ, მეორე მოქმედება რომ დაიწყება,— წასჩურჩულა კორაბლიოვს.

ვის „იმას" დაუძახებს? კორაბლიოვს შევხედე, მაგრამ სწორედ ამ დროს თავის გრძელ მუნდშტუკში პაპიროსს ასწორებდა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს არც შეუმჩნევია, რომ შევხედე.

გრიშას ტუალეტში კიდევ სამი მსახიობი იჯდა და იმათაც რატომღაც ისე ეჭირათ თავი, თითქოს საკუთარ ტუალეტში იყვნენ. მაგრამ, ჩვენ რომ შევედით, მორიდებულად გავიდნენ და მაშინ შოიხადა ბოდიში გრიშამ ბინის გამო.

— ჩემს ტუალეტში ახლა რემონტია,—გვითხრა მან.

ჩვენი სკოლის თეატრზე დავიწყეთ ლაპარაკი, მოვიგონეთ ტრაგედია „დადგა ჟამი", რომელშიაც გრიშა ოდესღაც ებრაელ შვილობილსა თამაშობდა, და მე ვუთხარი, ჩემი აზრით, შენ პირდაპირ ჩინებულად ასრულებდი-მეთქი ამ როლს. გრიშას გაეცინა და უცებ გაჰქრა მისი ქედმაღლობა.

— სანკა, ვერ გამიგია, შენ ხომ მაშინ ხატავდი,—მითხრა მან, —რა მოხდა, რომ უეცრად ცაში დაიწყე ფრენა? ჩვენს თეატრში იარე, ფრენა რა ეშმაკად გინდა! მხატვარს გამოგიყვანთ! რა, ცუდი იქნება?

მე თანხმობა ვუთხარი. მერე გრიშამ ერთხელ კიდევ მოიხადა ბოდიში—მალე სცენაზე უნდა გავიდე და გრიმის გამკეთებელი მიცდისო, და გავიდა. ჩვენ მარტონი დავრჩით.

— ივან პავლიჩ, ძვირფასო, ბოლოს და ბოლოს ამიხსენით, რა ხდება? აქ რად მომიყვანეთ? ვინ არის „ის", ვინ უნდა გამაცნოთ?

— მერე შენ სისულელეებს არ ჩაიდენ?

— ივან პავლიჩ!

— ერთი სისულელე უკვე ჩაიდინე,—მითხრა კორაბლიოვმა,—ერთი კი არა, ორიც. ჯერ ერთი, ჩემთან არ ჩამოხვედი. მეორე ის, რომ კატიას უთხარი: მე შენ საქმის ვითარებას გაგაცნობ ხოლმეო.

— ივან პავლიჩ, მე ხომ არაფერი ვიცოდი! თქვენ უბრალოდ მწერდით: ჩემთან ჩამოდიო, და მე აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ასე მნიშვნელოვანი იყო. მითხარით, ვის უკდით აქ? ვინ არის ის ადამიანი და რად გინდათ, რომ მე ვნახო იგი?

— მაშ კეთილი,—მითხრა კორაბლიოვმა.—მხოლოდ გახსოვდეს პირობა: ჩუმად უნდა იჯდე. ეს ფონ ვიშიმირსკია.

თქვენ იცით, რომ ჩვენ გრიშას ტუალეტში ვისხედით, მოსკოვის დრამატიულ თეატრში. მაგრამ ამ წუთში ასე მეგონა, ყველაფერი ეს ტუალეტში კი არა, სცენაზე ხდებოდა, რადგანაც ის იყო დაამთავრა ივან პავლიჩმა ეს სიტყვები, რომ ოთახში წაკუზული, რათა კარებისათვის თავი არ აეკრა, ფონ ვიშიმირსკი შემოვიდა.

მაშინვე მივხვდი, ვინც იყო. თუმცა აქამდის აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ადამიანი არსებობდა ქვეყანაზე. მე ყოველთვის მეგონა, რომ ნიკოლაი ანტონიჩმა გამოიგონა ფონ ვიშიმირსკი, რათა მისთვის გადაებრალებინა მთელი ჩემს მიერ წაყენებული ბრალდებები. ეს უბრალოდ რაღაც გვარი იყო და ახლა კი უეცრად თვალწინ გამომეცხადა ხმელ-ხმელი, მაღალი ტანის, ბეჭებში მოსრილი, ჩაყვითლებულ, ჭაღარაულვაშიანი მოხუცი. ახლა, ცხადია, ის უბრალოდ ვიშიმირსკი იყო და არა ვინმე „ფონი“. პრიალაღილებიანი ფორმის ქურთუკი ეცვა—მეგარდერობე!—თავზე ჭაღარა ქოჩორი; ღაბაბის მაგივრად გრძელი დანაოჭებული ტყავი ეკიდა.

კორაბლიოვი მიესალმა. ვიშიმირსკიმ თავისუფლად, შემწყალედაც კი გაუწოდა ხელი.

— აი, ვინ მიცდის თურმე, ამხანაგი კორაბლიოვი.—თქვა მან.—ისიც მარტო კი არა, ვაჟიშვილით. თქვენი ვაჟია?—მკვირცხლად იკითხა და მკვირცხლადვე შემოგვხედა მე და კორაბლიოვს.

— არა, შვილი არ არის, ჩემი ყოფილი მოსწავლეა. ახლა კი მფრინავია და თქვენი გაცნობა სურს.

— მფრინავი? და ჩემი გაცნობა სურს?—თქვა ვიშიმირსკიმ და თან უსიამოვნოდ გაეღიმა.—მერე რითი დააინტერესა მფრინავი ჩემმა პერსონამ.

— თქვენი პერსონა იმ მხრივ აინტერესებს,—უთხრა კორაბ-

ლიოვმა,—რომ ეს კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიციის ისტორიას სწერს, ხოლო თქვენ, ცნობილია, ყველაზე ცხოველ მონაწილეობას იღებდით ამ ექსპედიციაში.

მგონი, ეს შენიშვნა დიდად არ ეპიტნავა ვიშიმირსკის. კვლავ ჰკვირცხლად შემომხედა და მის ბებრულ გაწყალებულ თვალებში რაღაცამ გაიელვა—შიშმა? ეჭვმა?—არ ვიცი.

თუმცა მაშინვე გაიბღინძა და მოგვაყარა და მოგვაყარა სხაპასხუპით. კორაბლიოვს წამდაუწუმ „ამხანაგო კორაბლიოვოო“ მიმართავდა და მომაბეზრებლად ტრაბახობდა. განაცხადა, რომ ის დიადი, ისტორიული ექსპედიცია იყო და, რომ მან ბევრი შრომა გასწია, ძალიან ბევრი, „რათა ყველაფერი ჩინებულად ყოფილიყო“. თან ერთ ადგილზე ვერა ჩერდებოდა—წამდაუწუმ დგებოდა, ხელებს არ ასვენებდა, მარცხენა ულვაშს ეცემოდა—ქვემოთ ეწეოდა და რა ვიცი...

— მაგრამ ეს დიდი ხნის ამბავია,—თქვა ბოლოს, თითქოს გაუკვირდაო.

— არა, არც ისე დიდი ხნის,—თქვა კორაბლიოვმა.—რევოლუციამდე ცოტა ადრე მოხდა.

— დიახ. ცოტათი ადრე, მაშინ მე ინვალიდთა არტელში არა ვმსახურობდი. მაგრამ ეს დროებითი სამსახურია, რადგანაც მე დიდი დამსახურება მაქვს. ჩვენ მაშინ ბევრსა ვშრომობდით, ეს დიდი შრომა იყო.

მინდოდა მეკითხა, მაინც რაში მდგომარეობდა თქვენი შრომამეთქი, მაგრამ კორაბლიოვმა მშვიდი, თითქმის არაფრის გამომეტყველი თვალებით შემომხედა და მე მორჩილად მოვკუმე პირი.

— ნიკოლაი ივანიჩ, თქვენ როგორღაც მიამბეთ ამ ექსპედიციის შესახებ,—მიმართა მან.—მახსოვს, რაღაც წერილები და ქაღალდები გაქვთ შენახული. ერთი რამ მინდა გთხოვოთ: გაუმეორეთ თქვენი ნაამბობი აი ამ ახალგაზრდას, რომელსაც, უბრალოდ, სანია შეგიძლიათ უწოდოთ! უთხარით დღე და საათი, რა დროს მოვიდეს, და მისამართი დაუტოვეთ.

— დიდი სიამოვნებით! ძალიან მოხარული ვიქნები! გთხოვთ ჩემთან მობრძანდეთ, თუმც ბინის გამო წინასწარ ვიხდი ბოდიშს. წინათ თერთმეტოთახიანი ბინა მქონდა და ამას არა ვფარავ, პირიქით, ანკეტაში ვწერ, რადგანაც ხალხს ბევრი სარგებლობა მოვუტანე. ბევრი ვიჩალიჩე პერსონალური პენსიისათვის და მომცემენ კიდეც: დიდი დამსახურებანი მაქვს. ეს ექსპედიცია მხოლოდ წვეთია ზღვაში! მე ხიდი ავაშენე ვოლგაზე.

და კელავ მოგვაყარა. თავისი ჭაღარა ქოჩრით იგი ბებერ, ნაწამებ ჩიტსა ჰგავდა.

მერე გრიშას ტუალეტში ელნათურა ერთი წამით ჩაქრა,— მოქმედება დამთავრდა!—და ეს წარსული საუკუნის მოჩვენება ისევე უეცრად გაჰქრა, როგორც გამოგვეცხადა.

მთელი ეს ლაპარაკი ხუთიოდე წუთს გრძელდებოდა, მაგრამ მე მომეჩვენა, რომ ძალიან დიდხანს გაგრძელდა, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე. კორაბლიოვმა შემომხედა და გაეცინა. ალბათ, სულელური გამომეტყველება მქონდა.

— ივან პავლიჩ!

— რა, ჩემო კარგო?

— ეს ის არის?

— ის არის.

— განა შესაძლებელია?

— შესაძლებელია.

— სწორედ ის არის?

— სწორედ ის.

— რა გიამბოთ? ნიკოლაი ანტონიჩს იცნობს? იმათთან დაიარება?

— ოჰ, არა,—თქვა კორაბლიოვმა.—აი სწორედ საქმეც ის არის, რომ არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ნიკოლაი ანტონიჩი სძულს.

— რატომ?

— სხვადასხვა ამბების გამო.

— მაინც რა გიამბოთ? საიდან გაჩნდა ის მინდობილობა ფონ ვიშიმირსკის სახელზე,—გახსოვთ, თქვენ რომ მითხარით.

— ჰო-ო! აი, საქმეც ეგ არის!—თქვა კორაბლიოვმა.—მინდობილობა! ის კანკალმა აიტანა, როდესაც მინდობილობაზე ვკითხე.

— ივან პავლიჩ, გთხოვთ, მიამბოთ ყველაფერი. თქვენა გგონიათ, სჯობდა, უკანასკნელ წუთში რომ მითხარით, ვიშიმირსკი მოვაო? მე დავიბენი და ალბათ გამოთაყვანებული ვიხმე ვეგონე.

— პირიქით, ძალიან მოეწონე,—სერიოზულად მითხრა კორაბლიოვმა.—გასათხოვარი ქალი ჰყავს და ყველა ახალგაზრდა კაცს ერთი თვალსაზრისით უყურებს: გამოადგება თუ არა სასიძოდ? შენ რასაკვირველია, გამოდგები: ახალგაზრდა ხარ, შესახედაობით არა გიჭირს რა, მფრინავი ხარ.

— ივან პავლიჩ!—საყვედურით ვუთხარი მე,—გეფიცებით, ვერა გცნობთ. ძალიან გამოცვლილხართ, ძალიან! იცით, რა მნიშვნელოვანია ყველაფერი ეს ჩემთვის, და მაინც დამცინით.

— კეთილი, სანია, ნუ გამიჯავრდები. ყველაფერს გიამბობ,— მითხრა კორაბლიოვმა.—ჯერ კი, მოდი, აქედან მოვუსვათ, თორემ ახლა, გრიშა რომ ჩაგვიგდებს ხელში და სპექტაკლის საყურებლად რომ დაგვსვამს მოსკოვის დრამატიულ თეატრში, აბა, მაშინა ნახე...

მაგრამ გაპარვა ვერ მოვახერხეთ, ელნათურამ კიდევ ერთხელ ჩაგვიკრა თვალი და ტუალეტში აჩქარებული ნაბიჯით გრიშა შემოვიდა. წითელი ქილვაშით და გრძელი თეთრი ცხვირით ცირკის კლოუნს უფრო ჰგავდა, ვიდრე ექიმს, მაგრამ გამბედავი და კეთილშობილური გამომეტყველების კლოუნს. მე და ივან პავლიჩმა ვერ ვიცანით და, სამწუხაროდ, ივან პავლიჩის უკანასკნელი სიტყვები: „სპეკტაკლის საყურებლად რომ დაგვსვამს მოსკოვის დრამატულ თეატრშიო“, ეჭვს გარეშეა, გაიგონა. ეტყობა, გრიშამ საწყენი მაინც ვერაფერი ნახა ამ სიტყვებში. პირიქით, ალბათ, ისე მიიღო, როგორც ჩვენი მხურვალე სურვილი, დაუყოვნებლივ დარბაზში შევსულიყავით და, როგორც პიესა, ისე თვითონ ისიც ექიმის როლში გვენახა.

— არაფერია, ახლავე მოგიხერხებთ რამეს!—გვითხრა მან.

რაღაც დახლართული გზით წაგვიყვანა. მე ვკითხე—ექიმისთვის ასეთი უცნაური გრიმი რათა გაქვს-მეთქი. მან გაბღენძით მიპასუხა.

— ასე მაქვს როლი გახსნილი.

მე ვერ მოვახერხე, მეპასუხა რამე.

ივან პავლიჩი, მგონი, დიდად არ აფასებდა გრიშას ნიჭს, მე კი გულწრფელად მომწონდა იგი და მასში „ტალანტს“ ვხედავდი. ამ პიესაში ძალიან პატარა როლი ჰქონდა, რომელიც, ჩემის აზრით, ჩინებულად ჩაატარა. ავადმყოფისაგან რომ გამოვიდა, ჩაფიქრდა და საკმაოდ დიდხანს იდგა ავანსცენაზე. „ნერვებზე თამაშობდა“ და აიძულებდა მაყურებელს ეფიქრა, ნეტა რას იტყვის ახლაო. სამწუხაროდ, როლის მიხედვით, ისეთი რამის თქმა მოუხდა, რაც არც იმის მიხვრა-მოხვრას უხდებოდა და არც სახის გამბედავ გამომეტყველებას. ჩინებულად დაფიქრდა რეცეპტის გამოწერის დროს და ფულს რომ იღებდა, ისე უხერხულად გასწია ხელი, როგორც ნამდვილმა ექიმებმა იციან ხოლმე-

ოღონდ, ალბათ მაინც შეიძლებოდა ასე ხმამაღლა არ ელაპარაკა. საერთოდ კი როლი მშვენივრად შეასრულა და მე სერიოზულად ვუთხარი ივან პავლიჩს, გრიშა კარგი მსახიობი დადგება-მეთქი.

სავსებით ბუნებრივად გამოვიდა ისიც, რომ გასვლის დროს ფული აიღო და სკამს მიეჯახა. მე და ივან პავლიჩს ამის შემდეგ სცენისაკენ აღარ გაგვიხედია.

სულ მინდოდა ვიშიმირსკიზე მელაპარაკა, მაგრამ ლოჟაში პირი დავაღე თუ არა, მაშინვე დაგვიტატანეს და მხოლოდ ამის კითხვა მოვასწარი:

— როგორ იპოვეთ?

და ივან პავლიჩმა მოასწრო ეპასუხა:

— როგორ და მისი ვაჟი ჩვენ სკოლაში სწავლობს.

თავი მეოთხე

კვლავ ბევრია ახალი

მე არაფერი გამეგებოდა თამასუქებისა, რადგანაც თვით ეს სიტყვა უკვე აღარ იყო ხმარებაში, როცა სწავლა დავიწყე. რა არის „სესხის ბარათი“, „გადასაცემი წანაწერი“, „პოლისი“?—არა პოლუსი, ეს ყველამ იცის, არამედ სწორედ „პოლისი“?—„დისკონტი“.—არა დისკანტი, არამედ „დისკონტი“.

ეს სიტყვები რომ შემხვდებოდა წიგნებში, მეც არ ვიცი რატომ, მუდამ ენსკის „სათათბირო“ მაგონდებოდა. რკინის სკამები მაღალ-ბერიან ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში. უხილავი მოხელე მოაჯირს უკან, რომელსაც დამცირებულად უკრავს თავს დედაჩემი. ეს იყო ძველი, დიდი ხნის დავიწყებული ცხოვრება და ის თანდათან კვლავ ცოცხლდებოდა ჩემ წინ, როდესაც ვიშიმირსკი თავის უბედურების ისტორიას მიამბობდა.

ჩვენ სარდაფის პატარა ოთახში ვისხედით, ფანჯრიდან, რაც ხანი იქ ვიყავი, ცოცხი და ფეხები მოჩანდა: ალბათ მეეზოვე იდგა იქ. ამ ოთახში ყველაფერი ძველი იყო—სკამები თითქოს არტახებით მიმაგრებული ფეხებით, სასადილო მაგიდას ნიდაყვი დავაყრდნე და მაშინვე ავიღე, რადგან ნაპირა ფიცარმა ჩამოვარდნა დააპირა. ყველაფერზე ჭუჭყიანი ავეჯის გადასაკრავი ქსოვილი იყო—ფანჯრებზე ფარდების მაგიერ, სავარძელზე დაგლეჯილი ქსოვილის ზემოდან და ეს ქსოვილივე ჰქონდა მიფარებული კედელზე ჩამოკიდულ კაბას. ოთახში ახალი იყო მხოლოდ პატარა

ფიცრები, კოჭები, მავთულის გორგლები, რითაც ვიშიმირსკის თორმეტიოდე წლის პირმრგვალი და მზემოკიდებული ვაჟი თამაშობდა კუთხეში, თავის მაგიდასთან. თვით ეს ბიჭიც შორს იყო იმ სამყაროდან, რომელსაც „მე ბუნდოვნად ვიხსენებდი ახლა, როცა ვიშიმირსკის ნაამბობს ვისმენდი, მისი დისკონტებითა და თამასუქებით.

ეს იყო გრძელი, გაუთავებელი აბდაუბდა, ათასი მიკიბმოკიბული ამბები და სისულელე. ყველაფერს, რაც კი ცხოვრებაში გაეკეთებინა, დამსახურებად თვლიდა, რადგანაც „ყველაფერი ეს ხალხისათვის იყო, ხალხისათვის“. განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ მდივნად ემსახურა მიტროპოლიტ ისიდორესთან,—მან გამოაცხადა, მშვენივრად ვიცნობ სასულიერო წოდების ცხოვრებას და საგანგებოდაც კი შევისწავლე იმ იმედით, რომ ეს „ხალხს გამოადგებოდა“. ყოველ წუთს მზად იყო ამ მიტროპოლიტის საქმეების გამოსააშკარავებლად.

რატომღაც დამსახურებად თვლიდა იმასაც, რომ ვიღაც ადმირალ ჰეკერტთან ემსახურა. ამ ადმირალს ჭკუანაკლები შვილი ჰყოლოდა და ვიშიმირსკის თურმე ის რესტორანებში დაჰყავდა, რათა არავინ მიმხვდარიყო მის ჭკუანაკლებობას, რაკი „თვითონ ყველას უმალავდნენ ამას“...

მაგრამ ძლივს ნიკოლაი ანტონიჩზე ჩამოაგდო ლაპარაკი და მე სმენად გადავიქეცი! დარწმუნებული ვიყავი, რომ ნიკოლაი ანტონიჩი ყოველთვის პედაგოგი იყო. ტიპიური პედაგოგი! ის ხომ შინაც მუდამ ყველას ჭკუას ასწავლიდა, უხსნიდა, მაგალითები მოჰყავდა.

— სრულიადაც არა,—ბოროტად დაიღრიჯა ვიშიმირსკი,— ბოლოს გახდა პედაგოგი, როდესაც სხვა გზა აღარა ჰქონდა. იმას საქმეები ჰქონდა, ბირჟაზე თამაშობდა და საქმეებიცა ჰქონდა. მდიდარი კაცი იყო. ბირჟაზე თამაშობდა და დიდ საქმეებსაც ჩარხავდა.

ეს პირველი ახალი ამბავი იყო. მას მოჰყვა მეორე. მე ვკითხე, რა კავშირია კაპიტან ტატარინოვის ექსპედიციასა და ბირჟის საქმეებს შორის? ნიკოლაი ანტონიჩმა რად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს? ეს ხელსაყრელი ხომ არ იყო იმისთვის მეთქი?

— კიდევ უფრო მეტი ხალისით მოჰკიდებდა ხელს, ექსპედიცია რომ იმ ქვეყნად მიდენილიყო,—მომიგო ვიშიმირსკიმ.—ამისი იმედი ჰქონდა, დიდი იმედი ჰქონდა და ასეც მოხდა!

— არ მესმის.

— ნიკოლაი ანტონიჩს იმისი ცოლი უყვარდა. ამაზე მაშინ ბევრსა ლაპარაკობდნენ. დიახ, ბევრსა ლაპარაკობდნენ, ძალიან ბევრს. დიდი მითქმა-მოთქმა იყო. მაგრამ კაპიტანს ექვიც არა ჰქონია. იგი მშვენიერი ადამიანი იყო, უბრალო და რა ბეჯითი შუშა, რა მშრომელი!

განცვიფრებული ვუსმენდი.

— მარია ვასილევნა უყვარდა? მაშინ?

— დიახ, დიახ, დიახ,—სულმოუთქმელად გაიმეორა ვიშიმირსკიმ,—აქ პირადი მიზეზები იყო. თქვენ გესმით, პირადი! პირადული, პირადული, პირადი. მზად იყო მთელი თავისი ქონება მიეცა, რათა კაპიტანი საიქიოს გაესტუმრებინა და გაისტუმრა კიდეც.

მაგრამ სიყვარული სიყვარულია, საქმე კი საქმეა. ნიკოლაი ანტონიჩმა თავისი ქონება კი არ გასცა, პირიქით გაიორკეცა. მაგალითად, დამპალი ტანსაცმელი მიიღო ექსპედიციისათვის, რაშიც შიმწოდებელმა ქრთამი მისცა. წუნდებული შოკოლადი მიიღო, რომელსაც ნავთის სუნი ასდიოდა—იმაშიც ქრთამი აიღო.

— მავნებლობაა, მავნებლობა!—თქვა ვიშიმირსკიმ.—გეგმა! მავნებლური გეგმა!

თუმც ვიშიმირსკი წინათ, ალბათ, სხვა აზრისა იყო ამ გეგმის შესახებ, რადგანაც თვითონვე მიიღო მონაწილეობა მის შედგენაში. ნიკოლაი ანტონიჩმა არხანგელსკში გაგზავნა იგი ექსპედიციის შესახვედრად და მისი მოწყობილობის შესავსებად.

აი, აქ გაჩნდა სწორედ მინდობილობა, რომელიც ნიკოლაი ანტონიჩმა აჩვენა კორაბლიოვს. ამ მინდობილობასთან ერთად ვიშიმირსკის გადაეგზავნა ფული—თამასუქები და ფული...

გაჯავრებულმა მოხუცმა ქსიტინით კომოდიდან რამდენიმე თამასუქი ამოიღო. საერთოდ თამასუქი—ხელწერილი იყო ფულის მიღების შესახებ აღნიშნულ ვადაზე დაბრუნების ვალდებულებით. მაგრამ ეს ხელწერილი ძალიან სქელ, წყლის ნიშნებიან ღერბიან ქაღალდზე იწერებოდა და ძალიან მდიდრული და სარწმუნო ჩანდა. ვიშიმირსკი მიხსნიდა, რომ ეს თამასუქები ფულის მაგივრად გადიოდაო. მაგრამ მაინც ფული არ იყო, რადგან „თამასუქის გამცემს“ შეეძლო თავი უეცრად გაკოტრებულად გამოეცხადებინა.

აქ შესაძლებელი იყო სხვადასხვა ყალთაბანდური კომბინაციები და ერთ მათგანში ვიშიმირსკი ნიკოლაი ანტონიჩს სდებდა ბრალს. სახელდობრ იმაში სდებდა ბრალს, რომ თამასუქები, რომლე-

ბიც ნიკოლაი ანტონიჩმა იმის სახელზე გადაგზავნა მინდობილობასთან ერთად, „უიმედო“ იყო. ესვ იგი, ნიკოლაი ანტონიჩმა წინასწარ იცოდა, რომ „თამასუქის მიმცემნი“ უკვ, გაკოტრდნენ და ვეღარაფერს გადაიხდიდნენ. ვიშიმირსკიმ კი ეს არ იცოდა და თამასუქები ფულის მაგივრად მიიღო.—მით უმეტეს, რომ „თამასუქის მიმცემნი“ სხვადასხვა ვაჭრები და იმდროისათვის პატივსაცემი ხალხი იყო. ეს მან მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც ხომალდი გავიდა და ორმოცდარვა ათასი ვალი დასტოვა. ვალის დასაფარავად, რა თქმა უნდა, ამ „უიმედო თამასუქებს“ არავინ მიიღებდა.

ვიშიმირსკის თავის ჯიბიდან უნდა გადაეხადა ეს ვალები. მერე ხელმეორედ უნდა გადაეხადა, რადგანაც ნიკოლაი ანტონიჩმა სასამართლოში უჩივლა და სასამართლომ კი დაადგინა მთელი ფული, რომელიც ვიშიმირსკის სახელზე იყო გადაგზავნილი არხანგელსკში, ვიშიმირსკისთვის გადაეხდევინებინათ.

მე, რა თქმა უნდა, ძალიან მოკლედ გიამბობთ ყველაფერს. მოხუცი ამას ორი საათი მიამბობდა, თან წამდაუწუმ დგებოდა და ჯდებოდა.

— სენატამდე ვიარე,—ბოლოს მრისხანედ თქვა მან.—მაგრამ უარი მითხრეს.

უარი უთხრეს და ყველაფერი ამით დამთავრდა,—მისი ქონება საჯაროდ გაიყიდა. სახლი — მას სახლი ჰქონდა — ისიც გაიყიდა და ახლა უფრო პატარა ბინაში გადავიდა. ცოლი დარდმა გადაიტანა და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა. მერე რევოლუცია დაიწყო და ამ მეორე, უფრო პატარა ბინიდან ერთი ოთახიღა შერჩა, რომელშიც ახლა ცხოვრობდა. რასაკვირველია,— „ეს დროებითია“, რადგან „მთავრობა მალე დააფასებს ჩემს დამსახურებას ხალხის წინაშე.“ მაგრამ ჯერჯერობით მაინც აქ ვცხოვრობ, მოსწრებული ქალი მყავს, ორი ენა იცის და უბინაობის გამო კი ვერა თხოვდება: ქმარი სად უნდა მოიყვანოს. აი პერსონალურ პენსიას მომცემენ და მაშინ გადავალ სადმე, თუნდაც დავრდომილთა სახლში,—თქვა მან და მწარედ ჩაიქნია ხელი.

როგორც ჩანს, ამ გასათხოვარ ქალს ძალიან უნდოდა გათხოვება და მამას სახლიდან აძევებდა.

— ნიკოლაი ივანიჩ,—ვუთხარი მე,—ნება მიბოძეთ, ერთი რამ გკითხოთ. თქვენ ამბობთ, რომ ეს მინდობილობა მან არხანგელსკში გამოგიგზავნათ. მაშ კვლავ იმასთან როგორღა მოხვდა?

ვიშიმირსკი ადგა. ნესტოები დაებერა და აღშფოთებისაგან ქოჩორი აუცანცარდა.

— ეგ მინდობილობა სახეში ვესროლე. — მითხრა მან. — ის წულისათვის გაიქცა. მაგრამ წულისათვის პირი არ დამიკარებია. წამოვედი და ქუჩაში გული შემიწუხდა. ეჰ, რა ვთქვა.

და კვლავ მწარედ ჩაიქნია ხელი.

გულდამძიმებული ვუსმენდი. ამ ამბავში იყო რაღაც ჭუჭყი, ისეთივე, როგორც ყველაფერში, და მე სულ ხელის დაბანა მინდოდა. მეჩვენებოდა, რომ ჩვენი ლაპარაკი ჩემი სიმართლის კიდევ ერთი დასაბუთება იქნებოდა, ისეთივე ახალი და გასაკვირველი, როგორც ამ ადამიანის უეცარი გამოჩენა. ასეც გამოვიდა. მაგრამ ის მაწუხებდა, რომ ამ ახალ დასაბუთებას რაღაც ჭუჭყის დაღი ედო.

მერე ისევ პენსიაზე დაიწყო ლაპარაკი: „უსათუოდ უნდა მომცენ პერსონალური პენსია, რადგანაც მუშაობის ორმოცდახუთი წლის სტაჟი მაქვს“. ჩემთან უკვე იყო ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ქალალდები წაიღო და სხვათა შორის იმანაც მკითხა ნიკოლაი ანტონიჩის ამბავი, მაგრამ მერე აღარ გამოჩენილაო.

— მპირდებოდა, პენსიას ვეცდებიო, — თქვა ვიშიმირსკიმ, — მერე კი აღარ გამოჩენილა.

— ნიკოლაი ანტონიჩის ამბავს გეკითხებოდათ?

— დიახ, დიახ, სწორედ!

— ვინ იყო?

ვიშიმირსკიმ მხრები აიჩეჩა.

— რამდენჯერმე იყო. — თქვა მან. — გასათხოვარი ქალი მყავს, ამ იცით, ჩაისა სვამდნენ, მუსაიფობდნენ. ნაცნობობა, ნაცნობობა!

ღიმილმა თითქოს ოდნავ გადაურბინა სახეზე. ალბათ, ამ ნაცნობობასთან რაღაც იმედები იყო დაკავშირებული.

— დიახ, საინტერესოა, — ვთქვი მე. — ქალალდები წაიღო?

— წაიღო პენსიისათვის.

— ნიკოლაი ანტონიჩის ამბავს გეკითხებოდათ?

— დიახ, დიახ. ისიც მკითხა, კიდევ ხომ არავის იცნობო... შეიძლება სხვამაც ვინმემ იცის, რას აკეთებდა... ის ვაჟბატონიო! ის მე ერთ ადამიანთან გავგზავნე.

— საინტერესოა. ვინ არის, რა კაცია?

— წარმოსადეგი, ვაჟკაცია! — თქვა ვიშიმირსკიმ, — მპირდებო-

და ვიჩალიჩებო, მითხრა, ყველაფერი ეს პენსიისათვის არ ის საჭირო, სწორედ პერსონალური პენსიისათვის.

მე ვკითხე გვარი, მაგრამ მოხუცმა ვერ მოიგონა.

— მგონი „შ“ ურევია მის გვარში.—თქვა მან.

ბოლოს იმის გასათხოვარი ქალიც მოვიდა, რომელიც მართლა სასწრაფოდ უნდა გაეთხოვებინათ, მაგრამ ეს ადვილი საქმე როდი იყო, არა იმ მიზეზით, რომ „ქმარი სად მოეყვანა“. საქმე ის იყო, რომ ქალს ვეებერთელა ცხვირი ჰქონდა და რაღაც მტაცებელივით ქსიტინებდა. არ ვიცი, ეს ქრონიკული სურდოს ბრალი იყო თუ ცუდი ჩვევის. მაგრამ, როდესაც დავინახე, როგორ შეუბღვირა მამას, ხელად მივხვდი, ასე ძლიერ რად უნდოდა მოხუცს დავრდომილთა სახლში გადასვლა.

მე ძალიან გულთბილად მივესალმე ქალს, იგი სადღაც გაიქცა და სულ სხვანაირი დაბრუნდა: წელან რაღაც არაბული წამოსასხამი ეცვა, ახლა კი ჩვეულებრივი კაბა.

ლაპარაკი გავაბით ჯერ კორაბლიოვზე,—ის იყო ჩვენი ერთადერთი საერთო ნაცნობი,—მერე იმის მოსწავლეზე, რომელიც ისევ თავისი კოჭებით იყო გართული კუთხეში და ჩვენ ყურადღებასაც არ გვაქცევდა. სასიამოვნოდაც კი ვისაუბრებდით, ცხვირს რომ არ შეეშალა ხელი. მან განაცხადა, კინო არ მიყვარსო, რადგან კინოში ყველა ადამიანი რაღაც მკვდარივით ფერმკრთალიაო. მაგრამ ამ დროს მოხუცი ისევ შემოეჩხირა თავისი პენსიით.

— ნიუტოჩკა, რა გვარია ის ახალგაზრდა კაცი?—მორიდებულად ჰკითხა მან.

— რომელი ახალგაზრდა კაცი?

— აი პენსიას რომ დამპირდა, ვეცდებიო.

ნიუტოჩკა დაიღრიჯა, ტუჩები აუთრთოლდა და უეცრად რაღაცნაირი გრძნობა გამოეხატა სახეზე. უმთავრესად—აღშფოთება.

— არ მახსოვს, მგონი რომაშოვი,—უპასუხა მან დაუდევრად.

თავი მეშვიდე

ჩვენ სტუმარი გვყავს

რომაშკა! რომაშკა დადიოდა მათთან! ის ჰპირდებოდა მოხუცს, პერსონალურ პენსიას მოგიხერხებო. ნიუტას ეარშიყებოდა, იმ ცხვირის პატრონს! საბოლოოდ რაღაც ქაღალდები დასცინცლა და დაიკარგა და მოხუცი კარგად ვერც კი იგონებდა, რა ქაღალ-

დები იყო. ჯერ ვინმე სხვა რომაშოვი მეგონა, მისი მოგვარე. არა, რომაშკა იყო. მე ის დაწვრილებით ავუწერე ნიუტას და მან მძულვარებით მითხრა:

— ის არის!

რომაშკა მას ეარშიყებოდა, ეს აშკარაა. მერე თავი დაანება. ნიუტაც იმიტომ ლანძღავდა ასე. მოხუცთან მოდიოდა და ყველაფერსა სცინცლავდა, რაც კი ნიკოლაი ანტონიჩის შესახებ იცოდა. ცნობებს აგროვებდა. რისთვის? რად გამოართვა ვიშიმირსკის ის ქალალდები, საიდანაც, ყოველ შემთხვევაში, ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ რევოლუციამდე ნიკოლაი ანტონიჩი იყო არა პედაგოგი, არამედ ჭუჭყიანი ბირჟის მოსაქმე.

ვიშიმირსკისაგან რომ ვბრუნდებოდი, თავბრუ მეხვეოდა. აქ შეიძლებოდა მხოლოდ ორი მოსაზრება ყოფილიყო: ან იმიტომ, რომ წარსულის ყოველგვარი კვალი მოესპო, ან კიდევ იმიტომ, რომ ნიკოლაი ანტონიჩი ხელში ჩაეჭირა.

ხელში ჩაეჭირა? რისთვის? ის ხომ მისი ყველაზე თავდადებული, ყველაზე ერთგული მოსწავლეა! ასე იყო ყოველთვის, ჯერ სკოლაშივე, როდესაც ჩუმად უგდებდა ყურს, რასა ლაპარაკობდნენ ბავშვები ნიკოლაი ანტონიჩზე, და მერე ამბავი მიჰქონდა. ეს დავალებაა! ნიკოლაი ანტონიჩმა დაავალა, გამოერკვია ყველაფერი, რაც ვიშიმირსკიმ იცოდა მის შესახებ. რომაშკა მიუგზავნა იმ ქალალდების გამოსართმევად, რომლებიც ავნებდნენ მას, როგორც საბჭოთა პედაგოგს.

კაფეში შევედი და ნაყინი შევჭამე. მერე წყალი დავლიე. ძალიან მცხელოდა, ფიქრები არ მასვენებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ მაინც ხომ მრავალი წელი გავიდა, რაც მე და რომაშკა ერთმანეთს დავშორდით. მაშინ ის არამზადა, უგულო ადამიანი იყო. მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩთან გულწრფელად იყო შეთვისებული თუ ჩვენ გვეჩვენებოდა? ახლა მე არ ვიცნობდი მას. შესაძლოა გამოიცვალა? შესაძლოა ნიკოლაი ანტონიჩის დაუკითხავად, მხოლოდ იმის მიმართ კეთილი განწყობილების გამო უნდოდა ამ ქალალდების მოსპობა, რომელთაც შეეძლოთ ჩრდილი მიეყენებინათ მისი მასწავლებლის, მისი მეგობრის სახელისათვის.

მაგრამ ეს უკვე სისულელე გახლდათ და საკმარისი იყო გაგხსენებოდათ მისი უფერული სახე, მისი არაბუნებრივი მრგვალი თვალები, რომ ნამდვილი რომაშკა წარმოგედგინათ.

კიდევ შევჭამე ნაყინი, ხოლო მესამედაც რომ მოვითხოვე, ნა-

ყინის მომტან ქალს გაეცინა. ალბათ მოეწონა, რომ ამდენ ნაყინსა ვჭამდი; სარკესთან მივიდა და თავსაფრის გასწორება დაიწყო.

არა, ის ხელსაც არ გაანძრევდა იმ ადამიანისათვის მხოლოდ კეთილი განწყობილებისა და სიყვარულის გამო. აქ სხვა რამ იმალებოდა. ამაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ ვერ მივმხვდარიყავი, რა მიზანი ჰქონდა. მე ვმსჯელობდი ნიკოლაი ანტონიჩისა და რომაშკას ძველი განწყობილების მიხედვით, ახლა როგორ იყვნენ ერთმანეთთან, ეგ მე არ ვიცოდი.

შესაძლებელია ეს რაიმე ძალიან უბრალო მიზანი ყოფილიყო, სამსახურში წინ წაწევასთან დაკავშირებული. ნიკოლაი ანტონიჩი ხომ პროფესორი იყო, რომაშკა კი—მისი ასისტენტი. შეიძლება ფულის საქმეც იყო—ტყუილად ხომ არ აუწითლდებოდა ხოლმე სკოლაში ყურები, როცა ფულზე ლაპარაკობდა. შეიძლება ჯამაგირიც, ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი!

ვალიას დავურეკე,—მინდოდა რჩევა მეკითხა: ის ხომ, ასე თუ ისე, მაინც დაიარებოდა უკანასკნელ წლებში ტატარინოვებთან. მაგრამ ვალია შინ არ იყო, ალბათ, სადმე დაეხეტებოდა, როგორც ყოველთვის, როდესაც იმისი თავი გჭირდებოდათ.

„არა, ჯამაგირი არა, არც კარიერა,—ვფიქრობდი ისევ.—ამას უფრო ადვილად მიაღწია, საკმარისია მხოლოდ შეხედო მას“.

შინ წასვლის დრო იყო. მაგრამ ის იყო დადგა მოსკოვური საღამო, რომელიც სრულიად არა ჰგავდა ჩემ ზაპოლარიეში გატარებულ საღამოებს, და მე ფეხით გავლა მომეხალისა, თუმცა სასტუმრომდე შორი გზა მქონდა.

ნელი ნაბიჯით გავწიე—ჯერ გორკის ქუჩისაკენ, მერე ვოროტნიკოვის შესახვევით. ნაცნობი ადგილებია. სასტუმრო გვერდზე დამრჩა; მე კი ისევ ვოროტნიკოვის ქუჩით მივდიოდი, მერე სადოვო-ტრიუმფალურზე შევუხვიე, ჩვენი სკოლისაკენ, და სადოვო-ტრიუმფალურიდან, როგორც ვიცით, ძალიან ახლოა მეორე ტვერსკოი-იამსკოე. რამდენიმე წუთის შემდეგ ამ ქუჩაზე გამოვედი და ნაცნობი სახლის ალაყაფის კარების წინ გავჩერდი. ალაყაფის კარებში შევიხედე—და ნაცნობი პატარა სუფთა ეზო და ნაცნობი ქვის პატარა შეშის დასაწყობი ფარდული დავინახე, რომელშიაც ოდესღაც შეშას ვაპობდი—მოხუც ქალს ვეხმარებოდი. აი, კიბეები, საიდანაც კინწისკვრით გამომაგდეს. აი, შავი მუშამბაგაკრული კარები და სპილენძის ფირფიტა მიკლაკნილ-მოკლაკნილი ასოებით წარწერილი გვარით—„ნ. ა. ტატარინოვი“...

— კატია, შენთან მოვედი. არ გამაგდებ?

მერე კატიამ მითხრა, დაგინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ „სულ სხვანაირი ხარ, ვიდრე გუშინწინ დიდ თეატრთან იყავიო“. მაგრამ ერთი ვერ გაეგო, რატომ იყო, რომ, როდესაც მასთან მოულოდნელად და „სულ სხვანაირი“ მივედი, მთელი საღამო რომაშკასა და ნიკოლაი ანტონიჩს არ ვაშორებდი თვალს.

რასაკვირველია, ეს გაზვიადებაა, მაგრამ მართლაც გადავხედავდი ხოლმე იმათ. ამ საღამოს ჩემი თავი ისე მუშაობდა, თითქოს გამოცდაზე ვიყავი, და წინასწარ ვხვდებოდი ყველაფერს, რის თქმასაც დააპირებდნენ.

დამავიწყდა მეთქვა, რომ, ჯერ ისევ კაფეში რომ ვიყავი, ყვავილები ვიყიდე. ყვავილებით ხელში მივდიოდი ტატარინოვებთან და რაღაც მეჩოთირებოდა: მას შემდეგ, რაც მე და პეტკა ენსკის „საბაღოსნოში“ მიხაკს ვიპარავდით და წარმოდგენის შემდეგ კონას შაურადა ვყიდდით, ყვავილებით ხელში ქუჩაში აღარ გამიელია. ახლა ეს ყვავილები კატიასათვის უნდა მიმეცა... მაგრამ რატომღაც პატარა მაგიდაზე დავაწყე ქუდთან ერთად.

ალბათ, მაინც ეღელავდი, რადგან რაღაც ვთქვი და უნებლიეთ ხმა ამიკანკალდა. კატიამ სწრაფად პირდაპირ სახეში შემომხედა.

ის იყო კატიას ოთახში უნდა გავსულიყავით, რომ სასადილო ოთახიდან ნინა კაპიტონოვნა გამოვიდა. მე თავი დავუკარი. მან, საგონებელში ჩავარდნილმა, შემომხედა და მორიდებულად, როგორც უცხოს, დამიქნია თავი.

— დიდედა, სანიო გრიგორიევია. ვერ იცანი?

— სანია? ღმერთო ჩემო! არა, მართლა?

შიშით უკან მიიხედა და მე სასადილო ოთახის გაღებულ კარებიდან ნიკოლაი ანტონიჩი დავინახე, რომელიც გაზეთით ხელში სავარძელში იჯდა. იგი შინ იყო!

— გამარჯობათ, ნინა კაპიტონოვნა, ძვირფასო, —ეუთხარი მე,—გახსოვართ კიდევ? ალბათ, დიდი ხანია დაგავიწყდით?

— ამას უყურე ერთი. დამავიწყდი! სულაც არ დამვიწყებიხარ, მიპასუხა მოხუცებულმა.

ჩვენ ჯერ ისევ ერთმანეთსა ვკოცნიდით, როცა სასადილო ოთახიდან ნიკოლაი ანტონიჩი გამოვიდა და კარებში გაჩერდა.

ეს იყო წუთი, როდესაც ჩვენ კვლავ შევაფასეთ ერთმანეთი. მას შეეძლო ეგრძნობინებინა, რომ ჩვენ უცნობები ვართ. მას შე-

ეძლო არ შეევნიშნე, როგორც არ შეუნიშნივარ კორაბლიოვის იუბილეზე. ბოლოს შეეძლო, თუმცა ეს საკმაოდ სარისკო იყო, კვლავ კარებზე ეჩვენებინა. მაგრამ მან არც ერთი გააკეთა, არც მეორე და არც მესამე.

— ო, ახალგაზრდა არწივო,—გულთბილად მომმართა მან,— ძლივს ჩვენთანაც მოფრინდი? აქამდე სადა ხარ?

და თამამად გამომიწოდა ხელი.

— გამარჯობათ, ნიკოლაი ანტონიჩ.

კატია გაკვირვებული გვიყურებდა. მოხუცებული დაბნეულად ახამხამებდა თვალებს, მაგრამ მე მხიარულად ვიყავი და ახლა დაუსრულებლად შემეძლო მელაპარაკა ნიკოლაი ანტონიჩთან.

— ჰო-ო. რას იზამ, ჩინებულია.—ნიკოლაი ანტონიჩი სერიოზულად მიყურებდა.—თითქოს გუშინ იყო, პატარა ბიჭი რომ იყავი, ახლა კი უყურეთ, პოლარელი მფრინავია. თან რა პროფესია ამოურჩევია! ყოჩაღ!

— ჩვეულებრივი პროფესია, ნიკოლაი ანტონიჩ. —ვუპასუხე მე.—სავსებით ჩვეულებრივი.

— ჩვეულებრივი? მერე ნებისყოფა? ვაჟკაცობა განსაცდელის დროს? დისციპლინა? არა მარტო სამსახურებრივი, არამედ შინაგანიც,—ასე ვთქვათ, თვითდისციპლინა!

როგორც ძველად, ახლაც გული ამერია ამ ყალბი, ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებისაგან, მაგრამ მე დიდი ყურადღებით, ძალიან ზრდილობიანად ვუსმენდი. ახლა ბევრად უფრო ხნიერი მომეჩვენა, ვიდრე იუბილეზე. სახეც მოღლილი ჰქონდა. როდესაც სასადილო ოთახში შევდიოდი, მან კატიას ხელი გადახვია. კატია თითქმის შეუმჩნევლად მოეცალა.

სასადილო ოთახში, სხვათა შორის, ერთ-ერთი დეიდა ბუბენჩიკოვა იჯდა, მაგრამ ახლა უკვე ველარ გამერჩია, ის იყო, რომელსაც ჩემი ჯაგრისით ცემა უნდოდა, თუ მეორე, რომელიც თხას ამშვიდებდა! ყოველ შემთხვევაში ახლა ძალიან თავაზიანად შემხვდა.

— აბა, ველით, ველით!—თქვა ნიკოლაი ანტონიჩმა, როდესაც ჩემს გარშემო მორიდებულად მოფუსფუსე ნინა კაპიტონოვნამ ჩაი დამისხა და ყველაფერი ჩემსკენ მოსწია, რაც კი მაგიდაზე ეწყო.—ველით პოლარულ ამბებს. ბრმა გაფრენები, მუდმივი ყინვები, მოდრეიფე ყინულები, თოვლიანი უდაბნოები!

— ყველაფერი რიგზეა, ნიკოლაი ანტონიჩ,—დავძინე მხიარულად,—ყინულები ყინულებად რჩება, უდაბნოები უდაბნოებად.

ნიკოლაი ანტონიჩს გაეცინა.

— ერთხელ ჩემ ძველ მეგობარს შევხვდი, რომელიც ამჟამად ჩვენს სავაჭრო წარმომადგენლობაში მსახურობს რომში.—ვეკითხები: „ჰა, როგორაა რომი“? მიპასუხა: „არა უშავს რა! რომი ისეა, როგორც რომს შეეფერებაო“. ხომ კარგად უთქვამს?

შემწყალე კილო ჰქონდა. კატია თვალებდახრილი გვისმენდა. ლაპარაკი უნდა გაგვება და მე მართლაც დავიწყე ნენცებზე, ჩრდილოეთის ბუნებაზე და სხვათა შორის იმაზეც, როგორ გაეფრინდით მე და ექიმი ვანოკანში. ნინა კაპიტონოვნას სულ ის აინტერესებდა, მაღლა თუ ვფრინავ,—და ამან დეიდა დაშას წერილი მომაგონა, რომელიც ჯერ ისევ ბალაშოვის სკოლაში მივიღე: „რაკი შენ ჩვეულებრივი ადამიანივით ფეხით სიარული არ გიწერია, ძალიანა გთხოვ, სანია, დაბლა იფრინე“.

ვუამბე, როგორ მომპარა მიშა გოლომბმა ეს წერილი და მას შემდეგ საკმარისი იყო მუზარადი დამეხურა, რომ მთელ აეროდრომზე ყვირილი ისმოდა:

— სანია, დაბლა, დაბლა იფრინე!

იმავე მიშამ სკოლაში კომიკური ჟურნალი შეადგინა: „დაბლა იფრინე“, ჟურნალში სპეციალური განყოფილება იყო „ფრენის ტექნიკა სურათებში“ ასეთი ლექსით:

> აიღებ სიმაღლეს და ჰაერში სრიალებ,
> ნავარდობ უშიშრად—ვერც კი გრძნობ დაღლას—
> სანია, რას შვრები, თავს რატომ იღუპავ,
> დეიდა ამას გთხოვს—იფრინე დაბლა.

მგონი, საკმაოდ მოსწრებულად ვუამბე ეს, ყველანი იცინოდნენ და ყველაზე ხმამაღლა ნიკოლაი ანტონიჩი. სიცილისაგან პირდაპირ ჩაბჟირდა. ის გაფითრდა,—ოდნავ ფითრდებოდა სიცილისაგან.

კატია თითქმის სუფრასთან არა მჯდარა. ერთთავად დგებოდა და დიდი ხნობით სამხარეულოში იკარგებოდა და მე მგონია, უბრალოდ ივიტომ გადიოდა, რომ თავის ფიქრებთან მარტო დარჩენილიყო. ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, როდესაც დაბრუნდებოდა ხოლმე. ერთხელ რომ შემობრუნდა, თახჩასთან მივიდა მოწნული სანამცხვრით ხელში და, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რისთვის მივიდა. მე შიგ თვალებში შევხედე. მან შეფიქრიანებულმა, საგონებელში ჩავარდნილმა შემომხედა.

ეტყობა, ნიკოლაი ანტონიჩმა შენიშნა, ერთმანეთს როგორ გადავხედეთ, სახეზე ჩრდილმა გადაუარა, და უფრო ნელ-ნელა და უფრო ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით დაიწყო ლაპარაკი.

მერე რომაშკა მოვიდა. კარები ნინა კაპიტონოვნამ გაუღო და გავიგონე, როგორი მოკრძალებული გესლით უთხრა:

— ჩვენ სტუმარი გვყავს...

რომაშოვი დერეფანში ერთ ადგილს დიდხანს იტკეპნებოდა, ალბათ კოხტავდებოდა, მერე შემოვიდა და ოდნავ არ გაჰკვირვებია ჩემი დანახვა.

— ოჰ, აი თურმე ვინა ყოფილა!—უგემური ღიმილით თქვა მან.—მოხარული ვარ, მოხარული; ძალიან მოხარული ვარ, ძალიან მოხარული.

ჩანდა, როგორი მოხარულიც იყო. მართლა მოხარული მე ვიყავი! შემოვიდა თუ არა, მისი ერთი წარბის შეთამაშება აღარ გამომპარვია. თვალს არ ვაშორებდი. რა ადამიანია? როგორი კაცი დადგა? როგორ ექცევა ნიკოლაი ანტონიჩს, კატიას? აი კატიასთან მივიდა, ლაპარაკი დაუწყო და ყოველი მისი მოძრაობა, ყოველი სიტყვა პატარა გამოცანასავით იყო ჩემთვის, რომელსაც აქვე გამოვიცნობდი ხოლმე და კვლავ დაძაბული ყურადღებით ვადევნებდი თვალს და ვფიქრობდი მასზე.

ახლა, როდესაც ერთად დავინახე ისინი,—ის და კატია,—სასაცილოც კი მომეჩვენა, ისეთი არარაობა იყო იგი კატიასთან შედარებით, ისეთი ულამაზო და ისეთი გულნამცეცა. ძალიან გულდაჯერებულად დაუწყო ლაპარაკი კატიას და მე ჩემთვის გავიფიქრე „მეტისმეტად გულდაჯერებულად ლაპარაკობს მეთქი". მან ხუმრობით რაღაც უთხრა ნინა კაპიტონოვნას. არავის გაუღიმია და მე ჩემთვის გავიფიქრე, „ნიკოლაი ანტონიჩსაც კი".

მათ მაშინვე თავიანთ პროფესიულ საქმეებზე გააბეს ლაპარაკი რომელიღაც დისერტაციის შესახებ, რომელსაც ნიკოლაი ანტონიჩი ცუდ, ხოლო რომაშკა კარგ დისერტაციად თვლიდა.

რასაკვირველია ასე იმიტომ მოიქცნენ, რათა ეგრძნობინებინათ ჩემთვის, რომ მე ყურადღებასაც არ მაქცევდნენ. ამან მე გამახარა კიდეც, ახლა შემეძლო ჩუმად ვმჯდარიყავი, მეცქირა მათთვის, მესმინა და რაზედაც მსურდა მეფიქრა.

„არა,—ვფიქრობდი მე,—ეს წინანდელი რომაშკა არ არის, რომელიც თითქოს ამაყობდა იმით, რომ ნიკოლაი ანტონიჩი ბრძანებლობდა მას, და რომაშოვი სიტყვასაც არ უბრუნებდა.

ახლა რომაშკა მას დაუდევრად ელაპარაკება, თითქმის თავხედურადაც კი, ნიკოლაი ანტონიჩი კი დაღრეჯილი და მოქანცული უპასუხებს. ეს რთული განწყობილებაა და ძალიან არ მოსწონს ნიკოლაი ანტონიჩს. მე მართალი ვიყავი.. ეს დავალება არ იყო. მან ვიშიმირსკის გამოართვა ქაღალდები არა იმისათვის, რომ მოესპო, ეს გააკეთა იმიტომ, რომ ქაღალდები ნიკოლაი ანტონიჩისათვის მიეყიდა, — აი, ეს უფრო საფიქრებელია და ალბათ ბევრიც გამოართვა. ან ჯერ არ მიუყიდია, ევაჭრება".

კატიამ რაღაც მკითხა, მე ვუპასუხე. რომაშკამ, რომელიც ნიკოლაი ანტონიჩს ელაპარაკებოდა, შეწუხებულმა შემოგვხედა და უეცრად ერთმა აზრმა შეუმჩნევლად გამიარა სხვა აზრთა შორის, და თითქოს გვერდზე შეჩერდა, თითქოს იცდიდა, როდის მოვიცლიდი მისთვის. ეს ძალიან უცნაურია, მაგრამ ჭკუასთან ახლოა იმათთვის, ვინც ბავშვობის წლებიდან იცნობდა რომაშკას. მაგრამ ახლა არ შემეძლო ამ აზრს გავყოლოდი, რადგანაც ეს აზრი საშინელი იყო და სჯობდა, ახლა ამაზე არ მეფიქრა. მე თითქოს შორიდან შევხედე მას.

შემდეგ ნიკოლაი ანტონიჩი და რომაშკა რაღაც საქმეზე კაბინეტში გავიდნენ და ჩვენ მარტონი დავრჩით მოხუცებთან, რომელთაგანაც ერთს ყურში არ ეყურებოდა, მეორე კი თავს ისე იჭერდა, ვითომ არ ეყურებოდა.

— კატია, — ხმადაბლა ვუთხარი მე. — ივან პავლიჩმა გთხოვა, ხვალ შვიდ საათზე შეიარო მასთან. მიხვალ?

უხმოდ დამიქნია თავი.

— ხომ არაფერი დავაშავე, რომ მოვედი? ძალიან მინდოდა შენი ნახვა.

კვლავ თავი დამიქნია.

— დაივიწყე, გთხოვ, გუშინწინდელი საღამო. სულ ყველაფერი მართლაც ისე არ არის და საერთოდ ვითომ ჯერ არც კი შევხვედრივართ ერთმანეთს.

კატია უხმოდ მიყურებდა და ვერაფერი გაეგო.

თავი მერვე

ხსოვნას არა ღალატობს

რა აზრი იყო ეს აზრი? მთელი საღამო ვფიქრობდი და ვერც კი გავიგე, როგორ დამეძინა. დილით კი ისეთი გრძნობით გამეღვიძა, თითქოს არცა მძინებია და სულ ფიქრში გავატარე ღამე.

ასე იყო მთელი დღე. ამ ფიქრით წამოვედი ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო სამმართველოში, გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ერთ პოლარულ ჟურნალის რედაქციაში. დროდადრო მავიწყდებოდა ეს აზრი, მაგრამ ეს იმას ჰგავდა, თითქოს მე შესავალთან ვტოვებდი მას, მერე გამოვდიოდი და ისევ ვხვდებოდი, როგორც ძველ ნაცნობს.

მეექვსე საათზე დაღლილმა და გაბრაზებულმა კორაბლიოვამდის მივაღწიე. მე რომ მივედი, მუშაობდა —რვეულებს ასწორებდა. მის გვერდით მაგიდაზე ორი დიდი დასტა ეწყო, სათვალე ეკეთა და კითხულობდა, კალამი მოემარჯვებინა და დროდადრო შეცდომებს შეუბრალებლად უსვამდა ხაზს. არ ვიცი, რა სამუშაო უნდა ჰქონოდა არდადეგების დროს, მაგრამ მაშინაც იცოდა ხოლმე საქმეს გამონახვა.

— ივან პავლიჩ, თქვენ იმუშავეთ, მე კი ცოტა ხანს ვიქნები. კარგი? დავიღალე.

რამდენიმე ხანს სრულ სიჩუმეში ვისხედით, რომელსაც მხოლოდ კალმის წრიპინი და კორაბლიოვის გაჯავრებული ბუტბუტი არღვევდა. წინათ არ შემიმჩნევია, თუ ასეთი ბუტბუტი იცოდა მუშაობის დროს.

— რაო, სანია, როგორ არის საქმეები?

— ივან პავლიჩ, ერთი რამ მინდა გკითხოთ.

— დიდი სიამოვნებით, ბრძანე.

— თქვენ იცით, რომ ვიშიმირსკისთან უკანასკნელ დრომდე დაიარებოდა რომაშოვი?

— ვიცი.

— მერე იცით, რისთვის დადიოდა მასთან?

— ვიცი.

— ივან პავლიჩ,—ვუთხარი საყვედურით.—დამერწმუნეთ, ისევ ვერა გცნობთ. თქვენ იცოდით ასეთი რამ და არაფერი მითხარით.

კორაბლიოვმა სერიოზულად შემომხედა. ამ საღამოს ძალიან სერიოზული იყო. ეტყობა, ცოტათი ღელავდა კატიას მოლოდინში და არ უნდოდა, რომ მე ამას მივმხვდარიყავი.

— სანია, მე სხვაც ბევრი რამ არ მითქვამს შენთვის,—დასძინა მან.—თუმცა შენ ახლა მფრინავი ხარ, მაგრამ ვაითუ მაინც აიღო და უცბად ვისმეს სახეში წიხლი ჩასცხო.

— როდის იყო ეგ! ივან პავლიჩ, საქმე ისაა, რომ მე ერთი აზრი მომივიდა თავში. შესაძლებელია ვცდებოდე, მაგრამ მით უკეთესი, თუ ვცდები.

— ხომ ხედავ, უკვე ღელავ,—მითხრა კორაბლიოვმა.

— მე არა ვღელავ. ივან პავლიჩ, თქვენ ხომ არა ფიქრობთ, რომ რომაშოვს შეეძლო მოეთხოვა ნიკოლაი ანტონიჩისაგან... შეეძლო ეთქვა, რომ ის ხმას არ ამოიღებს, თუ ნიკოლაი ანტონიჩი ხელს შეუწყობს კატიას შერთვაში?

კორაბლიოვმა არაფერი მიპასუხა.

— ივან პავლიჩ!—შევძახე მე.

— ღელავ.

— არა ვღელავ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია; არა, როგორ შეეძლო კატიას მისთვის ამის ფიქრის ნებაც კი მიეცა!

ჩაფიქრებულმა კორაბლიოვმა ოთახში გაიარ-გამოიარა, სათვალე მოიხსნა და მისმა სახემ სევდიანი გამომეტყველება მიიღო, შევნიშნე, რომ რამდენიმეჯერ შეხედა მარია ვასილევნას სურათს, სწორედ იმ სურათს, სადაც ის მარჯნის მძივით არის გადაღებული, სურათს, რომელიც ძველებურად ედგა მაგიდაზე.

— დიახ, კატია,—ნელა თქვა მან.—რომელსაც შენ სრულიად არ იცნობ.

ეს ახალი ამბავი იყო. მე კატიას არ ვიცნობ!

— შენ არ იცი, როგორ ცხოვრობდა ის ამ წლებში. მე კი ვიცი, რადგანაც... მაინტერესებდა.—საჩქაროდ თქვა კორაბლიოვმა,—მით უმეტეს, რომ სხვას მაინცდამაინც არავის აინტერესებდა იგი.

ეს ჩემზე იყო ნათქვამი.

— დედის სიკვდილის შემდეგ ძალიან ნაღვლობდა,—განაგრძობდა კორაბლიოვი—მის გვერდით იყო ადამიანი, რომელიც ისევე ნაღვლობდა, ან შესაძლოა უფრო მეტადაც. შენ იცი, ვისზედაც ვლაპარაკობ.

იგი ნიკოლაი ანტონიჩზე ლაპარაკობდა.

— ძალიან გამოცდილი, ძალიან ღურღუტი ადამიანია,—განაგრძობდა კორაბლიოვი.—საშიში ადამიანი. მაგრამ მას მართლაც მთელი თავისი სიცოცხლე უყვარდა კატიას დედა; მთელი სიცოცხლე—ეს არც ისე უბრალო რამ არის და ამ სიკვდილმა ისინი ძალიან დააახლოვა,—ახლა, გესმის!

პაპიროსი ამოიღო. თითები ოდნავ უკანკალებდა, როდესაც ასანთი გაჰკრა და მერე წყნარად დადო საფერფლეზე.

— და აი გამოჩნდა რომაშოვი,—განაგრძობდა იგი.—უნდა გითხრა, რომ შენ არც იმას იცნობ. ისიც ნიკოლაი ანტონიჩია,

მხოლოდ სხვა ყაიდის. ჯერ ერთი, ენერგიულია, მეორე,—არავითარი მორალი არ გააჩნია,—არც ცუდი, არც კარგი. მესამე,—უნარი აქვს გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმისა, ესე იგი საქმის კაცია. და ეს საქმის კაცი, რომელმაც ძალიან კარგად იცის, რა უნდა მას, ერთ მშვენიერ დღეს გამოცხადდა თავის მასწავლებელთან და მეგობართან და უთხრა: „ნიკოლაი ანტონიჩ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ის გრიგორიევი სავსებით მართალი ყოფილა. თქვენ მართლაც გაგიძარცვავთ კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიცია. გარდა ამისა, თქვენზე კიდევ ბევრი სხვა რამ ირიცხება, ანკეტებში კი არ გიხსენებიათ“... ნინა კაპიტონოვნას გაუგონია ეს საუბარი, მაგრამ ვერ გაიგო, რა მოხდა, და ჩემთან მოირბინა. მე კი გავიგე.

— ჰო,—ვთქვი,—საინტერესოა.

ჩვენ გავჩუმდით.

— შემდეგ რაღა მოხდა?—განაგრძობდა კორაბლიოვი,—შეიძლება შედეგების მიხედვით იმსჯელო. შენ იცნობ ნიკოლაი ანტონიჩს—ის აუჩქარებლად მოქმედობს: ალბათ, ჯერ ნახევრად ხუმრობით იყო ნათქვამი, სხვათა შორის, მერე უფრო სერიოზულად, უფრო ხშირად.

— ივან პავლიჩ, მაგრამ მაინც ხომ ვერ დაიყოლია, ხომ მართალია?

— სანია, სანია, უცნაური კაცი ხარ. რომ დაეყოლიებინა, განა მოგწერდი, ჩამოდი-მეთქი, მაგრამ ვინ იცის, შესაძლოა ბოლოს და ბოლოს მიზნისთვის მიეღწია, როგორც მიაღწია...

მე მივხვდი, რის თქმაც უნდოდა: „როგორც მიაღწია იმას, რომ მარია ვასილევნა მას ცოლად გაჰყვა“.

არ ვიცოდი, დავრჩენილიყავი თუ წავსულიყავი,—უკვე შეიდი საათი იყო და ყოველ წუთში შეეძლო კატიას დაერეკა. უბრალოდ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ფეხის გადადგმა მიჭირდა. გაჩუმებული ვუყურებდი, როგორა სწევდა კორაბლიოვი პაპიროსს, ჭაღარა თავი დაეხარა და გრძელი ფეხები გამოეშოტა. მე ვფიქრობდი, როგორ ძლიერ უყვარდა მარია ვასილევნა, როგორ უმტყუნა ბედმა და როგორი ერთგულია მისი ხსოვნისა—აი ასე გულმოდგინედ რატომ ადევნებდა თვალყურს კატიას ცხოვრებას.

მერე, თითქოს რაღაც მოაგონდა, მითხრა—უკეთესია წახვიდეო.

— ჩემთვის უშენოდ, უფრო მოხერხებული იქნება კატიასთან ლაპარაკი.

გამომაცილა და ჩვენ მეორე დღემდე დავშორდით ერთმანეთს.

ჯერ ისევ დღის სინათლე იყო, როდესაც ქუჩაში გამოვედი, შხე ჩადიოდა და მისი შუქი სადოვოის მეორე მხარეზე მოჩანდა ფანჯრებში.

სადარბაზო კართან ვიდექი და ქუჩას გავცქეროდი—კატია იქიდან უნდა მოსულიყო. ალბათ კარგა ხანს ვიცდიდი, იმიტომ რომ ფანჯრები თანდათან ჩამუქდა. მერე დავინახე იგი, მაგრამ არა იქ, საიდანაც მოველოდი. ორუჟეინის მოსახვევიდან გამოვიდა და ტროტუარზე შეჩერდა, მანქანების გავლას ელოდა. რატომღაც შიშმა შემიპყრო, როდესაც დავინახე, როგორ გადადიოდა ქუჩაზე ჩაფიქრებული, სწორედ იმ კაბაში, რომელიც მაშინ ეცვა, დიდ თეატრთან ოომ შევხვდი. ძალიან სევდიანი იგი ახლა სულ ახლოს იყო, მაგრამ თაყჩაღუნული მიდიოდა და მე ვერა მხედავდა. არც მინდოდა რომ დავენახე, გონებაში სიმხნევე და ყველაფერი კარგი ვუსურვე, რაც ამ წუთში შემეძლო მესურვა, და სადარბაზო კარამდე თვალი გავაყოლე. ის სადარბაზო კარებში გაჰქრა, მაგრამ გონებით მას მივდევდი—მე ვხედავდი, როგორ შეეგება ივან პავლიჩი, რომელიც ღელავს და ცდილობს, დამშვიდებული ეჩვენოს, როგორ დიდხანს და ნერვიულად აკეთებს პაპიროსს თავის გრძელ შუნდშტუკში, ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდეს...

ფანჯრებმა სწრაფად დაიწყო ჩაბნელება და მოწითალო შუქი განაპირა სახლის ორ ნაპირა ფანჯარაშიღა ციალებდა, რომელიც ორუჟეინზე გადიოდა; ამ სახლში ჩემი მოწაფეობის დროს მოსკოვის საბჭოს მხატვრული ქვეგანყოფილება იმყოფებოდა.

მხოლოდ რვა საათი იყო და შინ წასვლა არ მინდოდა. დიდხანს ვიჯექი რომელიღაც სახლის ბაღჩაში; ამ ბაღჩიდან ჩვენი სკოლის სადარბაზო კარი მოჩანდა. რამდენიმეჯერ შევედი ეზოში, რომ მენახა, კორაბლიოვის ბინაში შუქი ხომ არ ანთებულა-მეთქი. მაგრამ ისინი სიბნელეში საუბრობდნენ. ივან პავლიჩი ლაპარაკობდა, კატია კი უსმენდა.

თვალწინ წარმომიდგა სხვა საუბარი, როდესაც ამ ჩაბნელებულ ფანჯრებს გავცქეროდი; მაშინაც ასევე უეცრად წამოდგებოდა და გულხელდაკრეფილი იწყებდა ოთახში სიარულს კორაბლიოვი, რომელიც ადგილს ვერა პოულობდა. მარია ვასილევნა იჯდა წელში გამართული, გაქვავებული სახით და ხანდახან ნაზი ხელით

თმას ისწორებდა. „მონტიჰომო ქორბრეუალავ! მე ოდესღაც ასე ვეძახდი მას“. უკვე გადაფითრებული კი არა რაღაც გადატეტკილი იჯდა ჩვენ წინ და განუწყვეტლივ პაპიროსს სწევდა. ყველგან ფერფლი ეყარა — მის მუხლებზედაც კი. ის იჯდა უძრავად, მშვიდი, მხოლოდ ზოგჯერ ოდნავ მოსწევდა ხოლმე ყელზე გაკეთებულ მარჯნის ხალვათ მძივს, თითქოს ყელში უჭერსო. სიმართლისა ეშინოდა, იმიტომ რომ მისი გადატანა არ შეეძლო. კატიას კი არ ინია სიმართლისა და ყველაფერი კარგად იქნება, როდესაც სიმართლეს გაიგებს.

...უკვე დიდი ხანია აინთო შუქი და ფარდაზე კორაბლიოვის სილუეტსა ვხედავდი. მერე კატია გამოჩნდა მის გვერდით, მაგრამ მალე წავიდა, თითქოს ერთი გრძელი წინადადება უთხრაო.

ახლა ქუჩაში სულ დაბნელდა, კიდევ კარგი, რადგან უკვე უხერხული იყო, რომ ასე დიდხანს ვიჯექი ამ ბაღჩაში და დროდადრო მივრბოდი ფანჯრებისაკენ გასახედად.

უეცრად კატია კარებიდან მარტო გამოვიდა და ნელ ნელა საღოვოის ქუჩას გაჰყვა.

უეჭველია შინ მიდიოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინცდამაინც არ ეჩქარებოდა. შინ მისვლამდე ბევრი ჰქონდა საფიქრებელი. მიდიოდა და ფიქრობდა, მეც უკან მივდევდი, და თითქოს მხოლოდ ჩვენ მივდიოდით ამ უზარმაზარ ქალაქში, სულ მარტონი — კატია და მე, მაგრამ ის ვერა მხედავდა. ტრამვაი გამაყრუებლად ზრიალებდა, მოედანთან მიჭრილი წითელი შუქნიშნით შეჩერებული მანქანები ღრიალებდნენ და მე მომეჩვენა, რომ ძნელია ფიქრი, როდესაც გარშემო ასეთი ჯოჯოხეთური ხმაურობაა. — ვინ იცის, ისეთი რამ მოგივა ფიქრად, რაც სულ არ არის საჭირო! არა ის, რაც ისე საჭიროა ჩემთვის, კატიასა და კაპიტანისათვის — ცოცხალი რომ იყოს ახლა — და მარია ვასილევნასათვის, ისიც რომ ცოცხალი ყოფილიყო. ყველასათვის — ცოცხლებისა და მკვდრებისათვის.

თავი მეცხრე

ყველაფერი გადაწყვეტილია, ის მიემგზავრება

ნომერში უკვე დიდი ხანია დღის სინათლე შემოიჭრა, მაგრამ ლამპის ჩაქრობა დავიწყებოდა და ალბათ იმიტომ იყო, რომ სარკეში ფერმკრთალი მეჩვენა ჩემი თავი. მციოდა და ზურგზე დრო-

ზამოშვებით ეკალს მაყრიდა. ყურმილი ავიღე. დიდხანს არ მაძ-ლევდნენ პასუხს. ბოლოს მიპასუხეს და კატიას ხმა ვიცანი.

— კატია, მე ვარ. ხომ არ შეგაწუხე, რომ ასე ადრიანად და-ვირეკე?

მითხრა არაო, თუმცა ჯერ მხოლოდ რვა საათი იყო.

— ხომ არ გაგაღვიძე?

— არა.

ამ ღამეს ძილი არ მომკარებია და დარწმუნებული ვიყავი, რომ იმასაც თვალი არ მოუხუჭია.

— კატია, შეიძლება მოვიდე?

ცოტა ხანს გაჩუმდა.

— მოდი.

სრულიად უცნობმა, საკმაოდ მსუქანმა, თავზე ქერა ნაწნავებ-შემოხვეულმა ქალმა გამიღო კარები და გაწითლდა, როცა ვკითხე.

— კატია შინ არის?

— შინ გახლავთ.

საითკენღაც გავიწიე, მე თვითონ არ ვიცი საით. მოკლედ— კატიასაკენ, მაგრამ ქალმა ცხვირწინ მიმიკეტა კარები და დაცინვით მითხრა.

— რა ამბავში ხართ, ამხანაგო მეთაურო!

მერე ისე გამაყრუებლად გადაიხარხარა და ისე უმიზეზოდ, რომ ახლა არ მეცნო, უკვე აღარ შეიძლებოდა.

— კირენ!

კატია სასადილო ოთახიდან გამოვიდა სწორედ მაშინ, როცა ჩვენ ჩემოდნების ზემოდან ერთმანეთისკენ გადავდგით ნაბიჯი და კინაღამ ერთმანეთს გადავეხვიეთ, მაგრამ კირენმა მორცხვად უკან დაიხია და მარცხ ხელის ჩამორთმევა შემრჩა.

— კირენი ხართ? საიდან?

— სწორედ ის გახლავართ!—კისკისით მითხრა კირენმა.—მხო-ლოდ თუ შეიძლება კირენს ნუ მეძახით. მე ახლა უკვე ისეთი სუ-ლელი აღარა ვარ.

კვლავ მაგრად ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. ალბათ კატიას-თან ეძინა, რადგან კატიას ხალათი ეცვა, რომელსაც წამდაუწუმ ღილები აწყდებოდა, როცა ბარგს ვაწყობდით. ორი თავახდილი ჩემოდანი დერეფანში იდგა, სასადილო ოთახშიც, ამ ჩემოდ-ნებში ვაწყობდით თეთრეულს, წიგნებს, რაღაც ხელსაწყოებს,— ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კი კატიასი იყო ამ სახლში. ის

მიემგზავრებოდა. სად? მე არ მიკითხავს. ის მიემგზავრება. ყველაფერი გადაწყვეტილია. ის მიემგზავრება.

მე არ მიკითხავს, რადგან ისედაც ვიცოდი ყოველი სიტყვა მისი საუბრისა კორაბლიოვთან, ყოველი სიტყვა, რომელიც მან ნიკოლაი ანტონიჩს უთხრა, როდესაც შინ დაბრუნდა. ნიკოლაი ანტონიჩი ქალაქში არ იყო,—სადღაც ოლქში იყო წასული, მგონი ვოლოკალამსკში, მაგრამ სულ ერთია, მე ყოველი სიტყვა ვიცოდი, რომელსაც კატია ეტყოდა კორაბლიოვისაგან დაბრუნებული, ნიკოლაი ანტონიჩი რომ შინ დახვედროდა.

ის ტრიალებდა მტკიცე გადაწყვეტილებით აღსავსე. გაფითრებული ხმამაღლა ლაპარაკობდა, თადარიგს იძლეოდა. ეს იყო სიმშვიდე თავზარდაცემული ადამიანისა. მე ვგრძნობდი, რომ ახლა არაფერზე არ უნდა მელაპარაკა. მხოლოდ მაგრად ჩამოვართვი ხელი და ორივე ხელზე ვაკოცე, რაზედაც პასუხად ხელი ოდნავ მომიჭირა.

მაგრამ აი ნამდვილად ვინ დაიბნა—მოხუცი ქალი. მან პირქუშად მიმიღო, მხოლოდ თავი დამიქნია და ამაყად ჩამიარა გვერდი. მერე უეცრად დაბრუნდა და შურისძიების გამომხატველი გამომეტყველებით ჩემოდანში რაღაც კაბა ჩატენა.

— ძალიანაც კარგი. მაშ რა? სწორედ ასე უნდა.

ის დიდხანს იჯდა სასადილო ოთახში უსაქმოდ. მხოლოდ ჩვენ გვაძლევდა შენიშვნებს. მერე ადგილიდან მოწყდა და ვითომც აქ არაფერიაო, სამზარეულოში გაქანდა, რომ შინამოსამსახურე დაეტუქსა, რადგან მოსამსახურეს რაღაცა ცოტა ეყიდა.

— ათასჯერ მითქვამს მისთვის: ხედავ ჯიგარია—იყიდე,—მითხრა როცა დაბრუნდა,—ხედავ ბარკალია —იყიდე. „უთქვენოდ როგორ მოვიქცე, არ ვიცი“. არა, რა უნდა იცოდეს? თვითონ ვერაფერს გადაწყვიტავს. ვერ ვიტან მაგათთანებს.

— დიდედა, არაფერი არ არის საჭირო,—უთხრა კატიამ.

— საჭირო არ არის? როგორ თუ საჭირო არ არის! წაიღებდი.

მერე მატერიალური საზრუნავი ავიწყდებოდა და ნელ-ნელა ოხვრას იწყებდა, თახჩიდან მალვით დამამშვიდებელ წვეთებს იღებდა და სვამდა. დროდადრო იქ შეირბენდა ხოლმე, სადაც არავინ იყო, ცდილობდა დამშვიდებულიყო, მაგრამ მას დიდხანს არა ჰყოფნიდა ეს თვითჩაგონება—და კვლავ თახჩასთან უნდა მისულიყო დამამშვიდებელი წვეთების დასალევად...

ბევრი დრო არ დაგვჭირებია კატიას ბარგის ჩასალაგებლად. ბარგი ცოტა ჰქონდა, თუმცა იგი მიდიოდა სახლიდან, სადაც თითქმის მთელი სიცოცხლე გაატარა. აქ ყველაფერი ნიკოლაი ანტონიჩს ეკუთვნოდა. სამაგიეროდ თავისი არაფერი დაუტოვებია — არ უნდოდა, რომ რაიმე დარჩენილ წვრილმანსაც კი მოეგონებინა მისთვის, რომ ის ამ სახლში ცხოვრობდა.

ის მიდიოდა აქედან და თან მისდევდა — მთელი სიყრმე, წერილები, პირველი ნახატები, რომლებიც მარია ვასილიევნასთან ინახებოდა, „ელენე რობინზონი“ და „აღმოჩენათა საუკუნე“, რომელიც მე წასაკითხად გამოვართვი, როცა მესამე კლასში ვიყავი. მეცხრე კლასში სხვა წიგნებს ვართმევდი და, როდესაც იმ წიგნებზე მიდგა ჯერი, დამიძახა და კარი მიაყენა.

— სანია, მინდა ეს წიგნები შენ გაჩუქო, — მითხრა ოდნავ მთრთოლვარე ხმით, — მამაჩემისაა, მე ყოველთვის ძლიერ ვუფრთხილდებოდი ამ წიგნებს, მაგრამ ახლა მინდა შენ გაჩუქო. აქ ნანსენია, სხვადასხვა ლოციები და მისი საკუთარი ლოციებიც.

მერე ნიკოლაი ანტონიჩის კაბინეტში გამიყვანა და კედლიდან კაპიტანის სურათი ჩამოიღო — ფართოშუბლიანი და ცოცხალი ჭრელთვალა მეზღვაურის სურათი, რომელსაც ბაგე მტკიცედ ჰქონდა შეკრული.

— არ მინდა იმას დავუტოვო, — თქვა მტკიცედ. სურათი სასადილო ოთახში გავიტანე და ფრთხილად ჩავდე ბოღჩაში, რომელშიც ბალიშები და საბანი ეწყო.

ეს ერთადერთი ნივთი იყო, რომელიც ნიკოლაი ანტონიჩს ეკუთვნოდა და კატიას მიჰქონდა. რომ შესძლებოდა, თვით კაპიტანის ხსოვნასაც კი წაიღებდა ამ საზიზღარი სახლიდან.

არ ვიცი, ვის ეკუთვნოდა პატარა საზღვაო კომპასი, რომელმაც ოდესღაც ისე განმაცვიფრა, — კატიას ჩუმად ისიც ჩემოდანში ჩავდე, ყოველ შემთხვევაში, ის კაპიტანს ეკუთვნოდა.

ეს იყო და ეს. ალბათ ეს ყველაზე გამოყრუებული ადგილი იყო ახლა მთელ ქვეყანაზე, როდესაც ბარგის ჩალაგებას მოვრჩით, პალტოები ავიღეთ და დერეფანში ნინა კაპიტონოვნას ვეთხოვებოდით. ის აქა რჩებოდა, მაგრამ ცოტა ხნით — ვიდრე კატია არ ვადავიდოდა იმ ოთახში, რომელსაც ინსტიტუტი სთავაზობდა.

— ცოტა ხნითა ვრჩები, — დიდი ამბით თქვა მოხუცებულმა, ტირილი დაიწყო და კატიას აკოცა.

კირამ კიბეზე ფეხი რაღაცას წამოსდო და ჩემოდანზე დაჯდა,

რომ არ ჩაგორებულიყო, და ახარხარდა. კატიამ გაჯავრებით უთხრა: „კირკა, სულელო!“ მე კი უკან მივდევდი ამათ და თითქოს ვხედავდი, როგორ ამოდის ამ კიბეზე ნიკოლაი ანტონიჩი, აი ზარს რეკავს და უსიტყვოდ უსმენს, რას ეუბნება მოხუცი ქალი. ათრთოლებულ ხელს მელოტ თავზე ისვამს, ფეხებს უაზროდ ადგამს, თითქოს ეშინია არ წაიქცეს, და თავის კაბინეტში შედის. მარტოდმარტოა გამოცარიელებულ სახლში.

ის გრძნობს, რომ კატია არასოდეს აღარ დაბრუნდება.

თავი მეათე

სივცევ-ვრაჟეკზე

აქამდე ეს ჩვეულებრივი მოსკოვური მიბრეცილ-მობრეცილი სობაჩი მოედნის მსგავსი შესახვევი იყო, სადაც ოდესღაც პეტკა ცხოვრობდა. მაგრამ გადმოვიდა თუ არა კატია სივცევ-ვრაჟეკზე, ის საოცრად შეიცვალა. ის გადაიქცა სწორედ იმ შესახვევად, სადაც კატია ცხოვრობდა და ამიტომ ოდნავადაც არა ჰგავდა მოსკოვის ყველა სხვა შესახვევებს. თვით სახელიც კი, რომელიც ყოველთვის სასაცილოდ მეჩვენებოდა, ახლა როგორღაც მნიშვნელოვანი და „კატიასეული“ გახდა, როგორც ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული...

ყოველ დღე მივდიოდი სივცევ-ვრაჟეკზე, კატია და კირა ჯერ შინ არ იყვნენ ხოლმე მოსულები, მე კირას დედა მხვდებოდა და ლაპარაკით მართობდა. ეს მშვენიერი დედა იყო, არტისტი-დეკლამატორი. მოსკოვის კლუბებში გამოდიოდა და კლასიკურ ნაწარმოებებს კითხულობდა, ტანმორჩილი, ჭაღარაშერეთული რომანტიკული ქალი—კირას სულაც არა ჰგავდა. ყველაფერზე რაღაც აღტაცებით ლაპარაკობდა, მაშინვე შეატყობდით, რომ გაგიჟებით უყვარდა ლიტერატურა. არც ამითი ჰგავდა კირას, მეტადრე თუ გავიხსენებთ, რა ტანჯვით დასძლია ოდესღაც „დუბროვსკი“ და როგორ იყო დარწმუნებული, რომ საბოლოოდ „მაშა დუბროვსკიზე გათხოვდა“.

მე და ეს დედა ზოგჯერ ორ-ორი საათი ვლაპარაკობდით ხოლმე. სამწუხაროდ, სულ ვიღაცა ვარვარა რაბინოვიჩზე. ისიც დეკლამატორი იყო, მაგრამ განთქმული, რომელთანაც კირას დედა გაკვეთილების აღებას აპირებდა, მერე გადაიფიქრა, რადგანაც ვარვარამ „ცხვირაწეულმა“ მიიღო იგი.

მერე კირა გამოჩნდებოდა—და ყოველთვის ერთსა და იგივეს ამბობდა:

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ისევ მარტონი ხართ, სიბნელეში, საინტერესოა, საინტერესო... მე პირდაპირ ვკანკალებ დედაჩემის გამო,— ტრაღიკულად ამბობდა ის.—მას შეუყვარდი, სანია. დედიკო, რა დაგემართა? ასეთი გატაცება სიბერეში! მეშინია, ცუდად არ დაბოლოვდეს.

როგორც ყოველთვის, დედას სწყინდა ეს და სამზარეულოში გადიოდა. კირა კი ფეხების ტყაპატყუპით უკან მისდევდა, რომ გაეგებინებინა—რად უთხრა ასე და ეკოცნა.

მერე მოდიოდა კატია. ივან პავლიჩი მართალი ყოფილა—თურმე მე არ ვიცნობდი აქამდე. არაფერს ნიშნავდა ის, რომ მე მისი ცხოვრების ბევრი ფაქტი არ ვიცოდი, რომ შარშან, მაგალითად, მისმა პარტიამ (ის პარტიის უფროსად მუშაობდა) სამხრეთ ურალში მდიდარი ოქროს საბადოები აღმოაჩინა, ან რომ ფოტომოყვარულთა გამოფენაზე მისმა სურათებმა პირველი ადგილი დაიკავა. არ ვიცოდი, რა სულიერი სიმტკიცისა იყო, როგორი პირდაპირი, რა სამართლიანად და ჭკვიანურად უდგებოდა ცხოვრებას.—ყველაფერი, რასაც კორაბლიოვმა ასე კარგად „დინჯი, დარბაისელი სული“ უწოდა. ისე მეგონა, რომ ის ჩემზე ბევრად უფროსია, მეტადრე, როდესაც ხელოვნებაზე იწყებდა ლაპარაკს, რასაც უკანასკნელ წლებში ძალიან ჩამოვრჩი. მაგრამ უეცრად მასში წინანდელი კატკა გამოკრთებოდა ხოლმე, აფეთქებებით გატაცებული და გულის სიღრმემდე შეძრწუნებული მით, რომ „ტლაკსკალანტების“ კეთილი სურვილებით თანხლებული ფერდინანდ კორტესი სალაშქროდ წავიდა და რამდენიმე დღის შემდეგ გონოლულუში შევიდა. ფერდინანდ კორტესი მომაგონდა, როცა ერთ ერთ ფოტოსურათზე კატია ცხენზე დავინახე, შარვალში და ჩექმებში გამოწყობილი, მხარზე გადაკიდებული კარაბინით, განიერ ფარფლებიანი ქუდით, გეოლოგი-მაძიებელი! კმაყოფილი იქნებოდა კაპიტანი, ეს ფოტო რომ ენახა.

ასე გავიდა რამდენიმე დღე, ჩვენ ჯერ არ გველაპარაკა იმის შესახებ, რაც ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მოხდა. თუმც იმდენი რამ მოხდა, რომ სალაპარაკოდ მგონი მთელი სიცოცხლე გვეყოფოდა. ჩვენ თითქოს ვგრძნობდით, რომ ჯერ კარგად უნდა მოგვეგონებინა ერთმანეთი. არც ერთი სიტყვა ნიკოლაი ანტონიჩის, რომაშოვის შესახებ, იმის შესახებ, რომ მე დამნაშავე

ვარ მის წინაშე. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, რადგანაც მოხუცი ქალი თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა სივცევ-ვრაჟეკზე.

ჯერ სადღესასწაულოდ მორთული მოდიოდა, ცერემონიული, პუპპუჭებიან კაბაში გამოპრანჭული და ერთთავად ისტორიებს გვიამბობდა. ეს მაშინ იყო, როდესაც ნიკოლაი ანტონიჩი ჯერ არ დაბრუნებულიყო. ასე გვიამბო თავის მეგობარ ქალზე, რომელიც „გაკრეჭილ ხუცესს“ მისთხოვდა, როგორ გამდიდრდა ეს ხუცესი და ამბიონზე როგორ გამოვიდა და თქვა: „მოქალაქენო, იმ რწმენამდის მიეედი, რომ ღმერთი არ არსებობსო“. არ ვიცი, რისთვის გვიამბო ეს — ალბათ მოხუცი ქალი რაღაც მსგავსებას პოულობდა ნიკოლაი ანტონიჩსა და იმ ხუცესს შორის.

მაგრამ ერთხელ ცუდ გუნებაზე მოირბინა და ჩურჩულით გვითხრა: „ჩამოვიდაო“.

და მაშინვე ისა და კატია ჩაიკეტნენ. წასვლის დროს გაჯავრებით უთხრა.

— ადამიანებთან ცხოვრების ტაქტიკა უნდა გქონდეს.

მაგრამ კატიას არაფერი უპასუხნია, მხოლოდ ჩაფიქრებულმა უსიტყვოდ აკოცა გამომშვიდობების დროს.

მეორე დღეს მოხუცი ქალი ნამტირალევი და მოქანცული მოვიდა ქოლგით ხელში და დერეფანში დაჯდა.

— ავად გახდა, — გვითხრა მან, — ექიმი მოვუყვანე. გომეოპატი. მან კი გააგდო. ამბობს: „მე მას მთელი სიცოცხლე შევწირე და აი რით გადამიხადა“.

მან ამოისლუკუნა.

— „ეს იყო უკანასკნელი, რაც ცხოვრებასთან მაკავშირებდა. ახლა — ჩემთვის ყველაფერი გათავდაო“ და სხვა ასეთი.

ალბათ არ გათავდა, რადგან ნიკოლაი ანტონიჩი გამოკეთდა, თუმცა ძლიერმა გულის შეტევამ მართლაც რამდენიმე დღით ჩააწვინა ლოგინში. კატია დაიბარა. მაგრამ ის არ წავიდა. მე გავიგონე, როგორ უთხრა ნინა კაპიტონოვნას.

— დიდედა, გინდ ავად იყოს, გინდ კარგად, გინდ ცოცხალი და გინდ მკვდარი, მე მისი ნახვა არ მინდა. გაიგე?

— გავიგე, — უპასუხა ნინა კაპიტონოვნამ. — მამაც ასეთი ჰყავდა, — წასვლის დროს შესჩიოდა კირას დედას. — ვერ გასტეხავ, გინდ მატარებლის ქვეშ ჩააგდო. ფანატიკურია.

მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩი მოკეთდა და მოხუცი ქალიც გამხიარულდა. ახლა ზოგჯერ დღეში ორჯერ შემოირბენდა ხოლმე —

ამგვარად ჩვენ სულ ახალ-ახალი ამბები ვიცოდით ნიკოლაი ანტონიჩისა და რომაშკას შესახებ. თუმც რომაშკა ერთხელ კატიამაც ახსენა.

— ჩემთან შემოიარა სამსახურში,—მოკლედ თქვა მან,—მაგრამ ვთხოვე გადაეცათ, რომ მე დრო არა მაქვს და არც არასოდეს მექნება.

— ...წერილსა სწერენ,—გვაცნობა ერთხელ მოხუცმა.—სულ მფრინავი გ., მფრინავი გ. დაბეზღებაა ალბათ. პირდაპირ მოთმინებიდან გამოდის—ხუცესის შვილი. ნიკოლაი ანტონიჩი კი სდუმს. მთლად გასივდა, ზის ჩემ შალში გახვეული და სდუმს...

რამდენჯერმე ვალია მოვიდა სივცევ-ვრაჟეკზე და, როცა ის მოვიდოდა ხოლმე, ყველა თავს ანებებდა თავის საქმეს და უყურებდნენ, კირას როგორ ეარშიყებოდა. იგი მართლაც ეარშიყებოდა, როგორც წესი და ადათი მოითხოვს, თან სრული დარწმუნებული იყო, რომ ამის შესახებ ეჭვიც არავისა ჰქონდა.

ქოთნებით ყვავილები მოჰქონდა—ყოველთვის ერთნაირი, და კირას ოთახი ჩაის ვარდებისა და პრიმულების პატარა სათბურად გადაიქცა. მე და კატიას, მგონი, რაღაც ბურანში გვხედავდა, ცხადად მხოლოდ კირას და ზოგჯერ კირას დედას, რომლისთვისაც აგრეთვე მოჰქონდა საჩუქრები.—ერთხელ 1917 წ. გამოცემული „სალიტერატურო კრებული“ მოუტანა.

დროგამოშვებით გამოერკვეოდა და რაიმე თავისშესაქცევ ამბავს გვიამბობდა მიწის კურდღლების ან ღამურების ცხოვრებიდან.

კარგია, რომ კირას გაცინება ძნელი არ იყო.

ასე გადიოდა სივცევ-ვრაჟეკზე ეს საღამოები—უკანასკნელი საღამოები ჩემ ჩრდილოეთში გამგზავრებამდე.

ბევრი საქმე მქონდა: არ შეიძლება ითქვას, რომ ჩემს წინადადებას კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიციის ძიების მოწყობის შესახებ დიდი აღტაცებით შეხვდნენ. თუ მე მოვკიდე უტვინოდ ხელი ამ საქმეს?

რამდენიმე წერილი დავწერე: ქარბუქის დროს თვითმფრინავის დამაგრების ჩემი ხერხის შესახებ—ჟურნალ „სამოქალაქო ავიაციაში“, შტურმანის დღიურების შესახებ—„პრავდისათვის“ და მოხსენებითი ბარათი ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოსათვის. რამდენიმე დღის შემდეგ, სწორედ ჩემი გამგზავრების წინა დღით, ჩემი ძირითადი მოხსენებით უნდა გამოვსულიყავი

„წმ. მარიამის“ დრეიფის შესახებ გეოგრაფიული საზოგადოების გამსვლელ სესიაზე.

ერთხელ ღამის პირველ საათზე დავბრუნდი ძალიან მხიარული. პორტიესთან მივედი გასაღებისათვის და მან მითხრა.

— თქვენთან წერილია.

წერილი ძალიან მოკლე იყო: გეოგრაფიული საზოგადოების მდივანი მაცნობებდა, რომ თქვენი მოხსენება არ შესდგება, რადგანაც თავის დროზე არ წარმოადგინეთ წერილობითი სახითო. ხელში ავიღე თუ არა გაზეთი, თვითონვე გადაიშალა ნაკეცზე. წერილის სათაური იყო: „მეცნიერის დაცვისათვის“. კითხვა დავიწყე და სტრიქონები ერთმანეთში აირია.

თავი მეთერთმეტე

დავიდარაბის დღე

აი რა ეწერა ამ წერილში:

1. რომ მოსკოვში ცხოვრობს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პროფესორი ნ. ა. ტატარინოვი, არქტიკის დაპყრობისა და ათვისების ისტორიის რამდენიმე წერილის ავტორი.

2. რომ ვინმე მფრინავი გ. დადის სხვადასხვა პოლარულ დაწესებულებებში და ყოველნაირად უტეხავს სახელს ამ პატივცემულ მეცნიერს, ამტკიცებს რა, რომ პროფესორმა ტატარინოვმა გაძარცვა (!) თავისი ბიძაშვილის—კაპიტან ი. ლ. ტატარინოვის ექსპედიცია.

3. რომ ეს მფრინავი გ. გამოსვლასაც კი აპირებს მოხსენებით, რადგანაც თავის ცილისმწამებლური მოხსენება, ალბათ, დიდ მეცნიერულ მიღწევად მიაჩნია.

4. რომ ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს მართებს ყურადღება მიაქციოს ამ ადამიანს, რომელიც თავისი მოქმედებით ჩირქსა სცხებს საბჭოთა პოლარელების ოჯახს.

წერილს ხელს აწერდა „ი. კრილოვი“, მე გამიკვირდა, სინდისი როგორ ეყო რედაქციას, ასეთი წერილისათვის ამ დიდი ადამიანის გვარი მოეწერა. ეტვი არ მეპარებოდა, რომ ეს წერილი თვითონ ნიკოლაი ანტონიჩმა დაწერა. ეს სწორედ ის „წერილი“ იყო, რომლის შესახებაც მოხუცი ქალი ლაპარაკობდა. გაზეთი ფოსტით იყო გამოგზავნილი ჩემს სახელზე.

ღმერთმა დასწყევლოს, იმის დაწერილი რომ არ იყოს?—უკვე

მესამე საათი იყო, მე კი ისევ ბოლთასა ვცემდი და ვფიქრობდი.— „წერილი გეოგრაფიული საზოგადოებიდან—ეჭვს გარეშეა ეს მისი დაწერილია. ჯერ ისევ კორაბლიოვი ამბობდა, რომ ნიკოლაი ანტონიჩი ამ საზოგადოების წევრია და მეჩხუბა, რად უამბე რომაშკას მოხსენების შესახებაო, წერილიც მისია! მან თავგზა დაჰკარგა. კატია წამოვიდა სახლიდან და მან თავგზა დაჰკარგა“.

მე წარმომიდგა, როგორა ზის იგი მოხუცი ქალის შალში გახვეული და სდუმს. რომაშკა კი უხეშად ელაპარაკება. ეს იმისგან მოსალოდნელი იყო.

„...ყველაზე ნაკლებად ის უნდა სდომოდათ, რომ მე ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოში გამოვეძახე და ჩემთვის ახსნა-განმარტება მოეთხოვათ! სწორედ ამის მიღწევას ვცდილობდი“. ამაზე ვფიქრობდი, როდესაც უკვე ლოგინში ვიწექი. „თავის მოქმედებით ჩირქსა სცხებს“... რომელი მოქმედებით? ჯერ არავისთან მილაპარაკია ნიკოლაი ანტონიჩის შესახებ. იმათ იმედი აქვთ, რომ უკან დავიხევ, შემეშინდება...

იქნება ისე წავსულიყავი მოსკოვიდან, რომ კაპიტანისათვის არაფერიც არ გამეკეთებინა, ეს წერილი რომ არ მიმეღო. მაგრამ წერილმა წამაქეზა. ახლა უნდა მემოქმედნა—და რაც უფრო ადრე, მით უკეთესი იქნებოდა.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მაშინ ასევე დამშვიდებული ვიყავი, როგორც ახლა ვარ, როცა ამას ვიგონებ. ჩემი თავი რამდენჯერმე საკმარისად უცნაურ აზრზე დავიჭირე, რომელშიაც სხვათა შორის, მშვენივრად ერკვევა სისხლის სამართლის ძიება. მაგრამ საკმარისი იყო, მოჰგონებოდა კატია და მისი სიტყვები: „გინდ ავად იყოს, გინდ კარგად, გინდ ცოცხალი, გინდ მკვდარი, მე მისი ნახვა აღარ მინდაო“, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა და მე თვითონ მაკვირვებდა ჩემი სიმშვიდე.

დილიდანვე დასახული მქონდა გეგმა—ძალიან მარტივი, მაგრამ, მგონი, სწორედ ამ გეგმიდან ჩანს, რომ მე უკვე მომწყინდა საქმისმწარმოებლებთან და მდივნებთან ლაპარაკი:

1. წავიდე „პრავდაში“. სულ ერთია, „პრავდაში“ მაინც უნდა მივსულიყავი და წასვლის წინ დაპირებული წერილი ჩამებარებინა.

2. წავიდე ჩ-თან.

ეს აზრი—ჩ-თან წასვლა, ცნობილ ჩ-თან, რომელიც ოდესღაც ლენინგრადის სკოლის გმირი იყო, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის

ვმირი გახდა, რომელსაც მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს და რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანას უყვარს,—ეს აზრი ღამე მომივიდა, მაგრამ მაშინ მეტისმეტად გაბედული მომეჩვენა. უხერხული არ არის დარეკვა? ჩვენ ხომ მაშინ დავშორდით ერთმანეთს, როდესაც მე საფრენოსნო სკოლის მოსწავლე ვიყავი!

მაგრამ არა, იგი მიღებაზე უარს არ მეტყვის, თუნდაც არ ვახსოვდე.

არ ვიცი, ტელეფონთან ვინ მოვიდა, ალბათ, ცოლი.

— მფრინავი გრიგორიევი გელაპარაკებათ.

— დიახ.

— საქმე ისაა, რომ ჩემთვის მეტად საჭიროა ამხ. ჩ-ს ნახვა,— სახელითა და მამის სახელით მოვიხსენიე,—მე ზაპოლარიედან ჩამოვედი და... ძალიან მესაჭიროება.

— მაშ შემოიარეთ.

— როდის?

— სჯობია დღეს, ათ საათზე მოვა აეროდრომიდან...

„პრავდაში“ წავედი და ამჯერად ასე ორი საათი ვუცადე ჩემს ჟურნალისტს. ბოლოს როგორც იყო მოვიდა.

— ოჰ, მფრინავი გ...?—მომმართა მან საკმაოდ გულთბილად,— რომელიც სახელს უტეხს?

— სწორედ ის გახლავთ.

— მერე რა მოხდა?

— ნება მომეცით, აგიხსნათ,—ვუთხარი მე მშვიდად.

ეს ძალიან სერიოზული ლაპარაკი იყო პასუხისმგებელი რედაქტორის კაბინეტში, ლაპარაკი, რომლის დროსაც მაგიდაზე რიგის მიხედვით დავაწყე:

ა) კაპიტანის უკანასკნელი წერილი (ასლი).

ბ) შტურმანის წერილი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ვეშურები გაცნობოთ, რომ ივან ლვოვიჩი კარგად და ჯანმრთელად არის“ (ასლი).

გ) შტურმანის დღიურები.

დ) ექიმის მიერ შემოწმებული მონადირე ივანე ვილკას ნაამბობის ჩანაწერი.

ე) კორაბლიოვის მიერ შემოწმებული ვიშიმირსკის ნაამბობის ჩანაწერი.

ვ) თითბრის ბარჯის ფოტოსურათი წარწერით: ხომალდი „წმ. მარიამი“.

მგონი, ეს კარგი საუბარი იყო, რადგან ერთმა დარბაისელმა კაცმა ხელი მაგრად ჩამომართვა. მეორემ კი მითხრა, რომ „პრავდას“ ერთ-ერთ უახლოეს ნომერში დაიბეჭდება თქვენი წერილი „წმ. მარიამის“ დრეიფის შესახებ“-ო.

„პრავდას“ რედაქციიდან ჩ-ს ბინამდე სულ ცოტა ექვსი კილომეტრი იქნებოდა, მაგრამ მე მხოლოდ შუა გზაზე მომაგონდა, რომ შეიძლებოდა ტრამვაით წავსულიყავი. გიჟივით მივქროდი და ვფიქრობდი, როგორ ვუამბობდი ახლა ამ საუბარს.

აი კიბეზე ავდივარ, ახალი სახლის სუფთა კიბეზე, კარების წინ ვჩერდები და პირისახეს ვიწმენდავ, ძალიან ცხელა და ვცდილობ, დამშვიდებულად სხვა რამეზე ვიფიქრო. უტყუარი საშუალება, რომ არ იღელვო.

კარი იღება, ჩემს ვინაობას ვეუბნები და მეზობელ ოთახიდან მესმის მისი დაბალი ხმა.

— ჩემთან არის?

და აი ის ადამიანი, რომელიც ჩვენ სიყრმეში შევიყვარეთ, წლიდან წლამდე თვალით ვერა ვხედავდით, მხოლოდ გვესმოდა მისი გენიალური გაფრენების ამბავი, რომელსაც წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო მეტად ვიყვარებდით, გამოდის ჩემთან და მიწოდებს ლონიერ ხელს.

— ამხანაგო ჩ. — ვეუბნები და სახელითა და მამის სახელით მივმართავ, — ალბათ, არც კი გახსოვართ. გრიგორიევი გელაპარაკებით. ესე იგი კი არ გელაპარაკებით, არამედ, უბრალოდ, გრიგორიევი ვარ. ჩვენ ლენინგრადში ვხვდებოდით ერთმანეთს, მაშინ მე საფრენოსნო სკოლის მოსწავლე ვიყავი.

იგი სდუმს. მერე სიამოვნებით მეუბნება:

— როგორ არა! არწივი იყავი! მახსოვს!

ჩვენ მის კაბინეტში შევდივართ. მე ჩემ ამბავს ვიწყებ და, რაკი ვახსოვარ, უფრო მეტად ვღელავ...

სწორედ მაშინ მაჩუქა თავისი სურათი წარწერით: „თუ ყოფნაა — უნდა იყო საუკეთესო“. მან მითხრა, რომ მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომელნიც შორეული მოგზაურობისათვის არიან დაბადებულნი. მომისმინა და აღმითქვა, რომ მეორე დღესვე დაურეკავდა ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსს ჩემი პროექტის შესახებ.

რ ო მ ა შ კ ა

ღამის მეთორმეტე საათზე ჩ-ს გამოვეთხოვე და შინ დავბრუნდი. გვიან იყო, მაგრამ მე სტუმარი მელოდა—მართალია დაუპატიჟებელი, მაგრამ მაინც სტუმარი.

პორტიემ მითხრა:

— თქვენთან არიან.

და ჩემს შესაგებებლად რომაშკა წამოდგა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ის არა მარტო სულით, ხორციოთაც მომზადებულიყო ამ დარბაზობისათვის, ასე საუცხოოდ ჩაცმული ჯერ არ მენახა. რაღაც განიერი ფოლადისფერი პალტო ეცვა და ფარფლებიანი ქუდი ეხურა, რომელიც კი არ ეხურა, არამედ ედგა დიდ უსწორმასწორო თავზე. ოდეკოლონის სურნელება ასდიოდა.

— ო, რომაშკა,—ვუთხარი მხიარულად,—გამარჯობა, ბუ.

მგონი თავზარი დაეცა ასეთი მისალმების გაგონებაზე.

— ოჰ, ჰო, ბუ,—ღიმილით მითხრა მან.—სულმთლად დამავიწყდა, რომ სკოლაში ასე მეძახდნენ. მაგრამ საკვირველია, როგორ გახსოვს სკოლის მეტსახელები!

ისიც ცდილობდა თავისუფლად ელაპარაკა.

— მე, ძმაო, ყველაფერი მახსოვს. ჩემთან მოხვედი?

— თუ დაკავებული არა ხარ.

— ოდნავადაც არა,—ვუთხარი მე.—საქმე არაფერი მაქვს.

ლიფტში ყურადღებით მიცქეროდა, როგორც ეტყობა, ვარაუდობდა, მთვრალი თუ ვიყავი, რა სარგებლობის მიღება შეეძლო აქედან. მაგრამ მთვრალი არ ვიყავი. მხოლოდ ერთი ჭიქა ღვინო მქონდა დალეული, დიდი მფრინავისა და ჩემი უფროსი მეგობრის სადღეგრძელო...

— აი თურმე სადა ცხოვრობ,—შენიშნა მან, როდესაც ზრდილობიანად სავარძელი შევთავაზე.—კარგი ნომერია.

— არა უშავს რა.

მე ველოდი, რომ საცაა მკითხავდა, რას ვიხდიდი ნომერში. მაგრამ არ უკითხავს.

— საერთოდ ეს კარგი სასტუმროა,—„მეტროპოლს“ არ ჩამოუვარდება.

— შეიძლება.

იმედი ჰქონდა, რომ პირველი მე დავიწყებდი ლაპარაკს. მაგრამ მე ფეხი ფეხზე შემოდებული ვიჯექი, პაპიროსს ვაბოლებდი და დიდი ყურადღებით ვეცნობოდი „წესებს ჩამოსულთათვის", რომელიც შუშის ქვეშ იდო მაგიდაზე. მაშინ მან საკმაოდ მოურიდებლად ამოიოხრა და დაიწყო.

— სანია, ჩვენ ბევრ რამეზე უნდა მოვილაპარაკოთ.—მითხრა სერიოზულად.—ჩვენ საკმარისად კულტურული ადამიანები ვართ. და არ გაგვიჭირდება მშვიდობიანი გზით მოვითათბიროთ და გადავწყვიტოთ ყველაფერი. ხომ ასეა?

ეტყობა, ჯერ არ დავიწყებოდა, ერთხელ როგორ არა სავსებით მშვიდობიანი გზით გადავწყვიტე „ყველაფერი ეს," მაგრამ თანდათან სულ უფრო რიხიანად ლაპარაკობდა.

— არ ვიცი, რა უშუალო მიზეზებმა აიძულეს კატია უეცრად წასულიყო სახლიდან, მაგრამ მე უფლება მაქვს ვიკითხო, შენ გამოჩენასთან ხომ არ არის დაკავშირებული ეს მიზეზები?

— ამის შესახებ კატიასთვის უნდა გეკითხა,—ვუპასუხე მე მშვიდად.

იგი გაჩუმდა. ყურები აეწვა და თვალები უეცრად ცოფიანივით გაუხდა, შუბლზე ნაოჭები გაეშალა. მე ინტერესით ვუყურებდი...

— მაგრამ გავიგე,—დაიწყო კვლავ ოდნავ ჩამწყდარი ხმით,—რომ თქვენ ერთად წახვედით.

— სრული სიმართლეა. მე ბარგის ჩალაგებაც კი ეუშველე.

— ჰო,—თქვა მან ჩახრინწული ხმით. ახლა ერთი თვალი თითქმის დახუჭული ჰქონდა, მეორეს კი აელმებდა—საკმაოდ საშინელი სურათი იყო. ასეთ რომაშკას პირველად ვხედავდი.

— ჰო,—კვლავ გაიმეორა მან.

— დიახ, ჰო.

— ჰო.

ჩვენ გავჩუმდით.

— მონისმინე,—კვლავ დაიწყო მან.—კორაბლიოვის იუბილეზე ლაპარაკი ვერ დავამთავრეთ. უნდა გითხრა, რომ საერთოდ ვიცი „წმ. მარიამის" ექსპედიციის ისტორია. მეც მაინტერესებდა იგი, ისევე როგორც შენ, მაგრამ ერთგვარად სხვა თვალსაზრისით.

მე არაფერი არ მიპასუხია. ჩემთვის ცნობილი იყო ეს თვალსაზრისი.

— სხვათა შორის, შენ მგონი გინდოდა გაგეგო, რა როლს თამაშობდა ამ ისტორიაში ნიკოლაი ანტონიჩი. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ლაპარაკის მიხედვით მე ასე შემეძლო მემსჯელა.

მას შეეძლო ემსჯელა ამის შესახებ არა მარტო ჩვენი ლაპარაკის მიხედვით. მაგრამ არაფერი მიპასუხია. ჯერ არ ვიცოდი, საით უმიზნებდა.

— ვფიქრობ, რომ ამ საქმეში შენთვის კარგი სამსახურის გაწევა შემიძლია.

— მართლა?

— ჰო.

ის უეცრად ჩემკენ გამოექანა და მე ინსტინქტურად წამოვხტი და სავარძლის უკან დავდექი.

— მომისმინე, მომისმინე,—წაიბუტბუტა მან,—მის შესახებ ისეთი რამეები ვიცი! ისეთი რამ ვიცი! ისეთი საბუთები მაქვს, რისგანაც მას ხეირი არ დაეყრება, თუ საქმეს მარჯვედ მოჰკიდებ ხელს. როგორა გგონია—ვინ არის?

სამჯერ გაიმეორა ეს წინადადება და ისე მომიახლოვდა, რომ თითქვის ზედ მომეკრა, იძულებული ვიყავი მხრებში ხელი წამევლო და ოდნავ უკან გამეწია, მაგრამ მან ვერც კი შეამჩნია.

— ისეთი რამეები, რაც თვითონ მასაც არ ახსოვს,—განაგრძობდა რომაშკა,—საბუთები მაქვს.

რასაკვირველია, ვიშიმირსკისაგან გამორთმეულ ქაღალდებზე ლაპარაკობდა.

— მე ვიცი, რად წაიჩხუბეთ. შენ ეუბნებოდი, ექსპედიცია გაძარცვეო, და მან სახლიდან გამოგაგდო. მაგრამ ეს—მართალია. შენ მართალი გამოდექი.

მეორედ ვისმენდი ამ აღიარებას, მაგრამ ახლა ამან ნაკლები სიამოვნება მომგვარა. მხოლოდ ფარისევლური განცვიფრებით ვთქვი.

— არა, რას ამბობ?

— ასეა!—რაღაც ბილწი აღტაცებით გაიმეორა რომაშკამ.—მე, შენ გიშველი. მე ყველაფერს მოგცემ, ყველა დასამტკიცებელ საბუთებს. ჩვენ მას გადავაყირავებთ.

უნდა გავჩუმებულიყავი, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და ვკითხე.

— რამდენად?

ის გონს მოვიდა.

— როგორც გინდა, ისე მიიღე,—თქვა მან,—მაგრამ მხოლოდ ერთსა გთხოვ—წახვიდე!

— მარტო?

— ჰო.

— უკატიაოდ?

— ჰო.

— საინტერესოა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შენ მთხოვ, მასზე უარი ვთქვა?

— მე იგი მიყვარს. — მიპასუხა თითქმის ამპარტავნულად.

— ოჰო, შენ იგი გიყვარს. ეს საინტერესოა. და რომ ჩვენ ერთმანეთთან მიწერ-მოწერა არ ვიქონიოთ, არა?

ის სდუმდა.

— მოიცა ერთი წუთი, ახლავე მოვალ, — ვუთხარი მე და გამოვედი.

სართულის მორიგე ვესტიბიულში მაგიდასთან იჯდა; ნებართვა ვთხოვე, ტელეფონით დამერეკა, და, ვიდრე ელაპარაკობდი, სულ დერეფანს გავცქეროდი, რომაშკა არ წავიდეს-მეთქი. მაგრამ ის არ წასულა — აზრად კი მოუვიდოდა, ვის ვურეკავდი?

— ნიკოლაი ანტონიჩი ხართ? გრიგორიევი გელაპარაკებათ. — ის განმეორებით შემეკითხა, ალბათ იფიქრა, ყურმა მომატყუაო. — ნიკოლაი ანტონიჩ, — ვუთხარი ზრდილობიანად, მაპატიეთ, რომ ასე გვიან გაწუხებთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩემთვის აუცილებელია. გნახოთ.

იგი სდუმდა.

— თუ ასეა, ჩემთან მოდით, — მითხრა მან ბოლოს.

— როგორც იტყვიან ხოლმე, ანგარიშს ნუ გაუწევთ, ვინ ვისთან მივა. დამიჯერეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და იმდენად ჩემთვის არა, რამდენადაც თქვენთვის.

ის სდუმდა, მე მისი სუნთქვა მესმოდა.

— როდის? დღეს არ მოვალ.

— არა, სწორედ დღეს უნდა მობრძანდეთ. ახლავე. ნიკოლაი ანტონიჩ, — ვუთხარი მე ხმამაღლა, — თქვენ სიცოცხლეში ერთხელ ინც დამიჯერეთ. თქვენ მოხვალთ. ყურმილს ვკიდებ.

მას არ უკითხავს, რომელ ნომერში გავჩერდი და ეს, სხვათა შორის, კიდევ ერთხელ ამტკიცებდა, რომ გაზეთი სწორედ იმან გაბიმიგზავნა. მაგრამ ახლა ამისთანა წვრილმანებისათვის არ მეცალა. მე რომაშკასთან დავბრუნდი.

არ მაგონდება, კიდევ როდის მილაპარაკნია ამდენი ტყუილი და როდის მიძვრენია თავი ასე, როგორც ამ ოცი წუთის განმავლობაში, ვიდრე ნიკოლაი ანტონიჩი მოვიდოდა. მე თავი ისე დავიჭირე, თითქოს სულ არ მაინტერესებდა, რა იყო წინათ ნიკოლაი

ანტონიჩი, ვეკითხებოდი, რა ქალალდებია ის ქალალდები, და ცბიერებისაგან ცხვირში დუდღუნით ვარწმუნებდი, რომ მე უკატიაოდ წასვლა არ შემიძლია-მეთქი. მაგრამ აი კარებზე დააკაკუნეს, მე დავუძახე:

— მობრძანდით!

ნიკოლაი ანტონიჩი შემოვიდა და არ მომსალმებია, კარებში გაჩერდა.

— გამარჯობათ, ნიკოლაი ანტონიჩ,—ვუთხარი მე.

რომაშკას არ ვუყურებდი, მერე შევხედე: სკამის ნაპირზე იჯდა, თავი მხრებში ჩაეწია და მოუსვენრად გვიგდებდა ყურს—ნამდვილი ბუ იყო, მხოლოდ ბუზე უფრო საშინელი.

— ნიკოლაი ანტონიჩ,—განვაგრძობდი მე ძალიან მშვიდად.—თქმა არ უნდა, თქვენ იცნობთ ამ მოქალაქეს. ეს ვინმე რომაშოვია, თქვენი საყვარელი მოსწავლე, ასისტენტი და, თუ არა ვცდები, თითქმის ნათესავიც. მე მოგიწვიეთ, რომ ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ ჩვენი საუბრის შინაარსი.

ნიკოლაი ანტონიჩი ისევ კარებში იდგა—ძალიან გაჭიმული, საოცრად გაჭიმული, პალტოში, ქუდით ხელში. მერე ქუდი გაუვარდა ხელიდან.

— ეს რომაშოვი,—განვაგრძობდი მე.—ასე საათნახევრის წინ ჩემთან მობრძანდა და აი რა შემომთავაზა: შემომთავაზა მესარგებლა საბუთებით, რომლებითაც მტკიცდება: ჯერ ერთი, რომ თქვენ გაძარცვეთ კაპიტანი ტატარინოვის ექსპედიცია, და მეორე, კიდევ სხვა რაღაცეები, რაც თქვენს წარსულს ეხება და რის შესახებაც ანკეტებში არა გაქვთ აღნიშნული.

ამის თქმა იყო და ქუდიც გაუვარდა ხელიდან.

— ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა,—განვაგრძობდი მე,—რომ ამ საქონელს ის პირველად არა ჰყიდის. არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე.

— ნიკოლაი ანტონიჩ!—უეცრად შეჰყვირა რომაშკამ.—ეგ ყველაფერი სიცრუეა. არ დაუჯეროთ. ეგ ტყუის.

დავაცადე, ვიდრე ყვირილს გაათავებდა.

— რასაკვირველია, ახლა ეს თითქმის სულ ერთია,—განვაგრძობდი მე,—ახლა ეს მხოლოდ თქვენი დამოკიდებულების საქმეა. მაგრამ თქვენ შეგნებულად...

დიდი ხანია ვგრძნობდი, რომ ლოყაზე ძარღვი მითამაშებდა. ეს კი არ მომწონდა, რადგანაც ჩემ თავს სიტყვა მივეცი, მათთან სრულიად დამშვიდებულად მელაპარაკა.

— მაგრამ თქვენ შეგნებულად სთანხმდებოდით, რომ ეს ადამიანი კატიას ქმარი გამხდარიყო. თქვენ კატიას ურჩევდით—რასაკვირველია გაიძვერულად—რადგანაც თქვენ შეგეშინდათ მაგისი. ახლა კი თვითონ ეს მოდის ჩემთან და გაიძახის: „ჩვენ იმას გადავაყირავებთო“.

თითქოს გონს მოვიდაო, ნიკოლაი ანტონიჩმა ერთი ნაბიჯი გადმოდგა და რომაშკას მიაშტერდა.

ნიკოლაი ანტონიჩი დიდხანს უყურებდა, ისე დიდხანს, რომ ჩემთვისაც კი ძნელი იყო ამ დაძაბული სიჩუმის ატანა.

— ნიკოლაი ანტონიჩ,—კვლავ შესაბრალისად წაიბუტბუტა რომაშკამ.

ნიკოლაი ანტონიჩი ისევ უყურებდა. მაგრამ აი ხმა ამოიღო და მე განვცვიფრდი: რა გაბზარული, რა მისუსტებული ხმა ჰქონდა.

— აქ რად მომიყვანეთ?—მკითხა მან.—მე ავადა ვარ, ლაპარაკი მიჭირს. თქვენ გინდოდათ დაგერწმუნებინეთ, რომ ეს გათახსირებული ადამიანია. ეს ჩემთვის ახალი ამბავი არ არის, თქვენ გინდოდათ, კვლავ გაგენადგურებინეთ, მაგრამ თქვენ არ ძალგიძთ ჩაიდინოთ იმაზე მეტი, რაც უკვე ჩაიდინეთ—და რის გამოსწორებაც შეუძლებელია.—მან ღრმად ამოისუნთქა. მართლაც ვხედავდი, რომ ლაპარაკი უჭირდა.

— თვითონ განსაჯოს.—განაგრძობდა იგი ასევე ჩუმად, მაგრამ უკვე სხვა, გაბოროტებული კილოთი.—განსაჯოს, რაც ჩაიდინა, წავიდა ისე, რომ მე ერთი სიტყვა არ მითხრა. დაუჯერა იმ საზიზღარ ცილისწამებას, რომელიც მე მთელ სიცოცხლეს თან მდევს.

მე ვდუმდი, რომაშკამ აკანკალებული ხელით ჭიქაში წყალი დაუსხა და მიუტანა.

— ნიკოლაი ანტონიჩ,—წაიბუტბუტა მან,—თქვენ აღელვება გაწყენთ.

მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩმა ძალით მოიშორა მისი ხელი და წყალი ხალიჩაზე დაიქცა.

— არ ვიღებ,—თქვა მან და უეცრად სათვალე მოიგლიჯა და ხელში დაუწყო წვალება.—არ ვიღებ არც საყვედურებს, არც შებრალებას. მისი პირადი ბედი მისი საქმეა. მე კი მხოლოდ ერთი მსურდა მისთვის: ბედნიერება. მაგრამ ჩემი ძმის ხსოვნას არავის დავანებებ,—თქვა მან ჩახრინწული ხმით და სქელტუჩებიანი შეშუპებული სახე მოეღუშა.—მე, შეიძლება, მოხარულიცა ვყოფილიყავი, ამ ტანჯვით მიმეზღო—დაე მოვმკვდარიყავი, იმიტომ რომ სიცოცხლე დიდი ხანია უკვე არაფრად მიღირს. მაგრამ ეს ტყუი-

ლია და მე უარვყოფ ამ საშინელ ბრალდებას, თავის მომჭრელ ბრალდებას. და თუ გნებავთ, ერთი კი არა, ათასი ცრუ მოწმე მოიყვანეთ,—სულ ერთია, არავინ დაიჯერებს, რომ მე მოვკალი ის, დიადი აზრების, დიადი სულის ადამიანი.

მინდოდა, ნიკოლაი ანტონიჩისათვის მომეგონებინა, რომ ის ყოველთვის ასეთი მაღალი აზრისა არ იყო თავის ძმაზე, მაგრამ არ დამალაპარაკა.

— მე მხოლოდ ერთ მოწმესა ვცნობ,—განაგრძობდა იგი,—თვითონ მას, ივანეს. მხოლოდ მას შეუძლია ბრალი დამდოს და, თუ მე დამნაშავე ვიქნებოდი, მხოლოდ მას ექნებოდა ბრალდების უფლება.

ნიკოლაი ანტონიჩმა ტირილი დაიწყო. სათვალით თითები გაეჭრა და ძლივს ამოიღო ჯიბიდან ცხვირსახოცი. რომაშკა მივარდა და მიეხმარა, მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩმა კვლავ მოიშორა.

— აქ მგონი მკვდარიც ალაპარაკდებოდა,—თქვა და აქოშინებული ქუდს დაეწოდა.

— ნიკოლაი ანტონიჩ,—ვუთხარი მე ძალიან მშვიდად,—არ იფიქროთ, რომ მე მიზნად მაქვს მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო, რათა კაცობრიობა დავარწმუნო იმაში, რომ თქვენ დამნაშავე ხართ. ჩემთვის ეს დიდი ხანია ნათელია, ახლა კი არა მარტო ჩემთვის. მე თქვენ ამ საუბრისათვის არ მომიწვევიხართ. უბრალოდ ჩემ მოვალეობად ვთვლიდი, ამ არამზადის ვინაობისათვის ფარდა ამეხადა. მე არა მჭირდება ის, რაც მან თქვენ შესახებ მაცნობა.—უფრო მეტს გეტყვით, მე დიდი ხანია ვიცი ყველაფერი ეს. ხომ არა გნებავთ, რამე უთხრათ მას?

ნიკოლაი ანტონიჩი სდუმდა.

— მაშ გასწი, აქედან დაიკარგე!—ვუთხარი რომაშკას.

ის ნიკოლაი ანტონიჩს მივარდა და ჩურჩული დაუწყო. მაგრამ ნიკოლაი ანტონიჩი უგრძნობლად იდგა და გაშტერებული იყურებოდა წინ. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, როგორ დაბერებულიყო ამ დღეებში, როგორი გაწამებული და შესაბრალისი იყო. მაგრამ მე არ მებრალებოდა. ეგლა მაკლდა სწორედ!

— გასწი!—კვლავ ვუთხარი რომაშკას.

ის ადგილიდან არ დაძრულა და ისევ ეჩურჩულებოდა ნიკოლაი ანტონიჩს. მერე მკლავში ხელი გაუყარა და კარებისაკენ წაიყვანა. ეს მოულოდნელი იყო, მით უმეტეს, რომ მე სწორედ რომაშკას ვაგდებდი და არა ნიკოლაი ანტონიჩს, რომელიც მე თვითონ მოვიწვიე. მინდოდა კიდევ მეკითხა, ვინ დასწერა წერილი „მეცნიერის

დასაცავად“, ი. კრილოვი იგავ-არაკების ავტორის ჩამომავალი ხომ არ არის-მეთქი? მაგრამ დამიგვიანდა—ისინი უკვე გავიდნენ.

მგონი, მაინც ვერ წავაჩხუბე. გრძელ დერეფანში მკლავგაყრილები მძიმედ მიდიოდნენ. მხოლოდ ერთი წუთით შეჩერდა ნიკოლაი ანტონიჩი და თმის გლეჯა დაიწყო. თმა არა ჰქონდა, თითებში ბავშვური ღინღლი რჩებოდა, რომელსაც გაწამებული და განცვიფრებული დასცქეროდა. რომაშკამ ხელები დაუჭირა, პალტო გაუწმინდა და ისინი დინჯად გაუდგნენ გზას.

ჩემი გამგზავრების წინა დღეს ჩ-მ დამირეკა და მითხრა, რომ ის ჩრდილოეთის მთავარ საზღვაო გზათა სამმართველოს უფროსს ელაპარაკა და თვითონვე წაუკითხა ჩემი მოხსენებითი ბარათი. პასუხი დადებითია. წელს უკვე გვიან არის ექსპედიციის გაგზავნა, მაგრამ მომავალ წელს—სავსებით შესაძლებელია. პროექტი დამუშავებულია დამაჯერებლად, დაწვრილებით, მაგრამ სამარშრუტო ნაწილი დაზუსტებას მოითხოვს. ისტორიული ნაწილი ფრიად საინტერესოა. გამომიძახებენ, ცნობას დამატებით მივიღებ.

მთელი ეს დღე მაღაზიაში გავატარე: ჩვენ კვლავ ვშორდებოდით ერთმანეთს და მინდოდა, რამე მესახსოვრა კატიასათვის. ეს ადვილი საქმე როდი იყო. ჩაიდანისთვის „დედაკაცი“? მაგრამ მას ჩაიდანი არა ჰქონდა. კაბა? მაგრამ მე არასდროს არ შემეძლო კრეპ-სატენის ფაი-დე-შინისაგან გარჩევა. ლეიკა ძალიან საჭირო იყო მისთვის, მაგრამ ლეიკისათვის ფული არა მყოფნიდა.

ეჭვს გარეშეა, ვერაფერსაც ვერ ვიყიდდი, ვალია რომ არ შემხვედროდა არბატზე. წიგნის მაღაზიის წინ იდგა და ფიქრობდა. წინათ პირდაპირ ვიტყოდი, მხეცებზე ფიქრობს-მეთქი, და ეს შეცდომა არ იქნებოდა, მაგრამ მას ახლა კიდევ ერთი საგანი ჰქონდა საფიქრებელი.

— ვალია,—ვუთხარი,—ფული გაქვს?

— მაქვს.

— რამდენი?

— ხუთას მანეთამდე.—მიპასუხა ვალიამ.

— მომეცი სულ.

ვალიას გაეცინა.

— რა იყო,—ისევ ენსკში აპირებ, კატიას მისდევ?

ფოტომაღაზიაში წავედით და ლეიკა ვიყიდეთ...

ღამე მივდიოდი, თორმეტის შემდეგ, მაგრამ კატიამ და მე დილიდანვე დავიწყეთ გამოთხოვება—ხან სახლში მივრბოდი მასთან, ხან სამსახურში. დიდი ხნით არა ვშორდებოდით: აგვისტოში

ჩემთან უმდა ჩამოსულიყო ზაპოლარიეში, მე კი ველოდი, რომ უფრო ადრე გამომიძახებდნენ—შესაძლოა, ივლისშიც, მაგრამ მაინც ცოტა არ იყოს მეშინოდა—ვაითუ კიდევ დიდი ხნით დავ-შორდეთ-მეთქი.

ვალიამ სადგურზე „პრავდა“ მოიტანა, რომელშიაც ჩემი წერილი იყო მოთავსებული. ყველაფერი სულ ისე იყო დაბეჭდილი, როგორც მე დავწერე, მხოლოდ ერთგან სტილი გაესწორებინათ. მთელი წერილი კი თითქმის გაენახევრებინათ. ამონაწერები დღიურიდან, მთლიანად იყო დაბეჭდილი: „არას დროს არ დამავიწყდება ეს გამომშვიდობება. ფერმკრთალი, შთაგონებული სახე, შორს გამყურე თვალები. რა არის საერთო წინანდელ თეთრწითელ, სიცოცხლით სავსე, ანეკდოტებისა და გასართობ ისტორიების გამომგონებელ ექსპედიციის ხელზე საგოგმანებელ ადამიანთან, რომელიც, რაც უნდა ძნელი საქმე ყოფილიყო, ხუმრობით ხვდებოდა ყველაფერს. არავინ წასულა იმის სიტყვის შემდეგ. ის იდგა თვალდახუჭული, თითქოს ძალას იკრებდა, რომ გამოსათხოვარი სიტყვა ეთქვა. მაგრამ სიტყვების ნაცვლად ოდნავ გასაგონი ოხვრა აღმოხდა და თვალის უპეებში ცრემლი გაუბრწყინდა..“

მე და კატია ამას ვაგონის დერეფანში ვკით.ხულობდით და მე ვგრძნობდი, მისი თმები როგორ ეალერსებოდა ჩემ სახეს და ვგრძნობდი, რომ თვითონ ის ცრემლებს ძლივს იკავებდა.



შინაარსი

ნაწილი პირველი

გავშვება

გვ.

თავი პირველი
წერილი. ცისფერ კიბოებზე წასვლა. 3

თავი მეორე
მამა. 9

თავი მესამე
ჩალიჩი 12

თავი მეოთხე
სოფელი 15

თავი მეხუთე
ექიმი ივან ივანიჩი. ლაპარაკსა ესწავლობ. 18

თავი მეექვსე
მამაჩემის სიკვდილი. არ მინდა ვილაპარაკო. 23

თავი მეშვიდე
დედა 26

თავი მერვე
პეტკა სკოვოროდნიკოვი. 30

თავი მეცხრე
ჯოხი, ჯოხი, ჯოხი, მეხუთე, მეოცე, მეასე. 32

თავი მეათე
დეიდა დაშა 37

თავი მეთერთმეტე
საუბარი პეტკასთან. 41

თავი მეთორმეტე
გაერ კული სიკვდილის ბატალიონში. 44

თავი ძეცამეტე
შორს გაცილება. 47

თავი მეთოთხმეტე
გაქცევა. არა მძინავს, თავს ვიმძინარებ. 54

თავი მეთხუთმეტე
იბრძოლე და ეძიე, ჰპოვე და უკან არ დაიხიო 60
თავი მეთექვსმეტე
პირველი გაფრენა. 63
თავი მეჩვიდმეტე
ჩხირკედელაობა 66
თავი მეთვრამეტე
ნიკოლაი ანტონიჩი 69

ნაწილი მეორე

ბევრი რამ მქონდა დასაფიქრებელი

თავი პირველი
ზღაპრებს ვისმენ 71
თავი მეორე
სკოლა 74
თავი მესამე
ენსკელი მოხუცი ქალი. 77
თავი მეოთხე
ბევრი რამ მქონდა დასაფიქრებელი. 81
თავი მეხუთე
არის თუ არა თოვლში მარილი? 86
თავი მეექვსე
სტუმრად მივდივარ 93
თავი მეშვიდე
ტატარინოვები 95
თავი მერვე
სკოლის თეატრი. . 101
თავი მეცხრე
კორაბლიოვი წინადადებას უკეთებს. პედაგოგიური მოვალეობა . 103
თავი მეათე
„პასუხი უარით". . 109
თავი მეთერთმეტე
მივდივარ. . 113

თავი მეთორმეტე
სერიოზული ლაპარაკი . 118
თავი მეცამეტე
იქრობ . 122
თავი მეთოთხმეტე
ვერცხლის ათშაურიანი . . 125

ნაწილი მესამე

ძველი წერილები

თავი პირველი
ოთხი წელი . 131
თავი მეორე
ევგენი ონეგინის გასამართლება . 134
თავი სამ
სასრიალოზე 136
თავი მეოთხე
ცვლილებები . 143
თავი მეხუთე
კატიას მამა 146
თავი მეექვსე
ისევ ცვლილებები 150
თავი მეშვიდე
შენიშვნები არშიებზე. ვალკას მღრღნელები, ძველი ნაცნობები . 154
თავი მერვე
ბალი . 161
თავი მეცხრე
პირველი პაემანი. პირველი უძილობა . 166
თავი მეათე
უსიამოვნებანი 169
თავი მეთერთმეტე
ენსკში მივემგზავრები 173
თავი მეთორმეტე
მშობლიური სახლი . . 177
თავი მეცამეტე
ელი წერილები . . 184

თავი მეთოთხმეტე
პაემანი ტაძრის ეზოში. „ნუ დაუჯერებ მაგ ადამიანს“ 191
თავი მეთხუთმეტე
ვსეირნობთ. დედას სანახავად მივდივარ. ბუბენჩიკოვები.
გამომგზავრების დღე . 199
თავი მეთექვსმეტე
რა მელოდა მოსკოვში . . 205
თავი მეჩვიდმეტე
ვალკა . . 209
თავი მეთვრამეტე
უკან დასახევ გზებს აღარ ვიტოვებ . 213
თავი მეცხრამეტე
ძველი მეგობარი . . 218
თავი მეოცე
შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომ̣ხდარიყო . . 225
თავი ოცდამეერთე
მარია ვასილევნა . . 230
თავი ოცდამეორე
ღამით . . 236
თავი ოცდამესამე
კვლავ წესები. ის სხვა არის . . 239
თავი ოცდამეოთხე
ცილისწამება . 244
თავი ოცდამეხუთე
უკანასკნელი შეხვედრა . 249

ნაწილი მეოთხე

ჩრდილოეთი

თავი პირველი
საფრენოსნო სკოლა . 257
თავი მეორე
სანიას ქორწილი . . 262
თავი მესამე
ვწერ ექიმ ივან ივანიჩს . . 267
თავი მეოთხე
პასუხს ვიღებ . 271

თავი მეხუთე
სამი წელი . 275
თავი მეექვსე
ექიმთან 282
თავი მეშვიდე
დღიურებს ვკითხულობ . 287
თავი მერვე
ექიმის ოჯახი 301
თავი მეცხრე
ჩვენ, მგონი, შევხვედრივართ ერთმანეთს . 304
თავი მეათე
ღამე მშვიდობისა . . 310
თავი მეთერთმეტე
გაფრენა 315
თავი მეთორმეტე
ქარბუქი 319
თავი მეცამეტე
რა არის პრიმუსი 323
თავი მეთოთხმეტე
ძველი თითბრის ბარჯი 327
თავი მეთხუთმეტე
ვანოკანი 332

ნაწილი მეხუთე

გულისათვის

თავი პირველი
კატიასთან შეხვედრა 340
თავი მეორე
კორაბლიოვის იუბილე 344
თავი მესამე
უსათაურო 351
თავი მეოთხე
ბევრია ახალი . 356
თავი მეხუთე
თეატრში 363

თავი მეექვსე
კვლავ ბევრია ახალი 369
თავი მეშვიდე
ჩვენ სტუმარი გვყავს . 374
თავი მერვე
ხსოვნას არა ღალატობს 381
თავი მეცხრე
ყველაფერი გადაწყვეტილია, ის მიემგზავრება 386
თავი მეათე
სივცევ-ვრაჟეკზე . 390
თავი მეთერთმეტე
დავიდარაბის დღე 394
თავი მეთორმეტე
რომაშკა 398

რედაქტორი ვ. ჭელიძე
მხატვარი ა. ბანძელაძე, მხატვ. რედაქტორი გ. ფოცხიშვილი, ტექრედაქტორი შ. ლოლობერიძე. კორექტორი მ. გორგაძე.

* * *

გადაეცა წარმოებას 15/IX 1955 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI—56 წ.. საალრიცხვო ფორმათა რაოდენობა 22,14, ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 25,75, ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 8.000, უე 00097, შეკვეთის № 857.
ფასი 9 მან. 15 კაპ.

* * *

სტამბა № 3
თბილისი, კამოს ქ. № 68
Типография № 3
г. Тбилиси, ул. Камо № 68